

# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბანაჩენტა კრებულის

## წიგნი III



გამოცემა დაფინანსებულია  
ევროპის საბჭოს მიერ

**Selected Judgments of the European Court of Human Rights (Georgian version),  
Volume III**

This book was published by the Council of Europe Directorate General II of Human Rights, in cooperation with the Council of Europe Information Office in Georgia

წიგნი გამოიცა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა II გენერალური დირექტორატის მიერ, საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროსთან თანამშრომლობით

თარგმანი — ბესარიონ ბოხაშვილი, ლაშა ქელიძე

რედაქტირება — ანუკი გეგეჩკორი

დაიბეჭდა — შ.პ.ს. „პეტიტი“

თარგმანი ქვეყნდება ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით და მასზე პასუხს აგებს მთარგმნელი

**ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში**

ერეკლე II-ს შესახვევი № 7, თბილისი, 0105

ტელ.: 988977/989560

ფაქსი: 989657

ელ-ფოსტა: [informtbilisi@coe.int](mailto:informtbilisi@coe.int)

ვებ-გვერდი: [www.coe.ge](http://www.coe.ge)

© ევროპის საბჭო, 2006 წლის ოქტომბერი

## სარჩევი

ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ .....	5
Case Of Ilașcu and Others v. Moldova And Russia	
პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ .....	283
Case of Pincová and Pinc v. The Czech Republic	
მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ .....	307
Case of Mamatkulov and Askarov v. Turkey	



**ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და  
რუსეთის წინააღმდეგ**

---

*Case of Ilaşcu and Others v. Moldova and Russia*



**ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის  
წინააღმდეგ**

(განაცხადი № 48787/99)

**ბანაჩენი**

**სტრასბურგი**

2004 წლის 8 ივლისი

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

### საქმეზე „ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ“, (*Case of Ilascu and Others v. Moldova and Russia*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა დიდი პალატის სახით შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი, თავმჯდომარე,  
ბ-ნი ც. ლ. როზაკისი,  
ბ-ნი ჟ.-პ. კოსტა  
ბ-ნი გ. რესი,  
სერ ნიკოლას ბრატცა  
ბ-ნი ლ. ლუკაიდესი  
ბ-ნი ი. კაბრალ ბარეტო  
ქ-ნი ფ. ტულკენსი  
ბ-ნი კ. ბირსანი  
ბ-ნი ჯ. კასადევალი  
ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი  
ბ-ნი ჯ. ჰედიგანი  
ქ-ნი ვ. ტომასენი  
ბ-ნი ტ. პანტირუ  
ბ-ნი ე. ლევიტსი  
ბ-ნი ა. კოვლერი  
ქ-ნი ე. ფურა-სანდსტრომი, მოსამართლეები  
და ბ-ნი პ. ჯ. მაჰონი, რეგისტრატორი.

იმსჯელა რა განმარტოებით 2002 წლის 23 იანვარს, 26 თებერვალს და 11 სექტემბერს, 2003 წლის 8 ოქტომბერსა და 2004 წლის 7 მაისს,

2004 წლის 7 მაისს სასამართლოს გამოაქვს წინამდებარე განაჩენი:



## შესავალი

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (№ 48787/99), რომელიც წარმოდგენილი იქნა მოლდოვის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად მოლდოვის ოთხი მოქალაქის: ბ-ნი ილიე ილაშკუს, ბ-ნი ალექსანდრე ლეშკოს, ბ-ნი ანდრეი ივანტოშისა და ბ-ნი ტუდორ პეტროვ-პოპას („განმცხადებლები“) მიერ 1999 წლის 5 აპრილს.

2. განაცხადი ძირითადად ეხება „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის“ („მდრ“) ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულ ქმედებებს. „მდრ“ არის მოლდოვის რეგიონი, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1991 წელს, მაგრამ არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

3. განმცხადებლების მტკიცებით, ისინი მსჯავრდებულნი იქნენ დნესტრისპირეთის სასამართლოს მიერ, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს კომპეტენტურად მე-ნ მუხლის მიზნებისათვის. განმცხადებლების თქმით, მათ ხელი არ მიუწვდებოდათ სამართლიან სასამართლო განხილვაზე, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-ნ მუხლს, ხოლო მსჯავრდების შემდეგ მათ ჩამოართვეს კუთვნილი ნივთები პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. განმცხადებლები ასევე ამტკიცებდნენ, რომ დნესტრისპირეთში მათი პატიმრობა არ იყო კანონიერი, არღვევდა მე-5 მუხლის მოთხოვნებს, ხოლო მათი პატიმრობის პირობები ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებს. დამატებით ბ-ნი ილაშკუ ამტკიცებდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მას სიკვდილით დასჯა ჰქონდა შეფარებული. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები კონვენციის თანახმად პასუხისმგებელნი იყვნენ იმ უფლებების დარღვევისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე კონვენციაში, რადგან მათ არ განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებები დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა რუსეთის ფედერაციასაც, იმ მიზეზის გამო, რომ დნესტრისპირეთის ტერიტორია იყო და რჩება რუსეთის *de facto* კონტროლის ქვეშ, რადგან რუსეთის ჯარები და სამხედრო აღჭურვილობა განთავსებულია ამ ტერიტორიაზე და რუსეთის ფედერაცია ახორციელებს სეპარატისტული რეჟიმის სავარაუდო მხარდაჭერას.

ბოლოს განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მოლდოვამ და რუსეთის ფედერაციამ ხელი შეუშალეს მათ ევროპული სასამართლოს წინაშე ინდივიდუალური განაცხადის წარდგენაში და, აქედან გამომდინარე, დაარღვიეს კონვენციის 34-ე მუხლი.

# პროცედურა

## 1. არსებით განხილვაზე დასაშვებობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს ყოფილ პირველ სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). პირველმა სექციამ მოპასუხე სახელმწიფოებს განაცხადის შესახებ აცნობა 2000 წლის 4 ივლისს. წერილობითი კომენტარები არსებით განხილვაზე დაშვებობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა 2000 წლის 24 ოქტომბერს მოლდოვის მთავრობის მიერ, 2000 წლის 14 ნოემბერს რუსეთის მთავრობის მიერ, ხოლო 2001 წლის 2 იანვარს განმცხადებლების მიერ.

5. 2001 წლის 20 მარტს პირველი სექციის პალატამ იურისდიქცია გადასცა დიდ პალატას, ამასთანავე, არც ერთ მხარეს არ განუცხადებია პრეტენზია იურისდიქციის გადაცემასთან დაკავშირებით (კონვენციის 30-ე და სასამართლოს რეგლამენტის 72-ე მუხლები).

6. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და რეგლამენტის 24-ე მუხლის შესაბამისად. საბოლოო მსჯელობის შედეგად ბ-ნმა ი. კაბრალ ბარეტომ და ბ-ნმა ბ. ზუპანჩიჩმა, სათადარიგო მოსამართლეებმა, შეცვალეს ბ-ნი ლ. ფერარი ბრავო და ბ-ნი. ჯ. მაკარჩუკი, რომლებსაც არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ საქმის შემდგომ განხილვაში (რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

7. 2001 წლის 4 ივლისს გადაწყვეტილებით დიდმა პალატამ 2001 წლის 6 ივნისს დასაშვებობასთან დაკავშირებით გამართული მოსმენის შემდგომ (რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-4 პუნქტი) განაცხადი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა. მოსმენაზე მოლდოვის მთავრობამ განაცხადა, რომ მას სურდა უკან გაეტანა 2000 წლის 24 ოქტომბერს წარდგენილი წერილობითი კომენტარები, იმ ნაწილში მაინც, რომელიც ეხებოდა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას.

დასაშვებობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ საკითხი იმის თაობაზე, შესაძლებელი იყო თუ არა მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობისა და იურისდიქციის საკითხების არსებობა კონვენციის თანახმად და გააჩნდა თუ არა სასამართლოს იურისდიქცია *ratione temporis*, რათა განეხილა საჩივრები, მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქმის არსებით მხარესთან, და ამიტომ აღნიშნული საკითხებისა და არსებითი მხარის განხილვა გაერთიანებული იქნა.

## 2. არსებით განხილვასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

### (ა) მხარეთა წერილობითი კომენტარები

8. მას შემდეგ, რაც განაცხადი არსებით განხილვაზე იქნა დაშვებული, ორივე მხარემ – განმცხადებლებმა და მოლდოვისა და რუსეთის მთავრობებმა – წარმოადგინეს კომენტარები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით: მოლდოვის მთავრობამ 2001 წლის 12 ნოემბერსა და 2002 წლის 28 იანვარს, რუსეთის მთავრობამ 2001 წლის 8 დეკემბერს, ხოლო განმცხადებლებმა 2001

ნლის 27 სექტემბერს, 2, 4, 12 და 16 ნოემბერს.

კომენტარები ასევე წარმოადგინა რუმინეთის მთავრობამ, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარემ მოიწვია სამართალწარმოებაში მესამე მხარედ ჩასართავად მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე (კონვენციის 36-ე მუხლი და სასართლოს რეგლამენტის 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები). მხარეებმა წარმოადგინეს პასუხები (რეგლამენტის 61-ე მუხლის მე-5 პუნქტი). მხარედ ჩართვის მოთხოვნა იქნა წარმოდგენილი ასევე ქ-ნი ლიუდმილა გუსარის მიერ, რომელიც იყო სამოქალაქო მხარე იმ სამართალწარმოების დროს, რომლის შედეგადაც განმცხადებლებს მსჯავრი დაედოთ „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს“ მიერ. დიდი პალატის თავმჯდომარემ უარი განაცხადა ხსენებული ქალბატონის მხარედ ჩართვაზე.

9. მოწმეთა ჩვენებების შემდგომ (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-12 - მე-15 პუნქტები) თავმჯდომარემ მხარეებს შესთავაზა, წარედგინათ საბოლოო კომენტარები ყველაზე გვიან 2003 წლის 1 სექტემბრისათვის. მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ უარყო რუსეთის მთავრობის თხოვნა გადავადებასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიღო მხარეთა კომენტარები ზემოხსენებულ დღეს.

10. 2004 წლის 12 იანვარს დიდი პალატის თავმჯდომარემ გადანყვიტა, მოეწვია მხარეები რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, რათა მათ გადაედგათ ნაბიჯები და უზრუნველყოთ, რომ ბ-ნი ივანტოში, რომელიც შიმშილობდა 2003 წლის 28 დეკემბრის შემდეგ, პატიმრობაში ყოფილიყო ისეთ პირობებში, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა კონვენციით გარანტირებულ მის უფლებებთან. მხარეები მოიწვიეს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-2ა პუნქტის შესაბამისად, რათა წარედგინათ ინფორმაცია დროებითი ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებით. ბ-ნი ივანტოშის წარმომადგენელმა, ბ-ნმა ვ. გრიბინცემ, და მოლდოვის მთავრობამ წარუდგინეს სასამართლოს ინფორმაცია 2004 წლის 24 და 26 იანვრით დათარიღებული წერილებით.

11. 2004 წლის 15 იანვარს სასამართლოს თავმჯდომარემ გადანყვიტა, 39-ე მუხლის შესაბამისად დაევალებულებინა ბ-ნი ივანტოში, შეენყვიტა შიმშილობა. 2004 წლის 24 იანვარს ბ-ნი ივანტოშის წარმომადგენელმა აცნობა სასამართლოს, რომ მისმა კლიენტმა 2004 წლის 15 იანვარს შეწყვიტა შიმშილობა.

### **(ბ) მოწმეთა მოსმენა**

12. იმისათვის, რომ ნათელი მოჰფენოდა ცალკეულ სადავო საკითხებს, კერძოდ, იყვნენ თუ არა მოლდოვა და/ან რუსეთი პასუხისმგებელი საჯარაუდო დარღვევებისათვის, სასამართლომ ადგილზე მიავლინა საგამოძიებო მისია კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი (ა) პუნქტისა და რეგლამენტის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის (მაშინდელი ვერსიით) შესაბამისად. სასამართლოს გამოძიება მიმართული იყო ფაქტებისათვის ნათელის მოფენისაკენ, რათა შესაძლებელი გამხდარიყო იმის განსაზღვრა, გააჩნდათ თუ არა მოლდოვას ან რუსეთის ფედერაციას იურისდიქცია დნესტრისპირეთში არსებულ სიტუაციაზე, ურთიერთობებზე დნესტრისპირეთსა და მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციას შორის და ასევე განმცხადებელთა პატიმრობის პირობებზე.

სასამართლომ დანიშნა 4 დელეგატი, ბ-ნი გ. რესი, სერ ნიკოლას ბრატცა, ბ-ნი ჯ. კასადევალი და ბ-ნი ე. ლევიტსი, რომლებმაც მოისმინეს მოწმეთა ჩვენებები კიშინიოვსა და ტირასპოლში 2003 წლის 10-დან 15 მარტამდე. კი-

შინიოვეში მონმეთა ჩვენებების მოსმენა განხორციელდა მოლდოვაში ეუთო-ს შტაბბინაში, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა სასამართლოს ჩვენებების მოსმენის ორგანიზებაში. ტირასპოლში სასამართლოს დელეგატებმა ჩვენებები მოისმინეს განმცხადებლებისაგან და დნესტრისპირეთში ტირასპოლის მე-3 საპყრობილის სხვა პატიმრებისაგან, ასევე მონმეებისაგან, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს მოლდოვის დნესტრისპირეთის რეგიონში რუსეთის ოპერატიული დანაყოფის („როდ“) შტაბბინაში.

13. საერთო ჯამში, დელეგატებმა მოისმინეს ჩვენება 43 მონმისაგან, რომლებიც გამოძახებულნი იყვნენ მხარეებისა და სასამართლოს მიერ. დელეგაციის ხელმძღვანელმა გასცა ნებართვა იმასთან დაკავშირებით, რომ სამი მონმის ვინაობა ანონიმური ყოფილიყო და, შესაბამისად, მათი ვინაობა აღინიშნა X-ით, Y-ით და Z-ით.

14. შეიდი სხვა მონმე, რომლებიც გამოძახებულნი იყვნენ დელეგატების წინაშე ჩვენებების მისაცემად, არ გამოცხადდა. მოსმენების დამთავრების შემდეგ, დელეგატების მოთხოვნით, მხარეებმა წარმოადგინეს წერილობითი განმარტებები ხსენებული მონმეების გამოუცხადებლობასთან მიმართებაში და იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც უკავშირდებოდა ამ მონმეებისათვის უწყების გადაცემას.

არ გამოცხადდნენ შემდეგი მონმეები: ოლგა ჩაპატინა, რომელიც მოსმენის წინ საავადმყოფოში იქნა მოთავსებული მას შემდეგ, რაც თავს დაესხნენ, ვლადიმირ გორბოვი და მიხაილ ბერგმანი, რომლებსაც მოპასუხე მთავრობა ვერ დაუკავშირდა, პეტრუ გოდიაჩი, რომლის გამოუცხადებლობაც არანაირად არ იქნა ახსნილი, ვალერი პასატი, რომელიც არ იმყოფებოდა მოლდოვის ტერიტორიაზე, და ვალერიუ მურავსჩი და პეტრუ ტაბუიკა, რომლებმაც არ ახსნეს გამოუცხადებლობის მიზეზები.

სასამართლომ წუხილი გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ჩვენების მისაცემად არ გამოცხადდა მეთაური ბერგმანი და, მისი მაღალი თანამდებობიდან გამომდინარე, ძნელად დასაჯერებლად მიიჩნია, რომ შეუძლებელი იყო მასთან დაკავშირება დელეგატებისათვის ჩვენების მისაცემად გამოძახების მიზნით. სასამართლო იტოვებს უფლებას, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები ამ მონმის ჩვენების არარსებობის საფუძველზე.

15. დელეგატების წინაშე გამოცხადებულ მონმეთა სიისა და მათი ჩვენებების რეზიუმეს მოძიება შესაძლებელია წინამდებარე განაჩენის დანართში. დელეგატებისათვის მიცემული მონმეთა ჩვენებების ხმოვანი ჩანაწერები ასევე წარმოდგენილი იქნა სასამართლო რეგისტრატურის მიერ და შეტანილია საქმის მასალებში.

### **(გ) დოკუმენტური მტკიცებულებები**

16. მხარეთა კომენტარებსა და მონმეთა განცხადებებთან ერთად სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამართალწარმოების მიმდინარეობის პერიოდში მხარეთა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ წარმოდგენილი მრავალი დოკუმენტი: წერილი ბ-ნი ილაშკუსაგან; ბ-ნი ივანტოშის განცხადებები და წერილები; მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა განმცხადებელთა დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებულ გამოძიებას; მონმეთა, მათ შორის, ოლგა ჩაპატინასა და პეტრუ გოდიაჩის წერილობითი ჩვენებები; დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა განმცხადებელთა სასამართლო სამართალწარმოებას

„მდრ-ს უზენაეს სასამართლოში“ და ბ-ნი ილაშკუს „შენყალბა“; დნესტრისპირეთთან დაკავშირებული დოკუმენტები მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციული ორგანოებისაგან; საგაზეთო ამონარიდები პოლიტიკოსების განცხადებებთან და რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ოფიციალური პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით; ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების განთავსებას დნესტრისპირეთში და დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებას, მათ შორის, ხელშეკრულებები და შეთანხმებები მოლდოვასა და დნესტრისპირეთს და რუსეთის ფედერაციასა და დნესტრისპირეთს შორის და ვიდუოკასეტები დნესტრისპირეთში მიმდინარე ბრძოლებისა და არსებული სიტუაციის შესახებ.

17. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა კიშინიოვში ეუთო-ს მისიის საშუალებით „მდრ-ის იუსტიციის სამინისტროს“ მიერ წარმოდგენილი გარკვეული დოკუმენტები, კერძოდ, განმცხადებელთა სამედიცინო ისტორია და მონაცემები, რომლებიც ასახავდნენ ვიზიტებსა და პატიმრების მიერ საპრობილემში ამანათების მიღებას. მოპასუხე მთავრობებმა ასევე წარმოადგინეს დოკუმენტები იმ კომისიიდან, რომელიც პასუხისმგებელი იყო 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმების ზედამხედველობაზე („შერეული საკონტროლო კომისია“).

18. და ბოლოს, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორც არის ეუთო, ნამების საინააღმდეგო კომიტეტი (CPT), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი და პარლამენტაშორისი გაერთიანების მმართველი საბჭო, სასამართლომ მოიპოვა დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა დნესტრისპირეთსა და იქ მყოფ განმცხადებლებს.

## ფაქტები

### I. განმცხადებლები

19. განმცხადებლები, მოლდოვის მოქალაქენი იმ დროისათვის, როდესაც განაცხადი წარმოადგინეს, დაბადებულნი იყვნენ 1952, 1955, 1961 და 1963 წლებში შესაბამისად. იმ დროისათვის, როდესაც განაცხადი წარმოადგინეს, ისინი იმყოფებოდნენ პატიმრობაში მოლდოვის დნესტრისპირეთის ნაწილში.

20. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობაში იმყოფებოდა, ბ-ნი ილაშკუ 1994 წლიდან 2000 წლამდე ორჯერ იქნა არჩეული მოლდოვის პარლამენტში. როგორც პარლამენტის წევრი, იგი დანიშნული იქნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მოლდოვის დელეგაციის წევრად. 2000 წლის 4 ოქტომბერს ბ-ნმა ილაშკუმ მიიღო რუმინეთის მოქალაქეობა. 2000 წლის დეკემბერში იგი არჩეული იქნა რუმინეთის პარლამენტის სენატში და როგორც რუმინეთის პარლამენტის წევრი დანიშნული იქნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

21. ბ-ნი ლემკო და ბ-ნი ივანტომი რუმინეთის მოქალაქეები 2001 წელს გახდნენ.

22. ბ-ნი ილაშკუ გათავისუფლებული იქნა 2001 წლის 5 მაისს; ამის შემდეგ იგი ცხოვრობს ბუქარესტში. მეორე და მესამე განმცხადებლების საცხოვრებელი მდებარეობს კიშინიოვში (მოლდოვა), მეოთხე განმცხადებელი კი ცხოვ-

რობს ტირასპოლში (დნესტრისპირეთი, მოლდოვა). ამჟამად სამივე იმყოფება პატიმრობაში ტირასპოლში.

23. იმ ფაქტის გათვალისწინებით, როგორც ამას განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ მათთვის შეუძლებელი იყო, პირდაპირ მიემართათ სასამართლოსათვის, განაცხადი წარმოდგენილი იქნა მათი მეუღლეების – ქ-ნი ნინა ილაშკუს, ქ-ნი ტატიანა ლეშკოსა და ქ-ნი ევდოკია ივანტოშის მიერ, ასევე მეოთხე განმცხადებლის დის, ქ-ნი რაისა პეტროვ-პოპას მიერ.

24. მეორე განმცხადებელი სასამართლოს წინაშე ბ-ნი ა. ტანასეს, კიშინიოვის ადვოკატთა კოლეგიის წევრის, მიერ იყო წარმოდგენილი. დანარჩენი განმცხადებლები წარმოდგენილნი იყვნენ ბ-ნი ც. დინუს, ბუქარესტის ადვოკატთა კოლეგიის წევრის, მიერ მის სიკვდილამდე 2002 წლის დეკემბერში. 2003 წლის იანვრის შემდეგ მათ წარმოადგენდა ბ-ნი ვ. გრიბინცუა, კიშინიოვის ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

## II. ფაქტების დადგენა

25. იმისათვის, რომ დაედგინა ფაქტები, სასამართლო დაეყრდნო დოკუმენტურ მტკიცებულებებს, მხარეთა კომენტარებს და მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც მიცემული იქნა ადგილზე, კიშინიოვსა და ტირასპოლში.

26. ფაქტების დადგენის მიზნით მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო თვლის, რომ მნიშვნელოვანია შემდეგი კომპონენტები:

- (i) წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლო ზოგადად იყენებდა პრინციპს „გონივრულ ეჭვს მიღმა“, როგორც მტკიცების მოთხოვნილ სტანდარტს. ასეთი მტკიცება შესაძლოა გამომდინარეობდეს საკმარისად დასაბუთებული, აშკარა და თანმხვედრი დასკვნების თანაარსებობიდან ან ფაქტის ერთმნიშვნელოვანი პრეზუმფციიდან, ამასთანავე, მხარეთა მოქმედება სასამართლოს მიერ მტკიცებულებების მოპოვების მცდელობასთან მიმართებაში, შესაძლოა, წარმოადგენდეს კომპონენტს, რომელიც მხედველობაში მიიღება (იხ. *mutatis mutandis*, საქმეზე *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვარს გამოტანილი განაჩენი, სერია A №25, გვ. 64-65, პუნქტი 161, და *Salman v. Turkey* [GC], № 21986/93, პუნქტი 100, ECHR 2000-VII).
- (ii) რაც შეეხება დელეგატების მიერ მოპოვებულ ჩვენებებს, სასამართლომ იცის იმ სიძნელეების შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ასეთი ჩვენებების შეფასებისას, რადგან ისინი მოპოვებულია თარჯიმნის მეშვეობით: ამიტომაც სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დელეგატებისათვის მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებების მნიშვნელობას. სასამართლომ ასევე იცის, რომ ძალიან ბევრი შესაბამისი ფაქტი ეხება იმ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დაახლოებით 10 წლის წინ ბუნდოვან და ძალიან რთულ ვითარებაში, რაც ბურუსით მოცულს ხდის წარმოდგენას ზუსტი თარიღებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ. სასამართლოს არ მიაჩნია, რომ თვით ეს ფაქტი წამოჭრის მოწმეთა ჩვენებების ქეშმარიტებაში ეჭვის შეტანის საფუძველს.
- (iii) იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ფაქტების ურთიერთსაწინააღმდეგო აღწერა, სასამართლო აწყდება ისეთივე სიძნელეს, როგორც პირველი ინსტან-

ციის სასამართლო ფაქტების დადგენისას, და ყურადღება მახვილდება, მაგალითად, იმ ფაქტზე, რომ მას არ გააჩნია პირდაპირი და დეტალური ცოდნა და ინფორმაცია რეგიონში არსებული პირობების შესახებ. უფრო მეტიც, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, აიძულოს მოწმე გამოცხადდეს. წინამდებარე საქმეში გამოძახებული 51 მოწმედი შეიძენ არ გამოცხადდა დელეგატების წინაშე. შესაბამისად, ფაქტების დადგენასთან დაკავშირებით პოტენციურად მნიშვნელოვანი ჩვენებების უქონლობის პირობებში სასამართლო სიძნელის წინაშე დადგა.

27. მხარეთა დახმარებით სასამართლომ ადგილზე წარმართა გამოძიება, რომლის მიმდინარეობის პერიოდშიც მოისმინა შემდეგი 43 მოწმის ჩვენება:

- (ა) განმცხადებლის დაკავების, მსჯავრდებისა და პატიმრობის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებით განმცხადებლების, ქ-ნი ტატიანა ლეშკოსა და ქ-ნი ევდოკია ივანტოვის, მეორე და მესამე განმცხადებელთა მეუღლეების, ქ-ნი რაისა პეტროვ-პოპას, მეოთხე განმცხადებლის დის ჩვენებები; ასევე ბ-ნი შტეფან ურიტუს ჩვენებები (რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა 1992 წელს განმცხადებლებთან ერთად), ბ-ნი კონსტანტინ ტიბირნას, ექიმის, რომელმაც ვასილჯა განმცხადებლები 1995-97 წლებში, როდესაც ისინი პატიმრობაში იმყოფებოდნენ ტირასპოლსა და ჰლინაიაში, ჩვენებები, ბ-ნი ვლადიმირ გოლოვჩივის, ტირასპოლის მე-2 საპყრობილის მმართველის, ბ-ნი შტეფან ტჩერბუზჩიჩის, 1992-დან 2001 წლამდე ჰლიანიას საპყრობილის მმართველის, ბ-ნი სერგეი კოტოვოს, ჰლიანიას ციხის მმართველის, ბ-ნი ეფიმ სამსონოვის, „მდრ“-ის ციხის სამედიცინო სამსახურის დირექტორის, და ბ-ნი ვასილი სემენჩუკის, 1995 წლიდან ჰლიანიას ექიმის ჩვენებები.
- (ბ) მოლდოვის მხრიდან განმცხადებლების გათავისუფლებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებებზე და მოლდოვას, რუსეთსა და დნესტრის-პირეთს შორის არსებულ ურთიერთობებზე ჩვენებები მისცეს სხვადასხვა მოლდოველმა თანამდებობის პირებმა და პოლიტიკოსებმა: ბ-ნმა დუმიტრუ პოსტოვანმა, მოლდოვის გენერალურმა პროკურორმა 1990 წლიდან 1998 წლის ივლისამდე, ბ-ნმა ვალერიუ კატანემ, მოლდოვის გენერალურმა პროკურორმა 1998 წლის 31 ივლისიდან 1999 წლის 29 ივლისამდე, ბ-ნმა ვასილე რუსუმ, მოლდოვის გენერალურმა პროკურორმა 2001 წლის 18 მაისის შემდგომ, ბ-ნმა ვასილე სტურზამ, გენერალური პროკურორის მოადგილემ 1990 წლიდან 1994 წლამდე და იუსტიციის მინისტრმა 1994 წლიდან 1998 წლამდე, Z-მ, მოლდოვის მთავრობის ყოფილმა მინისტრმა, ბ-ნმა ვიქტორ ვიერუმ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ 2001 წლის შემდგომ, X-მა, მოლდოვის ყოფილმა მაღალი თანამდებობის პირმა, ბ-ნმა მირჩა სნეგურმა, მოლდოვის პრეზიდენტმა 1990-96 წლებში, ბ-ნმა ალექსანდრე მოშანუმ, მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარემ 1990-92 წლებში, Y-მა, ყოფილმა მოლდოველმა დიპლომატმა, ბ-ნმა ანდრეი სანგჰელმა, მოლდოვის პრემიერ-მინისტრმა 1992-97 წლებში; ბ-ნმა ანატოლი პლუგარუმ, მოლდოვის უშიშროების მინისტრმა 1991-92 წლებში, ბ-ნმა ნიკოლაი პეტრიცამ, მოლდოვის არმიის გენერალმა 1992-93 წლებში, ბ-ნმა ანდრეი შტრატანმა, საბაჟოს ყოფილმა უფროსმა, ბ-ნმა ვლადიმირ მოლოჟენმა, საინფორმაციო ტექნოლოგიათა დეპარტამენტის დირექტორმა, ბ-ნმა იონ კოსტანცმა, თავდაცვის მინისტრმა 1991-92 წლებში, ბ-ნმა ვალენტინე

სერედამ, მოლდოვის სასჯელ-ალსრულებითი სამსახურის დირექტორმა, ბ-ნმა ვიქტორ ბერლინიჩმა, მოლდოვის პარლამენტის წევრმა 1990-94 წლებში, ბ-ნმა კონსტანტინ ობროკმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ 1991-92 წლებში და პრეზიდენტის მრჩეველმა 1993-96 წლებში, ბ-ნმა მიხაილ სიდოროვმა, მოლდოვის პარლამენტის წევრმა, და პაველ კრეანგამ, მოლდოვის თავდაცვის მინისტრმა 1992-97 წლებში.

- (გ) როდ-ის და რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალებისა და ამ შენაერთების ჯარისკაცების მოლდოვის დნესტრისპირეთში ყოფნასთან დაკავშირებით ჩვენება მისცეს: გენერალმა ბორის სერგეევმა, როდ-ის სარდალმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრე ვერგუზმა, როდ-ის ხელმძღვანელმა ოფიცერმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ვიტალიუს როდზავეიჩუსმა, როდ-ის ხელმძღვანელი ჯგუფის ყოფილმა წევრმა, პოლკოვნიკმა ანატოლი ზვერევმა, მოლდოვის დნესტრისპირეთის რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ბორის ლევიცკიმ, როდ-თან არსებული სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ვალერი შამაევმა, როდ-ის სამხედრო პროკურორმა, და ვასილი ტიმოშენკომ, მე-14 არმიისა და როდ-ის ყოფილმა სამხედრო პროკურორმა.

### III. საქმის წინმსწრები ზოგადი მოვლენები

#### ა. სსრკ-ს დაშლა და მოლდოვა-დნესტრისპირეთის კონფლიქტი დნესტრისპირეთის გამოყოფასთან დაკავშირებით

##### 1. სსრკ-ს დაშლა, დნესტრისპირეთის გამოყოფა და მოლდოვის დამოუკიდებლობა

28. მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც შეიქმნა სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1940 წლის 2 აგვისტოს, დაარსდა ბესარაბიის ნაწილზე, რომელიც ჩამოეჭრა რუმინეთს 1940 წლის 28 ივნისს სსრკ-გერმანიას შორის დადებული მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შემდგომ (ხსენებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უმეტესობა რუმინულად მეტყველებდა), და უკრაინის დნესტრის (სსრკ) მარცხენა სანაპიროზე - დნესტრისპირეთში, რომელიც მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა 1940 წელს და დასახლებულია მოსახლეობით, რომლის ლინგვისტური შემადგენლობა 1989 წლისათვის საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად იყო 40% მოლდოვეური, 28% უკრაინული, 24% რუსული და 8% სხვა. რუსული გახდა ახალი საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა დაანესეს რუსული შრიფტი რუმინული დამწერლობისათვის, რომელიც გახდა „მოლდოვეური“ და დაიკავა მეორე ადგილი რუსულის<sup>1</sup> შემდეგ.

1. ეუთო-ს კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრის 1994 წლის 10 ივნისის საინფორმაციო დოკუმენტი დნესტრისპირეთის კონფლიქტის შესახებ. ხსენებული დოკუმენტი გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე მოლდოვაში ეუთო-ს მისიის ინტერნეტგვერდზე. მისი სახელწოდებაა „დნესტრისპირეთის კონფლიქტი: წარმოშობა და ძირითადი საკითხები.“



29. 1989 წლის სექტემბერში მოლდავეთის სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ორი კანონი, რომლებითაც შემოიტანა ლათინური ანბანი დამწერლობითი რუმინულისათვის (მოლდოვეური) და ხსენებული ენა გამოაცხადა პირველ ოფიციალურ ენად რუსულის ნაცვლად.

1990 წლის 27 აპრილს უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი სამფეროვანი (წითელი, ყვითელი და ლურჯი) დროშა მოლდოვეური გერბით და ეროვნული ჰიმნი, რომელიც იმ დროისათვის იგივე იყო, რაც რუმინული. 1990 წლის ივნისში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე ავტონომიური და დამოუკიდებლობის მოძრაობის პირობებში, მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ მიიღო ახალი სახელი, მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მან დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1990 წლის 23 ივნისს (1994 წლის 10 ივნისის ეუთო-ს საინფორმაციო დოკუმენტი — იხ. წინამდებარე განაჩენის 28-ე პუნქტის შენიშვნა).

1991 წლის 23 მაისს მოლდოვის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ გადაირქვა სახელი მოლდოვის რესპუბლიკად.

30. 1990 წლის 2 სექტემბერს გამოცხადებული იქნა „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკა“ („მდრ“). 1991 წლის 25 აგვისტოს „მდრ-ის უმაღლესმა საბჭომ“ მიიღო „მდრ“-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

„მდრ“ დღემდე არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

31. 1991 წლის 27 აგვისტოს მოლდოვის პარლამენტმა მიიღო მოლდოვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა დნესტრისპირეთსაც. იმ დროისათვის მოლდოვის რესპუბლიკას არ ჰყავდა თავისი არმია და არმიის შექმნის პირველი მცდელობა განხორციელდა რამდენიმე თვის შემდეგ. მოლდოვის პარლამენტმა თხოვნით მიმართა სსრკ-ს მთავრობას, „დანყებულები მოლაპარაკება მოლდოვის მთავრობასთან, რათა ბოლო მოეღობა მოლდოვის უკანონო ოკუპაციას და მოლდოვის ტერიტორიიდან გაყვანილიყო საბჭოთა ჯარები“.

32. მოლდოვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ოდესის ოლქის მე-14 არმია („მე-14 არმია“), რომლის შტაბბინაც 1956 წლის შემდეგ კომინიოვში მდებარეობდა, რჩებოდა მოლდოვის ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, 1990 წლიდან მოყოლებული დაფიქსირებული იქნა აღჭურვილობის ფართომასშტაბიანი გადაადგილება: სხვადასხვა გადაზიდვებს შორის აღინიშნა აღჭურვილობის დიდი ოდენობით გატანა მოლდოვის ტერიტორიიდან.

33. 1991 წლის განმავლობაში მე-14 არმია შედგებოდა რამდენიმე ათასი ჯარისკაცისგან, სახმელეთო შენაერთებისგან, არტილერიისგან (ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები), ჯავშანმანქანებისა და საჰაერო ხომალდებისგან (მათ შორის, თვითმფრინავებისა და დამრტყმელი შეუღლმფრენებისაგან) და გააჩნდა საბრძოლო მასალების საწყობები, მათ შორის, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწყობი კოლბასნაში, დნესტრისპირეთში.

34. მე-14 არმიის შეიარაღებასთან ერთად, შეიარაღების საწყობი გააჩნდა „დოსაფსაც“ („კეთილი ნებით შექმნილი გაერთიანება არმიის, ავიაციისა და ფლოტის დახმარებისათვის“ - ДОСААФ – Добровольное Общество Служения Армии, Авиации и Флоту), სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა 1951 წელს და

განთავსებული იყო მოლდოვის ტერიტორიაზე, რათა მოემზადებინა სამოქალაქო პირები ომისათვის.

მოლდოვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ „დოსააფის“ აღჭურვილობა, რომელიც განთავსებული იყო ქვეყნის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მოლდოვის მთავრობა აკონტროლებდა, გადავიდა მთავრობის ხელში, ხოლო დარჩენილი აღჭურვილობა, რომელიც განთავსებული იყო დნესტრისპირეთში, გადავიდა დნესტრისპირეთის სეპარატისტების ხელში.

35. 1991 წლის 6 სექტემბერს „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ“ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ყველა დაწესებულება, კომპანია, ორგანიზაცია, მილიციის შენაერთები, პროკურატურები, მართლმსაჯულების ორგანოები, სუკ-ის შენაერთები და დნესტრისპირეთში მდებარე სხვა სამსახურები, გარდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების საჯარისო შენაერთებისა, გადადიოდა „დნესტრისპირეთის რესპუბლიკის“ იურისდიქციაში. ოფიცრებს, თადარიგის ოფიცრებსა და საჯარისო შენაერთების სხვადასხვა თანამდებობის პირებს ებრძანათ, „გამოეჩინათ სამოქალაქო სოლიდარობა და თავდაცვის მობილიზება დნესტრისპირეთის მუშებთან ერთად მოლდოვის შეჭრის შემთხვევაში“.

36. 1991 წლის 18 სექტემბერს „დნესტრისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ“ გადანყვიტა, დნესტრისპირეთში განთავსებული საბჭოთა შეიარაღებული ძალები შეეყვანა „რესპუბლიკის“ იურისდიქციაში.

37. 1991 წლის 14 ნოემბრის №234 ბრძანებულებით მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-ნმა სნეგურმა გამოაცხადა, რომ აღჭურვილობა, იარაღი, საბრძოლო მანქანები, სამხედრო ბაზები და სხვა ქონება, რომელიც ეკუთვნოდა მოლდოვის ტერიტორიაზე განთავსებულ საბჭოთა ჯარების შენაერთებს, წარმოადგენდა მოლდოვის რესპუბლიკის საკუთრებას.

38. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელორუსიამ, რუსეთის ფედერაციამ და უკრაინამ ხელი მოაწერეს მინსკის შეთანხმებას, რომლითაც დააფიქსირეს საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ — იხ. წინამდებარე განაჩენის 290-ე პუნქტი) შექმნა.

39. 1991 წლის 21 დეკემბერს სსრკ-ს 11-მა წევრმა სახელმწიფომ, მათ შორის, მოლდოვამ და უკრაინამ, ხელი მოაწერეს ალმა-ატის დეკლარაციას, რომელიც ადასტურებდა და აფართოებდა მინსკის შეთანხმებას დსთ-ს შექმნასთან დაკავშირებით. ალმა-ატის დეკლარაცია ასევე ადასტურებდა, რომ დსთ-ს შექმნით სსრკ-მ შეწყვიტა არსებობა, ხოლო დსთ არ წარმოადგენდა არც სახელმწიფოს, არც ზესახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ასევე შეიქმნა დსთ-ის მთავრობათა მეთაურთა საბჭო და მიღებული იქნა მხარდაჭერის გადანყვიტილება რუსეთის, როგორც სსრკ-ს მემკვიდრის, სტატუსთან დაკავშირებით გაეთიანებული ერების ორგანიზაციასა და უშიშროების საბჭოში და სხვა ორგანიზაციებში.

40. 1992 წლის 30 იანვარს მოლდოვის რესპუბლიკა გახდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (ეუთკ) წევრი. 1992 წლის 2 მარტს მოლდოვა მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

41. 1994 წლის 8 აპრილს მოლდოვის პარლამენტმა მოახდინა, გარკვეული დათქმებით, 1991 წლის 21 სექტემბერს ალმა-ატაში მოლდოვის პრეზიდენტის

მიერ ხელმოწერილი მოლდოვის დსთ-ში შესვლის ხელშეკრულების რატიფიკირება (იხ. წინამდებარე განაჩენის 293-ე პუნქტი).

## 2. შეიარაღებული კონფლიქტი (1991-92)

42. ადგილზე მივლენილი საგამოძიებო მისიის დროს სასამართლო დელეგატების წინაშე გაკეთებულმა განცხადებებმა დაადასტურა, რომ საბრძოლო შეტაკებებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი (იხ. დანართი: ბ-ნი ურიტუ, პუნქტები 64-66 და 69-71; X, პუნქტები 216, 218 და 220; ბ-ნი სნეგური, პუნქტები 230 და 238; ბ-ნი მოსანუ, პუნქტები 243-45; Y, პუნქტი 254; Z, პუნქტები 271 და 277-81; გენერალი პატრიცა, პუნქტები 296-97 და 299; ბ-ნი კოსტასი, პუნქტები 401, 405-07 და 409; და ბ-ნი კრენგა, პუნქტები 457-60).

მოპასუხე მთავრობები სადავოს არ ხდიან ქვემოთ მოცემული ინფორმაციის ნამდვილობას, თუმცა ისინი სხვადასხვანაირად განმარტავენ ფაქტებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 50-ე, 56-ე-57-ე, მე-60, 62-ე-64-ე პუნქტები).

43. 1989 წლიდან მოყოლებული მოლდოვის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყო მოლდოვის სამხრეთში (გაგაუზიში) და ქვეყნის აღმოსავლეთში (დნესტრისპირეთში).

44. საბრძოლო შეტაკებები მოხდა დნესტრისპირეთის სეპარატისტებსა და მოლდოვის პოლიციას შორის 1990 წლის ნოემბერში მოლდოვის აღმოსავლეთში, დუბასარისთან, დნესტრის მარცხენა სანაპიროზე.

45. მომდევნო თვეებში დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანიზებმა შექმნეს შეიარაღებული შენაერთები სახელწოდებით „მუშათა რაზმები“, რომელთა ბაზაზეც 1991 წელს სრულად აღჭურვილი და პროფესიონალური „რესპუბლიკის გვარდია“ შეიქმნა (იხ. ზემოხსენებული ეუთო-ს საინფორმაციო დოკუმენტი, 1994 წლის 10 ივნისი — იხ. წინამდებარე განაჩენის 28-ე პუნქტის შენიშვნა).

46. განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ 1991 წლის 19 მაისს სსრკ-ს თავდაცვის მინისტრმა უბრძანა მე-14 არმიის სარდალს, გენერალ ნეტკაჩოვს, გამოეძახებინა რეზერვისტები, რათა შევსებულიყო მე-14 არმიის საჯარისო ფორმირებები, რომლებიც განთავსებული იყო დნესტრისპირეთში, და აღნიშნული ჯარები და საბრძოლო აღჭურვილობა ჩაერთო საბრძოლო შეტაკებებში. იგი სავარაუდოდ ამას გამართლებას უძებნიდა შემდეგი არგუმენტებით: „გამომდინარე იქიდან, რომ დნესტრისპირეთი არის რუსეთის ტერიტორია და სიტუაცია გაუარესდა და გამწვავდა, ჩვენ იგი უნდა დავიცვათ ყველა საშუალებით.“

47. 1991 წლის 1 დეკემბერს საპრეზიდენტო არჩევნები — რომელიც მოლდოვამ უკანონოდ გამოაცხადა — ჩატარდა დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე პროვინციებში (დნესტრისპირეთში). „მდრ“-ის პრეზიდენტად არჩეული იქნა ბ-ნი იგორ სმირნოვი.

48. 1991 წლის 5 დეკემბრის ბრძანებით ბ-ნმა სმირნოვმა გადაწყვიტა, რომ „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკაში განთავსებული სამხედრო შენაერთები, რომელთა უმეტესობა მიეკუთვნებოდა ოდესის სამხედრო ოლქს, გადასაცემოდა ქვემდებარეობაში მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების ხელმძღვანელს.“ დეპარტამენტის უფროსს, ბ-ნ გენადი ი. იაკოვლევს, რომელიც იყო მე-14 არმიის სარდალი

(იხ. წინამდებარე განაჩენის 53-ე პუნქტი), ეთხოვა, განეხორციელებინა ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა აღკვეთილიყო დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე განთავსებული შეიარაღებული შენაერთების საკუთრებაში მყოფი საბჭოთა არმიის შეიარაღების, აღჭურვილობისა და სხვა საკუთრების გადაგზავნა-გადაცემა. ხსენებულის მიზანს წარმოადგენდა დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმის სასიკეთოდ დნესტრისპირეთში არსებული საბჭოთა არმიის იარაღის, აღჭურვილობისა და ფასეულობის დაცვა/შენახვა.

49. 1991 წლის დეკემბერში მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა უკრაინის ტერიტორიაზე დააკავეს გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი და ბრალი წაუყენეს დნესტრისპირეთის სეპარატისტებისათვის დახმარების აღმოჩენაში - მათ შეიარაღებაში, რაც ხორციელდებოდა მე-14 არმიის საწყობებიდან. იგი გადაყვანილი იქნა მოლდოვის ტერიტორიაზე შემდგომი გამოძიების წარმართვის მიზნით.

50. განმცხადებელთა მტკიცებით, გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი დაკავებული იქნა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ და მას ბრალი წაუყენეს სეპარატისტების შეიარაღებაში. დაკავების შემდეგ მან სავარაუდოდ გააკეთა განცხადებები, რომლებიც ადასტურებდა რუსეთის ფედერაციის მონაწილეობას კონფლიქტში და მხარდაჭერას დნესტრისპირეთისათვის. ხსენებული ჩვენებები ჩაწერილი იქნა კასეტაზე. თუმცა, განმცხადებელთა მტკიცებით, გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი გათავისუფლებული იქნა მოლდოვის ხელისუფლების წინაშე მოსკოვიდან კიშინიოვში სწორედ ამ მიზნით ჩასული რუსი გენერლის ნიკოლაი სტოლიაროვის შუამდგომლობის შედეგად.

მოლდოვის მთავრობამ არ გააკეთა არანაირი კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით.

მართალია, ხსენებულს რამდენიმე მონმე ამტკიცებდა (იხ. დანართი: ბ-ნი ურიტუ, პუნქტი 66; ბ-ნი პოსტოვანი, პუნქტი 182; Z, პუნქტი 272, და ბ-ნი პლუგარუ, პუნქტი 286), სასამართლო ვერ მიიჩნევს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილი იქნა გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევის გათავისუფლება დნესტრის-პირეთის შეიარაღებული ძალების ტყვეობაში მყოფი მოლდოველი პოლიციელების გათავისუფლების სანაცვლოდ. სასამართლომ მოისმინა განსხვავებული მოსაზრებები გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევის გათავისუფლების თაობაზე და რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულების გარეშე იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა გამოძიების პროცესში ან როგორ გათავისუფლდა გენერალი, სასამართლო არც ადასტურებს და არც უარყოფს მონმეთა ჩვენებებს, რომელთა უმეტესობაც, დელეგატთა აზრით, ზოგადად სარწმუნო იყო.

მეორეს მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დაკითხული ყველა მონმე თანხმდებოდ იმაში, რომ რუსი გენერალი ჩამოვიდა მოსკოვიდან კიშინიოვში, რათა გაეთავისუფლებინა გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი.

შესაბამისად, სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად თვლის, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოები შუამდგომლობდნენ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებთან გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

51. 1991 წლის ბოლოს და 1992 წლის დასაწყისში სასტიკი შეტაკებები მოხდა დნესტრისპირეთის სეპარატისტების ძალებსა და მოლდოვის უშიშროე-

ბის ძალებს შორის, რამაც შეინირა რამდენიმე ასეული ადამიანის სიცოცხლე.

52. განმცხადებლებმა აღნიშნეს გარკვეული ფაქტები, რომლებიც ნათლად მიუთითებდა შეტაკებებზე. ხსენებული ფაქტები არ გაუხდიათ სადავო მოპასუხე მთავრობებს და არ გაქარწყლებულა მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც დელეგატებმა საგამოძიებო მისიის დროს მოიპოვეს.

53. 1991 წლის 6 დეკემბერს, საერთაშორისო თანამეგობრობისა და უშიშროების საბჭოსათვის მიმართვისას, მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მირჩე სნეგურმა, მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარემ ალექსანდრუ მოშანუმ და პრემიერ-მინისტრმა ვალერიუ მურავსჩიმ პროტესტი გამოთქვეს 1991 წლის 3 დეკემბერს დნესტრისპირეთის მარცხენა სანაპიროზე განთავსებული მოლდოვის ქალაქების გრიგორიოპოლის, დუბასარის, სლობოზიას, ტირასპოლისა და რიბნიტას ოკუპაციის წინააღმდეგ მე-14 არმიის მიერ, რომელსაც გაურკვეველი დღიდან ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაადანაშაულეს სსრკ-ს ხელისუფლების ორგანოები, კერძოდ, თავდაცვის სამინისტრო, ხსენებული მოქმედებების ნაქეზებაში. მე-14 არმიის ჯარისკაცები დაადანაშაულეს დნესტრისპირეთის სეპარატისტებისათვის სამხედრო აღჭურვილობის გაცემაში და ისეთი სეპარატისტული შეიარაღებული რაზმების ორგანიზებაში, რომლებიც ატერორებდნენ სამოქალაქო მოსახლეობას.

54. 1991 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით ბ-ნმა სმირნოვმა, „მდრ-ის პრეზიდენტმა“, შექმნა „მდრ-ის შეიარაღებული ძალები“, იმ საჯარისო შენაერთებისა და ფორმირებებისაგან, რომლებიც განთავსებული იყო „მდრ“-ის ტერიტორიაზე, გარდა იმ შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც შეადგენდა „სტრატეგიულ სამშვიდობო ძალებს“.

55. 1992 წლის იანვარში გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი გათავისუფლებული იქნა მე-14 არმიის სარდლის თანამდებობიდან დსთ-ის შერეული ძალების სარდლობის მიერ. 1992 წლის 29 იანვარს დსთ-ს შერეული ძალების სარდლის გადანაცვლებით გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი გადაცემული იქნა ქ. ოდესის ზღვისპირეთის (უკრაინა) სამხედრო კადრების ბიუროს განკარგულებაში.

56. 1991-92 წლებში, მოლდოვის უშიშროების ძალებთან შეტაკების დროს, სსრკ-ს საჯარისო დანაყოფები, მოგვიანებით კი რუსეთის ფედერაციის საჯარისო დანაყოფები ამარაგებდნენ საჭურვლით დნესტრისპირეთის სეპარატისტებს და შედეგად მე-14 არმიის კუთვნილი მრავალი საბრძოლო აღჭურვილობა აღმოჩნდა სეპარატისტების ხელში.

მხარეები ვერ შეთანხმდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღმოჩნდა ხსენებული იარაღი დნესტრისპირეთის წარმომადგენელთა ხელში.

57. განმცხადებელთა მტკიცებით, მე-14 არმია აიარალებდა სეპარატისტებს ორი გზით: ჯერ ერთი, საჭურვლის სანყოფილები, რომლებიც ეკუთვნოდა მე-14 არმიას, გახსნილი იყო სეპარატისტებისათვის და, გარდა ამისა, მე-14 არმიის პერსონალი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა სეპარატისტებს, როდესაც სეპარატისტული მილიციის წარმომადგენლები და სამოქალაქო პირები ცდილობდნენ საბრძოლო აღჭურვილობის მითვისებას. მაგალითად, არავითარი ძალა არ ყოფილა გამოყენებული დნესტრისპირეთის ქალების კომიტეტის წინააღმდეგ, რომელსაც გალინა ანდრეევა ხელმძღვანელობდა.

სასამართლო აღნიშნავს როდ-ის ოფიცრის მიერ მიცემულ განმარტებას (იხ. დანართი: პოლკოვნიკი ვერგუზი, პუნქტი 359) ქალებისა და ბავშვების მიერ იარაღის ძალისმიერი გზით მითვისებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ხსენებული სადავოდ იქნა გახდილი ყველა მოლდოველი მოწმის მიერ, რომლებიც დაკითხულნი იქნენ ამ საკითხთან დაკავშირებით.

სასამართლო დაუჯერებლად თვლის იმ ფაქტს, რომ ქალებსა და ბავშვებს შეეძლოთ მიეთვისებინათ იარაღი და საჭურველი სამხედრო პირების მიერ დაცული საწყობებიდან მცველების თანხმობის გარეშე.

მოკლედ რომ ვთქვათ, სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად თვლის, რომ დნესტრისპირეთის სეპარატისტებს შეეძლოთ შეიარაღება დნესტრისპირეთში განთავსებული მე-14 არმიის საწყობებიდან. მე-14 არმიის საჯარისო შენაერთები არ უწევდნენ წინააღმდეგობას საწყობებში იარაღის ასაღებად მისულ სეპარატისტებს, პირიქით, მრავალ შემთხვევაში ისინი დახმარებას უწევდნენ სეპარატისტებს იარაღის გადაცემაში და მათთვის საწყობების გახსნაში (იხ. დანართი, ბ-ნი ურიტუ, პუნქტი 65, ბ-ნი პეტროვ-პოპა, პუნქტი 130, ბ-ნი პოსტოვანი, პუნქტები 182 და 201; ბ-ნი კოსტასი, პუნქტი 407, და ბ-ნი კრეანგა, პუნქტი 457).

58. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მე-14 არმიის საჯარისო ფორმირებები შეუერთდა სეპარატისტების მხარეს მათი ხემძღვანელობის ნებართვით.

59. მე-14 არმიის ნაღმოსანთა ბატალიონი გენერალ ბუტკევიჩის ბრძანებით გადავიდა სეპარატისტების მხარეს. ხსენებული ინფორმაცია დადასტურებული იქნა რუსეთის მთავრობის მიერ. განმცხადებლები კვლავაც ამტკიცებდნენ, რომ „გადაცემის“ დროს მენაღმეები ფლობდნენ კალაშნიკოვის ტიპის მრავალ ავტომატს, ვაზნებს, „ტი-ტეს“ და „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტებს, ხელყუმბარებსა და ნაღმმტყორცნებს და ჰაერი-მიწა ტიპის რაკეტებს. სწორედ პარჩანის ბატალიონი იყო, რომელმაც დაანგრია ხიდები დუბასარისა და გურა ბაცილუი-ბაჩიოჩსა და კომნიტაში.

განმცხადებლები ასევე ამტკიცებდნენ, რომ 1992 წლის 20 ივლისს მე-14 არმიამ სეპარატისტებს გადასცა შეიარაღებული საბრძოლო მანქანები, ზარბაზნები, ტანკები და შეიარაღებული სატრანსპორტო საშუალებები. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ბრძოლების დროს საჭურველისა და დაჭრილების გადატანა/გადაყვანაში სეპარატისტების მხარეზე მე-14 არმიის კუთვნილი 8 სამხედრო შვეულმფრენი იღებდა მონაწილეობას.

ბ-ნი ლეშკოს მიერ 2001 წლის 19 ნოემბერს სასამართლოსათვის წარმოდგენილ წერილობით განცხადებაში ქ-ნი ოლგა ჩაპინა, ყოფილი მოხალისე, რომელიც მოხალისის სახით მიმაგრებული იყო მოლდოვის უშიშროების სამინისტროში 1992 წლის 15 მარტიდან 15 აგვისტომდე, აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის, როგორც ეს დადასტურებულია სამინისტროს მიერ გაცემული სერტიფიკატით, იგი მუშაობდა რუსეთის არმიის მაღალი თანამდებობის პირების გარემოცვაში, მე-14 არმიის სამეთაურო და დაზვერვის ცენტრში ოლგა სუსლინას სახელით. იქ მუშაობის დროს ხსენებული პირი მოლდოვის უშიშროების სამინისტროს უგზავნიდა ასეულობით დოკუმენტს, რომლებიც ადასტურებდა რუსეთის ჯარების მონაწილეობას შეიარაღებულ ოპერაციებში და ძალზე დიდ მხარდაჭერას იარაღით. ქ-ნი ჩაპინა ასევე აგროვებდა ინფორმაციას, რომელიც

ადასტურებდა, რომ მე-14 არმია წარმართავდა სეპარატისტების სამხედრო ოპერაციებს, საერთო ქმედებების ორგანიზებას კი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო ახორციელებდა.

60. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ათასობით რუსი კაზაკი ჩავიდა რუსეთიდან სეპარატისტებთან ერთად საბრძოლველად და მათ მხარდასაჭერად; კაზაკთა გაერთიანება, რუსული ასოციაცია, აღიარებულია რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ. განმცხადებელთა მტკიცებით, კაზაკების რუსეთიდან ჩასვლას სრულებით არ უშლიდა ხელს რუსეთის ხელისუფლება, მიუხედავად მოლდოვის პრეზიდენტის ბ-ნი სნეგურის რამდენიმეჯერ გამოთქმული პრეტენზიისა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. პირიქით, მე-14 არმიის ოფიცრებმა გულთბილად მიიღეს 800 კაზაკი 1992 წლის მარტის დასაწყისში და შეაიარაღეს ისინი. ხსენებულთან დაკავშირებით განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მაშინ, როდესაც 1988 წელს მოლდოვის ტერიტორიაზე საერთოდ არ იყვნენ კაზაკები, ახლა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე რუსეთიდან ჩამოსული დაახლოებით 10 000 კაზაკი ცხოვრობს.

რუსეთის მთავრობის განცხადებით, კაზაკები მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც არიან და ყველას აქვს გადაადგილების თავისუფლება.

სასამართლო აღნიშნავს, რომ დელეგატების მიერ მოპოვებული და საქმეში არსებული რამდენიმე დოკუმენტი ადასტურებს, რომ კაზაკთა და რუსეთის მოქალაქეთა დიდი რაოდენობა ჩავიდა დნესტრისპირეთში სეპარატისტების გვერდით საბრძოლველად. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა არ უარყოფს ზემოხსენებულს.

შესაბამისად, სასამართლოს გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად მიაჩნია, რომ რუსეთის მოქალაქეთა დიდი რაოდენობა ჩავიდა დნესტრისპირეთში მოლდოვის ძალების წინააღმდეგ დნესტრისპირეთის სეპარატისტთა რიგებში საბრძოლველად.

61. 1996 წელს გამოქვეყნებულ წიგნში საგამომცემლო სახლი „ვენეტორ-გიზდატი“ გენერალ ლებედს უწოდებს რუსულ ენიგმას; ავტორი, ვლადიმირ პოლუშინი, წარმოადგენს დოკუმენტური წყაროებით გამყარებულ მრავალ მტკიცებულებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მხარდაჭერას უწევდა რუსეთის ფედერაცია დნესტრისპირეთის სეპარატისტებს. წიგნი ასევე მოიხსენიებს რუსეთ-დნესტრისპირეთის მიერ ერთობლივი თავდაცვის შტაბბინის შექმნას და მე-14 არმიის მონაწილეობას დნესტრისპირეთის ძალების მიერ განხორციელებულ საბრძოლო ოპერაციებში მოლდოველი „მტრების“ წინააღმდეგ.

ხსენებულ წიგნზე დაყრდნობით განმცხადებლები მაგალითის სახით ახსენებდნენ მოლდოვის საჯარისო ფორმირების განადგურებას მე-14 არმიის მიერ 1992 წლის 30 ივნისს და მე-14 არმიის მიერ მოლდოველების გარკვეული პოზიციების დაკავებას კოსნიტასთან, დუბასარისთან, სლობოზიასთან და ჰერბოვატთან 1992 წლის 1 ივნისიდან 3 ივლისამდე.

სხვა მხარეებმა არ გააკეთეს კომენტარი წიგნში მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

62. განმცხადებელთა მტკიცებით, დნესტრზე გადებული ხიდის მარცხენა მხარე დანალმული იყო მე-14 არმიის პერსონალის მიერ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმე, რომელიც კონფლიქტის დროს უშუალოდ მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში, ამტკიცებდა, რომ ტერი-

ტორიის ნაწილი დნესტრის მარცხენა ნაპირზე დანალმული იყო, აღნიშნული სამუშაო განხორციელებული იყო სპეციალისტების მიერ, ხოლო კონფლიქტის დამთავრების შემდეგ მოლდოვის არმიას მოუხდა უცხოელი სპეციალისტების გამოძახება ტერიტორიის განსანალმავად (იხ. დანართი: ბ-ნი კოსტასი, პუნქტი 406). ხსენებული ინფორმაცია მხარეებს სადავო არ გაუხდიათ.

მონმეთა ჩვენებების სანდოობის გათვალისწინებით, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოლდოვის გარკვეული ტერიტორია, რომელიც დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, დანალმული იყო იმ ძალების მიერ, რომლებიც მოლდოვის არმიას ებრძოდნენ. მეორეს მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებულ მონმეს არ შეეძლო კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ ნაღმები დადებული იყო მე-14 არმიის პერსონალის მიერ, იგი ამტკიცებდა, რომ ლოგიკურად ასეთ დონეზე ხსენებული სამუშაოს განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ პროფესიონალების, ანუ მე-14 არმიის საჯარისო ფორმირებების მიერ. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ხსენებული მტკიცება არ არის ნათელი „გონივრულ ეჭვს მიღმა“ და ამიტომ მას არ შეუძლია დადგენილად მიიჩნიოს, რომ ნაღმები დნესტრის მარცხენა სანაპიროზე სწორედ მე-14 არმიის ან როდ-ის პერსონალმა დაამონტაჟა.

63. მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მას არასოდეს განუცხადებია რუსეთის ფედერაციის არმიის მოლდოვის ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ან მე-14 არმიის დნესტრისპირეთის კონფლიქტში ჩაურევლობის შესახებ.

საპირისპიროდ, მთავრობა ამტკიცებდა, როგორც ეს მონმეთა მიერ დელეგატებისათვის მიცემული ჩვენებებიდან გაირკვა, რომ მე-14 არმია, პირდაპირი და არაპირდაპირი გზით, აქტიურად ერეოდა დნესტრისპირეთის კონფლიქტში და გამოდიოდა მოლდოვის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. დნესტრისპირეთის სეპარატისტებს შეეძლოთ შეიარაღება იმ იარაღით, რომელიც მე-14 არმიას ეკუთვნოდა და მათ ხელში ხვდებოდა რუსი სამხედროების ხელშეწყობით. მოლდოვის მთავრობა თვლიდა, რომ უსინდისობა იყო იმის მტკიცება, თითქოს ქალებმა ძალის გამოყენებით მოიტაცეს იარაღი და აღჭურვილობა მე-14 არმიის საწყობებიდან. უფრო მეტიც, არც ერთი რუსი ოფიცერი არ დასჯილა დისციპლინარული წესით დაუდევრობისათვის ან ხელშეწყობისათვის მე-14 არმიის საწყობებიდან აღჭურვილობის გატაცებასთან დაკავშირებით.

64. რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მე-14 არმია მოლდოვაში იყო იმ დროს, როდესაც დნესტრისპირეთის კონფლიქტი დაიწყო. რუსეთის სამხედრო ნაწილებს, როგორც ასეთი, მონაწილეობა არ მიუღიათ ბრძოლაში და არ ჩარეულან საჩივარში მოხსენიებულ ფაქტებში. თუმცა როდესაც მე-14 არმიის ჯარისკაცების წინააღმდეგ უკანონო შეიარაღებული ოპერაციები ტარდებოდა, ხდებოდა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საერთაშორისო სამართლის თანახმად. ზოგადად, რუსეთის მთავრობა მზად იყო, ჰიპოთეზის დონეზე დაეშვა, რომ პირები, რომლებიც მე-14 არმიისადმი კუთვნილებას აცხადებდნენ, შესაძლოა, მონაწილეობას იღებდნენ შესაბამის ქმედებებში, მაგრამ, ამასთანავე, მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ ასეც რომ მომხდარიყო, ქმედება წარმოადგენდა მძიმე დანაშაულს რუსული კანონმდებლობის თანახმად, რისთვისაც შესაბამისი პირები დაისჯებოდნენ.

რუსეთის მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ რუსეთის ფედერაცია ნეიტრალურ მხარედ რჩებოდა კონფლიქტთან მიმართებაში, კერძოდ, მხარს არ



უჭერდა მებრძოლებს რაიმე – სამხედრო თუ ფინანსური სახით.

65. სასამართლო აღნიშნავს, რომ დაკითხული მოლდოველი მოწმეები კატეგორიულად ამტკიცებდნენ მე-14 არმიის, ხოლო მოგვიანებით როდ-ის პირდაპირ თუ არაპირდაპირ აქტიურ მონაწილეობას დნესტრისპირეთის სეპარატისტებისათვის იარაღის გადაცემაში. ისინი ასევე ამტკიცებდნენ რუსული საჯარისო ფორმირებების მონაწილეობას კონფლიქტში, კერძოდ, ტანკების მონაწილეობას რუსეთის ფედერაციის დროშით, მოლდოვის პოზიციებისაკენ გასროლებს მე-14 არმიის შენაერთების მხრიდან და მე-14 არმიის საჯარისო ფორმირებების დიდი რაოდენობით რეზერვში გადასროლას, რათა მათ შესაძლებლობა მისცემოდათ, ებრძოლათ დნესტრისპირეთის სეპარატისტებთან ერთად ან გაენვრთნათ ისინი (იხ. დანართი: ბ-ნი კოსტასი, პუნქტი 406, და ბ-ნი კრევანგა, პუნქტი 457).

ხსენებული მტკიცებები გამყარებულია ინფორმაციით, რომელიც მოცემულია ეუთო-ს 1993 წლის 29 ივლისის №7 მოხსენებაში, რაც თან დაურთო რუმინეთის მთავრობამ, და ასევე სხვა წყაროებით (იხ. დანართი: ბ-ნი მოსანუ, პუნქტი 244). ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს როგორც ინფორმაციის მრავალფეროვნებას, ასევე მის დეტალურ ხასიათს საკითხთან მიმართებაში.

სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს იმისათვის, რომ ეჭვი შეიტანოს მოლდოველი მოწმეების ჩვენებათა სარწმუნოებაში და აღნიშნავს, რომ მათი მტკიცება გამყარებულია მოლდოვის მთავრობის მიერ, რომელმაც დაადასტურა ხსენებული ფაქტები ყველა იმ წერილობით კომენტარში, რომლებიც წარმოადგინა სამართალწარმოების პერიოდში.

რაც შეეხება რუსეთის მთავრობის მტკიცებას, რომ მოწმეები მიეკუთვნებოდნენ პოლიტიკურ წრეებს, რომლებიც გამოდიან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული ვერ იქნა დადასტურებული.

უფრო მეტიც, ამ განცხადებების საფუძველზე სასამართლოსათვის შეუძლებელია ნათლად განსაზღვრა, თუ რა შეფარდებითი ძალები გააჩნდათ მოწინააღმდეგე მხარეებს. თუმცა, მხედველობაში იქნა რა მიღებული მე-14 არმიის საჯარისო ფორმირებების მხარდაჭერა სეპარატისტებისადმი და იარაღისა და საჭურვლის მასიური გადაცემა მე-14 არმიის საწყობებიდან, ნათელი გახდა, რომ მოლდოვის არმია ნაგებულ პოზიციაში აღმოჩნდა და ვერ შეძლო დნესტრისპირეთზე კონტროლის აღდგენა (იხ. დანართი: Z, პუნქტი 271, და ბ-ნი კოსტასი, პუნქტი 401).

66. 1992 წლის 5 მარტს მოლდოვის პარლამენტმა გამოთქვა პროტესტი რუსეთის ხელისუფლების დუმილის გამო, რაც, პარლამენტის აზრით, წარმოადგენდა ხელშეწყობას იმ დახმარებასთან მიმართებაში, რომელიც ხორციელდებოდა დნესტრისპირეთის სეპარატისტებისათვის რუსეთიდან ჩასული კაზაკების (რომლებიც მიეკუთვნებოდნენ კაზაკთა გაერთიანებას, რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ აღიარებულ ასოციაციას) მიერ. მოლდოვის პარლამენტმა მოუწოდა რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს ჩარევისაკენ, რათა უზრუნველყოფილიყო რუსი კაზაკების დაუყოვნებლივ განწვევა მოლდოვის ტერიტორიიდან.

67. 1992 წლის 23 მარტს მოლდოვის, რუსეთის ფედერაციის, რუმინეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს ჰელსინკიში

და მიიღეს დეკლარაცია, რომელიც აყალიბებდა გარკვეულ პრინციპებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებასთან დაკავშირებით. შემდგომ შეხვედრებზე, რომლებიც შედგა 1992 წლის აპრილსა და მაისში კიშინიოვში, ოთხმა მინისტრმა გადაწყვიტა ოთხმხრივი კომისიისა და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნა, რათა ზედამხედველობა განხორციელებულიყო ცეცხლის შეწყვეტის დაცვაზე.

68. 1992 წლის 24 მარტს მოლდოვის პარლამენტმა პროტესტი გამოთქვა რუსეთის ფედერაციის მიერ მოლდოვის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა დეკლარაცია 1992 წლის 20 მაისს და რეკომენდაციით მიმართა მოლდოვის მთავრობას, დნესტრისპირეთის კონფლიქტი „დნესტრისპირეთის ხალხის“ უფლებების პატივისცემის საფუძველზე მოეგვარებინა.

69. 1992 წლის 28 მარტს მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-ნმა სნეგურმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ „ავანტიურისტებმა“ დნესტრის მარცხენა სანაპიროზე „გარე ძალების დახმარებით“ შექმნეს „ფსევდო-სახელმწიფო“ და რომ „საბჭოთა არმიის თანამედროვე საჭურვლით კბილებამდე შეიარაღებულებმა“ გააჩაღეს კონფლიქტი და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დსთ-ის შერეული ჯარების მე-14 არმია კონფლიქტში ჩარეულიყო. საგანგებო მდგომარეობის პირობებში მოლდოვის უშიშროების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა შესაბამის უწყებებს, რომლებიც არმიის შენაერთებთან ერთად მოქმედებდნენ, ებრძანათ პრეზიდენტის მიერ, განეხორციელებინათ ყველა შესაბამისი ნაბიჯი, რათა დაეშალათ და განეიარაღებინათ უკანონოდ შექმნილი შეიარაღებული ფორმირებები და მოექცნათ და მართლმსაჯულების წინაშე წარედგინათ ყველა ის პირი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული სახელმწიფო ორგანოებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის წინააღმდეგ. ე.წ. „დნესტრისპირეთის რესპუბლიკის“ დამაარსებლებს და მათ თანამებრძოლებს მოენოდათ, დაეშალათ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და ჩაბარებოდნენ რესპუბლიკის ორგანოებს.

70. 1992 წლის 1 აპრილს №320 ბრძანებულებით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მოლდოვის ტერიტორიაზე განთავსებული სსრკ-ს კუთვნილი საჯარისო შენაერთები, მათ შორის დნესტრის მარცხენა ნაპირზე განთავსებული შენაერთები, გადაიყვანა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში, ასე რომ მე-14 არმია გახდა „რუსეთის ოპერატიული ჯგუფი მოლდოვის დნესტრისპირეთის რეგიონში“ („როდ“ ან, როგორც მას ადრე ეწოდებოდა, „მე-14 არმია“).

71. 1992 წლის 1 აპრილის №84 ბრძანებით „მდრ-ს პრეზიდენტმა“, ბ-ნმა სმირნოვმა, გაათავისუფლა გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი „მდრ-ს თავდაცვისა და უშიშროების დეპარტამენტის“ ხელმძღვანელის თანამდებობიდან.

72. 1992 წლის 2 აპრილს გენერალმა ნეტკაჩოვმა, როდ-ის (მე-14 არმია) სარდალმა, უბრძანა მოლდოვის ძალებს, რომლებმაც ალყა შემოარტყეს სეპარატისტების კონტროლის ქვეშ მყოფ ქალაქ ტიგინას (ბენდერი), დაუყოვნებლივ უკან დაეხიათ, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში რუსეთის არმია მიიღებდა შესაბამის ზომებს.

73. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ გენერალი ნეტკაჩოვის ულტიმატუმის შემდეგ მე-14 არმიისა და სეპარატისტების მიერ გაიმართა გაერთიანებული საბრძოლო ვარჯიშები. სწავლება დაიწყო ტირასპოლში სროლაში სწავლებით.

74. 1992 წლის 4 აპრილს მოლდოვის პრეზიდენტმა, ბ-ნმა სნეგურმა, დეპეშა გაუგზავნა დსთ-ს წევრი ქვეყნების მეთაურებს, დსთ-ს შერეული ძალების სარდალს და მე-14 არმიის სარდალს და მათი ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მე-14 არმია არ ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს.

75. 1992 წლის 5 აპრილს ტირასპოლში რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ჩავიდა. როგორც ეს განმცხადებლების მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი, პრესაში გამოქვეყნებული სტატიებიდან ჩანს, და მხარეებს სადავო არ გაუხდიათ, ბ-ნმა რუცკოიმ თავიდან მე-14 არმია მოინახულა, ხოლო შემდეგ გაემართა ტირასპოლის ცენტრალურ მოედანზე ბ-ნ სმირნოვთან ერთად. იქ მყოფი 5000 ადამიანის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ბ-ნმა რუცკოიმ განაცხადა, რომ ბ-ნ სნეგურს არ სურდა დიალოგის წარმოება და საუკეთესო გამოსავლად დაასახელა კონფედერაცია, რომელშიც მოლდოველები და რუსები ერთად იცხოვრებდნენ თანაბარ საწყისებზე. ბოლოს მან აღნიშნა, რომ მე-14 არმია იმოქმედებდა როგორც დასაყრდენი მებრძოლ მხარეებს შორის იმგვარად, რომ დნესტრისპირელ ხალხს შეძლებოდა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვება და ყველას მისცემოდა მშვიდობიანი მუშაობის შესაძლებლობა.

76. დსთ-ის ხელმძღვანელის 1992 წლის 8 აპრილის №026 ბრძანებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მოლდავეთის ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებული ჯარები და მე-14 არმიის შენაერთები შესაძლებელი იყო გამხდარიყო მოლდოვის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ბაზისი.

სამხედრო დანაყოფებმა, რომლებიც მე-14 არმიის შემადგენელი ნაწილი იყო, გადაწყვიტეს, შეერთებოდნენ მოლდოვის ახალ არმიას. ხსენებული ნაწილები იყო ფლორესტი (საჭურვლის საწყობი №5381), უნგჰენის მე-4 საარტილერიო პოლკი და უნგჰენის 803-ე სარაკეტო საარტილერიო პოლკი.

მე-14 არმიის 115-ე გამნალმველთა და მსროლელთა დამოუკიდებელმა ბატალიონმა უარი განაცხადა, ჩანერილიყო მოლდოვის შეიარაღებულ ძალებში „და გადავიდა დნესტრისპირეთის რეგიონის იურისდიქციის ქვეშ“, როგორც ეს განმარტა რუსეთის მთავრობამ.

77. 1992 წლის აპრილში დსთ-ს შეიარაღებული შერეული ძალების სარდლისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში მოლდოვის პრეზიდენტი ბ-ნი სნეგური აცხადებდა, რომ დნესტრისპირეთში განვითარებული მოვლენები ნაქეზებული იყო და მათ მხარს უჭერდა „სსრკ-ს იმპერიული და პროკომუნისტური სტრუქტურები და მათი სამართალმემკვიდრეები“ და რომ მე-14 არმია არ იყო ნეიტრალური კონფლიქტის დროს. ხსენებულთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დნესტრისპირეთის სამხედრო ფორმირებები ალჭურვილი იყო თანამედროვე იარაღით, რომელიც ეკუთვნოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის არმიას, ამასთანავე, ხაზგასმული იქნა, რომ რუსეთის ფედერაციის ძალიან ბევრმა მოქალაქემ მონაწილეობა მიიღო კონფლიქტში და იბრძოდა სეპარატისტების მხარეზე დაქირავებული ბოვეიკების სახით.

78. 1992 წლის აპრილში გაერო-ს წევრი ქვეყნების ლიდერებისათვის, უშიშროების საბჭოსათვის, ეუთო-სა და დსთ-სათვის გაგზავნილ წერილში ბ-ნი სნეგური ადანამაულებდა მე-14 არმიის სარდალს დნესტრისპირეთის შენაერთების შეიარაღებაში 1991 წლის დეკემბერში და, ამავე დროს, პრეტენზიას გამოთქვამდა იმ მიდგომასთან დაკავშირებით, რომელიც გამოამჟღავნა

რუსეთის ფედერაციის დეპუტატების მე-6 კონგრესმა, რომელმაც მოუწოდა და მოიწონა მოლდოვაში რუსეთის ფედერაციის არმიის შენაერთების ყოფნა. ბოლოს ბ-ნი სწავლური აცხადებდა, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების უმნიშვნელოვანეს ნინაპირობას წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის არმიის დაუყოვნებელი გაყვანა მოლდოვის ტერიტორიიდან. მოლდოვის პრეზიდენტმა საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა თხოვნით, მხარი დაეჭირა მოლდოვის ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

79. 1992 წლის 20 მაისს მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარემ პროტესტი გამოთქვა 1992 წლის 19 მაისს დნესტრისპირეთის ტერიტორიის დამატებით ოკუპაციაზე მე-14 არმიის მიერ, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ კაზაკები, რუსი ბოევიკები და დნესტრისპირეთის შეიარაღებული ძალები. თავმჯდომარის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სამხედრო აგრესია რუსეთის ფედერაციის მხრიდან არღვევდა მოლდოვის სუვერენიტეტს და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას და საერთოდ დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით წარმოებულ მოლაპარაკებებს სრულიად მოჩვენებითს ხდიდა. პრეზიდენტმა ბრალი დასდო რუსეთის ფედერაციას დნესტრისპირელი სეპარატისტების შეიარაღებაში და მოსთხოვა რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს, შეეჩერებინა აგრესია და მოლდოვის ტერიტორიიდან უკან გაეწვია რუსეთის შეიარაღებული ძალები.

80. პროტესტი ასევე მიმართული იყო ტირასპოლსა და მოსკოვში ბ-ნი რუცკოის, რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, მოლდოვის მიმართ „აგრესიით სავსე“ გამოსვლისა და როდ-ის სამხედრო საბჭოს მიერ 1992 წლის 19 მაისს გაკეთებული განცხადების წინააღმდეგ.

81. 1992 წლის 26 მაისს მოლდოვის პარლამენტმა გაუგზავნა წერილი უკრაინის უმაღლეს საბჭოს და მადლობა გადაუხადა უკრაინის ხელისუფლების ორგანოებს, რომლებმაც უარი განაცხადეს, შეერთებოდნენ საოკუპაციო ძალებს 1992 წლის 19 მაისს.

82. 1992 წლის 22 ივნისს მოლდოვის პარლამენტმა მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას, დაეგმო „ახალი აგრესია, რომელიც დანაშაულებრივად განხორციელდა დნესტრისპირეთში 1992 წლის 21 ივნისს მე-14 არმიის ძალების მიერ“ და პროტესტი გამოეთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მე-14 არმიის დამანგრეველმა ქმედებებმა და მაროდორობამ აიძულა ძალიან ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები, დაეტოვებინა სახლები და გაქცეულიყო. საერთაშორისო თანამეგობრობას ეთხოვა, გამოეგზავნა ექსპერტები დნესტრისპირეთში, რათა შეჩერებულიყო ადგილობრივი მოსახლეობის „გენოციდი“.

83. 1992 წლის 23 ივნისს მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-ნმა სწავლურმა თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბ-ნ ბუტროს ბუტროს გალის, რათა ეცნობებინა უშიშროების საბჭოს წევრებისათვის „მე-14 არმიის მიერ ქალაქ ტიგინაზე თავდასხმის შესახებ“, რომელსაც იგი განიხილავდა „პირდაპირ და უხეშ“ ჩარევად მოლდოვის საშინაო საქმეებში. ბ-ნმა სწავლურმა ასევე გამოთქვა პრეტენზია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ-ნი ელცინის მიმართ და ვიცე-პრეზიდენტის რუცკოის განცხადებასთან დაკავშირებით, „რომელიც ნათლად წარმოაჩენდა, რომ რუსეთის ფედერაცია არ აპირებდა, დაეთმო „უფლებები“, რომლებსაც აღარ ფლობდა არც *de jure* და არც *de facto* იმ

ტერიტორიასთან მიმართებაში, რომელიც მას უკვე აღარ ეკუთვნოდა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ. ბ-ნი სნეგური მიმართვას შემდეგნაირად ამთავრებდა: „მუქარები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ახლახანს განმეორდა მოლდოვის – დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს – სამართლებრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, მოლდოველი ხალხის შემფოთების საგანია, რადგან ეს მუქარები, როგორც ჩანს, ემსახურება და წარმოადგენს ჩვენს შიდა საქმეებში ჩარევას, რაც, თავის მხრივ, საბჭოთა კომუნისტური იმპერიალისტური სისტემის საშუალებებსა და მეთოდებს განეკუთვნება.“

84. 1992 წლის ივლისის პირველ ნახევარში დსთ-ში ინტენსიური მოლაპარაკებები გაიმართა მოლდოვაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების განთავსებასთან დაკავშირებით. ნახსენები იქნა მინსკში 1992 წლის მარტში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც ეხებოდა სამხედრო დამკვირვებლებს და დსთ-ს სტრატეგიულ სამშვიდობო ძალებს.

85. დსთ-ს შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1992 წლის 6 ივლისს, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოლდოვაში, წინასწარი ღონისძიების სახით, დსთ-ს სამშვიდობო ძალების განთავსების შესახებ. სამშვიდობო ძალებში უნდა შესულიყო რუსული, უკრაინული, ბელორუსული, რუმინული და ბულგარული ჯარები. აღნიშნული განხორციელებოდა მოლდოვის თანხმობის პირობით. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვის პარლამენტმა მეორე დღესვე გააკეთა ასეთი მოთხოვნა, ხსენებული სამშვიდობო ძალები არასოდეს ყოფილა განთავსებული, რადგან გარკვეული ქვეყნები არ ფიქრობდნენ დსთ-ს ძალებში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობის გამოთქმას.

86. 1992 წლის 10 ივლისს, ეუთო-ს ჰელსინკის სამიტზე, მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-ნმა სნეგურმა მოითხოვა ეუთო-ს სამშვიდობო ძალების მოლდოვის სიტუაციასთან მიმართებაში გამოყენების შესაძლებლობის განხილვა. ხსენებული არ განხორციელებულა, რადგან ადგილი არ ჰქონია ეფექტურ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტას (იხ. ზემოხსენებული ეუთო-ს საინფორმაციო დოკუმენტი, 1994 წლის 10 ივნისი — წინამდებარე განაჩენის 28-ე პუნქტის შენიშვნა).

87. 1992 წლის 21 ივლისს მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-ნმა სნეგურმა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბ-ნმა ელცინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის მეგობრული გზით მოგვარების პრინციპების შესახებ“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 292-ე პუნქტი).

დოკუმენტის ასლზე, რომელიც სასამართლოს მოლდოვის მთავრობამ წარუდგინა, არის მხოლოდ ბ-ნი სნეგურისა და ბ-ნი ელცინის ხელმოწერები. რუსეთის მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა ასლი, რომელზეც ჩანს ბ-ნი სნეგურისა და ბ-ნი ელცინის, როგორც პრეზიდენტების, ხელმოწერები. ბ-ნი სნეგურის ხელმოწერის ქვეშ ასლზე ასევე ჩანს ბ-ნი სმირნოვის ხელმოწერა მისი რაიმე სტატუსის მითითების გარეშე.

ბ-ნი სმირნოვის ხელმოწერა არ არის იმ ასლზე, რომელიც წარმოადგინა მოლდოვის მთავრობამ. სასამართლოს დელეგატებისთვის მიცემულ ჩვენებაში ბ-ნმა სნეგურმა დაადასტურა, რომ ოფიციალურ დოკუმენტზე, რომელიც ორ პირად იყო ხელმოწერილი, იყო მხოლოდ მისი და ბ-ნი ელცინის ხელმოწერები (იხ. დანართი: ბ-ნი სნეგური, პუნქტი 228).

როგორც სასამართლოსათვის მოწმის მიერ მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, შეთანხმების ტექსტი მომზადებული იყო რუსული მხარის მიერ, რომელმაც წარუდგინა დოკუმენტი მოლდოვის მხარეს ხელმოსაწერად (იხ. დანართი, პუნქტი 281).

88. რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმების მე-4 მუხლის თანახმად, რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერა შეთანხმებას არა როგორც კონფლიქტის მხარემ, არამედ როგორც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში შუამავალმა.

89. შეთანხმება ითვალისწინებდა უშიშროების ზონის პრინციპს, რომელიც უნდა შექმნილიყო „კონფლიქტის მხარეების“ მიერ არმიების გაყვანით ამ ტერიტორიიდან (1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი).

90. შეთანხმების მე-2 მუხლის თანახმად, შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია, რომელიც შედგებოდა მოლდოვის, რუსეთის ფედერაციისა და დნესტრისპირეთის წარმომადგენლებისაგან. კომისიამ შტაბბინა ტიგინაში (ბენდერი) დაიდო.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა სამშვიდობო ძალების შექმნას, რომელსაც უნდა უზრუნველყო ცეცხლის შეწყვეტა და უშიშროება. სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში უნდა შესულიყო 5 რუსული ბატალიონი, 3 მოლდავური ბატალიონი და დნესტრისპირეთის რესპუბლიკის 2 ბატალიონი. ეს ბატალიონები უნდა დამორჩილებოდნენ შერეულ სამხედრო სტრუქტურულ დანაყოფს, რომელიც, თავის მხრივ, ემორჩილებოდა შერეულ საკონტროლო კომისიას.

91. შეთანხმების მე-3 მუხლის თანახმად, ქალაქი ტიგინა გამოცხადდა რეგიონად, რომელიც ექვემდებარებოდა უსაფრთხოების ზონას, ქალაქის ადმინისტრაცია კი გადავიდა „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელში, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში იმოქმედებდნენ საკონტროლო კომისიასთან ერთად“. შერეულ საკონტროლო კომისიას დაევალა ტიგინაში მართლწესრიგის დაცვა ადგილობრივ პოლიციასთან ერთად.

მე-4 მუხლის თანახმად, რუსეთის ფედერაციის მე-14 არმიას, რომელიც განთავსებული იყო მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოეთხოვა, დარჩენილიყო მკაცრად ნეიტრალური; მე-5 მუხლი კრძალავდა სანქციებს ან ბლოკადას და მიზნად ისახავდა ყველა იმ ბარიერის მოხსნას, რომლებიც ხელს უშლდა საქონლის, მომსახურებისა და ადამიანების თავისუფალ მოძრაობას.

და ბოლოს, შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებები განსაზღვრული იქნა როგორც „კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარების მნიშვნელოვანი ნაწილი“ (მე-7 მუხლი).

### 3. შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ განვსითარებული მოვლენები

92. 1994 წლის 29 ივლისს მოლდოვამ მიიღო ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუცია ითვალისწინებდა, *inter alia*, რომ მოლდოვა ნეიტრალური სახელმწიფოა, რომ იგი კრძალავს მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების ჯარების ყოფნას და რომ ავტონომიის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იმ რეგიონებს, რომლებიც განთავსებულია დნესტრის მარცხენა სანაპიროზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 294-ე პუნქტი).

93. 1994 წლის 21 ოქტომბერს მოლდოვამ და რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას. შეთანხმება ეხებოდა რუსეთის ფედერაციის იმ სამხედრო შენაერთების სამართლებრივ სტატუსს, რომლებიც დროებით იმყოფებოდნენ მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შეთანხმება ითვალისწინებდა ასევე გაყვანის ვადებსა და ხერხებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 296-ე პუნქტი).

შეთანხმების მე-2 მუხლი ითვალისწინებდა, რომ მოლდოვის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა უნდა მომხდარიყო დნესტრისპირეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისა და „მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონის“ სტატუსის დადგენის პარალელურად.

ხსენებული შეთანხმება რატიფიცირებული არ ყოფილა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოების მიერ და, შესაბამისად, არც არასოდეს შესულა ძალაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 115-ე პუნქტი).

94. განმცხადებელთა მტკიცებით, რუსეთის სამშვიდობო ძალები არ ინარჩუნებდნენ მკაცრ ნეიტრალიტეტს, ისინი მხარს უჭერდნენ დნესტრისპირეთის წარმომადგენლებს და შესაძლებლობას აძლევდნენ მათ, შეეცვალათ ძალების თანაფარდობა, რომელიც მიღწეული იქნა მხარეებს შორის 1992 წლის 21 ივლისის ცეცხლის შეწყვეტის დროს.

95. 1995 წლის 28 დეკემბერს მოლდოვის დელეგაციამ შერეულ საკონტროლო კომისიაში წერილი გაუგზავნა რუსეთის დელეგაციას შერეულ საკონტროლო კომისიაში და პროტესტი გამოთქვა იმ წინადადების გამო, რომელიც ნამოჭრა რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ძალების სარდლის მოადგილემ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის სამშვიდობო შენაერთების ძალაუფლება და მანდატი გადასცემოდა როდ-ს, რასაც მოლდოვის დელეგაცია თვლიდა 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმების მე-4 მუხლის დარღვევად. წინადადება ასევე მიუღებლად იქნა მიჩნეული იმის გამო რომ „როდ-ის პერსონალი გარკვეულწილად პოლიტიზირებული იყო და არ გააჩნდა მიუკერძოებლობა კონფლიქტში მონაწილე მხარეებთან მიმართებაში“. მოლდოვის დელეგაციამ მიუთითა 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმებაში ხსენებული ნეიტრალიტეტის პრინციპების გარკვეულ დარღვევებზე. ეს დარღვევები მოიცავდა: მე-14 არმიის მიერ ტირასპოლის ხელისუფლებისათვის გარკვეული სამხედრო საჭურველისა და აღჭურვილობის გადაცემას, „მდრ“-ს ჯარების განვრთნას რუსეთის არმიის მიერ და მე-14 არმიიდან გარკვეული სამხედრო შენაერთების გადასვლას „მდრ“-ს მხარეზე — მაგალითად, პარკანის გამნაღმველთა ბატალიონისა, რომელიც გადაიქცა „მდრ“-ს საარტილერიო დანაყოფად, ტიგინას (ბენდერის) სიმაგრის გადაცემას „მდრ“-ს მე-2 ფეხოსანთა ბრიგადისთვის ან „მდრ“-სათვის სლობოზიას დეპოს (რომელიც მე-14 არმიის ბატალიონის ხელში იყო) გადაცემას.

მოლდოვის დელეგაციამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „მდრ“-ს სამხედრო შენაერთები შეყვანილი იქნა უსაფრთხოების ზონაში შერეული საკონტროლო კომისიის რუსული ჯარების დუმილით გამოხატული თანხმობით. ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ შეიარაღებული რაზმები შეიქმნა ტიგინაში (ბენდერი), რომელიც გამოცხადებული იქნა უსაფრთხოების ზონად და რჩებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ქვეშ, ხოლო ტიგინაში (ბენდერი) და ტირასპოლში მზადდებოდა იარაღი და საჭურველი.

მოლდოვის დელეგაციამ თხოვნით მიმართა თავის მთავრობას, განხილულიყო დნესტრისპირეთში რუსული სამშვიდობო ძალების მრავალეროვანი და-

ლებით ჩანაცვლების შესაძლებლობა გაერო-ს ან ეუთო-ს სისტემების ფარგლებში. ბოლოს მოლდოვის დელეგაციამ გამოხატა იმედი 1994 წლის 21 ოქტომბერს მიღწეული შეთანხმების სწრაფ განხორციელებასთან დაკავშირებით. ხსენებული შეთანხმება ეხებოდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გაყვანას მოლდოვის ტერიტორიიდან.

96. 1996 წლის 17 იანვრის წერილში შერეულ საკონტროლო კომისიაში რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მოლდოვის დელეგაციის მიერ 1995 წლის 28 დეკემბერს წარმოდგენილი მაგალითები მე-14 არმიის პერსონალის სავარაუდო მიკერძოებასთან დაკავშირებით წარმოდგენდა „ფაქტების დამახინჯებას“ და აბსოლუტური სიცრუე იყო. რუსული დელეგაცია თვლიდა, რომ 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმება ნათლად ითვალისწინებდა როდ-ისათვის იმ გარკვეული ვალდებულებების გადაცემას, რომლებიც გააჩნდა სამშვიდობო ძალებს. რუსულმა მხარემ მოსთხოვა მოლდოვის დელეგაციას პოზიციის გადასინჯვა და მისი წინადადებების ხელახლა განხილვა იმ მიმართულებით, რომლითაც ისინი რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ჩამოაყალიბა.

97. 1997 წლის 8 მაისს მოსკოვში ბ-ნმა ლუკინშჩმა, მოლდოვის პრეზიდენტმა, და ბ-ნმა სმირნოვმა, „მდრ-ს პრეზიდენტმა“, ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ქმნიდა საფუძველს მოლდოვის რესპუბლიკასა და დნესტრისპირეთს შორის ურთიერთობათა ნორმალიზებისათვის. ხსენებული შეთანხმებით მხარეები აპირებდნენ ნებისმიერი ისეთი უთანხმოების მოგვარებას, რომელიც შესაძლოა წარმოშობილიყო მოლაპარაკებების პერიოდში, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის დახმარებით, თუკი ეს საჭირო გახდებოდა. ხსენებული სახელმწიფოები იყვნენ ეუთო-სა და დსთ-ს ფარგლებში დადებული შეთანხმებების განხორციელების გარანტები. მემორანდუმში ხელმოწერილი იქნა გარანტი მხარეების, სახელდობრ, ბ-ნი ელცინის მიერ რუსეთის ფედერაციის მხრიდან და ბ-ნი კუჩმას მიერ უკრაინის მხრიდან. დოკუმენტს ხელი მოაწერა ასევე ეუთო-ს პრეზიდენტმა ბ-ნმა ჰ. პეტერსონმა, რომელიც ესწრებოდა ხელმოწერას მხარეებისა და გარანტი სახელმწიფოების მიერ. მემორანდუმის დებულებების თანახმად, დნესტრისპირეთის სტატუსს შემდეგი პრინციპები უნდა დადებოდა საფუძველად: გადაწყვეტილებები ორივე მხარეს უნდა მიეღო, ძალაუფლება უნდა გადანაწილებულიყო და დელეგირებულიყო, გარანტებს კი ეს ორმხრივად უნდა უზრუნველყოთ. დნესტრისპირეთს მონაწილეობა უნდა მიეღო მოლდოვის რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობების წარმართვაში, რათა მასთან დაკავშირებული საკითხები ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრულიყო. დნესტრისპირეთს უფლება ეძლეოდა, თავად დაემყარებინა და ჰქონოდა საერთაშორისო ურთიერთობები ეკონომიკურ, სამეცნიერო, ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში, რაც შემდგომში ორმხრივი შეთანხმებით უნდა განსაზღვრულიყო.

მემორანდუმში მიესალმება რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მისწრაფებას, იმოქმედონ როგორც იმ დებულებების შესრულების გარანტებმა, რომლებიც განსაზღვრულია დნესტრისპირეთის სტატუსთან დაკავშირებულ მემორანდუმში. მხარეებმა ასევე დაადასტურეს შერეული სამშვიდობო ძალების მიერ საერთო ქმედებების განხორციელების აუცილებლობა უსაფრთხოების ზონაში, როგორც ეს განსაზღვრულია 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმებაში. შეთანხმებათა დარღვევის შემთხვევაში მემორანდუმში ასევე უფლებას ანიჭებს მხარეებს,



კონსულტაციები გამართონ გარანტი მხარეებთან, რათა მოხდეს სიტუაციის ნორმალიზება. და ბოლოს, ორივე მხარე კისრულობს ვალდებულებას, დაამყარონ ურთიერთობა ერთმანეთთან საერთო სახელმწიფოს მოლდავეთის სსრ-ს, როგორც იგი არსებობდა 1990 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - კონტექსტში.

98. 1998 წლის 20 მარტს მოლდოვის, დნესტრისპირეთის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის წარმომადგენლებმა ოდესაში (უკრაინა) ხელი მოაწერეს გარკვეულ დოკუმენტებს, რომლებიც მიმართული იყო დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებისაკენ (იხ. წინამდებარე განაჩენის 123-ე პუნქტი).

99. ევროპის საბჭოს წევრების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა და მოვალეობათა შესრულების საპარლამენტო კომიტეტის მიერ მოლდოვასთან დაკავშირებული მოხსენების პროექტზე 1999 წელს წარმოდგენილ კომენტარებში მოლდოვის მთავრობა მიუთითებდა, რომ სეპარატისტული ხელისუფლება უკანონოდ იღებდა იარაღს როდ-ის სანყობებიდან „და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოები ამაზე დუმილით რთავდნენ ნებას, ხოლო მათი ძალები განთავსებულია უსაფრთხოების ზონაში მოლდოვის დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე“.

100. 2001 წლის 6 თებერვალს შერეულ საკონტროლო კომისიაში მოლდოვის დელეგაციამ წერილი გაუგზავნა რუსეთისა და დნესტრისპირეთის დელეგაციებს და პროტესტი გამოთქვა სამშვიდობო ძალების მეთაურების მიკერძოებასთან დაკავშირებით. მეთაურებს ბრალი ედებოდათ დნესტრისპირეთის შეიარაღებული შენაერთებისათვის უსაფრთხოების ზონაში საბრძოლო აღჭურვილობისა და საჭურვლის შემოტანაზე ნებართვის მიცემაში. მოლდოვის დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხსენებული ფაქტები დაფიქსირებული იქნა ხმელეთზე მყოფი სამხედრო დამკვირვებლების მიერ, რომლებმაც პრეტენზია გამოხატეს რუსეთის სამშვიდობო ჯარების მეთაურის მიმართ, რომელიც არც მონიტორინგს ახორციელებდა და არც აღკვეთდა უსაფრთხოების ზონაში შეიარაღების არსებობას და ამგვარად ჩირქს სცხებდა სამშვიდობო ძალების მანდატსა და სტატუსს. ბოლოს მოლდოვის დელეგაცია აღნიშნავდა, რომ სიტუაციისადმი ასეთი მიდგომა რუსი სამშვიდობოების მხრიდან წარმოადგენდა დნესტრისპირეთის მხარის წახალისებას.

რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ სამშვიდობო ძალები პატივს სცემდნენ ნეიტრალიტეტის პრინციპს, რაც მოთხოვნილი იყო 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმებით.

სასამართლო აღნიშნავს მოწმის ჩვენებას, რომელიც მიცემული იქნა რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურის პოლკოვნიკ ავერევის მიერ (იხ. დანართი, პუნქტი 368), იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის სამშვიდობო ჯარები ასრულებდნენ შეთანხმებას. მოწმე ასევე აცხადებდა, რომ მან არ იცოდა არანაირი უკანონო ქმედებების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ განახორციელა დნესტრისპირეთის მხარემ რუსეთის ჯარების მიერ კონტროლირებად ზონაში.

თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ მტკიცებების საწინააღმდეგოდ მოიპოვება შერეული საკონტროლო კომისიის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც დეტალურად ადასტურებს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად სხვადასხვა ტერიტორიაზე, როგორც იყო, მაგალითად, ტიგინა (ბენდერი), დნესტრისპირეთის სეპარატისტული ძალები არღვევდნენ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას.

მხედველობაში იღებს რა შერეული საკონტროლო კომისიის დოკუმენტების ოფიციალურ ხასიათს და მათში ასახული ინფორმაციის თანმიმდევრულობას, სასამართლო საკმარისად ნათლად და დადგენილად მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის ძალების პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დნესტრისპირეთის მხარე არ ახორციელებდა იმ ვალდებულებებს, რომლებიც 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმებიდან გამომდინარეობდა.

101. 2001 წლის 16 აპრილს მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა, ბ-ნმა ვორონინმა და ბ-ნმა პუტინმა, ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად:

*„პრეზიდენტები მხარს უჭერენ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას, რაც დამყარებული უნდა იყოს მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპზე“.*

102. 2001 წლის 4 სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში, რომელშიც გაანალიზებულია მოლდოვის დნესტრისპირეთის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პრინციპებთან დაკავშირებით მოლდოვა-რუსეთს შორის დადებული 1998 წლის 20 მარტის შეთანხმების განხორციელება, შერეულ საკონტროლო კომისიაში მოლდოვის დელეგაციამ მიანიშნა დნესტრისპირეთის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე: მან ჩამოაყალიბა ახალი სამხედრო შენაერთები, შეიტანა იარაღი უსაფრთხოების ზონაში და შექმნა საგუშაგოები. მოლდოვის დელეგაციამ შეშფოთება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ შერეულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ რაიმე ნაბიჯი კი არ გადადგა, რათა ბოლო მოეღო ხსენებული სიტუაციისათვის, არამედ მხოლოდ ფაქტების კონსტატირებას ახდენდა. მოლდოვის დელეგაცია გამოვიდა წინადადებით, რომ იმისათვის, რომ მომხდარიყო მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა, მოლდოვისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს განეხილათ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების საკითხი. და ბოლოს, მოლდოვის დელეგაციამ წამოჭრა წინადადება, რომ სამხედრო დამკვირვებლის ფუნქცია უსაფრთხოების ზონაში ეუთო-ს გადასცემოდა.

103. 2003 წლის მარტში დნესტრისპირეთში რუსეთის სამშვიდობო ძალებში შედიოდა 292 ჯარისკაცი, 17 ჯავშან-მანქანა, 29 სხვა მანქანა და 164 ავტომობილი.

დღეისათვის, სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების თანახმად (იხ. დანართი: პოლკოვნიკი ზვერევი, პუნქტი 367), არც ერთი ჯარისკაცი მე-14 არმიის ან როდ-ის შემადგენლობიდან არ მსახურობს რუსულ სამშვიდობო ძალებში.

104. დნესტრისპირეთის მხარესთან შეხვედრები გრძელდება, რათა განხილული იქნეს სხვადასხვა ასპექტები დნესტრისპირეთის კონფლიქტთან დაკავშირებით გამოსავლის ძიებაში.

105. ხსენებულ მოლაპარაკებებზე მოლდოვის მხარე არნმუნებდა დნესტრისპირეთის მხარეს, შეექმნა კომისია, რომელიც განიხილავდა დნესტრისპირეთის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იმ პირთა შეწყალების შესაძლებლობას, რომლებიც მსჯავრდების შედეგად პატიმრობაში იმყოფებოდნენ დნესტრისპირეთში (იხ. დანართი: ბ-ნი სტურზა, პუნქტები 309, 312 და 318).

106. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც რეგულარულად იხილებოდა მო-

ლაპარაკების დროს და შეტანილი იყო განსახილველ საკითხთა ნუსხაში, იყო იმუნიტეტი გამოძიებისაგან, რომელსაც ითხოვდა დნესტრისპირეთის მხარე დნესტრისპირეთის ადმინისტრაციის სამოქალაქო მოხელეებისა და ოფიციალური პირებისათვის (იხ. დანართი: ბ-ნი სტურზა, პუნქტი 446).

107. 2002 წლის შემდეგ ეუთო-ს, მოლდოვის პრეზიდენტისა და რუსეთის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული იქნა მოლდოვის ფედერალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების რამდენიმე გეგმა.

108. ეუთო-ს დახმარებით წარმართული უახლესი მოლაპარაკებები ემყარებოდა წინადადებებს, რომელთა მიზანი იყო ფედერალური სახელმწიფოს შექმნა, სადაც დნესტრისპირეთი ისარგებლებდა ავტონომიის სტატუსით.

109. 2003 წლის 4 აპრილს დნესტრისპირეთის მხარესთან მოლაპარაკების კონტექსტში მოლდოვის პარლამენტმა მიიღო ოქმი, რომელიც ეხებოდა მოლდოვის ფედერალური კონსტიტუციის პროექტის შექმნის მექანიზმს.

110. მოლდოვაში ეუთო-ს მისიის მიერ გამოქვეყნებული პრესრელიზის თანახმად, შერეული კომისიის პირველი შეხვედრა გაიმართა 2003 წლის 24 აპრილს მოლდოვაში ეუთო-ს შტაბბინაში. შეხვედრის დროს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საბოლოო ტექსტი მზად უნდა ყოფილიყო 2003 წლის ოქტომბრისათვის, ისე, რომ ახალი კონსტიტუცია წარდგენოდა მთელ მოლდოველ ხალხს, რათა შემდგომში მიღებულიყო რეფერენდუმის გზით, რომელიც გაიმართებოდა 2004 წლის თებერვალში.

## **ბ. 1992 წლის 21 ივლისის შემდგომ პერიოდში რუსეთის ფედერაციის არმიისა და პერსონალის ყოფნა დნესტრისპირეთში**

### *1. როდ-ის ჯარები და აღჭურვილობა დნესტრისპირეთში*

#### **(ა) რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე**

111. როგორც 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმების მე-4 მუხლით იქნა განსაზღვრული, მოლდოვამ და რუსეთის ფედერაციამ დიწყეს მოლაპარაკებები მოლდოვის ტერიტორიიდან როდ-ის გაყვანისა და გაყვანის პერიოდში მისი სტატუსის შესახებ.

1994 წელს რუსეთმა წამოჭრა წინადადება, რომ როდ-ის გაყვანა უნდა დამთხვეოდა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებას (იხ. წინამდებარე განაჩენის 93-ე პუნქტი), და მოლდოვა დაეთანხმა ხსენებულ წინადადებას, რომელსაც მიუღებლად თვლიდა, მხოლოდ რუსეთის დაჟინებული მოთხოვნისა და რუსეთის დარწმუნების შემდეგ, ხელი შეეწყო ილაშკუს ჯგუფის სწრაფად გათავისუფლებისთვის (იხ. Y, პუნქტი 254).

2004 წლის 12 თებერვლის პრესრელიზში მოლდოვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების და რუსეთის ჯარების მოლდოვის ტერიტორიიდან გაყვანის პარალელური რეჟიმისა და რომ ისინი მოითხოვდნენ რუსეთის ჯარების სრულ და უპირობო გაყვანას, რაც გათვალისწინებული იყო ეუთო-ს გადაწყვეტილებებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 124-ე პუნქტი), განსაკუთრებით კი იმის მხედველობაში მიღებით, რომ ეუთო-ს ნევრმა სახელმწიფოებმა შექმნეს ფონდი, რომელიც

დაკავშირებული იყო გაყვანის დაფინანსებასთან.

112. 1994 წლის 21 ოქტომბრის შეთანხმების („პირველი შეთანხმება“) მე-2 მუხლი ითვალისწინებდა რუსეთის მიერ თავისი საჯარისო შენაერთების გაყვანას შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის განმავლობაში, გაყვანის პროცესი კი დადგენილ დროში უნდა დამთავრებოდა დნესტრისპირეთში კონფლიქტის დარეგულირებას და „მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონის“ სპეციალური სტატუსის განსაზღვრას (იხ. წინამდებარე განაჩენის 296-ე პუნქტი). რაც შეეხება რუსეთის ჯარების საბოლოო გაყვანის ეტაპებსა და თარიღს, მე-2 მუხლის თანახმად, ეს უნდა განსაზღვრულიყო ცალკე ოქმით, რომელიც უნდა დადებულიყო თავდაცვის მინისტრებს შორის.

113. შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად, ნებისმიერი ტიპის იმ საბრძოლო ტექნიკის, იარაღისა თუ საჭურვლის გაყიდვა, რომელიც ეკუთვნოდა მოლდოვის ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის ფედერაციის ძალებს, შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო მხოლოდ ორ მთავრობას შორის დადებული შეთანხმების შედეგად.

114. შეთანხმების მე-7 მუხლის თანახმად, ტირასპოლის სამხედრო აეროდრომი ერთობლივად უნდა გამოეყენებინათ როდ-ისა და „მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონის“ სამოქალაქო ავიაციებს. მეორე შეთანხმება, რომელიც დაიდო 1994 წლის 21 ოქტომბერს მოლდოვისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრებს შორის („მეორე შეთანხმება“), ეხებოდა ტირასპოლის აეროდრომის მართვას. მაგალითად, ხსენებული შეთანხმების თანახმად, ტირასპოლის აეროდრომზე ფრენა უნდა განხორციელებულიყო „მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონის სამოქალაქო ავიაციისა და რუსეთის ფედერაციის საბრძოლო დანაყოფებისათვის განკუთვნილი ავიაციის დროებითი წესების“ თანახმად, რაც ხორციელდებოდა მოლდოვის სახელმწიფოს სამოქალაქო ავიაციასა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შორის კოორდინირებული ქმედებებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 297-ე პუნქტი).

115. 1994 წლის 9 ნოემბერს მოლდოვის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, განეხორციელებინა შეთანხმება მოლდოვის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით. დაუდგენელ დღეს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ გადანყვიტა, წარედგინა შეთანხმება დუმისათვის რატიფიცირების მიზნით. 1998 წლის 17 ნოემბერს, რადგანაც 1994 წლის 21 ოქტომბრის პირველი შეთანხმება კიდევ არ იყო რატიფიცირებული დუმის მიერ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა თხოვნით მიმართა დუმას, ამოელო საკითხი განსახილველ საკითხთა სიიდან, ვინაიდან „სამინისტროს ნებისმიერი გადაწყვეტილება საკითხის გადასინჯვასთან დაკავშირებით დამოკიდებული იყო მოლდოვის რესპუბლიკასა და დნესტრისპირეთის რეგიონთან ურთიერთობების განვითარებაზე და ხსენებულ ტერიტორიაზე კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებაზე. 1999 წლის იანვარში შეთანხმება ამოღებული იქნა დუმის მიერ განსახილველ საკითხთა სიიდან. იგი ჯერაც არ შესულა ძალაში.

მეორე შეთანხმება დამტკიცდა მხოლოდ მოლდოვის მთავრობის მიერ 1994 წლის 9 ნოემბერს.

116. მოლდოვის მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ სიტყვები „დნესტრისპირეთის რეგიონის სამოქალაქო ავიაცია“, რომლებიც შედიოდა რუსეთის ფედერაციასთან დადებულ შეთანხმებაში, განმარტებული უნდა ყოფილიყო, როგორც მინიშნება ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის კონსტიტუციურ ორ-

განოებზე, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების წინაშე და ხსენებული დასახელება არ იგულისხმებდა დნესტრის-პირეთის სეპარატისტულ რეჟიმს.

რუსეთის მთავრობის მტკიცებით, აღნიშნული სიტყვები ნიშნავდა ამჟამინდელ ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც გამოდიოდნენ როგორც ადგილობრივი ბიზნეს-პარტნიორები. რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ხსენებული არ ნიშნავდა „მდრ“-ს რაიმე სახით ოფიციალურ თუ პოლიტიკურ აღიარებას.

117. სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ 1994 წლის 21 ოქტომბრის არც ერთი ხელშეკრულება არ შესულა ძალაში რუსეთის მიერ რატიფიცირების განუხორციელებლობის გამო.

შემდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ როდ-ის სარდლის ბ-ნი სერგეევის ჩვენების თანახმად, ტირასპოლის აეროდრომი გამოიყენება თავისუფალი სივრცის სახით როგორც რუსეთის სამხედრო ჯარების, ასევე დნესტრისპირელი სეპარატისტების მიერ. ცის სივრცე კონტროლდება მოლდოვა-უკრაინის საჰაერო მარშრუტების კონტროლიორების მიერ. როგორც გაირკვა, რუსეთის საჰაერო ხომალდს არ შეუძლია არც აფრენა და არც დაფრენა ტირასპოლის აეროდრომზე მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის გარეშე.

ფრენის უსაფრთხოება ტირასპოლის აეროდრომზე ხორციელდება რუსეთის ძალების მიერ რუსეთის საჰაერო ხომალდის აფრენა-დაფრენასთან და ხმელეთზე გაჩერებასთან დაკავშირებით და დნესტრისპირელი სეპარატისტების მიერ მათ საჰაერო ხომალდებთან მიმართებაში. არც როდ-ის ხელმძღვანელობა და არც რუსი სამშვიდობო ძალები არ ერევიან იმაში, თუ როგორ იყენებენ დნესტრისპირელი სეპარატისტები ტირასპოლის აეროდრომს. თავის მხრივ, დნესტრისპირელი სეპარატისტები არ ერევიან იმაში, თუ როგორ იყენებენ რუსეთის ჯარები აეროდრომს (იხ. დანართი: გენერალი სერგეევი, პუნქტი 340).

118. ბ-ნი იური პინტეას კვლევიდან „მოლდოვის რესპუბლიკის აღმოსავლეთ რეგიონის სამხედრო ასპექტები“ (რომელიც გამოაქვეყნა მოლდოვის საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა 2001 წლის აგვისტოში და სასამართლოს განმცხადებლებმა წარუდგინეს) ჩანს, რომ „მდრ“-ს სამხედრო ფორმირებებმა კონტროლი დაანესეს საკონტროლო კომპურაზე და ტირასპოლის აეროდრომის ტექნიკურ დანადგარებზე, რაც არღვევდა 1994 წლის 21 ოქტომბრის შეთანხმებას, მაშინ, როდესაც აეროდრომის როდ-ის ნაწილი გამოიყენებოდა არა დანიშნულებისამებრ, როგორც ეს ჩანერილი იყო შეთანხმებაში, მაგალითად, დნესტრისპირეთში რუსი პოლიტიკოსების ვიზიტისა და იარაღით ვაჭრობისა და გადაზიდვისათვის.

პროცესის სხვა მხარეებს არ გაუკეთებიათ კომენტარი ზემოხსენებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

119. პირველი შეთანხმების მე-13 მუხლის თანახმად, ნებისმიერი საცხოვრებელი, ბარაკები, ავტოპარკი, სასროლი პოლიგონი და მანქანებზე დამონტაჟებული დანადგარები, საწყობები და რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების გასვლის შემდეგ იქ დარჩენილი გამოუყენებელი ხელსაწყოები უნდა გადაეცეთ „მოლდოვის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს“ იმავე რაოდენობით, რა რაოდენობითაც ისინი *de facto* არსებობს.

შეთანხმების თანახმად, რუსეთის სამხედროების კუთვნილი უძრავი ქონების გადაცემა-გაყიდვის წესებიც ამ მიზნით მხარეების მთავრობებს შორის დადებული შეთანხმებით უნდა განსაზღვრულიყო.

120. შეთანხმების მე-17 მუხლის თანახმად, მოლდოვის ტერიტორიიდან დადგენილ ვადებში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილების გაყვანის უზრუნველყოფისა და რუსეთში ახალ ადგილას მათი ეფექტურად განთავსების მიზნით მოლდოვის რესპუბლიკას მოეთხოვა გარკვეული თანხების თავის თავზე აღება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების აგებისა და დადგმისათვის.

121. 1996 წლის მოსაზრება №3-ში, რომელიც ეხებოდა რუსეთის ფედერაციის დაშვებას ევროპის საბჭოში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ აღნიშნა ის მისწრაფება, რომელიც გამოხატა რუსეთის ფედერაციამ: „მოეხდინა ხელმოწერიდან 6 თვის ვადაში 1994 წელს რუსეთ-მოლდოვის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების რატიფიცირება და განეგრძო მე-14 არმიისა და მისი საჭურვლის გამოტანა მოლდოვის ტერიტორიიდან შეთანხმების ხელმოწერიდან 3 წლის ვადაში.“

122. 1996 წლის 30 აგვისტოს მოხსენებაში რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მთავარმა სამხედრო პროკურორმა, გენერალ-ლეიტენანტმა გ.ნ. ნოსოვმა აღნიშნა, რომ როდ-ში საბრძოლო არჭურვილობის განკარგვასთან დაკავშირებით ჩადენილი იქნა კანონდარღვევები და უკანონო ქმედებები. კერძოდ, მან აღნიშნა არასაკმარისი ზედამხედველობა, რამაც ხელი შეუწყო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და ქურდობას, გადანყვეტილებების შეუსრულებლობას, რაც გულისხმობდა დნესტრისპირეთის ლიდერებისათვის ხმარებიდან ამოღებული ავტომანქანების უფასოდ გადაცემას, როდ-ის საწყობებიდან სამხედრო ინჟინრების გამოგონებების გადაცემას დნესტრისპირეთის ლიდერებისათვის, რის შემდეგაც ამ უკანასკნელებმა მოითხოვეს გადაცემულ ნივთთა რაოდენობის გაზრდა და „მდრ“-სათვის ნებართვის გარეშე რამდენიმე ასეული ერთეული ტექნიკისა და რამდენიმე ასეული ტონა აღჭურვილობის გადაცემა.

შესაბამისად, მთავარმა სამხედრო პროკურორმა თხოვნით მიმართა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს, გადაეგა დამატებითი ნაბიჯები, რათა ბოლო მოეღობა კანონის დარღვევას როდ-ში, და განეხილა გენერალ-ლეიტენანტ ე-სა და გენერალ-მაიორ დ-სათვის დისციპლინარული სასჯელის დაკისრების საკითხი დაკისრებულ ვალდებულებებზე ეფექტური კონტროლის განუხორციელებლობისა და გულგრილობისათვის. თავდაცვის მინისტრს ეთხოვა განხორციელებული ღონისძიებების შედეგების მოხსენება.

123. 1998 წლის 20 მარტს, სხვა დოკუმენტებს შორის, რომლებიც ეხებოდა დნესტრისპირეთში სიტუაციის დარეგულირებას, ოდესაში (უკრაინა) ხელმოწერილი იქნა შეთანხმება მე-14 არმიის სამხედრო ფასეულობებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ხელმოწერები იყვნენ რუსეთის მხრიდან ბ-ნი ჩერნომირდინი, ხოლო „მდრ“-ს მხრიდან — პრეზიდენტი“ ბ-ნი სმირონოვი.

შეთანხმებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით, გარკვეული საწყობების გატანა და დაშლა, რაც უნდა განხორციელებულიყო აფეთქებით ან სხვა მექანიკური პროცესებით, უნდა დამთავრებულიყო 2001 წლის 31 დეკემბრისათვის; სხვა პირობებთან ერთად, ეს დამოკიდებული იყო მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების, კერძოდ, „დნესტრისპირეთის რეგიონის ხელისუფლების ორგანოების“ ნებართვაზე.

ზედმეტი საჭურვლის და როდ-ის სხვა აღჭურვილობის გატანა (გადაცემა და დაშლა) დაგეგმილი იყო არა უგვიანეს 2002 წლის 31 დეკემბრისა. როდ-ის სტანდარტული შეიარაღებისა და იმ პერსონალის გაყვანა, რომელიც არ შედიოდა სამშვიდობო ჯარებში, უნდა დამთავრებულიყო 2002 წლის 31 აგვისტოსათვის, იმ პირობით, რომ საჭურვლისა და სხვა აღჭურვილობის გატანის პროცესი რუსეთში იმ დროისათვის დასრულდებოდა, რომ სხვა აღჭურვილობა გადატანილი ან დაშლილი იქნებოდა და რომ მოლდოვა შეასრულებდა მასზე 1994 წლის 21 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმებით დაკისრებულ ვალდებულებებს.

### **(ბ) რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ**

124. 1999 წლის 19 ნოემბერს სტამბულში გამართულ სამიტზე ეუთო-ს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა მიანიშნეს, რომ ისინი მოელოდნენ „მოლდოვიდან რუსეთის ფედერაციის ჯარების რაც შეიძლება დროულ, სათანადო და სრულ გაყვანას“ და მიესალმნენ რუსეთის ფედერაციის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, სრულად გაეყვანა ჯარები მოლდოვის ტერიტორიიდან 2002 წლის ბოლოსათვის. სამიტზე აღინიშნა, რომ საერთაშორისო შემფასებელთა მისია მზად იყო, დაუყოვნებლივ მივლენილიყო რუსული აღჭურვილობისა და შეიარაღების გატანა-განადგურებაზე თვალყურის სადევნებლად.

125. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისთვის 1999 წელს წარდგენილ კომენტარებში მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ იმ დღისათვის რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ციფრები საწყობებში შენახულ როდ-ის შეიარაღებასთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებით შეადგენდა 42 000 ტონას, მაგრამ შეუძლებელი იყო ხსენებული მონაცემების სისწორის შემოწმება, რადგან რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოები და დნესტრისპირეთის სეპარატისტები უარს აცხადებდნენ შემფასებელ მისიასთან დაკავშირებით თანხმობის გამოთქმაზე.

მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტზე, რომ როდ-ის პერსონალის ნებისმიერი გაყვანა, რასაც თან არ ახლდა როდ-ის საწყობებში არსებული უამრავი იარაღის გატანა, ზრდიდა იმის რისკს, რომ ხსენებულ იარაღს ხელში ჩაიგდებდნენ დნესტრისპირელი სეპარატისტები.

126. როდ-ის კუთვნილი იარაღით დატვირთული რამდენიმე ეშელონი გაყვანილი იქნა 1999-2002 წლებში.

127. 2001 წლის 15 ივნისს რუსეთის ფედერაციამ და დნესტრისპირეთმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც ეხებოდა ერთობლივ საქმიანობას იარაღის, სამხედრო ტექნოლოგიისა და საჭურველის გამოყენებაში.

128. 2001 წლის 19 ნოემბერს რუსეთის მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა დოკუმენტი, რომელიც წარმოაჩენდა, რომ 2001 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერაციამ და „მდრ“-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ. ხსენებული შეთანხმების თანახმად, იმის ასანაზღაურებლად, რომ დნესტრისპირეთში განთავსებული რუსეთის სამხედრო აღჭურვილობის ნაწილი ტოვებდა დნესტრისპირეთს, „მდრ“-ს 100 მილიონი აშშ დოლარით შეუმცირდა რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული გაზის ფასი და დნესტრისპირეთის მხარეს აღჭურვილობის გატანის პროცესში ასევე გადაეცა როდ-ის მიერ აღჭურვილობის ის ნაწილი, რომლის ჩატვირთვაც შესაძლებელი იქნებოდა სამოქალაქო მანქანაში.

129. 2002 წლის ნოემბერში სასამართლოს წინაშე მოლდოვის მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, მაღალტექნოლოგიური იარაღი, აღჭურვილობა და სამხედრო საჭურველი, რომელიც ეკუთვნოდა როდ-ს და გატანილი იქნა მოლდოვის რესპუბლიკიდან 2002 წლის ნოემბერში 1994 წლის 21 ოქტომბრის შეთანხმების საფუძველზე, წარმოდგენდა მხოლოდ 15%-ს იმ რაოდენობისა, რაც 1994 წლის განცხადების თანახმად რჩებოდა მოლდოვის ტერიტორიაზე.

130. ეუთო-ს პრესრელიზის თანახმად, 2002 წლის 24 დეკემბერს გატანილი იქნა ხიდის სამშენებლო მასალებითა და საველე სამზარეულოს ნაწილებით დატვირთული 29 სარკინიგზო ვაგონი.

იმავე პრესრელიზში მოცემული იყო როდ-ის სარდლის, გენერალ ბორის სერგეევის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ აღჭურვილობის ბოლო გატანა მოხერხდა დნესტრისპირეთის მხარესთან შეთანხმების საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს უნდა მიეღოთ არასამხედრო ხასიათის აღჭურვილობის ნახევარი. გენერალმა სერგეევმა მაგალითად მოიყვანა 2002 წლის 16 დეკემბერს აღჭურვილობის გატანა, რასაც შედეგად მოჰყვა როდ-ის კუთვნილი 77 სატვირთო მანქანის გადაცემა დნესტრისპირეთის მხარისათვის.

131. 2001 წლის ივნისში სასამართლოსათვის რუსეთის მთავრობის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, როდ-ს კვლავ გააჩნდა საჯარისო შენაერთი, რომელიც ითვლიდა 2200 ჯარისკაცს დნესტრისპირეთში. თავისი მონმის ჩვენებაში გენერალი სერგეევი ამტკიცებდა, რომ 2002 წელს როდ-ის ჯარისკაცების რაოდენობა შემცირდა 1500 ჯარისკაცამდე (იხ. დანართი, პუნქტი 338).

სასამართლოს არ მიუღია რაიმე ნათელი ინფორმაცია დნესტრისპირეთში დარჩენილი იარაღისა და საწყობებში შენახული როდ-ის იარაღის შესახებ. განმცხადებელთა მტკიცებით და მონმეთა ჩვენებების თანახმად, რომლებიც მოიპოვეს სასამართლოს დელეგატებმა (იხ. დანართი: ბ-ნი სნეგური, პუნქტი 235), 2003 წელს როდ-ს გააჩნდა სულ მცირე 200 000 ტონა საბრძოლო საჭურველი და აღჭურვილობა დნესტრისპირეთში, კერძოდ, კოლბასანაში.

2001 წლის ივნისში რუსეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, რაც არ გამხდარა სადავო სხვა მხარეების მიერ, როდ-ს ასევე გააჩნდა შემდეგი აღჭურვილობა: 106 საბრძოლო ტანკი, 42 ჯავშან-მანქანა, 109 ჯავშან-გადამყვანი, 54 ჯავშან-სადაზვერვო მანქანა, 123 ზარბაზანი და ნაღმმტყორცნი, 206 ტანკსანიინალმდეგო დანადგარი, 226 ჰაერსანიინალმდეგო დანადგარი, 9 შვეულმფრენი და 1648 სხვადასხვა ტიპის მანქანა.

## 2. ურთიერთობები როდ-სა და „მდრ“-ს შორის

132. როდ-ის შემადგენლობა და მიმაგრებული სამხედრო პროკურორები და მოსამართლეები არ იღებდნენ რაიმე კონკრეტულ მითითებას დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობების წარმართვის შესახებ (იხ. დანართი: ვიცე-პოლკოვნიკი შამაევი, პუნქტი 374).

133. როდ-ის პერსონალს შეეძლო თავისუფლად ემოდრავა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. ჯარების ან აღჭურვილობის გაყვანის წინ როდ-ი აცნობებდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს. ზოგჯერ ხსენებული



გადაადგილებები იწვევდა ინციდენტებს, როგორც იყო, მაგალითად, დნესტრისპირელთა მხრიდან როდ-ის 3 ავტომანქანის კონფისკაცია (იხ. დანართი: ვიცე-პოლკოვნიკი რადზაევიჩუსი, პუნქტი 363, და ვიცე-პოლკოვნიკი შამაევი, პუნქტი 376). ასეთ შემთხვევებში და რაიმე სახის ინსტრუქციების არარსებობის პირობებში როდ-ის ხელმძღვანელობა ცდილობდა მოლაპარაკებას პირდაპირ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან. რუსეთის ფედერაციაში მოქმედი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, როდ-ის საგამოძიებო ორგანოები არ არიან უფლებამოსილნი, საქმეები პირდაპირ გადასცენ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს, რომლებსაც გააჩნიათ იურისდიქცია დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე; ნებისმიერი ქურდობა ან სხვა სახის დანაშაული, რომელიც ჩადენილი იქნებოდა დნესტრისპირეთის მოქალაქის მიერ როდ-ის წინააღმდეგ, უნდა მოხსენებოდა როდ-ის ხელისუფლების ორგანოების მიერ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებს, რადგანაც მათ შეეძლოთ საქმის გადაცემა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებისათვის.

პრაქტიკაში ამ ტიპის დანაშაულებს დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები იძიებდნენ.

134. როდ-ის გამომძიებლებს გააჩნდათ უფლებამოსილება, გამოეძიებინათ დანაშაულები, რომლებიც ჩადენილი იყო როდ-ის პერსონალის მიერ ან მათი თანამონაწილეობით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დანაშაულში მონაწილეობდნენ ერთეული ჯარისკაცები. თუმცა ამ ტიპის არც ერთი საქმე არ ყოფილა წარმართული (იხ. დანართი: ვიცე-პოლკოვნიკი ლევიციკი, პუნქტი 371, და ბ-ნი ტიმოშენკო, პუნქტი 379).

135. რუსეთის მთავრობის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, როდ-ის აღჭურვილობა და მონყობილობები, რომლებიც სამოქალაქო გამოყენების საგნები იყო, გადაეცა „მდრ“-ს. მაგალითად, შენობა, რომელშიც განმცხადებლები იყვნენ პატიმრობაში 1992 წელს, მე-14 არმიის მიერ გადაეცა დნესტრისპირეთის სეპარატისტებს 1998 წელს. მოწმეთა ჩვენების თანახმად, ბ-ნი ტიმოშენკოს მიერ მიცემული ჩვენება ახლა გამოიყენება „მდრ“-ს საგამოძიებო სამსახურების მიერ“ (იხ. დანართი, პუნქტი 380).

136. ბ-ნი იურიე პინტეას მიერ წარმართული კვლევის (იხ. წინამდებარე განაჩენის 118-ე პუნქტი) თანახმად, კოლბასნას სამხედრო საწყობი 1994 წელს გაიყო ორ ნაწილად; ერთი ნაწილი მიეკუთვნა „მდრ“-ს და ამ უკანასკნელმა იქ განათავსა აღჭურვილობის საწყობი თავისი არმიისათვის. ავტორი აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის, როდესაც მისი კვლევა გამოქვეყნდა 2001 წელს, „მდრ“-ს უშიშროება გაძლიერდა „მდრ“-ს არმიის მე-300 ძლიერი მოტორიზებული ფეხოსანთა ბრიგადით, რომლის შეიარაღებაშიც შედიოდა ჯავშან-მანქანები, ტანკ-საწინააღმდეგო დანადგარები და ნალმმტყორცნები, აგრეთვე, ჰაერსაწინააღმდეგო ბატარეა, რომელიც ასევე მთლიანობაში აკონტროლებდა საწყობებში შესვლა-გასვლას.

**გ. რუსეთის ფედერაციასა და დნესტრისპირეთს შორის არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის ურთიერთობები**

**1. რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე 1998 წლის 5 მაისს**

137. განმცხადებელთა მიერ სასამართლოსთვის წარმოდგენილი, პრესაში გამოქვეყნებული დაუთარილებელი განცხადებიდან რომელიც, არ გამხდარა სადავო მხარეების მიერ, ჩანს, რომ რუსეთის ფედერაციის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი აღიარებდა „დნესტრისპირეთის მარცხენა სანაპიროზე შექმნილი გაერთიანების ლეგიტიმურობას“.

138. დაუთარილებელ სატელევიზიო გამოსვლაში, რომელიც ასახა პრესამ, განმცხადებლებმა სასამართლოს წარუდგინეს და არ გამხდარა სადავო მხარეების მიერ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბ-ნმა ელცინმა განაცხადა: „რუსეთმა აღმოუჩინა დახმარება, ამჟამადაც მხარში უდგას და მომავალშიც დაეხმარება დნესტრისპირეთის რეგიონს“.

139. კონფლიქტის დამთავრების შემდეგ მე-14 არმიის უფროსი ოფიცრები მონაწილეობდნენ დნესტრისპირეთის საჯარო ცხოვრებაში. კერძოდ, მე-14 არმიის ჯარისკაცებმა მონაწილეობა მიიღეს დნესტრისპირეთის არჩევნებში, დნესტრისპირეთის სამხედრო აღლუმებში და სხვადასხვა საჯარო მოვლენებში. საქმეში არსებული დოკუმენტები და რამდენიმე მოწმის (რომლებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვანი იყვნენ და მათი ჩვენება მხარეებს სადავო არ გაუზღიათ) ჩვენებები წარმოაჩინეს, რომ 1993 წლის 11 სექტემბერს გენერალი ლებედი, როდ-ის სარდალი, არჩეული იქნა „მდრ“-ს უმაღლესი საბჭოს წევრად (იხ. დანართი: ბ-ნი ილაშკუ, პუნქტი 26, და ბ-ნი ურიტუ, პუნქტი 72; X, პუნქტი 220).

140. განმცხადებელთა მტკიცებით, რუსეთის ფედერაციის საკონსულო გაიხსნა დნესტრისპირეთში, როდ-ის ტერიტორიაზე, მოლდოვის მხარესთან და ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმების გარეშე. სხვადასხვა მოვლენები, მათ შორის, ხმის მიცემაც ხორციელდებოდა აღნიშნულ დაწესებულებაში.

რუსეთის მთავრობა უარყოფდა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე რუსეთის საკონსულოს მოქმედებას.

2004 წლის 27 თებერვალს მოლდოვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიშინიოვში რუსეთის ფედერაციის საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოლდოვის ხელისუფლება შეშფოთებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებმა გახსნეს 17 საარჩევნო უბანი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე 2004 წლის 17 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმების გარეშე და რომ ამგვარი ქმედებით შექმნეს არასასურველი პრეცედენტი. ნოტაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ადგილები, სადაც სასურველი იქნებოდა საარჩევნო უბნების გახსნა, იყო ტირასპოლში მდებარე როდ-ის შტაბბინა, ტიგინაში (ბენ-დერი) მდებარე სამშვიდობოების შტაბბინა და კიშინიოვში მდებარე რუსეთის საელჩო და მოძრავი საარჩევნო უბნები.

141. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლების მტკიცების გარდა არ არსებობს არავითარი მტკიცებულება ტირასპოლში რუსეთის საკონსულოს

არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც აწარმოებდა ჩვეულებრივ საკონსულტაციო ფუნქციებს და ღია იქნებოდა ყველა დნესტრისპირელისათვის, რომელსაც ჰქონდა ან სურველი ექნებოდა, მოეპოვებინა რუსეთის მოქალაქეობა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მოწმეს, რომლებმაც ჩვენება მისცეს მოლდოვაში, არ შეეძლო დაედგინებინა ხსენებული მტკიცება. შესაბამისი გამამყარებელი არგუმენტაციის უქონლობის პირობებში სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად ვერ მიიჩნევს, რომ რუსეთის საკონსულტაციო მუდმივად გახსნილია ტირასპოლში ყველა დნესტრისპირელისათვის, რომლებიც ფლობენ ან სურთ მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა.

მეორეს მხრივ, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ადგილზე არსებული საარჩევნო უბნები გახსნილი იყო დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ მოლდოვის ხელისუფლების ნებართვის გარეშე.

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ, პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებთან დაკავშირებით, რომლებიც ასახავდნენ რუსეთის ფედერაციის საკონსულტაციო არსებობას როდ-ის ტერიტორიაზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული სტატიები არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით. თუმცა რუსეთის მთავრობამ არ უარყო ასეთი დანესტრულულებების არსებობა. სასამართლოს მიაჩნია, რომ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე განთავსებული როდ-ის სპეციალური მდგომარეობის გათვალისწინებით გონივრულია, რომ პრაქტიკული მიზეზების გამო საკონსულტაციო უნდა გახსნილიყო როდ-ის ტერიტორიაზე, რათა რუს ჯარისკაცებს მისცემოდათ შესაძლებლობა, მოეგვარებინათ ის პრობლემები, რომლებსაც ზოგადად განიხილავს ხოლმე საკონსულტაციო.

142. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ 1992 წლის 12 მარტს რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა გახსნა რამდენიმე ანგარიში დნესტრისპირეთის ბანკში. მხარეები სადავოს არ ხდიან ხსენებული ინფორმაციის ნამდვილობას.

143. 1995 წლის 17 ნოემბრის №1334 დადგენილებაში რუსეთის ფედერაციის დუმამ დნესტრისპირეთი გამოაცხადა „რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ზონად“.

144. სხვადასხვა დროს რუსეთის ფედერაციის ცნობილი პოლიტიკოსები ადასტურებდნენ თავიანთ მხარდაჭერას დნესტრისპირეთისადმი. დუმის წარმომადგენლები და რუსეთის ფედერაციის სხვა ცნობილი პირები ჩადიოდნენ დნესტრისპირეთში და იქ მონაწილეობდნენ ოფიციალურ ღონისძიებებში.

თავის მხრივ, „მდრ“-ს რეჟიმის წარმომადგენლები ჩადიოდნენ ოფიციალური ვიზიტებით მოსკოვში, განსაკუთრებით ხშირად კი დუმას სტუმრობდნენ.

145. განმცხადებლები ასევე ამტკიცებდნენ, რომ კონფლიქტიდან რამდენიმე წლის შემდეგ დნესტრისპირეთის რეჟიმის შექმნისათვის რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საჯაროდ იქნა დადასტურებული სატელევიზიო პროგრამაში, რომელიც დაუდგენელ დღეს გავიდა რუსულ არხზე «ТВ Центр», სადაც ბ-ნი ვორონინისაგან, ბ-ნი სმირნოვისა და ბ-ნი ხაზბულატოვისაგან აიღეს ინტერვიუები. პროგრამის განმავლობაში ბ-ნი ხაზბულატოვი, რომელიც რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარე იყო 1991-1993 წლებში, აცხადებდა, რომ როდესაც ნათელი გახდა მოლდოვის მიერ რუსეთის გავლენის სფეროდან გასვლა, „იქ შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ანკლავი“. იმავე პროგრამაში ბ-ნმა ვორონინმა, მოლდოვის პრეზიდენტმა, განაცხადა, რომ რუსე-

თის ყოფილი პრეზიდენტი, ბ-ნი ელცინი, მხარს უჭერდა ბ-ნ სმირნოვს, რათა ეს უკანასკნელი გამოეყენებინა კომინიოვის დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ.

მხარეებს ხსენებული ფაქტი სადავო არ გაუხდიათ.

146. 1994 წლის 19 მაისს გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი, მე-14 არმიის ყოფილი სარდალი და „მდრ-ს თავდაცვისა და უშიშროების დეპარტამენტის“ ყოფილი ხელმძღვანელი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე გახდა.

147. 1997 წელს ბ-ნ მარაჩუტას, „მდრ-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს“, მიენიჭა რუსეთის მოქალაქეობა.

## 2. რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ

148. 1999 წელს რუსეთის მოქალაქეობა ბ-ნმა კარამანმა, „მდრ“-ს ერთ-ერთმა ლიდერმაც, მოიპოვა.

149. ბ-ნმა სმირნოვმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო 1997 წელს (რუსეთის მთავრობის თქმით) ან 1999 წელს (განმცხადებელთა თქმით).

150. განმცხადებელთა მტკიცებით, რაც მხარეებმა სადავო გახადეს, იარაღის ინდუსტრია წარმოადგენს დნესტრისპირეთის ერთ-ერთ დასაყრდენს, რასაც პირდაპირ მხარს უჭერენ რუსული ფირმები, რომლებიც ჩაბმულნი არიან დნესტრისპირეთში იარაღის წარმოებაში.

იური პინტეას მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად (იხ. წინამდებარე განაჩენის 118-ე პუნქტი), 1993 წლიდან მოყოლებული დნესტრისპირეთის იარაღის მწარმოებელმა ფირმებმა დაიწყეს სპეციალიზაცია მალალ ტექნოლოგიური იარაღის გამოშვებაში, რაც განხორციელდა რუსული კომპანიების დახმარებითა და ფინანსებით, მათ შორის რუსული იარაღის მწარმოებლისა და გამსაღებლის «Росвооружение» დახმარებით. რუსული კომპანიები დნესტრისპირეთის ფირმებს ამარაგებდნენ ტექნოლოგიითა და აღჭურვილობით, რომელიც მათ სჭირდებოდათ თანამედროვე იარაღისა და აღჭურვილობის დასამზადებლად. დნესტრისპირეთის ფირმები ასევე უშვებენ ნაწილებს რუსეთის იარაღის მწარმოებლებისათვის. მაგალითად, კომპანია „ელექტრომაში“ რუსეთის ფედერაციიდან იღებს ნაწილებს მაყუჩიანი პისტოლეტებისათვის, რომლებსაც იგი ამზადებს, და აწვდის ნაწილებს სხვადასხვა შეიარაღების სისტემებისათვის, რომლებიც შემდგომში იწეობა რუსეთის ფედერაციაში.

151. ბ-ნი პინტეას კვლევაზე მითითებით განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ „გაყვანის“ საფარველით როდ-ი ამარაგებდა დნესტრისპირეთის ფირმებს სამხედრო დანიშნულების ნაწილებითა და ხელსაწყოებით. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ კომპანია „რაბიტას საინჟინრო სამუშაოები“, რომელიც უშვებს 82 მმ-იან ნაღმმტყორცნებს, რეგულარულად იღებდა ნაღმმტყორცნებისა და ჰაუბიცების ტვირთს კოლბასნას როდ-ის საწყობებიდან, აღნიშნული ტვირთის სტატუსი კი იყო „არატრანსპორტაბელური აღჭურვილობის განადგურება“.

152. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სახეზე იყო ურთიერთდამოკიდებულება დნესტრისპირეთის ეკონომიკას და სხვა ინტერესებსა და როდ-ს შორის, იმ ფაქტის გამო, რომ როდ-ში დასაქმებული იყო დნესტრისპირეთის მაცხოვრებელთა ძალიან დიდი რაოდენობა.

ბ-ნი პინტეას იმავე კვლევის თანახმად, კოლბასნაში განთავსებული როდ-

ის შენაერთის (მათ შორის, საჭურვლის სანყოფის) ხელმძღვანელობის დაახლოებით 70% შედგებოდა რაბნიტას მცხოვრებთაგან, მაშინ, როდესაც კოლბასნას სანყოფის მომსახურე პერსონალის 100% (სანყოფის უფროსები, ტექნიკოსები და მექანიკოსები) რეგიონის მაცხოვრებლები იყვნენ.

ჯამში, როდ-ის ოფიცრების 50% და რეზერვის ოფიცრების 80% „მდრ“-ს მცხოვრებნი იყვნენ.

მხარეებს სადავო არ გაუხდიათ ხსენებული ინფორმაცია.

153. სახეზეა ასევე მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასა და დნესტრისპირეთს შორის მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების გვერდის ავლით: პატიმართა გადაცემა. დნესტრისპირეთში პატიმრობაში მყოფი რუსი პატიმრები გადაყვანილნი იქნენ რუსეთის ფედერაციაში სწორედ ასეთი თანამშრომლობის საფუძველზე (იხ. დანართი: პოლკოვნიკი გოლოვანიჩევი, პუნქტი 136, და ბ-ნი სერედა, პუნქტი 423).

154. პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებზე დაყრდნობით განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ გრძელდებოდა ოფიციალური ურთიერთვიზიტები რუსეთის ფედერაციასა და „მდრ“-ს შორის. 1999 წლის 16 თებერვალს დნესტრისპირეთის გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა „მდრ-ს უმაღლესი საბჭოს“ დელეგაციის (რომელშიც შედიოდნენ ბ-ნები კარამანი, ანტიუფეევი) ვიზიტის შესახებ რუსეთის ფედერაციის დუმაში. 2001 წლის 1 ივნისს დუმის 8 კაციანი დელეგაცია ჩავიდა ტირასპოლში და გაჩერდა იქ 2001 წლის 4 ივნისამდე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2001 წლის 28 აგვისტოსა და 2 სექტემბერს დუმის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს „მდრ“-ს დამოუკიდებლობის 10 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებულ იუბილეში.

155. რუსეთის ფედერაციამ „მდრ“-ს ლიდერები გამოჩინილი დამსახურებისათვის დააჯილდოვა ოფიციალური სიგელებით. განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ბ-ნი სმირნოვი მიწვეული იქნა მოსკოვში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

156. რუსეთის ფედერაციას უშუალო ურთიერთობა აქვს „მდრ“-სთან გაზის ექსპორტთან დაკავშირებით.

როგორც რუსეთის „გაზპრომის“ ჯგუფის თავმჯდომარის მიერ მოლდოვის ვიცე-პრემიერისათვის 2000 წლის 17 თებერვალს გაგზავნილი დეპეშიდან ჩანს, მოლდოვის გაზით მომარაგების ხელშეწყობა არ ეხება დნესტრისპირეთს, რომელსაც გაზი მიეწოდება ცალკე უფრო შეღავათიანი ფასებით, ვიდრე მოლდოვის სხვა ნაწილებს (იხ. დანართი, Y, პუნქტი 261; და ბ-ნი სანგჰელი, პუნქტი 268).

157. დნესტრისპირეთი ელექტროენერგიას პირდაპირ რუსეთის ფედერაციიდან იღებს.

158. დნესტრისპირეთში წარმოებული პროდუქციის ექსპორტირება ხდება რუსულ ბაზარზე და გარკვეული პროდუქტები სალდება, როგორც რუსული პროდუქტი (იხ. დანართი: გენერალი სერგეევი, პუნქტი 347).

160. რუსული კომპანიები მონაწილეობას იღებდნენ დნესტრისპირეთში გამართულ პრივატიზაციის პროცესში. განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ რუსულმა კომპანია „იტერამ“, მიუხედავად მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების პროტესტისა, შეისყიდა დნესტრისპირეთში მდებარე ყველაზე დიდი სანარმო, „რაბნიტას საინჟინრო სამუშაოები“.

161. უფრო მეტიც, 2002 წლის იანვარში მოლდოვის მთავრობამ წარუდგინა სასამართლოს ვიდეოკასეტა რუსეთ-მოლდოვურ ურთიერთობებთან და დნესტრისპირეთის რეჟიმთან დაკავშირებით რუსული სატელევიზიო პროგრამის ჩანაწერით. რუსი კომენტატორი პირველ რიგში ასხენებდა მეგობრულ ხელშეკრულებას, რომელიც ცოტა ხნის წინ დაიდო რუსეთის ფედერაციასა და მოლდოვის რესპუბლიკას შორის, სადაც მოსკოვი და კიშინიოვი გამოხდნენ „სეპარატიზმს, მის ყველა ფორმით გამოვლინებაში“ და კისრულობდნენ, „არ აღმოეჩინათ არავითარი დახმარება სეპარატისტული მოძრაობისათვის“. ჟურნალისტის თქმით, ხელშეკრულება არაორაზროვნად ადასტურებდა რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერას მოლდოვისადმი დნესტრისპირეთის კონფლიქტში. სიუჟეტის დანარჩენი ნაწილი ეხებოდა დნესტრისპირეთის ეკონომიკას, რომელზეც ნათქვამი იყო, რომ იგი მთლიანად სმირნოვის ოჯახის ზეგავლენას ექვემდებარება და შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს იარაღის წარმოება და ექსპორტი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ავღანეთი, პაკისტანი, ერაყი ან ჩეჩნეთი. პროგრამა იხურებოდა იმ ინფორმაციით, რომ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებმა დაახშეს ხსენებული პროგრამის გადაცემა „მდრ“-ს ტერიტორიაზე და ამის მიზეზად ცუდი ამინდი მიუთითეს.

#### **დ. ურთიერთობა მოლდოვა-დნესტრისპირეთს შორის**

##### *1. მოლდოვის მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე 1992 წლის 12 სექტემბერს*

162. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არასოდეს უღიარებიათ „მდრ“-ს ორგანოები სახელმწიფო ერთეულად.

163. 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმების შემდეგ მხარეებმა დაამყარეს ურთიერთობები კონფლიქტის მოგვარების მიზნით.

ურთიერთობა უმეტესწილად ხორციელდებოდა მოლაპარაკებისათვის განკუთვნილი კომიტეტის მეშვეობით და ეხებოდა დნესტრისპირეთის სტატუსის საკითხს და ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა საკითხის (ეკონომიკური, სოციალური და სხვ.) მოგვარებას.

164. მოწმეთა ჩვენებების თანახმად (იხ. ბ-ნი ურიტუ, პუნქტი 66; ბ-ნი პოსტოვანი, პუნქტი 182; Z, პუნქტი 272, ბ-ნი პლუგარუ, პუნქტი 286 და ბ-ნი ობროვი, პუნქტი 430), მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის პირველი შეხვედრა ეხებოდა ორივე მხარის 1992 წლის ბრძოლების დროს პატიმრობაში აყვანილი პირების გაცვლას. ხსენებული გაცვლები ძირითადად ეხებოდა პატიმართა ჯგუფებს.

165. რამდენიმე მოწმის ანალოგიური ჩვენების თანახმად (იხ. დანართი: ბ-ნი ურიტუ, პუნქტი 67, ბ-ნი სნეგური, პუნქტი 239; და ბ-ნი სტურზა, პუნქტი 311), 1992 წლის ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ კერძო პირებს და ოფიციალურ დელეგაციებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მოლაპარაკებებში, შეეძლოთ ჩასულიყვნენ დნესტრისპირეთში. ზოგჯერ ხდებოდა ხოლმე ინციდენტები, როდესაც დნესტრისპირეთის მესაზღვრეები არ უშვებდნენ მათ დნესტრისპირეთში.

166. როგორც კერძო პირებს, ექიმებს არანაირი პრობლემა არ გააჩნდათ დნესტრისპირეთში შესვლასთან დაკავშირებით, როგორც კონსულტა-

ციების გაცემის, ასევე პროფესიულ კონფერენციებზე დასწრების მიზნით (იხ. დანართი: ბ-ნი ტიბირნა, პუნქტი 84; და ბ-ნი ლესანუ, პუნქტი 66).

167. 1993 წლიდან მოყოლებული, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა დაიწყეს სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა კონკრეტული დნესტრის-პირელი თანამდებობის პირების წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სახელმწიფო თანამდებობის პირების სახელით და სტატუსით თაღლითურად სარგებლობაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 221-ე და 230-ე პუნქტები).

168. მიუხედავად ამისა, პირებმა, რომლებიც მოქმედებდნენ, როგორც „მდრ“-ს მაღალი თანამდებობის პირები, შეძლეს მოლდოვაში დაბრუნება და შემდგომში დაიკავეს მაღალი თანამდებობები. მაგალითად, ბ-ნ სიდოროვს, რომელიც იყო „მდრ“-ს იუსტიციის მინისტრი“ 1991 წელს, ეკავა რამდენიმე მაღალი სახელმწიფო თანამდებობა დნესტრისპირეთიდან დაბრუნების შემდეგ; იგი იყო მოლდოვის პარლამენტის წევრი 1994 - 1998 წლებში, მოლდოვის ომბუდსმენი 1998-2001 წლებში და მოლდოვის პარლამენტის წევრი და ადამიანის უფლებათა და უმცირესობათა კომიტეტის თავმჯდომარე 2001 წლიდან (იხ. დანართი: ბ-ნი სიდოროვი, პუნქტები 437-38).

169. 1996 წლის 7 თებერვალს, ეუთო-ს შუამავლების – რუსეთისა და უკრაინის – თანდასწრებით, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს ოქმი, რომლის თანახმადაც გაუქმდა დნესტრისპირეთის კუთვნილი სასაზღვრო-საბაჟო პოსტები.

## 2. მოლდოვის მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ

170. 1997 წლის შემდეგ მოძრაობა დნესტრისპირეთსა და მოლდოვის დანარჩენ მხარეებს შორის ხორციელდებოდა იმავე პირობებით, როგორც ადრე, ანუ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები ერთპიროვნულად იღებდნენ გადაწყვეტილებას გატარება-არგატარებასთან დაკავშირებით. როდესაც ოფიციალურ დელეგაციებს ან მოლდოველ მაღალჩინოსნებს სურდათ დნესტრის-პირეთში შესვლა, აუცილებელი იყო წინასწარ დაკავშირება და ნებართვის მოპოვება და ამ პირობებშიც ნებართვა შეიძლებოდა გაუქმებულიყო ნებისმიერ დროს (იხ. ბ-ნი სერედა, პუნქტი 418). მაგალითად, მოლდოვის მთავრობის განცხადებით, 2003 წელს, ევროკავშირის საბჭოს მიერ 2003 წლის თებერვალში იგორ სმირნოვისა და 16 სხვა დნესტრისპირელი ლიდერისათვის ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვის საპასუხო ნაბიჯის სახით, დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებმა *persona non grata*-დ გამოაცხადეს მოლდოვის ცალკეული მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის, მოლდოვის პრეზიდენტი, მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, იუსტიციის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი.

171. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ დნესტრისპირეთის ლიდერებს, მათ შორის, ბ-ნ სმირნოვს, ბ-ნ მარაცუტას და ბ-ნ კარამანს აქვთ მოლდოვის მოქალაქეობა და მოლდოვის დიპლომატიური პასპორტები. ამასთანავე, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოლდოვის მთავრობამ მათ ოფიციალური ჯილდოები მიანიჭა.

მოლდოვის მთავრობის მტკიცებით, დნესტრისპირელ ლიდერებს არ ჰქონდათ მოლდოვის მოქალაქეობა, რადგან მათ არასოდეს მოუთხოვიათ მოლდოვისათვის პირადობის მონმობები.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დელეგატების მიერ დაკითხული მოწმეები უარყოფდნენ, რომ რაიმე სახის მოლდოვური პირადობის დამადასტურებელი მოწმობა იქნა გაცემული ბ-ნი სმირნოვისთვის, ბ-ნი მარაცუტასა თუ ბ-ნი კარამანისთვის (იხ. დანართი, პუნქტი 396). განმცხადებელთა მტკიცების დამასაბუთებელი არგუმენტების არარსებობის პირობებში სასამართლოს მიაჩნია, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა არ არის დადგენილი, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა გასცეს პასპორტები დნესტრისპირეთის ლიდერებისთვის.

172. რამდენიმე მოლდოველი მაღალი თანამდებობის პირი, მათ შორის, ბ-ნი სტურზა, იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორის მოადგილე და 2000 წლის შემდგომ პერიოდში დნესტრისპირეთთან მოლაპარაკების კომიტეტის თავმჯდომარე, კვლავაც აგრძელებდა ვიზიტებს ტირასპოლში, რათა შეხვედროდა დნესტრისპირელ პოლიტიკოსებს, მათ შორის, ბ-ნი სმირნოვს, ბ-ნი მარაცუტას, „გენერალურ პროკურორს“ და „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს“. ხსენებულ შეხვედრებზე მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა განმცხადებელთა სიტუაცია და დნესტრისპირეთის მომავალი სტატუსი, მათ შორის, დნესტრისპირეთის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების სტატუსი (იხ. დანართი: ბ-ნი სტურზა, პუნქტი 312).

173. 2000 წლის 16 მაისს მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარემ ბ-ნმა დიაკოვმა მონახულა ბ-ნი ილაშკუ ტირასპოლში მდებარე ციხეში.

174. 2001 წლის 16 მაისს მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-ნმა ვორონინმა და დნესტრისპირეთის ლიდერმა ბ-ნმა სმირნოვმა ხელი მოაწერეს ორ შეთანხმებას — ერთი მათგანი ეხებოდა მოლდოვა-დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემულ დოკუმენტთა ორმხრივ აღიარებას, ხოლო მეორე — საგარეო ინვესტიციების მოზიდვას და დაცვას.

175. ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროსთან დაკავშირებით განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა გასცეს სერტიფიკატები პროდუქციის დნესტრისპირეთში დამზადება-წარმოშობაზე.

მოლდოვის მხარეს არ გაუქვთებია არავითარი კომენტარი ხსენებულთან დაკავშირებით.

176. რაც შეეხება მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების სავარაუდო ქმედებებს დნესტრისპირეთიდან ექსპორტირებული საქონლისათვის სერტიფიკატების მინიჭებასთან დაკავშირებით, როგორც ეს განმცხადებლებმა და რუსეთის მთავრობამ მიუთითეს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული ვარაუდი არ იქნა დადასტურებული რომელიმე მოწმის მიერ. საპირისპიროდ, ბ-ნმა სტრატანმა, საბაჟოს დირექტორმა, უარყო ხსენებული პრაქტიკის არსებობა (იხ. დანართი, პუნქტი 327).

ხსენებულ გარემოებებში, განმცხადებელთა მტკიცების დამასაბუთებელი რაიმე არგუმენტების არარსებობის პირობებში, სასამართლოს არ შეუძლია გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიიჩნიოს, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები ახორციელებდნენ დნესტრისპირეთის ხელისუფლებისა და ეკონომიკის მხარდამჭერ პოლიტიკას ზემოხსენებული საქსპორტო სერტიფიკატების გაცემით.

177. მოლდოვასა და „მდრ-ს პრეზიდენტს“ შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული თანამშრომლობის გარდა, როგორც



ეს სასამართლოს დელეგატების მიერ მოპოვებული მონმეთა ჩვენებებიდან ჩანს, მეტ-ნაკლებად არსებობს *de facto* ურთიერთობები მოლდოვისა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს შორის სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, დნესტრისპირეთის იუსტიციის სამინისტრო, კერძოდ კი სასჯელალსრულებითი სამსახური და მოლდოვის იუსტიციის სამინისტრო ახორციელებენ ურთიერთობას ერთმანეთთან (იხ. დანართი: ვიცე-პოლკოვნიკი სამსონოვი, პუნქტი 172). ასევე სახეზეა არაოფიციალური ურთიერთობები მოლდოვისა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს შორის მართლმსაჯულებისა და უშიშროების საკითხებში, დანაშაულის აღკვეთის ინტერესებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს რაიმე სახის შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით, მოლდოველი პროკურორები თუ სისხლის სამართლის საქმეების გამომძიებლები ზოგჯერ ურეკავენ თავიანთ „კოლეგებს“ დნესტრისპირეთში, კერძოდ, იმისათვის, რომ მოიპოვონ ინფორმაცია და გამოიძახონ მონმეები (იხ. დანართი: ბ-ნი პოსტოვანი, პუნქტი 190, და ბ-ნი კატანე, პუნქტი 206).

178. არსებობს მხოლოდ ერთიანი სატელეფონო სისტემა მოლდოვისათვის, მათ შორის, დნესტრისპირეთისთვისაც (იხ. დანართი: ბ-ნი მოლოჟენი, პუნქტი 398, და ბ-ნი სიდოროვი, პუნქტი 454).

179. მოლდოვის მთავრობის საინფორმაციო დეპარტამენტი გაცემს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს (პირადობის მოწმობებს) მოლდოვის ყველა მცხოვრებისთვის, მათ შორის იმათთვისაც, ვინც დნესტრისპირეთში ცხოვრობს (იხ. დანართი: ბ-ნი მოლოჟენი, პუნქტი 399).

180. 2001 წელს, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციასთან დადებული შეთანხმების თანახმად, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა შექმნეს შერეული მოლდოვა-უკრაინული საბაჟო პოსტები უკრაინასთან საზღვარზე და შემოიღეს ახალი საბაჟო ბეჭდები, რომლებზეც ხელი არ მიუწვდებოდათ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს. სასამართლოსათვის არც ერთ მხარეს არ მიუწოდებია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, კვლავ ფუნქციონირებს თუ არა მოლდოვა-უკრაინული საბაჟო პოსტები.

181. ზემოხსენებულ პუნქტში აღნიშნული ღონისძიებების საპასუხოდ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებმა 2001 წლის 18 სექტემბრის წერილით აცნობეს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს დნესტრისპირეთის სტატუსთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ და დაემუქრნენ დნესტრისპირეთზე გამავალი გაზისა და ელექტროენერგიის შეწყვეტა-შეჩერებით.

182. მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ 2001 წლის ინციდენტის დროს ტიგინას (ბენდერი) სარკინიგზო კვანძთან დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებმა დააკავეს 500 ვაგონი ჰუმანიტარული ტვირთი მოლდოვის ბავშვებისა და მოხუცებულებისათვის და ნავთობითა და სხვა მასალებით დატვირთული ვაგონები, რომლებიც ევროკავშირის ტერიტორიიდან მიდიოდა მოლდოვის ფირმების სახელზე.

183. 2002 წლის 6 თებერვალს საჯაროდ გაკეთებულ განცხადებაში მოლდოვაში ეუთო-ს მისიამ გააკრიტიკა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების ქმედებები; ამ ორგანოებმა 2002 წლის 16 იანვრიდან დაიწყეს ეუთო-ს

ნარმომადგენლებისათვის „მდრ“-ს ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა, რაც არ-  
ლვევდა ეუთო-სა და ბ-ნ სმირნოვს შორის 1993 წლის 26 აგვისტოს დადებულ  
შეთანხმებას.

184. მოლდოვის მთავრობის მიერ სასამართლოს წინაშე 2002 წლის 15  
მარტს ნარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2002 წლის 7 მარტის №40  
ბრძანებით „მდრ“-ს უშიშროების სამინისტრომ“ უარი განუცხადა მოლდოვის  
თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საინფორმაციო და უშიშ-  
როების სამსახურებისა და სხვა სამხედრო უწყებების წარმომადგენლებს  
„მდრ“-ს ტერიტორიაზე შესვლაზე.

185. და ბოლოს, ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში დნესტრისპირეთის  
გუნდებიც მონაწილეობენ და მოლდოვისა და ხსენებული გუნდების თამაში,  
მათ შორის, საერთაშორისო თამაშებიც, ყოველთვის იმართება ტირასპოლში,  
როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ნიდერლანდების წინააღმდეგ გამართული  
შეხვედრის შემთხვევაში 2003 წლის აპრილში (იხ. დანართი: ბ-ნი სიდოროვი,  
პუნქტი 454).

#### IV. საქმის კონკრეტული გარემოებები

186. ქვემოთ სასამართლო აჯამებს იმ ფაქტებს, რომლებიც დაკავშირე-  
ბულია განმცხადებელთა დაკავებასთან, წინასწარ პატიმრობასთან, მსჯავრდე-  
ბასთან და პატიმრობის პირობებთან, როგორც ამას ამტკიცებდნენ განმცხადე-  
ბლები და რაც დადასტურებულია დოკუმენტური მტკიცებულებებითა და  
მოწმეთა ჩვენებებით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 24 ოქტომბრის წერილობით კო-  
მენტარებში მოლდოვის მთავრობამ დაადასტურა განმცხადებელთა ვერსია მათ  
დაკავებასთან, მსჯავრდებასთან და პატიმრობის გარემოებებთან დაკავშირებით.  
იმავე კომენტარებში მოლდოვის მთავრობა მიანიშნებდა, რომ განმცხადებლები  
აშკარად დაკავებულნი იყვნენ სასამართლო ბრძანების გარეშე, ორი თვის გან-  
მავლობაში იმყოფებოდნენ მე-14 არმიის კუთვნილ ბაზაზე და მათი ჩხრეკა და  
ნივთების ჩამორთმევაც სასამართლო ბრძანების გარეშე განხორციელდა.

მოლდოვის მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელთა მტკიცება და მოვ-  
ლენების აღწერა მათი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით ჭეშმარიტებას  
შეესაბამებოდა.

187. რუსეთის მთავრობამ მიუთითა, რომ არ გააჩნდა არავითარი ინფორ-  
მაცია განმცხადებლების დაკავებასთან, მსჯავრდებასთან და პატიმრობის პი-  
რობებთან დაკავშირებით.

##### ა. განმცხადებელთა დაკავება, წინასწარი პატიმრობა და მსჯავრდება

###### 1. განმცხადებელთა დაკავება

188. განმცხადებლების, მათი მეუღლეებისა და ბ-ნი ურიტუს მიერ მიცე-  
მული ჩვენებებიდან, რომლებიც გამყარებულია ბ-ნი ტიმოშენკოს ზოგადი  
განცხადებებით, ჩანს, რომ განმცხადებლები დაკავებულნი იქნენ ტირასპოლში,  
საკუთარ საცხოვრებელ სახლებში, 1992 წლის 2 და 4 ივნისს. ისინი დააკავეს  
პირებმა, რომელთაგან ზოგიერთი ატარებდა სსრკ-ს მე-14 არმიის ფორმას,

დანარჩენები კი კომუფლიაჟს ამოსაცნობი ნიშნების გარეშე.

განმცხადებელთა დაკავების დეტალები შემდეგნაირად გამოიყურება:

189. მეორე განმცხადებელი, ბ-ნი ალექსანდრე ლემკო, დაკავებული იქნა 1992 წლის 2 ივნისს დილის 2:45 სთ-ზე. მეორე დღეს მისი სახლი გაჩხრიკეს მეზობლების თანდასწრებით.

190. პირველი განმცხადებელი, ილიე ილაშკუ, რომელიც იმ დროისათვის იყო სახალხო ფრონტის (მოლდოვის პარლამენტში წარმოდგენილი პარტია) ადგილობრივი ლიდერი და აწარმოებდა კამპანიას მოლდოვისა და რუმინეთის გაერთიანებისთვის, დაკავებული იქნა 1992 წლის 2 ივნისს დაახლოებით დილის 4:30 სთ-ზე, როდესაც ავტომატებით შეიარაღებული 10 თუ 12 პირი ძალის გამოყენებით შეიჭრა ტირასპოლში მდებარე მის სახლში, სადაც მათ ჩაატარეს ჩხრეკა და ამოიღეს გარკვეული საგნები. ამოღებულ საგნებს შორის იყო პისტოლეტი, რომელიც, განმცხადებლის მტკიცებით, მას იმავე პირებმა ჩაუდეს, რომლებმაც სახლი გაჩხრიკეს. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი დაკავება და სახლის ჩხრეკა ბრძანების გარეშე იყო განხორციელებული. მას აცნობეს, რომ იგი დაკავებული იქნა იმის გამო, რომ წარმოადგენდა სახალხო ფრონტის წევრს და საფრთხეს „მდრ“-სათვის, რომელიც იმ დროისათვის საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა მოლდოვასთან.

191. მესამე განმცხადებელი, ანდრეი ივანტოში, დააკავა 1992 წლის 2 ივნისს დილის 8 საათზე რამდენიმე პირმა, რომლებმაც მას უთავაზეს იარაღის კონდახები და ურტყეს. განმცხადებლის მტკიცებით, ამის შემდეგ განხორციელებული ჩხრეკის შედეგად მოხდა 50 000 რუბლის, რამდენიმე ხალიჩისა და „ლამაზი“ საათის კონფისკაცია.

192. მეოთხე განმცხადებელი, ტუდორ პეტროვ-პოპა, დააკავა 1992 წლის 4 ივნისს დილის 6:45 სთ-ზე ორმა პირმა, რომელთაგან ერთ-ერთი იყო პოლიციის ოფიცერი ვიქტორ გუსანი. დაახლოებით დილის 11 საათზე ორმა პროკურორმა, ბ-ნმა სტაროჯუკმა და ბ-ნმა გლაზურიმმა, გაჩხრიკა განმცხადებლის ბინა მის დაუსწრებლად.

193. 140 გვერდიან საბრალდებო დასკვნაში, რომელიც პროკურორმა სტაროჯუკმა შეადგინა, სხვა ბრალდებებს შორის განმცხადებლებს ბრალი ედებოდათ ანტისაბჭოთა ქმედებებში და უკანონო მეთოდებით დნესტრისპირეთის სახელმწიფოს ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც ისინი ახორციელებდნენ მოლდოვისა და რუმინეთის სახალხო ფრონტის მეშვეობით. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მათ ასევე ბრალი წაუყენეს რამდენიმე დასჯად დანაშაულში, რომელთაგან გარკვეული ქმედებები ისჯებოდა მოლდოვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, ხოლო ზოგიერთი ქმედება – მოლდავეთის სოციალისტური რესპუბლიკის კოდექსით. სხვა დანაშაულებს შორის განმცხადებლებს ბრალი ედებოდათ ორი დნესტრისპირელის – ბ-ნი გუსარისა და ბ-ნი ოსტაპენკოს – მკვლელობაში (იხ. ასევე წინამდებარე განაჩენის 225-ე პუნქტი).

194. როგორც ეს განმცხადებლებისა და სხვა მოწმეების თანმხვედრი განცხადებებიდან ჩანს (იხ. დანართი: ბ-ნი ურიტუ, პუნქტები 55-56, ქ-ნი ლემკო, პუნქტები 30-31, და ქ-ნი ივანტოში, პუნქტები 38 და 41), განმცხადებლები თავიდან წაიყვანეს ტირასპოლის პოლიციის შტაბბინაში, რომელიც ასევე წარმოადგენდა „მდრ“-ს უშიშროების სამინისტროს“ განთავსების ადგილს, სადაც

განმცხადებლებს რამდენიმე დღის განმავლობაში დაკითხვას უტარებდნენ. განმცხადებლებს დაკითხვას უტარებდნენ ვლადიმირ გორბოვი, „უშიშროების მინისტრის მოადგილე“, ვლადიმირ ანტიუფიევი (ანუ შვეცოვი), „მინისტრი“, და პირი სახელად გუშანი. ზოგიერთი მცველისა და გამომძიებელის უნიფორმა თუ ორიგინალი არ იყო, ძალიან ჰგავდა მე-14 არმიის პერსონალის ფორმებს. პოლიციის შტაბბინაში პატიმრობის პირველი დღეების განმავლობაში პატიმრებს რეგულარულად და სასტიკად სცემდნენ და ისინი პრაქტიკულად ვერ იღებდნენ ვერანაირ საკვებს თუ სასმელს. დაკითხვები ძირითადად მიმდინარეობდა ღამით, ხოლო დღის განმავლობაში მათ არ აძლევდნენ დასვენების უფლებას.

195. პირველი განმცხადებლის მტკიცებით, დაკავების შემდეგ იგი დაუყოვნებლივ წაიყვანეს „მდრ-ს უშიშროების სამინისტროში“, სადაც დახვდა 5 ადამიანი, რომლებიც გაეცნენ რუს პოლკოვნიკებად, კონტრდაზვერვის სამსახურის თანამშრომლებად. მათ მოსთხოვეს განმცხადებელს, გათავისუფლების სანაცვლოდ დნესტრისპირეთისათვის მოეხმარებინა ის ცოდნა, რომელიც მიიღო სსრკ-ს სპეციალურ ჯარებში სამხედრო სამსახურის დროს, და თავი გაესაღებინა რუმინეთის საიდუმლო სამსახურის აგენტად. განმცხადებლის მტკიცებით, როდესაც მან უარყო შემოთავაზება, უთხრეს, რომ მისთვის დარჩენილი ერთადერთი ალტერნატივა სასაფლაოა.

## 2. პირველი სამი განმცხადებლის პატიმრობა მე-14 არმიის ბაზაზე

196. დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პირველი სამი განმცხადებელი რუსული ამოსაცნობი ნიშნის მქონე ავტომობილებით გადაიყვანეს ცალ-ცალკე მე-14 არმიის გარნიზონის შტაბბინაში (კომენდატურაში) ტირასპოლში, სუვოროვის ქუჩაზე.

განმცხადებელთა მტკიცებით, მე-14 არმიის ტერიტორიაზე მათ ყარაულობდნენ იმავე არმიის ჯარისკაცები და მათი იქ ყოფნის განმავლობაში მოდიოდნენ დნესტრისპირეთის პოლიციის ოფიცრები, რათა მოენახლეებინათ ისინი საკნებში. განმცხადებელთა მტკიცებით, ამ დროის განმავლობაში მათ აწამებდა მე-14 არმიის პერსონალი.

მოლდოვის მთავრობის მტკიცებით, იმ ჩვენებების ქრილში, რომლებიც მისცეს მოლდოველმა მონაწილემ და ბ-ნმა ტიმოშენკომ სასამართლოს დელეგატებს, ნათელი იყო, რომ მე-14 არმიის პერსონალი მონაწილეობას იღებდა განმცხადებელთა დაკავებასა და დაკითხვაში.

2003 წლის 1 სექტემბერს წარმოდგენილ კომენტარებში რუსეთის მთავრობა იმეორებდა თავის თავდაპირველ პოზიციას, სახელდობრ იმას, რომ სასამართლოს არ გააჩნდა იურისდიქცია *ratione temporis*, რათა განეხილა 1992 წელს განხორციელებული მოვლენები.

მიუხედავად ამისა, არსებითი განხილვის დროს რუსეთის მთავრობამ აღიარა, რომ განმცხადებლები პატიმრობაში იმყოფებოდნენ მე-14 არმიის ტერიტორიაზე, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ხსენებული პატიმრობა ძალიან ცოტა ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და ნებისმიერ შემთხვევაში პატიმრობა უკანონო იყო. მთავრობა აცხადებდა, რომ სამხედრო პროკურორმა ტიმოშენკომ მაშინვე ბოლო მოუღო უკანონო პატიმრობას, როგორც კი ამის შესახებ მიიღო ინფორმა-

ცია. მთავრობამ არ გააკეთა კომენტარი იმ საკითხთან დაკავშირებით, იღებდნენ თუ არა რუსი ჯარისკაცები მონანილეობას განმცხადებელთა დაკავებაში.

მთავრობის მტკიცებით, გარდა საკნების უზრუნველყოფისა განმცხადებელთა პატიმრობისათვის, მე-14 არმიის პერსონალს არ ჩაუდენია არანაირი უკანონო ქმედება. კერძოდ, ისინი არ იცავდნენ იმ საკნებს, რომლებშიც განმცხადებლები იყვნენ. ხსენებულთან დაკავშირებით მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლებს არ შეეძლოთ დაენახათ მესაკნეთა უნიფორმაზე რუსეთისადმი კუთვნილების ნიშანი, რადგან რუსული ნიშნები, რომლებმაც შეცვალა საბჭოთა ნიშნები, შემოღებული იქნა მხოლოდ №2555 ბრძანებით, რომელიც 1994 წლის 28 ივლისს გამოსცა რუსეთის ფედერაციამ.

რუსეთის მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ პოლკოვნიკი გუსაროვი (იხ. ნინამდებარე განაჩენის 270-ე პუნქტი) არ მსახურობდა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე განთავსებულ სამხედრო შენაერთებში, იგი მსახურობდა „მდრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში“.

197. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი სამი განმცხადებლის მტკიცებით, ისინი ორი თვის განმავლობაში პატიმრობაში იმყოფებოდნენ მე-14 არმიის გარნიზონის შტაბბინაში (იხ. დანართი: ბ-ნი ილაშკუ, პუნქტები 2, 4 და 11; ბ-ნი ურიტუ, პუნქტები 55-56; ბ-ნი ივანტოში, პუნქტები 94-95; ბ-ნი ლეშკო, პუნქტები 114 და 117; ბ-ნი პეტროვ-პოპა, პუნქტი 124; ქ-ნი ლეშკო, პუნქტები 33-34; ქ-ნი ივანტოში, პუნქტი 39; და ქ-ნი პეტროვ-პოპა, პუნქტი 48).

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმის ჩვენებაში ბ-ნმა ტიმოშენკომ მიუთითა (იხ. დანართი, პუნქტი 381), რომ განმცხადებლები მე-14 არმიის კუთვნილ შენობაში დარჩნენ ძალიან ცოტა ხნის განმავლობაში, თუმცა ვერ შეძლო დაეკონკრეტებინა, თუ რამდენი ხანი გაგრძელდა ეს.

ბ-ნი ტიმოშენკოს ჩვენებაში (რომელსაც სასამართლო სინამდვილედ მიიჩნევს) ეჭვის შეტანის გარეშე, სასამართლო თვლის, რომ ჩვენება შეიცავს გარკვეულ დეტალებს, მათ შორის, დროის იმ მონაკვეთს, რომელიც განმცხადებლებმა გაატარეს მე-14 არმიის კუთვნილ შენობაში, რომლებიც ბუნდოვანია და, უფრო მეტიც, გაქარწყლებულია სხვა მტკიცებულებებით.

198. ტირასპოლის გარნიზონის შტაბბინას ხელმძღვანელობდა მიხაილ ბერგმანი. განმცხადებლები იქ პატიმრობაში იმყოფებოდნენ მხოლოდ ერთ საკანში. ბ-ნი გოდიაცი, რომელიც განმცხადებლებთან ერთად დააკავეს, პატიმრობაში იმყოფებოდა იმავე შენობაში. დაკითხვისას ან მათთან განხორციელებული ვიზიტებისას განმცხადებლები ხედავდნენ ბ-ნ გორბოვს და სხვა ოფიცრებს, რომელთაგან ზოგიერთი ატარებდა მე-14 არმიის ფორმას. მათ დაკითხვას აწარმოებდნენ განსაკუთრებულად ღამით და დაკითხვას თან სდევდა არასათანადო მოპყრობა. მათ სხვა დროსაც სცემდნენ. განმცხადებლებს რეგულარულად ურტყამდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ მე-14 არმიის უნიფორმებში ჩაცმული ჯარისკაცები. ზოგჯერ დნესტრისპირელი პოლიციის ოფიცრები მონანილეობას იღებდნენ განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპყრობაში.

ილიე ილაშკუ ოთხჯერ დაექვემდებარა იმიტირებულ სიკვდილით დასჯას. პირველად წაუკითხეს სიკვდილით დასჯის ბრძანება, მაგრამ შემდეგ რამდენჯერმე იგი გაიყვანეს თვალეზავიერი მინდორში, სადაც მესაკნეები ესროდნენ არასაბრძოლო ვაზნებს, სანამ განმცხადებელს გული არ წაუვიდოდა.

მეორე განმცხადებელს ემუქრებოდნენ გაუპატიურებით. ერთი თვის შემდეგ, მიღებული დაზიანებების შედეგად, მესამე განმცხადებელი მოთავსებული იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც დარჩა ერთი თვის განმავლობაში (იხ. დანართი: ბ-ნი ივანტოში, პუნქტი 97).

199. საკნებს არ ჰქონდა ტუალეტები, არ მოდიოდა წყალი და არ შემოდიოდა ბუნებრივი სინათლე. ყველა საკანში მუდმივად ენთო ელექტრონათურა. კედელზე მიმაგრებული გასაშლელი სანოლები ჩამოინეოდა შუალამისას და ისევ ზევით იწეოდა დილის 5 საათზე.

განმცხადებლებს დღეში ჰქონდათ მხოლოდ 15 წუთი სეირნობისათვის დახურულ სივრცეში. მე-14 არმიის გარნიზონის შტაბბინაში პატიმრობის პერიოდში მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დაებანათ ან ტანსაცმელი გამოეცვალათ.

ტუალეტები იყო კორიდორის გასწვრივ და პატიმრები იქ გაჰყავდათ ხოლმე მხოლოდ დღეში ერთხელ მცველების და გერმანული ნაგაზების თანხლებით. მათ ჰქონდათ მხოლოდ 45 წამი, რათა დაეკმაყოფილებინათ ბუნებრივი მოთხოვნილებები და იცოდნენ, რომ თუ ამ დროს გადააჭარბებდნენ, ძალს მიუქსევდნენ. რადგან ისინი ტუალეტში დღეში მხოლოდ ერთხელ გაჰყავდათ, ზემოხსენებულ პირობებში განმცხადებლები იძულებულნი იყვნენ, ბუნებრივი მოთხოვნილებები თავიანთ საკნებში დაეკმაყოფილებინათ ხოლმე (იხ. დანართი: ბ-ნი ივანტოში, პუნქტი 95, ბ-ნი ლეშკო, პუნქტი 115, ქ-ნი ლეშკო, პუნქტი 33, და ბ-ნი ივანტოში, პუნქტი 40).

განმცხადებლები მოწყვეტილნი იყვნენ გარე სამყაროს. მათი ოჯახების წევრებს არ ჰქონდათ უფლება, დაკავშირებოდნენ მათ ან შეეგზავნათ ამანათები. მათ არ შეეძლოთ გაეგზავნათ ან მიეღოთ წერილები და შეხვედროდნენ ადვოკატებს.

200. 1992 წლის 23 აგვისტოს, როდესაც გენერალი ლებედი სათავეში ჩაუდგა მე-14 არმიას, პირები, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ ტირასპოლის გარნიზონის არმიის შტაბბინაში, მათ შორის, სამი განმცხადებელი, გადაყვანილნი იქნენ ტირასპოლის პოლიციის შტაბბინაში. გადაყვანას ახორციელებდნენ მე-14 არმიის ჯარისკაცები მე-14 არმიის კუთვნილი მანქანებით (იხ. ბ-ნი ილაშკუ, პუნქტი 11, ბ-ნი ურიტუ, პუნქტი 55, და ქ-ნი ივანტოში, პუნქტი 39).

3. *ტირასპოლის პოლიციის შტაბბინაში გატარებული წინასწარი პატიმრობა და გადაყვანა ციხეში სასამართლო სამართალწარმოების მიმდინარეობის პერიოდში*

201. განმცხადებელთა პატიმრობის გარემოებები, როგორც აღწერილია წერილობით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მოწმეთა ჩვენებებში და გამყარებულია სხვა მოწმეთა ჩვენებებით (იხ. დანართი: ბ-ნი ურიტუ, პუნქტები 56 და 60-61, ქ-ნი ივანტოში, პუნქტი 41, და ქ-ნი ლეშკო, პუნქტები 30-31), შეჯამებულია ქვემოთ.

202. პირველი განმცხადებელი ტირასპოლის პოლიციის შტაბბინის საკანში რჩებოდა დაახლოებით 6 თვის განმავლობაში, 1993 წლის აპრილამდე, როდესაც დაიწყო მისი სასამართლო სამართალწარმოება.

203. მეორე განმცხადებელი გადაყვანილი იქნა ტირასპოლში მდებარე მე-14

არმიის გარნიზონის შტაბბინიდან ტირასპოლის პოლიციის შტაბბინაში, სადაც იგი რჩებოდა 1993 წლის აპრილამდე, როდესაც დაიწყო მისი სასამართლო სამართალწარმოება.

204. მესამე განმცხადებელი მე-14 არმიის გარნიზონის შტაბბინაში რჩებოდა ერთი თვის განმავლობაში. საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ იგი უკან იქნა წაყვანილი მე-14 არმიის გარნიზონის შტაბბინაში და დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი ტირასპოლის პოლიციის შტაბბინაში, სადაც პატიმრობაში იმყოფებოდა 1993 წლის აპრილამდე.

205. მეოთხე განმცხადებელი სასამართლო სამართალწარმოების დაწყებამდე რჩებოდა ტირასპოლის პოლიციის შტაბბინაში.

206. ტირასპოლის პოლიციის შტაბბინის წინასწარი დაკავების იზოლატორში დაკითხვა კვლავ ღამით ხდებოდა. განმცხადებლებს გამუდმებით სცემდნენ, განსაკუთრებით კი მე-14 არმიის გარნიზონის შტაბბინიდან მათი გადმოყვანის მომდევნო თვეს.

207. საკნებს არ ჰქონდა ბუნებრივი განათება. პირველი კვირის განმავლობაში მათ არ აძლევდნენ ოჯახის წევრებთან ან ადვოკატებთან შეხვედრის უფლებას. მოგვიანებით დისკრეციულ საწყისებზე მათ მისცეს უფლება, შეხვედროდნენ ოჯახის წევრებს და მიეღოთ ამანათები, რაც სავარაუდოდ არარეგულარული ინტერვალებით ხორციელდებოდა. მათ ძალიან ხშირად არ შეეძლოთ ეჭამათ ოჯახის მიერ გამოგზავნილი საჭმელი, რადგან ის ფუჭდებოდა უსაფრთხოების მიზნით ჩატარებული ჩხრეკისა და გასინჯვის დროს. მათ არ შეეძლოთ მიეღოთ ან გაეგზავნათ წერილები და შეხვედროდნენ თავიანთ ადვოკატებს.

208. ხსენებული პერიოდის განმავლობაში განმცხადებლებს მხოლოდ ძალიან იშვიათად შეეძლოთ ენახათ ექიმი; როდესაც მათ მიმართ იყენებდნენ არასათანადო მოპყრობას, ექიმების ვიზიტები დიდი ხნის შემდეგ ხორციელდებოდა ხოლმე.

ჰალუცინოგენმა წამლებმა, რომლებსაც ბ-ნ ივანტომს ასმევდნენ, დაავადეს იგი ქრონიკული შაკიკით. ხსენებული პერიოდის განმავლობაში მას არ მკურნალობდნენ თავის ტკივილის გამო, ხოლო მის ცოლს არ აძლევდნენ უფლებას, გაეგზავნა მისთვის წამლები.

209. ბ-ნმა ილაშკუმ პირველად შეძლო შეხვედროდა ადვოკატს 1992 წლის სექტემბერში, დაკავებიდან რამდენიმე თვის შემდეგ.

210. დაუდგენელ დღეს განმცხადებლები გადაყვანილნი იქნენ ტირასპოლის ციხეში მათი სასამართლო სამართალწარმოების მომზადების პროცესისათვის. სასამართლო სამართალწარმოების მიმდინარეობისას პატიმრობის დროს ისინი ექვემდებარებოდნენ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის სხვადასხვა ფორმას: მათ სასტიკად სცემდნენ, უქსევდნენ გერმანულ ნაგაზებს, ამყოფებდნენ განმარტოებით პატიმრობაში და ამარაგებდნენ ცრუ ინფორმაციით პოლიტიკურ სიტუაციასა და მათი ოჯახების წევრების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რათა ეიდულებინათ, გათავისუფლების სანაცვლოდ ხელი მოენერათ აღიარებაზე, ბოლოს კი აშინებდნენ სიკვდილით დასჯით.

211. ანდრეი ივანტომს და ტუდორ პეტროვ-პოპას ასმევდნენ ფსიქიატრიაში გამოყენებულ ნივთიერებებს, რის შედეგადაც ბ-ნი ივანტომში განიცდიდა სულიერ მოშლილობას.

#### 4. განმცხადებელთა სასამართლო სამართალწარმოება და მსჯავრდება

212. განმცხადებლები წარდგენილნი იქნენ „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს“ წინაშე, რომელიც სხდომებს მართავდა კიროვის სახელმწიფო კომპანიაში, მოგვიანებით კი ტირასპოლის კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში. სასამართლო სამართალწარმოების დროს, რომელიც დაიწყო 1993 წლის 21 აპრილს და დამთავრდა 1993 წლის 9 დეკემბერს, სასამართლო დარბაზში შესვლის უფლებამოსილება ჰქონდათ მხოლოდ მოლდოველებს, რომლებსაც გააჩნდათ დნესტრისპირეთში ცხოვრების უფლება. დარბაზში სცენის წინ იდგნენ შეიარაღებული პოლიციელები და ჯარისკაცები. განმცხადებლები სასამართლო პროცესებს ესწრებოდნენ და ჩაკეტილნი იყვნენ რკინის გალიებში. მონმეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სასამართლო სამართალწარმოებას დასწრებოდნენ სურვილისამებრ და რაიმე მოთხოვნის გარეშე დაეტოვებინათ დარბაზი, მაშინ, როდესაც სხვა მონმეები იძლეოდნენ ჩვენებას. სასამართლო სამართალწარმოებისას განმცხადებლებს რამდენიმეჯერ მისცეს უფლება, დალაპარაკებოდნენ თავიანთ ადვოკატებს მხოლოდ შეიარაღებული პოლიციელის თანდასწრებით. სასამართლო სამართალწარმოება მიმდინარეობდა დაძაბულ ატმოსფეროში, საზოგადოების მხრიდან განმცხადებლებისადმი სიძულვილის გამომხატველი პლაკატების ფონზე. როგორც ეს დასტურდება განმცხადებლების მიერ სასამართლოს რეგისტრატურის წინაშე წარდგენილი ფოტოებიდან, რომლებიც გადაღებული იყო სასამართლოს დარბაზში და გამოქვეყნდა მოლდოვურ გაზეთში; ერთ-ერთ პლაკატზე ეწერა: „ტერორისტებმა პასუხი უნდა აგონ“.

213. განმცხადებლებს ასამართლებდა სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია, რომელშიც შედიოდნენ ქ-ნი ივანოვა, მოლდოვის უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, თავმჯდომარე; ბ-ნი მიაზინი, სასამართლო სამართალწარმოების დროისათვის 28 წლის ასაკის, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა მოლდოვის გენერალურ პროკურატურაში „მდრ-ს უზენაეს სასამართლოში“ დანიშვნამდე, და ბ-ნი ზინინი.

214. განაჩენი ასახავს, რომ კომენდანტი მიხაილ ბერგმანი, როდ-ის ოფიცერი, გამოდიოდა მოწმედ. მან სასამართლოს მოახსენა, რომ მისი ქვეშევრდომები განმცხადებლებს არ ეპყრობოდნენ არასათანადოდ განმცხადებელთა მე-14 არმიის შენობაში ყოფნის დროს და რომ განმცხადებლებს არ გამოუხატავთ რაიმე სახის პრეტენზია.

215. სასამართლომ განაჩენი გამოიტანა 1993 წლის 9 დეკემბერს.

216. სასამართლომ პირველი განმცხადებელი ბრალეულად მიიჩნია რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, რომლებიც მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით იყო გათვალისწინებული, მათ შორის: ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის ნაქეზება (მუხლი 67), სახელმწიფოს წინააღმდეგ განსაკუთრებით საშიში დანაშაულების ჩადენის ორგანიზება (მუხლი 69), სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა ტერორის გაჩაღების მიზნით (მუხლი 63), განზრახ მკვლელობა (მუხლი 88), სატრანსპორტო საშუალების უკანონო გზით დაუფლება (მუხლი 182), სხვისი ქონების განზრახ განადგურება (მუხლი 127) და აღჭურვილობისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო ან უნებართვო გამოყენება



(მუხლი 227). სასამართლომ პირველ განმცხადებელს სიკვდილით დასჯა და ქონების ჩამორთმევა მიუსაჯა.

217. სასამართლომ მეორე განმცხადებელი ბრალეულად მიიჩნია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობაში ტერორის გაჩაღების მიზნით (მუხლი 63), სხვისი ქონების განზრახ განადგურებაში (მუხლი 127) და ასაფეთქებელი ნივთიერებების უნებართვო გამოყენებაში (მუხლი 227, პუნქტი 2). სასამართლომ განმცხადებელს მიუსაჯა 12 წლიანი პატიმრობა შრომაგასწორებით მკაცრ კოლონიაში და ქონების ჩამორთმევა.

218. მესამე განმცხადებელი ბრალეულად მიიჩნევს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობაში ტერორის გაჩაღების მიზნით (მუხლი 63), ასაფეთქებელი ნივთიერებების უნებართვო გამოყენებასა და ქურდობაში (მუხლი 227 და 227-1 პუნქტი 2), ცხენშებმული ურმის უკანონო დაუფლებაში (მუხლი 182 პუნქტი 3), სხვისი ქონების განზრახ განადგურებაში (მუხლი 127) და თავდასხმაში (მუხლი 96 პუნქტი 2). სასამართლომ მას მიუსაჯა 15 წლით პატიმრობა შრომაგასწორებით კოლონიაში და ქონების კონფისკაცია.

219. მეოთხე განმცხადებელი ბრალეულად ცნეს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობაში ტერორის გაჩაღების მიზნით (მუხლი 63), თავდასხმაში (მუხლი 96 პუნქტი 2), ცხენშებმული ურმის უკანონო დაუფლებაში (მუხლი 182 პუნქტი 3), სხვისი ქონების განზრახ განადგურებაში (მუხლი 127) და ასაფეთქებელი ნივთიერებების უნებართვო გამოყენებასა და ქურდობაში (მუხლი 227 და 227-1 პუნქტი 2). სასამართლომ მას მიუსაჯა 15 წლით პატიმრობა და ქონების კონფისკაცია.

## **ბ. განმცხადებელთა მსჯავრდების შემდეგ განვითარებული მოვლენები**

220. 1993 წლის 9 დეკემბერს მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ განმცხადებელთა მსჯავრდება უკანონო იყო იმ საფუძველზე, რომ არაკონსტიტუციური სასამართლოს მიერ იყო გამოტანილი.

221. 1993 წლის 28 დეკემბერს მოლდოვის გენერალური პროკურორის მოადგილემ ბრძანა სისხლის სამართალწარმოების აღძვრა იმ „მოსამართლეების“, „პროკურორებისა“ და სხვა პირების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ განმცხადებელთა წინააღმდეგ დნესტრისპირეთში განხორციელებულ გამოძიებაში. ხსენებულ პირებს ბრალი ედებოდათ მოლდოვის სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით გათვალისწინებული უკანონო დაკავების განხორციელებაში.

222. 1994 წლის 3 თებერვალს მოლდოვის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით განიხილა 1993 წლის 9 დეკემბერს „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს“ მიერ გამოტანილი განაჩენი, გააუქმა იგი იმ საფუძველზე, რომ გამოტანილი იყო არაკონსტიტუციური სასამართლოს მიერ და ბრძანა, საქმე გადასცემოდა მოლდოვის პროკურატურას ახალი გამოძიების წარსამართლავად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 93-ე მუხლის შესაბამისად. წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციიდან, კერძოდ კი მოლდოვის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან და 2003 წლის მარტში სასამართლოს მიერ კომინიოვში მოპოვებული მონმეტა ჩვენებებიდან ჩანს, რომ 1994 წლის 3 თებერვალს განაჩენში მითითებული გამოძიება არ დას-

რულებულა არავითარი შედეგით (იხ. დანართი: ბ-ნი პოსტოვანი, პუნქტი 184 -ე და ბ-ნი რუსუ, პუნქტი 302).

223. მოლდოვის უზენაესმა სასამართლომ ასევე გააუქმა განმცხადებელთა პატიმრობის ბრძანება, ბრძანა მათი გათავისუფლება და მოსთხოვა პროკურორს, განეხილა ე.წ. „მდრ-ს მოსამართლეების“ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი მათ მიერ განზრახ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანისათვის, დანაშაულისათვის, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე-192-ე მუხლებით.

224. „მდრ“-ს ხელისუფლების ორგანოებს არ უპასუხიათ 1994 წლის 3 თებერვლის განაჩენთან დაკავშირებით.

225. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა აღძრეს გამოძიება ბ-ნი გუ-სარისა და ბ-ნი ოსტაპენკოს სიკვდილთან დაკავშირებით 1992 წლის აპრილ-მაისში შესაბამისად, მაგრამ საგამოძიებო სამსახურებმა შეაჩერეს იგი 1994 წლის 6 ივნისს მოლდოვის სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დნესტრისპირეთის მართლმსაჯულებისა თუ პოლიციის ორგანოებთან რაიმე თანამშრომლობის გარეშე. გამოძიება განახლდა 2000 წლის 9 სექტემბერს. შედეგად თანამშრომლობასთან დაკავშირებული რამდენიმე მოთხოვნა (დოკუმენტების გადაცემისა) გაეგზავნა „მდრ-ს პროკურორს“ ბ-ნ ზახაროვს. ვერ მიიღეს რა ვერანაირი პასუხი, მოლდოვის საგამოძიებო ორგანოებმა კიდევ ერთხელ შეაჩერეს გამოძიება 2000 წლის 9 დეკემბერს. ამის შემდეგ გამოძიება აღარ განახლებულა.

226. 1995 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულებით მოლდოვის პრეზიდენტმა გამოსცა ამნისტიის კანონი მოლდოვის კონსტიტუციის საიუბილეო წლისთავთან დაკავშირებით. ამნისტია ეხებოდა 1990 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში დნესტრის მარცხენა სანაპიროზე სისხლის სამართლის კოდექსის 227, 227-1 და 227-2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში მსჯავრდებულ პირებს.

227. 1995 წლის 3 ოქტომბერს მოლდოვის პარლამენტმა თხოვნით მიმართა მთავრობას, პრიორიტეტულად განეხილა განმცხადებლების პატიმრობის პრობლემა როგორც პოლიტიკური ნიშნით პატიმრობაში მყოფი პირებისა და რეგულარულად ეცნობებინა პარლამენტისათვის სიტუაციის განვითარებისა და მიღებული ზომების შესახებ. პარლამენტმა ასევე მოსთხოვა საგარეო საქმეთა სამინისტროს, განმცხადებელთა („ილაშკუს ჯგუფის“) გათავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით მოუპოვებინა მყარი მხარდაჭერა იმ ქვეყნებისგან, სადაც მოლდოვას დიპლომატიური მისიები ჰქონდა.

228. პირველი განმცხადებელი, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პატიმრობაში იმყოფებოდა, არჩეული იქნა მოლდოვის პარლამენტის წევრად 1994 წლის 25 თებერვალს და ხელმეორედ 1998 წლის 22 მარტს, მაგრამ თავისუფლების შეზღუდვის გამო არ შესდგომია პარლამენტარის ფუნქციების შესრულებას.

229. 2000 წლის 16 აგვისტოს პროკურორმა ძალადაკარგულად გამოაცხადა 1993 წლის 28 დეკემბერის „მდრ-ს მოსამართლეებისა“ და „პროკურორების“ წინააღმდეგ გამოტანილი ბრძანება (იხ. წინამდებარე განაჩენის 221-ე პუნქტი), იმის საფუძველზე, რომ სახეზე შესაძლოა ყოფილიყო მხრობის სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე და 192-ე მუხლებით გათვალისწინებული თავისუფლების უკანონო აღკვეთა, როდესაც შესაბამისი ღონისძიება იქნა განხორციელებული მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ

მოლდოვის კანონმდებლობის შესაბამისად, რაც წინამდებარე შემთხვევაში ასე არ იყო. პროკურორი ასევე აცხადებდა, რომ, მისი აზრით, მიზანშეწონილი არ იყო გამოძიების დაწყება თაღლითური გზით პატიმრობაში მოთავსებასთან ან ძალაუფლების უზურპაციასთან თუ ოფიციალური პირის სტატუსის მითვისებასთან დაკავშირებით, რაც დანაშაულის სახით გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე და 207-ე მუხლებით შესაბამისად, იმის საფუძველზე, რომ გამოძიება ხანდაზმული იყო და ეჭვმიტანილი დამნაშავეები უარს აცხადებდნენ, დახმარება გაენიათ ხელისუფლების ორგანოებისათვის წარმოებულ მოკვლევაში.

230. იმავე დღეს პროკურორმა აღძრა გამოძიება ჰლინაიას ციხის უფროსის წინააღმდეგ, უკანონო პატიმრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლის ან ანალოგიური ძალაუფლების უზურპირების ბრალდებით, დანაშაულისა, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე და 207-ე მუხლებით. მოლდოვის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და კიშინიოვში 2003 წელს სასამართლოს მიერ დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ხსენებული გამოძიება არ დამთავრებულა არავითარი შედეგით (იხ. დანართი: ბ-ნი რუსუ, პუნქტი 302, და ბ-ნი სტურზა, პუნქტი 314).

231. 2000 წლის 4 ოქტომბერს, ბ-ნი ილაშკუს მოთხოვნით, რუმინეთის ხელისუფლების ორგანოებმა მას რუმინეთის მოქალაქეობა მიანიჭეს №21/1991 კანონის თანახმად.

232. 2000 წლის 26 ნოემბერს ბ-ნი ილაშკუ არჩეული იქნა რუმინეთის პარლამენტის მე-2 პალატაში. განაცხადა რა უარი მოლდოვის მოქალაქეობასა და მოლდოვის პარლამენტის წევრობაზე, მან უფლებამოსილება მოიხსნა 2000 წლის 4 ოქტომბერს.

233. 2001 წელს ბ-ნი ივანტოშა და ბ-ნი ლეშკოს მათი თხოვნის საფუძველზე ასევე მიენიჭათ რუმინეთის მოქალაქეობა.

234. 2001 წლის 5 მაისს ბ-ნი ილაშკუ გათავისუფლებული იქნა. მისი გათავისუფლების გარემოებები, რომლებიც სადავო შეიქმნა, შეჯამებულია წინამდებარე განაჩენის 279-ე-282-ე პუნქტებში.

## **გ. განმცხადებელთა პატიმრობა მსჯავრდების შემდეგ**

235. პირველი განმცხადებელი, ბ-ნი ილაშკუ, პატიმრობაში იმყოფებოდა ტირასპოლის №2 საპრობილემში 1993 წლის 9 დეკემბერს მის მსჯავრდებამდე. შემდგომში იგი გადაყვანილი იქნა ჰლინაიას საპრობილის იმ ნაწილში, რომელიც განკუთვნილი იყო სიკვდილისჯილთათვის, და რჩებოდა იქ 1998 წლის ივლისამდე, როდესაც იგი კვლავ გადაიყვანეს ტირასპოლის №2 საპრობილემში. იგი რჩებოდა იქ 2001 წლის მაისში გათავისუფლებამდე.

236. ბ-ნი ალექსანდრუ ლეშკო სასამართლო განხილვის შემდეგ გადაყვანილი იქნა ტირასპოლის №2 საპრობილემში, სადაც ამჟამადაც პატიმრობაში რჩება.

237. ანდრეი ივანტოში მსჯავრდების შემდეგ გადაყვანილი იქნა ჰლინაიას საპრობილემში, სადაც იგი სავარაუდოდ დარჩა მხოლოდ რამდენიმე კვირის განმავლობაში. ავადმყოფობის გამო თავიდან იგი დააწვინეს საავადმყოფოში და მხოლოდ შემდეგ გადაიყვანეს ტირასპოლის №2 საპრობილემში, სადაც იგი დღემდე რჩება.

238. ბ-ნი ტუდორ პეტროვ-პოპა სასამართლო განხილვის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გადაყვანილი იქნა ტირასპოლის №2 საპრობილეში. 2001 წლის მაისში ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლებიდან გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ ბ-ნი პეტროვ-პოპა გადაყვანილი იქნა ჰლინაიას საპრობილეში, სადაც იგი რჩებოდა 2003 წლის 4 ივნისამდე, როდესაც იგი გადაიყვანეს ტირასპოლის №3 საპრობილეში, ციხის ადმინისტრაციის თქმით, „ადვოკატთან ურთიერთობის გაადვილების მიზნით“.

239. განმცხადებელთა დაკავებიდან პირველი თვეების განმავლობაში მოლდოვის მთავრობა ფინანსურ დახმარებას უწევდა მათ ოჯახებს. გარდა ამისა, ხელისუფლების ორგანოებმა მოიძიეს საცხოვრებელი ფართი იმ განმცხადებელთა ოჯახებისათვის, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ დნესტრისპირეთი, ზოგჯერ კი სხვა სახის დახმარებასაც უწევდნენ, პირველ რიგში, განმცხადებლებთან შესახვედრად მანქანების გამოყოფის მეშვეობით, აგრეთვე, განმცხადებელთა პატიმრობის პირობების გასაუმჯობესებლად მათთვის ექიმებისა და გაზეთების გაგზავნის გზით (იხ. დანართი: ბ-ნი სნეგური, პუნქტი 240, ბ-ნი მოსანუ, პუნქტი 248, და ბ-ნი სანგჰელი, პუნქტი 267).

### 1. პატიმრობის პირობები

240. განმცხადებლები პატიმრობაში იმყოფებოდნენ, გარდა ძალიან მცირე პერიოდისა, განმარტოებით, თითოეული თავის საკუთარ საკანში, გარდა ბ-ნი ლეშკოსი, რომელიც განმარტოებით პატიმრობაში იმყოფებოდა მხოლოდ პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში.

ბ-ნი ილაშკუ მუდმივად განმარტოებით პატიმრობაში იმყოფებოდა. მას არ ჰქონდა უფლება, გაეგზავნა და მიეღო კორესპონდენცია, მაგრამ მანაც ახერხებდა საპრობილიდან რამდენიმე წერილის გაგზავნას.

241. ჰლინაიას საპრობილეში ბ-ნი ილაშკუ პატიმრობაში იმყოფებოდა სიკვდილისჯილთათვის განკუთვნილ ფლიგელში. მისი პატიმრობის პირობები უფრო აუტანელი იყო, ვიდრე სხვა განმცხადებლებისა. მის საკანში იყო საკნისავე მოცულობის რკინის გალია. გალიაში მოთავსებული იყო სანოლი და მაგიდა, რომლებიც ასევე რკინისაგან იყო გაკეთებული.

ბ-ნი ილაშკუს ეკრძალებოდა დალაპარაკება სხვა პატიმრებთან ან მესაკნეებთან, ამიტომ იგი მარტო გაჰყავდათ ხოლმე ყოველდღიურ გასეირნებაზე სადამოობით დახურულ სივრცეში.

ბ-ნი ილაშკუს დღიურ რაციონს შეადგენდა 100 გრამი ქვავის პური დღეში სამჯერ და უშაქრო ჩაი დღეში ორჯერ. სადამოობით იგი ასევე იღებდა ე.წ. „ბალანდას“, რომელიც დაფხვნილი სიმინდისაგან მზადდება.

242. განმცხადებელთა საკანი არ ნათებოდა ბუნებრივი სინათლით: შუქის ერთადერთი წყარო იყო დერეფანში მდებარე ელექტრონათურა, რომლის შუქი თითოეულ საკანში შედიოდა კარის გაღება-დახურვისას.

243. განმცხადებლებს მხოლოდ ძალიან იშვიათად შეეძლოთ შხაპის მიღება და რამდენიმე თვის განმავლობაში იყვნენ ხოლმე დაუბანელნი.

244. არც ერთი საკანი, რომელშიც ბ-ნი ილაშკუ იმყოფებოდა პატიმრობის პერიოდში, ზამთარშიც კი არ თბებოდა.

245. ჰლინაიასა და ტირასპოლის ციხეებში განმცხადებლებს ჰქონდათ

ცივი წყალი საკნებში, ხოლო ტუალეტები არ იყო გამოცალკევებული საკნის დანარჩენი ნაწილისაგან.

246. განმცხადებლებს შეეძლოთ მიეღოთ ამანათები და შეხვედროდნენ ოჯახის წევრებს, თუმცა ხსენებულთან დაკავშირებული შესაბამისი ნებართვა სისტემატურად არ გაიცემოდა ხოლმე ციხის მმართველების მიერ.

რამდენიმეჯერ ვიზიტებთან დაკავშირებული ნებართვის გაცემაზე უარი განაცხადეს იგორ სმირნოვმა და ვლადიმირ ანტიუფეევმა/შვეცოვმა.

247. რადგან ამანათები იჩხრიკებოდა, მათში მოთავსებული საჭმელი უვარგისი ხდებოდა ხოლმე. იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ არასაკმარისი რაოდენობის საჭმელი ეძლეოდათ, ხელისუფლების ორგანოები კი ზოგჯერ უარს ეუბნებოდნენ ოჯახის წევრების მიერ მიტანილი საჭმლის გადაცემაზე, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ საჭმელი ფუჭდებოდა შემონახვის პროცესში, განმცხადებლებმა რამდენიმეჯერ დაიწყეს შიმშილობა.

248. 1999 წელს ბ-ნი ილაშკუს ნება დართეს, შეხვედროდა ქ-ნ ჟოზეტე დურიეუს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრს, და ბ-ნი ვასილე სტურზას, დნესტრისპირეთთან მოლაპარაკების კომიტეტის თავმჯდომარეს.

249. 1999 წლის მარტში მოლდოვის პარლამენტისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც ეხებოდა მოლდოვის სამთავრობო კრიზისს, ბ-ნი ილაშკუ მხარდაჭერას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით უცხადებდა ბ-ნი იონ სტურზას. პრეზიდენტმა მისი წერილი გაახმაურა და საშუალება მისცა პარლამენტს, შეეგროვებინა ხმების უმრავლესობა, რათა ბ-ნი სტურზა დანიშნულიყო პრემიერ-მინისტრად.

1999 წელს სტურზას მთავრობისადმი სიმპათიის გამოხატვის შემდეგ და ამ მთავრობის ცხრათვიანი არსებობის დროს ბ-ნი ილაშკუს არ მისცეს ნება, შეხვედროდა თავისი ოჯახის რომელიმე წევრს ან მიეღო რაიმე სახის ამანათი. ასეთივე შეზღუდვებს დაექვემდებარნენ სხვა განმცხადებლებიც, განსაკუთრებით კი ბ-ნი ივანტოში.

250. სასამართლოსადმი 1999 წლის 14 მაისს მიწერილ წერილში ბ-ნი ივანტოში წერდა, რომ ბ-ნი ილაშკუს პარლამენტისადმი გაგზავნილ წერილს მოჰყვა განმცხადებელთა, განსაკუთრებით კი ბ-ნი ილაშკუს პატიმრობის პირობების გაუარესება.

251. 1999 წლის 17 ივლისით დათარიღებულ წერილში ბ-ნი ივანტოში ატყობინებდა საზოგადოებას, რომ პროტესტის ნიშნად დაიწყო შიმშილობა იმ პირობების გამო, რომლებშიც ის და მისი მეგობრები იმყოფებოდნენ. იგი აღნიშნავდა, მაგალითად, რომ არ შეეძლო დაკავშირებოდა ადვოკატს და უფლებას არ აძლევდნენ, შეხვედროდა ექიმებს ან ნითელი ჯვრის წარმომადგენლებს. იგი ამტკიცებდა, რომ მოლდოვის ხელისუფლების პასიურობა დნესტრისპირეთში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, კერძოდ კი ილაშკუს ჯგუფთან მიმართებაში, წარმოადგენდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების მიმართ დუმილით გამოხატულ მხარდაჭერას.

252. 1999 წლის 29 ივლისის წერილობით განცხადებაში ბ-ნი ივანტოში, რომელიც 77 დღე იყო, რაც შიმშილობდა, ბრალს უყენებდა კიშინიოვის ხელმძღვანელობას იმის გამო, რომ ის არაფერს აკეთებდა, რათა დაეცვა ადამიანის უფლებები მოლდოვაში და „კარგ დროს ატარებდა“ დნესტრისპირეთის სეპარატისტ ლიდერებთან ერთად. ბ-ნი ივანტოში ასევე გამოთქვამდა პრე-

ტენზიას ტირასპოლის ციხის ადმინისტრაციის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ მას და ბ-ნ ილაშკუს არ აძლევდნენ უფლებას, შეხვედროდნენ ექიმს, და აცხადებდა, რომ ბ-ნ ილაშკუს, რომელიც განმარტოებით იმყოფებოდა დიდი ხნის განმავლობაში, არასათანადოდ ეპყრობოდნენ. მისი საკნიდან გატანილი იქნა ყველანაირი სახის ავეჯი და ტანსაცმელი, გარდა თბილი ქურთუკისა, და მას გამუდმებით სცემდნენ „სპეციალური ჯარების“ წევრები, რომლებიც ურჩევდნენ, ჩაედინა თვითმკვლელობა.

253. 2000 წლის 10 მაისს სასამართლოსადმი მიწერილ წერილში ბ-ნი ილაშკუ აღნიშნავდა, რომ მას არ აძლევდნენ უფლებას, შეხვედროდა ექიმს 1997 წლიდან. ექიმებმა, რომლებიც ამ დროისათვის გამოგზავნეს კიბინიოვიდან, გასინჯეს ბ-ნი ილაშკუ და შეადგინეს დასკვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი სერიოზულს უწოდებდნენ. ზემოხსენებულ წერილში ბ-ნი ილაშკუ ბრალს სდებდა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს პირფერობასა და ორპირობაში და ამტკიცებდა, რომ, მიუხედავად მათი მონოდეტებისა განმცხადებლების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ისინი აკეთებდნენ ყველაფერს რაც შეეძლოთ, რათა ხელი შეეშალათ მათთვის თავისუფლების მოპოვებაში.

254. 2002 წლის 14 იანვარს განმცხადებელთა წარმომადგენელმა, ბ-ნმა დინუმ აცნობა სასამართლოს, რომ კარცერში მოთავსებული სამი განმცხადებლის პატიმრობის პირობები გაუარესდა 2001 წლის ივნისის შემდეგ. ბ-ნ ივანტოშს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აუკრძალეს ცოლთან შეხვედრა.

ბ-ნმა ივანტოშმა და ბ-ნმა ლეშკომ დაიწყეს მხოლოდ პურისა და წყლის მიღება. ბ-ნი პეტროვ-პოპა გადაყვანილი იქნა პლინაიას საპყრობილეში, სრული იზოლაციის პირობებში; მას განუცხადეს, რომ უფლებას არ დართავდნენ, შეხვედროდა ვინმეს 6 თვის განმავლობაში.

255. ბ-ნი ილაშკუს გარდა, განმცხადებლებს კორესპონდენციის წარმოების უფლებას აძლევდნენ მხოლოდ რუსულ ენაზე, რუმინულ ენაზე დაწერილი წერილები იკრძალებოდა. მათ წერილებს ამონებდნენ. მათ, როგორც წესი, არ შეეძლოთ მიეღოთ გაზეთები რუმინულ ენაზე.

256. ბ-ნ ივანტოშს აუკრძალეს ცოლთან შეხვედრა 2003 წლის 15 თებერვლიდან, თუმცა ერთი კვირის შემდეგ ვიზიტების ნებართვა განახლდა.

257. 2003 წლის მარტში სასამართლოს დელეგატების მიერ მოწმეთა დაკითხვაზე დნესტრისპირეთის ციხის ადმინისტრაციამ იკისრა ვალდებულება, ნება დაერთო განმცხადებელთა ადვოკატებისათვის, შეხვედროდნენ დნესტრისპირეთში მყოფ მათ კლიენტებს. ბ-ნმა ტანასემ შეძლო პირველად მოენახულებინა თავისი კლიენტი, ბ-ნი ლეშკო, დაუდგენელ დღეს, 2003 წლის მაისში თუ ივნისში. ბ-ნ გაბრინცვას შესაძლებლობა მიეცა, მოენახულებინა თავისი კლიენტები პირველად მათი კარცერში ჩასმის შემდეგ 2003 წლის 20 ივნისს.

258. მოწმეთა ჩვენებებსა და მის ხელთ არსებულ სხვა მტკიცებულებებზე (მათ შორის, სამედიცინო კონსულტაციების აღრიცხვის ყურნალზე, რომელიც ინახებოდა განმცხადებელთა პატიმრობის ადგილებში) დაყრდნობით სასამართლომ დაადგინა ის პირობები, რომლებშიც წარიმართებოდა ხოლმე განმცხადებელთა სამედიცინო შემოწმება.

259. სასამართლო ზოგადად აღნიშნავს, რომ პატიმრობის პერიოდში განმცხადებელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.

მათ შეეძლოთ მოთხოვნისამებრ შეხვედროდნენ ციხის ექიმს, რომელიც გასინჯვაში შემოიფარგლებოდა პალპაციითა და მოსმენით.

260. ალექსანდრე ლეშკოს, მიუხედავად იმისა, რომ იტანჯებოდა მწვავე ართრიტით, პანკრეატიტით და კბილის დაჩირქებით, ნებას არ აძლევდნენ, შეხვედროდა ექიმს. მას გაუშუარესდა მხედველობა.

261. თუმცა 1995 წელს ბ-ნი ლეშკო გადაყვანილი იქნა ტირასპოლში მდებარე საავადმყოფოში და მას გაუკეთეს პანკრეასის ოპერაცია.

262. რამდენიმე მცირე გამონაკლისის გარდა, განმცხადებლებს არ მკურნალობდნენ. მათ შეეძლოთ მხოლოდ მათი ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი წამლების მიღება. ციხის „ადმინისტრაცია“ ყერდნობოდა უსაფრთხოების მოტივს, როგორც საფუძველს განმცხადებლებისათვის იმ ფარმაცევტული საინფორმაციო ფურცლების ჩამორთმევისა, რომლებიც თან მოჰყვებოდა ხოლმე წამლებს.

263. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებთან მოლაპარაკებების, განსაკუთრებით კი პრეზიდენტ სნეგურის ჩარევის შემდეგ დნესტრისპირეთის ციხის ადმინისტრაციამ ნება დართო კიშინიოვიდან ჩამოსულ სპეციალისტებს, გაესინჯათ განმცხადებლები. ამგვარად, 1995 და 1999 წლებს შორის განმცხადებლები რამდენიმეჯერ გასინჯეს მოლდოვიდან ჩამოსულმა სამედიცინო კომისიებმა, რომლებიც შედგებოდა ბ-ნი ლესანისა და ბ-ნი ტიბრინასაგან. 1999 წელს ვიზიტები განხორციელდა იანვრიდან მარტამდე, შემდეგ კი ნოემბერში.

ბ-ნი ილაშკუს ერთხელ გადაუღეს კარდიოგრამა; ბ-ნი ივანტოშს ჩაუტარეს ოპერაცია ლვიძლზე; ბ-ნი პეტროვ-პოპას გაუკეთეს ტუბერკულოზის სანინააღმდეგო ინექცია და დაუნიშნეს მკურნალობა.

გასინჯვა ხდებოდა ციხის ექიმებისა და მესაკნეების თანდასწრებით. მოლდოველი ექიმების მიერ გამოწერილი წამლები, როგორც ეს ციხის სარეგისტრაციო ყურნალშია აღნიშნული, არ იქნა მოტანილი, და განმცხადებლები იღებდნენ მხოლოდ იმ წამლებს, რომლებსაც ოჯახის წევრები უგზავნიდნენ.

ორჯერ ბ-ნი ილაშკუს ნება დართეს, გასინჯულიყო წითელი ჯვრის ექიმებთან.

264. ბ-ნი პეტროვ-პოპა, რომელიც დაავადებული იყო ტუბერკულოზით, მკურნალობდა დაახლოებით 6 თვის განმავლობაში, 1999 წლის მარტამდე. თუმცა წამლების უმეტესობას მას ოჯახის წევრები უგზავნიდნენ.

265. არც ერთ განმცხადებელს არ შეეძლო მიეღო დიეტურად შესაფერისი საკვები, რომელიც ექიმებმა გამოუწერეს, ბ-ნი ილაშკუს საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ბ-ნი ივანტოშს ლვიძლის დაავადების გამო, ბ-ნი ლეშკოს პანკრეატიტის გამო და ბ-ნი პეტროვ-პოპას ტუბერკულოზის გამო.

ბ-ნიმა ლეშკომ, ბ-ნიმა ივანტოშმა და ბ-ნიმა პეტროვ-პოპამ განაცხადეს, რომ დაავადებულნი იყვნენ, შესაბამისად, პანკრეატიტით, ლვიძლის დაავადებითა და ტუბერკულოზით და ვერ იღებდნენ სათანადო მკურნალობას.

266. ბ-ნი პეტროვ-პოპა ახლა მოთავსებულია იმავე საკანში ჰლინაიას საპრობილემში, რომელშიც ბ-ნი ილაშკუ იყო გათავისუფლებამდე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სპეციალური ფლიგელი ციხეში ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. 2002 წელს დნესტრისპირეთის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ ბ-ნი პეტროვ-პოპას პირობები ჰლინაიას ციხეში გაუმჯობესდა, რადგან მას ნებას რთავენ, მიიღოს

დამატებითი ამანათები და სამით მეტი შეხვედრის უფლება მისცეს. ხსენებულ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ბრძანება გასცა ჰლინაიას ციხის მმართველმა განმცხადებლის კარგი საქციელის გამო.

## 2. არასათანადო მოპყრობა

267. ჰლინაიაში პატიმრობის პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში ბ-ნი ილაშკუ რამდენიმეჯერ აწამეს.

ძალიან მცირე მიზეზის გამო ბ-ნი ილაშკუ გადაჰყავდათ კარცერში.

268. ტირასპოლის №2 ციხეში გადაყვანის შემდეგ ბ-ნი ილაშკუს სიტუაცია ცოტა გაუმჯობესდა იმ მხრივ, რომ მას აღარ სჯიდნენ ისე ხშირად, როგორც ეს ჰლინაიას ციხეში ხდებოდა, და არასათანადოდ ეპყრობოდნენ მხოლოდ გარკვეული მოვლენების შემდეგ.

მაგალითად, პრესაში განმცხადებლების შესახებ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მესაქენები შევიდნენ ბ-ნი ილაშკუს და ბ-ნი ივანტოშის საკნებში და ჩამოართვეს ან გაანადგურეს ნაპოვნი ნივთები. მესაქენებმა სასტიკად ურტყეს განმცხადებლებს და 24 საათით მოათავსეს კარცერში.

269. ბ-ნი ილაშკუსა და ბ-ნი ივანტოშის საკნები კვლავ შეავიწროვეს მას შემდეგ, რაც ბ-ნმა ილაშკუმ მხარი დაუჭირა სტურზას მთავრობას, აგრეთვე, სასამართლოში განაცხადის შეტანის შემდეგ. განადგურებულ ნივთებში მოხვდა განმცხადებელთა შვილების სურათები და ხატები. მათ ასევე გამეტებით სცემეს.

სასამართლოს წინაშე განაცხადის წარდგენის შემდეგ ბ-ნი ილაშკუს ავტომატების კონდახები ურტყეს ჯარისკაცებმა. მერე მას ჩაუდეს პირში პისტოლეტი და ემუქრებოდნენ მოკვლით, თუკი ერთხელ კიდევ გაბედავდა წერილის გაგზავნას საპყრობილიდან. ხსენებული ინციდენტის შემდეგ ბ-ნმა ილაშკუმ კბილი დაკარგა.

270. 1999 წლის 14 მაისით დათარიღებულ ზემოხსენებულ წერილში ანდრეი ივანტოში აცხადებდა, რომ წინა დღეს ნილბიანი სამოქალაქო პირები შევიდნენ მის საკანში, ჩაარტყეს ჯოხი თავში, ზურგში, ღვიძლთან და რამდენიმეჯერ უთავაზეს გულმკერდის არეში. შემდეგ იგი გაათრიეს დერეფანში, სადაც დაინახა, როგორ არტყემევიდნენ პოლკოვნიკი გუსარევი ილიე ილაშკუს თავს კედელზე და როგორ ურტყამდა მას. პოლკოვნიკმა გუსარევი ბ-ნი ილაშკუს პირში პისტოლეტის ლულა ჩაუდო და ემუქრებოდა მოკვლით. პოლკოვნიკმა გუსარევიმ განუცხადა განმცხადებლებს, რომ ასეთი მოპყრობა განპირობებული იყო მათ მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადის შეტანით. იმავე წერილში ანდრეი ივანტოში დაჟინებით სთხოვდა მოლდოვის პარლამენტსა და მთავრობას, საერთაშორისო მედიასა და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, ჩარეულიყვნენ, რათა ბოლო მოეღოთ იმ წამებისათვის, რომელსაც თავად და დანარჩენი სამი განმცხადებელი ექვემდებარებოდნენ.

271. ხსენებული მოვლენების შემდეგ, როგორც ეს სასამართლოსათვის ბ-ნი ლეშკოს წარმომადგენლის მიერ 1999 წლის 1 სექტემბერს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, განმცხადებლებს უარი განუცხადეს საკვების მიწოდებაზე ორი დღის განმავლობაში და ჩაუქრეს სინათლე სამი დღის განმავლობაში.



272. ტირასპოლში ციხეში ბ-ნი ივანტომის საკანი რამდენიმეჯერ იქნა აწიოკებული 2002 წლის ნოემბერში და 2003 წლის 15 თებერვალს ან დაახლოებით ამ დროს.

**დ. 2001 წლის მაისამდე განმცხადებლების გათავისუფლებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები**

273. მოლაპარაკებები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციას შორის დნესტრისპირეთიდან რუსული ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით, რომელთა დროსაც დნესტრისპირეთის საკითხის გადაჭრაც იქნა ნახსენები, არასოდეს შეხებია განმცხადებელთა სიტუაციას. თუმცა მოლდოვისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის წარმოებული მსჯელობების დროს მხარეები მუდმივად წამოწვედნენ ხოლმე განმცხადებელთა გათავისუფლების საკითხს (იხ. დანართი: Y, პუნქტი 254).

274. დნესტრისპირეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი მსჯავრდების საფუძველზე დნესტრისპირეთში პატიმრობაში მყოფი ყველა პირის შეწყალების განხილვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით დნესტრისპირეთის მხარის მიერ კომისიის შექმნის თაობაზე (იხ. ბ-ნი სტურზა, პუნქტები 309 და 311) მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა მოიპოვეს დაპირება, რომ განმცხადებლებს გაათავისუფლებდნენ. ხსენებულ კონტექსტში მოლდოვის გენერალური პროკურორის მოადგილე, ბ-ნი სტურზა, რამდენიმეჯერ ჩავიდა ტირასპოლში, რათა გაემართა მოლაპარაკება განმცხადებელთა გათავისუფლებასთან დაკავშირებით, სულ მცირე კი ბ-ნი ილაშკუსთან შეხვედრის თაობაზე 1996 წელს ჰლინაიას საპყრობილეში.

ბ-ნი სტურზა ბოლოს ტირასპოლში ჩავიდა 2001 წლის 16 აპრილს, რათა განმცხადებლები კომინიოვში ჩამოეყვანა, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ 2001 წლის 5 მაისს იქნა ბ-ნი ილაშკუ გათავისუფლებული (იხ. წინამდებარე განაჩენის 279-ე პუნქტი).

275. 2001 წლის 23 თებერვლის წერილში მოლდოვის პრეზიდენტმა, ბ-ნმა ლუკინსჩიმ, და მოლდოვაში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა, ბ-ნმა ჰილმა თხოვნით მიმართეს ბ-ნი სმირნოვს, გაეთავისუფლებინა განმცხადებლები ჰუმანური მოსაზრებებით.

276. 2001 წლის 12 აპრილს მოლდოვის ახალმა პრეზიდენტმა, ბ-ნმა ვორონიჩმა, კვლავ მიმართა ბ-ნი სმირნოვს თხოვნით, გაეთავისუფლებინა განმცხადებლები ჰუმანური მოსაზრებებით.

277. დნესტრისპირეთის მხარესთან მოლაპარაკებების დაწყებიდან მოლდოვის ხელისუფლება რეგულარულად ამახვილებდა ყურადღებას განმცხადებელთა სიტუაციაზე. კერძოდ, ხსენებულთან დაკავშირებით მსჯელობა მიმდინარეობდა „მდრ-ს პროკურატურის“, „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს“ წარმომადგენლებთან, „მდრ-ს იუსტიციის მინისტრთან“ და იგორ სმირნოვთან.

278. განმცხადებლებმა სასამართლოს წარუდგინეს 2001 წლის 19 აპრილით დათარიღებული ზეპირი ნოტა მოსკოვში მოლდოვის საელჩოსადმი, რომელშიც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოლდოვის მთავრობის ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ მემორანდუმი, რომელიც წარდგენილი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი 2000 წლის

ოქტომბერში, წარმოაჩინდა რუსეთის სუბიექტურ როლს ილაშქუს ჯგუფთან დაკავშირებულ საქმეში და არანაირად არ ასახავდა „რუსეთის ფედერაციასა და მოლდოვას შორის არსებული ურთიერთობების მეგობრულ ხასიათს“. ნოტა შემდეგნაირად გრძელდებოდა:

*„ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ მემორანდუმის განხილვამ, რომელიც უნდა გაიმართოს ამა წლის 1 მაისს, შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს რუსეთის ფედერაციასა და მოლდოვას.“*

*ამ კონტექსტში რუსული მხარე, ეყრდნობა რა დიპლომატიურ სამსახურებს შორის მიღწეულ შეთანხმებას მემორანდუმის გამოთხოვნის საჭიროებასთან დაკავშირებით, დაჟინებით სთხოვს მოლდოვის მთავრობას, გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის 30 აპრილამდე უკან გათხოვა და ოფიციალურად აცნობოს ევროპულ სასამართლოს და რუსეთის წარმომადგენელს ხსენებულის შესახებ“.*

## **ე. ბ-ნი ილაშქუს გათავისუფლება 2001 წლის 5 მაისს**

279. ბ-ნი ილაშქუს განცხადებით, 2001 წლის 5 მაისს 5:30 სთ-ზე დნესტრისპირეთის „უშიშროების მინისტრი“, ვლადიმირ შევცოვი, რომელიც ასევე ცნობილია ანტიუფევის გვარით, შევიდა მის საკანში და უთხრა, სწრაფად ჩაეცვა, რადგან უნდა წარედგინათ „მდრ-ს პრეზიდენტის“ წინაშე. განმცხადებელმა ყველა თავისი პირადი ნივთი საკანში დატოვა და ორ ჯარისკაცზე ხელბორკილადებული ჩასვეს მანქანაში. ვლადიმირ შევცოვი ასევე ჩაჯდა მანქანაში. განმცხადებელი ჩაიყვანეს კიშინიოვში და პრეზიდენტის სასახლიდან 100 მეტრის დაშორებით გადასცეს მოლდოვის საიდუმლო სამსახურის უფროსს ბ-ნ პასატს. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ბ-ნმა შევცოვმა ბ-ნი პასატის გვერდით ხმამაღლა წაიკითხა მისი გადაცემის დოკუმენტი, რომელსაც შემდეგი შინაარსი ჰქონდა: „პატიმარი ილაშქუ, რომელსაც შეეფარდა სიკვდილით დასჯა, გადაეცა მოლდოვის კომპეტენტურ ორგანოებს“. დოკუმენტის გადაცემის შემდეგ ბ-ნმა შევცოვმა სავარაუდოდ განაცხადა, რომ სასჯელი ძალაში რჩებოდა და აღსრულდებოდა, თუკი ბ-ნი ილაშქუ დნესტრისპირეთში დაბრუნდებოდა.

ამის შემდეგ მოლდოვის სპეცსამსახურებმა განმცხადებელი წაიყვანეს უშიშროების სამინისტროში, სადაც გათავისუფლებამდე დაკითხეს.

280. 2001 წლის 22 ივნისს მოლდოვის მთავრობამ აცნობა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ვორონიჩმა ბ-ნი ილაშქუს გათავისუფლების შესახებ გაიგო წერილიდან, რომელიც მას გამოუგზავნა ბ-ნმა სმირნოვმა 2001 წლის 5 მაისს. ხსენებულ წერილში ბ-ნი სმირნოვი ითხოვდა, რომ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კეთილი ნების გამოვლენის სანაცვლოდ მოლდოვას დაეგმო „1992 წელს განხორციელებული აგრესია დნესტრისპირეთის ხალხის წინააღმდეგ“, მოეხდინა „მდრ“-ს მიერ აგრესიის შედეგად განცდილი მატერიალური ზიანის სრული ანაზღაურება და „ბოდიში მოეხადა დნესტრისპირელი ხალხისათვის მიყენებული ტყვილისა და ტანჯვისათვის“.

281. 2001 წლის 16 ნოემბრის წერილში მოლდოვის მთავრობამ სასამართ-

ლოს წარუდგინა „მდრ“-ს პრეზიდენტის ბ-ნი სმირნოვის მიერ ხელმოწერილი რამდენიმე ბრძანებულება.

1999 წლის ბრძანებულება №263 ეხებოდა 1999 წლის 1 სექტემბრიდან „მდრ“-ს ტერიტორიაზე სიკვდილით დასჯის განხორციელებაზე მორატორიუმის გამოცხადებას. მორატორიუმი ასევე გამოიყენებოდა იმ განაჩენებთან მიმართებაში, რომლებიც გამოტანილი იყო ხსენებულ დღემდე, მაგრამ არ იყო აღსრულებული ბრძანებულების ძალაში შესვლამდე, რაც ხელმოწერისა და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებისთანავე მოხდა. ბ-ნი სმირნოვის მიერ 2001 წლის 5 მაისს ხელმოწერილი ბრძანებულება №198 იწყალებდა ბ-ნი ილაშკუს და ბრძანებდა მის გათავისუფლებას. ბრძანებულება ძალაში შევიდა ხელმოწერის დღეს.

მოლდოვის მთავრობას არ გაუკეთებია კომენტარი ბ-ნი ილაშკუს სავარაუდოდ გადაყვანასთან დაკავშირებით, მან სასამართლოს წარუდგინა მხოლოდ განმცხადებელთან დაკავშირებული ბრძანებულება. მთავრობას არ გაუკეთებია ასევე კომენტარი ბრძანებულების ნამდვილობასთან დაკავშირებით. თუმცა მთავრობამ დაამატა, რომ ბრძანებულების ხელმოწერამდე ბ-ნმა სმირნოვმა სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეცვალა.

ბ-ნი ილაშკუ ამტკიცებდა, რომ ბ-ნი სმირნოვის ბრძანებულება იყო გაყალბებული მისი გათავისუფლების შემდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ, მისი გათავისუფლების მიუხედავად, მისი მსჯავრდება კვლავ ძალაში რჩებოდა და დნესტრისპირეთში დაბრუნების შემთხვევაში მის მიმართ ისევ იმოქმედებდა სასიკვდილო განაჩენი.

282. სასამართლოს გააჩნდა მხოლოდ ბ-ნი ილაშკუს მტკიცება, ბ-ნი სმირნოვის 2001 წლის 5 მაისის „ბრძანებულების“ ასლი და მოლდოვის მთავრობის მტკიცება სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით. არც ერთი ზემოხსენებული პოზიცია არ არის მხარეების მიერ გამყარებული სხვა მტკიცებულებებით და სასამართლოს არ შეუძლია დაინახოს რაიმე სახის ობიექტური ელემენტი, რათა ერთი ვერსია მეორესთან შედარებით უფრო სარწმუნოდ მიიღოს. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მის წინაშე ამჟამად წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, მას არ შეუძლია მივიდეს საბოლოო დასკვნამდე ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით.

### **ვ. 2001 წლის მაისის შემდეგ განმცხადებლების გათავისუფლების მიზნით გადადგმული ნაბიჯები**

283. ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლების შემდეგ ბ-ნი ლეშკოს წარმომადგენელმა სასამართლოს განუცხადა (2001 წლის 1 ივნისს მიღებულ წერილში), რომ ხსენებული გათავისუფლება განხორციელდა მხოლოდ დნესტრისპირეთის ხელისუფლების წინაშე რუსეთის ხელისუფლების ორგანოების შუამდგომლობის შედეგად. იგი ამტკიცებდა, რომ მოლდოვის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში მოლდოვის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბ-ნი ნიკოლაე ჩერნომაზი, აცხადებდა: „ილიე ილაშკუ გათავისუფლებული იქნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის შუამდგომლობის შედეგად; მოლდოვის პრეზიდენტის, ბ-ნი ვორონინის თხოვნით ივანოვი დაელაპარაკა ტირასპოლის ხელისუფლების ორგანოებს ხსენებულ საკითხზე და აუხსნა მათ, რომ ეს არის საერთაშორისო

ხასიათის პრობლემა, რომელიც ზეგავლენას ახდენს რუსეთის ფედერაციისა და მოლდოვის ღირსებაზე“. ბ-ნი ჩერნომაზი ამბობდა, რომ იგი შეხვდა ბ-ნ ივანოვს, რათა დაერწმუნებინა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი განაცხადის უკან გამოტანა ვერ მოხერხდებოდა, რადგან ბ-ნი ილაშკუ ე.წ. „მრწამსის პატიმარი“ და 1992 წლის კონფლიქტის მძევალი იყო“.

284. 2001 წლის 6 ივნისის მოსმენაზე მოლდოვის მთავრობამ მადლობა გადაუხადა მათ, ვინც ხელი შეუწყო ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლებას, კერძოდ კი რუსეთის ფედერაციას, და განაცხადა, რომ სურდა, შეეცვალა ის პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებული იყო 2000 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებულ, ადრე წარდგენილ კომენტარებში, სახელდობრ, რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობასთან მიმართებაში. ხსენებულ გადაწყვეტილებას მოლდოვის მთავრობა ხსნიდა სურვილით, თავიდან აეცილებინა არასასურველი შედეგები, როგორც არის ზენოლა ან დნესტრისპირეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებასთან დაკავშირებული პროცესის და სხვა განმცხადებლების გათავისუფლების პროცესის შეწყვეტა.

285. ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლების შემდეგ მასა და მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს შორის შედგა შეხვედრა დანარჩენი განმცხადებლების გათავისუფლების გზების საძიებლად.

2001 წლის 21 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-ნმა ვორონინმა განაცხადა: „ბ-ნი ილაშკუ არის ის პირი, რომელსაც არ ედარდება ტირასპოლში პატიმრობაში მყოფი მისი მეგობრები“. მან აღნიშნა, რომ შესთავაზა ბ-ნი ილაშკუს სასამართლოში რუსეთის ფედერაციისა და მოლდოვის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადის უკან გამოტანა და ამ შემთხვევაში 2001 წლის 19 ივნისს განმცხადებელთა გათავისუფლება, მაგრამ ბ-ნმა ილაშკუმ უარი განუცხადა. მოლდოვის პრესსააგენტო „ბასა-პრესის“ თანახმად, ბ-ნმა ვორონინმა ასევე მიანიშნა იმ ფაქტზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბ-ნი ილაშკუ მოიგებდა სასამართლოში წარდგენილ საქმეს, იგი უფრო გაართულებდა სხვა განმცხადებლების გათავისუფლების საკითხს.

## **ზ. საერთაშორისო რეაქცია განმცხადებელთა მსჯავრდებასა და პატიმრობასთან დაკავშირებით**

286. ეუთო-ს დემოკრატიული ორგანოებისა და ადამიანის უფლებების ოფისის თხოვნით ბ-ნი ანდრეი რუჰპლინსკის, ვარშავის სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებათა პროფესორის და ბ-ნი ფრედერიკ კვინის, ეუთო-ს წარმომადგენლის მიერ დაწერილ 1994 წლის 20 თებერვლის მოხსენებაში, რომელიც შედგა დნესტრისპირეთში განხორციელებული ფაქტების საგამოძიებო მისიის შემდგომ, განმცხადებლების სასამართლო პროცესი „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს“ წინაშე გაანალიზებული იქნა ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემის კუთხით. ავტორები აღნიშნავენ მოპასუხეთა უფლებების სერიოზულ დარღვევას, რაც მოიცავდა ადვოკატთან რაიმე კონტაქტის არარსებობას მათი დაკავებიდან პირველი ორი თვის განმავლობაში, ამის შემდეგ კი ძალიან შეზღუდულ დაშვებას ადვოკატებთან, მიუხედავად მისი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლების დარღვევას, იმ მიზეზის გამო, რომ სასამართლომ უარი განაცხადა, განეხილა განმცხადებლების მტკიცება, რომ მათი აღი-

არებითი ჩვენებები მიცემული იყო არაადამიანური მოპყრობის შედეგად, და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლების დარღვევას იმ მიზეზის გამო, რომ განმცხადებელთა სასამართლო პროცესი წარმართული იყო გამოწვევის პროცედურით, რაც უფლებას ართმევდა მათ, გაესაჩივრებინათ განაჩენი.

და ბოლოს, ავტორები სასამართლო პროცესს აღწერდნენ, როგორც „თავიდან ბოლომდე პოლიტიკურ მოვლენას“. ისინი ასკვნიდნენ, რომ ტერორიზმის ზოგიერთი ბრალდება, რომელიც განმცხადებლებს წარედგინათ საბჭოთა ეპოქის სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე, ახლანდელ დემოკრატიულ ქვეყნებში უბრალოდ თავისუფალ სიტყვად იქნებოდა მიჩნეული.

287. 1999 წლის 28 სექტემბერს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ და ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მიმართეს დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს, რათა მათ ნება დაერთოთ საერთაშორისო წითელი ჯვრისათვის, მოენახულებინა განმცხადებლები, და ასევე მოუწოდეს პატიმრობის პირობების დაუყოვნებლივ გაუქმობისკენ.

288. მოლდოვაში 2000 წლის 16-20 დეკემბრის ვიზიტის ფარგლებში 18 და 19 ოქტომბერს დნესტრისპირეთში ყოფნისას ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა თხოვნით მიმართა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს, ნება დაერთოთ მისთვის, მოენახულებინა ბ-ნი ილაშკუ, რათა შეემომხმებინა მისი პატიმრობის პირობები. ნებართვა არ იქნა გაცემული იმის საფუძველზე, რომ საკმარისი დროის უქონლობის გამო შეუძლებელი იყო შესაბამისი ნებართვის მოპოვება.

289. 2000 წლის ნოემბერში მოლდოვაში, მათ შორის, დნესტრისპირეთის რეგიონში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო კომიტეტმა გამოაქვეყნა მოხსენება. დნესტრისპირეთის საპყრობილებში არსებულ პირობებთან დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საკნები საშინლად არის გადავსებული პატიმრებით, გამოხატა შეშფოთება კონკრეტული პირების დიდი ხნის განმავლობაში განმარტოებით პატიმრობის პრაქტიკით და პატიმართა არასათანადო მკურნალობით, რომელიც ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრების სინამდვილეში საერთოდ არ უტარდებოდათ. შეშფოთება ეხებოდა ასევე შესაფერისი დიეტური საკვების არარსებობას.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნა, რომ დნესტრისპირეთის პენიტენციურ დაწესებულებებში სიტუაცია შორს იყო სასურველისაგან, განსაკუთრებით კი ჰლინაიას ციხეში, სადაც პატიმრობის პირობები ძალიან არასახარბიელო იყო: არასაკმარისი ვენტილაცია, არასაკმარისი ბუნებრივი სინათლე, არასაკმარისი სანიტარული სათავსოები და გადატვირთვა.

განმცხადებლების მდგომარეობასთან დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ილაშკუს ჯგუფის 3 წევრი 8 წლის განმავლობაში პატიმრობაში განმარტოებით იმყოფებოდა, რამაც გამოიღო საზიანო ფსიქოლოგიური შედეგები სულ მცირე ერთ-ერთი მათგანისათვის. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სიტყვებით, განმარტოებით პატიმრობა, გარკვეულ პირობებში, შეიძლება წარმოადგენდეს არაადამიანურ მოპყრობას, ხოლო განმარტოებით პატიმრობა ამდენი ხნის განმავლობაში აბსოლუტურად გაუმარ-

თლებელია. წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა თხოვნით მიმართა დნესტრი-სპირეთის ხელისუფლების ორგანოებს, ილაშკუს ჯგუფის სამი წევრისათვის, რომლებიც იმყოფებოდნენ განმარტოებით პატიმრობაში, შეემსუბუქებინათ პატიმრობის პირობები იმით, რომ მათ საშუალება ჰქონოდათ, წაეკითხათ გაზეთები არჩევანისამებრ და უზრუნველყოფილიყო მათი შეხვედრები ოჯახის წევრებსა და ადვოკატებთან.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციაში მყოფმა ექიმებმა შეძლეს გაესინჯათ ოთხი განმცხადებელიდან სამი, მათ შორის ბ-ნი ილაშკუ. მათ რეკომენდაცია გასცეს, რომ ამ უკანასკნელს მისცემოდა ავადმყოფობის შესაფერისი წამლები.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნა ცემის ფაქტები 1999 წლის მაისში, რომლებიც სავარაუდოდ განხორციელდა ილაშკუს ჯგუფის წევრების მიმართ ნილბიანი პირების მიერ ტირასპოლის ციხეში.

## V. საერთაშორისო სამართალი, ეროვნული სამართალი და სხვა შესაბამისი შეთანხმებები

290. 1991 წლის მინსკის შეთანხმების შესაბამისი დებულებები შემდეგნაირად იკითხება:

*„ჩვენ, ბელორუსიის, რუსეთის ფედერაციის (რსფსრ) და უკრაინის ხალხები, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დამფუძნებლები და 1922 წლის გაერთიანების ხელშეკრულების ხელმოწერნი, შემდგომში „მაღალი ხელშემკვერელი მხარეები“, აქვე ვაცხადებთ, რომ სსრკ, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა, აღარ არსებობს.*

*ჩვენი ხალხების ისტორიული ერთიანობისა და მათ შორის განვითარებული კავშირების საფუძველზე და მაღალ ხელშემკვერელ მხარეებს შორის ორმხრივი შეთანხმებების გათვალისწინებით,*

*გვსურს რა სამართლებრივად შემდგარი დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბება,*

*მივიღწვიოთ რა ჩვენი ურთიერთობის ურთიერთალიარებისა და სახელმწიფოების სუვერენიტეტის, თვითგამორკვევის უფლების, თანასწორობის პრინციპებისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის, ძალის გამოყენებისაგან და ზენოლისათვის ეკონომიკური თუ სხვა სახის საშუალებების გამოყენებისაგან თავშეკავების და სადავო საკითხების შეთანხმებით გადაჭრისაკენ და საერთაშორისო სამართლის სხვა ზოგადად აღიარებული პრინციპებისა და ნორმების პატივისცემის საფუძველზე,*

...

*ვადასტურებთ რა, რომ შევასრულებთ გაერო-ს წესდების პრინციპებს, პელსინკის საბოლოო აქტს და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის სხვა დოკუმენტებს,*

*ვკისრულობთ რა ვალდებულებას, დავემორჩილოთ ზოგადად აღიარე-*

ბულ საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც ეხება ადამიანისა და ხალხების უფლებებს,

შევთანხმდით შემდეგზე:

### **მუხლი 1**

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვქმნით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას.

...

### **მუხლი 6**

1. თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები ითანამშრომლებენ საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში და განახორციელებენ ეფექტურ ღონისძიებებს შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების შესამცირებლად...

2. მხარეები პატივისცემით მოეპყრობიან ერთმანეთის მცდელობას, გახდნენ ატომური იარაღისგან თავისუფალი ზონები და ნეიტრალური სახელმწიფოები.

3. თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები შეინარჩუნებენ და დარჩებიან ერთობლივი მმართველობის ქვეშ, საერთო სამხედრო და სტრატეგიულ სფეროდ, მათ შორის ატომურ იარაღზე ერთობლივი კონტროლით, რის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურა დარეგულირდება სპეციალური შეთანხმებით.

4. ისინი ასევე ერთობლივად უზრუნველყოფენ აუცილებელ პირობებს სტრატეგიული შეიარაღებული ძალების განთავსებისა და ფუნქციონირებისათვის და მატერიალური და სოციალური უსაფრთხოებისათვის.

### **მუხლი 12**

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, განახორციელონ მათზე იმ ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც ალებული იქნა სსრკ-ს მიერ“.

291. 1991 წლის 24 დეკემბერს სსრკ-ს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ელჩმა ი. ვორონცოვმა გაერო-ს გენერალურ მდივანს გადასცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ბორის ელცინის წერილი, რომელიც შემდეგნაირად იკითხებოდა:

„გაერო-ში, მათ შორის უშიშროების საბჭოში და გაერო-ს სისტემის სხვა ორგანოებსა და ორგანიზაციებში სსრკ-ს წევრობა გრძელდება რუსეთის ფედერაციის (რსფსრ) მიერ, რასაც მხარს უჭერენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრები. ხსენებულთან დაკავშირებით მე მოვითხოვ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „საბჭოთა სო-

ციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ ნაცვლად გამოყენებული იქნეს სახელი „რუსეთის ფედერაცია“. რუსეთის ფედერაცია კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას გაერო-ს წესდებით დაკისრებული სსრკ-ს უფლებებისა და ვალდებულებებისათვის, მათ შორის ფინანსური ვალდებულებებისათვის. გთხოვთ, წინამდებარე წერილი მიიჩნიოთ დადასტურებად ყველა იმ პირის უფლებისა, რომლებსაც ამ დროისათვის გააჩნიათ სსრკ-ს სტატუსი გაერო-ში, წარმოადგინონ რუსეთის ფედერაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.“

292. 1992 წლის 21 ივლისს მოლდოვის პრეზიდენტმა ბ-ნმა მირჩე სნე-გურმა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბ-ნმა ბორის ელცინმა მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ეხებოდა მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის გადაჭრის პრინციპებს. შეთანხმების თანახმად:

„მოლდოვის რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია,

სურთ რა მაქსიმალურად სწრაფად დაამყარონ ცეცხლის შეწყვეტა და გადაჭრან შეიარაღებული კონფლიქტი დნესტრისპირეთის რეგიონში,

ადასტურებენ რა პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დოკუმენტებში,

აღნიშნავენ რა, რომ 1992 წლის 3 ივლისს მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიაღწიეს შეთანხმებას პრინციპებთან დაკავშირებით,

თანხმდებიან შემდეგ ზე:

### მუხლი 1

1. კონფლიქტის მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გადადგან ყველა აუცილებელი ნაბიჯი ცეცხლის შეწყვეტის და მონინალმდეგე მხარის წინააღმდეგ ნებისმიერი შეიარაღებული ქმედების შეჩერების მიზნით.

2. ცეცხლის შეწყვეტისთანავე მხარეები გაიყვანენ ჯარებს, გაიტანენ იარაღსა და სამხედრო აღჭურვილობას 7 დღის განმავლობაში. ორივე მხარის ჯარების გაყვანა საშუალებას მოგვცემს, შეიქმნას უსაფრთხოების ზონა კონფლიქტის მხარეებს შორის. უსაფრთხოების ზონის ზუსტი საზღვრები განისაზღვრება წინამდებარე შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული სპეციალური ოქმით, რომელიც შეთანხმებული იქნება მხარეებს შორის.

### მუხლი 2

1. სპეციალურად შექმნილ კომისიას, რომელიც შედგება სამივე მხარის წარმომადგენლებისგან, დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ღონისძიე-



ბების განხორციელების შემონახვაზე, რომლებიც განსაზღვრულია პირველ მუხლში, და უსაფრთხოების ზონაში უსაფრთხოების რეჟიმის განხორციელების უზრუნველყოფაზე. ხსენებული მიზნისათვის კომისია ისარგებლებს სამხედრო დამკვირვებლების დახმარებით, რომლებიც წინა შეთანხმებებით, მათ შორის ოთხმხრივი შეთანხმებებით არიან გათვალისწინებული. საკონტროლო კომისია თავის სამუშაოს დაასრულებს წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 7 დღის ვადაში.

2. თითოეული მხარე დანიშნავს წევრს კომისიაში. საკონტროლო კომისია შეიკრიბება ბენდერში.

3. ზემოხსენებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით საკონტროლო კომისია თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანს მოხალისეთა კონტინგენტს, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე შეთანხმების განხორციელებაში მონაწილე მხარეებს. პოსტებს დაიკავებენ ხსენებული კონტინგენტის წევრები და მათი შეყვანა ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფისა და რეგიონში კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული იქნება საკონტროლო კომისიის მიერ, რომელმაც უნდა მიაღწიოს კონსენსუსს ხსენებულთან დაკავშირებით. სამხედრო კონტინგენტის მოცულობა, მისი სტატუსი და პირობები, შეყვანა და გაყვანა უსაფრთხოების ზონიდან განისაზღვრება ცალკე ოქმით.

4. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის შემთხვევაში საკონტროლო კომისია ჩაატარებს გამოძიებას და დაუყოვნებლივ გადადგამს აუცილებელ ნაბიჯებს მშვიდობისა და წესრიგის ხელახლა დასამყარებლად, განხორციელებს, აგრეთვე, შესაბამის ღონისძიებებს მომავალში დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

### მუხლი 3

როგორც საკონტროლო კომისიის ადგილსამყოფელი, და სიტუაციის სერიოზულობის გათვალისწინებით, ბენდერი არის ხსენებული რეგიონი, რომელიც ექვემდებარება უსაფრთხოების რეჟიმს; უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალება იმ მხარეთა სამხედრო კონტინგენტს, რომლებიც ახორციელებენ წინამდებარე შეთანხმებას. საკონტროლო კომისია პოლიციასთან ერთად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ბენდერში.

ბენდერი იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევს საკონტროლო კომისიას.

### მუხლი 4

რუსეთის ფედერაციის მე-14 არმია, რომელიც განთავსებულია მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეინარჩუნებს მკაცრ ნეიტრალიტეტს. კონფლიქტის ორივე მხარე კისრულობს ვალდებულებას, შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი და არ ჩაებას არანაირ ქმედებაში მე-14 არმიის საკუთრების, პერსონალისა და მოსამსახურეთა ოჯახების წინააღმდეგ.

ყველა საკითხი, რომელიც ეხება მე-14 არმიის სტატუსს ან მისი გაყვანის ეტაპებსა და ვადებს, გადანყდება რუსეთის ფედერაციასა და მოლდოვას შორის მოლაპარაკებების შედეგად.

### **მუხლი 5**

1. კონფლიქტის მხარეები სანქციებს ან ნებისმიერი სახის ბლოკადას დაუშვებლად მიიჩნევენ. შესაბამისად, ყველა ბარიერი, რომელიც ხელს უშლის საქონლის, მომსახურებისა და ადამიანების გადაადგილებას, მოხსნილი უნდა იქნეს და ყველა აუცილებელი ღონისძიება უნდა განხორციელდეს, რათა ბოლო მოეღოს მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საგანგებო მდგომარეობას.
2. კონფლიქტის მხარეები დაუყოვნებლივ დაიწყებენ მოლაპარაკებებს, რათა გადაჭრან პრობლემები, რომლებიც ეხება ლტოლვილების უკან დაბრუნებას, კონფლიქტის რეგიონიდან იძულებით გასული მოსახლეობის დახმარებას და სახლებისა და საჯარო შენობების აღდგენას. რუსეთის ფედერაცია სრულ დახმარებას გაუწევს მხარეებს ხსენებულ საკითხში.
3. კონფლიქტის მხარეები გადადგამენ ყველა აუცილებელ ნაბიჯს, რათა უზრუნველყონ კონფლიქტით დაზარალებული რეგიონისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების გადაადგილება.

### **მუხლი 6**

შეიქმნება საერთო პრესცენტრი, რომელსაც დაეკისრება ამოცანა, მიაწოდოს საკონტროლო კომისიას სწორი ინფორმაცია რეგიონში სიტუაციის განვითარებასთან დაკავშირებით.

### **მუხლი 7**

მხარეებს მიაჩნიათ, რომ წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ღონისძიებები წარმოადგენს კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების ძალზე მნიშვნელოვან ნაწილს.

### **მუხლი 8**

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა ხელმოწერის დღესვე.

წინამდებარე შეთანხმება ძალადაკარგულად ჩაითვლება მხარეთა ერთობლივი გადანყვეტილებით ან ერთ-ერთი მხარის მიერ დენონსირების შემთხვევაში, რაც მოიცავს საკონტროლო კომისიის ქმედებებისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი კონტინგენტის გაუქმებას.

293. 1994 წლის 8 აპრილს მოლდოვის პარლამენტმა მოახდინა აღმა-ატის 1991 წლის 21 დეკემბრის შეთანხმების რატიფიცირება, რომლითაც მოლდოვა შეუერთდა დსთ-ს, შემდეგი დათქმით:

„...“

2. მუხლი 6, მე-3 და მე-4 პუნქტების გამოკლებით ...

მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტს მიაჩნია, რომ დსთ-ში მოლდოვის რესპუბლიკა პრიორიტეტად გაიხდის ეკონომიკურ თანამშრომლობას, გამოირიცხავს თანამშრომლობას პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში, რასაც იგი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპებთან შეუთავსებლად თვლის“.

294. მოლდოვის 1994 წლის 29 აპრილის კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების თანახმად:

### **მუხლი 11**

„1. მოლდოვის რესპუბლიკა აცხადებს მუდმივ ნეიტრალიტეტს.

2. მოლდოვის რესპუბლიკა არ გასცემს მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ჯარების განთავსების ნებართვას.“

### **მუხლი 111**

„1. ავტონომიურობა შესაძლოა მიენიჭოს მოლდოვის სამხრეთით დნესტრის მარცხენა ნაპირზე მდებარე რეგიონებს სპეციალური სტატუსით, რომელთან დაკავშირებითაც ნებართვა გაცემულია ინსტიტუციური აქტით...“

295. მოლდოვის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების თანახმად:

### **მუხლი 116**

„. უკანონო პატიმრობისთვის გათვალისწინებული სასჯელია 1 წლამდე პატიმრობა.

უკანონო პატიმრობა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა მსხვერპლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ან მიაყენა მას ფიზიკური ტანჯვა, ისჯება 5 წლამდე პატიმრობით.“

### **მუხლი 207**

„ოფიციალური პირის უფლებამოსილების ან სტატუსის მითვისება/უზურპირება, თუკი ხსენებული განხორციელებულია შემდგომი დანაშაულის ჩადენის მიზნით, ისჯება ჯარიმით ხელფასის ოცდაათმაგი ოდენობით ან 2 წლამდე გამასწორებელი სამუშაოებით ან 2 წლამდე პატიმრობით“.

296. 1994 წლის 21 ოქტომბერს მოლდოვამ და რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერეს „შეთანხმებას მოლდოვის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების სამართლებრივი სტატუსისა და მათი გაყვანის ღონისძიებებისა და ვადების შესახებ“, რომლის დებულებების თანახმად:

„მოლდოვის რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია, შემდგომში „მხარეები“,

დნესტრისპირეთის რეგიონის მონაწილეობით,

მხედველობაში იღებენ რა ევროპასა და მსოფლიოში ახალი პოლიტიკური ურთიერთობების დაარსებას;

ადასტურებენ რა, რომ მოლდოვის რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია არიან სუვერენული სახელმწიფოები;

დარწმუნებულნი, რომ ურთიერთობები უნდა დაამყარონ მეგობრობის პრინციპებზე, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაზე;

გამოდიან რა იმ შეთანხმებებიდან, რომლებსაც მხარეებმა უკვე მიაღწიეს სამხედრო სფეროში;

მოქმედებენ რა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დოკუმენტების შესაბამისად,

თანხმდებიან შემდეგზე:

...

## მუხლი 2

მოლდოვის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების სტატუსი განისაზღვრება წინამდებარე შეთანხმებით.

მოლდოვის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო შენაერთების განთავსება დროებითი მოვლენაა.

ტექნიკური შეზღუდვებისა და ჯარების სხვაგან განთავსებისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით, რუსული მხარე ზემოხსენებული სამხედრო შენაერთების გაყვანას განახორციელებს წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 3 წლის განმავლობაში.

დადგენილ დროში მოლდოვის ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების გაყვანასთან დაკავშირებული ნაბიჯები განხორციელდება დნესტრისპირეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების და მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონის სპეციალური სტატუსის დადგენის პარალელურად.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების საბოლოო გაყვანის ეტაპები და ვადები ჩამოყალიბებული იქნება ცალკე ოქმში, რომელიც შეთანხმდება მხარეთა თავდაცვის მინისტრებს შორის.

...

მოლდოვის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო შენაერთების ყოფნის განმავლობაში არ დაიშვება მათი არანაირი გამოყენება მოლდოვის რესპუბლიკის შიგნით არსებული კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ან მესამე მხარის წინააღმდეგ რაიმე სამხედრო ღონისძიების განხორციელებისათვის.

მოლდოვის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების

კუთვნილი ნებისმიერი სახის სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის გაყიდვა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ ორი ქვეყნის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

## **მუხლი 6**

მოლდოვის ტერიტორიაზე მდებარე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების მოძრაობა და გამოძიების წარმართვა მათი განთავსების ბაზების გარეთ განხორციელდება მოლდოვის რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

სამხედრო შენაერთები პასუხისმგებელნი არიან, უზრუნველყონ ბაზების შიგნით და გარეთ და გადაადგილებისას, რომ სამხედრო საგნები და საკუთრება დაცული იყოს რუსეთის არმიაში დადგენილი წესებით.

## **მუხლი 7**

ტირასპოლის სამხედრო აეროდრომი გამოყენებული იქნება ერთობლივად რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების ავიაციისა და მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონის სამოქალაქო ავიაციის ბაზად.

მოლდოვის რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში სამხედრო თვითმფრინავის გადაადგილება უნდა მოხდეს მხარეების შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ მიღებული შეთანხმების საფუძველზე.

...

## **მუხლი 13**

საცხოვრებელი და ბარაკები, სამსახურებრივი შენობები, ავტოპარკი, ცეცხლსასროლი არსენალი და მანქანებზე დამონტაჟებული ხელსაწყოები, შენობები და დაუსახლებელი შენობების ფართი, რომელიც გათავისუფლდება რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების გასვლის შედეგად, გადაეცემა მმართველობაში მოლდოვის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოებს იმავე რაოდენობით, რა რაოდენობითაც ისინი ფაქტობრივად არსებობს, და იმავე პირობებში, რა პირობებშიც არის ისინი ამ ეტაპზე.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების კუთვნილი უძრავი ქონების გადაცემის ან გაყიდვის ხერხები განისაზღვრება სპეციალური შეთანხმებით, რომელიც დაიდება მხარეთა მთავრობებს შორის.

## **მუხლი 17**

დადგენილ დროში მოლდოვის რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების გაყვანის უზრუნველყოფის და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მათი ეფექტურად მოქმედების თვალსაზრისით გატანილი იქნება სამხედრო შენაერთების ადგილსამყოფელი. შესაბამისი გადასახდელი მატერიალური თანხები, ასაშენებელი საცხოვრებელი ფართის ჩამონათვალი და მათი აშენების ადგილები განისაზღვრება სპეციალური შეთანხმებით.

## მუხლი 23

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა მხარეების მიერ შიდა აუცილებელი პროცედურების განხორციელების შესახებ საბოლოო შეტყობინების მიღების დღეს და ძალაში დარჩება მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო შენაერთების სრულ გაყვანამდე.

წინამდებარე შეთანხმება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერო-ს წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად“.

297. 1994 წლის 21 ოქტომბერს მოლდოვის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრებს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით განთავსებული რუსეთის სამხედრო შენაერთების ავიაციის ფრენებთან დაკავშირებით; ხსენებული ითვალისწინებდა ტირასპოლის აეროდრომის გამოყენებას რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავების მიერ შეთანხმების შესაბამისი დებულებების თანახმად:

## მუხლი 1

„ტირასპოლის სამხედრო აეროდრომი გამოყენებული იქნება რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების მიერ მოლდოვის ტერიტორიიდან მათ საბოლოო გაყვანამდე.

ტირასპოლის აეროდრომზე მოლდოვის კუთვნილი დნესტრისპირეთის რეგიონის სამოქალაქო ავიაციისა და რუსეთის თვითმფრინავების გადაადგილება და ერთობლივი ფრენები განხორციელდება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებისა და მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონის ერთობლივად განთავსებული ავიაციის დროებითი წესების“ თანახმად და ამ ფრენებს კოორდინაციას გაუწევს მოლდოვის სამოქალაქო ავიაცია, მოლდოვის თავდაცვის სამინისტრო და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო.

ტირასპოლის აეროდრომიდან სხვა თვითმფრინავს გაფრენა შეუძლია მხოლოდ მოლდოვის რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელებთან და რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან კოორდინირების შემდეგ.“

## მუხლი 3

„რუსეთის შენაერთების კუთვნილი საფოსტო თვითმფრინავი ტირასპოლის აეროდრომიდან ყველაზე მეტი კვირაში ორჯერ გაფრინდება (სამშაბათობითა და ხუთშაბათობით ან მხარეებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე სხვა დღეებში).“

## მუხლი 5

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების თხოვნები გაფრენის განხორციელებასთან, სავარჯიშო ფრენებსა და ესტაკადასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შუადღის 3 საათამდე (ადგილობრივი დროით)

საჰაერო გზების კოორდინაციის ორგანოების (საკონტროლო ცენტრები) მეშვეობით.

ასეთი თხოვნების დადასტურება და მოლდოვის რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების ნებართვა გაცემული იქნება მოლდოვის შეიარაღებული ძალების ჰაერსაწინააღმდეგო და საჰაერო საკონტროლო ცენტრის მიერ. მოლდოვის რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ფრენის მოთხოვნის შესაბამისად, იმ ტერიტორიაზე, სადაც რუსეთის სამხედრო შენაერთები დროებით არიან განთავსებულნი, მიღებული იქნება მოლდოვის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის მიერ.“

### მუხლი 7

„წინამდებარე შეთანხმების შესრულების კონტროლი განხორციელებული იქნება მოლდოვის თავდაცვის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ, მათ მიერვე ერთობლივად მიღებული წესების შესაბამისად“.

### მუხლი 8

„წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა მისი ხელმოწერის პირველსავე დღეს და ძალაში დარჩება მოლდოვის ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების საბოლოო გაყვანამდე.“

წინამდებარე შეთანხმება შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა ორმხრივი თანხმობით“.

298. ევროპის საბჭოში 1997 წლის 12 სექტემბერს დეპონირებული მოლდოვის რესპუბლიკის მიერ კონვენციის რატიფიცირების სიგელი შეიცავს რამდენიმე განცხადებასა და დათქმას, რომელთა შესაბამისი დებულებებიც შემდეგნაირად იკითხება:

„1. მოლდოვის რესპუბლიკა აცხადებს, რომ მას არ შეუძლია უზრუნველყოს კონვენციის დებულებებთან იმ უმოქმედობისა და მოქმედების შესაბამისობა, რომლებიც ჩადენილია თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ორგანოების მიერ იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელსაც აკონტროლებენ ეს ორგანოები, იმ დრომდე, სანამ რეგიონში არსებული კონფლიქტი საბოლოოდ არ გადაწყდება.“

299. 1998 წლის 20 მარტს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ბ-ნმა ვ. ჩერნომირდინმა და „მდრ“-ს წარმომადგენელმა ბ-ნმა ი. სმირნოვმა ოდესაში (უკრაინა) ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო ქონებასთან დაკავშირებით, რომლის დებულებების თანახმად:

„იმ საკითხებზე მოლაპარაკებების დამთავრებისას, რომლებიც ეხება დნესტრისპირეთში განთავსებული რუსეთის ძალების სამხედრო ქონებას, შეთანხმება იქნა მიღწეული შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. მთელი ქონება იყოფა სამ კატეგორიად:

(ა) პირველი კატეგორია მოიცავს რუსეთის ჯარების გაერთიანებული ჯგუფის სტანდარტულ შეიარაღებას, საბრძოლო მასალასა და ქონებას;

(ბ) მეორე მოიცავს იარაღს, აღჭურვილობასა და ზედმეტ მოძრავ სამხედრო ქონებას, რომელიც იმპერატიულად უნდა დაბრუნდეს რუსეთში;

(გ) მესამე მოიცავს იარაღს, აღჭურვილობასა და სამხედრო და სხვა ხასიათის საჭურველს, რომლის გაყიდვა (ჩამონერა) შესაძლებელია უშუალოდ ადგილზე ან იმ ადგილების გარეთ, სადაც ის ინახება.

მესამე კატეგორიის ქონების გაყიდვიდან შემოსული შემოსავალი გადანაწილდება მხარეებს შორის შემდეგი პროპორციებით:

რუსეთის ფედერაცია: 50%

დნესტრისპირეთი: 50% იმ თანხების გამოქვითვის შემდეგ, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას მე-3 კატეგორიის სამხედრო ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით.

მე-3 კატეგორიის ქონების გამოყენებასა და გადაცემასთან დაკავშირებული პირობები დადგენილი უნდა იქნეს რუსეთის მიერ, დნესტრისპირეთის მონაწილეობით.

2. მხარეები შეთანხმდნენ, სრულად დაფარონ ერთმანეთის ვალები 1998 წლის 20 მარტს იმ შემოსავლიდან გამოქვითვის საშუალებით, რომელიც შემოვა სამხედრო ქონების გაყიდვიდან ან სხვა წყაროებიდან.

3. რუსეთი გააგრძელებს დნესტრისპირეთიდან იმ სამხედრო ქონების გატანას, რომელიც მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების დანართში. დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები არანაირ წინააღმდეგობას არ გაუწევენ რუსეთის მხარეს ზემოხსენებული ქონების გადაადგილებისას.

4. დნესტრისპირეთთან შეთანხმებით რუსეთი გაანადგურებს გამოუსადეგარ და არატრანსპორტაბელურ აღჭურვილობას სოფელ კოლბასნასთან ახლოს უსაფრთხოების მოთხოვნების, მათ შორის ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.

5. უძრავი ქონების სწრაფად გადაცემის მიზნით რუსეთის ფედერაციისა და დნესტრისპირეთის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ რუსეთის ძალების მიერ გათავისუფლებული შენობები გადასცემოდა დნესტრისპირეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოებს იმ ოფიციალური დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც ასახავდა რეალურ ღირებულებას.

6. კიდევ ერთხელ ესმება ხაზი იმ ფაქტს, რომ დნესტრისპირეთში განთავსებული რუსული შეიარაღებული ძალების ეტაპობრივი გაყვანა და ქონების გატანა განხორციელდება გამჭვირვალედ. გაყვანის ღონისძიებების გამჭვირვალედ განხორციელება შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს



ორმხრივ საფუძველზე იმ შეთანხმებების თანახმად, რომლებიც ხელმოწერილია მოლდოვასა და რუსეთს შორის. დნესტრისპირეთში რუსეთის ძალების ყოფნასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია, დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, გადაეცემა ეუთო-ს, კიშინიოვში ეუთო-ს მისიის საშუალებით.“

## სამართალი

### I. ხვდებიან თუ არა განმცხადებლები მოლდოვის რესპუბლიკის იურისდიქციაში?

#### ა. სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტები

##### 1. მოლდოვის მთავრობა

300. მოლდოვის მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლები არ ხვდებოდნენ და არც ამ ეტაპზე ხვდებიან მოლდოვის *de facto* იურისდიქციაში, ამიტომ განაცხადი შეუსაბამოდ უნდა ჩათვილიყო *ratione personae* პრინციპთან და, შესაბამისად, კონვენციის დებულებებთანაც.

კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქცია, რომელიც ექსკლუზიური და ყოვლისმომცველი უნდა იყოს, მოხსენიებულია ტერიტორიულ სუვერენიტეტად. ხსენებული სუვერენიტეტი აძლევდა სახელმწიფოს შესაძლებლობას, შემოფარგლულ ტერიტორიაზე განეხორციელებინა სახელმწიფო ფუნქციები, რომლებიც შედგება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ქმედებებისაგან. მაგრამ სახელმწიფოს, რომელიც ეფექტურად ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის ნაწილს, არ შეუძლია რეალურად განახორციელოს ტერიტორიული იურისდიქცია და სუვერენიტეტი. ასეთ შემთხვევებში „იურისდიქციისა“ და „ტერიტორიის“ ცნებები ვერ შეცვლის ერთმანეთს. იმისათვის, რომ კონვენცია იქნეს გამოყენებული, სახელმწიფოს უნდა შეეძლოს, მიანიჭოს და დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. შესაბამისად, ის საკითხი, ხვდება თუ არა ადამიანი სახელმწიფოს იურისდიქციაში, დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე და აუცილებელი იყო იმის განსაზღვრა, გასაჩივრებული ქმედების დროს ხელისუფლების ორგანოები ახორციელებდნენ თუ არა ეფექტურ კონტროლს სავარაუდოდ მსხვერპლზე.

301. წინამდებარე საქმეში დნესტრისპირეთის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორია არ ხვდებოდა მოლდოვის რესპუბლიკის კონსტიტუციური ორგანოების კონტროლის ქვეშ სულ მცირე 1991 წლის მიწურულიდან. „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკა“ შეიქმნა ხსენებულ ტერიტორიაზე და მას გააჩნდა თავისი ორგანოები, მათ შორის შეიარაღებული ძალები, პოლიცია და საბაჟო ოფიცრები. სწორედ ამიტომ, როდესაც მოლდოვამ მოახდინა კონვენ-

ციის რატიფიცირება, მან გააკეთა დათქმა, რომლითაც სურდა, გამოერიცხა თავისი პასუხისმგებლობა იმ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც ჩადენილი იყო მის მიერ არაკონტროლირებად დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე.

მოლდოვის მთავრობამ აღნიშნა, რომ მოლდოვის მხრიდან კონტროლის უქონლობა დნესტრისპირეთის რეჟიმის ქვეშ მართულ ტერიტორიაზე დადასტურებული იყო ყველა იმ მოწმის მიერ, რომლებსაც სასამართლომ მოუსმინა.

302. მთავრობის მტკიცებით, ფაქტებიდან წამოჭრილი სიტუაცია, რომლის თანახმადაც შეუძლებელი იყო მთავრობისათვის დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლის განხორციელება, ანალოგიური იყო იმ სიტუაციისა, რომელიც სასამართლომ აღწერა საქმეში *Cyprus v. Turkey* ([GC], №. 25781/94, პუნქტი 78, ECHR 2001-IV). აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ კვიპროსის მთავრობას არ შეეძლო განხორციელებინა ეფექტური კონტროლი „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი *de facto* აკონტროლებდა.

303. მთავრობამ უარყო ის ვარაუდი, რომ იგი თანამშრომლობდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან და თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ გარკვეული ღონისძიებები იქნა განხორციელებული მოლაპარაკებების კონტექსტში, რათა მოგვარებულიყო დნესტრისპირეთის კონფლიქტი. ხსენებული შეხვედრებიდან ზოგიერთი ტარდებოდა ეუთო-ს მოწონებითა და მისი წარმომადგენლების თანდასწრებით, ხოლო სხვა მოლაპარაკებები ხორციელდებოდა დნესტრისპირეთის რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოლდოვის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

304. მოლდოვის მთავრობას მიაჩნდა, რომ მან შეასრულა მასზე დაკისრებული ყველა პოზიტიური ვალდებულება როგორც ზოგადად, კონფლიქტის მოგვარების მცდელობით და დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენის კუთხით, ასევე კონკრეტულად, განმცხადებლებისათვის კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის კუთხით.

ხსენებულთან დაკავშირებით მთავრობა მიუთითებდა კონფლიქტის მოგვარების მრავალ მცდელობაზე, რომლებიც დადასტურებულია კომინიოში მოსმენილ მოწმეთა ჩვენებებით, მოლდოვის პოლიტიკური ლიდერების განცხადებებითა და ჩარევებით — მათ შორის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისას გაკეთებული განცხადებებით — და განმცხადებელთა უკანონო პატიმრობისა და მსჯავრდების დაგმობით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოლდოვის უზენაესი სასამართლოს 1994 წლის 3 თებერვლის განაჩენი, დადასტურებულია, აგრეთვე, სასამართლო ღონისძიებებით იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ განმცხადებელთა პატიმრობა-მსჯავრდებისათვის, და ეკონომიკური და სხვა სახის ღონისძიებებით, რომლებიც მიმართული იყო მოლდოვის ტერიტორიაზე მოლდოვის სუვერენიტეტის გამყარებისაკენ, მათ შორის დნესტრისპირეთის ნაწილზეც.

თუმცა აღნიშნულმა ღონისძიებებმა არანაირი შედეგი არ გამოიღო, რადგან „მდრ“ იყო ერთეული, რომელსაც შეეძლო ავტონომიური ფუნქციონირება მოლდოვასთან ურთიერთობაში და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები მიმართავდნენ რეპრესალიებს კონკრეტული ღონისძიებების საპასუხოდ.

შესაბამისად, მოლდოვის მთავრობის მტკიცებით, მას არ გააჩნდა არანაირი სხვა საშუალება განმცხადებელთა კონვენციით გარანტირებული უფლე-

ბების განხორციელებასთან დაკავშირებით, გარდა ისეთი ღონისძიებებისა, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა მოლდოვის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციას.

## 2. რუსეთის ფედერაციის მთავრობა

305. რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოლდოვის მთავრობა იყო მოლდოვის ერთადერთი ლეგიტიმური მთავრობა. ვინაიდან დნესტრისპირეთის ტერიტორია წარმოადგენდა მოლდოვის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს, მხოლოდ ეს უკანასკნელი შეიძლებოდა ყოფილიყო პასუხისმგებელი ხსენებულ ტერიტორიაზე ჩადენილი ქმედებებისათვის.

## 3. განმცხადებლები

306. განმცხადებელთა მტკიცებით, მოლდოვა პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო კონვენციის იმ დარღვევებზე, რომლებსაც ისინი დაექვემდებარნენ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე, ვინაიდან დნესტრისპირეთი იყო მოლდოვის ეროვნული ტერიტორიის ნაწილი და, მიუხედავად ეფექტური კონტროლის არარსებობისა, მოლდოვის მთავრობას ევალებოდა, განეხორციელებინა ღონისძიებები, რათა უზრუნველყო კონვენციით გარანტირებული უფლებების პატივისცემა მთელს თავის ტერიტორიაზე, თუმცა მთავრობას ეს არ განუხორციელება. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები შეზღუდული და არასაკმარისი იყო მოლდოვის მთავრობის ხელთ არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური საშუალებების პირობებში.

მოლდოვის მთავრობამ არა მხოლოდ არ განახორციელა მასზე კონვენციით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, არამედ ისეთი ნაბიჯებიც კი გადადგა, რომლებიც წარმოადგენდა ტირასპოლის *de facto* რეჟიმის აღიარებას ან, სულ მცირე, სიტუაციის აღიარებას დუმილის გამოხატვით, როგორც იყო გენერალ-ლეიტენანტ იაკოვლევის გათავისუფლება (იხ. წინამდებარე განაჩენის 50-ე პუნქტი), ბ-ნი ილაშკუს გადაცემა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებისათვის 2001 წლის 5 მაისს (იხ. წინამდებარე განაჩენის 79-ე პუნქტი), 2001 წლის 16 მაისის შეთანხმებები (იხ. წინამდებარე განაჩენის 174-ე პუნქტი) და თანამშრომლობა, განსაკუთრებით საბაჟო და პოლიციასთან დაკავშირებულ საკითხებში (იხ. წინამდებარე განაჩენის 176-ე-177-ე პუნქტები).

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ გამოსვლა, რომელშიც ბ-ნი ვორონინი ბრალს სდებდა ბ-ნი ილაშკუს, ამ უკანასკნელის გათავისუფლების შემდეგ, რომ იგი იყო პასუხისმგებელი სხვა განმცხადებლების პატიმრობაზე, ადასტურებს მოლდოვის პასუხისმგებლობას კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან მიმართებაში.

307. და ბოლოს, განმცხადებლების მტკიცებით, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს უნდა ეწარმოებინათ ხანგრძლივი მოლაპარაკება რუსეთის ხელისუფლების ორგანოებთან – იმ ერთადერთ ძალასთან, რომელსაც შეეძლო დნესტრისპირეთის რეჟიმის კონტროლი და განმცხადებელთა გათავისუფლება.

#### 4. რუმინეთის მთავრობა, პროცესში ჩართული მესამე მხარე

308. მესამე მხარედ ჩართული რუმინეთის მთავრობა თავდაპირველ ეტაპზე აცხადებდა, რომ არ სურდა, გამოეთქვა თავისი აზრი საქმეში მოლდოვის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით. რუმინეთის მთავრობის მიზანს წარმოადგენდა ფაქტების განმარტებისა და სამართლებრივი არგუმენტების წარმოდგენა მისი მოქალაქეების მიერ წარდგენილი განაცხადის მხარდასაჭერად.

309. მთავრობას მიაჩნდა, რომ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია შეზღუდოს იმ ვალდებულებების მასშტაბი, რომლებიც იკისრა კონვენციის რატიფიცირებისას, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ არ გააჩნია პირველი მუხლით განსაზღვრული იურისდიქცია. ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ კონვენციით გარანტირებული უფლებები იმ პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე, და მთავრობას ასევე ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია სასამართლოს პრეცედენტული სამართლით და აუცილებლად არის მიჩნეული.

მართალია, ასეთი პოზიტიური ვალდებულებების არსებობა არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ხელისუფლების ორგანოებს დააკისროს არარეალური და გადამეტებული ტვირთი, მაგრამ სახელმწიფოებს მაინც ეთხოვებათ გონივრული მცდელობების განხორციელება.

რუმინეთის მთავრობის თქმით, წინამდებარე საქმეში მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა ვერ დაამტკიცეს, რომ განახორციელეს ყველა ღონისძიება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე საკუთარი სუვერენიტეტის აღდგენასთან დაკავშირებით. კერძოდ, რუმინეთის მხარემ გააკრიტიკა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები უზენაესი სასამართლოს 1994 წლის 3 თებერვლის განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით რაიმე ეფექტური ღონისძიებების განუხორციელებლობის გამო, აგრეთვე, „მდრ“-ს საბაჟო ორგანოებისათვის უფლებამოსილების მინიჭებისათვის, გამოეყენებინათ მოლდოვის რესპუბლიკის ბეჭდები და ლუქები იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დნესტრისპირეთიდან საქონლის გატანა.

### ბ. სასამართლოს შეფასება

#### 1. ზოგადი პრინციპები

##### (ა) „იურისდიქციის“ ცნება

310. „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოფენ წინამდებარე კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“

311. პირველი მუხლიდან გამომდინარეობს, რომ წევრი სახელმწიფოები პასუხს აგებენ უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი დარღვევისათვის, რომელიც ჩადენილია მათ „იურისდიქციაში“ მყოფ პირებთან მიმართებაში.

იურისდიქციის განხორციელება წარმოადგენს აუცილებელ პირობას ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის, რათა ის ჩაითვალოს პასუხისმგებლად იმ მოქმედებებთან და უმოქმედობასთან მიმართებაში, რომელთა განხორციელე-

ბა/განუხორციელებლობა მას ერაცხება და წამოჭრის კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ვარაუდს.

312. სასამართლო იშველიებს მის მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ უნდა ჩაითვალოს, რომ „იურისდიქციის ცნება“ კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის ასახავს საერთაშორისო საჯარო სამართალში მოაზრებულ ტერმინს (იხ. *Gentilhomme and Others v. France*, №. 48205/99, 48207/99 და 48209/99, პუნქტი 20, 2002 წლის 14 მაისის განაჩენი; *Banković and Others v. Belgium and Others (dec.)* [GC], №. 52207/99, პუნქტები 59-61, ECHR 2001-XII; და *Assanidze v. Georgia* [GC], №. 71503/01, პუნქტი 137, ECHR 2004-II).

საერთაშორისო საჯარო სამართლის კუთხით, სიტყვა „იურისდიქციაში“ კონვენციის პირველ მუხლში იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, რომ სახელმწიფოს იურისდიქციული კომპეტენცია უნინარესად წარმოადგენს ტერიტორიულს (იხ. ზემოხსენებული განაჩენი საქმეზე *Banković and Others*, პუნქტი 59) და, ამავე დროს, იურისდიქცია ზოგადად განხორციელებული უნდა იქნეს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

ხსენებული პრეზუმფცია შესაძლებელია შეიზღუდოს გარკვეულ გარემოებებში, კერძოდ, როდესაც სახელმწიფო მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს თავისი უფლებამოსილება ტერიტორიის ნაწილზე. ეს შეიძლება მოხდეს ტერიტორიის სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპაციის შემთხვევაში, როდესაც ეს ძალები ეფექტურად აკონტროლებენ შესაბამის ტერიტორიას (იხ. *Loizidou v. Turkey* (პირველადი პრეტენზიები), 1995 წლის 23 მარტის განაჩენი, სერია A №310, და გადანყვეტილება ზემოხსენებულ საქმეზე *Cyprus v. Turkey*, პუნქტები 76-80, ასევე ზემოხსენებული გადანყვეტილება საქმეზე *Banković and Others*, პუნქტები 70-71), ომის ან აჯანყების დროს ან სხვა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ისეთი ქმედებების შემთხვევაში, რომლებიც მხარს უჭერს სეპარატისტული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას შესაბამის სახელმწიფოში.

313. იმისათვის, რომ მივიდეთ ზემოხსენებულ დასკვნამდე, რომ საქმე გვაქვს ასეთ გამონაკლის სიტუაციასთან, სასამართლომ, ერთის მხრივ, უნდა განიხილოს ყველა შესაბამისი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებას, და, მეორეს მხრივ, თვით ამ სახელმწიფოს ქმედება. ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ კონვენციის პირველი მუხლით ნაკისრი ვალდებულებები, გარანტირებულ უფლებათა განხორციელებაში ჩარევისაგან თავის შეკავების გარდა, დამატებით მოიცავს პოზიტიურ ვალდებულებებს, გადაადგმული იქნეს პოზიტიური ნაბიჯები ტერიტორიის შიგნით უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფის კუთხით (სხვა მაგალითებს შორის იხ. *Z. and Others v. the United Kingdom* [GC], no. 29392/95, პუნქტი 73, ECHR 2001-V).

ვალდებულებათა შესრულება სავალდებულოა მაშინაც კი, როდესაც შესაბამისი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ განხორციელება შეზღუდულია ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს კვლავ აკისრია ვალდებულება, განახორციელოს ყველა ის ნაბიჯი, რომლის განხორციელებაც მას შეუძლია.

314. უფრო მეტიც, სასამართლოს მიაჩნია, რომ მართალია, ზემოხსენებუ-

ლი *Banković and Others*-ის საქმის მე-80 პუნქტში ხაზგასმული იქნა კონვენციის ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად გამოყენების უპირატესობა, მაგრამ სასამართლომ ასევე აღიარა, რომ „იურისდიქციის“ ცნება პირველი მუხლის მნიშვნელობით აუცილებლად შემოფარგლული არ არის მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ეროვნული ტერიტორიით (იხ. *Loizidou v. Turkey* (არსებითი განხილვა), 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, განაჩენები და გადაწყვეტილებები 1996-VI, გვ. 2234-35, პუნქტი 52).

სასამართლომ დაუშვა, რომ გამონაკლის გარემოებებში ხელშემკვრელი სახელმწიფოების ქმედებები, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფო ტერიტორიის გარეთ ან ზეგავლენას ახდენს ტერიტორიის გარეთ, შესაძლოა ჩაითვალოს ამ სახელმწიფოს მიერ იურისდიქციის განხორციელებად კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით.

საერთაშორისო სამართლის შესაბამისი პრინციპების თანახმად, შესაძლებელია დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, როდესაც სამხედრო ღონისძიების — იქნება ის კანონიერი თუ უკანონო — შედეგად იგი პრაქტიკულად ახორციელებს ეფექტურ კონტროლს იმ ტერიტორიაზე, რომელიც განთავსებულია მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ვალდებულება ამ ტერიტორიაზე გამომდინარეობს ასეთი კონტროლის ფაქტიდან, მიუხედავად იმისა, იგი პირდაპირ, შეიარაღებული ძალების მეშვეობით ხორციელდებოდა თუ დამოკიდებული ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით (იქვე).

315. აუცილებელი არ არის იმის გარკვევა, ხელშემკვრელი მხარე დეტალურად ახორციელებს კონტროლს ეროვნული ტერიტორიის გარეთ მყოფი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ქმედებებსა და პოლიტიკაზე თუ არა, რადგან სრულ კონტროლს ასეთ ტერიტორიაზე შეუძლია წარმოშვას შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის პასუხისმგებლობა (იხ. ზემოხსენებული განაჩენი *Loizidou*-ს საქმეზე (არსებითი განხილვა), გვ. 2235-36, პუნქტი 56).

316. როდესაც ხელშემკვრელი მხარე ახორციელებს სრულ კონტროლს ეროვნული ტერიტორიის გარეთ მდებარე ტერიტორიაზე, მისი პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება იმ ქმედებებით, რომლებსაც ახორციელებენ მისი ჯარისკაცები ან ამ ტერიტორიაზე მყოფი მისი ოფიციალური პირები, არამედ ასევე ვრცელდება იმ ქმედებებზე, რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, მათთვის აღმოჩენილი სამხედრო ან სხვა სახის მხარდაჭერით რომ არსებობენ (იხ. ზემოხსენებული განაჩენი საქმეზე *Cyprus v. Turkey*, პუნქტი 77).

317. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი ასევე შეიძლება დადგეს იმ ქმედებების გამო, რომლებიც აისახება კონვენციით გარანტირებულ უფლებებზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი აისახება იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, არახელშემკვრელ სახელმწიფოში ექსტრადიციასთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშემკვრელი მხარე კონვენციის ფასეულობების სანაიალმდეგოდ იმოქმედებდა, „ასეთ ფასეულობებს კი წარმოადგენს პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის მემკვიდრეობა, რაზეც მითითებას აკეთებს კონვენციის პრეამბულა“, იმ შემთხვევაში, თუ შეგნებულად გადასცემდა მიმალვაში მყოფ პირს სხვა სახელმწიფოს, როდესაც ამ უკანასკნელში სახეზეა არსებითი

საფუძვლები იმის დასაჯერებლად, რომ შესაბამის პირს ემოქმედა რეალური რისკი, დაექვემდებაროს წამებას თუ არაადამიანურ მოპყრობას ან სასჯელს (იხ. *Soering v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივლისის განაჩენი, სერია A № 161, გვ. 35, პუნქტები 88-91).

318. გარდა ამისა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს უმოქმედობა და დუმილით გამოხატული თანხმობა კერძო პირების მიერ ჩადენილ ქმედებებთან მიმართებაში არღვევს სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ სხვა პირთა კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს და შესაძლოა წარმოშვას სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი კონვენციის თანახმად (იხ. ზემოხსენებული განაჩენი საქმეზე *Cyprus v. Turkey*, პუნქტი 81). ხსენებული ნამდვილად ასე იქნება შესაბამისი სახელმწიფოს მიერ იმ თვითალიარებული ხელისუფლების ორგანოების ქმედებების აღიარების შემთხვევაში, რომლებიც არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

319. სახელმწიფო პასუხისმგებლად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი წარმომადგენლები აჭარბებენ ინსტრუქციით მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებას. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები მკაცრად პასუხისმგებელი არიან მათ დაქვემდებარებაში მყოფ პირთა ქმედებებზე; მათ ევალებათ, გაატარონ თავიანთი ნება-სურვილი და ვერ გაიმართლებენ თავს იმით, რომ არ ძალუძთ ამ ნება-სურვილის მიმართ პატივისცემის უზრუნველყოფა (იხ. *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის განაჩენი, სერია A № 25, გვ. 64, პუნქტი 159; იხ. ასევე საერთაშორისო სამართლის კომისიის მუხლების პროექტი სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო კანონდარღვევებთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებზე, მუხლი 7 (სსკ-ს ნაშრომი), გვ. 104, და *Cairo*-ს საქმე, რომელიც განხილული იქნა ზოგადი პრეტენზიების კომისიის მიერ (1929), საერთაშორისო საარბიტრაჟო კომენტარები 5 (RIAA), გვ. 516).

### (ბ) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა უკანონო ქმედებისათვის

320. საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთ აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევისათვის, როგორც ეს დადასტურებულია სსკ-ს ნაშრომებით.

321. უკანონო ქმედება შესაძლოა განგრძობადი იყოს, თუ იგი გრძელდება გარკვეული ხნის განმავლობაში და ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვალდებულებას (იხ. სსკ-ს ნაშრომის კომენტარების პროექტი მე-14 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში, გვ. 139).

გარდა ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ სერიოზული კანონდარღვევებისა და უმოქმედობების დროს დარღვევა ვრცელდება მთელ პერიოდზე, დაწყებული პირველი ქმედებიდან მანამ, სანამ მოქმედებები მეორდება და ეწინააღმდეგება შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებას (იხ. ასევე სსკ-ს ნაშრომის კომენტარების პროექტი მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში).

### 2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება

322. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, სახეზეა თუ არა მოლდოვის პასუხისმგებლობა იმის გათვალისწინებით, რომ, ერთის მხრივ, მას

ევალეზოდა, თავი შეეკავებინა უკანონო ქმედებისაგან, მეორეს მხრივ კი განე-  
ხორციელებინა კონვენციით დაკისრებული ვალდებულებები.

323. სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მოლდოვა ამტკიცებდა, რომ მას არ შეეძლო თავისი ეროვნული ტერიტორიის ნაწილის, სახელდობრ, დნესტრისპირეთის რეგიონის კონტროლი.

324. სასამართლო აღნიშნავს, რომ დასაშვებობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში მან დაადგინა, რომ მოლდოვის მიერ კონვენციის რატი-  
ფიცირების სიგელში გაკეთებული დათქმა, რომელიც ეხებოდა მოლდოვის  
კანონიერი ხელისუფლების ორგანოების მიერ დნესტრისპირეთის ტერიტორი-  
აზე კონტროლის უქონლობას, არ წარმოადგენდა დასაშვებ დათქმას კონვენ-  
ციის 57-ე მუხლის მნიშვნელობით.

შესაბამისად, კითხვა, რომელიც წამოიჭრება, მდგომარეობს იმაში, ახ-  
დენს თუ არა ზეგავლენას მოლდოვის სამართლებრივ მდგომარეობაზე კონვენ-  
ციით დაკისრებულ მის პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, ზემოხსენებულის  
მიუხედავად, ფაქტობრივი სიტუაცია, რომელსაც მოლდოვის დათქმა და შემდ-  
გომში მოლდოვის მთავრობის მიერ წარმოდგენილი კომენტარები ეხება.

325. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში მოლდოვის რეს-  
პუბლიკა, რომელიც სუვერენულად იქნა აღიარებული პარლამენტის მიერ 1990  
წლის 23 ივნისს, დამოუკიდებელი გახდა 1991 წლის 27 აგვისტოს და შემდგომში  
აღიარებული იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, მალევე წააწყდა სეპა-  
რატისტულ მოძრაობას დნესტრისპირეთის რეგიონში. ხსენებული მოძრაობა  
გაძლიერდა 1991 წლის დეკემბერში ადგილობრივი არჩევნების ორგანიზებით,  
რომელიც უკანონოდ იქნა გამოცხადებული მოლდოვის ხელისუფლების ორ-  
განოების მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის 47-ე პუნქტი). 1991 წლის ბოლოს  
სამოქალაქო ომი გაჩაღდა მოლდოვის რესპუბლიკის ძალებსა და დნესტრის-  
პირეთის სეპარატისტებს შორის, რომლებსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს, სულ  
მცირე, მე-14 არმიის გარკვეული ჯარისკაცები. 1992 წლის მარტში სიტუაციის  
სერიოზულობის გამო გამოცხადებული იქნა საგანგებო მდგომარეობა (იხ. წი-  
ნამდებარე განაჩენის 69-ე პუნქტი).

შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებ-  
მა რამდენიმეჯერ მიმართეს თხოვნით საერთაშორისო საზოგადოებას, მათ  
შორის გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1992 წლის 23 ივნისს (იხ. წინამდებარე  
განაჩენის 83-ე პუნქტი), უშიშროების საბჭოს მხარი დაეჭირა მოლდოვისათვის  
დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ბრალს სდებდა რა რუსეთის ფედერაციას  
დნესტრისპირეთის სეპარატისტების მხარდაჭერაში, მოლდოვის მთავრობა და-  
ჟინებით სთხოვდა რუსეთს, „შეეჩერებინა“ მის წინააღმდეგ მიმართული აგრე-  
სია (იხ. წინამდებარე განაჩენის 78, 79 და 82, 83 პუნქტები).

326. 1992 წლის 21 ივლისს *status quo*-ს საფუძველზე ხელმოწერილი იქნა  
ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებული შეთანხმება და გადაწყდა უსაფრთხოე-  
ბის ზონის შექმნა ხსენებული სიტუაციის შესანარჩუნებლად (იხ. წინამდებარე  
განაჩენის 87-89 პუნქტები).

1994 წლის 29 ივლისს მიღებული იქნა მოლდოვის რესპუბლიკის ახალი  
კონსტიტუცია. 111-ე მუხლი ითვალისწინებდა დნესტრის მარცხენა მხარეზე  
მდებარე ტერიტორიისათვის ავტონომიურობის სტატუსის მინიჭების შესაძლე-  
ბლობას. მე-11 მუხლი კრძალავდა უცხო ქვეყნის ჯარების განლაგებას ქვეყნის



ტერიტორიაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 294-ე პუნქტი).

327. შემდგომში, როდესაც განხორციელდა კონვენციის რატიფიცირება 1997 წლის 12 სექტემბერს, მოლდოვამ სარატიფიკაციო სიგელში გააკეთა დათქმა, რომ მას არ შეეძლო კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ქვეყნის იმ ნაწილში, რომელზეც ეფექტურ კონტროლს ახორციელებდნენ „დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები“ იმ დრომდე, სანამ მიღწეული იქნებოდა კონფლიქტის მოგვარება (იხ. წინამდებარე განაჩენის 298-ე პუნქტი).

328. 1992 წლის 21 ივლისის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დასრულდა პირველი ეტაპი მოლდოვის მცდელობისა, სრულად განეხორციელებინა საკუთარი უფლებამოსილება თავის ტერიტორიაზე.

329. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული პერიოდის შემდეგ მოლდოვა ცდილობდა, გაეტარებინა დუმილით გამოხატული მიდგომა დნესტრისპირეთის რეგიონზე ისეთი შეზღუდული კონტროლის განხორციელებით, რომელიც ეხებოდა პირადობის მონწივებისა და საბაჟო ბეჭდების გაცემას (იხ. წინამდებარე განაჩენის 179-80 პუნქტები).

შესაბამისად, სასამართლო კონვენციის სარატიფიკაციო სიგელთან ერთად წარდგენილ დათქმაში სწორედ აღნიშნულ სიტუაციაზე გაკეთებულ მითითებას ხედავს.

330. ხელთ არსებული მთელი ინფორმაციის საფუძველზე სასამართლოს მიაჩნია, რომ მოლდოვის მთავრობა, საერთაშორისო სამართლის თანახმად მოლდოვის სახელმწიფოს ერთადერთი ლეგიტიმური მთავრობა, ვერ ახორციელებს ხელისუფლებას თავისი ტერიტორიის ნაწილზე, სახელდობრ იმ ნაწილზე, რომელიც „მდრ“-ს ხელშია.

უფრო მეტიც, ხსენებული სადავო არ გაუხდიათ მხარეებს ან რუმინეთის მთავრობას.

331. თუმცა დნესტრისპირეთის რეგიონზე ეფექტური კონტროლის არარსებობის შემთხვევაშიც კი მოლდოვას კვლავ ეკისრება კონვენციის პირველი მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულების მოვალეობა, კერძოდ, ვალდებულებისა, განახორციელოს მის ხელთ არსებული და საერთაშორისო სამართლის შესაბამისი დიპლომატიური, ეკონომიკური, სასამართლო თუ სხვა სახის ღონისძიებები, რათა დაიცვას განმცხადებლების კონვენციით გარანტირებული უფლებები.

### 3. პოზიტიური ვალდებულებების ცნება

332. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართლიანი ბალანსი ინდივიდის პირად ინტერესებსა და ზოგად ინტერესებს შორის, ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არსებული მრავალგვარი სიტუაცია, და არჩევანი უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებისა და არსებული საშუალებების ჩრილში. ხსენებული ვალდებულებები არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ სახელმწიფოებს დააკისროს არარეალური ან არაპროპორციული ტვირთი (იხ. *Özgür Gündem v. Turkey*, № 23144/93, პუნქტი 43, ECHR 2000-III).

333. სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც ხელშემკვრელ სახელმწიფოს

არა აქვს შესაძლებლობა, ხელისუფლება განახორციელოს თავისი ტერიტორიის მთლიან ნაწილზე *de facto* არსებული სიტუაციის გამო, როგორც წარმოიქმნება სეპარატისტული რეჟიმის შექმნის შემთხვევაში, არა აქვს მნიშვნელობა, ამას თან ახლავს თუ არა მეორე სახელმწიფოს სამხედრო ოკუპაცია, ამით კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული იურისდიქცია არ წყვეტს მოქმედებას ტერიტორიის ასეთ ნაწილზე, რომელიც დროებით ექვემდებარება ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელსაც მხარს უჭერენ აჯანყებულები ან სხვა ქვეყნის ძალები.

მიუხედავად ამისა, ასეთი ფაქტობრივი სიტუაცია ამცირებს აღნიშნულ იურისდიქციას იმით, რომ სახელმწიფოს მიერ პირველი მუხლით ნაკისრი ვალდებულება სასამართლოს მიერ განხილული უნდა იქნეს ამ ტერიტორიაზე მყოფ პირთან მიმართებაში მხოლოდ ხელშემკვრელი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების თვალსაზრისით. შესაბამისი სახელმწიფო უნდა ეცადოს, მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით და სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალებებით, გააგრძელოს კონვენციით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

334. მართალია, სასამართლოს არა აქვს უფლება, მიუთითოს სახელმწიფოებს და ხელისუფლების ორგანოებს, თუ რა ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული იმისათვის, რომ ყველაზე ეფექტურად შესრულდეს მათზე დაკისრებული ვალდებულებები, მაგრამ სასამართლომ უნდა შეამოწმოს, იყო თუ არა განხორციელებული ღონისძიებები შესაფერისი და საკმარისი წინამდებარე საქმეში. როდესაც სახეზეა ქმედებების განხორციელების სრული ან ნაწილობრივი უგულებელყოფა, სასამართლოს ამოცანაა იმის გარკვევა, თუ რა მინიმალური მცდელობების განხორციელება იყო შესაძლებელი და განხორციელდა თუ არა ისინი. ხსენებული საკითხის განსაზღვრა განსაკუთრებით აუცილებელია ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ეხება აბსოლუტური უფლებების, როგორც, მაგალითად, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებებია, სავარაუდო დარღვევას.

335. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლები ხვდებიან მოლდოვის რესპუბლიკის იურისდიქციაში კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით, მაგრამ მისი პასუხისმგებლობა იმ გასაჩივრებულ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც ჩადენილი იქნა „მდრ“-ს ტერიტორიაზე, შეფასებული უნდა იქნეს კონვენციით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში.

#### 4. განახორციელა თუ არა მოლდოვამ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები?

336. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, შეასრულა თუ არა მოლდოვის ხელისუფლებამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონვენციით გარანტირებული უფლებები, თუ, როგორც ეს განმცხადებლებმა და რუმინეთის მთავრობამ ასახეს, არ განუხორციელებია საკმარისი ღონისძიებები უფლებების დაცვის კუთხით.

337. წინამდებარე საქმეში რთული ფაქტობრივი სიტუაციის მხედველობაში მიღებით, სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ის საკითხი, განახორციე-

ლა თუ არა მოლდოვამ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციას შორის და დნესტრისპირეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებულ ურთიერთობებთან. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მოლდოვას რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით განმცხადებელთა სიტუაციაზე მოლდოვის დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე.

338. სასამართლო აღგენს, რომ მას არ გააჩნია იურისდიქცია, იმსჯელოს იმ ქმედებებზე, რომლებიც განხორციელდა მოლდოვის მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე. თუმცა სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს რატიფიცირებამდე განხორციელებული ქმედებები მოლდოვის პოზიტიურ ვალდებულებათა შეფასებისას და ყოველივე ეს გამოიყენოს შედარების მიზნებისათვის, როდესაც შეაფასებს მოლდოვის მიერ 1997 წლის 12 სექტემბრის შემდეგ განხორციელებულ მცდელობებს.

339. მოლდოვის პოზიტიური ვალდებულებები უკავშირდება როგორც იმ ღონისძიებებს, რომლებიც განხორციელდა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენასთან დაკავშირებით მისი იურისდიქციის გამოხატვის სახით, ასევე ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა განმცხადებელთა უფლებების, მათ შორის მათი გათავისუფლების უზრუნველყოფას.

340. დნესტრისპირეთზე კონტროლის აღდგენის ვალდებულება, პირველ რიგში, მოლდოვის სახელმწიფოსაგან მოითხოვდა „მდრ“-ს რეჟიმისათვის ყოველგვარი თანადგომის აღმოჩენისაგან თავის შეკავებას, ხოლო მეორე რიგში – ხელისუფლების ხელთ არსებული ყველა სახის პოლიტიკური, სასამართლო და სხვა სახის ღონისძიებების განხორციელებას, რათა აღდგენილიყო კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე.

სასამართლოს არ შეუძლია მიუთითოს ყველაზე შესაფერის ღონისძიებებზე, რომლებიც მოლდოვას უნდა განეხორციელებინა ან უნდა განახორციელოს ამ მიზნის მისაღწევად. სასამართლოს ასევე არ შეუძლია იმის განსაზღვრა, ასეთი ღონისძიებები საკმარისი იყო თუ არა. სასამართლომ მხოლოდ უნდა შეამოწმოს მოლდოვის სურვილი, რომელიც გამოიხატა კონკრეტულ ქმედებებსა და ღონისძიებებში, კვლავ დაემყარებინა კონტროლი „მდრ“-ს ტერიტორიაზე.

341. წინამდებარე შემთხვევაში, 1991-92 წლებში შუღლის ჩამოვარდნიდან, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არასოდეს შეუწყვეტიათ პრეტენზიების გამოთქმა იმ აგრესიასთან დაკავშირებით, რომელსაც თვლიდნენ, რომ დაექვემდებარნენ, და გამოზღვენ „მდრ“-ს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

სასამართლოს აზრით, როდესაც სახეზეა ისეთი რეჟიმი, რომელსაც ზურგს უმაგრებს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით იმგვარი ძალა, როგორც რუსეთის ფედერაცია (იხ. წინამდებარე განაჩენის 11-61 პუნქტები), მოლდოვას თითქმის არაფრის გაკეთება არ შეეძლო, რათა აღედგინა კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. ხსენებულს მოწმობს სამხედრო კონფლიქტის დასასრული, რომელმაც წარმოაჩინა, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნდათ საშუალება, დაემყარებინათ კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე და გამკლავებოდნენ აჯანყებულ ძალებს, რომლებსაც ზურგს მე-14 არმიის პერსონალი უმაგრებდა.

342. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა 1992 წელს სამხედრო დაპირისპირების დამთვრების შემდეგაც განაგრძეს ღონისძიებების განხორ-

ციელება, რათა დაემყარებინათ კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. მაგალითად, 1993 წლიდან მოყოლებული მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა დაიწყეს სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების კონკრეტული წარმომადგენლების წინააღმდეგ და ბრალს სდებდნენ მათ სახელმწიფო ორგანოების სახელების/უფლებამოვალეობების მითვისება-უზურპირებაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 167 და 229-230 პუნქტები).

343. მოლდოვის მცდელობები, რომლებიც მიმართული იყო დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ხელისუფლების განხორციელების მცდელობისაკენ, ასევე გრძელდებოდა 1994 წლის შემდეგაც. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები ამტკიცებდნენ მათ სუვერენიტეტს „მდრ-ს“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 31-ე, 53-ე, 66-ე, 68-ე, 69-ე და 77-83 პუნქტები). 1994 წელს მოლდოვამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც გათვალისწინებული იყო, *inter alia*, დნესტრისპირეთის ტერიტორიისათვის გარკვეული ავტონომიის მინიჭება. იმავე წელს მოლდოვამ ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციასთან შეთანხმებას დნესტრისპირეთის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების 3 წლის განმავლობაში გაყვანის შესახებ.

1997 წლის 12 სექტემბერს მოლდოვამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება და კონვენციასთან ერთად წარმოდგენილ დათქმებში დაადასტურა თავისი მისწრაფება, აღედგინა კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე.

344. მიუხედავად ისეთი სასამართლო ღონისძიებების შემცირებისა, რომლებიც მიმართული იყო დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე მოლდოვის ხელისუფლების აღდგენისაკენ, ხსენებული მცდელობები მაინც გრძელდებოდა 1997 წლის შემდეგაც. დნესტრისპირეთის ხელისუფლების თანამდებობის პირების წინააღმდეგ აღძრულ გამოძიებას არაფერი არ მოჰყვა შედეგად. ეს გამოძიება შეწყდა 2000 წელს, ხოლო დნესტრისპირეთის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი დაბრუნდა მოლდოვაში და დაბრუნების შემდეგ შეძლო დაეკავებინა მაღალი პოსტები (იხ. წინამდებარე განაჩენის 168-ე პუნქტი).

მეორეს მხრივ, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მცდელობები მიმართული იყო უფრო დიპლომატიური ღონისძიებების გატარებისაკენ. 1998 წლის მარტში მოლდოვამ, რუსეთის ფედერაციამ, უკრაინამ და დნესტრისპირეთის რეგიონმა ხელი მოაწერეს რამდენიმე ხელშეკრულებას, რომლებიც მიზნად ისახავდა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებას. შეხვედრები და მოლაპარაკებები ტარდებოდა მოლდოვისა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს შორისაც. ბოლოს, 2002 წლიდან მოყოლებული, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული რამდენიმე წინადადება იქნა წარმოდგენილი და განხილული მოლდოვის პრეზიდენტის, ეუთო-სა და რუსეთის ფედერაციის მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის 107-110 პუნქტები).

სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მოლდოვის მხრიდან ღონისძიებების შემცირება ნიშნავდა მოლდოვის მიერ უარის განცხადებას რეგიონზე იურისდიქციის აღდგენასთან დაკავშირებული მცდელობების განხორციელებაზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ადრე მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული რამდენიმე ღონისძიება დაბლოკილი იქნა „მდრ-ს“ საპასუხო ღონისძიებებით.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ, მოლდოვის მტკიცებით, მოლაპარაკებების სტრატეგიის შეცვლა დიპლომატიური მიდგომებით მიზნად ისახავდა მოლდოვის სამართლებრივ სფეროში დნესტრისპირეთის დაბრუნების მომზადებას და ეს წარმოადგენდა პასუხს იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც აყენებდნენ სეპარატისტები დნესტრისპირეთში არსებული სიტუაციის გადაჭრასთან და განმცხადებელთა გათავისუფლებასთან დაკავშირებული მსჯელობების დროს. შესაბამისად, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა შეწყვიტეს იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებსაც ადრე ახორციელებდნენ, კერძოდ, სამართლებრივ სფეროში. სასამართლო ხსენებულთან მიმართებაში აღნიშნავს მონემების, ბ-ნი სტურზას (იხ. დანართი, პუნქტები 309-14) და ბ-ნი სიდოროვის (იხ. დანართი, პუნქტი № 446) ჩვენებებს.

345. სტრატეგიის შეცვლის პარალელურად დამყარდა ურთიერთობა მოლდოვისა და დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმის ხელისუფლების ორგანოებს შორის. მიღწეული იქნა შეთანხმებები ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით, ურთიერთობა დამყარდა მოლდოვის პარლამენტსა და „მდრ-ს პარლამენტს“ შორის, რამდენიმე წლის განმავლობაში ხორციელდებოდა თანამშრომლობა პოლიციასა და უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით და ასევე სახეზე იყო თანამშრომლობა სხვა სფეროებში, როგორც არის საჰაერო მარშრუტების კონტროლი, სატელეფონო კავშირები და სპორტი (იხ. წინამდებარე განაჩენის 114-ე, 178-ე და 185-ე პუნქტები).

მოლდოვის მთავრობის განმარტებით, ხსენებული თანამშრომლობა ხორციელდებოდა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან იმ მოტივით, რომ გაუმჯობესებულიყო დნესტრისპირეთში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და მისცემოდა მათ რაც შეიძლება ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა. სასამართლო, მოლდოვის მთავრობის მსგავსად, მიიჩნევს, რომ თუ გავითვალისწინებთ ქმედებების შეზღუდულ ბუნებასა და ხასიათს, ხსენებული ქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს მხარდაჭერად დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებისათვის. საპირისპიროდ, ხსენებული ქმედებები წარმოადგენს მოლდოვის მხრიდან დადასტურებას სურვილისა, აღედგინა კონტროლი დნესტრისპირეთის რეგიონზე.

346. რაც შეეხება განმცხადებელთა სიტუაციას, სასამართლო აღნიშნავს, რომ 1997 წელს კონვენციის რატიფიცირებამდე მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს გარკვეული სასამართლო, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებები. ეს ღონისძიებები მოიცავდა:

- უზენაესი სასამართლოს 1994 წლის 3 თებერვლის განაჩენს, რომელიც აუქმებდა განმცხადებელთა 1993 წლის დეკემბრის მსჯავრდებას და მათი პატიმრობის ბრძანებას (იხ. წინამდებარე განაჩენის 222-223 პუნქტები);
- სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც აღიძრა 1993 წლის 28 დეკემბერს „დნესტრისპირეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების“ წინააღმდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 223-ე პუნქტი);
- მოლდოვის პრეზიდენტის მიერ 1995 წლის 4 აგვისტოს გამოცხადებულ ამნისტიას (იხ. წინამდებარე განაჩენის 226-ე პუნქტი) და მოლდოვის პარლამენტის 1995 წლის 3 ოქტომბრის თხოვნას (იხ. წინამდებარე განაჩენის 227-ე პუნქტი);

- მოლდოვიდან ექიმების გაგზავნას, რათა გაესინჯათ დნესტრისპირეთში პათიმრობაში მყოფი განმცხადებლები (იხ. წინამდებარე განაჩენის 239-ე და 263-ე პუნქტები); და
- განმცხადებელთა ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების განევას და დახმარების აღმოჩენას განმცხადებლების მონახულებაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 239-ე პუნქტი).

ხსენებული პერიოდის განმავლობაში, როგორც ეს მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, დნესტრისპირეთის ლიდერთან მოლაპარაკებისას მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები ასევე სისტემატურად წამოჭრიდნენ ხოლმე განმცხადებლების გათავისუფლებასთან და მათი უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებულ საკითხებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 172-ე და 274-277 პუნქტები). კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ განხორციელებულ მცდელობებს; მაგალითად, იუსტიციის მინისტრი ბ-ნი სტურზა მრავალჯერ ჩავიდა დნესტრისპირეთში, რათა მოლაპარაკებები გაემართა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან განმცხადებელთა გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

347. მოლდოვა 1997 წლის შემდეგაც ახორციელებდა ღონისძიებებს, რათა უზრუნველყო განმცხადებელთა უფლებები: დნესტრისპირეთში გაგზავნა ექიმები განმცხადებლების გასასინჯად (კიშინიოვიდან ჩასული ექიმების მიერ გასინჯვა შედგა 1999 წელს), მათ ოჯახებს ხელისუფლების ორგანოები უწევდნენ ფინანსურ დახმარებას და ბ-ნი სტურზა, იუსტიციის ყოფილი მინისტრი და დნესტრისპირეთთან მოლაპარაკებათა კომიტეტის თავმჯდომარე, აგრძელებდა განმცხადებელთა გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების წამოწევას დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების წინაშე. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ გარკვეულ მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლება შედეგად მოჰყვა „მდრ“-ს ხელისუფლების ორგანოებთან გამართულ ხანგრძლივ მოლაპარაკებებს. უფრო მეტიც, სწორედ ბ-ნი სტურზას ვიზიტს და დნესტრისპირეთში 2001 წლის აპრილში განმცხადებელთა ჩამოყვანასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს მოჰყვა შედეგად ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლება (იხ. წინამდებარე განაჩენის 274-ე პუნქტი; დანართი: ბ-ნი სტურზა, პუნქტები 310-12).

სამართლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები აღარ ახორციელებდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებსაც ადრე ახორციელებდნენ, კერძოდ, გამოძიებას იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ განმცხადებელთა მსჯავრდებასა და დაპატიმრებაში. თუმცა სასამართლო თვლის, რომ მოლდოვის მხრიდან დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კონტროლის უქონლობის პირობებში ნებისმიერი სახის სასამართლო გამოძიება დნესტრისპირეთში მცხოვრები პირების ან იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს დნესტრისპირეთში, უბრალოდ არაეფექტური იქნებოდა. ხსენებული დადასტურებულია ამ საკითხთან დაკავშირებით მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებებით (იხ. დანართი: ბ-ნი პოსტოვანი, პუნქტი 184; ბ-ნი კატანე, პუნქტი 208; და ბ-ნი რუსუ, პუნქტი 302).

ბოლოს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა მიმართეს არა მხოლოდ „მდრ“-ს რეჟიმს, არამედ სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, რათა მათ დახმარება აღმოეჩინათ განმცხადებელთა გათავისუფ-

ფლების საკითხში (იხ. დანართი: ბ-ნი მოშანუ, პუნქტი 249).

348. სასამართლოს არ გააჩნია რაიმე სახის მტკიცებულება, რომ 2001 წლის მაისში ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლების შემდეგ ეფექტური ნაბიჯები იქნა გადადგმული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, რათა ბოლო მოღებოდა განმცხადებელთა კონვენციით გარანტირებულ უფლებათა ხელყოფას, რაზეც ჩიოდა დანარჩენი სამი განმცხადებელი. და ბოლოს, ხსენებულთან დაკავშირებით ბ-ნი სტურზას მტკიცებულების გარდა იმასთან მიმართებაში, რომ განმცხადებელთა საკითხი რეგულარულად წამოიჭრება ხოლმე მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ „მდრ“-ს ხელისუფლების ორგანოებთან მოლაპარაკებებისას, სასამართლოს არ გააჩნია არავითარი სხვა ინფორმაცია, რომელსაც ძალუძს იმ დასკვნის გამყარება, რომ მოლდოვის მთავრობა გულმოდგინედ ახორციელებდა მის ხელთ არსებულ ყველა ღონისძიებას განმცხადებელთა გათავისუფლების მიზნით.

სეპარატისტებთან მოლაპარაკებებისას მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები განმცხადებელთა სიტუაციასთან დაკავშირებით შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ სიტყვებით, რაიმე ისეთი შეთანხმების მიღწევის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფდა კონვენციით გარანტირებული უფლებების პატივისცემას (იხ. დანართი, პუნქტები 310-313).

ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლებს აღკვეთილი ჰქონდათ თავისუფლება დაახლოებით 12 წლის განმავლობაში, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი არანაირი გეგმა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს მათ სიტუაციას და მოლდოვის მთავრობა არ აცხადებს პრეტენზიას, რომ ასეთი დოკუმენტი არსებობდა ან მიმდინარეობდა მოლაპარაკება მის შექმნასთან დაკავშირებით.

349. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები ასევე აღარ მოჰკიდებინან ყურადღებით განმცხადებელთა ბედს რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობებისას.

სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ 2001 წლის 6 ივლისის მოსმენაზე მოლდოვის მთავრობამ თავი შეიკავა იმის მტკიცებისაგან, რომ რუსეთის ფედერაცია იყო პასუხისმგებელი სავარაუდო დარღვევებისთვის იმ მიზეზით, რომ მისი არმია იმყოფებოდა დნესტრისპირეთში, და ეს თავშეკავება განპირობებული იყო იმით, რომ ხელი არ შეშლოდა „განმცხადებელთა გათავისუფლებისაკენ მიმართულ პროცესს“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 360-ე პუნქტი), მთავრობის მხრიდან წარმოადგენდა რუსეთის ხელისუფლების ორგანოების იმ ზეგავლენის აღიარებას, რომელიც მათ შესაძლოა ჰქონოდათ დნესტრისპირეთის რეჟიმზე, თუკი დაჟინებით მოსთხოვდნენ განმცხადებელთა გათავისუფლებას. 2001 წლის მაისამდე არსებული პოზიციის საპირისპიროდ, როდესაც მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები წამოჭრიდნენ ხოლმე რუსეთის ხელისუფლების ორგანოებთან საკითხს განმცხადებლების გათავისუფლების თაობაზე, ეს მცდელობებიც, როგორც ჩანს, ამ დღის შემდეგ ასევე შეწყდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს არ მიუღია არანაირი ინფორმაცია 2001 წლის მაისის შემდეგ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან რუსეთის ხელისუფლების ორგანოებისათვის რაიმე მიმართვის შესახებ, რომელიც მიზნად დაისახავდა განმცხადებელთა გათავისუფლებას.

350. მოკლედ რომ ვთქვათ, სასამართლო აღნიშნავს, რომ დნესტრისპირეთში სიტუაციის გადაჭრასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, რომლებ-

შიც რუსეთის ფედერაცია გამოდიოდა გარანტი სახელმწიფოს სახით, გრძელდება 2001 წლის შემდეგ განმცხადებლების რაიმე სახით მოხსენიების გარეშე და მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან რაიმე სახის ღონისძიების განხორციელების ან განხილვის გარეშე, რათა მომხდარიყო განმცხადებლების კონვენციით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფა.

351. მხედველობაში იღებს რა მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, სასამართლო თვლის, რომ 2001 წლის მაისში ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლების შემდეგ მოლდოვის მთავრობას ძალუძდა, განეხორციელებინა ღონისძიებები, რათა უზრუნველყო განმცხადებლები მათთვის კონვენციით გარანტირებული უფლებებით.

352. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ შესაძლოა სახეზე იყოს მოლდოვის ხელისუფლების პასუხისმგებლობა კონვენციის საფუძველზე, იმის გამო, რომ მან არ განახორციელა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები იმ გასაჩივრებულ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდა 2001 წლის მაისის შემდეგ.

ამიტომაც იმისათვის, რომ ზუსტად იქნეს განსაზღვრული, ნამდვილად დგას თუ არა კონვენციის თანახმად მოლდოვის პასუხისმგებლობა, სასამართლო განიხილავს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ თითოეულ საჩივარს.

## II. სვდებთან თუ არა განმცხადებლები რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში?

### ა. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი არგუმენტები

#### 1. რუსეთის ფედერაციის მთავრობა

353. რუსეთის მთავრობის მტკიცებით, გასაჩივრებული ქმედებები არ შედის რუსეთის ფედერაციის „იურისდიქციაში“ კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით.

354. რუსეთის ფედერაციას არ განუხორციელებია და არ ახორციელებს იურისდიქციას დნესტრისპირეთის რეგიონზე, რომელიც ეკუთვნის მოლდოვის რესპუბლიკას. კერძოდ, რუსეთის ფედერაციას არასოდეს მოუხდენია მოლდოვის რესპუბლიკის ოკუპირება და საჯარისო ნაწილები იქ მოლდოვის თანხმობით იყო განთავსებული. მე-14 არმიის შენაერთები არ ერეოდნენ მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტში, არამედ მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად ასრულებდნენ სამშვიდობო მოვალეობებს და ამით ხელს უშლიდნენ კონფლიქტის გამწვავებას და მშვიდობიან მოქალაქეებში მსხვერპლის რაოდენობის ზრდას. რა თქმა უნდა, უკანონო შეიარაღებული ქმედებებისას, იქნებოდა ეს დნესტრისპირეთის თუ მოლდოვის მხრიდან, რომლებიც განხორციელებული იქნებოდა მე-14 არმიის ჯარისკაცების წინააღმდეგ, ისინი ვალდებულნი იყვნენ, თავი დაეცვათ. შეუძლებელი იყო იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც რუსეთის ფედერაციამ აიღო 1994 წელს და გულისხმობდა სამხედრო ძალების გაყვანას მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიიდან 3 წლის განმავლობაში შეთანხმებაზე ხელის მოწერიდან, რადგანაც ხსენებული გაყვანა არ იყო მხო-



ლოდ რუსეთზე დამოკიდებული. პირველ რიგში, ამის წინააღმდეგნი „მდრ“-ს ხელისუფლების ორგანოები იყვნენ, მეორე რიგში, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული სამხედრო საწყობების გადატანის ტექნიკური მხარე. სტამბულში გამართულ ეუთო-ს სამიტზე გაყვანის ვადად დასახელდა 2002 წლის 31 დეკემბერი და რუსეთის ფედერაცია ცდილობდა, შეესრულებინა სამიტზე მიღწეული შეთანხმებები.

355. რუსეთის მთავრობის მტკიცებით, დნესტრისპირეთში რუსეთის ჯარების განთავსება არ შეიძლება შევადაროთ თურქეთის ჯარების განთავსებას კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში, რა სიტუაციაც სასამართლომ განიხილა *Loizidou-ს* და *Cyprus v. Turkey* საქმეებში (ორივე საქმე ზემოთ არის ნახსენები). უმთავრესი სხვაობა მდგომარეობს განთავსებული ჯარების რაოდენობაში. მაშინ, როდესაც როდ-ს მხოლოდ 2000 ჯარისკაცი ჰყავს, თურქეთის ჯარებს ჩრდილოეთ კვიპროსში 30 000 მეტი ჯარისკაცი გააჩნიათ.

როდ-ის ჯარები არ მოქმედებდნენ „მდრ“-სთან ერთად ან მათი სახელით, მათ აკისრიათ სამშვიდობო მისია და მათი ხელმძღვანელის მიზანს წარმოადგენს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა და ასევე იქ არსებული უზარმაზარი რაოდენობის იარაღის დაცვა. სამშვიდობო ძალები იცავდნენ ნეიტრალიტეტს, რომელსაც მოითხოვდა 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმება.

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნამ მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოლდოვის თანხმობით, რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, არ შეიძლება დღის წესრიგში დააყენოს რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

356. რუსეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა, რომ ახორციელებდა ან წარსულში განუხორციელებია რაიმე სახის კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე; მთავრობამ აღნიშნა, რომ „მდრ-მ“ შექმნა საკუთარი სტრუქტურები, მათ შორის პარლამენტი და მართლმსაჯულების ორგანოები.

რუსეთის მთავრობა არ ახორციელებდა რაიმე სახის ეკონომიკურ კონტროლს დნესტრისპირეთის რეგიონზე, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავდა საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას მოლდოვის რესპუბლიკის ფარგლებში, მაგალითად, ახდენდა საკვები პროდუქტებისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტს საკუთარი მარკებით, ოღონდ მოლდოვის რესპუბლიკის სახელით და თითოეულ სფეროში მოქმედი წესების მიხედვით. შესაბამისად, ჩრდილოეთ კვიპროსში არსებული სიტუაციისაგან განსხვავებით, დნესტრისპირეთის რეჟიმი შორს იყო იმისაგან, რომ მისი არსებობა დამოკიდებული ყოფილიყო რუსეთის ფედერაციაზე. რუსეთის ჯარების სრულად გაყვანის შემთხვევაში დნესტრისპირეთის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს არ შეექმნებოდათ არავითარი პრობლემები თავიანთი ქმედებების თავისუფლად განხორციელებასთან მიმართებაში.

357. რუსეთის ფედერაციას არასოდეს აღმოუჩენია დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებისათვის თუნდაც ცოტაოდენი სამხედრო, ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება. მას არასოდეს უღიარებია „მდრ“, როგორც ამას რეგიონი თავად ასახელებს თავის სახელად. დნესტრისპირეთის რეგიონი წარმოადგენდა მოლდოვის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს ისევე, როგორც, მაგალითად, გაგაუზია.

მთავრობამ უარყო განმცხადებლების მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ფედერაციამ გახსნა საკონსულო დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე, მაგრამ აღიარა, რომ ხსენებული საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში მოლდოვასთან მოლაპარაკებისას.

1998 წლის 20 მარტის შეთანხმება იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდებოდა მე-14 არმიის ქონებას (იხ. წინამდებარე განაჩენის 299-ე პუნქტი) და სხვა შეთანხმებებს „მდრ“-სთან ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით, წარმოადგენდა კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებას ორ კერძო მხარეს შორის და არ იყო საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანი. არ შეიძლება ხსენებული არგუმენტების საფუძველზე იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს რუსეთის ფედერაციამ აღიარა „მდრ“.

ანალოგიურად, არანაირი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1994 წლის 21 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმების მე-7 და მე-13 მუხლებიდან (იხ. წინამდებარე განაჩენის 296-ე პუნქტი), რომლებიც ითვალისწინებდა ტირასპოლის სამხედრო აეროპორტის ერთობლივად გამოყენებას რუსეთის ფედერაციის სამხედრო ავიაციისა და „მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის სამოქალაქო ავიაციის მიერ“ და „მოლდოვის ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციისათვის“ იმ გათავისუფლებული საცხოვრებელი შენობების ან მექანიკური ნაწილების გადაცემას, რომლებიც დარჩა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებების გაყვანის შედეგად. რუსეთის მთავრობის თქმით, „დნესტრისპირეთის რეგიონი“ ითვლებოდა „საქმიან გაერთიანებად“, რომელიც ახორციელებდა საკუთარ ქმედებებს კონკრეტულ ტერიტორიაზე.

358. მოლდოვაში მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებების, კერძოდ კი ყოფილი სამხედრო პროკურორის ბ-ნი ტიმოშენკოს მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე რუსეთის მთავრობამ აღიარა, რომ განმცხადებლები პატიმრობაში იმყოფებოდნენ მე-14 არმიის კუთვნილ შენობაში, მაგრამ მთავრობა ამტკიცებდა, რომ ხსენებული პატიმრობა განხორციელებული იყო როდ-ის დისციპლინური წესების დარღვევით და თავად პატიმრობა ძალზე მცირე ხნის განმავლობაში განხორციელდა, რადგან ბ-ნმა ტიმოშენკომ სწრაფადვე მოულო ბოლო კანონის დარღვევას. შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლებრივი დებულებების შესაძლო დარღვევა მალევე იქნა აღმოფხვრილი და განმცხადებლები არ შეიძლება ჩათვლილიყვნენ მსხვერპლებად.

რაც შეეხება სხვა პრეტენზიებს, რუსეთის მთავრობა აცხადებდა, რომ არ არსებობდა არავითარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რუსეთის სამხედრო ძალების დნესტრისპირეთში ყოფნასა და განმცხადებელთა სიტუაციას შორის.

## 2. მოლდოვის მთავრობა

359. 2000 წლის 24 ოქტომბერს წარმოდგენილ წერილობით კომენტარებში მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ შესაძლო იყო წინამდებარე საქმეში რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობაზე საუბარი კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით; მხედველობაში უნდა მიღებულიყო რუსეთის ფედერაციის კუთვნილი ჯარებისა და აღჭურვილობის განთავსება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. ხსენებულთან დაკავშირებით მოლდოვის მთავრობა ეყრდნო-

ბოდა კომისიის გადაწყვეტილებას საქმეზე *Cyprus v. Turkey* (№ 8007/77, 1978 წლის 10 ივლისი, გადაწყვეტილებები და მოხსენებები 13) და სასამართლოს განაჩენს ზემოხსენებულ *Loizidou*-ს საქმეზე (პირველადი პრეტენზიები).

360. 2001 წლის 6 ივნისს გამართულ საქმის მოსმენაზე მოლდოვის მთავრობა აცხადებდა, რომ სურდა 2000 წლის 24 ოქტომბრის წერილობით კომენტარებში დაფიქსირებული პოზიციის შეცვლა იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც ეხებოდა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას. თავის პოზიციას მთავრობა ხსნიდა იმით, რომ ხსენებული ნაბიჯის მიზანს წარმოადგენდა „არასასურველი შედეგების, კერძოდ, იმ პროცესისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილება, რომელიც მიზნად ისახავდა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებას და სხვა განმცხადებლების პატიმრობისათვის ბოლოს მოღებას“.

361. 2003 წლის 1 ოქტომბერს წარმოდგენილ წერილობით კომენტარებში მოლდოვის მთავრობა ხაზს უსვამდა, რომ მე-14 არმია აქტიურად მონაწილეობდა, პირდაპირ და არაპირდაპირ, 1991-92 წლების კონფლიქტში სეპარატისტების მხარეზე, აღმოუჩინა სეპარატისტების მხარეს სამხედრო დახმარება და ასევე ზურგს უმაგრებდა მას. მოლდოვის მთავრობა თვლიდა, რომ რუსეთის მთავრობა იყო სსრკ-ს უფლებამონაცვლე სახელმწიფო საერთაშორისო კონტექსტში და რომ ამიტომ რუსეთი პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო სსრკ-ს ორგანოების, ამ შემთხვევაში კი მე-14 არმიის (რომელსაც სახელი გადაერქვა როდ-ად) მიერ ჩადენილ ქმედებებზე. რუსეთი პასუხისმგებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმის დამკვიდრებისათვის და ამ რეჟიმის მიერ განხორციელებული ქმედებებისათვის.

გარდა ამისა, მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ სახეზე იყო რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მე-14 არმიის პერსონალი მონაწილეობდა განმცხადებლების დაკავება-დაკითხვაში, განმცხადებლები პატიმრობაში მე-14 არმიის კუთვნილ შენობაში იმყოფებოდნენ და ისინი გადასცეს დნესტრისპირელ სეპარატისტებს.

362. შესაბამისად, მოლდოვის მთავრობა თვლიდა, რომ ზოგადად დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ჩადენილი ქმედებები კონვენციის პირველი მუხლის თანახმად ხვდებოდა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში დნესტრისპირეთის კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე.

363. მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მართალია, არ ეწინააღმდეგებოდა დნესტრისპირეთის მხარისათვის როდ-ის კუთვნილი გარკვეული სამოქალაქო აღჭურვილობის გადაცემას, იგი ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო რეგიონისათვის რაიმე სახის შეიარაღების ან სამხედრო თუ ორმხრივი გამოყენების ტექნოლოგიის (რომელიც გამოიყენება როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დანიშნულებით) გადაცემისა.

რაც შეეხება ტერმინის „მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“ მნიშვნელობას, რომელიც რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით დადებულ რამდენიმე შეთანხმებაში (რომლებიც აღნიშნულ ორგანოებზე გარკვეულ მითითებას აკეთებს) გვხვდება, მოლდოვის მთავრობა აცხადებდა, რომ ხსენებული მითითებდა მოლდოვის კონსტიტუციის შესაბამისად შექმნილ ადმინისტრაციულ ორგანოებზე, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს. მოლდოვის მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა იმ განმარტებას, რომლის

თანახმადაც ზემოაღნიშნულ შეთანხმებებში მოხსენიებულ ხელისუფლების ორგანოებში იგულისხმებოდა ის ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც ტირასპოლის ხელისუფლების ორგანოებს ემორჩილებოდნენ.

### 3. განმცხადებლები

364. განმცხადებელთა მტკიცებით, სახეზე იყო რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა რამდენიმე ფაქტორის გამო. ხსენებული მოიცავდა იმ წვლილს, რომელიც შეიტანეს სსრკ-მ და რუსეთის ფედერაციამ „მდრ“-ს შექმნაში, რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და რუსი კაზაკების მონაწილეობას მოლდოვასა და „მდრ“-ს შორის 1991-92 წლების კონფლიქტში და იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას, რომელსაც რუსეთის ფედერაციამ „მდრ“-ს უჩინდა.

365. პირველ რიგში, რუსეთის ხელისუფლების ორგანოები მხარს უჭერდნენ დნესტრისპირელ სეპარატისტებს როგორც პოლიტიკური გზით, ისე შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობით. ხსენებულთან დაკავშირებით განმცხადებლები მიუთითებდნენ ფაქტობრივ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოწმობდა რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერას (იხ. წინამდებარე განაჩენის 111-136 პუნქტები) და მრავალ პრეტენზიაზე, რომლებიც 1992 წელს გამოთქვეს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა მოლდოვის ტერიტორიაზე მე-14 არმიის აგრესიასთან დაკავშირებით. ხელისუფლების ორგანოები ასევე პრეტენზიებს გამოთქვამდნენ იმ საჯარო განცხადებების გამო, რომლებსაც სეპარატისტების მხარდასაჭერად აკეთებდნენ მე-14 არმიის ხელმძღვანელობა და რუსეთის ლიდერები. პრეტენზიები ეხებოდა ასევე მე-14 არმიის ხელმძღვანელობის მონაწილეობას დნესტრისპირეთში გამართულ არჩევნებში, დნესტრისპირეთის მხარის მიერ გამართულ სამხედრო აღლუმებსა და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

366. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის ფედერაციამ არ გააკეთა არაფერი იმისათვის, რომ ხელი შეეშალა კაზაკებისა და სხვა რუსი დაქირავებული ბოევიკებისათვის, ებრძოლათ სეპარატისტების გვერდით. საპირისპიროდ, რუსეთის ფედერაციამ ახალისებდა დაქირავებულ ბოევიკებს ამისაკენ, ამ დროს კი მე-14 არმია აიარაღებდა და წვრთნიდა დნესტრისპირელ სეპარატისტებს.

367. განმცხადებელთა მტკიცებით, ე.წ. „მდრ“-ს ძალოვანი ორგანოები ფაქტობრივად რუსეთის მთავრობის მარიონეტები იყვნენ.

368. უფრო მეტიც, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ „მდრ“ აღიარებული იყო რუსეთის მთავრობის მიერ. ხსენებულთან დაკავშირებით განმცხადებლები მიუთითებდნენ იმ შეთანხმებაზე, რომელიც უკავშირდებოდა მე-14 არმიის საკუთრებას და დადებული იყო 1998 წლის 20 მარტს რუსეთის ფედერაციასა და დნესტრისპირეთს შორის (იხ. წინამდებარე განაჩენის 299-ე პუნქტი). განმცხადებლები ასევე ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის პოლიტიკურ პარტიებს გააჩნდათ ფილიალები ტირასპოლში, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს გახსნილი ჰქონდა საკონსულო მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების ნებართვის გარეშე და რომ დნესტრისპირეთის ლიდერებს, მათ შორის ბ-ნ სმირნოვს, ბ-ნ მარაჩუტას და ბ-ნ კარამანს, ჰქონდათ რუსული პასპორტები.

369. „მდრ“-ს *de facto* აღიარების გარდა, რუსეთის ფედერაციამ მხარს უჭერ-

და ტირასპოლის რეჟიმს ეკონომიკურად და ფინანსურად, როგორც ეს დადასტურებულია ზემოხსენებული 1998 წლის 20 მარტის შეთანხმებით, რომელმაც „მდრ“-ს მხარეს მიაკუთვნა შემოსავალი როდ-ის კუთვნილი ალჭურვილობის გაყიდვიდან, დნესტრისპირეთის მხარეს რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა ასევე შეუმცირეს ვალი, დამყარებული იქნა ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთის იარაღის მწარმოებელ „როსვოორუჟნიესა“ და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს შორის და დნესტრისპირეთის ბანკმა გახსნა საბანკო ანგარიშები რუსეთის ცენტრალურ ბანკში.

370. განმცხადებელთა მტკიცებით, ასეთი ქმედებები, რუსეთის ფედერაციის მიერ დნესტრისპირეთის ტერიტორიის *de facto* კონტროლთან ერთად, წარმოშობდა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებათა იქ ჩადენილ დარღვევებთან მიმართებაში.

განმცხადებლები ეყრდნობოდნენ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ზემოხსენებულ *Loizidou*-ს საქმეში (პირველადი პრეტენზიები) იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ რუსეთის ფედერაცია შესაძლოა პასუხისმგებელი ყოფილიყო მისი ტერიტორიის გარეთ, კერძოდ კი მის მიერ კონტროლირებადი რეგიონის ტერიტორიაზე ჩადენილ ქმედებებთან მიმართებაში.

განმცხადებლები ასევე ეყრდნობოდნენ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომელმაც სამხრეთ აფრიკის ნამიბიაში ყოფნის საქმეზე საკონსულტაციო დასკვნაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს ევალებოდათ, უზრუნველყოთ, რომ კერძო პირების მიერ განხორციელებულ ქმედებებს ზეგავლენა ვერ მოეხდინა ხსენებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე. განმცხადებლები ასევე მიუთითებდნენ *Kling*-ის საქმეზე, რომელშიც ზოგადი პრეტენზიების კომისიამ, რომელიც შექმნეს შეერთებულმა შტატებმა და მექსიკამ 1923 წელს, დაადგინა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო მისი ჯარისკაცების მიერ მოწყობილ აჯანყებაზე.

#### 4. რუმინეთის მთავრობა, საქმეში ჩართული მესამე მხარე

371. რუმინეთის მთავრობა თავდაპირველ ეტაპზე ამტკიცებდა, რომ საქმეში მისი ჩართვის მიზანს წარმოადგენდა ფაქტებისათვის ნათელის მოფენა და სამართლებრივი არგუმენტაციის წარმოდგენა განმცხადებლების, რომლებიც მისი მოქალაქეები იყვნენ, სასარგებლოდ.

372. უშვებდა რა, რომ გასაჩივრებული ქმედებები ნამდვილად განხორციელდა და გრძელდებოდა „მდრ-ში“ და რომ მოლდოვის ტერიტორიის ნაწილი იმყოფებოდა ტირასპოლის სეპარატისტული ძალაუფლების ქვეშ, რუმინეთის მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის ჯარების მონაწილეობა და ზეგავლენა დნესტრისპირეთის რეგიონის კომინიოვის კონტროლის გარეთ განგრძობად ყოფნაზე.

რუმინეთის მთავრობის მტკიცებით, მე-14 არმია ხელს უწყობდა სეპარატისტების შეიარაღებული ძალების შექმნას. კონფლიქტის დამთავრების შემდეგ მე-14 არმიის პერსონალი რჩებოდა მოლდოვის ტერიტორიაზე.

373. რუმინეთის მთავრობა მიუთითებდა კონვენციის ორგანოების პრეცედენტულ სამართალზე, რომლის თანახმადაც ხელშემკვრელი მხარის პასუხისმგებლობა შესაძლოა სახეზე იყოს, როდესაც სამხედრო ღონისძიების საფუძველზე

იგი პრაქტიკულად ახორციელებს კონტროლს მისი ტერიტორიის გარეთ მდებარე სივრცეზე (იხ. *Cyprus v. Turkey*, კომისიის ზემოხსენებული გადაწყვეტილება; *Loizidou*-ს საქმე (პირველადი პრეტენზიები), და *Cyprus v. Turkey*, კომისიის 1994 წლის 4 ივნისის მოხსენება).

რუმინეთის მთავრობის მტკიცებით, ხსენებული პრეცედენტული სამართალი სრულად მიესადაგებოდა წინამდებარე საქმეში არსებულ ფაქტებს, პირველ რიგში, იმის საფუძველზე, რომ მე-14 არმიის ძალები მონაწილეობდნენ სამხედრო კონფლიქტში, რომლის დროსაც მოლდოვა ცდილობდა თავისი სუვერენული იურისდიქციის აღდგენას ხსენებულ ტერიტორიაზე, და, მეორე რიგში, იმის საფუძველზე, რომ ხსენებული ჯარები იმყოფებოდნენ „მდრ“-ში. დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, რომ რუსეთის ჯარების რაოდენობა თანდათანობით შემცირდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროპორციულად, რადგან საპირისპირო კომპონენტი მოლდოვის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების განთავსებისა და ხანგრძლივი ყოფნის სახით კვლავ სახეზე იყო.

274. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის ორგანოები პოლიტიკურ ზეგავლენას ახორციელებდნენ ტირასპოლის სეპარატისტულ ხელისუფლებაზე.

375. რუმინეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო მისი ორგანოების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, მათ შორის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევაშიც, და ხსენებულთან დაკავშირებით მიუთითებდა რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, მათ შორის პრეზიდენტ ელცინის განცხადებაზე და იმ რუს ჯარისკაცებზე, რომლებიც იბრძოდნენ სეპარატისტების მხარეს. გარდა ამისა, რუმინეთის მთავრობის აზრით, სახელმწიფო პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო იმ კანონდარღვევებზე, რომლებიც ჩადენილი იყო კერძო პირების მიერ, როდესაც ასეთი ქმედებები წარმოადგენდა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობის შედეგს, ასეთი ქმედებების აღკვეთის, კონტროლის არარსებობის თუ გაუფრთხილებლობის კუთხით.

## **ბ. სასამართლოს შეფასება**

### **1. ზოგადი პრინციპები**

376. სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული ზოგადი პრინციპების რეზიუმე (იხ. წინამდებარე განაჩენის 310-321 პუნქტები) შესაბამისია იმ საკითხის განხილვისა, ხვდებიან თუ არა განმცხადებლები რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში.

### **2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება**

377. წინამდებარე საქმეში სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს იმის გარკვევა, ზემოხსენებული პრინციპების გათვალისწინებით (იხ. კერძოდ 314-316 პუნქტები) შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთის ფედერაცია იყოს პასუხისმგებელი სავარაუდო დარღვევებზე.

378. სასამართლო თავდაპირველ ეტაპზე აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედე-

რაცია საერთაშორისო სამართლის თანახმად წარმოადგენს სსრკ-ს უფლებამონაცვლე სახელმწიფოს (იხ. წინამდებარე განაჩენის 290-ე პუნქტი). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც დსთ შეიქმნა, მოლდოვა არ შეუერთდა დსთ-ს შეიარაღებული ძალების წვრთნებს და ამით დამტკიცდა, რომ მას არ სურდა, მონაწილეობა მიეღო დსთ-ს სამხედრო სფეროში განხორციელებულ თანამშრომლობაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 293-294 პუნქტები).

#### **(ა) რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე**

379. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1991 წლის 14 ნოემბერს, როდესაც დაიშალა სსრკ, მოლდოვის ახალგაზრდა რესპუბლიკამ განაცხადა თავისი უფლებები აღჭურვილობასა და იარაღზე, რომლებიც ინახებოდა მის ტერიტორიაზე განთავსებული მე-14 არმიის საწყობებში (იხ. წინამდებარე განაჩენის 37-ე პუნქტი).

მოლდოვა ასევე აწარმოებდა მოლაპარაკებებს რუსეთის ფედერაციასთან იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს გაეყვანა თავისი ჯარები მოლდოვის ტერიტორიიდან.

380. სასამართლოს აზრით, მოლდოვის 1991-92 წლების კონფლიქტის დროს მე-14 არმიის ძალები (რომლებიც მიეკუთვნებოდნენ სსრკ-ს, დსთ-ს, შემდგომში კი რუსეთის ფედერაციას), რომლებიც განთავსებულნი იყვნენ დნესტრისპირეთში, მოლდოვის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილის ტერიტორიაზე, იბრძოდნენ დნესტრისპირეთის ძალების მხარეს. უფრო მეტიც, მე-14 არმიის (რომელიც როდ-ად გადაიქცა) საწყობებიდან დიდი რაოდენობის იარაღი გადაეცემოდა სეპარატისტებს, რომლებიც ასევე ახერხებდნენ იარაღის დაპატრონებას რუსი ჯარისკაცების მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის განევის გარეშე (იხ. წინამდებარე განაჩენის 48-136 პუნქტები).

სასამართლო აღნიშნავს, რომ 1991 წლის დეკემბრიდან მოყოლებული მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები სისტემატურად აპროტესტებდნენ სხვა ორგანოებთან ერთად საერთაშორისო ორგანოების წინაშე „აგრესიის ქმედებებს“, როგორც ისინი ამას უწოდებდნენ, მე-14 არმიის მხრიდან მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ და ბრალს სდებდნენ რუსეთის ფედერაციას დნესტრისპირეთის სეპარატისტების მხარდაჭერაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფოების პასუხისმგებლობას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან მიმართებაში, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ამას რუსეთის ფედერაცია ამტკიცებდა, რომ მე-14 არმიას მონაწილეობა არ მიუღია, როგორც ასეთი, მოლდოვის ძალებსა და დნესტრისპირელ აჯანყებულებს შორის სამხედრო ოპერაციაში.

381. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებსა და დნესტრისპირეთის მხარეს შორის შეტაკებებისას რუსეთის ფედერაციის ლიდერები თავიანთი პოლიტიკური განცხადებებით მხარს უჭერდნენ სეპარატისტული ხელისუფლების ორგანოებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 46-ე, 75-ე, 137-ე და 138-ე პუნქტები). რუსეთის ფედერაციამ შეადგინა 1992 წლის 21 ივლისის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დიდი ნაწილი და უფრო მეტიც, მისი მხარეც კი იყო.

382. ხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ სახეზეა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა იმ უკანონო ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე

სეპარატისტების მიერ. ის სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელსაც რუსეთი სეპარატისტებს უზენადა სეპარატისტული რეჟიმის შექმნაში, და რუსეთის სამხედრო პერსონალის კონფლიქტში მონაწილეობა ნათლად ადასტურებს ხსენებულს. ასეთი ქმედებებით რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობდნენ სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით სეპარატისტული რეჟიმის შექმნას დნესტრისპირეთის იმ რეგიონში, რომელიც მოლდოვის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ 1992 წლის 21 ივლისის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდგომაც კი რუსეთის ფედერაცია აგრძელებდა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის აღმოჩენას სეპარატისტული რეჟიმისათვის (იხ. წინამდებარე განაჩენის 111-161 პუნქტები) და ამით შესაძლებლობას აძლევდა, ეარსება, გაძლიერებულიყო და მოლდოვასთან მიმართებაში გარკვეული ავტონომიურობა მოეპოვებინა.

383. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული მოვლენების კონტექსტში, განმცხადებლები დაკავებულნი იქნენ 1992 წლის ივნისში მე-14 არმიის (შემდგომში როდ-ი) ჯარისკაცების მონაწილეობით. პირველი სამი განმცხადებელი შემდგომში დაპატიმრებული იქნა მე-14 არმიის შენობაში და მათ დარაჯობდნენ მე-14 არმიის ჯარისკაცები. პატიმრობის პერიოდში ხსენებული სამი განმცხადებელი დაკითხეს და დაუქვემდებარეს ისეთ მოპყრობას, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. ისინი შემდგომში გადაეცნენ დნესტრისპირეთის პოლიციას.

ანალოგიურად, მე-14 არმიის ჯარისკაცების მიერ დაკავების შემდეგ მეოთხე განმცხადებელი გადაეცა დნესტრისპირეთის სეპარატისტულ პოლიციას, შემდგომში იგი დააპატიმრეს, დაკითხეს და პოლიციის შენობაში დაუქვემდებარეს მოპყრობას, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ.

384. სასამართლო თვლის, რომ, ზემოხსენებული მოვლენების გათვალისწინებით, განმცხადებლები ხვდებოდნენ რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ როდესაც ხსენებული განხორციელდა, რუსეთის ფედერაციისათვის კონვენცია არ იყო ძალაში შესული.

სწორედ ამიტომ უნდა ჩაითვალოს, რომ ის ქმედებები, რომლებმაც წარმოშვა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა, მოიცავდა არა მხოლოდ ქმედებებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლები – როგორც არის, მაგალითად, განმცხადებელთა დაკავება და პატიმრობა, არამედ ასევე მათ გადაცემას დნესტრისპირეთის პოლიციისა და იქ არსებული რეჟიმისათვის და შემდგომში მათდამი არასათანადო მოპყრობას პოლიციელების მხრიდან. ასეთი ქმედებებისას რუსეთის წარმომადგენლებს სრულად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ ისინი გადასცემდნენ პირებს უკანონო და არაკონსტიტუციურ რეჟიმს.

გარდა ამისა, თუკი გავითვალისწინებთ იმ ქმედებებს, რომელთა ჩადენაშიც განმცხადებლებს ედებოდათ ბრალი, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ იმ ბედის შესახებ, რომელიც განმცხადებლებს მოელოდათ.

385. სასამართლოს აზრით, რუსი ჯარისკაცების მიერ ჩადენილი ყველა



ქმედება განმცხადებლებთან მიმართებაში, მათ შორის განმცხადებელთა გადაცემა სეპარატისტული რეჟიმისათვის, რუსეთის ხელისუფლების უკანონო რეჟიმთან თანამშრომლობის კონტექსტში, წარმოაჩენს რუსეთის პასუხისმგებლობას ამ რეჟიმის მიერ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებითაც.

დასადგენი რჩება, რჩებოდა თუ არა პასუხისმგებლობა და სახეზე იყო თუ არა რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის რატიფიცირებისას.

### **(ბ) რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ**

386. 1998 წლის 5 მაისს კონვენციის რატიფიცირების შემდგომ პერიოდთან მიმართებაში სასამართლო აღნიშნავს შემდეგს:

387. რუსეთის არმია კვლავ განთავსებულია მოლდოვის ტერიტორიაზე იმ ვალდებულების საწინააღმდეგოდ, რომელიც გულისხმობს ჯარების სრულად გაყვანას და რომელიც რუსეთის ფედერაციამ იკისრა ეუთო-ს სამიტზე (1999) და პორტოს სამიტზე (2001). მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დნესტრისპირეთში განთავსებული რუსული ჯარების რაოდენობა ფაქტიურად მნიშვნელოვნად შემცირდა 1992 წლის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 131-ე პუნქტი), სასამართლო აღნიშნავს, რომ როდ-ის იარაღის საწყობები კვლავ იქ რჩებოდა.

შესაბამისად, არსებული არსენალის მოცულობის გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 131-ე პუნქტი), როდ-ის სამხედრო მნიშვნელობა რეგიონში და მისი გადამარწმუნებელი ზეგავლენა მაინც არსებობს.

388. სასამართლო ამასთანავე აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციასა და მოლდოვის დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად (იხ. წინამდებარე განაჩენის 112-120 და 123-ე პუნქტები), „მდრ“-ს ხელისუფლების ორგანოებს უნდა მიეღოთ როდ-ის ინფრასტრუქტურა და არსენალი როდ-ის სრულად გაყვანისას. ხსენებულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მთავრობის მიერ მიცემული განმარტება ტერმინისა „დნესტრისპირეთის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“, რომელიც მოიპოვება სხვა შეთანხმებებთან ერთად 1994 წლის 21 ოქტომბრის შეთანხმებაშიც (იხ. წინამდებარე განაჩენის 116-ე პუნქტი), სულ სხვანაირად აღიქმება, ვიდრე ეს მოლოდინის მთავრობამ აღიქვა, და ამ ფაქტმა შესაძლებლობა მისაცა „მდრ“-ს რეჟიმს, მოეპოვებინა ინფრასტრუქტურა.

389. რაც შეეხება სამხედრო ურთიერთობებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოლდოვის დელეგაცია შერეულ საკონტროლო კომისიაში მუდმივად წამოჭრიდა პრეტენზიებს როდ-ის პერსონალსა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს შორის ფარული შეთანხმებების არსებობასთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც ხორციელდებოდა დნესტრისპირელებისათვის იარაღის მიწოდება. სასამართლო აღნიშნავს, რომ როდ-ის პერსონალი უარყოფდა ხსენებულ პრეტენზიებს დელეგატების თანდასწრებით და აცხადებდა, რომ გარკვეული აღჭურვილობა მართლაც შესაძლებელია აღმოჩნდა სეპარატისტების ხელში ქურდობის შედეგად.

როდ-ის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებებისა და იარაღის საწყობების საშიში ხასიათის მხედველობაში მიღებით, სასამართლოსათვის რთულია იმის აღქმა, თუ რატომ არა აქვს როდ-ის ჯარებს ეფექტური კანონიერი საშუალებები, რომ აღკვეთოს იარაღის ასეთი გადაცემა და ქურდობა, როგორც ეს ნათლად იკვეთება დელეგატებისათვის მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებებიდან.

390. სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფინანსურ მხარდაჭერას, რომელსაც „მდრ“ იღებდა რუსეთის ფედერაციასთან დადებული შემდეგი შეთანხმებების საფუძველზე:

- 1998 წლის 20 მარტს ხელმოწერილი შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და „მდრ-ს“ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ითვალისწინებდა როდ-ის ალჭურვილობის გაყიდვიდან შემოსული თანხების განაწილებას „მდრ“-სა და რუსეთის ფედერაციას შორის;
- 2001 წლის 15 ივნისის შეთანხმება, რომელიც ეხებოდა ერთობლივი სამუშაოების განხორციელებას შეიარაღების, სამხედრო ტექნოლოგიებისა და ალჭურვილობის საკითხებში;
- რუსეთის ფედერაციის მიერ „მდრ“-სათვის 100 მილიონი ამერიკული დოლარის ვალის შემცირება, და
- დნესტრისპირეთში რუსული გაზის უფრო ხელსაყრელ ფასად მიწოდება მოლდოვის სხვა რეგიონებთან შედარებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 156-ე პუნქტი).

სასამართლო ამასთანავე აღნიშნავს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, რომელიც არ უარყო რუსეთის მთავრობამ და რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციის მიერ კონტროლირებად კომპანიებსა და დაწესებულებებს, ან რომელთა პოლიტიკაც ექვემდებარება სახელმწიფო ნებართვას, რომლებიც მოქმედებენ, კერძოდ, სამხედრო სფეროში და შეძლეს კომერციული ურთიერთობების დამყარება „მდრ“-ში არსებულ ანალოგიურ ფირმებთან (იხ. წინამდებარე განაჩენის 150-ე და 151-ე პუნქტები).

391. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ როგორც 1998 წლის 5 მაისამდე, ასევე ამ თარიღის შემდეგაც რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად უსაფრთხოების ზონაში „მდრ“-ს რეჟიმი ახორციელებდა თავისი ჯარების განთავსებას უკანონოდ, ასევე გრძელდებოდა იარაღის წარმოება და გაყიდვა, რაც არღვევდა 1992 წლის 21 ივლისს მიღწეულ შეთანხმებას (იხ. წინამდებარე განაჩენის 99-ე, მე-100, 150-ე და 151-ე პუნქტები).

392. ყოველივე ზემოხსენებული ადასტურებს, რომ 1991-92 წლებში რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით შექმნილი „მდრ“, თავისი ხელისუფლების ორგანოებითა და ადმინისტრაციით, რჩება რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლის ან, სულ მცირე, გადამწყვეტი ზეგავლენის ქვეშ და ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით, რომელსაც მას რუსეთის ფედერაცია უჩენს.

393. ზემოხსენებულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს განმცხადებელთა ბედთან რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის განგრძობადი და მუდმივი კავშირი, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა და მხარდაჭერა დნესტრისპირეთის რეჟიმისათვის და მასთან თანამშრომლობა გრძელდებოდა 1998 წლის 5 მაისის შემდეგაც და ხსენებული თარიღის შემდგომ რუსეთის ფედერაციას არ განუხორციელებია არანაირი მცდელობა, რათა ბოლო მოეღო განმცხადებელთა სიტუაციისთვის, რომელიც მისი წარმომადგენლების ქმედებით იყო გამოწვეული, და, ამავე დროს, არაფერი გაუკეთებია იმ დარღვევების აღსაკვეთად, რომლებიც სავარაუდოდ 1998 წლის 5 მაისის შემდეგ მოხდა.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით ძალზე მცირე მნიშვნელობა აქვს იმას,

რომ 1998 წლის 5 მაისის შემდეგ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ უშუალოდ წინამდებარე განაცხადში გასაჩივრებულ ქმედებებში.

394. შესაბამისად, განმცხადებლები ხვდებიან რუსეთის ფედერაციის „იურისდიქციაში“ კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით და სახეზეა რუსეთის პასუხისმგებლობა გასაჩივრებულ ქმედებებთან მიმართებაში.

### **III. სასამართლოს იურისდიქცია *RATIONE TEMPORIS***

395. 2000 წლის 24 ოქტომბერს წარმოდგენილ კომენტარებში მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლების მიერ გასაჩივრებული დარღვევები ატარებდა განგრძობად ხასიათს და, შესაბამისად, სასამართლოს გააჩნდა იურისდიქცია მათ განხილვასთან მიმართებაში.

396. რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლების მიერ გასაჩივრებული ქმედებები განხორციელდა რუსეთის მხარისათვის 1998 წლის 5 მაისს კონვენციის ძალაში შესვლამდე და, შესაბამისად, ხვდებოდა სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

397. განმცხადებელთა მტკიცებით, გასაჩივრებული ქმედებები თავისი ბუნებით ატარებდა განგრძობად ხასიათს და, შესაბამისად, სასამართლოს გააჩნდა მათი განხილვის იურისდიქცია.

398. რუმინეთის მთავრობას არ წარმოუდგენია არგუმენტაცია ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

399. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოლდოვისათვის კონვენცია ძალაში შევიდა 1997 წლის 12 სექტემბერს, ხოლო რუსეთის ფედერაციისათვის – 1998 წლის 5 მაისს. სასამართლო აღნიშნავს, რომ თითოეულ ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებაში კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ მხარისათვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ მოხდა.

#### **ა. კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული პრეტენზია**

400. სასამართლო აღნიშნავს, რომ, განმცხადებელთა მტკიცებით, მათ ვერ ისარგებლეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს წინაშე“.

თუმცა სასამართლოს წინაშე გამართული ხსენებული სამართალწარმოება დამთავრდა 1993 წლის 9 დეკემბრის განაჩენით (იხ. წინამდებარე განაჩენის 215-ე პუნქტი), ანუ მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე, ხოლო სასამართლო სამართალწარმოება არ შეიძლება იყოს განგრძობადი სიტუაცია.

შესაბამისად, სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია *ratione temporis*, რათა განიხილოს პრეტენზია მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

#### **ბ. კონვენციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიები**

401. განმცხადებელთა მტკიცებით, მათი პატიმრობა არ იყო კანონიერი, რადგან ის განაჩენი, რომლის თანახმადაც ისინი დააპატიმრეს, ხოლო სამი

განმცხადებლის შემთხვევაში ეს პატიმრობა გრძელდებოდა, არ იყო გამოტანილი კომპეტენტური სასამართლოს მიერ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ტირასპოლის ციხეში ყოფნისას მათ არ შეეძლოთ, თავისუფლად დაკავშირებოდნენ სასამართლოს ან ჰქონოდათ შესაძლებლობა, რომ მათი ოჯახის წევრებს მოენახულებინათ ისინი. განმცხადებლები ასევე ასაჩივრებდნენ მათი პატიმრობის პირობებს.

402. სასამართლო აღნიშნავს, რომ სავარაუდო დარღვევები ეხება იმ მოვლენებს, რომლებიც დაიწყო განმცხადებელთა დაპატიმრებით 1992 წელს და კვლავაც გრძელდება.

403. ამიტომ სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია *ratione temporis*, რათა განიხილოს ის პრეტენზიები, რომლებიც უკავშირდება 1997 წლის 12 სექტემბრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს მოლდოვის რესპუბლიკასთან მიმართებაში და 1998 წლის 5 მაისის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში.

### **გ. დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებული პრეტენზია**

404. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ ჩამოართვეს საკუთრება დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნების დარღვევით, რადგან განაჩენი, რომლის თანახმადაც ქონება ჩამოერთვათ, არ იყო კანონიერი. ისინი თავიანთ თავს განგრძობადი დარღვევის მსხვერპლებად თვლიდნენ.

405. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებს არ წარუდგენიათ რაიმე დეტალები კონფისკაციის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემდა, გაერკვია, სავარაუდო დარღვევა განგრძობადი ხასიათის იყო თუ არა. თუმცა ქვემოთ მოცემული დასკვნების გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 474-ე პუნქტი), სასამართლო არ თვლის აუცილებლად, განსაზღვროს, გააჩნია მას იურისდიქცია *ratione temporis* აღნიშნული პრეტენზიის განხილვასთან მიმართებაში თუ არა.

### **დ. ბ-ნი ილაშკუს პრეტენზია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით**

406. მე-2 მუხლზე დაყრდნობით ბ-ნი ილაშკუ ასაჩივრებდა მის მიმართ გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს და ამტკიცებდა, რომ სასჯელი არ იყო გაუქმებული იმ ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომლებმაც იგი დააკისრეს, და რომ სასჯელი შესაძლოა სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი დნესტრისპირეთში მისი გამგზავრების შემთხვევაში.

407. სასამართლო აზრით, 1993 წლის 9 დეკემბერს განმცხადებელს მიესაჯა სიკვდილით დასჯა დნესტრისპირეთის იმ ხელისუფლების ორგანოების შექმნილი სასამართლოს მიერ, რომლებიც არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. იმ დროს, როდესაც მოხდა კონვენციის რატიფიცირება მოპასუხე სახელმწიფოების მიერ, სასჯელი კიდევ არ იყო გაუქმებული იმ ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომლებმაც იგი შეუფარდეს განმცხადებელს და, შესაბამისად, ეს სასჯელი კვლავ ძალაშია.

408. შესაბამისად, სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია *ratione temporis*, რომ განიხილოს ხსენებული პრეტენზია.

#### IV. კონვენციის მე-2 მუხლის საპარაულმო დარღვევა

409. ბ-ნი ილაშკუს მტკიცებით, სასიკვდილო განაჩენი მას შეუფარდა უკანონო სასამართლომ და ამიტომ, მისი მტკიცებით, მას ემუქრებოდა სიკვდილით დასჯის საფრთხე. კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

*„ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ. სიცოცხლის წართმევა დასაშვებია მხოლოდ სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რაც სასამართლოს განაჩენით შეუფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს“.*

##### ა. სასამართლოს წინაშე წარდგენილი არგუმენტები

410. განმცხადებლის მტკიცებით, „მდრ-ს პრეზიდენტის“ მიერ 2001 წლის 5 მაისს ხელმოწერილი შეწყალება ყალბი იყო და შექმნილი იყო ერთადერთი მიზნით – შეცდომაში შეყვანა სასამართლო მაშინ, როდესაც „მდრ“-ს ხელისუფლების ორგანოების მიერ მისთვის სიკვდილის შეფარდება კვლავ ძალაში რჩებოდა.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ 2001 წლის 22 ივნისს, მისი გათავისუფლების შემდეგ, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა განაცხადეს, რომ არ გააჩნდათ არანაირი დოკუმენტი მისი შეწყალების თაობაზე. მხოლოდ 2001 წლის 16 ნოემბერს სასამართლოს მიერ დამატებითი შეკითხვების საპასუხოდ წარუდგინა მთავრობამ სასამართლოს შეწყალების ასლი. განმცხადებელი აცხადებს, რომ 2001 წლის 5 მაისს „იგი გადაეცა“ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს გადაცემის ამსახველი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გადაეცა მოლდოვის დაზვერვის სამსახურის უფროსს ბ-ნ შევცოვს „მდრ-ს უშიშროების მინისტრის“ მიერ, დოკუმენტი კი განმცხადებელმა თავისი თვალთი ნახა. გარდა ამისა, ბ-ნმა შევცოვმა განაცხადა, რომ განმცხადებლის სასჯელი კვლავ ძალაში რჩებოდა და სისრულეში იქნებოდა მოყვანილი ბ-ნი ილაშკუს დნესტრისპირეთში დაბრუნების შემთხვევაში.

411. რუსეთის მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი კომენტარები პრეტენზიის არსებით მხარესთან დაკავშირებით.

412. მოლდოვის მთავრობა არ უარყოფს, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებლის მიმართ მის მიერ მითითებული მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას.

413. რუმინეთის მთავრობის მტკიცებით, რადგან მოლდოვის უზენაესი სასამართლოს 1994 წლის 3 თებერვლის განაჩენი, რომელიც აუქმებდა სასჯელს, არ იქნა აქამდე სისრულეში მოყვანილი, კვლავ არსებობდა რისკი, რომ ბ-ნი ილაშკუს სიკვდილით დასჯიდნენ, თუ იგი დნესტრისპირეთში დაბრუნდებოდა.

## ბ. სასამართლოს შეფასება

414. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოლდოვამ 1997 წლის 1 ოქტომბერს მოახდინა კონვენციის მე-6 ოქმის რატიფიცირება, რომელიც აუქმებს სიკვდილით დასჯას მშვიდობიანობის პერიოდში და ამავე დროს 2002 წლის 3 მაისს ხელი მოაწერა კონვენციის მე-13 ოქმს, რომელიც ეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას ყველა გარემოებაში. რუსეთის ფედერაციას არ მოუხდენია არც მე-6 ოქმის და არც მე-13 ოქმის რატიფიცირება, მან მხოლოდ გამოაცხადა მორატორიუმი სიკვდილით დასჯის განხორციელებასთან დაკავშირებით.

415. „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს“ მიერ ბ-ნი ილაშკუსთვის 1993 წლის 9 დეკემბერს დაკისრებული სიკვდილით დასჯა გაუქმებული იქნა მოლდოვის უზენაესი სასამართლოს მიერ 1994 წლის 3 თებერვალს გამოტანილი განაჩენით, მაგრამ დღემდე ხსენებულ გადაწყვეტილებას არ გამოუღია არანაირი შედეგი (იხ. წინამდებარე განაჩენის 222-ე პუნქტი).

მხოლოდ 2001 წლის ნოემბერში წარუდგინა მოლდოვის მთავრობამ სასამართლოს 2001 წლის 5 მაისით დათარიღებული „მდრ-ს პრეზიდენტის“ ბრძანებულება, რომელიც იწყალბდა განმცხადებელს (იხ. წინამდებარე განაჩენის 281-ე პუნქტი). იმავე დროს მოლდოვის მთავრობამ აცნობა სასამართლოს იმ ჭორების შესახებ, რომ ბ-ნმა სმირნოვმა შეუცვალა ბ-ნი ილაშკუს სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი სმირნოვის მიერ გამოცემული შეწყალების ავთენტურობა კითხვის ქვეშ იქნა დაყენებული განმცხადებლის მიერ, რომელიც ამტკიცებდა, რომ იგი უბრალოდ გადასცეს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს, რომ მისთვის შეფარდებული სასჯელი კვლავაც ძალაში რჩებოდა და რომ დნესტრისპირეთში დაბრუნების შემთხვევაში იგი იდგა სასჯელის აღსრულების საფრთხის წინაშე.

416. გაითვალისწინა რა მის წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებები, სასამართლოს არ შეუძლია დაადგინოს ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლებასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებები და არც ის, შეცვლილი იქნა თუ არა სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით (იხ. წინამდებარე განაჩენის 282-ე პუნქტი).

ვინაიდან ბ-ნი ილაშკუ გათავისუფლებული იქნა და ახლა ოჯახთან ერთად ცხოვრობს რუმინეთში, სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეობაც აქვს, და უკავია მაღალი თანამდებობა სენატში (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-20 პუნქტი), სასამართლო თვლის, რომ 1993 წლის 9 დეკემბერს მის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შესაძლებლობა უფრო ჰიპოთეტურია, ვიდრე რეალური.

417. მეორეს მხრივ, სადავო არ გამხდარა, რომ ორი მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ ბ-ნი ილაშკუ განიცდიდა ტანჯვას როგორც მისთვის შეფარდებული სასიკვდილო განაჩენის, ასევე პატიმრობის იმ პირობების გამო, რომლებშიც იმყოფებოდა მაშინ, როდესაც ელოდებოდა სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანას.

418. ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ ბ-ნი ილაშკუს მიერ გასაჩივრებული ფაქტები არ წამოჭრის კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის განხილვის აუცილებლობას და ხსენებული პრეტენზიების განხილვა უფრო მართებული იქნებოდა მე-3 მუხლის საფუძველზე.

## V. კონვენციის მე-3 მუხლის საპარაულო დარღვევა

419. განმცხადებლები პრეტენზიებს გამოთქვამდნენ მათი პატიმრობის პირობებთან და პატიმრობის პერიოდში მათ მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით. დამატებით, ბ-ნი ილაშკუ გამოთქვამდა პრეტენზიას მისი პატიმრობის იმ პირობებთან დაკავშირებით, რომლებშიც იმყოფებოდა სიკვდილით დასჯის მოლოდინში. განმცხადებლები ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმად:

*„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.“*

### ა. სასამართლოს წინაშე წარდგენილი არგუმენტები

420. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ განსაკუთრებით სასტიკმა მოპყრობამ, რომელსაც ისინი დაექვემდებარნენ პატიმრობის პერიოდში, დამცირა და ღირსება შეულახა მათ და საშინელი შედეგები გამოიღო მათი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობისთვის. ბ-ნი ილაშკუს შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გაურკვეველობა, რომელიც მას ტანჯავდა იმასთან დაკავშირებით, მოყვანილი იქნებოდა თუ არა სისრულეში სასიკვდილო განაჩენი.

421. რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელთა პრეტენზიები არ ეხებოდა რუსეთის ფედერაციას და აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო.

422. მოლდოვის მთავრობა მის მიერ 2000 წლის 24 ოქტომბერს წარდგენილ კომენტარებში ამტკიცებდა, რომ განმცხადებელთა პრეტენზიები მათი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით საფუძვლიანი იყო.

423. მესამე მხარედ ჩართვისას რუმინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლების მიერ პატიმრობის პერიოდში გადატანილი მოპყრობა შესაძლებელია შეფასდეს „წამებად“ მე-3 მუხლის მნიშვნელობით, გამომდინარე მოპყრობის გამიზნული და უმსგავსი ხასიათიდან და იმ ფაქტიდან, რომ ამან გამოიწვია განმცხადებელთა საშინელი ტანჯვა.

### ბ. სასამართლოს შეფასება

#### 1. ზოგადი პრინციპები

424. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. თვით ყველაზე უფრო რთულ გარემოებებშიც კი, როგორც არის ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტური ტერმინებით კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს. კონვენციისა და 1-ლი და მე-4 ოქმების უმეტესი დებულებებისგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე დებულებას გამონაკლისთან დაკავშირებით და მისგან გადახვევა დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე თვით ისეთ შემთხვევებშიც კი, როგორიცაა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ემუქრება

ადამიანების სიცოცხლეს (სხვა მაგალითებს შორის იხ. *Selmouni v. France* [GC], №. 25803/94, პუნქტი 95, ECHR 1999-V, და *Labita v. Italy* [GC], №. 26772/95, პუნქტი 119, ECHR 2000-IV).

425. სასამართლომ მოპყრობა „არაადამიანურად“ ჩათვალა, რადგან, *inter alia*, იგი წინასწარ იყო დაგეგმილი, გამოიყენებოდა საათების განმავლობაში და ინვევდა როგორც სხეულის დაზიანებას, ისე ინტენსიურ ფიზიკურ თუ სულიერ ტანჯვას. სასამართლომ „ღირსების შემლახველად“ ჩათვალა ქმედება იმიტომ, რომ იგი წარმოშობდა მსხვერპლში შიშის, დაუცველობისა და უსუსურობის გრძნობებს, რომელთაც შეეძლო მსხვერპლთა დამცირება და დაკნინება (იხ., მაგალითად, *Kudła v. Poland* [GC], № 30210/96, პუნქტი 92, ECHR 2000-XI).

426. იმისათვის, რომ დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული ფორმის არასათანადო მოპყრობა წამებას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მე-3 მუხლში არსებული განსხვავება ამ ცნებასა და არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას შორის. როგორც ეს სასამართლომ ადრე დაადგინა, განზრახული იყო, რომ კონვენციას ამ განსხვავების მეშვეობით სპეციალური სტიგმა (ნიშანი) მიენიჭებინა განზრახ არაადამიანური მოპყრობისათვის, რომელიც ინვევს ძალიან სერიოზულ და სამიწელ ტანჯვას; იგივე განსხვავება დადგენილი გაერო-ს წამების და სხვა ფორმის სამიწელი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კონვენციაში (იხ. ზემოხსენებული *Selmouni*-ს საქმე, პუნქტი 97).

„წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის სიტყვა „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ სულიერს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი, ანდა ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან ეს ხდება მათი ნაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით...“

427. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ტერმინი „სასტიკი“, ისევე, როგორც „მინიმალური სისასტიკე“, რომელიც საჭიროა მე-3 მუხლის გამოყენებისათვის, თავისი ბუნებით ფარდობითია (იქვე, პუნქტი 100): იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი შედეგები და ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობა (იხ., სხვა მაგალითებს შორის, *Kalashnikov v. Russia*, №. 47095/99, პუნქტი 95, ECHR 2002-VI, და ზემოხსენებული *Labita*-ს საქმე, პუნქტი 120). გარდა ამისა, იმის გარკვევისას, მოპყრობა „ღირსების შემლახველია“ თუ არა მე-3 მუხლის მნიშვნელობით, სასამართლო გაითვალისწინებს მოპყრობის მიზანს: წარმოადგენდა თუ არა შესაბამისი პირის დამცირებას დაკნინება და შედეგების მხედველობაში მიღებით ამან ნეგატიურად იმოქმედა თუ არა მის პიროვნებაზე იმგვარად, რომ შეუსაბამო იყო მე-3 მუხლთან. თვით ასეთი მიზნის არარსებობასაც კი არ შეუძლია გამორიცხოს მე-3 მუხლის დარ-



ლევვა (იხ. *Valašinas v. Lithuania*, № 44558/98, პუნქტი 101, ECHR 2001-VIII).

428. სასამართლომ მრავალგზის აღნიშნა ხაზგასმით, რომ არსებული ტანჯვა და დამცირება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აჭარბებდეს იმ ტანჯვისა და დამცირების ელემენტებს, რომლებიც თან ახლავს კანონიერ მოპყრობასა და დასჯას. ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც პირს ეზღუდება თავისუფლება, მუდმივად თან ახლავს ასეთი სახის ტანჯვა და დამცირება. მე-3 მუხლი მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, უზრუნველყონ, რომ თითოეული პატიმარი იმყოფებოდეს პატიმრობის ისეთ პირობებში, რომლებიც შესაბამისი იქნება მის ადამიანურ ღირსებასთან, რომ ასეთი ღონისძიებების განხორციელება არ უქვემდებარებდეს ადამიანს სტრესსა და სიძნელეებს, რომლებიც აჭარბებენ იმ ტანჯვას, რომელიც თან ახლავს პატიმრობას, და, გამომდინარე პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან, ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ადეკვატურად იყოს დაცული (იხ. ზემოხსენებული *Kudła*-ს საქმე, პუნქტები 92-94).

429. სასამართლომ ადრე აღნიშნა, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სისხლის სამართლის სფეროში შემუშავებული პოლიტიკა და ერთობლივად დადგენილი სტანდარტები ამ სფეროში, რომ სასიკვდილო განაჩენს შეუძლია გამოიწვიოს მე-3 მუხლის დარღვევა. როდესაც გამოტანილია სასიკვდილო განაჩენი, სიკვდილმისჯილი ადამიანის პიროვნული გარემოებები, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის მასთან პროპორციულობა და პატიმრობის პირობები სიკვდილით დასჯის მოლოდინში წარმოადგენს იმ ფაქტორების მაგალითებს, რომლებსაც შეუძლია სიკვდილმისჯილის მიმართ განხორციელებული მოპყრობა თუ სასჯელი მოახვედროს მე-3 მუხლის აკრძალვის სფეროში (იხ. *Soering v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივლისის განაჩენი, სერია A №. 161, გვ. 41, პუნქტი 104, და *Poltoratskiy v. Ukraine*, №. 38812/97, პუნქტი 133, ECHR 2003-V).

430. ნებისმიერი სიკვდილმისჯილი პირისათვის სიკვდილის მისჯასა და განაჩენის სისრულეში მოყვანამდე არსებული პერიოდის გახანგრძლივების ელემენტი და განცდილი სტრესი, რომელიც გამოწვეული იქნება მკაცრი იზოლაციით, უბრალოდ გარდაუვალია (იხ. ზემოხსენებული *Soering*-ის საქმე, გვ. 44, პუნქტი 111). მიუხედავად ამისა, გარკვეულ გარემოებებში ასეთი სასჯელის დაკისრებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მოპყრობა, რომელიც სცილდება მე-3 მუხლით დადგენილ ფარგლებს, როდესაც, მაგალითად, დიდი დრო უნდა გაატაროს პირმა სიკვდილმისჯილთა საკანში საშინელ პირობებში, სულ თანმდევი სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანის ფიქრით (იქვე).

431. გარდა ამისა, უსუსურობა და ტანჯვა, რომლებიც თან ახლავს ასეთ სასჯელს, შეიძლება მხოლოდ გამწვავდეს იმ სამართალწარმოების თვითნებური ხასიათით, რომლის შედეგადაც ასეთი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, იმგვარად, რომ თუ გავითვალისწინებთ, რომ სასწორზე დევს ადამიანის სიცოცხლე, ასეთი სასჯელი გამოდის კონვენციის დარღვევა.

432. სხვა პატიმრებთან ურთიერთობის აკრძალვა უსაფრთხოების, დისციპლინური ან უშიშროების სხვა მიზეზებიდან გამომდინარე არ წარმოადგენს, როგორც ასეთი, არაადამიანურ მოპყრობას ან სასჯელს. მეორეს მხრივ, სრულ იზოლაციას, რომელსაც თან ახლავს სრული სოციალური იზოლაცია, შეუძლია გამოიწვიოს პიროვნების დაკნინება და წარმოადგენს არაადამიანური მოპყრობის სახეს, რომელიც არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს უსაფრთხოე-

ბისა თუ სხვა მიზეზების გამო (იხ., სხვა მაგალითებს შორის, *Messina v. Italy* (№. 2) (*dec.*), №. 25498/94, ECHR 1999-V).

433. უფრო მეტიც, როდესაც ხდება პატიმრობის პირობების შეფასება, გათვალისწინებული უნდა იქნეს ასეთი პირობებისა და განმცხადებლის მიერ გამოთქმული კონკრეტული პრეტენზიების კუმულაციური (საერთო) შედეგები (იხ. *Dougoz v. Greece*, №. 40907/98, პუნქტი 46, ECHR 2001-II).

## 2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

### (ა) ბ-ნი ილაშკუ

434. განმცხადებელს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა 1993 წლის 9 დეკემბერს და იგი პატიმრობაში იმყოფებოდა გათავისუფლებამდე 2001 წლის 5 მაისს (იხ. წინამდებარე განაჩენის 215-ე და 234-ე პუნქტები).

სასამართლო იმეორებს, რომ კონვენცია არ არის სავალდებულო ხელშეკრული მხარეებისათვის, თუ არ ეხება იმ ფაქტებს, რომლებიც მოხდა კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ; ასეთ თარიღს წარმოადგენს 1997 წლის 12 სექტემბერი მოლდოვისათვის და 1998 წლის 5 მაისი რუსეთის ფედერაციისათვის. თუმცა იმისათვის, რომ შევაფასოთ განმცხადებელზე პატიმრობის პირობების შედეგები, რომლებიც მეტნაკლებად ერთნაირი იყო მისი ციხეში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, სასამართლომ ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს მთლიანი პერიოდი, რომელიც განმცხადებელმა გაატარა ციხეში, მათ შორის ის პერიოდიც, რომელიც განმცხადებელმა გაატარა ციხეში თითოეულ სახელმწიფოსთან მიმართებაში კონვენციის ძალაში შესვლამდე.

435. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, რომელიც განმცხადებელმა გაატარა სიკვდილმისჯილთა საკანში, განმცხადებელი იმყოფებოდა სიკვდილით დასჯის შიშის ქვეშ. უძლური იყო რა გაეკეთებინა რამე, იგი მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, მათ შორის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგაც, ისეთ პირობებში, რომლებიც სულ ახსენებდნენ მას, რომ შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 196-210 და 240-53).

კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოლდოვის პარლამენტისათვის 1999 წლის მარტში წერილის გაგზავნის შემდეგ ბ-ნი ილაშკუ სასტიკად იქნა ნაცემი ტირასპოლის ციხის მესაკნეების მიერ, რომლებიც ემუქრებოდნენ მას მოკვლით (იხ. წინამდებარე განაჩენის 249-ე, 250-ე, 269-ე და 27-ე პუნქტები). ინციდენტის შემდეგ მას არ აჭმევდნენ ორი დღის განმავლობაში და სიბნელეში ამყოფებდნენ სამი დღის განმავლობაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 271-ე პუნქტი).

რაც შეეხება სიკვდილით დასჯის იმიტირებას, რომელიც განხორციელდა კონვენციის ძალაში შესვლამდე (იხ. წინამდებარე განაჩენის 98-ე პუნქტი), ეჭვი არ არის, რომ ასეთი ბარბაროსული ქმედებების მიზანს წარმოადგენდა განმცხადებლის უსუსურობის გრძნობის გამწვავება, რომელიც განმცხადებელს გააჩნდა მის მიმართ სასიკვდილო განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით.

436. გაურკვევლობა და ტანჯვა გამწვავებული იყო იმ ფაქტით, რომ განაჩენს არ გააჩნდა არავითარი კანონიერი საფუძველი კონვენციის მიზნებისათვის. „მდრ-ს უზენაესი სასამართლო“, რომელმაც გამოუტანა განაჩენი ბ-ნი

ილაშქუს, შექმნილი იყო იმ გაერთიანების მიერ, რომელიც უკანონოდ არის მიჩნეული საერთაშორისო სამართლით და არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. „სასამართლო“ მიეკუთვნება იმ სისტემას, რომელიც ძნელად თუ შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციონირებდა კონსტიტუციურ და სამართლებრივ საწყისებზე, რომლებიც ასახავს კონვენციასთან შესაბამის მართლმსაჯულების ტრადიციებს. ხსენებულს მოწმობს იმ გარემოებათა შემთხვევითი და თვითნებური ხასიათი, რომლებშიც განმცხადებლები განსაჯეს და მსჯავრი დასდეს, როგორც ამას განმცხადებლები აღწერდნენ და სადავო არ გაუხდიათ სხვა მხარეებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 212-216 პუნქტები) და როგორც ეს აღწერეს და გააანალიზეს ეუთო-ს ორგანოებმა (იხ. წინამდებარე განაჩენის 285-ე პუნქტი).

437. მოლდოვის უზენაესი სასამართლოს განაჩენმა, რომელმაც გააუქმა განმცხადებელთა მსჯავრდება (იხ. წინამდებარე განაჩენის 22-ე პუნქტი), დაადასტურა 1993 წლის 9 დეკემბრის განაჩენის უკანონო და თვითნებური ხასიათი.

438. რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობის პირობებს სიკვდილმისჯილთა საკანში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი ილაშქუ პატიმრობაში იმყოფებოდა 8 წლის განმავლობაში, 1993 წლიდან 2001 წელს გათავისუფლებამდე, ძალზე მკაცრი იზოლაციის პირობებში: მას არ ჰქონდა კავშირი სხვა პატიმრებთან, ვერ ღებულობდა ვერანაირ სიახლეებს გარედან — რადგან ეკრძალებოდა გაეგზავნა ან მიეღო წერილები — და არ ჰქონდა უფლება, დაკავშირებოდა თავის ადვოკატს ან რეგულარულად შეხვედროდა ოჯახის წევრებს. მისი საკანი არ თბებოდა თვით მკაცრი ზამთრის პირობებშიც კი და მას არ გააჩნდა ბუნებრივი სინათლის წყარო თუ ვენტილაცია. მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ბ-ნი ილაშქუს ასევე აშიმშილებდნენ სასჯელის სახით და, ნებისმიერ შემთხვევაში, ამანათებზე დანესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, თვით ის საჭმელიც კი, რომელსაც იგი გარედან იღებდა, უვარგისი იყო გამოყენებისათვის. განმცხადებელს შხაპის მიღება შეეძლო ძალიან იშვიათად და უხდებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში დაუბანელი ყოფნა. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს დასკვნებზე, რომლებიც მოცემულია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენებაში დნესტრისპირეთში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 289-ე პუნქტი); მოხსენებაში კომიტეტი სრულიად გაუმართლებლად მიიჩნევდა ასეთი სახის იზოლაციას ამდენი წლის განმავლობაში.

განმცხადებლის პატიმრობის პირობებმა ძალზე უარყოფითი შედეგები იქონია მის ჯანმრთელობაზე, რომელიც გაუარესდა პატიმრობის დიდი ხნის განმავლობაში. ხსენებულიდან გამომდინარე, იგი ვერ მკურნალობდა ჯეროვნად, არ უტარებოდა რეგულარული სამედიცინო გამოკვლევები და მკურნალობა (იხ. წინამდებარე განაჩენის 253-ე, 258-260, 262-263 და 265-ე პუნქტები) და ვერ იღებდა შესაბამის საკვებს. გარდა ამისა, ამანათებზე დანესებული შეზღუდვების გამო იგი ვერ იღებდა წამლებს და საკვებს, რათა გაეუმჯობესებინა ჯანმრთელობა.

439. სასამართლო შემფოთებით აღნიშნავს ისეთი წესების არსებობას, რომლებიც ძალიან დიდ უფლებამოსილებას ანიჭებდა მესაკნეებსა და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს კორესპონდენციასა და ციხეში ვიზიტებთან დაკავშირებით, და ხაზს უსვამს, რომ ასეთი წესები თვითნებური და

შესაბამოა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სანინალმდეგო სათანადო და ეფექტურ გარანტიებთან, რომლებიც ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ციხის სისტემაში უნდა არსებობდეს. უფრო მეტიც, წინამდებარე საქმეში ასეთი წესები უფრო სასტიკს ხდიდნენ განმცხადებელთა პატიმრობის პირობებს.

440. სასამართლო ასკვნის, რომ სასიკვდილო განაჩენი, რომელიც განმცხადებელს ჰქონდა შეფარებული, აგრეთვე, პირობები, რომლებშიც იგი ცხოვრობდა, და კონვენციის რატიფიცირების შემდეგ პატიმრობის დროს მის მიმართ განხორციელებული მოპყრობა, რატიფიცირებამდე ასეთ პირობებში რამდენიმე წლის გატარების შედეგად მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოადგენდა განსაკუთრებით სერიოზულ და სასტიკ მოპყრობას და, შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს წამების ქმედებად კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის მოთხოვნათა დაცვის უგულვებელყოფას.

441. ვინაიდან ბ-ნი ილაშკუ პატიმრობაში იმყოფებოდა იმ დროისათვის, როდესაც კონვენცია ძალაში შევიდა რუსეთის ფედერაციისათვის, ანუ 1998 წლის 5 მაისს, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია, ზემოხსენებულ მიზეზთა გამო (იხ. წინამდებარე განაჩენის 393-ე პუნქტი), განმცხადებლის პატიმრობის პირობებზე, მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებზე და ციხეში განცდილ ტანჯვაზე.

ბ-ნი ილაშკუ გათავისუფლებული იქნა 2001 წლის მაისში და მხოლოდ ამ დღის შემდეგ არის სახეზე მოლდოვის პასუხისმგებლობა განუხორციელებელ ქმედებებსა და პოზიტიურ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 352-ე პუნქტი). შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია მოლდოვის მიერ ბ-ნი ილაშკუს მიმართ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

442. შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ბ-ნი ილაშკუს მიმართ შეერაცხება მხოლოდ რუსეთის ფედერაციას.

**(ბ) დანარჩენი სამი განმცხადებელი: პატიმრობის პირობები და მოპყრობა პატიმრობის პერიოდში**

**(i) ბ-ნი ივანტოში**

443. სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მის წინაშე წარმართული სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე მთავრობებს არ უარუყვიათ, რომ გასაჩივრებული ინციდენტები ნამდვილად მოხდა.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ბ-ნი ივანტოშის მიერ წარმოდგენილი ფაქტების აღწერა საკმარისად ზუსტია და გამყარებულია მისი ანალოგიური მტკიცებით მისი ცოლის წინაშე და სხვა მოწმეების მიერ სასამართლოს დელეგატებისთვის მიცემული ჩვენებებით.

მის ხელთ არსებული მთელი ინფორმაციის საფუძველზე სასამართლო თვლის, რომ შეუძლია დადგენილად მიიჩნიოს, რომ განმცხადებელთა პატიმრობის პერიოდში, მათ შორის იმ პერიოდშიც, რომელიც გავიდა მოპასუხე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, განმცხადებლები დაექვემდებარნენ ძალიან ბევრ ცემას და არასათანადო მოპყრობას, რასაც კიდევ

უფრო ამწვავებდა პატიმრობის პირობები. კერძოდ, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გამოძიებასა და არასათანადო მოპყრობაზე, რომელსაც ბ-ნი ივანტოში დაექვემდებარა 1999 წლის მაისში, მის მიერ სასამართლოში განაცხადის წარდგენის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 251-252 პუნქტები) და 2001 წელს, 2002 წლის ნოემბერსა და 2003 წლის თებერვალში (იხ. წინამდებარე განაჩენის 254-ე, 256-ე და 269-272 პუნქტები).

444. დამატებით უნდა ითქვას, რომ ბ-ნი ივანტოში 1993 წელს მსჯავრდების შემდეგ იმყოფებოდა განმარტოებით პატიმრობაში, სხვა პატიმრებთან რაიმე კონტაქტის გარეშე, მას არ მიენოებოდა გაზეთები. მას არა აქვს უფლება, შეხვდეს ადვოკატს, გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს მისი ცოლისაგან გამოგზავნილი ამანათები, რაც ასევე ექვემდებარება ციხის ადმინისტრაციის მიერ გაცემულ ნებართვას, თუკი ადმინისტრაცია ასეთი ნებართვის გაცემას შესაფერისად მიიჩნევს.

ყველა ხსენებული შეზღუდვა, რომლებსაც არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი, დაწესებულია მხოლოდ ხელისუფლების ორგანოების ნება-სურვილით და შეუსაბამოა ციხის რეჟიმთან დემოკრატიულ საზოგადოებაში. ხსენებულმა შეზღუდვებმა ძალიან დიდი როლი ითამაშა განმცხადებლის სტრესის გაუარესებასა და სულიერ ტანჯვაში.

445. განმცხადებელი მოთავსებულია საკანში, რომელიც არ თბება, არ ნიავედება, რომელშიც ბუნებრივი სინათლე არ შედის. მას არ მკურნალობენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სამედიცინო შემონმებას, რომლებზეც ნებართვა გასცა ციხის ადმინისტრაციამ. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს იმ დასკვნებზე, რომლებიც წარმოდგენილია წამების საწინააღმდეგო კომისიის მოხსენებაში დნესტრისპირეთში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 289-ე პუნქტი).

446. სასამართლოს აზრით, ასეთი მოპყრობა ატარებდა ისეთ ხასიათს, რომ გამოენვია ტკივილი და ტანჯვა, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი, რაც შეიძლებოდა გამწვავებულიყო მხოლოდ განმცხადებლის სრული იზოლაციით და მიზნად ისახავდა მასში შიშის, დაუცველობისა და უსუსურობის გრძნობების წარმოშობას, რაც ამცირებდა და აკნინებდა განმცხადებელს და ანადგურებდა მისი წინააღმდეგობის გრძნობასა და სურვილს.

სასამართლოს აზრით, ხსენებული მოპყრობა ბ-ნი ივანტოშის მიმართ განხორციელდა განზრახ იმ პირების მიერ, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ „მდრ“-ს ადმინისტრაციულ ორგანოებს, იმ მიზნით, რომ დაესაჯათ განმცხადებელი სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებებისათვის.

447. ხსენებულის არსებობის გამო სასამართლო თვლის, რომ მთლიანობაში და ფაქტების სერიოზულობიდან, მოპყრობის განმეორებადი ხასიათიდან და მიზნიდან გამომდინარე, ბ-ნი ივანტოშისადმი განხორციელებულმა მოპყრობამ გამოიწვია „სასტიკი“ ტკივილი და ტანჯვა და ატარებდა განსაკუთრებით სერიოზულ და სასტიკ ხასიათს. ყველა ხსენებული ქმედება უნდა ჩაითვალოს წამებად კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

448. ვინაიდან ბ-ნი ივანტოში პატიმრობაში იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც რუსეთის ფედერაციისათვის კონვენცია ძალაში შევიდა, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია, ზემოხსენებული მიზეზების გამო (იხ. წინამდებარე განაჩე-

ნის 393-ე პუნქტი), მისი პატიმრობის პირობებზე, განხორციელებულ მოპყრობასა და ციხეში განცდილ ტანჯვაზე.

გათვალისწინებულია რა ის დასკვნები, რომლებამდეც სასამართლო მივიდა გასაჩივრებულ ქმედებებზე მოლდოვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მის მიერ 2001 წლის მაისის შემდეგ პოზიტიური ვალდებულებების განუხორციელებლობის გამო (იხ. წინამდებარე განაჩენის 352-ე პუნქტი), მოლდოვა პასუხისმგებელია ბ-ნი ივანტოშის მიმართ მე-3 მუხლის დარღვევის გამო ხსენებული თარიღიდან მოყოლებული.

449. და ბოლოს, ბ-ნი ივანტოშთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას რუსეთის ფედერაციის მიერ 1998 წლის 5 მაისს კონვენციის რატიფიცირების შემდეგ და მოლდოვის მიერ 2001 წლის მაისის შემდეგ.

## (ii) ბ-ნი ლეშკო და ბ-ნი პეტროვ-პოპა

450. სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მის წინაშე გამართული სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე მოპასუხე მთავრობებს არ უარუყვიათ, რომ გასაჩივრებული ინციდენტები ნამდვილად მოხდა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსმენილი მონშეების, მათ შორის განმცხადებლებისა და მათი მეუღლეების მიერ ფაქტების აღწერა საკმარისად ნათელია და გამყარებულია სასამართლოს ხელთ არსებული სხვა მტკიცებულებებით.

451. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ მას დადგენილად შეუძლია მიიჩნიოს, რომ პატიმრობის პერიოდში, მათ შორის იმ პერიოდშიც, რომელიც გრძელდებოდა ორივე მოპასუხე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ბ-ნი ლეშკო და ბ-ნი პეტროვ-პოპა იმყოფებოდნენ პატიმრობის განსაკუთრებით სასტიკ პირობებში:

- ოჯახის წევრების ვიზიტები და ოჯახებიდან გამოგზავნილი ამანათები ექვემდებარებოდა თვითნებურ ნებართვას ციხის ადმინისტრაციის მხრიდან;
- ზოგჯერ მათ არ აჭმევდნენ ან აძლევდნენ საჭმელს, რომელიც უვარგისი იყო საკვებად, დროის უმეტეს პერიოდში უარს ეუბნებოდნენ შესაფერის სამედიცინო დახმარებაზე, მიუხადავად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, რომელიც უფრო და უფრო უარესდებოდა პატიმრობის პირობების გამო; და
- მათ არ აძლევდნენ ექიმის მიერ დანიშნულ, დიეტურად შესაფერის საკვებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 265-ე პუნქტი).

სასამართლო ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ხსენებული პირობები გაუარესდა 2001 წლის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 254-ე პუნქტი).

გარდა ამისა, ბ-ნი პეტროვ-პოპა მოთავსებული იქნა განმარტოებით პატიმრობაში 1993 წლიდან, მას არ ჰქონდა კონტაქტი სხვა პატიმრებთან და არ მიეწოდებოდა გაზეთები საკუთარ ენაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 240-ე, 254-ე და 255-ე პუნქტები).

ვერც ბ-ნი პეტროვ-პოპა და ვერც ბ-ნი ლეშკო ვერ ხვდებოდნენ ადვოკატს

2003 წლის ივნისამდე (იხ. წინამდებარე განაჩენის 257-ე პუნქტი).

452. სასამართლოს აზრით, ასეთი მოპყრობა იწვევს ტკივილსა და ტანჯვას, როგორც ფიზიკურს, ასევე სულიერს. მთლიანობაში აღებული და მოპყრობის სერიოზული ხასიათიდან გამომდინარე, ბ-ნი ლეშკოსა და ბ-ნი პეტროვ-პოპას მიმართ განხორციელებული მოპყრობა შესაძლებელია კვალიფიცირებული იქნეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

453. ბ-ნი ლეშკო და ბ-ნი პეტროვ-პოპა პატიმრობაში იმყოფებოდნენ იმ დროს, როდესაც კონვენცია ძალაში შევიდა რუსეთის ფედერაციისათვის, ამიტომ ეს უკანასკნელი, ზემოხსენებული მიზეზების გამო (იხ. წინამდებარე განაჩენის 393-ე პუნქტი), პასუხისმგებელია განმცხადებელთა პატიმრობის პირობებზე, მათ მიმართ განხორციელებულ მოპყრობასა და მათ მიერ ციხეში განცდილ ტანჯვაზე.

გათვალისწინებულია რა ის დასკვნები, რომლებამდეც სასამართლო მივიდა გასაჩივრებულ ქმედებებზე მოლდოვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მის მიერ 2001 წლის მაისის შემდეგ პოზიტიური ვალდებულებების განხორციელებლობის გამო (იხ. წინამდებარე განაჩენის 352-ე პუნქტი), მოლდოვა პასუხისმგებელია ბ-ნი ლეშკოსა და ბ-ნი პეტროვ-პოპას მიმართ მე-3 მუხლის დარღვევაზე 2001 წლის მაისიდან მოყოლებული.

454. შესაბამისად, ბ-ნი ლეშკოსთან და ბ-ნი პეტროვ-პოპასთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას რუსეთის ფედერაციის მიერ 1998 წლის 5 მაისს კონვენციის რატიფიცირების შემდეგ და მოლდოვის მიერ 2001 წლის მაისის შემდეგ.

## VI. კონვენციის მე-5 მუხლის საპარაულმო დარღვევა

455. განმცხადებელთა მტკიცებით, მათი პატიმრობა უკანონო იყო და სასამართლო, რომელმაც მათ მსჯავრი დასდო, არ იყო კომპეტენტური სასამართლო. განმცხადებლები ეყრდნობიან კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

*1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებითა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად. ეს შემთხვევებია:*

*ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;*

*... “*

456. რუსეთის მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელთა პრეტენზიები აბსოლუტურად არ ეხებოდა რუსეთის ფედერაციას და ნებისმიერ შემთხვევაში დაუსაბუთებელი იყო.

457. 2000 წლის 24 ოქტომბერს წარმოდგენილ კომენტარებში მოლდოვის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ განმცხადებლები დაკავებულნი იქნენ ბრძანების გარეშე და 2 თვის განმავლობაში დატყვევებულნი იყვნენ მე-14

არმიის შტაბბინაში. 2001 წლის 6 ივნისს გამართულ მოსმენაზე მთავრობა ამტკიცებდა, რომ სურდა შეეცვალა წინათ მიღებული პოზიცია, მაგრამ არ გამოუხატავს მოსაზრება სავარუდო დარღვევებთან დაკავშირებით.

458. მესამე მხარედ ჩართვისას რუმინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელთა პატიმრობას არ გააჩნდა არანაირი სამართლებრივი საფუძველი, რადგან მათ მსჯავრი დასდო კანონის დარღვევით შექმნილმა სასამართლომ. თუმცა სეპარატისტული ხელისუფლების ორგანოების გარკვეული ქმედებები, როგორცაა ისეთი ქმედებები, რომლებიც უკავშირდება დაბადების, სიკვდილისა და ქორწინების რეგისტრაციას, აღიარებული უნდა იქნეს, რათა არ აუარესებდეს მოსახლეობის მდგომარეობას (იხ. საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა, 1971 წლის 21 ივნისი, სახელმწიფოებისათვის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, მიუხედავად უშიშროების საბჭოს 276-ე რეზოლუციისა სამხრეთ აფრიკის ნამიბიაში განგრძობად ყოფნასთან მიმართებაში), ეს არ უნდა გავრცელდეს იმ ხელისუფლების ყველა ქმედებაზე, რომელიც აღიარებული არ არის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხსენებული ხელისუფლების ორგანოები ლეგიტიმურად ჩაითვლება.

წინამდებარე საქმეში განმცხადებელთა მსჯავრდება იყო მართლმსაჯულების უხეში უარყოფის შედეგი, რადგან განმცხადებლებს არ უსარგებლიათ სამართლიანი განხილვის უფლებით „მდრ“-ს უზენაესი სასამართლოს წინაშე“.

459. სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია *ratione temporis*, რათა განიხილოს ის საკითხი, არღვევდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლს სისხლის სამართალწარმოება, რომლის შედეგადაც განმცხადებლები მსჯავრდებულნი იქნენ „მდრ“-ს უზენაესი სასამართლოს მიერ. რამდენადაც განმცხადებლების პატიმრობა გაგრძელდა იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოებმა მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, სასამართლოს მაინც გააჩნია იურისდიქცია, რომ განსაზღვროს, ამ თარიღის შემდეგ თითოეული განმცხადებელი დაპატიმრებული იყო თუ არა „კანონიერად“ „კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად“ და „კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შედეგად“ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის მნიშვნელობით.

460. როგორც ეს დადგენილი იქნა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, სიტყვა „ტრიბუნალი“, რომელიც გამოყენებულია კონვენციის ფრანგულენოვანი ვერსიის მე-5 მუხლსა და სხვა მუხლებში, კერძოდ, მე-6 მუხლში, მიუთითებს, პირველ რიგში, ორგანოზე „რომელიც შექმნილია კანონის შესაბამისად“ და აკმაყოფილებს გარკვეულ პირობებს, მათ შორის დამოუკიდებლობის მოთხოვნას, კერძოდ კი აღმასრულებელ მხარესთან მიმართებაში, აკმაყოფილებს მიუკერძოებლობის მოთხოვნას, მისი წევრების სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადა დადგენილია და ორგანო უზრუნველყოფს სასამართლო პროცედურის გარანტიებს (იხ. *De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*, 1971 წლის 18 ივნისის განაჩენი, სერია A № 12, გვ. 41, პუნქტი 78).

გარკვეულ გარემოებებში სასამართლო, რომელიც ეკუთვნის საერთაშორისო სამართლით არაღიარებული გაერთიანების მართლმსაჯულების სისტემას, შესაძლოა ჩაითვალოს „კანონით შექმნილ“ ტრიბუნალად, თუკი ეს უკანასკნელი წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს, რომელიც მოქმედებს „კონსტიტუციურ და კანონიერ საფუძველზე“ და ასახავს მართლმსაჯულებრივ



ტრადიციებს, რომლებიც შესაბამისია კონვენციასთან, რათა შესაძლებლობა მისცეს ინდივიდუალურ პირებს, ისარგებლონ კონვენციით მინიჭებული გარანტიებით (იხ., *mutatis mutandis*, *Cyprus v. Turkey*, პუნქტები 231 და 236-37).

461. კანონიერების მოთხოვნისათვის, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტში („კანონის შესაბამისად დადგენილი პროცედურის თანახმად“ ნაბრძანები „კანონიერი დაპატიმრება“) საკმარისი არ არის მხოლოდ შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასთან შესატყვისობა, ეროვნული კანონმდებლობა, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს კონვენციას, მათ შორის მასში გამოხატულ ან ნაგულისხმევ ზოგად პრინციპებს, კერძოდ კი კანონის უზენაესობის პრინციპს, რომელიც ნათლად არის ასახული კონვენციის პრეამბულაში. ცნება, რომელიც საფუძვლად უდევს გამოთქმას „კანონით დადგენილ პროცედურას“, არის სამართლიანობისა და შესაბამისი პროცედურის არსებობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ღონისძიება, რომლითაც პირს თავისუფლება ეზღუდება, უნდა გამომდინარეობდეს და აღსრულდეს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს მიერ და არ უნდა იყოს თვითნებური (იხ. სხვა მაგალითებს შორის *Winterwerp v. the Netherlands*, 1979 წლის 24 ოქტომბრის განაჩენი, სერია A № 33, გვ. 19-20, პუნქტი 45).

გარდა ამისა, რადგან მე-5 მუხლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინდივიდების დაცვა თვითნებობისაგან (იხ. სხვა მაგალითებს შორის *Stafford v. the United Kingdom [GC]*, №. 46295/99, პუნქტი 63, ECHR 2002-IV), „მსჯავრდება“ არ შეიძლება განხორციელდეს მართლმსაჯულების უზენაესი დარღვევით (იხ., *mutatis mutandis*, *Drozd and Janousek v. France and Spain*, 1992 წლის 26 ივნისის განაჩენი, სერია A №. 240, გვ. 34-35, პუნქტი 110).

სასამართლო ასევე მიუთითებს თავის დასკვნაზე კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში, რომელიც ეხება „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს“ წინაშე გამართულ სამართალწარმოებას.

462. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ არც ერთი განმცხადებელი არ ყოფილა მსჯავრდებული „სასამართლოს“ მიერ და რომ პატიმრობის სასჯელის გამოტანა ისეთი ორგანოს მიერ, როგორიც არის „მდრ-ს უზენაესი სასამართლო“ და რომელმაც წინამდებარე შემთხვევაში სამართალწარმოების ბოლოს გამოიტანა განაჩენი, არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონიერ პატიმრობად“, რომელიც „შეფარებული იქნა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად“.

463. ხსენებულიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთა, რომელსაც განმცხადებლები დაექვემდებარნენ იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის განხილვაც შედის სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქციაში მოპასუხე მხარეებთან მიმართებაში (სახელდობრ, ბ-ნ ილაშკუსთან მიმართებაში 1997 წლის 12 სექტემბრიდან 2001 წლის 5 მაისამდე მოლდოვის მხრივ და 1998 წლის 5 მაისიდან 2001 წლის 5 მაისამდე რუსეთის მხრივ, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ განმცხადებლებს, მოპასუხე სახელმწიფოების მიერ რატიფიცირების დღიდან დღევანდელ დღემდე), არ შეიძლება აკმაყოფილებდეს კონვენციის მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას 2001 წლის მაისამდე ბ-ნ ილაშკუსთან მიმართებაში და ადგილი აქვს იმავე დებულების განგრძობად დარღვევას დანარჩენ სამ განმცხადებელთან მიმართებაში, რომლებიც კვლავ პატიმრობაში იმყოფებიან.

464. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რუსეთის მხარისთვის კონვენციის ძალაში შესვლის დროს განმცხადებლები პატიმრობაში იმყოფებოდნენ, თუ მხედველობაში მივიღებთ ასევე სასამართლოს ზემოხსენებულ დასკვნას (იხ. წინამდებარე განაჩენის 393-ე პუნქტი), სასამართლო ადგენს, რომ ქმედება, რომელიც წარმოადგენს მე-5 მუხლის დარღვევას, შეერაცხება რუსეთის ფედერაციას ყველა განმცხადებელთან მიმართებაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ სასამართლოს ზემოხსენებულ დასკვნებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 352-ე პუნქტი), რომ შესაძლებელია სახეზე იყოს მოლდოვის რესპუბლიკის პასუხისმგებლობის დაყენება პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო 2001 წლის მაისიდან, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას მოლდოვის მხრიდან ბ-ნ ილაშკუსთან მიმართებაში. მეორეს მხრივ, ადგილი ჰქონდა იმავე დებულების დარღვევას მოლდოვის მხრიდან დანარჩენ სამ განმცხადებელთან მიმართებაში.

## VII. კონვენციის მე-8 მუხლის საპარაულო დარღვევა

465. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ ეწარმოებინათ მიმონერა თავიანთ ოჯახებთან და ევროპის სასამართლოსთან, კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ არ შეეძლოთ თავისუფლად მიემართათ სასამართლოსათვის და იმისათვის, რომ ეს გაეკეთებინათ, უხდებოდათ თავიანთი ცოლების დახმარებით სარგებლობა. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ ეკრძალებოდათ ოჯახის წევრების ნახვა „მდრ-ს პრეზიდენტისაგან“ წინასწარი თანხმობის მიუღებლად. განმცხადებლები ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-8 მუხლს, რომლის თანახმადაც:

*„ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას, და... მიმონერას.*

*დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.*

466. რუსეთის მთავრობა თავის კომენტარებში შემოიფარგლა იმის მტკიცებით, რომ განმცხადებლების პრეტენზიები არ ეხებოდა რუსეთის ფედერაციას და ნებისმიერ შემთხვევაში უსაფუძვლო იყო.

467. 2000 წლის 24 ოქტომბრის კომენტარებში მოლდოვის მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ესარგებლათ ადვოკატის მომსახურებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უარს ეუბნებოდნენ მათ ნახვაზე და რომ მათ არ შეეძლოთ თავისუფალი მიმონერა ციხიდან. 2001 წლის 6 ივნისს გამართულ მოსმენაზე მთავრობამ განაცხადა, რომ სურდა შეეცვალა ადრე დაფიქსირებული პოზიცია, მაგრამ არ გამოუთქვამს მოსაზრება საგარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით.

468. რუმინეთის მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლების ოჯახისა და მიმონერის პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ იყო განხორციელებული კანონის შესაბამისად მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, პირველ რიგში იმიტომ, რომ „მდრ“-ში მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა არ იყო ძალაში მყოფი კანონმდებლობა მოლდოვის ტერიტორიაზე და, მეორე, იმიტომ, რომ „მდრ-ს პრეზიდენტის წინასწარი თანხმობა“ არ შეიძლება გათანაბრებული იქნეს კანონთან, რადგან არ შეიცავს გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ.

469. სასამართლო თვლის, რომ ხსენებული საჩივარი შემოიფარგლება იმ ფაქტით, რომ განმცხადებლებისათვის შეუძლებელი იყო ციხიდან თავისუფლად მიენერათ თავიანთი ოჯახებისათვის და სასამართლოსათვის და ისინი სიძნელეებს განიცდიდნენ ოჯახების მონახულებაში. რაც შეეხება საჩივარს სასამართლოსთან დაკავშირების შესაძლებლობის უქონლობის თაობაზე, ეს ხსენებული ბუნებრივად უფრო კონვენციის 34-ე მუხლის სფეროში ხვდება, რომელსაც სასამართლო ცალკე განიხილავს.

470. თუმცა ხსენებული პრეტენზიების მხედველობაში მიღებით მე-3 მუხლის კონტექსტში (იხ. წინამდებარე განაჩენის 438-ე, 439-ე, 444-ე და 451-ე პუნქტები), სასამართლო თვლის, რომ აუცილებელი აღარ არის მათი განხილვა ცალკე მე-8 მუხლის საფუძველზე.

## VIII. პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საპარაულო დარღვევა

471. განმცხადებლები ჩიოდნენ, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლზე დაყრდნობით, მათი ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდა კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

472. რუსეთის მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელთა პრეტენზიები არ ეხებოდა რუსეთის ფედერაციას და ნებისმიერ შემთხვევაში უსაფუძვლო იყო.

473. მოლდოვისა და რუმინეთის მთავრობებს არ გამოუთქვამთ მოსაზრება.

474. თუნდაც ჩავთვალოთ, რომ სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია *ratione temporis*, რომ იმსჯელოს საჩივართან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ფაქტობრივი საფუძველი არ არის საკმარისი.

ვინაიდან საჩივარი ვერ იქნა დასაბუთებული, სასამართლო თვლის, რომ ადგილი არ ჰქონია პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას.

## IX. კონვენციის 34-ე მუხლის საპარაულო დარღვევა

475. განმცხადებლები ასაჩივრებდნენ ჩარევას, რომელიც განხორციელდა სასამართლოსათვის მათი მიმართვის უფლებაში. განმცხადებლები ეყრდნობოდნენ კონვენციის 34-ე მუხლს, რომლის თანახმადაც:

„სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან,

რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.“

476. განმცხადებლები პირველ რიგში ამტკიცებდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ უფლება, ციხიდან მიემართათ სასამართლოსათვის, ასე რომ ხსენებულის განხორციელება მათი სახელით უნევდათ მათ მეუღლეებს. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ სდევნიდნენ ციხეში იმის გამო, რომ გაბედეს მიემართათ სასამართლოსათვის.

გარდა ამისა, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოლდოვის პრეზიდენტის ბ-ნი ვორონინის განცხადება, რომ ბ-ნი ილაშკუს უარი განაცხადის უკან გამოტანაზე წარმოადგენდა განმცხადებელთა პატიმრობაში განგრძობადი ყოფნის მიზეზს (იხ. წინამდებარე განაჩენის 285-ე პუნქტი), უნდა ჩათვლილიყო ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის უფლებაში ჩარევად.

ბოლოს, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა (იხ. წინამდებარე განაჩენის 278-ე პუნქტი) წარმოადგენდა ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის უფლებაში ჩარევას.

477. მოლდოვის მთავრობამ დაადასტურა ბ-ნი ვორონინის კომენტარები, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ხსენებული გამოიწვია ბ-ნმა ილაშკუმ, როდესაც ბ-ნი ვორონინთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ მზად იყო, გამოეტანა მოლდოვის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადის ნაწილი, თუკი მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები თავიანთი ქმედებებით დაადასტურებდნენ თავიანთ სურვილს განმცხადებლების გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მოლდოვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ხსენებულ გარემოებებში ბ-ნი ვორონინის წინააღმდეგ ბრალდება მიმართული იყო მოლდოვის პრესტიჟისთვის ჩირქის მოცხებისაკენ და არა განმცხადებელთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაში ჩარევის გასაჩივრებასაკენ.

478. რუსეთის მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლებმა ზემოხსენებული ნოტა მოიპოვეს მოტყუებით და ამიტომ სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა მას.

479. რუმინეთის მთავრობის მტკიცებით, ბ-ნი ილაშკუს დაშინების ფაქტი, რომელიც მოიხზრებდა მის დასჯას წინამდებარე განაცხადის სასამართლოში შეტანის გამო, წარმოადგენდა 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის შეტანის უფლებაში ჩარევას.

480. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური საჩივრის სისტემის ეფექტიანად მოქმედებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებლებსა და პოტენციურ განმცხადებლებს შეეძლოთ თავისუფლად დაუკავშირდნენ სასამართლოს ხელისუფლების ორგანოებისაგან რაიმე ზენოლის გარეშე, რომელიც იგულისხმებდა საჩივრების გამოტანას ან მათ შეცვლას (იხ. *Akdivar and Others v. Turkey*, 1996 წლის 16 სექტემბრის განაჩენი, მოხსენებები 1996-IV, გვ. 1219, პუნქტი 105, და *Aksoy v. Turkey*, 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, მოხსენებები 1996-VI, გვ. 2288, პუნქტი 105).

ტერმინი „რაიმე სახის ზენოლა“ გაგებული უნდა იქნეს ისე, რომ მოიცავდეს

არა მხოლოდ პირდაპირ ზენოლასა და უხეშ ქმედებებს, არამედ ასევე უკანონო ირიბ ქმედებებსა და ურთიერთობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს განმცხადებელთა გადარწმუნება ან მათთვის სურვილის წართმევა, გამოიყენონ კონვენციით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალება (იხ. *Kurt v. Turkey*, 1998 წლის 25 მაისის განაჩენი, მოხსენებები 1998-III, გვ. 1192-93, პუნქტი 160).

უფრო მეტიც, დაუშვებელია თუ არა ხელისუფლების ორგანოებსა და განმცხადებელს შორის არსებული ურთიერთობა კონვენციის 34-ე მუხლის თვალსაზრისით, განსაზღვრული უნდა იქნეს საქმის კონკრეტული გარემოებების ჩრილში. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლომ უნდა შეაფასოს განმცხადებლის უსუსურობა და რისკი, რომ მასზე ზეგავლენას მოახდენენ ხელისუფლების ორგანოები (იხ. ორი ზემოხსენებული საქმე *Akdivar and Others*, გვ. 1219, პუნქტი 105, და *Kurt*, გვ. 1192-93, პუნქტი 160).

481. წინამდებარე საქმეში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ არ შეეძლოთ მიემართათ სასამართლოსათვის პატიმრობის ადგილიდან და რომ მათი განაცხადი ფაქტობრივად შეტანილი იყო მხოლოდ ერთი ადვოკატის, ბ-ნი ტანასეს მიერ, რომელიც წარმოადგენდა მათ სამართალწარმოების დასაწყისში, ხოლო განაცხადები ხელმოწერილი იყო მათი ცოლების მიერ.

სასამართლომ ასევე გაითვალისწინა განმცხადებლების მიმართ დნესტრისპირეთის ციხის ადმინისტრაციის მუქარა და განმცხადებელთა პატიმრობის პირობების გაუარესება მას შემდეგ, რაც შეტანილი იქნა განაცხადი. სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი ქმედებები წარმოადგენს არასწორი და დაუშვებელი ზენოლის ფორმას, რომელმაც ხელი შეუშალა განმცხადებლებს ინდივიდუალური საჩივრის უფლების განხორციელებაში.

დამატებით სასამართლო შემოთვებით აღნიშნავს 2001 წლის 19 აპრილის იმ დიპლომატიური ნოტის შინაარსს, რომელიც რუსეთის ფედერაციამ გაუგზავნა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს (იხ. წინამდებარე განაჩენის 278-ე პუნქტი). ნოტიდან ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა მოსთხოვეს მოლდოვის რესპუბლიკას, უკან გაეტანა ის კომენტარები, რომლებიც მოლდოვამ სასამართლოს წარუდგინა 2000 წლის 24 ოქტომბერს. რუსეთი ითხოვდა ხსენებული კომენტარებიდან იმ ნაწილის უკან გათხოვას, რომელიც ეხებოდა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას სავარაუდო დარღვევებისათვის იმის გამო, რომ რუსეთის ჯარები განთავსებული იყო მოლდოვის ტერიტორიაზე, დნესტრისპირეთში.

მოგვიანებით, 2001 წლის 6 ივნისს გამართულ მოსმენაზე, მოლდოვის მთავრობამ მართლაც განაცხადა, რომ სურდა, უკან გაეტანა 2000 წლის 24 ოქტომბერს მის მიერ წარდგენილი კომენტარების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა რუსეთის ფედერაციას (იხ. წინამდებარე განაჩენის 360-ე პუნქტი).

სასამართლო თვლის, რომ ასეთი ქმედება რუსეთის ფედერაციის მხრიდან წარმოადგენს კონვენციის პრეამბულაში მოხსენიებული საერთო მემკვიდრეობის, პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის ფეხქვეშ გათელვას და შეუძლია სერიოზულად შეუშალოს ხელი სასამართლოს წინაშე ინდივიდუალური საჩივრის უფლების განხორციელების საფუძველზე წარდგენილი განაცხადის განხილვას და ამით შეზღუდოს კონვენციის 34-ე მუხლით გარანტირებული უფლება.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას რუ-

სეთის ფედერაციის მხრიდან.

482. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლების შემდეგ ეს უკანასკნელი ესაუბრა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს სხვა განმცხადებლების გათავისუფლებასთან დაკავშირებით და ამ კონტექსტში ბ-ნმა ვორონინმა საჯაროდ დასდო ბრალი ბ-ნი ილაშკუს, რომ სწორედ ის იყო მისი მეგობრების განგრძობადი პატიმრობის მიზეზი, იმის გამო, რომ უარს ამბობდა მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადის გამოტანაზე.

სასამართლოს აზრით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირის ასეთი განცხადებები, რომელთა თანახმადაც განმცხადებლების სიტუაციის გაუმჯობესება დამოკიდებულია ამ სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი განაცხადის გამოტანაზე, წარმოადგენს პირდაპირ ზეწოლას, რომლის მიზანია ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა. ხსენებული იქნება დასკვნა ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა ხელისუფლების ორგანოებს რეალური თუ თეორიული შესაძლებლობა, ზეგავლენა მოეხდინათ განმცხადებელთა სიტუაციაზე.

შესაბამისად, ბ-ნი ვორონინის განცხადება წარმოადგენს მოლდოვის რესპუბლიკის მიერ განმცხადებლის იმ უფლებაში ჩარევას, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური საჩივრით მიმართვას, და ეწინააღმდეგება კონვენციის 34-ე მუხლს.

## X. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

483. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

*„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო და ზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.*

### ა. ზიანი

484. თავიანთი პრეტენზიები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით განმცხადებლებმა 2001 წლის ნოემბერში წარმოადგინეს.

სასამართლოს მიერ 2004 წლის 12 ნოემბერს მიღებულ წერილში ბ-ნმა ტანასემ წარადგინა ახალი პრეტენზიები მისი კლიენტის, ბ-ნი ლეშკოს, სახელით, რათა მოეხდინა პრეტენზიების განახლება და მხედველობაში მიღებულ იყო 2001 წლის შემდგომი პერიოდი.

ბ-ნმა გრიბენცუამაც იგივე გააკეთა სხვა განმცხადებლების სახელით იმ წერილის საშუალებით, რომელიც სასამართლომ მიიღო 2004 წლის 24 თებერვალს.

485. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათმა მსჯავრდებამ და პატიმრობამ გამოიწვია მათ მიერ სამსახურების დაკარგვა. ანალოგიურად, იმ დევნის ფონზე,

რომელიც ხორციელდებოდა მათ მეუღლეებთან მიმართებაში, ქ-ნი ილაშკუ და ქ-ნი ივანტოში იძულებულები იყვნენ, დაეტოვებინათ სამსახურები ტირასპოლში და გადასულიყვნენ კიშინიოვში. გარდა ამისა, ბ-ნი ლეშკოს ოჯახს მოუხდა ტირასპოლში სახლის დატოვება და სხვა საცხოვრებლის მოძებნა. განმცხადებლები მოითხოვდნენ ყველა იმ ხარჯის დაფარვას, რომლის გაღებაც მოუხდათ მათ ცოლებსა და ოჯახებს, რათა მოენახულებინათ ხოლმე განმცხადებლები ციხეში და გაეგზავნათ მათთვის ამანათები. ბოლოს, ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, განმცხადებლებს ძალიან დიდი სამედიცინო ხარჯების განწევა მოუხდათ.

კერძოდ, განმცხადებლები ითხოვდნენ შემდეგ თანხებს:

ბ-ნი ილაშკუ ითხოვდა 1861 ევროს გაცდენილი ხელფასის გამო, რაც გამოიწვია მისმა პატიმრობამ 1992 წლის ივნისიდან 1994 წლის თებერვლამდე, როდესაც იგი არჩეული იქნა მოლდოვის პარლამენტში. იგი აცხადებდა, რომ მისი, როგორც პარლამენტარის, კუთვნილი თანხები ეხდებოდა მის ოჯახს მოლდოვის მთავრობის მიერ. ბ-ნი ივანტოში მოითხოვდა 9560 ევროს დაკავების დღიდან შემოსავლის დაკარგვის გამო. ბ-ნი პეტროვ-პოპა ითხოვდა 21510 ევროს დაკავების დღიდან შემოსავლის დაკარგვის გამო. ბ-ნი ლეშკო ითხოვდა 30000 ევროს, თანხას, რაც ღირდა ტირასპოლში მისი კუთვნილი ბინა, რომელიც მან დაკარგა მსჯავრდების შემდეგ და დნესტრისპირეთიდან მისი ოჯახის გამგზავრების შედეგად.

ბ-ნი ილაშკუ, ბ-ნი ივანტოში და ბ-ნი პეტროვ-პოპა ამტკიცებდნენ, რომ რადგან მხოლოდ რუსეთის ფედერაცია აკონტროლებდა დნესტრისპირეთის ტერიტორიას, მხოლოდ რუსეთის ფედერაცია იყო პასუხისმგებელი განცდილი მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე.

დარღვევების სერიოზული ხასიათის, საქმის გარემოებების, საქმისადმი მოპასუხე მთავრობების მიდგომის, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განცდილი ტრავმების გათვალისწინებით განმცხადებლები პრეტენზიას აცხადებდნენ შემდეგ თანხებზე მორალური ზიანისათვის: ბ-ნი ილაშკუ 7 395 000 ევროზე, ბ-ნი ივანტოში 7 842 000 ევროზე, ბ-ნი პეტროვ-პოპა 7 441 000 ევროზე და ბ-ნი ლეშკო 7 800 000 ევროზე.

მორალური ზიანის ასანაზღაურებელ თანხებთან დაკავშირებით ბ-ნი ილაშკუ, ბ-ნი ივანტოში და ბ-ნი პეტროვ-პოპა აცხადებდნენ, რომ დაკმაყოფილდებოდნენ, თუკი მოლდოვის მთავრობა გადაუხდიდა თითოეულ მათგანს 1000 ევროს, ხოლო დარჩენილ თანხებს გადაუხდიდა რუსეთის მთავრობა.

ჯამში მატერიალური და მორალური ზიანისათვის განმცხადებლები ითხოვდნენ შემდეგ თანხებს: ბ-ნი ილაშკუ 7 396 861 ევროს; ბ-ნი ივანტოში 7 851 560 ევროს; ბ-ნი პეტროვ-პოპა 7 462 510 ევროს და ბ-ნი ლეშკო 7 830 000 ევროს.

486. მოლდოვის მთავრობა აცხადებდა, რომ არ გამოთქვამდა პრეტენზიას ბ-ნი ილაშკუს, ბ-ნი ივანტოშისა და ბ-ნი პეტროვ-პოპას პრეტენზიებთან დაკავშირებით და ხსენებულიდან გამომდინარეობდა, რომ მთავრობა გადაუხდიდა თითოეულ განმცხადებელს 1000 ევროს. მეორეს მხრივ, მთავრობამ ბ-ნი ლეშკოს მიერ მოთხოვნილი თანხები გადამეტებულად და უსაფუძვლად მიიჩნია.

რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ არ შეიძლება პასუხისმგებლად ყოფილიყო მიჩნეული სავარაუდო დარღვევებთან მიმართებაში. უფრო მეტიც, მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლების მიერ გასაჩივრებული ფაქტები

არ ხვდებოდა სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქციაში.

ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთის მთავრობა თანხებს გადამეტებულად და უსაფუძვლოდ თვლიდა.

487. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო განაჩენების აღსრულების კონტექსტში განაჩენი, რომელშიც სასამართლო დაადგენს დარღვევას, აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივ ვალდებულებას, იმავე დებულების თანახმად ბოლო მოუღოს დარღვევას და მოახდინოს გამონვეული შედეგების რეპარაცია იმგვარად, რომ მაქსიმალურად აღადგინოს დარღვევამდე არსებული სიტუაცია. თუკი, ერთის მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა არ იძლევა — ან მხოლოდ ნაწილობრივ იძლევა — რეპარაციის შესაძლებლობას დარღვევით გამონვეულ შედეგებთან მიმართებაში, კონვენციის 41-ე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს, მიაკუთვნოს დაზარალებულ მხარეს ისეთი დაკმაყოფილება, როგორიც შესაბამისად მიაჩნია. ხსენებულიდან გამომდინარეობს, *inter alia*, რომ განაჩენი, რომელშიც სასამართლო დაადგენს კონვენციის ან ოქმების დარღვევას, აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივ ვალდებულებას, არა მხოლოდ გადაუხადოს შესაბამის პირებს მიკუთვნებული თანხები, არამედ ასევე აირჩიოს, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით, ზოგადი და/ან, თუკი ეს შესაფერისია, ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიება, რომელსაც განახორციელებს ეროვნულ სისტემაში, რათა ბოლო მოეღოს სასამართლოს მიერ დადგენილ დარღვევას, განახორციელოს აგრეთვე, შესაძლებელი რეპარაცია დარღვევით გამონვეული შედეგებისათვის იმგვარად, რომ მაქსიმალურად აღადგინოს დარღვევამდე არსებული სიტუაცია (*Assanidze v. Georgia* [GC], №. 71503/01, პუნქტი 198, ECHR 2004-II; *Maestri v. Italy* [GC], №. 39748/98, პუნქტი 47, ECHR 2004-I; *Menteş and Others v. Turkey* (მუხლი 50), 1998 წლის 24 ივლისის განაჩენი, მოხსენებები 1998-IV, გვ. 1695, პუნქტი 24; და *Scozzari and Giunta v. Italy* [GC], №№. 39221/98 და 41963/98, პუნქტი 249, ECHR 2000-VIII).

488. სასამართლო იმეორებს, რომ მან დაადგინა კონვენციის რამდენიმე დებულების დარღვევა რუსეთის ფედერაციისა და მოლდოვის მიერ, ამ უკანასკნელს დარღვევა შეერაცხება 2001 წლის მაისიდან.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნი ილაშკუ და ბ-ნი ივანტოში დაექვემდებარნენ მოპყრობას, რომელიც კვალიფიცირებული იქნა ნამებად კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით, რომ დანარჩენი ორი განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რომ ყველა განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა თვითნებურად კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით და რომ ბ-ნი ივანტოში, ბ-ნი ლეშკო და ბ-ნი პეტროვ-პოპა კვლავაც პატიმრობაში იმყოფებიან მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას რუსეთის ფედერაციისა და მოლდოვის მხრიდან.

489. სასამართლო არ თვლის, რომ მოთხოვნა მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით დასაბუთებულია, მაგრამ ამავე დროს მიაჩნია, რომ არაგონივრული არ არის იმის გათვალისწინება, რომ განმცხადებლებმა განიცადეს შემოსავლის წყაროს დაკარგვა და ეს ამკარად გამონვეული იყო დარღვევებით. სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ დადგენილი დარღვევების შედეგად განმცხადებლებმა



უეჭველად განიცადეს მორალური ზიანი, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელია მხოლოდ დარღვევის დადგენის ფაქტით.

შესაბამისად, ითვალისწინებს რა კონვენციის სერიოზულ დარღვევებს, რომელთა მსხვერპლნიც განმცხადებლები გახდნენ, და ადგენს რა სამართლიანობის საფუძველზე, როგორც ეს მოთხოვნილია კონვენციის 41-ე მუხლით, სასამართლო ანიჭებს განმცხადებლებს შემდეგ თანხებს, დამატებული ის თანხები, რომელთა გადახდაც განმცხადებლებს შეიძლება მოუწიოთ გადასახადის სახით:

- (ა) თითოეულ განმცხადებელს 180 000 ევრო მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების დარღვევიდან;
- (ბ) თითოეულ განმცხადებელს 10 000 ევრო მორალური ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა რუსეთის ფედერაციისა და მოლდოვის მიერ 34-ე მუხლის დარღვევის გამო.

490. სასამართლო ასევე თვლის, რომ სამი განმცხადებლის უკანონო და თვითნებური პატიმრობის გაგრძელება აუცილებლად გამოიწვევს სასამართლოს მიერ დადგენილი მე-5 მუხლის დარღვევის სერიოზულ გახანგრძლივებას და მოპასუხე სახელმწიფოების იმ ვალდებულებების დარღვევას, რომელიც აკისრიათ კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტით და გულისხმობს სასამართლოს განაჩენის აღსრულებას.

## **ბ. ხარჯები და განეული დანახარჯები**

491. ადვოკატებისათვის გადასახდელი თანხებისათვის ბ-ნი ილაშკუ ითხოვდა 8 000 ევროს, ხოლო ბ-ნი ივანტოში და ბ-ნი პეტროვ-პოპა 8 500 ევროს თითოეული. ისინი ასევე ითხოვდნენ 2 500 ევროს სხვადასხვა განეული ხარჯებისათვის.

ბ-ნი ლემკოს მეუღლესა და ადვოკატს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით ბ-ნი ლემკო ითხოვდა დამატებით 200 ევროს მისი ადვოკატის ყოველთვიური მუშაობისათვის, რაც მთლიანობაში შეადგენდა 11 800 ევროს. ხსენებული თანხა წარმოადგენს მისი ადვოკატის გასამრჯელოს 1999 წლის ივნისიდან, ანუ განაცხადის შეტანიდან (გავიდა 51 თვე) განეული მომსახურებისათვის, მომსახურების მთავარ ელემენტებს კი წარმოადგენდა განაცხადის შედგენა, დოკუმენტების მოძიება, სასამართლოს მიერ მოთხოვნილი კომენტარების შედგენა, მომზადება სასამართლოს ფაქტების დამდგენი მისიისათვის, სასამართლოს დელეგატების წინაშე გამართული მოსმენის ჩანაწერების შესწავლა, დაკავშირებასთან მიმართებაში განხორციელებული ხარჯები (ფაქსი, სატელეფონო საუბრები, ჩვეულებრივი და სასწრაფო ფოსტა), თარგმანის ხარჯები და განმცხადებლებთან განხორციელებულ ვიზიტებთან დაკავშირებით განეული დანახარჯები.

492. მოლდოვის მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ხარჯებისა და განეული დანახარჯებისათვის მოთხოვნილი თანხების გადახდას იმ მოტივით, რომ ისინი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

493. სასამართლო იმეორებს, რომ იმისათვის, რომ ხარჯები და განუღლები დანახარჯები შეტანილი იქნეს 41-ე მუხლის შესაბამისად მიკუთვნებულ თანხებში, დადგენილი უნდა იქნეს, რომ ისინი ნამდვილად გადახდილი იქნა, აუცილებლობით იყო გამოწვეული და გულისხმობდა იმ ქმედების აღკვეთას ან იმ ქმედებისათვის ანაზღაურების მიღებას, რომელიც დადგენილი იქნა, რომ არღვევდა კონვენციას. მოთხოვნილი თანხები გონივრული უნდა იყოს მოცულობით (იხ., მაგალითად, ზემოხსენებული *Kalashnikov*-ის საქმე, პუნქტი 146).

სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმისათვის საჭირო გახდა რამდენიმე წყება კომენტარების წარდგენა სასამართლოს წინაშე, განხორციელდა მოსმენები შეჯიბრებითობის საფუძველზე და მონმეთა ადგილზე დაკითხვასთან დაკავშირებული მოსმენა, რომელიც გრძელდებოდა 7 დღე.

სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ განმცხადებელთა წარმომადგენლებმა, ბ-ნმა დინუმ, ბ-ნმა ტანასემ და ბ-ნმა გრიბინცვამ ნამდვილად გაიღეს ხარჯები და დანახარჯები იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენდა დარღვევას.

დაადგინა რა სამართლიანობის საფუძველზე და მხედველობაში მიიღო რა სამუშაოს მოცულობა, რომლის შესრულებაც აუცილებელი იყო განმცხადებელთა მხრიდან დიდი ოდენობის დოკუმენტაციისა და კომენტარების წარდგენისათვის, სასამართლო მიაკუთვნებს განმცხადებლებს 21 000 ევროს, 3 964 ევროს გამოკლებით, რომელიც მათ გადაეხადათ სამართლებრივი დახმარებისათვის ევროპის საბჭოს მიერ. ხსენებული წარმოადგენს 4 363 ევროს ბ-ნი დინუს გასამრჯელოსა და სამდივნო ხარჯებისათვის, 3 960 ევროს ბ-ნი გრიბინცვასათვის ხარჯებისა და განუღლები დანახარჯებისათვის და 8 713 ევროს ბ-ნი ტანასეს ხარჯებისა და განუღლები დანახარჯებისათვის.

## გ. საურავი

494. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ უნდა დაწესდეს საურავი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის სახით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

### ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე

1. სასამართლო 11 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ განმცხადებლები ხვდებიან მოლდოვის რესპუბლიკის იურისდიქციაში კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით მთავრობაზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების კუთხით;
2. 16 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ განმცხადებლები ხვდებიან რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით;
3. ერთხმად ადგენს, რომ სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია *ratione temporis*, რომ განიხილოს კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული საჩივარი;
4. 16 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია *ratione temporis*, რომ განიხილოს კონვენციის მე-2, მე-3, მე-5 და მე-8 მუხლებთან დაკავშირებული საჩივრები იმ მოცულობით, რა მოცულობითაც

- საჩივრები ეხება 1997 წლის 12 სექტემბრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს მოლდოვის რესპუბლიკის შემთხვევაში და 1998 წლის 5 მაისის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს რუსეთის ფედერაციის შემთხვევაში;
5. 15 ხმით 2 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ სასამართლოს არ მოეთხოვება იმის განსაზღვრა, გააჩნია თუ არა მას იურისდიქცია *ratione temporis*, განიხილოს საჩივარი პირველი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებით.
  6. ერთხმად ადგენს, რომ საჭირო არ არის კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვა, რომელსაც საფუძვლად ედო „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ“ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ფაქტი;
  7. 11 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მოლდოვის მხრიდან კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, რომელსაც საფუძვლად ედო ბ-ნი ილაშკუს მიერ განცდილი არასათანადო მოპყრობა და პატიმრობის ის პირობები, რომლებშიც იგი იმყოფებოდა სიკვდილით დასჯის მოლოდინში;
  8. 16 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას რუსეთის ფედერაციის მხრიდან იმ არასათანადო მოპყრობის გამო, რომელიც განხორციელდა ბ-ნი ილაშკუს მიმართ, და იმ პირობების გამო, რომლებშიც იგი იმყოფებოდა პატიმრობისას სიკვდილით დასჯის მოლოდინში, და რომ ხსენებული კვალიფიცირებული უნდა იქნეს წამებად მე-3 მუხლის დებულებების მნიშვნელობით;
  9. 11 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მოლდოვის მხრიდან 2001 წლის მაისის შემდეგ იმ არასათანადო მოპყრობის გამო, რომელიც განხორციელდა ბ-ნი ივანტოშის მიმართ, და იმ პირობების გამო, რომლებშიც იგი იმყოფებოდა პატიმრობისას, და რომ ხსენებული კვალიფიცირებული უნდა იქნეს წამებად მე-3 მუხლის დებულებების მნიშვნელობით;
  10. 16 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას რუსეთის ფედერაციის მხრიდან იმ არასათანადო მოპყრობის გამო, რომელიც განხორციელდა ბ-ნი ივანტოშის მიმართ, და იმ პირობების გამო, რომლებშიც იგი იმყოფებოდა პატიმრობისას, და რომ ხსენებული კვალიფიცირებული უნდა იქნეს წამებად მე-3 მუხლის დებულებების მნიშვნელობით;
  11. 11 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მოლდოვის მხრიდან 2001 წლის მაისის შემდეგ იმ არასათანადო მოპყრობის გამო, რომელიც განხორციელდა ბ-ნი ლეშკოსა და ბ-ნი პეტროვ-პოპას მიმართ, და იმ პირობების გამო, რომლებშიც ისინი იმყოფებოდნენ პატიმრობისას, და რომ ხსენებული კვალიფიცირებული უნდა იქნეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად მე-3 მუხლის დებულებების მნიშვნელობით;
  12. 16 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას რუსეთის ფედერაციის მხრიდან იმ არასათანადო მოპყრობის გამო, რომელიც განხორციელდა ბ-ნი ლეშკოსა და ბ-ნი პეტროვ-პოპას მიმართ, და იმ პირობების გამო, რომლებშიც ისინი იმყოფებოდნენ პატიმრობისას, და რომ ხსენებული კვალიფიცირებული უნდა იქნეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად მე-3 მუხლის დებულებების მნიშვნელობით;

- 13.11 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას მოლდოვის მხრიდან ბ-ნი ილაშკუს პატიმრობის გამო;
- 14.11 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ 2001 წლის შემდეგ ადგილი ჰქონდა და ამჟამადაც გრძელდება კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა მოლდოვის მხრიდან ბ-ნი ივანტოშის, ბ-ნი ლეშკოსა და ბ-ნი პეტროვ-პოპას პატიმრობის გამო;
- 15.16 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2001 წლის მაისამდე ბ-ნი ილაშკუს პატიმრობის გამო და ადგილი ჰქონდა და ამჟამადაც გრძელდება იმავე დებულების დარღვევა ბ-ნი ივანტოშის, ბ-ნი ლეშკოსა და ბ-ნი პეტროვ-პოპას მიმართ;
- 16.ერთხმად ადგენს, რომ საჭირო არ არის, ცალკე იქნეს განხილული განმცხადებელთა საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით;
- 17.15 ხმით 2 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას;
- 18.16 ხმით ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ მოლდოვამ ვერ შეძლო განეხორციელებინა კონვენციის 34-ე მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულება;
- 19.16 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ რუსეთის ფედერაციამ ვერ შეძლო განეხორციელებინა კონვენციის 34-ე მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულება;
- 20.10 ხმით 7 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ მოლდოვამ 3 თვის განმავლობაში განმცხადებლებს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები პლიუს გადასახადები, რომელთა გადახდაც მათ შესაძლოა დაეკისროთ:
- (ა) ბ-ნი ივანტოშს, ბ-ნი ლეშკოსა და ბ-ნი პეტროვ-პოპას 60 000 ევრო (სამოცი ათასი ევრო) თითოეულს, მათ მიერ განცდილი მატერიალური და მორალური ზიანისათვის;
  - (ბ) თითოეულ განმცხადებელს 3 000 ევრო (სამი ათასი ევრო) მორალური ზიანისათვის, რომელიც მათ განიცადეს 34-ე მუხლის დარღვევის საფუძველზე;
  - (გ) განმცხადებლებს სრული თანხა 7 000 ევროს ოდენობით (შვიდი ათასი ევრო) 1 321,34 (ათას სამას ოცდაერთი ევრო და ოცდაათობმეტი ცენტტი) ევროს გამოკლებით, რა თანხაც მათ მიიღეს სამართლებრივი დახმარების სახით, ხარჯებისა და განუული დანახარჯებისათვის: 1 454,33 (ათას ოთხას ორმოცდათერთმეტი ევრო და ოცდაცამეტი ცენტტი) ბ-ნი დინუსათვის, 1 320 (ათას სამას ოცი ევრო) ბ-ნი გრიბინცეასათვის და 2 904,33 ევრო (ორი ათას ცხრაას ოთხი ევრო და ოცდაცამეტი ცენტტი) ბ-ნი ტანასესათვის;
- 21.16 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ ადგენს, რომ რუსეთის ფედერაციამ სამი თვის განმავლობაში განმცხადებლებს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები პლიუს გადასახადები, რომელთა გადახდაც მათ შესაძლოა დაეკისროთ:
- (ა) ბ-ნი ილაშკუს 180 000 (ას ოთხმოცი ათასი ევრო) მატერიალური და მორალური ზიანისათვის;
  - (ბ) თითოეულ სხვა განმცხადებელს 120 000 ევრო (ას ოცი ათასი ევრო) მატერიალური და მორალური ზიანისათვის;
  - (გ) თითოეულ განმცხადებელს 7 ათასი ევრო (შვიდი ათასი ევრო) 34-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით განცდილი მორალური ზიანისათვის;

- (დ) განმცხადებლებს სრული თანხა 14 000 ევროს (თოთხმეტი ათასი ევრო) ოდენობით, 2 642,66 ევროს (ორი ათას ექვსას ორმოცდაორი ევრო და სამოცდაექვსი ცენტი) გამოკლებით, რომელიც გადახდილი იქნა სამართლებრივი დახმარების სახით ხარჯებთან და განუღ დახმარებთან დაკავშირებით: 2 908,67 ევრო (ორი ათას ცხრაას რვა ევრო და სამოცდაშვიდი ცენტი) ბ-ნი დინუსათვის, 2 640 ევრო (ორი ათას ექვსას ორმოცი ევრო) ბ-ნი გრიბინცეასათვის და 5 808,67 ევრო (ხუთი ათას რვაას რვა ევრო და სამოცდაშვიდი ცენტი) ბ-ნი ტანასესათვის;
22. ერთხმად ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა ბოლო მოუღონ კვლავ პატიმრობაში მყოფ განმცხადებელთა, თვითნებურ პატიმრობას და უზრუნველყონ მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლება.
23. ერთხმად ადგენს, რომ მე-20 და 21-ე პუნქტებში მითითებული თანხები გადაყვანილი უნდა იქნეს თითოეული განმცხადებლის საცხოვრებელი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის არსებული კურსით და ზემოხსენებულ სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ გადახდის დღემდე საურავი უნდა იქნეს გადახდილი მათთვის იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი;
24. ერთხმად უარყოფს დანარჩენ პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, 2004 წლის 8 ივლისს.

**ლუციუს ვილდჰაბერი**  
თავმჯდომარე

**პოლ მაჰონი**  
რეგისტრატორი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განაჩენს თან ერთვის შემდეგი განცალკევებული მოსაზრებები:

- (ა) ბ-ნი კასადევალის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც შეუერთდნენ ბ-ნი რესი, ბ-ნი ბირსანი, ქ-ნი ტულკენსი და ქ-ნი ფურა-სანდსტრომი;
- (ბ) ბ-ნი რესის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება;
- (გ) სერ ნიკოლას ბრატცას ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც შეუერთდნენ ბ-ნი როზაკისი, ბ-ნი ჰედიგანი, ქ-ნი ტომასენი და ბ-ნი პანტირუ;
- (დ) ბ-ნი ლუკადესის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება;
- (ე) ბ-ნი კოვლერის განსხვავებული მოსაზრება.

ლ.ვ.  
პ.ჯ.მ

**მოსამართლე კასადევალის ნაწილობრივ განსხვავებული  
მოსაზრება, რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები:  
რესი, ბირსანი, ტულკენი და ფურა-სანდსტრომი**

(თარგმანი)

1. მე არ ვეთანხმები დიდი პალატის უმრავლესობის გადაწყვეტილებას, რომ მოლდოვის პასუხისმგებლობა კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის სახეზეა მხოლოდ 2001 წლიდან მოყოლებული.

ხსენებულ მოსაზრებას მივყავართ ისეთ დასკვნამდე, რომელიც, ჩემი აზრით, პარადოქსული და არასწორია და გულისხმობს, რომ მოლდოვამ კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლები დაარღვია იმის გამო, თუ რა სახის არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ და პატიმრობის როგორ პირობებში იმყოფებოდნენ ბ-ნი ივანტოში, ბ-ნი ლეშკო და ბ-ნი პეტროვ-პოპა (მხოლოდ 2001 წლის მაისის შემდეგ), მაგრამ მოლდოვას პასუხისმგებლობა არ დაკისრებია იმ ფაქტებთან დაკავშირებით და მით უფრო სასიკვდილო განაჩენთან მიმართებაში, რომელიც შეუფარდა „მდრ-ს უზენაესმა სასამართლომ“ ბ-ნი ილაშკუს.

რადგან განმცხადებლები ხვდებიან მოლდოვის იურისდიქციაში (იხ. წინამდებარე განაჩენის 355-ე პუნქტი) და სახეზეა მოლდოვის პასუხისმგებლობა მის მიერ კონვენციის რატიფიცირების დღიდან დღემდე განხორციელებულ მოვლენებთან და განმცხადებლებთან მიმართებაში, არ არსებობს გამართლება იმ მოსაზრებისა, რომ პოზიტიური ვალდებულებები არ არსებობდა 1997 წლის 12 სექტემბრიდან 2001 წლის მაისამდე, როგორც ეს დაადგინა მოსამართლეთა უმრავლესობამ. ქვემოთ მე ვაყალიბებ მიზეზებს, თუ რატომ არ ვეთანხმები უმრავლესობის აზრს.

2. 1992 წლის 21 ივლისის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება იყო დასასრული მცდელობების პირველადი ეტაპისა, რომელიც მოლდოვამ განახორციელა თავის ტერიტორიაზე კონტროლის სრულად აღდგენასთან დაკავშირებით. ხსენებული დღის შემდეგ მოლდოვამ განახორციელა დუმილით გამოხატული მიდგომა და მისი მცდელობები გადავიდა მოლაპარაკების ფაზაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დნესტრისპირეთზე კონტროლის აღდგენა და არა განმცხადებლების უფლებების დაცვის მცდელობა, განმცხადებლებისა, რომლებიც უკანონოდ განსაჯეს და რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ 10 წლის განმავლობაში ბ-ნი ილაშკუს შემთხვევაში და 12 წლის განმავლობაში დანარჩენი სამი განმცხადებლის შემთხვევაში.

3. როგორც ეს სასამართლომ აღნიშნა, ფაქტობრივი სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე, ის საკითხი, განახორციელა თუ არა მოლდოვამ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, ძალიან მჭიდროდა დაკავშირებული მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებულ ურთიერთობებთან და დნესტრისპირეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებულ ურთიერთობებთან. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ზეგავლენა, რომლის მოხდენაც შეეძლო მოლდოვას რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით განმცხადებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ. და ბოლოს, ასევე მნიშვნელოვანია იმ ფაქტების გათვალისწინება, რომლებიც განხორციელდა კონვენციის რატიფიცირებამდე, და მათი გამოყენება

შედარებითი მიზნებისათვის, როდესაც ვინცებთ 1997 წლის 12 სექტემბრის შემდეგ მოლდოვის მიერ განხორციელებული მცდელობების შეფასებას (იხ. წინამდებარე განაჩენის 337-338 პუნქტები). შესაბამისად, აუცილებელია სიტუაციის სრული შეფასება, იმ კუთხით, რა კუთხითაც იგი განვითარდა დროში, ასევე საჭიროა განხორციელებული მოქმედებებისა და უმოქმედობების შეფასება.

4. სიმართლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შუღლის ჩამოვარდნიდან მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არასოდეს შეუწყვეტიათ პრეტენზიების გამოთქმა იმ აგრესიასთან დაკავშირებით, რომელსაც თვლიდნენ, რომ დაექვემდებარნენ. მოლდოვის ხელისუფლება გამოხატავდა სეპარატისტების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. 1992 წლის ივლისში შუღლის ჩაცხრომის შემდეგ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები განაგრძობდნენ ღონისძიებების განხორციელებას კონტროლის ხელახლა დამყარებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მეშვეობით. მოგვიანებით, 1994 წლის შემდეგ, მთავრობა განაგრძობდა თავისი სუვერენიტეტის მტკიცებას ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებდა „მდრ“, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 341-343 პუნქტები).

5. თუმცა 1997 წლიდან მოყოლებული, უცილობელი დასკვნა უნდა იქნეს გამოტანილი, რომ ადგილი ჰქონდა მოლდოვის ხელისუფლების მიერ მცდელობების განხორციელების შემცირებას დნესტრისპირეთზე კონტროლის აღდგენასთან მიმართებაში და რომ ხსენებული მცდელობები შეზღუდული იყო დიპლომატიური ქმედებებით. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა ევროპის საბჭოს წევრად, მოლდოვამ დღემდე, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, არ ისარგებლა იმ შესაძლებლობების პოტენციალით, რომლებიც არსებობს ამ პოლიტიკურ გაერთიანებაში.

მეორეს მხრივ, თანამშრომლობის აშკარა ან *de facto* ღონისძიებები იქნა განხორციელებული მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებსა და დნესტრისპირელ სეპარატისტებს შორის: მიღწეული იქნა ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პოლიტიკური შეთანხმებები, ურთიერთობები დამყარდა მოლდოვის პარლამენტსა და „მდრ“-ს პარლამენტს შორის, რამდენიმე წლის განმავლობაში თანამშრომლობა განხორციელდა პოლიციის ორგანოებს შორის და პენიტენციურ და უშიშროების სფეროებში. განვითარდა ასევე თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორც არის პირადობის მონმობების გაცემა, საჰაერო მარშრუტების კონტროლი, სატელეფონო კავშირები და სპორტი (იხ. წინამდებარე განაჩენის 114-ე, 174-175, 177-179 და 185-ე პუნქტები).

6. რაც შეეხება განმცხადებელთა სიტუაციას, 1997 წელს კონვენციის რატიფიცირებამდე მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს გარკვეული ღონისძიებები, როგორც არის 1994 წლის 3 თებერვლის უზენაესი სასამართლოს განაჩენი, რომელიც აუქმებდა განმცხადებელთა მსჯავრდებას და მათი პატიმრობის ბრძანებას; 1993 წლის 28 დეკემბერს „მდრ-ს უზენაესი სასამართლოს“ „მოსამართლეების“ და დნესტრისპირეთის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ აღძრული საქმე ხელისუფლების ფუნქციების უზურპირებასთან დაკავშირებით; მოლდოვის პრეზიდენტის მიერ 1995 წლის 4 აგვისტოს გამოცემული შეწყალება; მოლდოვის პარლამენტის 1995 წლის 3 ოქტომბრის მოთხოვნა; დნესტრისპირეთში პატიმრობაში მყოფ პატიმრებთან ექიმების გაგზავნა და ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენა (იხ. წინამდებარე

განაჩენის 222-223, 226-227 პუნქტები და 239-ე პუნქტი).

7. მაგრამ 1997 წლის შემდეგ განმცხადებელთა უფლებების დაცვის მხრივ კიდევ ერთხელ განხორციელებული ღონისძიებები შემოიფარგლა ექიმების გაგზავნით (ბოლო ვიზიტი განხორციელდა 1999 წელს), ოჯახებისათვის დახმარების მიცემით და ბ-ნი სტურზას ჩარევით და განმცხადებლების გათავისუფლების მცდელობით (ბოლო ასეთი მცდელობა განხორციელდა 2001 წლის აპრილში). მოლდოვის მთავრობამ დაადასტურა, რომ კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს სეპარატისტების მიერ გაკეთებული მოთხოვნების საპასუხოდ მოლდოვის ხელისუფლებამ შეცვალა მოლაპარაკებათა სტრატეგია და უფრო დიდი პრიორიტეტი მიანიჭა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს მოლდოვის სამართლებრივ სფეროში დნესტრისპირეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით. ამავე დროს, ღონისძიებები მართლმსაჯულების სფეროში, რომლებიც ადრე ხორციელდებოდა, მივიწყებული იქნა (იხ. წინამდებარე განაჩენის 344-ე პუნქტის ბოლო ნაწილი). გასაგებია, რომ გარკვეული ღონისძიებები თანამშრომლობის სფეროში განხორციელებული იქნა კეთილი მიზნებისათვის, რაც გულისხმობდა დნესტრისპირელთა ყოველდღიური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და მათთვის მაქსიმალურად ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობის მიცემას.

8. მე არ მსურს ჩემი შეფასების გამოთქმა მოლდოვის მიერ განხორციელებული პოლიტიკური სტრატეგიის ეფექტურობასთან დაკავშირებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც არის ტერიტორიული მთლიანობა. მიუხედავად ამისა, თვით დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლის განხორციელების არარსებობის პირობებშიც კი, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, განახორციელონ მათ ხელთ არსებული ყველა ღონისძიება, იქნება ეს პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური თუ მართლმსაჯულებრივი ხასიათის ღონისძიებები (იხ. წინამდებარე განაჩენის 331-ე პუნქტი), რათა დაცული იქნეს კონვენციით გარანტირებული უფლებები იმ პირებისათვის, რომლებიც ფორმალურად მის იურისდიქციაში ხვდებიან და, შესაბამისად, ყველა იმ პირისათვის, ვინც იმყოფება მოლდოვის საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებს შიგნით.

რაც შეეხება ღონისძიებების ხასიათსა და მათ ეფექტურობას ან იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო, გარკვეული ფაქტები შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დანარჩენი, ასეთი ღონისძიებების შედეგებიდან გამომდინარე. ხსენებულთან დაკავშირებით, 2001 წლის მაისში ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლების ფაქტის გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის მიჩნევა, რომ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნებოდა განმცხადებელთა გათავისუფლებისაკენ, არ იქნა განხორციელებული, როგორც ამას აღნიშნავს სასამართლო განაჩენის 347-ე პუნქტის მე-2 ნაწილში.

9. მე ვთვლი, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული მცდელობები კონვენციით განსაზღვრული უფლებების დასაცავად 1997 წლის რატიფიცირების შემდეგ არ იქნა განხორციელებული იმდენად მტკიცედ, რამდენადაც ამას მოითხოვდა განმცხადებელთა სერიოზული სიტუაცია, რაც გამოიხატებოდა მათი საქმის განხილვითა და მსჯავრდებით და განმცხადებელთა ყოფის სერიოზული მდგომარეობით. მაგალითად, უნდა აღინიშნოს აშკარა უმოქმედობის შემდეგი შემთხვევები და ზოგჯერ საპასუხო ღონისძიებებიც:



- (ა) 1993 წლის 28 დეკემბერს აღიძრა გამოძიება იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობდნენ განმცხადებელთა მიმართ აღძრულ გამოძიებასა და მსჯავრდებაში, მაგრამ რაიმე სახის ინფორმაციის უქონლობამ ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოძიების წარმატებით დასრულების მიზნით რაიმე ღონისძიების განხორციელებასთან მიმართებაში, შესაძლოა, წარმოშვას სერიოზული ეჭვები ღონისძიებების ეფექტურობასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 221-ე პუნქტი).
- (ბ) მოლდოვის უზენაესი სასამართლოს 1994 წლის 3 თებერვლის განაჩენი, რომელიც აუქმებდა „მდრ“-ს უზენაესი სასამართლოს“ მიერ 1993 წლის 9 დეკემბერს გამოტანილ განაჩენს და ბრძანებდა საქმის დაბრუნებას საგამოძიებო ორგანოებისათვის ხელახალი გამოძიების მიზნით, არასოდეს განხორციელებულა (იხ. წინამდებარე განაჩენის 22-ე პუნქტი).
- (გ) არანაირი ნაბიჯები არ გადადგმულა მოლდოვის პრეზიდენტის მიერ 1995 წლის 4 აგვისტოს გამოცხადებული ამნისტიის შემდეგ. ანალოგიურად, სასამართლოს არ მიუღია რაიმე ინფორმაცია განმცხადებელთა სახელით მოლდოვის მთავრობის ან საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებების თაობაზე, მიუხედავად პარლამენტის 1995 წლის 3 ოქტომბრის თხოვნისა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 227-ე პუნქტი).
- (დ) 2000 წლის 16 აგვისტოს 1993 წლის 28 დეკემბრის ბრძანება ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული პროკურორის მიერ იმის საფუძველზე, რომ დანაშაულებში არ იყო სწორად კვალიფიცირებული. იგივე გადანუყვეტილება აყალიბებდა ახალ ბრალდებებს. მაგრამ მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული გამოძიების აღძვრა ხსენებულ ბრალდებებთან მიმართებაში ხანდაზმულობის გამო. შესაძლებელია, გამოითქვას ეჭვები იმ სამართალწარმოების სერიოზულობასთან დაკავშირებით, რომელშიც ხელისუფლების ორგანოები იცდიდნენ 7 წელი, სანამ მოახდენდნენ დანაშაულების კვალიფიკაციის შეცვლას მხოლოდ იმიტომ, რომ გადაენწყობათ დასასრულს, რომ გამოძიება ახალ ბრალდებებთან მიმართებაში ხანდაზმულობის გამო არ შეიძლებოდა აღძრულიყო. ვერ შევძელი რა ჩამომეყალიბებინა საკუთარი აზრი იმ საკითხთან დაკავშირებით, ვრცელდება თუ არა მოლდოვის კანონმდებლობის ხანდაზმულობა იმ დანაშაულებზე, რომლებიც წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო სისხლის სამართალწარმოების საგანს, უნდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე საქმეში ხანდაზმულობა გამოიწვია იმ გამოძიების ხანგრძლივობამ, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, არაეფექტური იყო (იხ. წინამდებარე განაჩენის 229-ე პუნქტი).
- (ე) 2000 წლის 16 აგვისტოს პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი გამოძიების აღძვრა პლინიას ციხის მმართველის წინააღმდეგ არ გაგრძელბულა და, ნებისმიერ შემთხვევაში, ციხის მმართველმა განუცხადა სასამართლოს დელეგატებს, რომ მისთვის არ შეუტყობინებიათ სხენებულის შესახებ (იხ. წინამდებარე განაჩენის 230-ე პუნქტი და დანართის 137-ე პუნქტი).
- (ვ) ზემოხსენებული გამოძიებების შეჩერების შედეგად ამჟამად „მდრ“-ს რეჟიმის ხელისუფლების ორგანოების ცალკეულ წარმომადგენლებს, მათ შორის ბ-ნ შევცოვს, შეუძლიათ შევიდნენ მოლდოვაში იმ ქმედებებისათვის ყოველგვარი პასუხისმგებლობის შიშის გარეშე, რომლებიც მათ ჩაიდინეს რეჟიმის სამსახურში (იხ. დანართი: ბ-ნი ილაშკუ, პუნქტი 21, და ბ-ნი რუსუ, პუნქტი 304). უფრო მეტიც, მე აღვნიშნავ, სულ მცირე გაკვირვების გარეშე, რომ

მოლდოვაში დაბრუნების შემდეგ „მდრ-ს იუსტიციის ყოფილ მინისტრს“ ბ-ნ სიდოროვს ეკავა რამდენიმე მაღალი თანამდებობა და იყო მოლდოვის პარლამენტის ადამიანის უფლებათა და უმცირესობათა კომიტეტის თავმჯდომარე 2001 წლის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 168-ე პუნქტი).

10. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც იდგებოდა ნაბიჯები სეპარატისტების რეჟიმთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით და იმ კეთილშობილური მიზნით, რომ დნესტრისპირეთის მოსახლეობის ცხოვრება გაადვილებულიყო, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ გამოუმჯლავნებიათ იგივე მონდომება განმცხადებლების ბედთან მიმართებაში. სეპარატისტებთან განხორციელებული მოლაპარაკებებისას, იქნება ეს 2001 წლის მაისამდე თუ შემდეგ, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები შემოიფარგლებოდნენ საკითხის მხოლოდ სიტყვიერ დონეზე წამოწევით, რაიმე წერილობითი შეთანხმების მიღწევის გარეშე, რომელიც გაითვალისწინებდა განმცხადებელთა გათავისუფლებას (იხ. წინამდებარე განაჩენის 172-ე და 348-ე პუნქტები). ანალოგიურად, თუმცა, სამ განმცხადებელს უკანონოდ აღეკვეთა თავისუფლება დაახლოებით 12 წლის განმავლობაში, მაგრამ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული არც ერთი გეგმა არ ეხება განმცხადებლების სიტუაციას (იხ. წინამდებარე განაჩენის 348-ე პუნქტის ბოლო ნაწილი).

11. სასამართლო უშვებს, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები აღარ იჩენდნენ ყურადღებას განმცხადებლების ბედთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციასთან გამართული მოლაპარაკებებისას და ის ფაქტი, რომ მოლდოვის მთავრობამ თავი შეიკავა 2001 წლის 6 ივნისს გამართულ მოსმენაზე იმის მტკიცებისაგან, რომ რუსეთის ფედერაცია შესაძლოა პასუხისმგებელი ყოფილიყო, ხოლო თავშეკავება ახსნა „არასასურველი შედეგებით, სახელდობრ კი განმცხადებლების პატიმრობის ბოლოს მოღების პროცესისათვის ხელის შეშლის შესაძლებლობით“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 360-ე პუნქტი), წარმოადგენდა მათი მხრიდან იმის აღიარებას, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებს შესაძლოა გააჩნდათ ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა დნესტრისპირეთის რეჟიმზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 349-ე პუნქტი). თუმცა აღნიშნული იქნებოდა იმის აღიარება, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები, 2001 წლამდეც და 2001 წლის შემდეგაც, არ იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას, რათა ზემოხსენებული ზეგავლენა მიემართათ განმცხადებელთა სასარგებლოდ.

12. და ბოლოს, შესაძლოა ადამიანი არ დაეთანხმოს უმცირესობას, რომელიც თვლის, რომ განმცხადებლები არ ხვდებიან მოლდოვის იურისდიქციაში კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, რომ მოლდოვას არ დაურღვევია თავისი პოზიტიური ვალდებულებები და მისი პასუხისმგებლობა არ არის სახეზე გასაჩივრებულ დარღვევებთან მიმართებაში, მაგრამ ხსენებული მიდგომა ძალიან ლოგიკურია. მეორეს მხრივ, დასკვნას, რომ განმცხადებლები ხვდებიან მოლდოვის იურისდიქციაში და მოლდოვა ვალდებულია, შეასრულოს მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, მივყავართ იმის აღიარებას, რომ მოლდოვის პასუხისმგებლობა სრულად სახეზეა მის მიერ 1997 წლის 12 სექტემბერს კონვენციის რატიფიცირების დღიდან.

საბედისწერო დღე „2001 წლის მაისი“ არაბუნებრივად და უაზროდ გამოიყურება.

## მოსამართლე რესის განსხვავებული მოსაზრება

1. მე შევეუერთდი მოსამართლე კასადევალის ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებას, მაგრამ მინდა გავაკეთო დამატებითი კომენტარები მოლდოვის პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებლები ხვდებიან მოლდოვის რესპუბლიკის იურისდიქციაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 300-301) და რომ მოლდოვის მიერ კონვენციის რატიფიცირების ინსტრუმენტთან ერთად წარმოდგენილი დეკლარაცია მიუთითებს კონტროლთან დაკავშირებულ *de facto* სიტუაციაზე. დნესტრისპირეთის რეგიონზე *de facto* კონტროლის არარსებობის შემთხვევაშიც კი, კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად მოლდოვას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, განახორციელოს ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელების საშუალებაც მას აქვს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რათა დაიცვას განმცხადებლებისათვის კონვენციით გარანტირებული უფლებები. სასამართლომ სწორად განმარტა, რომ კვლავაც სახეზეა იურისდიქცია ხსენებულ გარემოებებში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას მთელ თავის ტერიტორიაზე და შეზღუდულია *de facto* სიტუაციით, ანუ როგორც ხდება ხოლმე ცალკე რეჟიმის შექმნის დროს. მოლდოვის სუვერენიტეტი მის სრულ ტერიტორიაზე არც გამხდარა და არც ამჟამად არის სადავო საერთაშორისო თანამეგობრობაში, სადავო არ გაუხდია ის არც რუსეთის ფედერაციას, რომელიც, თავის მხრივ, ჯარების იქ განთავსების საფუძველზე, ახორციელებს კონტროლს დნესტრისპირეთის რეგიონზე და, შესაბამისად, მასაც გააჩნია იურისდიქცია და ამგვარად ინაწილებს პასუხისმგებლობას, თუმცა მას სულ სხვა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე მოლდოვას. მე არ დავასკვნიდი, როგორც ეს სასამართლომ გააკეთა 333-ე პუნქტში, რომ „ფაქტობრივი სიტუაცია ამცირებს იურისდიქციის ფარგლებს“. იურისდიქციის „ფარგლები“ ყოველთვის ერთი და იგივეა, მაგრამ შესაძლოა ჩაითვალოს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოების მიერ 1-ლი მუხლით აღებული ვალდებულებიდან, ეხება მხოლოდ პოზიტიურ ვალდებულებებს ტერიტორიაზე არსებულ პირებთან მიმართებაში და არა ყველა ქმედებას, რომლებიც განხორციელებულია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომლებსაც წარმოადგენენ დნესტრისპირეთში აჯანყებული ძალები. რაც შეეხება იურისდიქციისა და პასუხისმგებლობის საკითხებს, შესაბამისი სახელმწიფო უცხო სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ორგანოებთან ურთიერთობისას ყველა ხელთარსებული სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალებით უნდა ეცადოს, რომ გააგრძელოს კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა.

2. მე ვეთანხმები განაჩენის 335-ე პუნქტში მოყვანილ მოსაზრებას, რომ განმცხადებლები იმყოფებიან მოლდოვის იურისდიქციაში კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მაგრამ მოლდოვის პასუხისმგებლობა იმ გასაჩივრებულ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც მოხდა „მდრ“-ს ტერიტორიაზე, რომელზეც მოლდოვა ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, უნდა შეფასდეს პოზიტიური ვალდებულებების ჩრილში. ძალიან ძნელია იმის აღქმა, თუ როგორ შეიძლება მივიჩნიოთ მოლდოვა პირდაპირ პასუხისმგებლად

ყველა იმ ქმედებაზე, რომლებსაც ახორციელებს დნესტრისპირეთის რეჟიმი ტერიტორიის იმ ნაწილში. ფაქტობრივი სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე და იმ სიძნელის გათვალისწინებით, რომელიც თან ახლავს პოზიტიურ ვალდებულებებთან შესაბამისობისათვის განსახორციელებელი ყველაზე ეფექტური ღონისძიების მითითებას, სასამართლომ დაასკვნა, რომ ინტენსიური ღონისძიებები იქნა განხორციელებული 1991-92 წლების შემდგომ პერიოდში იმისათვის, რომ მოლდოვას აღედგინა კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ხსენებული ღონისძიებების ინტენსიურობა უფრო და უფრო შესუსტდა მოლდოვის მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ 1997 წლის 12 სექტემბრიდან და ფაქტობრივად აღარ განხორციელებულა ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლების შემდეგ.

როგორც ეს სასამართლომ მართებულად აღნიშნა, დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენის ვალდებულება მოითხოვდა მოლდოვისაგან, პირველ რიგში, თავი შეეკავებინა „მდრ“-ს რეჟიმის მხარდაჭერისაგან, კერძოდ 1997 წლის შემდეგ, და, მეორე, განეხორციელებინა მის ხელთ არსებული პოლიტიკური, სასამართლო და სხვა სახის ღონისძიებები, კერძოდ, ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდებოდა განმცხადებელთა სიტუაციას და მათ მიმართ კონვენციის დარღვევის შემდგომ შემთხვევებს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა „იმ სასამართლო ღონისძიებების შემცირებას, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე მოლდოვის უფლებამოსილების აღდგენა“ (იხ. განაჩენის 344-ე პუნქტი). მე სრულად ვეთანხმები მოსამართლე კასადევალის ანალიზს, რომ არაფერი ამართლებს იმ დასკვნას, რომ მოლდოვა ახორციელებდა მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს 2001 წელს ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლებამდე; ხსენებული გათავისუფლების შემდეგ ძალიან ცოტა რამ შეიცვალა, თუკი საერთოდ შეიცვალა, იმ ღონისძიებების ეფექტურობაში, რომლებიც მოლდოვის მთავრობას შეეძლო განეხორციელებინა, რათა უზრუნველყო განმცხადებლებისათვის კონვენციით გარანტირებული უფლებები.

ამკარაა, რომ არსებობდა მეტ-ნაკლებად ეფექტიანი პოლიტიკური და მართმსაჯულებრივი მცდელობების სხვადასხვა „ეტაპები“, რათა მოლდოვას დაემყარებინა თავისი ხელისუფლება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე და ბოლო მოელო განმცხადებელთა კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევებისათვის. მას შემდეგ, რაც 1991-1992 წლებში რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით შეიქმნა „მდრ“, იგი მუდმივად რჩებოდა რუსეთის ფედერაციის ეფექტური ხელისუფლების ან, სულ მცირე, გადამწყვეტი ზეგავლენის ქვეშ და არსებობდა სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის საფუძველზე, რომელსაც მას უჩენდა რუსეთის ფედერაცია (იხ. წინამდებარე განაჩენის 392-ე პუნქტი). ხსენებულ გარემოებებში მოლდოვის ელემენტარულ ვალდებულებას წარმოადგენდა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების განხორციელება, რაც გულისხმობდა განმცხადებელთა ბედის გამოსწორებაზე მუდმივ ზრუნვას რუსეთის ფედერაციასთან ორმხრივი ურთიერთობისას. დიპლომატიური მცდელობებისა და არგუმენტების არარსებობა რუსეთის ფედერაციის მიერ დარღვევების განხორციელებასთან დაკავშირებით ამკარა შეიქმნა 2001 წლის მაისის შემდეგ, მაგრამ, ჩემი აზრით — როგორც ეს სასამართლომ თავადაც აღნიშნა — ასევე ამკარა იყო 1997

ნლის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის 349-ე პუნქტი). რუსეთის ფედერაცია, რომელიც მოქმედებდა როგორც გარანტი სახელმწიფო, იყო ერთადერთი, რომლისთვისაც მოლდოვას თავისი პოზიტიური ვალდებულებების განხორციელებისას უნდა მიემართა ინტენსიურად და უნდა მიეთითებინა რუსეთის პასუხისმგებლობაზე კონვენციის თანახმად. მე არ შემოძლია დავინახო რაიმე გამყოფი ხაზი 1997 წლის რატიფიცირებამდე და ამჟამად, იქნება ეს 2001 წლის მაისი თუ დროის სხვა პერიოდი.

3. სიტუაცია მოლდოვაში განსხვავდება იმ სიტუაციისაგან, რომელიც აღწერილი იყო საქმეში *Cyprus v. Turkey* ([GC], no. 25781/94, პუნქტი 78, ECHR 2001-IV), სადაც სასამართლომ მიუთითა კვიპროსის რესპუბლიკის უუნარობაზე, განეხორციელებინა კონვენციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები ჩრდილოეთ კვიპროსში, რადგან ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ კვიპროსის სრულ ოკუპაციას თურქეთის მხრიდან. წინამდებარე საქმეში ადგილი არა აქვს დნეს-ტრისპირეთის ტერიტორიის ოკუპირებას, მიუხედავად იმისა, რომ იქ არის აჯანყებულთა რეჟიმი და რუსეთის ფედერაცია ტერიტორიაზე ახორციელებს გადამწყვეტ ზეგავლენას და თვით კონტროლსაც კი. მაგრამ მოლდოვას კვლავაც რჩება ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი საშუალებები, რათა შესაძლოს მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, რასაც იგი ვერ ახორციელებს ეფექტურად. მოლდოვამ თანამშრომლობის მიდგომაც კი განახორციელა სხვადასხვა სფეროში და დადო ადმინისტრაციული შეთანხმებები აჯანყებულთა რეჟიმთან, რამაც მოსამართლე კასადევალს მისცა იმის საფუძველი, ეფიქრა, რომ მოლდოვის მხრიდან ადგილი ჰქონდა დუმილით გამოხატულ თანხმობას. თუმცა როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნია შესაძლებლობა, არსებულ გარემოებებში განახორციელოს ხელისუფლება ტერიტორიის ნაწილებზე აჯანყებულთა რეჟიმის გამო, მისი პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა დადგეს იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მისი მცდელობები არ წარმოადგენს დუმილით გამოხატულ თანხმობას უკანონო ადმინისტრაციის მოქმედებასთან დაკავშირებით. თუკი დავასკვნით, რომ ადგილი ჰქონდა დუმილით გამოხატულ თანხმობას, მაშინ ძნელი იქნება საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის დაკისრება აჯანყებულთა რეჟიმისათვის. ასეთი დუმილით გამოხატული თანხმობა ასევე ძნელს გახდის შესაბამისი სახელმწიფოსათვის, მიიღოს დახმარება მესამე სახელმწიფოებისაგან აჯანყებულებთან ბრძოლისას. ადვილად შესაძლებელია, რომ დამხმარე სახელმწიფოსათვის ეს წარმოადგენდეს უკანონო ინტერვენციას. შესაბამისად, პოზიტიური ვალდებულების დარღვევა შესაძლებელია დადგინდეს მაშინ, როდესაც სასამართლოს გააჩნია მტკიცებულება, რომელიც ნათლად არ წარმოაჩენს საიდუმლო შეთანხმებას ან დუმილით გამოხატულ თანხმობას აჯანყებულების მიერ ტერიტორიაზე ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოხატავს დროებით სიტუაციას, როგორც ეს წინამდებარე საქმეშია, როდესაც სახელმწიფო არ მოქმედებდა შესაბამისი მისწრაფებითა და მონდომებით, რაც შესაძლებელი იყო.

4. სასამართლოს არ შეუძლია გამორიცხოს დუმილით გამოხატული შეთანხმება ან თანხმობა სახელმწიფოებს შორის კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგრამ კონვენციის თანახმად ყველა ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს კონვენციით

გარანტირებული უფლებებისა და ვალდებულებების დაცვის გაგრძელება.

ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ რა ღონისძიებები უნდა მიუთითოს სასამართლომ, როგორც აბსოლუტურად აუცილებელი, ხსენებული პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად. ჩემი აზრით, იმისათვის, რომ არ ჩაითვალოს, რომ სახელმწიფო დუმილით გამოხატავს თანხმობას აჯანყებულების მიერ ჩადენილ ქმედებებთან დაკავშირებით, სახელმწიფომ უნდა:

- ა) განაგრძოს მყარი პროტესტის გამოთქმა ორმხრივ და საერთაშორისო დონეზე ტერიტორიაზე უკანონო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით;
- ბ) განაგრძოს ყველა შესაძლებელი და სამართლებრივად დაშვებული ღონისძიების განხორციელება, რათა აღადგინოს თავის ტერიტორიაზე სრული კონტროლი;
- გ) განაგრძოს მხარდაჭერის მოპოვება, იქნება ეს ორმხრივ თუ საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, რათა განხორციელდეს ყველა სახის ღონისძიება უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ, რადგან ხელშემკვერელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ადამიანის უფლებების დაცვა თავიანთ ტერიტორიებზე; და
- დ) თავი შეიკავოს აჯანყებულთა რეჟიმისათვის დახმარების აღმოჩენისაგან, რასაც შესაძლოა ნიშნავდეს დუმილით გამოხატული თანხმობა ტერიტორიაზე ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საკითხები, რომლებიც უკავშირდება მკაცრი ღონისძიებების განხორციელებას, როგორცაა ეკონომიკური ბლოკადა, მაგალითად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანის უფლებათა დაცვა მოკლე დროში, ან ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის თანამშრომლობის სასარგებლოდ სიტუაციის გადაჭრისათვის, წარმოადგენს პოლიტიკური შეფასებისა და დიპლომატიის საკითხს და სასამართლო ფრთხილად შეეცადა, გვერდი აეგლო მისთვის და არ გაეცა პასუხი.

5. კვიპროსის სიტუაციისაგან განსხვავებით, ურთიერთობები მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოებსა და დნესტრისპირეთის უკანონო რეჟიმის წარმომადგენლებს შორის არასოდეს ყოფილა სრულად შეწყვეტილი. როგორც ეს სასამართლომ აღნიშნა, ადგილი ჰქონდა ურთიერთობებს ტირასპოლის აეროდრომთან დაკავშირებით, საერთო სატელეფონო სისტემის სფეროში და ასევე თანამშრომლობას ბევრ სხვა დონეზე. რადგან განსახილველ საკითხს წარმოადგენს ის, ახორციელებს თუ არა მოლდოვა იურისდიქციას ტერიტორიაზე, ყველა ის ელემენტი, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკურ ურთიერთობებს, პოლიტიკურ უშიშროებას და სხვა სახის თანამშრომლობას მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს შორის, აძნელებს, გავაქარწყლოთ მოლდოვის პასუხისმგებლობა წინამდებარე საქმეში. ამიტომაც სიტუაცია უფრო ახლოს დგას საქმეთან **Assanidze v. Georgia** [GC] no. 71503/01, ECHR 2004-II), ვიდრე ზემოხსენებულ საქმესთან **Cyprus v. Turkey**. პირველ საქმეში, რომელიც ეხებოდა აჭარის რეგიონს, საქართველოს კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოები ნაანყდნენ სიძნელებს აჭარის ტერიტო-

რიაზე კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვაში. წინამდებარე საქმეში პოზიტიური ვალდებულება კონტროლის აღდგენასთან დაკავშირებით მოითხოვს დნესტრისპირეთის რეჟიმის მუდმივ და მტკიცე დაგმობას და მოლდოვის მთავრობის უფლებების გაცხადებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ხსენებული უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ყველა უფლებამოსილების გამოყენებით, იქნება ეს სასამართლო, აღმასრულებელი თუ მართლმსაჯულებრივი ხასიათის უფლებამოსილება. მე ვერ ვხედავ სიმბოლურ ეფექტს მხოლოდ მართლმსაჯულებრივი ღონისძიებების განხორციელებაში. თუმცა 1997 წლიდან ასევე ადგილი ჰქონდა მოლდოვის მხრიდან შემცირებას საერთაშორისო დონეზე მცდელობებისა, გაეცხადებინა თავისი უფლებამოსილება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე, და საგრძნობლად შემცირდა მისი მცდელობები განმცხადებლების უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით, თუნდაც მხედველობაში მივიღოთ ის მცდელობები, რომლებიც ბ-ნმა სტურზამ განახორციელა.

6. ყოველთვის ძნელი იქნება ასეთი ღონისძიებების მოზაიკის შეფასება, მაგრამ თუკი ვაღიარებთ, რომ მოვლენების განვითარების დროს რუსეთის ფედერაციას გააჩნდა იურისდიქცია დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე და ხსენებული იურისდიქციის განხორციელება ახლაც გრძელდება, მაშინ გავანალიზებთ, რომ ადგილი ჰქონდა იმგვარი ფორმალური პროტესტების, განცხადებების ან სხვა ღონისძიებების არარსებობას რუსეთის ფედერაციასთან, მესამე ქვეყნებთან, გაეროს-თან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში, რომელთა მიზანიც იქნებოდა ზეგავლენის მოხდენა დნესტრისპირეთში უკანონო სიტუაციისთვის ბოლოს მოღებაზე და განმცხადებელთა დაუშვებელი მდგომარეობის გამოსწორება.

**მოსამართლე სერ ნიკოლას ბრატცას ნაწილობრივ  
განსხვავებული აზრი, რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები:  
როზაკისი, ჰედიგანი, ტომასენი და პანტირუ**

1. მე ვეთანხმები სასამართლოს უმრავლესობას იმასთან დაკავშირებით, რომ სახეზეა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა კონვენციის იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც ამტკიცებდნენ განმცხადებლები და რომლებიც დადასტურდა, მაგრამ არ შემიძლია გავიზიარო უმრავლესობის მოსაზრება, რომ მოლდოვის პასუხისმგებლობა ანალოგიურად სახეზეა.

2. საქმეში ორივე მოპასუხე მხარისათვის მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, ხვდებიან თუ არა განმცხადებლები „იურისდიქციაში“ კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით. თუკი ხვდებიან, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სახეზე იქნება კონვენციის დარღვევისათვის, რომლის არსებობაც წარმოჩინებული იქნა ან გრძელდებოდა მოლდოვის მიმართ 1997 წლის 12 სექტემბერს, ხოლო რუსეთისათვის 1998 წლის 5 მაისიდან ძალაში შესვლის შემდეგ.

3. საქმეში *Banković and Others v. Belgium and Others* ((dec.) [GC], no. 52207/99, პუნქტები 59-61, ECHR 2001-XII) სასამართლომ დაადასტურა, რომ ცნება „იურისდიქცია“ კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით უწინარესად ტერიტორიულს ნიშნავს თავისი ხასიათიდან გამომდინარე და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება წარმოადგენდეს ხელშემკვრელი სახელმ-

ნიფოს ტერიტორიის გარეთ განხორციელებული ქმედებები „იურისდიქციის“ განხორციელებას ამ მიზნისათვის. საპირისპიროდ, იმის მიჩნევა, რომ ტერიტორიის შიგნით მყოფი პირი ხვდება „იურისდიქციაში“ კონვენციის მიზნებისათვის, შესაძლოა გაქარწყლებული იქნეს და გამოწვევის სახით სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ იქნება სახეზე კონვენციის იმ დარღვევასთან მიმართებაში, რომელიც განხორციელდა მის ტერიტორიაზე. ხსენებული ნათლად ჩანს საქმიდან *Cyprus v. Turkey* ([GC], no. 25781/94, პუნქტი 78, ECHR 2001-IV), სადაც სასამართლომ მიუთითა „კვიპროსის რესპუბლიკის“ განგრძობად უუნარობაზე, განხორციელებინა კონვენციით დაკისრებული ვალდებულებები ჩრდილოეთ კვიპროსში“ და ამგვარად მინიშნება გაკეთდა „ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში ვაკუუმის შექმნაზე“, რაც მოჰყვებოდა იმ გადაწყვეტილებას, რომ განმცხადებლები არ ხვდებოდნენ თურქეთის იურისდიქციაში.

4. უმნიშვნელოვანესი განსახილველი საკითხებია: (i) არის თუ არა ეს ის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც განმცხადებლები უნდა ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის „იურისდიქციაში“, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებიან ამ სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ, და (ii) მოლდოვის ტერიტორიაზე ყოფნისას განმცხადებლები უნდა ჩაითვალოს თუ არა მოლდოვის „იურისდიქციაში“ ისე, რომ სახეზე იყოს ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა თუ, გამონაკლისის სახით, უნდა გაბათილდეს ის პრეზუმფცია, რომ ისინი მოლდოვის იურისდიქციაში იყვნენ და არიან. ორი საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, დამოკიდებულია, როგორც ამას სასამართლოს განაჩენი ამჟღავნებს, ფაქტობრივი სიტუაციის გულდასმით ანალიზზე, და უკავშირდება დნესტრისპირეთის ტერიტორიას 1991 წლიდან დღემდე.

#### ა. შესაბამისი პრინციპები

5. გარემოებები, რომლებშიც სახელმწიფო შესაძლოა პასუხისმგებლად ჩაითვალოს კონვენციის დარღვევისათვის, რომელიც ხდება მისი ტერიტორიის გარეთ, განხილული და განსაზღვრული იქნა სასამართლოს განაჩენში საქმეზე *Loizidou v. Turkey* (პირველადი პრეტენზიები) (1995 წლის 23 მარტის განაჩენი, სერია A №. 310), *Loizidou v. Turkey* (არსებით განხილვა) (1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, განაჩენები და გადაწყვეტილებები 1996-VI), ზემოხსენებულ საქმეებზე *Cyprus v. Turkey* და *Banković and Others* გამოტანილ გადაწყვეტილებებში. ასეთი პასუხისმგებლობა შესაძლოა სახეზე იყოს:

(i) როდესაც სამხედრო ღონისძიების შედეგად — იქნება ეს კანონიერი თუ უკანონო — სახელმწიფო ახორციელებს ეფექტურ კონტროლს მისი ტერიტორიის გარეთ არსებულ არეალზე. ასეთი კონტროლი შესაძლოა განხორციელდეს პირდაპირ, სახელმწიფოს ძალების გამოყენებით, ან ირიბად, დამოკიდებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით (იხ. *Loizidou*-ს საქმე (პირველადი პრეტენზიები), გვ. 23-24, პუნქტი 62). როდესაც სახელმწიფო ახორციელებს ეფექტურ კონტროლს მთლიან ტერიტორიაზე, მისი პასუხისმგებლობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მისი ჯარისკაცებისა და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული ქმედებებით — არა აქვს მნიშვნელობა, ამ ქმედებების განხორციელება



- ნებადართული იყო თუ არა სახელმწიფოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიერ - „არამედ ასევე სახეზეა ეს პასუხისმგებლობა ადგილობრივი ადმინისტრაციის (რომელიც სულდგმულობს სამხედრო მხარდაჭერის საფუძველზე) მიერ განხორციელებული ქმედებების გამო“ (იხ. *Cyprus v. Turkey*, პუნქტი 77). გარდა ამისა, როდესაც დადგინდება, რომ ასეთი ეფექტური კონტროლი სახეზეა, პასუხისმგებლობა წარმოიშობა მაშინაც კი, თუ არანაირი სახის დეტალური კონტროლი არ ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულ პოლიტიკასა და ქმედებებზე (იხ. *Loizidou* (არსებითი განხილვა), გვ. 2235-36, პუნქტი 56);
- (ii) როდესაც სახელმწიფო, ტერიტორიის მთავრობის თანხმობის გამოხატვის, მოწოდების ან დუმილის საშუალებით, ახორციელებს სრულ ან გარკვეულ საჯარო უფლებამოსილებებს, რაც ნორმალურ პირობებში უნდა განახორციელოს მთავრობამ (იხ. *Banković and Others*, პუნქტი 71).

6. პირდაპირი უფლებამოსილებაა სახეზე საპირისპირო შემთხვევაში — იმ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომლის ტერიტორიაზეც ხდება კონვენციის დარღვევა, მაგრამ რომელსაც არ შეუძლია ეფექტური კონტროლის განხორციელება შესაბამის ტერიტორიაზე, იქნება ეს სხვა სახელმწიფოს ჯარების მიერ სამხედრო ოკუპაციის გამო, თუ ომის ან ტერიტორიაზე აჯანყებულების არსებობის ან ისეთი სეპარატისტული ადმინისტრაციის მიერ ტერიტორიის ოკუპირების და გაკონტროლების გამო, რომელსაც ზურგს უმაგრებს სხვა სახელმწიფოს ძალები. ნათელია, რომ ინდივიდუალური პირი რჩება სახელმწიფოს „იურისდიქციაში“ და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრეზუმფცია არ ქარწყლდება, როდესაც წარმოჩინდება, რომ შესაბამისი სახელმწიფო საიდუმლოდ გაურიგდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ტერიტორიაზე ადმინისტრაციული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფო არ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ტერიტორიის ნაწილზე, ინდივიდუალური პირი ჩაითვლება სახელმწიფოს „იურისდიქციაში“ კონვენციის იმ დარღვევებთან მიმართებაში, რომლებიც ხდება მის ნაწილში, თუკი დამტკიცდება, რომ მისი ხელისუფლების წარმომადგენლები ან აგენტები მონაწილეობდნენ პირდაპირ ან ირიბად შესაბამის კონკრეტულ ქმედებებში ან დუმილით გამოხატავდნენ თანხმობას ასეთი ქმედებების განხორციელებისას.

7. სასამართლოს უმრავლესობა კიდევ უფრო შორს მიდის, როდესაც ასკვნის, რომ როცა ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია ხელისუფლების განხორციელება ტერიტორიის სრულ ნაწილზე ხელშემშლელი *de facto* სიტუაციის გამო, როგორც წარმოიშობა სეპარატისტული რეჟიმის შექმნის შემთხვევაში, მისი იურისდიქცია არ წყვეტს მოქმედებას კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც დროებით ექვემდებარება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და მას მხარს უმაგრებს აჯანყებული ძალები ან სხვა სახელმწიფო; ასეთი ფაქტობრივი სიტუაცია „ამცირებს იურისდიქციის ფარგლებს იმით, რომ სახელმწიფოზე პირველი მუხლით დაკისრებული ვალდებულება განხილული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ მხოლოდ ხელშემკვრელი მხარის პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში მის ტერიტორიაზე მყოფ პირებთან მიმართებაში“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 333-ე პუნ-

ქტი). ამგვარად დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები სხვადასხვაგვარად არის აღწერილი წინამდებარე განაჩენში, მაგალითად: „ყველა იმ შესაბამისი ღონისძიების განხორციელება, რომლის განხორციელებაც სახელმწიფოს შეუძლია,“ რათა უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების პატივისცემა (იხ. წინამდებარე განაჩენის 313-ე პუნქტი); „ვალდებულება, რომელიც გულისხმობს დიპლომატიური, ეკონომიკური, სასამართლო და სხვა სახის ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია საერთაშორისო სამართლის თანახმად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონვენციით გარანტირებული განმცხადებელთა უფლებების დაცვა“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 331-ე პუნქტი); და მოვალეობა, „შეეცადოს ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური ხელმისაწვდომი საშუალებით, სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში, კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების უზრუნველყოფას“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 333-ე პუნქტი). უმრავლესობის აზრით, სასამართლოს როლს არ წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოებისათვის იმ ღონისძიების მითითება, რომლებიც მან უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ შესაძლოა მასზე დაკისრებული ვალდებულებები უფრო ეფექტურად, არამედ სასამართლო ამონქმებს იმას, განხორციელებული ღონისძიებები შესაბამისი და საკმარისი იყო წინამდებარე საქმეში თუ არა, სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს „იმის გარკვევა, თუ რა დონეზე იყო, მიუხედავად არსებული სიტუაციისა, მინიმალური მცდელობების განხორციელების შესაძლებლობა და უნდა განხორციელებულიყო თუ არა ისინი“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 334-ე პუნქტი). წინამდებარე საქმეში ხსენებული პრინციპების გამოყენებით სასამართლოს უმრავლესობა ადგენს, რომ „განმცხადებლები ხვდებიან მოლდოვის რესპუბლიკის იურისდიქციაში კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით, მაგრამ მისი პასუხისმგებლობა „მდრ“-ს ტერიტორიაზე განხორციელებულ გასაჩივრებულ ქმედებებთან მიმართებაში უნდა შეფასდეს მოლდოვაზე კონვენციით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების ჩრჩილში“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 335-ე პუნქტი).

8. არ შემიძლია დავეთანხმო ხსენებულ ანალიზს. პირველ რიგში, მე ვერ მივიღებ მოსაზრებას, რომ პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის ოკუპაციის შედეგად უკანონო სეპარატისტული ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს არ შეუძლია მასზე რაიმე ძალაუფლების განხორციელება ან კონტროლის დაწესება, მაინც შეიძლება მიჩნეულნი იქნენ ამ სახელმწიფოს „იურისდიქციაში“ კონვენციის პირველი მუხლის დამოუკიდებელი მნიშვნელობით. ხსენებული ტერმინი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს გააჩნია ძალაუფლება, „უზრუნველყოს კონვენციაში გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები ყველასათვის...“. მე ასევე შეუძლებლად მიმაჩნია სასამართლოს უმრავლესობის დასკვნის მიღება, რომ ასეთ ფაქტობრივ სიტუაციაში ტერიტორიის შიგნით მყოფი პირები რჩებიან სახელმწიფოს „იურისდიქციის შიგნით“, მაგრამ „იურისდიქციის“ ფარგლები შეზღუდულია და სახელმწიფოს კვლავ ეკისრება პოზიტიური ვალდებულებები ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირის უფლებებთან მიმართებაში. „სახელმწიფოს პოზიტიური უფლებების“ ტერმინის გამოყენება და განაჩენში გამჟღავნებული დაყრდნობა 1-ლ მუხლთან დაკავშირებულ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომელიც ასეთ ვალდებულებებს უკავშირდება, წინამდებარე კონტექსტში ჩემთვის წარმოად-

გენს შეცდომას და არაფრის მომცემია. ხსენებული პრეცედენტული სამართალი — მისი მითითებებით თანაბარ ბალანსზე, რომელიც უნდა არსებობდეს ზოგად ინტერესებსა და ინდივიდის ინტერესებს შორის და იმ არჩევანთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაკეთდეს არსებული საშუალებების პრიორიტეტებიდან გამომდინარე — განვითარებული იქნა ფაქტობრივ კონტექსტში, როდესაც მოპასუხე სახელმწიფო ახორციელებდა სრულ და ეფექტურ კონტროლს მთლიან ტერიტორიაზე და როდესაც ინდივიდები მისი ტერიტორიის შიგნით უდავოდ იმყოფებოდნენ სახელმწიფოს „იურისდიქციაში“ კონვენციის მიზნებისათვის. ჩემი აზრით, სასამართლოს არგუმენტაცია არ შეიძლება მიესადაგოს არსებითად სხვა კონტექსტს, როდესაც სახელმწიფოს ეზღუდება, მისი კონტროლის გარეთ მყოფი გარემოებებისდა გამო, რაიმე ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობა ტერიტორიის შიგნით და მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, უნდა ჩაითვალოს თუ არა ტერიტორიის შიგნით მყოფი პირები სახელმწიფოს „იურისდიქციაში“ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე.

არ შემიძლია დავეთანხმო, რომ ასეთ სიტუაციაში პირისათვის კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სახეზე მხოლოდ იმიტომ, რომ, თავის მხრივ, სახელმწიფომ ვერ შეძლო დაეღვინა, რომ მან ვერ განახორციელა საკმარისი მცდელობები სამართლებრივ, დიპლომატიურ დონეზე, რათა მოეხდინა ხსენებულ უფლებათა უზრუნველყოფა. წინამდებარე საქმის კონკრეტულ კონტექსტში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეფექტური კონტროლის მიღმა არსებულ ტერიტორიაზე პირების უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, არ შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, დროის გარკვეულ მონაკვეთში სახელმწიფო, თავისი შეფასებით, ახორციელებს საკმარის მცდელობებს პირთა გათავისუფლებასთან დაკავშირებით თუ არა. არ შემიძლია ასევე დავეთანხმო კონვენციის ისეთ განმარტებას, რომელიც მოითხოვს სასამართლოსაგან შეფასების გაკეთებას, რთულ და ცვალებად საერთაშორისო სიტუაციაში, იმასთან დაკავშირებით, ეფექტური იქნებოდა თუ არა კონკრეტული სამართლებრივი და დიპლომატიური ღონისძიებები ტერიტორიაზე კონსტიტუციური წყობის აღდგენასთან მიმართებაში, პრაქტიკულად შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ასეთი ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იქნა თუ არა ისინი.

9. მე შემიძლია დავეთანხმო იმ მოსაზრებას, რომ როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნია შესაძლებლობა, განახორციელოს რაიმე სახის უფლებამოსილება ან კონტროლი მის საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, შესაბამისი სახელმწიფოს უმოქმედობამ მაინც შესაძლოა წარმოშვას მისი პასუხისმგებლობა კონვენციის თანახმად ამ ტერიტორიის შიგნით. ასეთი სახის პასუხისმგებლობა შესაძლოა, ჩემი აზრით, სახეზე იყოს მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში, როდესაც სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებები ნათლად წარმოაჩენს ვალდებულებების შეუსრულებლობას ან მცდელობების განუხორციელებლობას შესაბამისი სახელმწიფოს მხრიდან, რათა აღადგინოს თავისი ხელისუფლება ან კონსტიტუციური წყობა ტერიტორიის შიგნით, დუმილით გამოხატული თანხმობით უკანონო ადმინისტრაციის მიერ ტერიტორიაზე განხორციელებულ უფლებამოსილებასთან ან „იურისდიქციასთან“ მიმართებაში.

## ბ. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

### 1. რუსეთის ფედერაცია

10. წინამდებარე საქმის ფაქტებთან მიმართებაში ზემოხსენებული პრინციპების გამოყენებისას მე სრულად ვეთანხმები სასამართლოს უმრავლესობას, როდესაც იგი ადგენს, რომ ხსენებულ პერიოდში განმცხადებლები იყვნენ, ხოლო სამი განმცხადებლის შემთხვევაში რჩებიან, რუსეთის ფედერაციის „იურისდიქციის“ ქვეშ კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით და, შესაბამისად, სახეზეა მისი პასუხისმგებლობა კონვენციის დარღვევაზე, რომელიც დადგენილი იქნა სასამართლოს მიერ. კერძოდ, მე დადგენილად და სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დამყარებულად ვთვლი შემდეგ ფაქტებს:

- (i) 1991-1992 წლებში მიმდინარე კონფლიქტის განმავლობაში მე-14 არმიის ძალები (1992 წლის 1 აპრილის შემდეგ რუსეთის ოპერატიული დანაყოფი - როდ), რომლებიც განთავსებული იყო დნესტრისპირეთში, იბრძოდნენ ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული ძალების მხარეზე და თავიანთი სურვილით აძლევდნენ მათ, ან ნებას რთავდნენ, რომ ხელში ჩაეგდოთ, დიდი რაოდენობით შეიარაღება.
- (ii) კონფლიქტის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის ლიდერები უჩენდნენ დნესტრისპირელ სეპარატისტებს პოლიტიკურ თანადგომას, *inter alia*, საჯარო განცხადებებით.
- (iii) განმცხადებლები დაკავებულნი იქნენ 1992 წლის ივნისში მე-14 არმიის/როდ-ის ჯარისკაცების პირდაპირი მონაწილების შედეგად, სამი განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა მე-14 არმიის/როდ-ის გარნიზონის შტაბბინაში, სადაც მათ მიმართ განხორციელდა სასტიკი ხასიათის არასათანადო მოპყრობა, და მოგვიანებით არმიის წარმომადგენლებმა განმცხადებლები გადასცეს სეპარატისტების პოლიციას, უწყოდნენ რა იმ დანაშაულების შესახებ, რომელთა ჩადენაშიც განმცხადებლები იყვნენ ეჭვმიტანილნი და ასევე იცოდნენ რა იმ შედეგების შესახებ, რაც მოჰყვებოდა განმცხადებელთა გადაცემას უკანონო და არაკონსტიტუციური რეჟიმისათვის.
- (iv) 1992 წლის 21 ივლისის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ რუსეთის ფედერაცია აგრძელებდა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის დახმარების აღმოჩენას ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რეჟიმისათვის და ამით უზრუნველყოფდა რეჟიმის არსებობას.
- (v) კონვენციის რატიფიცირების შემდგომ პერიოდში რუსეთის ფედერაცია, მოლდოვის ტერიტორიაზე ჯარების განგრძობადი განთავსების მეშვეობით, რითაც არღვევდა ჯარების გაყვანის ვალდებულებას, აღებული ერთიანობაში მისი დახმარებით შექმნილ დნესტრისპირეთის უკანონო ხელისუფლებისათვის აღმოჩენილ ეკონომიკურ, ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერასთან, შესაძლებლობას აძლევდა რეჟიმს, ეარსება და განეხორციელებინა უფლებამოსილება და კონტროლი ტერიტორიის შიგნით.

## 2. მოლდოვა

11. დასაწყისში მე აღვნიშნავდი, რომ ცოტა ხნის წინ სასამართლოს მიერ განხილული საქმისაგან *Assanidze v. Georgia* ([GC] no. 71503/01, ECHR 2004-II) განსხვავებით, წინამდებარე საქმე არ არის ისეთი ხასიათის, როდესაც მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები უბრალოდ „[ანყებებიან] სიძნელებს კონვენციით გარანტირებული უფლებების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ყველა ნაწილში“ (იხ. *Assanidze*-ს საქმე, პუნქტი 146). როგორც ეს აღინიშნა წინამდებარე განაჩენში (იხ. წინამდებარე განაჩენის 330-ე პუნქტი), მიღებული საფუძველია, რომ 1991 წლის კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე მოლდოვას არ ჰქონდა და არც ამჟამად აქვს საშუალება, განახორციელოს უფლებამოსილება ან კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის ოკუპაციის გამო უკანონო რეჟიმის მიერ. უფრო მეტიც, სასამართლოს უმრავლესობამ აღიარა განაჩენში, რომ 1991 წლიდან 1997 წლის სექტემბერში მოლდოვის მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე მოლდოვას არა მხოლოდ არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა განმცხადებლების მიერ გასაჩივრებულ კონვენციის დარღვევებთან მიმართებაში, არამედ არანაირი კრიტიკის გამოთქმა არ შეიძლება მოლდოვის მიერ განხორციელებულ მცდელობებთან მიმართებაში, რომლებიც უკავშირდებოდა კონტროლის აღდგენას ტერიტორიის შიგნით ან განმცხადებელთა უფლებების დაცვას. ეს, ჩემი აზრით, აშკარად მართებულია.

შულის და ბრძოლების პერიოდში მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოები დამარცხდნენ, რადგან მონინალმდევე უფრო მრავალრიცხოვანი იყო და შეიარაღება და საბრძოლო ძალაც მეტი ჰქონდა, შესაბამისად, მოლდოვამ ვერ შეძლო აღედგინა კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, როგორც ეს განაჩენში იქნა აღნიშნული, ბრძოლების დაწყებიდანვე მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა არა მხოლოდ უარყვეს სეპარატისტების მიერ ცალმხრივად გაცხადებული დამოუკიდებლობა, არამედ ასევე საჯაროდ განაცხადეს პრეტენზია მოლდოვის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის გამო და მოითხოვეს საერთაშორისო მხარდაჭერა. თვით მას შემდეგაც კი, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტები შეწყდა, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნდათ პრაქტიკული შესაძლებლობა, აღედგინათ კონსტიტუციური წყობა ტერიტორიის შიგნით. მოლდოვის ხელისუფლება აწყდებოდა რეჟიმს, რომელსაც სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ზურგს უმაგრებდა რუსეთის ფედერაცია. მე არ შემიძლია დავინახო რაიმე სახის დუმილით გამოხატული თანხმობა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ტეროტორიაზე არსებულ უკანონო ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებაში; საპირისპიროდ, როგორც ამას მტკიცებულებები წარმოაჩენს და განაჩენი აღნიშნავს, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები აგრძელებდნენ სეპარატისტული რეჟიმის დაგმობას და თავიანთი სუვერენიტეტის გაცხადებას ტერიტორიაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, 1994 წელს მოლდოვამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა, *inter alia*, დნესტრისპირეთისათვის გარკვეული ავტონომიის მინიჭებას; იმავე წელს მოლდოვამ ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციასთან შეთანხმებას მოლდოვის ტერიტორიიდან რუსეთის

ჯარების სამი წლის განმავლობაში სრულად გაყვანასთან დაკავშირებით.

12. რაც შეეხება ინდივიდუალური განმცხადებლების მდგომარეობას, მათი დაკავება, პატიმრობა და მათ მიმართ ციხეში განხორციელებული მოპყრობა არა მარტო არ შეერაცხება მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს, არამედ, როგორც ეს განაჩენშია ხაზგასმული, არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა საიდუმლო მოლაპარაკებებს ან დუმილით გამოხატულ თანხმობას მოლდოვის მხრიდან კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებასთან მიმართებაში, რასაც უკავშირდებოდა საჩივარი. პირიქით, მტკიცებულებები წარმოაჩენს, რომ სახელმწიფოს აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებმა გადადგეს მრავალი ნაბიჯი, რათა ხაზი გაესვათ იმ უკანონობისათვის, რაც განხორციელდა, და უზრუნველყოს განმცხადებლების გათავისუფლება. კერძოდ, გაუქმებული იქნა განმცხადებელთა მსჯავრდება, აღიძრა სისხლის სამართალწარმოება იმ პირების წინააღმდეგ, ვინც პასუხისმგებელი იყვნენ განმცხადებელთა საქმის გამოძიებასა და მათ მიმართ მსჯავრდების გამოტანაზე, სეპარატისტების ლიდერებთან და რუსეთის ფედერაციასთან გამართული მოლაპარაკებებისას სისტემატურად იყო წამოჭრილი განმცხადებელთა გათავისუფლების საკითხი.

13. მოლდოვის მიერ გაკეთებულ დათქმაში, რომელიც თან ერთვის კონვენციის რატიფიცირების ინსტრუმენტს და დეპონირებული იქნა 1997 წლის 12 სექტემბერს, აღნიშნული იყო, რომ მოლდოვას „არ შეეძლო უზრუნველყო კონვენციის დებულებების შესრულება იმ უმოქმედობასა და მოქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელებული იქნებოდა დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ორგანოების მიერ ამავე ორგანოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმ დრომდე, სანამ რეგიონში არსებული კონფლიქტი საბოლოოდ არ გადაიჭრებოდა“. მაშინ, როდესაც სასამართლომ მის მიერვე გამოტანილ დასაშვებობის გადაწყვეტილებაში გადაწყვიტა, რომ დათქმა არ იყო ვარგისი კონვენციის 57-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, არანაირი დავა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ დათქმა წარმოადგენდა რატიფიცირების დღისათვის არსებული ფაქტობრივი სიტუაციის ზუსტ გაცხადებას.

14. 1997 წლის სექტემბრის შემდგომ პერიოდთან მიმართებაში სასამართლომ გააკრიტიკა მოლდოვა. ვინაიდან აღიარებულია, რომ მოლდოვა ვერ ახორციელებდა კონტროლს დნესტრისპირეთის ტერიტორიის შიგნით, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს ეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა კონვენციის დარღვევებთან დაკავშირებულ საჩივრებთან მიმართებაში; უმრავლესობამ დაადგინა, რომ მოლდოვის პასუხისმგებლობა ასეთი დარღვევისათვის სახეზე იყო მის მიერ პოზიტიური ვალდებულებების განუხორციელებლობისათვის, რაც გულისხმობდა საკმარისი, ეფექტური და შესაბამისი ნაბიჯების განხორციელებას განმცხადებელთა კონვენციით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფისათვის. თუმცა მოსამართლეები, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ, იყოფიან იმასთან დაკავშირებით, თუ ზუსტად რომელი დღიდან ეკისრება მოლდოვას პასუხისმგებლობა ვალდებულებების განუხორციელებლობისათვის და, შესაბამისად, როდიდან იწყება კონვენციის დადასტურებულ დარღვევისათვის მოლდოვის პასუხისმგებლობა. მოსამართლევა ერთი ნაწილი („პირველი ჯგუფი“), რომელთა შეხედულებაც ასახულია მოსამართლე კასადე-

ვალის ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებაში, თვლის, რომ მოლდოვამ არ განახორციელა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები 1997 წლის სექტემბერში კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან და, შესაბამისად, მოლდოვა პასუხისმგებელია კონვენციის დარღვევებზე ამ დღიდან, სხვა ნაწილი („მეორე ჯგუფი“), რომელთა შეხედულებებიც წარმოდგენილია თვით განაჩენში, თვლის, რომ პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა განხორციელდა 2001 წლის მაისის შემდეგ და მოლდოვის პასუხისმგებლობა არ არის სახეზე ამ თარიღამდე განხორციელებულ მოვლენებთან მიმართებაში, მათ შორის იმ მოვლენებთან მიმართებაშიც, რომლებიც ეხება ბ-ნ ილაშკუს, რომელიც გათავისუფლებული იქნა პატიმრობიდან ზუსტად 2001 წლის მაისში. აუცილებელია, რომ განვიხილოთ მოსამართლეთა ორივე ნაწილის არგუმენტები და მე პირველ რიგში განვიხილავ იმ მოსაზრებას, რომელიც გულისხმობს მოლდოვის უფრო ფართო პასუხისმგებლობას.

### (ა) პასუხისმგებლობა 1997 წლის შემდეგ

15. მოსამართლეთა პირველი ნაწილის დასკვნა, რომ მოლდოვამ დაარღვია მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, ემყარება სამ ძირითად პრინციპულ ფაქტორს:

- (ა) მოლდოვის მიერ სავარაუდო მცდელობების შემცირებას დნესტრისპირეთზე კონტროლის დამყარებასთან დაკავშირებით და ამავე მცდელობების შემცირებას დიპლომატიურ ქმედებებთან მიმართებაში;
- (ბ) ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, უშიშროებისა და სხვა სფეროებში არსებულ თანამშრომლობას მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს შორის; და
- (გ) ღონისძიებების შემცირებას მოლდოვის მიერ განმცხადებლების გათავისუფლებასთან მიმართებაში.

მართებული იქნება, რომ ჯერ განვიხილოთ თითოეული ფაქტორი, რომლებიც არც ერთობლიობაში და არც ინდივიდუალურად არ ამართლებენ სახელმწიფო პასუხისმგებლობის დადგენას მოლდოვასთან მიმართებაში.

16. რაც შეეხება პირველ ფაქტორს, რომელზეც მოხდა დაყრდნობა, მართლაც ჩანს, რომ შემცირდა მოლდოვის მიერ ისეთი სასამართლო ღონისძიებების განხორციელება, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენდა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე უფლებამოსილების დამყარება. კერძოდ, განმცხადებელთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიება (ხსენებულთან დაკავშირებით გამოძიების წარმართვის ბრძანება გასცა უზენაესმა სასამართლომ) არ ყოფილა რეალურად განხორციელებული და სისხლის სამართალწარმოება ჰლინაიას ციხის უფროსის წინააღმდეგ, რომელიც აღიძრა 2000 წლის 16 აგვისტოს, არ გაგრძელებულა. გარდა ამისა, იმავე დღეს გაუქმებულად იქნა გამოცხადებული 1993 წლის 28 დეკემბერს გამოძიების აღძვრის დადგენილება იმ პირების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ განმცხადებელთა წინააღმდეგ აღძრულ სამართალწარმოებაში.

17. მე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ხსენებული ღონისძიებების განუხორციელებლობას — ეს ღონისძიებები წლების განმავლობაში არაეფექტური

იყო და ვერ მოულო ბოლო მიმდინარე დანაშაულს ან უკანონო რეჟიმს, რომელიც არსებობდა ტერიტორიაზე; ხსენებული ღონისძიებების რეალური ეფექტი მხოლოდ სიმბოლური იყო. პირველმა ჯგუფმა სპეციალურად ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბრალდებების გადაკვალიფიცირებით იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ განმცხადებელთა საქმის გამოძიებასა და მათ მსჯავრდებაში 2000 წლის 16 აგვისტოს, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა არ განახორციელეს გამოძიება იმ საფუძველზე, რომ სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადა გასული იყო და ეჭვმიტანილი პირები უარს ამბობდნენ გამოძიებისათვის დახმარების აღმოჩენაზე გამოძიების წარმართვაში. მაშინ, როდესაც, როგორც ეს პირველი ჯგუფის მოსაზრებაშია წარმოდგენილი, შესაძლებელია ეჭვის გამოთქმა სისხლისსამართლებრივი გამოძიების წარმართვის სერიოზულობაში, რასაც ხელისუფლების ორგანოები ახორციელებდნენ 7 წლის განმავლობაში ბრალდებების გადაკვალიფიცირებამდე, სახეზე არ არის არანაირი მტკიცებულება, რომ დანაშაულის გადაკვალიფიცირების გადაწყვეტილება ან ის გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდებოდა ბრალდებათა გაუქმებას შიდა სამართლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, წარმოადგენდა ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებული არ იყო კეთილსინდისიერად და სამართლიან საფუძველზე. უფრო მეტიც, მართლმსაჯულების ორგანოების მიერ განხორციელებული მიდგომა, ჩემი აზრით, არანაირად არ მეტყველებს იმაზე, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა უარი თქვეს ყველა მცდელობაზე, რათა აღედგინათ კონტროლი არაკონტროლირებად ტერიტორიაზე.

18. როგორც ამას განაჩენი ადგენს, 1998 წელს და მას შემდეგ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მცდელობები უფრო მეტად მიმართული იყო დიპლომატიური ქმედებებისაკენ, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენდა სიტუაციის სრულად მოგვარება რეგიონში და კონსტიტუციური წყობის აღდგენა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. კერძოდ, 1998 წლის მარტში მოლდოვის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და დნესტრისპირეთის რეგიონის ხელისუფლების ორგანოებმა ხელი მოაწერეს რამდენიმე აქტს დნესტრისპირეთში კონფლიქტის მოგვარების მიზნით (იხ. წინამდებარე განაჩენის 97-ე პუნქტი); რამდენიმე შეხვედრა და მოლაპარაკება გაიმართა მოლდოვისა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს შორის იმავე მიზნით (იხ. წინამდებარე განაჩენის 103-104 და 171-ე პუნქტები); და 2002 წლიდან დღემდე მოლდოვას, რუსეთის ფედერაციასა და ეუთო-ს შორის წარმოდგენილი და განხილული იქნა მრავალი წინადადება კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 106-109 პუნქტები). მე ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს იმისათვის, რომ ეჭვი შევიტანო მოლდოვის მთავრობის არგუმენტში, რომელიც გამყარებული იქნა ბ-ნი სტურზას მიერ წარმოდგენილი ჩვენებით (იხ. დანართი, პუნქტები 309-13) და ბ-ნი სიდოროვის ჩვენებით (იხ. დანართი, პუნქტი 446), რომ სტრატეგიის ეს ცვლილება დიპლომატიურ მიდგომებთან დაკავშირებით მიზნად ისახავდა დნესტრისპირეთის ტერიტორიის დაბრუნებას მოლდოვის იურისდიქციაში და ამით განხორციელდებოდა ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა კონსტიტუციური უფლებების აღდგენა, მათ შორის განმცხადებელთა უფლებებისაც. მე არ შემიძლია მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულ მცდელობებში, რომლებიც მიზნად ისახა-



ვდა კონფლიქტის სრულ მოგვარებას, დავინახო რაიმე, რაც მიანიშნებს სეპარატისტების რეჟიმისათვის განუღმსარდაჭერაზე ან დუმილით გამოხატულ თანხმობაზე რეჟიმის მიერ ტერიტორიაზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

19. დაყრდნობა იმ არგუმენტზე, რომ ხორციელდებოდა თანამშრომლობა სეპარატისტულ ხელისუფლებასთან, ჩემი აზრით, იმავე ქრილში უნდა იქნეს განხილული. საგანგებო ყურადღება გამახვილებული პირველი ჯგუფის მოსაზრებაში ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, შეთანხმებებზე, ურთიერთობების დამყარებაზე მოლდოვის პარლამენტსა და ე.წ. „მდრ-ს პარლამენტს“ შორის, პოლიციისა და უშიშროების საკითხებში თანამშრომლობაზე, თანამშრომლობაზე სხვა სფეროებში, როგორც არის საჰაერო გზების კონტროლი, სატელეფონო კავშირები და სპორტი. მოლდოვის მთავრობამ წარმოადგინა არგუმენტი, რომ ხსენებული თანამშრომლობის ღონისძიებები მიმართული იყო იმ პირების ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, რომლებიც ცხოვრობდნენ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე, და მათთვის ცხოვრების მაქსიმალურად ნორმალური პირობების შექმნისაკენ. არანაირი დამაჯერებელი საფუძველი არ ყოფილა წარმოდგენილი ეჭვის შესატანად იმაში, რომ სწორედ ეს წარმოადგენდა ნამდვილ მიზანს — მიზანს, რომელიც პირველი ჯგუფის მოსაზრებაში ქებას იმსახურებს — და გამომდინარე მიზნის ხასიათიდან და შეზღუდული სახიდან, ღონისძიებები, ჩემი აზრით, არ შეიძლება დანახული იქნეს იმგვარად, რომ უჩინდეს რაიმე სახის დახმარებას დნესტრისპირეთის რეჟიმს. საპირისპიროდ, ხსენებული ღონისძიებები წარმოადგენს მოლდოვის მიერ იმის დამტკიცებას, რომ მას გააჩნდა სურვილი, აღედგინა კონტროლი მის სრულ ტერიტორიაზე.

20. პირველი ჯგუფი აკრიტიკებს იმ ფაქტს, რომ ტერიტორიაზე მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესებისაკენ გადადგმული ნაბიჯებით მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოამყლანეს იგივე გულმოდგინება განმცხადებელთა ბედთან მიმართებაშიც. მაშინ, როდესაც სასამართლო ამტკიცებს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის მოლდოვის მიერ ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული პოლიტიკური სტრატეგიის შესაბამისობის შეფასება, როგორც არის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, პირველმა ჯგუფმა დაადგინა, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს მაინც რჩებათ ვალდებულება, „განახორციელონ მათ ხელთ არსებული ყველა ღონისძიება, იქნება ეს პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური, სასამართლო თუ სხვა ხასიათის ღონისძიებები...“, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონვენციით გარანტირებული უფლებების განხორციელება იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც იმყოფებიან მათ იურისდიქციაში და, შესაბამისად, ყველა იმ პირთან მიმართებაში, რომლებიც იმყოფებიან მოლდოვის საზღვრებში“. თუმცა გარდა იმისა, რომ მე არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ დნესტრისპირეთის ტერიტორია უნდა ჩაითვალოს მოლდოვის „იურისდიქციაში“ კონვენციის მიზნებისათვის, ხსენებული კრიტიკა, ჩემი აზრით, არ ითვალისწინებს, რომ პოლიტიკური სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა და წარმოადგენს კონსტიტუციური მართლწესრიგის აღდგენა სეპარატისტთა ტერიტორიაზე, რაც კვლავაც რჩება უმნიშვნელოვანეს წინაპირობად ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის, მათ შორის განმცხადებლებისთვისაც, კონვენციით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფისათვის.

21. 1997 წლის შემდეგ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ განმცხადებლების კონვენციით გარანტირებული უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული მცდელობების სავარაუდო შეუსრულებლობა წარმოადგენს მესამე უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელსაც მოსამართლეთა ხსენებული ჯგუფი ეყრდნობა. გამოთქმულია პრეტენზია, რომ რატიფიცირების დღის შემდეგ განმცხადებლების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მცდელობები „არ იქნა განხორციელებული მყარად, მტკიცედ და მიზანსწრაფულად, რაც მოითხოვებოდა იმ სერიოზული სიტუაციიდან გამომდინარე, რომელშიც განმცხადებლები იყვნენ“. როგორც აღნიშნულია, ხსენებული დღის შემდეგ მოლდოვის მიერ განხორციელებული ღონისძიებები განმცხადებლების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით შემოიფარგლებოდა მხოლოდ დნესტრისპირეთში ექიმების გაგზავნით, რათა გაესინჯათ განმცხადებლები, განმცხადებელთა ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენით და ბ-ნი სტურზას საშუალებით განმცხადებელთა გათავისუფლების მცდელობით.

22. ჩემთვის ძნელია ხსენებული კრიტიკის გაგება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი ეხება 1997 წლის შემდგომ პერიოდს 2001 წლამდე. ბ-ნმა მოშანუმ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ განმცხადებელთა საკითხი წამოწეული იყო ეუთო-ს შეხვედრებზე, უცხო სახელმწიფოებთან გამართულ შეხვედრებზე და პარლამენტთაშორისი გაერთიანების შეხვედრებზე (იხ. დანართი, პუნქტი 249). ყოფილი იუსტიციის მინისტრისა და დნესტრისპირეთთან მოლაპარაკების კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნი სტურზას ჩვენებაში, რომელიც არ გამხდარა კამათის საგანი, ნათქვამი იყო, რომ 1997 წლის შემდეგ იგი აგრძელებდა განმცხადებელთა საკითხის წამოწევას სეპარატისტული ხელისუფლების წინაშე. სწორედ ხსენებული მოლაპარაკებების შემდეგ გაემგზავრა ბ-ნი სტურზა დნესტრისპირეთში 2001 წლის აპრილში, რათა კიშინიოვში ჩამოეყვანა ოთხივე განმცხადებელი. ბ-ნი სტურზა დარწმუნებული იყო, რომ მათ გაათავისუფლებდნენ (იხ. დანართი, პუნქტი 312) და, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, სწორედ ამ მოლაპარაკებების შედეგი იყო, რომ ბ-ნი ილაშკუ გათავისუფლებული იქნა მომდევნო თვეში. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები კვლავაც იმედოვნებდნენ დარჩენილი განმცხადებლების გათავისუფლებას, მოსამართლეთა პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, მე ვერ ვხედავ ვერაფერ გასაკვირს, რომ ბ-ნი შეეცოვს ნება დართეს, შესულიყო მოლდოვაში და ჩაეყვანა ბ-ნი ილაშკუ „რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე იმ ქმედებებისათვის, რომლებიც მან განახორციელა რეჟიმის სამსახურში“.

23. შესაბამისად, მე შემიძლია დავეთანხმო მოსამართლეთა მეორე ჯგუფის – რომლებიც წარმოადგენენ უმრავლესობას – მოსაზრებას, რომ მოლდოვის პასუხისმგებლობა არ იყო სახეზე კონვენციის იმ დარღვევებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდა 2001 წლამდე. პასუხი გასაცემი რჩება კითხვაზე, სახეზე იყო თუ არა ასეთი პასუხისმგებლობა ხსენებული დღის შემდეგ.

### **(ბ) პასუხისმგებლობა 2001 წლის მაისის შემდეგ**

24. მეორე ჯგუფის დასკვნა, რომ მოლდოვის პასუხისმგებლობა სახეზე იყო 2001 წლის მაისის შემდეგ, არ ემყარება მოლდოვის მიერ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებისაკენ მიმართული სასამართ-

ლო ღონისძიებების შემცირებას ხსენებული დღის შემდეგ; საპირისპიროდ მოსამართლეთა მეორე ჯგუფის მოსაზრებისა, მოლდოვის მხრიდან მცდელობების შემცირება არ უნდა იქნეს აღქმული მოლდოვის მხრიდან რეგიონში იურისდიქციის აღდგენის მცდელობების შემცირებად, იმ რამდენიმე მცდელობის გათვალისწინებით, რომლებიც მოლდოვამ განახორციელა, მაგრამ დაბლოკილი იქნა „მდრ“-ს წინააღმდეგობის შედეგად 2001 და 2002 წლებში (იხ. წინამდებარე განაჩენის 344-ე პუნქტი). ამის ნაცვლად მეორე ჯგუფის დასაბუთება ძირითადად ემყარებოდა მტკიცებულებების არარსებობას, რომ რადგან განხორციელებული იქნა ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლებასთან დაკავშირებული ეფექტური ღონისძიებები მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ, რათა ბოლო მოღებოდა მის მიმართ კონვენციით გარანტირებული უფლებების განგრძობად დარღვევას, ანალოგიური მცდელობები არ განხორციელებულა სხვა განმცხადებლებთან მიმართებაში. მოსაზრებაში ნათქვამია, რომ ბ-ნი სტურზას მტკიცებულების გარდა იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლების სიტუაციის საკითხს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები მუდმივად წამოჭრიდნენ ხოლმე „მდრ“-ს რეჟიმთან გამართული კონსულტაციებისას, „სასამართლოს არ გააჩნია სხვა არანაირი ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია დაასაბუთოს ის დასკვნა, რომ მოლდოვის მთავრობა კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს განმცხადებლებთან მიმართებაში (იხ. განაჩენის 348-ე პუნქტი).

25. სიმართლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2001 წლის მაისის შემდეგ მოლაპარაკებები დნესტრისპირეთისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან ძირითადად უფრო კონფლიქტის სრულ მოგვარებას ეხებოდა, ვიდრე პატიმრობაში მყოფი სამი განმცხადებლის კონკრეტულ სიტუაციას. უფრო მეტიც, ბ-ნი სტურზას მტკიცებულების თანახმად, ხსენებული დღის შემდეგ ბ-ნმა სმირნოვმა უარი განაცხადა შემდგომ შეხვედრებზე, რათა განეხილა პატიმრობაში მყოფი განმცხადებლების საკითხი (იხ. დანართი, პუნქტი 313). თუმცა იმავე მოწმის მტკიცებულების თანახმად, რომელიც არ გამხდარა კამათის საგანი, მოლაპარაკებები მოიცავდა არა მარტო ისეთ საკითხს, როგორც არის ის, თუ რა უნდა განხორციელებულიყო იმ განაჩენებთან მიმართებაში, რომლებიც შეფარდებული იყო დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ გასული 10 წლის განმავლობაში, არამედ იმასაც, როგორც ეს განაჩენშია აღწერილი, რომ ტირასპოლის ხელისუფლებაში დნესტრისპირეთის საითხებზე მის კოლეგასთან გამართული მოლაპარაკებისას ბ-ნი სტურზა აგრძელებდა სამი განმცხადებლის გათავისუფლების საკითხის წამოჭრას (იხ. დანართი, პუნქტი 309).

26. აღიარებული იქნა რა, რომ ხსენებული მცდელობები მართლაც განხორციელდა, დაყრდნობა განაჩენში მოხდა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელთა სიტუაციასთან დაკავშირებით საკითხი წამოიჭრა მხოლოდ სიტყვიერად და სასამართლოსათვის არ იყო ცნობილი რაიმე ისეთი გეგმა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე ზეგავლენას მოახდენდა განმცხადებლების სიტუაციაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 348-ე პუნქტი). ასევე აღნიშნულია, რომ სასამართლოს წინაშე არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება მოლდოვის ხელისუფლების მხრიდან რუსეთის ფედერაციისადმი განხორციელებულ მიდგომასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად დაისახავდა დარჩენილი განმცხადებლების გათავისუფლებას

(იხ. წინამდებარე განაჩენის 349-ე პუნქტი). მაშინ, როდესაც ორივე ხსენებული საკითხი ჭეშმარიტებას წარმოადგენს, მე ვერანაირად ვერ ვარ დარწმუნებული, რომ ხსენებული წერილობითი მასალების უქონლობა ამყარებს უმრავლესობის დასკვნას, რომ მოლდოვამ არ განახორციელა საკმარისი, ეფექტური და შესაბამისი ღონისძიებები, რათა განმცხადებლებისათვის უზრუნველყო კონვენციით გარანტირებული უფლებები. კიდევ უფრო ნაკლებად შემძლია მივიღო ის, რომ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულება მინიშნებს მოლდოვის მთავრობის მიერ დუმილით გამოხატულ თანხმობაზე დანარჩენი სამი განმცხადებლის განგრძობად პატიმრობასთან მიმართებაში.

27. ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე მე დავასკვნენი, რომ განმცხადებლები საქმეში მოცემულ არც ერთ მომენტში არ ხვდებოდნენ მოლდოვის „იურისდიქციაში“ კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის, რომ მოლდოვას არ დაურღვევია განმცხადებლებთან მიმართებაში იმავე მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულებები და, შესაბამისად, სახეზე არ არის მოლდოვის პასუხისმგებლობა კონვენციის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, როგორც ამას განმცხადებლები ამტკიცებენ, არც 2001 წლის წინმსწრებ და არც შემდგომ პერიოდში.

28. ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ მე არა მხოლოდ ხმა არ მივეცი იმ გადაწყვეტილების სასარგებლოდ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას მოლდოვის მხრიდან, არამედ ასევე ხმა არ მივეცი იმ დასკვნას, რომ მოლდოვა ვალდებულია, გადაუხადოს განმცხადებლებს სამართლიანი დაკმაყოფილება. მე დავეთანხმე უმრავლესობას ყველა სხვა საკითხში განაჩენის სამოტივაციო ნაწილთან დაკავშირებით (მათ შორის იმ ნაწილშიც, რომ მოლდოვამ არ განახორციელა მასზე 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება), გარდა იმ ნაწილისა, რომელიც გულისხმობს კომპენსაციის მიკუთვნებას 21 (გ) პუნქტში მორალური ზიანისათვის რუსეთის ფედერაციის მიერ 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ჩემი აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვალდებულების ასეთი შეუსრულებლობა წარმოადგენს „კონვენციის დარღვევას“ კონვენციის 41-ე მუხლის მიზნისათვის, რათა ნებადართული იქნეს სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება, რასაც მე საეჭვოდ ვთვლი, მე არ მიმაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში უნდა მომხდარიყო სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება 34-ე მუხლის დარღვევისათვის.

### მოსამართლე ლუკადესის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

პირველ რიგში მე მსურს გავიმეორო ის მოსაზრება, რომელიც გამოვთქვი საქმეში *Assanidze v. Georgia* ([GC] no. 71503/01, ECHR 2004-II) კონვენციის პირველ მუხლში ხსენებულ ცნება „იურისდიქციასთან“ დაკავშირებით და რომელიც განხილული იქნა წინამდებარე განაჩენის 310-314 და 319-ე პუნქტებში.

*„ჩემი აზრით, „იურისდიქცია“ ნიშნავს ხელისუფლებას, ანუ სახელმწიფოს ნება-სურვილის დაკისრებასა და მოხვევას ნებისმიერ პირზე მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე თუ ტერიტორიის გარეთ. ამიტომ*

მაღალი ხელშემკვრელი მხარე კონვენციის თანახმად პასუხისმგებელია ნებისმიერი პირის წინაშე, რომლის მიმართაც პირდაპირ ხორციელდება ქმედება ასეთი ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლების მიერ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ხელისუფლების ასეთი განხორციელება შესაძლებელია რამდენიმე ფორმით და შეიძლება იყოს კანონიერიც და უკანონოც. ჩვეულებრივი ფორმა მდგომარეობს სამთავრობო ხელისუფლებაში მაღალი მხარის ტერიტორიაზე. მაგრამ იგი შესაძლოა გავრცელდეს იმ ხელისუფლებაზე, რომელიც გულისხმობს სხვა ტერიტორიაზე სრული კონტროლის ფორმას, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია იგი კანონიერ თუ უკანონო ფორმას ატარებდეს (საქმეზე *Loizidou v. Turkey* (პირველადი პრეტენზია) გამოტანილი განაჩენი, 1995 წლის 23 მარტი, სერია A №. 310), აშკარად ოკუპირებული ტერიტორიები (*Cyprus v. Turkey* [GC], # 25781/94, ECHR-2001-IV). იგი ასევე შესაძლოა გავრცელდეს ხელისუფლებაზე, რომელიც შეიძლება გამოხატული იქნეს დომინანტურობის ან სხვა სახელმწიფოს მთავრობისათვის პოლიტიკური, ფინანსური, სამხედრო თუ სხვა არსებითი მხარდაჭერის გზით მასზე ეფექტური ზეგავლენით. და, ჩემი აზრით, მას შესაძლოა გააჩნდეს ფორმა სხვა სახელმწიფოს ნებისმიერი სახის სამხედრო თუ სხვა ქმედების სახით შესაბამისი მაღალი მხარის ნაწილში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში (იხ. საპირისპიროდ საქმე *Bankovic and Others v. Belgium and Others* (dec.) [GC], no. 52207/99, ECHR 2001-XII, რომელიც ზემოთ არის ნახსენები).

განხილვა ყოველთვის უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ პირმა, რომელიც აცხადებს, რომ იმყოფება იმ სახელმწიფოს „იურისდიქციაში“, რომელიც არის კონვენციის მაღალი ხელშემკვრელი მხარე, და ჩივის, რომ დაერღვა უფლებები ცალკეული ქმედების შედეგად, შეძლოს წარმოაჩინოს, რომ შესაბამისი ქმედება წარმოადგენდა შესაბამისი სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელების შედეგს. ნებისმიერი სხვა განმარტება, რომელიც გამოიხატავს მაღალი ხელშემკვრელი მხარის პასუხისმგებლობას იმ ქმედებებისათვის, რომლებიც წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების შედეგს, მიგვიყვანდა იმ აბსურდულ მოსაზრებამდე, რომ კონვენცია აწესებს ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულებას მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც იმყოფება ასეთი მხარის კანონიერი თუ უკანონო კონტროლის ქვეშ და აღნიშნული კონტექსტის გარეთ, ყურადღება რომ არ მივაქციოთ გამო-ნაკლის გარემოებებს (რომელთა არსებობა გადაწყვეტილი იქნება თითოეულ საქმეში), შესაბამის მხარე-სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს დაუსჯელად ქმედებათა იმ სტანდარტების დარღვევით, რომლებიც დადგენილია კონვენციაში. მე მჯერა, რომ კონვენციის დებულებათა გონივრულმა განმარტებამ მისი ობიექტის ძირითადი უნდა მიგვიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ კონვენცია უზრუნველყოფს ქცევის კოდექსს ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარისათვის, ყოველთვის, როდესაც ისინი ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას და აღნიშნულს გარკვეული შედეგები მოაქვს ინდივიდუალური პირებისათვის“.

მე მსურს განვაგრძო ჩემი ზემოხსენებული მიდგომა და დავამატო, რომ

სახელმწიფო ასევე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს კონვენციის შესაბამისი პოზიტიური ვალდებულებების განუხორციელებლობის გამო ნებისმიერ იმ პირთან მიმართებაში, რომელიც იყო მისი პირდაპირი უფლებამოსილების ქვეშ, ან თუ სახელმწიფოს შეეძლო უფლებამოსილება განეხორციელებინა ირიბად იმ ტერიტორიაზე, რომელზეც პირი იმყოფება.

ზემოხსენებულისა და საქმის არსებული ფაქტების და განაჩენში აღწერილი გარემოებების ჩრილში მე ვეთანხმები უმრავლესობას, რომ განმცხადებლები ხვდებიან რუსეთის ფედერაციის „იურისდიქციაში“ კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის და რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა სახეზეა გასაჩივრებულ ქმედებებთან მიმართებაში. როგორც ეს მართებულად იქნა აღნიშნული განაჩენში, დამტკიცებული იქნა, რომ „მდრ“-ს, რომელიც შეიქმნა 1991-1992 წლებში რუსეთის ფედერაციის დახმარებით, გააჩნია საკუთარი სახელისუფლებო და ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც, თავის მხრივ, იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლის ან, სულ მცირე, არსებითი ზეგავლენის ქვეშ და ნებისმიერ შემთხვევაში იგი არსებობას განაგრძობს რუსეთის ფედერაციის სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით“ (წინამდებარე განაჩენის 392-ე პუნქტი).

მაგრამ მე არ ვეთანხმები უმრავლესობას იმაში, რომ განმცხადებლები ხვდებიან მოლდოვის „იურისდიქციაში“ და მოლდოვა პასუხისმგებელია იმ პოზიტიური ვალდებულებების განუხორციელებლობაზე, რომლებიც გულისხმობს ეფექტური და შესაბამისი ღონისძიებების წარმართვას განმცხადებელთა კონვენციით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. არაფერი არ მიანიშნებს იმაზე, რომ მოლდოვას გააჩნდა რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა ტერიტორიაზე, სადაც განმცხადებლები იმყოფებოდნენ პატიმრობაში.

არც ერთი ფაქტორი, რომელიც გამოთქმული იქნა უმრავლესობის მიერ მიღებულ დასკვნაში, რომ მოლდოვას გააჩნდა იურისდიქცია განმცხადებლებზე, ჩემი აზრით, არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც მიმანიშნებელი იმაზე, რომ ხდებოდა იურისდიქციის განხორციელება ან მისი განხორციელებისაგან თავის შეკავება განმცხადებლებთან მიმართებაში. ხსენებულთან დაკავშირებით მე ასევე ვუერთდები სერ ნიკოლას ბრატცას მიერ ნაწილობრივ განსხვავებული აზრის მე-15-26-ე პუნქტებში გამოთქმულ მოსაზრებას.

ნებისმიერ შემთხვევაში იმის დადგენა, რომ არსებობს „იურისდიქცია“ გარკვეულ პირებზე კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე მხოლოდ იმიტომ, რომ შესაბამისმა სახელმწიფომ ვერ განახორციელა მართლმსაჯულებრივი, პოლიტიკური, დიპლომატიური და ეკონომიკური ან სხვა სახის ღონისძიებები, როგორც ამას უმრავლესობა აღნიშნავს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყო განმცხადებლების კონვენციით გარანტირებული უფლებები იმ პირობებში, როდესაც მთავრობა ვერ ახორციელებდა შესაბამის პირებზე უფლებამოსილებას, განელავდა და გაზრდიდა „იურისდიქციის“ ცნებას არარეალურ და აბსურდულ დონემდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემი აზრით, არასწორი იქნებოდა, რომ კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ მხარეს გააჩნდეს „იურისდიქცია“ ნებისმიერ პირზე, რომელიც იმყოფება მისი უფლებამოსილების გარეთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ ახორციელებს პოლიტიკურ ან სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მოხსენიებულია ზოგადი ტერმინებით უმრავლესობის მიერ. ამგვარი მიდგომა, ჩემი აზრით,

მიგვიყვანდა არალოგიკურ დასკვნამდე, რომ კონვენციის ყველა ხელშემკვრელ მხარეს ექნებოდა იურისდიქცია და დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა იმ პირთა უფლებების დარღვევისათვის, რომლებიც იმყოფებიან მაღალი ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერ ტერიტორიაზე, მათ შორის მათ ტერიტორიაზეც, რომელიც არ იმყოფება სახელმწიფოს უფლებამოსილების ქვეშ (ან *de facto*, ან *de jure*, ანდა ორივე, გააჩნია ტერიტორიას), მხოლოდ იმიტომ, რომ არ ცდილობენ ღონისძიებების გატარებას კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვისათვის, იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც რეალურად ახორციელებს ასეთ უფლებამოსილებას შესაბამის პირებზე. მე მჯერა, რომ ხელშემკვრულების განმარტებას არ უნდა მივყავდეთ ისეთ მნიშვნელობამდე, რომელსაც მივყავართ ცალსახად აბსურდულ შედეგებამდე.

*Banković and Others*-ის გადაწყვეტილებაში (რომელსაც მე პირადად არ ვეთანხმები) სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ბელგრადში შენობების დაბომბვა, რამაც გამოიწვია 16 მოქალაქის დაღუპვა, წარმოადგენდა ექსტრატერიტორიულ აქტს, რომელიც არ ხვდება კონვენციის ხელშემკვრელი იმ სახელმწიფოების „იურისდიქციაში“, რომლებმაც განახორციელეს დაბომბვა, და ხსენებული გამო დაღუპულთა ნათესავების საჩივარი არ იქნა მიღებული და გამოცხადდა არსებით განხილვაზე დაუშვებლად. ჩემთვის ძალიან გაუგებარი და უცნაურია, რომ მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ დაეკისროს კონვენციის თანახმად იმ საფუძველზე, რომ ბომბების ჩამოყრა მისი თვითმფრინავებიდან დასახლებულ ადგილზე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში არ მოიაზრებს ასეთი დაბომბვის მსხვერპლთ ამ სახელმწიფოს „იურისდიქციაში“ (ანუ უფლებამოსილების ქვეშ), მაშინ, როდესაც ასეთი მხარის მიერ განუხორციელებლობა „მის ხელთ არსებული ყველა ღონისძიებისა, იქნება ეს პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური, სასამართლო თუ სხვა ხასიათის... ღონისძიებები, რათა დაეცვა კონვენციით გარანტირებული უფლებები მათთვის, ვინც ფორმალურად [*de jure*] მის იურისდიქციაშია“, მაგრამ რეალურად მისი ეფექტური უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ იმყოფება, ახვედრებს ამ პირებს აღნიშნული სახელმწიფოს იურისდიქციაში და აკისრებს სახელმწიფოს მათ მიმართ პოზიტიური ვალდებულებების განხორციელებას.

ნებისმიერ შემთხვევაში მე მჯერა, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა ფაქტობრივად ყველაფერი გააკეთეს, რაც გონივრულ ფარგლებში მოითხოვებოდა მათგან საქმის კონკრეტულ გარემოებებში. არარეალური და უსამართლო იქნებოდა, რომ დაგვეკისრებინა მოლდოვისათვის პასუხისმგებლობა ნებისმიერ იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც გასაჩივრებული იყო განმცხადებლების მიერ.

## მოსამართლე კოლეჯის განსხვავებული აზრი

(თარგმანი)

„საზღვარი მართლმსაჯულებასა და პოლიტიკას შორის ის აღარ არის, რაც იყო. აღარც კანონიერების საწყისები, რომლებიც ნაკლებ ნორმატიულია და სულ უფრო მრავლობითი და მზარდად გაბნეული ხდება“ (A. Lajoie, *Jugements de valeurs*, Paris, PUF, 1997, გვ. 207).

ვწუხვარ, რომ არ მოეხვედი უმრავლესობაში და თუმცა პატივს ვცემ ჩემი კოლეგების მოსაზრებებს, საჯაროდ მინდა განვაცხადო, კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ჩემი ღრმა უთანხმოება წინამდებარე საქმეში დიდი პალატის განაჩენთან.

ჩემი უთანხმოება ეხება ანალიზის მეთოდოლოგიას, ფაქტების წარმოდგენის მანერას, „იურისდიქციისა“ და „პასუხისმგებლობის“ ცნებათა ანალიზს და ბოლოს იმ დასკვნას, რომელიც მიღებული იქნა სასამართლოს მიერ. შესაბამისად, ვალდებულად ვთვლი თავს, გარკვეული დრო დავუთმო თითოეულ ამ ასპექტს.

## I. ანალიზის მეთოდოლოგია

წინამდებარე საქმე ისეთი სიტუაციის მაგალითია, რომელშიც „ადა-მიანის უფლებები წარმოადგენს პოლიტიკას“ (M. Gauchet, *La démocratie contre elle-même*, Paris, 2002, გვ. 326). საქმის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, რომელშიც განმცხადებელთა სიტუაცია განუყოფელია ძალზე რთული გეოპოლიტიკური კონტექსტისაგან, სასამართლოს წინაშე წარმოდგება ახალი ტერიტორია, გამომდინარე შესაბამისი მწირი პრეცედენტული სამართლიდან. სასამართლოს განაჩენი წინამდებარე საქმეში შესაძლოა ქმნიდეს ახალ პრეცედენტს ანალოგიური სიტუაციებისათვის ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების კონფლიქტის სხვა ზონებში, მათ შორის იმ სახელმწიფოებშიც, რომლებიც ევროპის საბჭოში ახლახანს შევიდნენ. იმ კონფლიქტის ისტორიული საწყისები, რომელშიც რეგიონის ქვეყნები იქნენ ჩათრეულნი და „ფრაგმენტირებადი იმპერიის“ ეფექტი ის ნიშნებია, რომლებიც ასე ახასიათებს და შეიმჩნევა არც ისე შორ ბალკანეთსა და კავკასიაში.

თუმცა სასამართლომ (ჩემი აზრით, შეცდომით) ამჯობინა, დაენახა სიტუაცია კვიპროსის ტიპის კონფლიქტის ჩრდილში და აღნიშნული სიტუაციის შესაბამისი პრეცედენტული სამართლის ჩრდილში მოხვედრილიყო ისეთ ხაფანგში, რომელსაც ეს პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს. ჩემი აზრით, ეს იყო მეთოდოლოგიური შეცდომა. ზედაპირულ მსგავსებას წინამდებარე საქმესა და *Loizidou*-ს საქმეს შორის შეცდომაში შეყვანა შეუძლია. ერთადერთი, რაც საერთოა (და რასაც მე დავუბრუნებდი), არის კონფლიქტის სათავე, სახელდობრ, ქვეყანაზე მიბმული საზოგადოების, რომელიც განსხვავდება ქვეყნისაგან თავისი ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული კავშირით, გამოყოფის შანსი. ხსენებულიდან გამომდინარე, კონფლიქტის მონაწილეთა რეაქციამ და საპირისპირო რეაქციამ ჰპოვა დანაშაულებრივი ფორმები და ადამიანთა ტრაგედიათა მიგვიყვანა.

თუმცა თვით *Loizidou*-სთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალშიც არსებობს ბევრი გაკვეთილი, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რათა დავგეხმაროს ნაჩქარევი და მარტივი გადაწყვეტილებების თავიდან აცილებაში. *Loizidou*-ს საქმეზე თავის განსხვავებულ მოსაზრებაში მოსამართლე ბერნჰარდტი, რომელსაც დაეთანხმა მოსამართლე ლოპეს როჩა, აღნიშნავს: „წინამდებარე საქმეში ... დაუშვებელია ინდივიდის სიტუაციის განცალკევება კომპლექსური ისტორიული განვითარებისაგან და არანაკლებ კომპლექსური დღევანდელი სიტუაციისაგან“. (*Loizidou v. Turkey* (არსებითი განხილვა), 1996



ნლის 18 დეკემბრის განაჩენი, მოხსენებები და გადაწყვეტილებები, 1996-VI, გვ. 2242). კვიპროსის გამთლიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკების წარუმატებლობის აღნიშვნით, რამაც გამოიწვია განმცხადებლის სიტუაცია, რათა განეგრძო, მან დასვა კითხვა: „ვინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევისათვის? მხოლოდ ერთი მხარე? შესაძლებელია თუ არა ნათელი პასუხის გაცემა და დასკვნის გამოტანა ამ და სხვა კითხვებზე?“ (იქვე).

მეორე განსხვავებულ მოსაზრებაში იმავე საქმეზე მოსამართლე პეტიტი აცხადებს: „ის პასუხისმგებლობა, რაც ალებული იქნა 1974 წლის გადატრიალების დროს, ან რომელიც წარმოიშვა თურქეთის ჯარების შესვლით იმავე წელს, რა დროსაც საერთაშორისო თანამეგობრობა ორჭოფობდა თავის მცდელობებში, გადაეჭრა კვიპროსთან დაკავშირებული საერთაშორისო პრობლემა 1974 წლის შემდეგ ..., ხსენებული პასუხისმგებლობები იყო რა სხვადასხვა წარმომავლობისა და ხასიათის, ორი საზოგადოების (რომლებიც არიან ეროვნული უმცირესობები, როგორც ეს ტერმინი აღიქმება საერთაშორისო სამართალში) პრობლემა უფრო მეტად წარმოადგენს პოლიტიკისა და დიპლომატიის საკითხს, ვიდრე ევროპული სასამართლოს სამოქმედო საგანს, დაფუძნებული ქ-ნი ლიონიდუს საქმესა და 1-ლი ოქმით გათვალისწინებული უფლების დარღვევაზე (იხ. *Loizidou*-ს ზემოხსენებული საქმე, გვ. 2253-54). ხსენებული სიტყვებით გამოთქმული გაფრთხილება და ამ სიტყვებში ჩადებული სიბრძნე სრულად არის გამართლებული.

სამწუხაროდ, წინამდებარე საქმეში სასამართლომ გარისკა, ოთხი განმცხადებლის ცალკე ალებული სიტუაციის საფუძველზე (რადგან, კვიპროსის სიტუაციისაგან განსხვავებით, სხვა ანალოგიური შემთხვევების წარმოჩინების არანაირი სისტემა არ გამოჟღავნებულა) განეხილა კავშირი სხვადასხვა: სამხედრო (განაჩენი შეიცავს ანალიზს დნესტრისპირეთის კონფლიქტის სამხედრო მხარეებთან დაკავშირებით და ასევე მოიცავს იარაღის სანყობების კალკულაციას, რომელიც შტაბბინის პერსონალზე უკეთესად არის წარმოებულნი), ეკონომიკურ (ურთიერთობის შეფასება პარტნიორებს შორის, რომლებიც მოქმედებდნენ ათწლეულობის განმავლობაში იმავე ეკონომიკურ ზონაში), პოლიტიკურ (ძნელია ციტატების მოყვანა პოლიტიკური ლიდერებისა და სამხედრო პერსონალის „დაუთარილებელი“ განცხადებებიდან) პრობლემას შორის. როგორც ჩანს, სასამართლოს წარედგინა უზარმაზარი რაოდენობის ურთიერთსაპირისპირო ინფორმაცია განმცხადებლების, სამი სახელმწიფოს (რომლებიც ჩართულნი იყვნენ სამართალწარმოებაში), ადგილზე მივლენილი საგამოძიებო მისიის მიერ და, შესაბამისად, ხსენებულის საფუძველზე სასამართლომ განახორციელა უზარმაზარი და სარწმუნო არჩევა ხსენებული მტკიცებულებებიდან. მაგრამ მკაცრად სამართლებრივი საკითხები (მაგალითად, რა სამართლებრივი კლასიფიკაცია მიენიჭებინა ხალხების თვითგამორკვევის უფლებისათვის, შესაბამის საზღვრებში, ან განმცხადებლის წინააღმდეგ არსებულ დარღვევებზე მის დაპატიმრებამდე) პასუხგაუცემელი დარჩა. ჩემი აზრით, ხსენებული წარმოადგენდა მეორე მეთოდოლოგიურ შეცდომას, რომელმაც სხვა შეცდომებამდე მიგვიყვანა.

## II. ფაქტების წარმოდგენა

ისეთ რთულ და „დელიკატურ“ საქმეში, როგორც წინამდებარე საქმეა, საქმის გარემოებების დეტალური და ობიექტური წარმოდგენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან იგი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იქნეს საქმე განხილული, მასთან დაკავშირებული პოზიტიური კუთხით. ჩემი აზრით, საქმის ზოგადი კონტექსტი წარმოდგენილია შეჯამებულად იმ სახით, რაც მნიშვნელოვნად ამახინჯებს ფაქტებს. ეს არის განმცხადებლების მიერ თავსმოხვეული მოსაზრება, გასაგებია, რისკენ მიმართულიც, და სწორედ ეს მოსაზრება დომინირებს. მე შემიძლია მხოლოდ გამოვყო რამდენიმე ფაქტი და ის მეთოდი, რომლითაც ისინი იქნა განმარტებული და მიყვავართ სამართლიანი პოზიციის ცრუ წარმოდგენამდე.

საქმის ზოგადი კონტექსტის უმთავრეს სიძნელეს წარმოადგენს მოლდოვა-დნესტრისპირეთის კონფლიქტის სათავეს განსაზღვრა. მართლაც და რთულ და საჭოჭმანო საქმეებში, როგორც არის *Gozelik and Others v. Poland* ([GC], no. 44158/98, ECHR 2004-I) და *Assanidze v. Georgia* ([GC], no. 71503/01, ECHR 2004-II), დიდმა პალატამ განიხილა მე-14 საუკუნის მოვლენები იმისათვის, რომ მოეხდინა სიღეზის პრობლემის ანალიზი (*Gozelik*, პუნქტი 13), და განიხილა თვით მე-11 საუკუნის მოვლენებიც კი, რათა ნათელი მოეფინა აჭარის სტატუსზე საქართველოს შემადგენლობაში (*Assanidze*, პუნქტები 100-07). წინამდებარე საქმეში ის, რაც არ თქმულა, უფრო ღირებულია, ვიდრე ის, რაც ითქვა: რუმინეთისაგან ბესარაბიის ნაწილის უეცარი ჩამოჭრა 1940 წლის 28 ივნისს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შედეგად და უკრაინისაგან „დნესტრის მარცხენა ცარიელი სანაპიროს“ გადაცემა საბჭოთა მოლდავეთისთვის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ მრავალეთნიკური რეგიონის ისტორიაც სწორედ აქ იწყება (იხ. წინამდებარე განაჩენის 28-ე პუნქტი) — ყოველივე ეს მითითებული იყო (და უნდა ითქვას, რომ ძალიან შერჩევითი ფორმით) ეუთო-ს დოკუმენტში. მაგრამ დოკუმენტი ამბობდა, რომ ისევე, როგორც სხვა ისტორიული მიმოხილვა, ისიც წარმოაჩინებდა რეგიონის ისტორიის სრულ ასახვას, რასაც მე ძალიან მოკლედ ჩამოვაცალიებ.

მოლდოვის სათავადო, რომელიც ჩამოყალიბდა 1360 წელს უნგრეთიდან გამოყოფის შემდეგ, 1456 წელს მოექცა ოტომანების იმპერიის მბრძანებლობის ქვეშ, რაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. 1711 წელს პრინცი (გოსპოდარი) დიმიტრი კანტემირი (რომლის შვილი ანტიოხიც შემთხვევის წყალობით უნდა გამხდარიყო ცნობილი რუსი მწერალი და ემსახურა რუსეთის ელჩად ლონდონსა და პარიზში) შეუთანხმდა პეტრე დიდს, რომ იგი დაიცავდა მოლდოვას და ეს იყო 1791 წელს თურქეთსა და რუსეთ-ავსტრიის კოალიციის ომისშემდგომი ხელშეკრულების მეშვეობით (კოალიციის ჯარებს მეთაურობდა ა. სუვოროვი), როდესაც რუსეთმა მოიპოვა კონტროლი დნესტრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სლავები იყვნენ. 1812 წელს რუსეთის იმპერიასა და თურქეთს შორის განახლებული ომის შემდეგ ბუქარესტის ხელშეკრულება რუსეთის იმპერიაში აერთიანებდა მოლდოვის აღმოსავლეთ ნაწილს, რომელიც მდებარეობს პრუტსა და დნესტრს შორის და რომელსაც სახელად ერქვა ბესარაბია. ბესარაბიის სამხრეთ ნაწილი დასახლებულია ბულგარელებით და გაგაუზებით (თურქულენოვანი ქრისტიანი

ხალხი). ყირიმის ომის (1854-56) შემდეგ რუსეთმა, პარიზის ხელშეკრულების თანახმად (1856) დაუთმო ბესარაბია გამარჯვებულ სახელმწიფოებს. ხსენებული ტერიტორია შევიდა რუმინეთის სამეფოს შემადგენლობაში, რომელიც შეიქმნა 1859 წელს, მაგრამ ბერლინის ხელშეკრულებით (1878) ბესარაბია დაუბრუნდა რუსეთს და რუმინეთმა კომპენსაციის სახით მიიღო დობრუჯა. 1918 წლის იანვარში რუმინეთმა მოახდინა ბესარაბიის ოკუპირება და ადგილობრივი საბჭოსაგან მიიღო თანხმობა რუმინეთის სამეფოსთან გაერთიანებასთან დაკავშირებით. იმავე დროს უკრაინის დირექტორატმა (რომელიც დამოუკიდებელი იყო იმ დროს) გამოაცხადა თავისი სუვერენიტეტი დნესტრის მარცხენა სანაპიროზე (იმ დროისათვის მოსახლეობის 48% იყო უკრაინელები, 30% მოლდოველები, 9% რუსები და 8,5% ებრაელები), 1924 წელს კი შეიქმნა მოლდოვის ავტონომიური რესპუბლიკა, მას შემდეგ, რაც 1924 წელს სსრკ-მ აიძულა რუმინეთი, ჩაეტარებინა პლებისციტი ბესარაბიაში (ვენის მოლაპარაკებები), სანამ მოახდენდა მის ოკუპირებას 1940 წლის 28 ივნისს. ეს არის იმ რეგიონის საკამათო სიტუაცია, რომელიც 1940 წლის შემდეგ წარმოადგენდა მოლდოვის მთლიან ტერიტორიას, რომლის ორივე ნაწილსაც გააჩნდა თავისი ისტორიული, ეკონომიკური, კულტურული და ლინგვისტური თავისებურებები. ხსენებული თავისებურებები არ გამოეპარათ ინფორმირებულ დამკვირვებლებს: „დნესტრისპირეთი, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ რუსები და უკრაინელები, ყოველთვის უფრო ახლოს იყო რუსეთთან, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენდა ორი საუკუნის განმავლობაში. როდესაც სსრკ დაიშალა, დნესტრისპირეთმა უარი განაცხადა მოლდოვის დამოუკიდებელი პირველი მთავრობის პოლიტიკაზე რუმინეთთან გაერთიანებასთან დაკავშირებით“ (Libération, Paris, 1 August 2002).

რაც შეეხება ენასა და დამწერლობას, მე არ მინდა ვისპეკულორო ძალიან დელიკატურ პრობლემაზე და ვწუხვარ, რომ სასამართლო ძალზე მარტივ მნიშვნელობას ანიჭებს ხსენებულს (იხ. განაჩენის 28-ე პუნქტი), რასაც მივყავარ ორ ციტატამდე. „უძველესი რუმინული დამწერლობა თარიღდება 1521 წლით: ეს არის ბოიარ ნესკუს მიერ დაწერილი წერილი მაიორ ბრასოვისადმი... ხსენებული ტექსტები გადმოთარგმნილია სლავურიდან (მართლმადიდებელი სლავების ლიტურგიული ენა და ასევე რუმინელების ენა), სადაც წერია რუსული შრიფტით... მე-19 საუკუნემდე თანამედროვე რუმინული ენა საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა, მასზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა ფრანგული — ხსენებულ პროცესს ზოგიერთები უწოდებდნენ „რელათინიზაციას“. სწორედ ამ დროს იყო, რომ ლათინურმა ანბანმა შეცვალა რუსული“. (წყარო: Atlas des peuples de l'Europe Centrale, Paris, La Découverte, 2002, გვ. 137). რაც შეეხება ენას, რომელიც გამოიყენებოდა, 1978 წლის კონსტიტუცია უზრუნველყოფდა „თანაბარ უფლებებს ეროვნული ენის გამოყენებასთან დაკავშირებით“ (მუხლი 34) და „სწავლა-განათლების ეროვნულ ენაზე წარმართვასთან დაკავშირებით“ (მუხლი 43). არსებული დებულების თანახმად, „კანონები და სხვა კანონმდებლობა... გამოქვეყნებული უნდა იქნეს მოლდოვურ და რუსულ ენებზე“ (მუხლი 103) და „მართლმსაჯულება ხორციელდება როგორც მოლდოვურ და რუსულ ენებზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ლაპარაკობს რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა“ (მუხლი 158).

ეს ისტორიული გადახვევა იმიტომ გავაკეთე, რომ გამემორებინა სა-

სამართლოს პოზიცია, რომელიც გამოხატულია შემდეგი სახით: „სასამართლო თვლის, რომ მან მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი მხოლოდ იმ წმინდა ისტორიული მოვლენების განხილვისაგან, რომელთა განხილვის იურისდიქციაც სასამართლოს არ გააჩნია; თუმცა სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს გარკვეული ისტორიული ფაქტები, რომლებიც ცნობილია ყველასათვის, და ხსენებულზე დააფუძნოს თავისი არგუმენტაცია“ (იხ. *Ždanoka v. Latvia*, №. 58278/70, პუნქტი 77, 2004 წლის 17 ივნისი; იხ. ასევე *Marais v. France*, №. 31159/96, კომისიის 1996 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები 86-A, გვ. 184, და *Garaudy v. France*, №. 65831/01, ECHR 2003-IX). მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს განაჩენში „ისტორიული ფაქტები“ მნიშვნელოვნად არის დამახინჯებული და შედეგად, ჩემდა სამწუხაროდ, გარკვეულ დასაბუთებასაც ანალოგიური ბედი ენია.

პუნქტები 30-41 არანაირი გარკვეული მიმდევრობით არ ასახავენ მოლდოვა-დნესტრისპირეთის კონფლიქტის დაწყებასა და განვითარებას და აქცენტს აკეთებენ სამხედრო ასპექტებზე, თითქოს მთავარი პრობლემა ყოფილიყო მე-14 არმია და „დოსააფის“ (რომელიც არ იყო სახელმწიფო ორგანო მაშინდელი კანონმდებლობის თანახმად) აღჭურვილობა. როგორც ეროვნულ მოსამართლეს, მე მსურს აღვნიშნო, რომ სსრკ-ს დაშლამ 1988-91 წლებში ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ მასში შემავალ 15 რესპუბლიკაზე, რომლებმაც სათითაოდ გამოაცხადეს თავიანთი სუვერენიტეტი (ხშირად აღნიშნულს უწოდებენ „სუვერენიტეტების აღლუმს“), არამედ ისეთ ტერიტორიებზეც, რომლებიც იყო მრავალეროვან რესპუბლიკებში, მაგალითად, მთიან ყარაბაღზე, აფხაზეთზე, ჩეჩნეთზე და ა.შ. მოლდოვამაც ვერ აიცილა თავიდან ხსენებული ზოგადი ძვრები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოლდოვის ეროვნულმა ფრონტმა განაცხადა თავისი სურვილი, სრულად გაერთიანებულიყო რუმინეთთან და 29-ე პუნქტში მოხსენიებული კანონები ენისა და ახალი დროშის შესახებ აღნიშნული მიმართულების მხოლოდ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა. გაგაუზიამ, თურქულენოვანმა რეგიონმა, პირველმა გამოაცხადა თავისი სუვერენიტეტი 1990 წლის 18 აგვისტოს, მას მოჰყვა დნესტრისპირეთი 1990 წლის 2 სექტემბერს. ხსენებული, ჩემი აზრით, არ წარმოადგენდა „მოლდოვის დამოუკიდებლობისათვის წინააღმდეგობის განევას“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 43-ე პუნქტი), არამედ ეს იყო თვითგამორკვევის უფლების უარყოფის პოლიტიკა. არ უნდა დავივიწყოთ (და ეს წარმოადგენს მეორე საგანს, რაც არ თქმულა განაჩენში), რომ მოლდოვის პოლიციის სპეცდანიშნულების ჯარების მიერ განხორციელებული პირველი ოპერაცია, რომელიც დაიწყო დუბასარის „სეპარატისტების“ წინააღმდეგ 1990 წლის 12 ივნისს, წინ უსწრებდა ზემოხსენებულ დამოუკიდებლობათა გამოცხადებას და ხელი შეუწყო მათ დაჩქარებას.

ჩემი აზრით, სწორედ ამ სიტუაციაში უნდა ეძებნა სასამართლოს იმ კონფლიქტის სათავე, რამაც პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ოთხ განმცხადებელზე, და არა 1990 წლის 2 სექტემბრის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომელიც ეხებოდა „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის“ შექმნას, როგორც ამაზე მიუთითებს განაჩენის 30-34 პუნქტები.

სამართლებრივად რომ ვილაპარაკოთ, ხსენებული დეკლარაციები არ ნიშნავდა იმ არეულ დროს გამოყოფის გაცხადებას (რასაც მოწმობს სიტყვა „მოლდოვის“ „მდრ“-ს დასახელებაში), არამედ წარმოადგენდა უფრო დიდი ავ-

ტონომიურობის გაცხადების სურვილს, მათ შორის რეფერენდუმის უფლებას, რომელიც გამოააშკარავებდა სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩენის სურვილს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გამოაცხადებდა გაერთიანებას უცხო სახელმწიფოსთან, რაც იმ დროისათვის სავსებით შესაძლებელ საფრთხედ იყო წარმოდგენილი. „1990 წელს პირველი ავტონომიური მოძრაობების წარმოშობამ, რასაც მოჰყვა 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადება, დააჩქარა კიბინიოვსა და ბუქარესტს შორის გეგმის ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავდა მოლდოვის რუმინეთში ინტეგრაციას ან მის ანექსირებას. მაგრამ გეგმა, რომელიც მოლდოველებს მოსწონდათ თავდაპირველ ეტაპზე, დავიწყებას მიეცა შემდგომში, როდესაც 1994 წლის 6 მარტს გამართულ რეფერენდუმზე ბუქარესტის საწყენად მოლდოვის ამომრჩეველთა 96,4%-მა ხმა მისცა რუმინეთთან გაერთიანების წინააღმდეგ. მაგრამ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მონინააღმდეგე, უფრო მეტად კი რუმინეთთან მიერთებისადმი მტრულად განწყობილმა სლავურმა მოსახლეობამ, რომელიც უმეტესად დნესტრისპირეთში ცხოვრობდა, 5000 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე დნესტრის აღმოსავლეთით, გამოაცხადა ავტონომიურობა“, – ნერდა ჟან კრისტოფერ რომერი, პროფესორი, *Institut des Hautes Etudes européennes and the Ecole Spéciale militaire de Saint-Cyr (J.-Ch.Romer, Géopolitique de la Russie, Paris, Economica, 1999, გვ. 63).*

ზემოხსენებულ ანალიზს დავამატებ, რომ 1992 წლის თებერვალში მოლდოვის სახალხო ფრონტმა მე-2 კონგრესზე გამოაცხადა მოლდოვა, მათ შორის დნესტრისპირეთის რეგიონიც, რუმინეთის განუყოფელ ნაწილად და 1992 წლის მარტში დაიწყო კონფლიქტი პოლიციის სპეციალურ დანაყოფებსა და „სეპარატისტებს“ შორის. 1992 წლის 19 ივნისი — ავად გასახსენებელი დღე — გახდა ბენდერში მოლდოვის სპეცდანიშნულების ძალების ოპერაციის დაწყების დღე. შედეგად დაიღუპა 416 ადამიანი მშვიდობიანი მოსახლეობიდან. მხოლოდ 1992 წლის 29 ივლისს შევიდნენ რუსეთის მშვიდობისმყოფელები ტირასპოლში რუსეთ-მოლდოვას შორის 1992 წლის 21 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მე შემიძლია აღვადგინო მოვლენათა ჯაჭვი, მაგრამ აქ გავჩერდები. მე მხოლოდ ვამბობ, რომ განაჩენის ნაწილი, რომელიც ეხება „საქმის წინმსწრებ ზოგად მოვლენებს“, არ მოიცავს მნიშვნელოვან ფაქტებს, მაშინ, როდესაც მასში უხვად არის ბუნდოვანი ციტირება პოლიტიკური განცხადებებიდან, რომლებიც ასახავს მხოლოდ ცალმხრივ მიდგომას მოვლენების განვითარებისადმი. ამიტომაც ადვილი არ არის, დავადგინოთ, სად არის სიმართლე. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მე ვგმობ ამ ფაქტს.

ასევე ნუხილს გამოვთქვამ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო 1992 წლის მოვლენები („სამშვიდობო“ ოპერაცია, რომელიც განახორციელეს ხელისუფლების ცენტრალურმა ორგანოებმა, აჯანყებულების შეიარაღებული წინააღმდეგობა, გარდამავალი პერიოდი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და სხვ.) – რეალურად ფორსმაჟორული სიტუაცია, რომელშიც კონფლიქტში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩართული ყველა მხარე, მათ შორის მე-14 არმიაც, იღებდა მონაწილეობას.

მე ასევე მსურს წარმოგიდგინოთ 1991-92 წლების შეიარაღებული კონფლიქტის სრულიად განსხვავებული ვერსია, რადგან ვფიქრობ, რომ განაჩენის ამ ნაწილის (იხ. პუნქტები 42-100) – რომლის მიზანსაც ცალსახად წარმოადგენს კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის და სეპარატისტებისათვის სამხე-

დრო მხარდაჭერის დამტკიცება – რეალურად არანორმალური მასშტაბი ზემო-ხსენებული მეთოდოლოგიური შეცდომის შედეგია. თვით სახელმწიფოთაშორის საქმეზე *Cyprus v. Turkey* სასამართლო უფრო „რეალისტური“ იყო ამგვარ ანალიზში და კონცენტრირებას ახდენდა სამართლებრივ პრობლემებზე.

მართალია, არა მაქვს სურვილი, წინამდებარე ტექსტი უფრო განვავრცო, არ შემიძლია მოვახდინო „კაზაკთა საკითხის“ იგნორირება. განაჩენი იმეორებს განმცხადებელთა მტკიცებას, რომ „1988 წელს მოლდოვის ტერიტორიაზე საერთოდ არ იყვნენ კაზაკები“ (იხ. განაჩენის მე-60 პუნქტი). მე მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდოდა, რომ დანყებული 1571-74 წლებიდან უკრაინელი კაზაკები მონაწილეობას იღებდნენ მოლდოველთა განმათავისუფლებელ ომში ოტომანების ბატონობის წინააღმდეგ და თავისუფალი კაზაკები ცხოვრობდნენ მოლდოვაში, პადოლიასა და ზაპოროჟიეში საუკუნეების განმავლობაში (იხ. სხვა წყაროებს შორის Ph.Longworth, *The Cossacks*, London, 1969). კაზაკები გახდნენ სტალინური ტერორის მსხვერპლნი, მაგრამ ისინი რეაბილიტირებულნი იქნენ რუსეთის პარლამენტის მიერ 1992 წლის 16 ივნისის დადგენილებით, როგორც ნაწილი იმ პირთა რეაბილიტაციისა, რომლებიც დაექვემდებარნენ რეპრესიებს. მხოლოდ 1995 წლის 9 აგვისტოს იყო, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას კაზაკთა ასოციაციის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, 1996 წლის 16 აპრილს კი ხელი მოეწერა ბრძანებულებას კაზაკთა სამოქალაქო და სამხედრო სამსახურის შესახებ. კაზაკთა ორგანიზაციის გადაადგილების თავისუფლება და ნახევრად შეიარაღებული ხასიათი კაზაკთა ცხოვრების კარგად ცნობილი დამახასიათებელი ნიშანია. შესაძლებელია იმის თქმა, რომ ეს მხოლოდ დეტალებია, მაგრამ მთავარი შეცდომა სწორედ ამ დეტალებშია დამალული.

ტექსტში საკმაოდ მცირე დეტალებია, მათ შორის რუსეთის ვიცე-პრეზიდენტის მიერ „დაუთარილებელი“ განცხადებები (იხ. განაჩენის 137-ე პუნქტი), რუსეთის პრეზიდენტის „დაუთარილებელი“ სატელევიზიო გამოსვლა (იხ. განაჩენის 138-ე პუნქტი), სატელევიზიო ინტერვიუს გადაცემა „დაუდგენელ დღეს“ (პუნქტი 145) და ა.შ. მიუხედავად სასამართლოს მიერ 26-ე პუნქტში გამოთქმული პოზიციისა, რომ „წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლო იყენებდა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ ტესტს მტკიცების მოთხოვნილი სტანდარტისათვის“.

მე განცვიფრებული ვარ, რომ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი ნათელი ინფორმაციის საპირისპიროდ, განაჩენის 141-ე პუნქტი წარმოაჩენს („დამტკიცებულად მიიჩნევს“) ყალბ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა ორგანიზება გაუკეთა 2004 წლის 17 მარტის არჩევნებს „მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმების გარეშე“. რუსეთის ფედერაციის საარჩევნო კანონმდებლობა უზრუნველყოფს რუსეთის მოქალაქეებისათვის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას საზღვარგარეთ სპეციალურად შექმნილ საარჩევნო უბნებში (და ამიტომაც ეს ყოველთვის არ წარმოადგენს „საკონსულოს როგორც საარჩევნო უბანს“) მხოლოდ შესაბამისი უცხო სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე. ვწუხვარ, რომ სასამართლომ, რომლის განაჩენებზეც წუთობრივი სიზუსტით მონმდება ყველგან, ძალიან ბევრჯერ ვერ განახორციელა და ვერ შეესაბამებოდა იმ კრიტერიუმებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია 26-ე პუნქტში.

ასევე სამწუხაროა, რომ საქმის წინმსწრები მოვლენების ჩამოყალიბებისას სასამართლო ყოველთვის არ მიჰყვებოდა იმ პრინციპს, რომელიც მან თავად ჩამოაყალიბა საქმეში *Ireland v. the United Kingdom* და რომლის თანახმადაც „მის წინაშე წარმოდგენილ საქმეებში სასამართლო განიხილავს მთელ წარმოდგენილ მასალას, რომელიც მომდინარეობს კომისიისაგან, მხარეებისაგან ან სხვა წყაროებიდან, და, თუ ეს აუცილებელია, მოიპოვებს მასალებს *proprio motu*“ (1978 წლის 18 იანვრის განაჩენი, სერია A №25, გვ. 64, პუნქტი 160).

მაგალითად, მე ვწუხვარ, რომ სასამართლომ ფრთხილად აიცილა თავიდან განაჩენში იმ ქმედებების ხსენება, რომლებიც ეხებოდა ჯგუფ „Bujor“-ს და განმცხადებლებს მათ დაკავებამდე (გარდა 216-ე პუნქტისა, რომელიც მიუთითებს 1993 წლის 9 დეკემბრის განაჩენზე). მაგრამ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად მეტყველებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა ლენინგრადის პერიოდულ გამოცემა „სმენაში“ 1990 წლის 6 დეკემბერს, ბ-ნმა ილაშქუმ საზოგადოებას მიაწოდა ცნობილი „დირექტივა №6“-ის დეტალები. „ჩვენ გვაქვს ორი შავი სია“, – ამბობდა იგი. „პირველ სიაში 23 გვარია, ე.წ. დნესტრისპირეთის რესპუბლიკის მეთაურობა. მეორე სიაში არის 480 სახელი და გვარი, რომლებიც ეკუთვნით მეორე კონგრესის წევრებს. განხორციელებული იქნა სერიოზული მზადება ხსენებული პირების ფიზიკური ლიკვიდაციისათვის“. დასკვნა კი ასე გამოიყურებოდა: „ჩვენ გვყავს პოლიტიკოსები, რომლებიც ყოველთვის სუფთანი უნდა რჩებოდნენ, მაგრამ ვინმემ უნდა გააკეთოს ჭუჭყიანი საქმე“. ხსენებული ტიპის განცხადებებიდან: „ჩვენ შეგვიძლია მოვანყოთ უზარმაზარი სისხლისღვრა“ კონკრეტულ ქმედებებამდე მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი იყო. ამგვარი ქმედებების მსხვერპლთა ვინაობა ცნობილია, ისევე, როგორც ცნობილია მათი ქვრივებისა და ობლების ვინაობა. შემთხვევით არ არის, რომ განაჩენის 286-ე პუნქტში ხსენებულმა ცნობილმა სპეციალისტებმა წამოაყენეს წინადადება, რომ განმცხადებლები უნდა გასამართლებულიყვნენ ნეიტრალურ ქვეყანაში, როგორც ეს ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომელიც ფაქტიურად არ გამოორიცხავდა „ბ-ნი ილაშქუს შესაძლო ახალ სასამართლო პროცესს ნეიტრალურ ადგილას“ (SG/Inf(2000) 53, 2001 წლის 19 იანვარი). რა აზრი აქვს მაშინ გაერო-ს ყველა რეზოლუციას ტერორიზმის აღკვეთასთან დაკავშირებით? სამწუხაროდ, სასამართლოს არ გაუცია პასუხი ხსენებულ კითხვებზე, მაგრამ მან უარყო ერთ-ერთი ასეთი ქვრივის, ქ-ნი ლუდმილა გუსარის, თხოვნა სასამართლოსათვის ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-8 პუნქტი).

### III. „იურისდიქციისა“ და „პასუხისმგებლობის“ ცნებათა ანალიზი

მაგრამ მე უფრო იმ ფაქტთან დაკავშირებით ვწუხვარ, რომ ხელიდან იქნა გაშვებული შანსი, განხორციელებულიყო ცნებების „იურისდიქცია“ და „პასუხისმგებლობა“ უფრო კარგი ანალიზი. მე არა მაქვს პრეტენზია, რომ ჩემი, როგორც სამართლიანობის უკანასკნელი მფარველის, მოსაზრებაა ჭეშმარიტი, მაგრამ მაინც მსურს ავხსნა, თუ რა კუთხით ვხედავ პრობლემას.

ჩემი პირველადი პოზიცია, რომელიც დავაფიქსირე 2001 წლის 4 ივლისის კენჭისყრისას საქმის არსებით განხილვაზე დასამეგობბასთან დაკავშირებით (და

რომელ მოსაზრებასაც ვერ კიდევ ვემხრობი), იყო ის, რომ სასამართლოს დაუშვებლად უნდა გამოეცხადებინა განაცხადი რუსეთთან მიმართებაში *ratione loci* და *ratione personae* პრინციპებზე დაყრდნობით და ელიარებინა მოლდოვის იურისდიქცია დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ამავე დროს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოლდოვა ვერ ახორციელებდა *de facto* კონტროლს რეგიონზე, სულ მცირე, იმ დროს, როდესაც განმცხადებლები იქნენ დაკავებულნი.

სასამართლოს შეეძლო ასეთი გადაწყვეტილებით მისულიყო „სამართლებრივ ვაკუუმამდე“ ან „ისეთ სფერომდე, რომელშიც კანონი არ მოქმედებს“ და რომლის მიმართაც კონვენციის დებულებები არ გამოიყენება *de facto*. ხსენებული იდეა არც აბსურდია და არც სიახლეს წარმოადგენს. „ბიძგი რეკომენდაციისათვის“, რომლის დასახელებაც არის „კანონის გარეთ მყოფი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიები“, რომელიც წარმოდგენილი იქნა ბ-ნი მაგნუსონის, შვედეთის საპარლამენტო ასამბლეის წევრის, მიერ (და რომელსაც მისი რამდენიმე კოლეგა უჭერდა მხარს), მოიცავდა შემდეგ ნაწყვეტებს:

„თუმცა ასამბლეა იძულებულია, აღიაროს, რომ სახეზე გვაქვს რამდენიმე არეალი ევროპის საბჭოს ცალკეული წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა აქტები არ გამოიყენება პრაქტიკაში. ხსენებული ნათელი გახდა პირველ რიგში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, რომლის რამდენიმე განაჩენი აღსრულებული იქნა. ამის მაგალითია საქმე *Loizidou v. Turkey*, რომელიც ეხებოდა ჩრდილოეთ კვიპროსს, და საქმე *Matthews v. the United Kingdom*, რომელიც ეხებოდა გიბრალტარს.

გარდა ამისა, „კანონის გარეთ მყოფი“ არეალები ჩამოყალიბდა სეპარატისტულ რეგიონებშიც, როგორც არის ჩეჩნეთი, დნესტრისპირეთი, აფხაზეთი თუ მთიანი ყარაბაღი“.

მოლდოვის ტერიტორიული დათქმა, რომელიც მან გააკეთა კონვენციის რატიფიცირებისას, მიგვანიშნებს რეგიონში „სამართლებრივი ვაკუუმის“ არსებობაზე, ევროპულ სამართლებრივ არეალში რაღაც „შავი ხვრელის“ მაგვარზე, განსაკუთრებით ასეთ დასკვნამდე მისვლას შესაძლოა თან ახლდეს იმის აღიარება, რომ მოლდოვას არ გააჩნია *de facto* კონტროლი შესაბამის ტერიტორიაზე. ჩემთვის სასიამოვნოა, ვიყო უმრავლესობის წევრი თუნდაც ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ კი იმასთან დაკავშირებით, რომ მოლდოვას გააჩნდა იურისდიქცია, თუნდაც შეზღუდული სახით „იურისდიქცია, ... რომელიც მოიაზრებს პოზიტიურ ვალდებულებებს“ (სამოტივაციო ნაწილის 1-ლი დებულება).

მიუხედავად ამისა, მე ვთვლი, რომ ტერიტორიული პრინციპის უპირატესობა, რომელიც შეეხება „იურისდიქციას“ კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, სრულად გამოიყენება მოლდოვის მიმართ, განმცხადებლებთან დაკავშირებით მისი პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების მიმართ, თუნდაც *de facto* შეზღუდული ხასიათით (იხ. წინამდებარე განაჩენის 313-ე პუნქტი). ნებისმიერ შემთხვევაში, დნესტრისპირეთი არ არის დაუსახლებელი ტერიტორია (*terra nullius*) საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობით: საერთაშორისო თანამეგობრობა დნესტრისპირეთს თვლის მოლდოვის განუყოფელ ნაწილად.



ის ფაქტი, რომ კონვენციის რატიფიცირებისას მოლდოვამ გააკეთა დათქმა დნესტრისპირეთთან მიმართებაში, ამტკიცებს იმას, რომ დიდი ხნის განმავლობაში მოლდოვას არ განუხორციელებია თავისი ვალდებულებები ამ ტერიტორიაზე. საწინააღმდეგოს აღიარება იქნებოდა საჩუქარი მსოფლიოში ყველა სეპარატისტისათვის და მისცემდა მათ შესაძლებლობას, ეთქვათ, რომ პირველად საერთაშორისო სასამართლომ აღიარა, რომ სახელმწიფოს ტერიტორიის ხსენებული ნაწილი იყო ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების იურისდიქციის გარეთ. მე მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, რომ უმრავლესობამ მოლდოვა პასუხისმგებლად მიიჩნია მხოლოდ 2001 წლის შემდეგ, მიუხედავად იმ დადგენილი ფაქტისა, რომ 1994 წლის შემდეგ, კერძოდ კი 1997 წელს ევროპის საბჭოში შესვლის შემდეგ, მოლდოვას არ გადაუდგამს არანაირი ნაბიჯები, რათა უზრუნველყო განმცხადებელთა ხელმეორედ გასამართლება ან გათავისუფლება. ხსენებულთან დაკავშირებით მე ვეთანხმები არგუმენტთა უმრავლესობას მოსამართლეების კასადევალის და სხვა კოლეგების ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებაში.

„ექსტრატერიტორიული“ იურისდიქციის პრობლემა უფრო რთულია. მე მტკიცედ მჯერა, რომ სასამართლო უნდა მიჰყვეს „ცნებების პრეცედენტული სამართლის“ ტრადიციებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაიწყოს იმ იდეიდან, რომ თანამედროვე პოზიტიური სამართლის უმნიშვნელოვანესი ცნებები დამყარებული იქნა იურისტთა თაობების მიერ და ისინი არ უნდა დადგეს კითხვის ქვეშ გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. ხსენებული იყო სასამართლოს ერთხმად დაფიქსირებული პოზიცია *Banković and Others*-ის საქმეზე: „შესაბამისად, სასამართლო მივიდა იმ აზრამდე, რომ კონვენციის 1-ლი მუხლი განხილული უნდა იქნეს იმგვარად, რომ ასახავდეს იურისდიქციის ზოგად და აღიარებულ მნიშვნელობას და იურისდიქციის სხვა საფუძვლები მიჩნეული უნდა იქნეს გამონაკლისებად, რომლებიც მოითხოვს სპეციალურ გამართლებას თითოეული საქმის ცალკეულ გარემოებებში“ (*Banković and Others v. Belgium and Others (dec.) [GC], no. 52207/99*, პუნქტი 61, ECHR 2001-XII). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დაკმაყოფილებისათვის „მას ესაჭიროებოდა გამონაკლისი გარემოებების არსებობა წინამდებარე საქმეში, რომელიც შესაძლოა ჩათვლილიყო ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელებად“ (*loc. cit.*, პუნქტი 74).

რა განსაკუთრებულ გარემოებებს შეუძლია გაამართლოს ასეთი დასკვნა წინამდებარე საქმეში?

ჩემი მოწინებელი მოსაზრებით, სასამართლომ აირჩია ადვილი გზა – თავის განაჩენში გამოეყენებინა ის კრიტერიუმები, რომლებიც ჩამოყალიბებული იქნა მეორე განსაკუთრებულ საქმეში – *Loizidou*-ს საქმეში (რომლის უგულვებლყოფაც ძნელია), და ამ საქმიდან გამოიტანა საკმაოდ ბუნდოვანი დასკვნა: „სასამართლომ დაუშვა, რომ განსაკუთრებულ გარემოებებში ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ თავისი ტერიტორიის გარეთ განხორციელებული ქმედებები ან ისეთი ქმედებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ მიმდინარე მოვლენებზე, შესაძლოა ჩაითვალოს ასეთი სახელმწიფოების მიერ იურისდიქციის განხორციელებად კონვენციის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 314-ე პუნქტი). ასეთი „ქმედების“ გამოაშკარავების პირველ კრიტერიუმად *Loizidou*-ს საქმეში ჩაითვალა სამხედრო

ქმედების შედეგად სხვა ქვეყნის ტერიტორიის ოკუპირება. მაგრამ ხსენებულს ადგილი არ ჰქონია წინამდებარე შემთხვევაში, სადაც საბჭოთა შეიარაღებული ძალები ტერიტორიაზე ათწლეულობის განმავლობაში იყო განთავსებული.

თუნდაც ჩავთვალოთ, რომ ადგილი ჰქონდა „სამხედრო ქმედებას“, როგორც სახეზე იყო კვიპროსში, მოსამართლეები გოლცუკლუ და პეტიტი აბსოლუტურად მართლები იყვნენ, როდესაც ცდილობდნენ გაემიჯნათ „პასუხისმგებლობა“ „იურისდიქციისაგან“. „მაშინ, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შესაძლოა სახეზე იყოს ტერიტორიის გარეთ განხორციელებული სამხედრო ქმედების შედეგად, ხსენებული არ გულისხმობს „იურისდიქციის“ განხორციელებას (იხ. *Loizidou*-ს საქმე (პირველადი პრეტენზიები), 1995 წლის 23 მარტი, სერია A №310, გვ. 35). ორივე ცნება ავტონომიურია ერთმანეთთან მიმართებაში, თუმცა შესაძლებელია პრეტენზიის გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, რომ განსხვავება წმინდა აკადემიური ხასიათისაა.

რატომ უგულვებელყო სასამართლომ მნიშვნელობის ეს ძალიან არსებითი განსხვავება წინამდებარე საქმეში და არ შეავსო პრეცედენტულ სამართალში არსებული ხარვეზი, რომელიც გამომდინარეობს ექსტრატერიტორიული იურისდიქციის არასაკმარისი კრიტერიუმებიდან? ჩემი აზრით, ხსენებულის მიზეზს წარმოადგენდა უფრო პირდაპირი გადანყვეტილების მიღება პასუხისმგებლობის ცნების მეშვეობით (იხ. განაჩენის 314-317 პუნქტები). ეს არის იურისდიქცია (ტერიტორიული თუ ექსტრატერიტორიული), რომელიც უპირველესად განსახილველი ცნებაა და პასუხისმგებლობა გამომდინარეობს იურისდიქციიდან და არა პირიქით. სასამართლომ ირიბად დაადასტურა ხსენებული სუბორდინაცია იმის დასკვნით, რომ მოლდოვას გააჩნდა იურისდიქცია, მაგრამ არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა 2001 წლამდე! მაგრამ იმის ძიებისას, გააჩნდა თუ არა რუსეთის ფედერაციას იურისდიქცია, სასამართლომ ამჯობინა საპირისპირო ლოგიკა და დაადგინა „იურისდიქცია“ „პასუხისმგებლობის“ არსებობის გამო.

თუნდაც დაეწვავთ, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი სახეზეა, აუცილებელი იქნება იმის დამტკიცება, რომ მოპასუხე სახელმწიფო (ა) აგრძელებს თავისი პასუხისმგებლობის განხორციელებას და ამას ახორციელებს დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის საშუალებით და (ბ) აგრძელებს შესაბამისი ტერიტორიის კონტროლს მრავალრიცხოვანი ჯარის საშუალებით, რომელიც მოვალეობას ასრულებს და ახორციელებს „ტერიტორიის ნაწილის ეფექტურ და ყოვლისმომცველ კონტროლს“, როგორც ეს აღნიშნული იყო *Loizidou*-ს საქმის პირველად პრეტენზიებში. კერძოდ, ხსენებული ორი ასპექტი განხილული იქნა არსებით განხილვაზე დასაშვებობის გადანყვეტილების 70-ე პუნქტში *Banković and Others*-ის საქმეში, რომელშიც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ხსენებული ტერიტორიული ასპექტი, სანამ დაასკვნოდა, რომ „სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე სახის იურისდიქციულ კავშირს იმ პირებს შორის, რომლებიც იყვნენ მოპასუხე სახელმწიფოების მიერ განხორციელებული და განმცხადებლების მიერ გასაჩივრებული ქმედებების მსხვერპლნი (იხ. *Banković and Others*, ზემოხსენებული საქმე, პუნქტი 82).

იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებელი გასაჩივრებულ ქმედებებთან დაკავშირებით, სასამართლო, მიუთითებს

რა საქმეზე *Cyprus v. Turkey*, იყენებს ცნებას „ეროვნული ტერიტორიის გარეთ არსებულ არეალზე სრული კონტროლი“ (იხ. განაჩენის 316-ე პუნქტი). ხსენებულთან დაკავშირებით მე მივუთითებ სასამართლოს შეფასებაზე *Loizidou*-ს საქმეში: „თურქეთი რეალურად ახორციელებს სრულ კონტროლს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების პოლიტიკასა და ქმედებებზე. ჩრდილოეთ კვიპროსში განთავსებული ჯარების დიდი რაოდენობიდან ნათელია, რომ ... თურქეთის არმია ახორციელებს ეფექტურ და ყოვლისმომცველ კონტროლს კუნძულის ნაწილზე“ (იხ. *Loizidou*-ს ზემოხსენებული საქმე (არსებითი განხილვა), გვ. 2235, პუნქტი 56). თუკი მასხოვრობა არ მალატობს, ჩემი სამხედრო წვრთნების დროს ტერმინი „აქტიური სამსახური“ ნიშნავდა გზებისა და რკინიგზის კონტროლს, სტრატეგიული დანიშნულების დანესებულებების (ტელეგრაფი/სატელეფონო ფოსტა) კონტროლს და სადგურების, აეროპორტებისა და საზღვრების კონტროლს. სამხედრო სტრატეგობის გარეშეც კი ყველას შეუძლია ორი სიტუაციის შედარება: პირველ შემთხვევაში 30 000 ჯარისკაცი მცირე ზომის ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობასაც შეადგენს 120 000-150 000 ადამიანი, ხოლო მეორე შემთხვევაში 2 500 ოფიცერი და სხვა წოდების ჯარისკაცი 4 163 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე, 852 კმ სიგრძის საზღვრით, რომლის მოსახლეობა აჭარბებს 750 000-ს. ბოლოს მე მივდივარ მთავარ განსხვავებამდე, რომლის თანახმადაც ადგილი არ ჰქონია სამხედრო შეჭრას ტერიტორიის გარედან იმ მიზნით, რომ დამყარებულიყო კონტროლი: რუსეთის ჯარები, რომლებმაც მაშინ შეწყვიტეს საბჭოთა ჯარებად არსებობა (და რომელთა შემადგენლობიდანაც 2/3 ამ რეგიონიდან განვეული ჯარისკაცი იყო), უცაბედად აღმოჩნდნენ ასეთი მოვლენების მომსწრე, განთავსებულნი იყვნენ რა იმ ადგილას, სადაც მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ და აბსოლუტურად არ ჩარეულან ადმინისტრაციულ საქმეებში. ხსენებული ჯარები არ არიან ჩაბმულნი „აქტიურ ქმედებებში“, გარდა იარაღის საწყობების და გასატანი აღჭურვილობის დაცვისა.

რაც შეეხება ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების დაქვემდებარებას რუსეთის ხელისუფლებისადმი, ნათელია ის ფაქტი, რომ ხსენებული ხელისუფლების ორგანოები ხშირად ხელს უშლიდნენ სამხედრო აღჭურვილობის გატანას. საერთაშორისო ზენოლის შედეგად ერთ-ერთი განმცხადებლის გათავისუფლების შემდეგ „მდრ“-ს ხელისუფლების ორგანოები ტყვეობაში ამყოფებდნენ დანარჩენ განმცხადებლებს, მიუხედავად მათი სავარაუდო „დამცველის“ ინტერესისა, რომ თავიდან აირიდოს არასასიამოვნო პრობლემა — თუკი ეს არის ადმინისტრირების მაგალითი, „რომელიც ექვემდებარება უცხო ძალას“, ეს საკმაოდ უცნაური მაგალითია.

მეორე არგუმენტი, რომელიც რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის სასარგებლოდ მეტყველებს, უმრავლესობის თანახმად, არის ის, რომ „მდრ“ შეიქმნა 1991-92 წლებში რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით. მე ვალდებული ვარ, აღვნიშნო, რომ „მდრ“-ს წარმოქმნა გამოცხადებული იქნა 1990 წლის 2 სექტემბერს, წელიწადზე მეტი ხნით ადრე, ვიდრე სსრკ დაიშლებოდა და რუსეთი მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, როგორც სუვერენული სახელმწიფო. აქ გაეხსენებ ლა ფონტენს: „თუკი ეს შენ არ იყავი, მაშინ ეს შენი ძმა იქნებოდა. — მე არ მყავს ძმა. — არა აქვს მნიშვნელობა, მაშინ ეს შენი ოჯახის რომელიმე წევრი იქნებოდა.“ მოლდოვის მთავრობის არგუმენტი, რომ რუსეთი,

როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრე, კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას სსრკ-ს მიერ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით, გაქარწყლებულია საერთაშორისო სამართლის იმ წესით, რომლის თანახმადაც თუ სამართლის მონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი სახეზეა სამართლის მეორე მონაწილის ქმედების შედეგად, მისი პასუხისმგებლობა მხოლოდ ირიბი შეიძლება იყოს (*Dictionnaire de droit international public, Brussels, 2001, გვ. 996-97*).

მხოლოდ ხსენებული მიზეზიდან გამომდინარე, განსხვავებით ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან, რუსეთი არ უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლად განხორციელებული ქმედებებისათვის. გარდა ამისა, რუსეთს არასოდეს უღიარებია „მდრ“ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და მოლდოვის რესპუბლიკას შორის, რომელიც ხელმოწერილი იქნა 2001 წლის 19 ნოემბერს, ნათლად მეტყველებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით: „მხარეები გმობენ სეპარატიზმს მის ყველა ფორმით გამოვლინებაში და კისრულობენ ვალდებულებას, არანაირად ხელი არ შეუწყონ სეპარატიზტულ მოძრაობას“ (მუხლი 5, პუნქტი 2). მაგრამ სასამართლო ამჯობინებს „დაუთარილებელ“ უპასუხისმგებლო განცხადებებს, რომლებიც გამოთქმული იყო გარკვეული პარლამენტარებისა და ყოფილი პოლიტიკოსების მიერ, და მიიჩნევს ხსენებულს პოლიტიკური მხარდაჭერის „მტკიცებულებად“.

სავარაუდო ეკონომიკური მხარდაჭერის „მტკიცებულება“ (იხ. განაჩენის პუნქტები 156-160) ვერ უძღვებს შემონგებას. მე ქვემოთ ვაღარებ განაჩენში აღწერილ დასკვნას არასამთავრობო ორგანიზაციის *“British Helsinki Human Rights Group” (BHHRG)* (რომელმაც მოახდინა რეგიონში არსებული სიტუაციის ანალიზი) მიერ გაკეთებულ კომენტარებს.

გაზის ექსპორტი „ხელსაყრელ ფასად“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 156-ე პუნქტი): *BHHRG*-ის თანახმად, დნესტრისპირეთისათვის მიწოდებული 1000 კუბური მეტრი რუსული გაზის ფასი 2003 წელს იყო 89 აშშ დოლარი, იგივე ფასი, რაც ესტონეთისთვის (36 აშშ დოლარი ბელორუსიისთვის, 50 აშშ დოლარი საქართველოსთვის).

„დნესტრისპირეთი ელექტროენერჯის იღებს პირდაპირ რუსეთიდან“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 157-ე პუნქტი): *BHHRG*-ის თანახმად, ელექტროენერჯის ბაზარი კონტროლდება ესპანური კომპანია *“Union Fenosa”*-ს მიერ, რომელიც აწარმოებს ელექტროენერჯის იმ გაზის მეშვეობით, რომელსაც ყიდულობს რუსეთიდან.

„რუსულმა კომპანია „იტერამ“ იყიდა დნესტრისპირეთში ყველაზე დიდი საწარმო „რაბნიტას საინჟინრო სამუშაოები“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 160-ე პუნქტი): 2003 წლის აგვისტოში მხოლოდ ლიხტენშტეინის კომპანიამ იყიდა ფაბრიკის აქციათა 15,6% წილი.

ამერიკული კომპანია „ლუცენტ ტექნოლოჯი“ აკონტროლებს სრულად კავშირგაბმულობას, გერმანიაში იბეჭდება ბანკნოტები, ევროგაერთიანებამ მიანიჭა პრიზი *“Arc of Europe”* სამკერვალო ნაწარმს, რომელიც გამოშვებულია კომპანიის „ინტერცენტრ ლუქსის“ მიერ და ა.შ. (წყარო: *British Helsinki Human Rights Group, Transnistria 2003: Eye in the Gathering Storm – www.bhhrg.org*).

შემდეგი შეთანხმება: სეპარატიზტებისათვის იარაღის მიწოდება. განმცხადებლები ამტკიცებენ (რაიმე მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე),

რომ მე-14 არმია ამარაგებდა სეპარატისტებს იარაღით; ეს ფაქტი, მათი აზრით, მოიაზრებს რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას. არ ვარ რა სპეციალისტი ხსენებულ დარგში, მე მივუთითებ სანდო წყაროზე: „იარაღის ორგანიზებული მაროდორობა დაიწყო მოლდოვის მიერ 1990 წლის 23 ივნისს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან და სერიოზულ პრობლემად ჩამოყალიბდა 1991 წელს სსრკ-ს დაშლის დროისათვის (ანალოგიური სიტუაცია იყო ჩეჩნეთში, აფხაზეთსა და სხვა ადგილებში); 21 800 ავტომატი, აღჭურვილობა და თვით ტანკებიც კი იქნა „ექსპროპრირებული“. სწორედ მე-14 არმიის სარდლის გენერალ ლებედის მცდელობებს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ხსენებული იარაღის გარკვეული ნაწილი ამოღებული და დაბრუნებული იქნა საწყობებში. გამოძიება აღიძრა სამხედრო პროკურატურის მიერ“ („კომენსანტი“ (რუსული გაზეთი), 2001 წლის 21 ივლისი). რეგიონის ინდუსტრიული პოტენციალი შესაძლებელს ხდის პრაქტიკულად ნებისმიერი ტიპის ჩვეულებრივი იარაღის წარმოებას; დღესაც კი იარაღით ვაჭრობა წარმოადგენს რეგიონის შემოსავლის უმთავრეს წყაროს (იხ. წინამდებარე განაჩენის 161-ე პუნქტი).

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ვერ აღმოვაჩინე ფაქტობრივი მასალები, რომლებიც ეხება სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს, რაიმე ხასიათის ვარგისი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რუსეთის ჩარევას შეზღუდული ან განგრძობადი სახით დნესტრისპირეთის სასარგებლოდ, ან მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ „მდრ“ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში დამოკიდებულია რუსეთზე.

დამერწმუნეთ, ძალიან ვწუხვარ, რომ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რასაც ახლა ვუნოდებთ „ჰუმანიტარულ ინტერვენციას“, რომელიც წარსულში უფრო სამხედრო შეჭრის ფორმით იყო ცნობილი. მე მინდა, რომ აბსოლუტურად მართალი ვიყო რუსეთის პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებაში. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი პასუხისმგებელი იყო იმისათვის, რომ არ ჩაერია უფრო ენერგიულად 1992 წელს, რათა დაეცვა სამოქალაქო მოსახლეობა და თავიდან აეცილებინა 850-ზე მეტი ადამიანის სიკვდილი (მათ შორის პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებებით გადაერწმუნებინა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები, არ განეხორციელებინათ დამსჯელი სამხედრო ექსპედიცია თავისი მოსახლეობის წინააღმდეგ). მაშინ, როდესაც სხვა ძალები არ ყოყმანობენ აღმართონ ჰუმანიტარული ინტერვენციის დროშა იმისათვის, რომ დაამყარონ ის, რასაც ეწოდება „ახალი სამხედრო ჰუმანიზმი“ (იხ. *N. Chomsky, The New Military Humanism, Lessons from Kosovo, L., 1999*), რუსეთის ხელისუფლების იმდროინდელმა ორგანოებმა ამჯობინეს მოცდისა და დალოდების მიდგომა და ამით ზოგიერთ თავიანთ ჯარისკაცსა და ოფიცერს (უმეტესად მათ, ვინც შესაბამისი რეგიონიდან იყვნენ წარმომავლობით) მიანდეს გადაენწყვიტათ, თუ რა იყო მართალი, რომ გაეკეთებინათ, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა ალტერნატივას, დაეცვათ თუ არა თავიანთი ოჯახები.

ამიტომ გთავაზობთ, პასუხი გასცეთ ამკარა კითხვას: როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, შეეძლო თუ არა რუსეთს რეალურად ეკისრა პასუხისმგებლობა „მდრ“-ში, ანუ ეკისრა ამოცანა, გადაეჭრა პრობლემები ან მოეგვარებინა არსებული სისტემატური სიტუაცია? იმისათვის, რომ ადვილად იქნეს გაცემული პასუხი ამ კითხვაზე, მე მივუთითებ საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* (ზემოთ, პუნქტი 159): „პრაქტიკა, რომელიც შეუსაბამოა კონვენციას-

თან, შედგება იმ იდენტური ან ანალოგიური დარღვევების აკუმულირებისაგან, რომლებიც საკმარისად მრავლადაა და ურთიერთდაკავშირებულია ისე, რომ წარმოადგენს არა მხოლოდ იზოლირებულ ინციდენტებს ან გამოწვევებს, არამედ სისტემის მაგალითს; პრაქტიკა თავისთავად არ წარმოადგენს დარღვევას, რომელიც განცალკევებულია ასეთი დარღვევებისაგან“. მხოლოდ პერსონალური სიტუაციის უკან სისტემატური დარღვევები შეიძლება იქნეს მიჩნეული უცხო სახელმწიფოს ობიექტურ პასუხისმგებლობად; მე სწორედ ასე აღვიქვამ ზემოხსენებულ განაჩენს, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ განმცხადებლებმა არ წარმოადგინეს მტკიცებულებები ანალოგიური დარღვევების სისტემატურ ხასიათთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სამართლის სხვა წესი, რომელიც გამყარებულია ჩვენი პრეცედენტული სამართლით, არის, რომ სახელმწიფოს ექსტრატერიტორიული პასუხისმგებლობა სახეზეა იმ ხარისხით, რა ხარისხითაც მისი წარმომადგენლები ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას სავარაუდო მსხვერპლებზე ან მათ საკუთრებაზე (იხ. *Cyprus v. Turkey*, №№. 6780/74 და 6950/75, კომისიის 1975 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები 2, გვ. 150). ეხებოდა ეს ნამდვილად ოთხ განმცხადებელს მათ დაკავებამდე არსებულ მცირე მონაკვეთში 1992 წელს?

ფაქტობრივი ასპექტებისაგან განსხვავებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტები.

მე მითითებას ვაკეთებ ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტზე: ეს არის რეზოლუცია 56/83, რომელიც მიღებული იქნა 2001 წლის 12 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ, სახელწოდებით „სახელმწიფოების პასუხისმგებლობა საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული დარღვევებისათვის“, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი კომისიის რამდენიმე წლის მუშაობის შედეგია. საერთაშორისო სამართლებრივი კომისიის ნაშრომზე მითითებით განაჩენის 230-ე პუნქტი წამოჭრის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრობლემას საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის გამო და ხაზს უსვამს 321-ე პუნქტში „განგრძობად დარღვევებს“ რეზოლუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის ჩრილში. მაგრამ იმავე დოკუმენტის მე-13 მუხლის თანახმად, „სახელმწიფოს ქმედება არ წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფოს აკისრია შესაბამისი ვალდებულება იმ დროისათვის, როდესაც ქმედება განხორციელდა“.

ხსენებული წესი ნათლად ადასტურებს *ratione temporis* პრინციპს ჩვენს პრეცედენტულ სამართალში. სიტყვებით რომ გამოვხატოთ, განგრძობადი დარღვევის ხასიათის დადგენამდე (ჩვენს შემთხვევაში დაკავება და განმცხადებლების წინასწარი პატიმრობა) საჭირო იქნებოდა დავრწმუნებულიყავით, რომ სავარაუდო დარღვევა არ ხვდება სასამართლოს იურისდიქციის გარეთ *ratione temporis* პრინციპის საფუძველზე.

რაც შეეხება პრინციპს *ratione temporis*, რომელიც წარმოადგენს ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ დასაყრდენს, მე ძალიან ვმიშობ, რომ ეს პრინციპი დაკნინდება „იურისდიქციის“ ცნების ისეთი განმარტებით, როგორც წინამდებარე საქმეში მოხდა და რომელიც შემდეგნაირად უღერს: „სასამართლოს მი-

აჩნია, რომ, ზემოხსენებული მოვლენების გათვალისწინებით, განმცხადებლები ხვდებოდნენ რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ როდესაც ხსენებული განხორციელდა, კონვენცია არ იყო ძალაში შესული რუსეთის ფედერაციისათვის“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 384-ე პუნქტი).

მართლაც, ვინაიდან არც მოლდოვას და არც რუსეთს არ ჰქონდათ ხელმოწერილი კონვენცია იმ დროისათვის (1992), ისინი არ შეიძლება დადანაშაულებულნი იქნენ იმ საერთაშორისო ვალდებულების დარღვევაში, რომლის შესრულებაც იმ დროისათვის მათთვის არ იყო სავალდებულო. შესაბამისად, ხსენებული რეზოლუციის არც მე-14 მუხლი (საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის განგრძობადობა) და არც მე-15 მუხლი (დარღვევა, რომელიც შედგება რამდენიმე ქმედებისაგან) არ გამოიყენება, რის საპირისპიროც სასამართლომ დაადგინა თავის განაჩენში (იხ. წინამდებარე განაჩენის 321-ე პუნქტი).

მეორეს მხრივ, საერთაშორისო სამართლებრივი კომისიის ნაშრომის დებულება სრულ შესაბამისობაშია რუსეთის სავარაუდო პასუხისმგებლობასთან, რადგან იგი ამყარებს ფორსმაჟორის ჰიპოთეზას:

*„სახელმწიფოს ქმედება, რომელიც არღვევს ამ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას, არ ჩაითვლება დარღვევად, თუკი ქმედება გამომწვეულია ფორსმაჟორული სიტუაციით, ანუ ისეთი ძალის ზემოქმედებით, რომლისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია ან გაუთვალისწინებელი იყო ასეთი მოვლენის მოხდენა, იგი სახელმწიფოს კონტროლის ფარგლებს მიღმა იყო და შეუძლებელს ხდიდა შექმნილ გარემოებებში ვალდებულების შესრულებას“ (მუხლი 23, პუნქტი 1).*

ჩემი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: წარმოადგენს თუ არა სამოქალაქო ომი ფორსმაჟორულ სიტუაციას ზემოხსენებული 23-ე მუხლის მნიშვნელობით, გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე სახელმწიფოს, რუსეთის ფედერაციას, არ მოუხდენია სიტუაციის ინსპირირება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი არ არსებობდა როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი?

ჩემი აზრით, სასამართლოს არ შეუძლია გადაუხვიოს კომისიის მოსაზრებით დადგენილი წესიდან, რომელიც გააუღებელი იქნა *Ribitsch*-ის საქმეში: იმის განსაზღვრისას, სახეზეა თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, სასამართლო იყენებს კონვენციის დებულებებს კონვენციის მიზნისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების ქრილში. კომისიის სიტყვებით: „კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობა მისი ყველა ორგანოს, წარმომადგენლისა და მოსამსახურის ქმედებიდან, არ მოითხოვს აუცილებლად სახელმწიფოს მხრიდან „ბრალეულობას“ როგორც მორალური, ასევე სამართლებრივი თუ პოლიტიკური გაგებით“ (*Ribitsch v. Austria*, 1995 წლის 4 დეკემბრის განაჩენი, სერია A №. 336, კომისიის მოსაზრება, გვ. 37, პუნქტი 110).

#### IV. კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევა

რაც შეეხება სასამართლოს მიერ გამოტანილ დასკვნას მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის მიერ 34-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, მინდა

აღვნიშნო, რომ გაოგნებული ვარ მოპარული დოკუმენტის გამოყენებით (ან ნაყიდი დოკუმენტის — არა აქვს მნიშვნელობა) — რომელიც წარმოადგენდა დიპლომატიურ ნოტას. მე ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები იმის აღნიშვნით, რომ ყველა სასამართლო სამართალწარმოების ელემენტარულ პრინციპს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული. დიპლომატიური მიმოწერის კონფიდენციალურობის დარღვევის წახალისება, რაც წინააღმდეგობაში მოდის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენციასთან, კერძოდ კი მის 24-ე მუხლთან, რომელიც აცხადებს, რომ დიპლომატიური მისიების არქივები და დოკუმენტები „ხელშეუხებელი უნდა იყოს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას“, და რაც განხორციელდა დოკუმენტის ციტირებით (იხ. განაჩენის 278-ე პუნქტი) და მისი შინაარსის მხედველობაში მიღებით (იხ. განაჩენის 481-ე პუნქტი), ჩემი აზრით, შეუფერებელია ევროპული მართლმსაჯულების ორგანოსათვის.

კონფიდენციალური კონსულტაციები წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალურ პრაქტიკას — და მართლაც, ხსენებული პრაქტიკა გამყარებულია რუსეთ-მოლდოვის 2001 წლის 19 ნოემბრის ხელშეკრულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით, რომლის თანახმადაც: „მყარად ემხრობიან რა მშვიდობისა და უსაფრთხოების განხორციელებას, მაღალი ხელშეკრული მხარეები რეგულარულად გამართავენ კონსულტაციებს უმთავრეს საერთაშორისო პრობლემებთან და ორმხრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით. ასეთი კონსულტაციები და აზრთა ურთიერთგაცვლა მოიცავს ურთიერთქმედებებს ეუთო-ს, ევროპის საბჭოსა და სხვა ევროპული სტრუქტურების ორგანოების შიგნით.“ გარდა ამისა, არასწორი გზით მოპოვებული დიპლომატიური ნოტის წარმოდგენით განმცხადებლებმა დაარღვიეს განაცხადის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო წესი (კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი) და, ამგვარად, პასუხისმგებელი შეიქმნენ სასამართლოს პრაქტიკის კარგად ცნობილ შედეგებზე. სამწუხაროდ, მათ არ გაიზიარეს ასეთი ბედი. როგორც უკვდავი ლა ფონტენი იტყოდა: „ვილაცამ მითხრა მე, მე შური უნდა ვიძიო“.

## V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

რაც შეეხება განმცხადებლისათვის მინიჭებულ თანხებს, განსაკუთრებით პირველი განმცხადებლისათვის, რომელიც გათავისუფლებულია 2001 წლის შემდეგ, სასამართლო, ჩემი აზრით, გასცდა წინათ დაფიქსირებული თანხების ფარგლებს, რომლებსაც იგი აკუთვნებდა ხოლმე კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების დარღვევის შემთხვევაში, თვით ყველაზე შემადრწუნებელი დარღვევების დროსაც კი. გადალახა რა სულ ახლახანს დადგენილი ფარგლები ასანიდის ზემოხსენებულ საქმეში, რომელშიც მიაკუთვნა 150 000 ევრო „ყველა განცდილი ზიანისათვის“, სასამართლო ახლა უფრო შორს წავიდა წინამდებარე საქმეში სავარაუდოდ განმცხადებელთა პატიმრობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე. რაც არის, არის, მაგრამ მე პრეტენზიას ვაცხადებ იმის დადგენასთან დაკავშირებით, რომ ადგილი არ ჰქონდა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას, სასამართლომ აუცილებლად ჩათვალა ეს ხსენებინა მატერიალური და მორალური ზიანი, განაცხადა რა განაჩენის 489-ე პუნქტში, რომ „სასამართლო არ თვლის,



რომ განცდილი იყო სავარაუდო მატერიალური ზიანი, მაგრამ სასამართლო არაგონივრულად არ თვლის, მიიჩნის, რომ განმცხადებლებმა განიცადეს შემოსავლის დაკარგვა და, შესაბამისად, მოუხდათ გარკვეული თანხების გაღება, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობდა დადგენილი დარღვევებიდან“. ჩემი აზრით, ხსენებული არგუმენტი ვერ გვარწმუნებს და საშიშიც კი არის მომავალი პრეცედენტული სამართლისათვის, რადგან წინდაუხედავად და გაუთვალისწინებლად ხდის თავსახურს პანდორას ყუთს.

## VI. არის თუ არა განაჩენი განხორციელებადი?

ბოლოს მე ვაანალიზებ მეორე მოპასუხე სახელმწიფოსათვის ობიექტურ შეუძლებლობას, აღასრულოს განაჩენი, რომლის განხორციელებაც მოლდოვასაც კი არ შეუძლია, განსაკუთრებით კი იმ კუთხით, რომ ბოლო მოელოს განმცხადებელთა პატიმრობას (მე ხმა მივეცი ამის სამოტივაციო ნაწილის 22-ე პუნქტის სასარგებლოდ ყველა შესაძლო მიდგომის ჭრილში). კვლავაც უფრო ძნელი იქნება ზოგადი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მოითხოვება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ. *Drozd and Janousek*-ის საქმეში სასამართლომ განაცხადა: „კონვენცია არ მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოსაგან, რომ დამყარებული იქნეს სტანდარტები მესამე სახელმწიფოებში თუ ტერიტორიებზე“ (*Drozd and Janousek v. France and Spain*, 1992 წლის 26 ივნისის განაჩენი, სერია A №. 240, გვ. 34, პუნქტი 110). როდესაც ხსენებულს გადავთარგმნით საერთაშორისო სამართლის ენაზე, ეს ნიშნავს, რომ არც კონვენცია და არც რომელიმე ტექსტი არ მოითხოვენ ხელშემკვრელი სახელმწიფოებისგან, რომ მათ გაატარონ საპირისპირო ღონისძიებები და ბოლო მოუღონ უცხოელის პატიმრობას უცხო ქვეყანაში — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ (რეზოლუცია 26/113 1981 წლის 9 დეკემბერი) კვლავაც ძალაშია. მანამ, სანამ წაიკითხავს ჩვენს განაჩენს, ხალხი პატივს სცემს ძველი ევროპის გულში ახალი ჰიბრიდის სახით აღმოცენებულ უფლებას. მაგრამ მე ძალიან ვეჭვობ, რომ ეს სასურველ განვითარებამდე მიგვიყვანს.



**ილაშკუ, ივანტოში, ლეშკო და პეტროვ-პოპა  
მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ**

(განაცხადი №48787/99)

განაჩენი

დანართი

სასამართლოს დელეგატებისათვის მოწვევის მიერ მიცემული  
ჩვენებების რეზიუმე

სტრასბურგი

2004 წლის 8 ივლისი

წინამდებარე განაჩენი საბოლოოა, მაგრამ იგი შესაძლოა  
დაექვემდებაროს რედაქტირებას.

## 1. ილია ილაშვი

1. 1992 წლის ივნისში დაკავებამდე განმცხადებელი დაახლოებით 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ტირასპოლში. 1992 წელს განმცხადებელი იყო ტირასპოლში განთავსებული საწარმოს მთავარი ეკონომისტი. იგი ასევე იყო მოლდოვის დემოკრატიული ქრისტიანული სახალხო ფრონტის ტირასპოლის ფილიალის ლიდერი. ეს თანამდებობა მას ეკავა 1989 წლის ოქტომბერში პარტიის შექმნის შემდეგ. მისი პოლიტიკური საქმიანობის გამო მასზე ხორციელდებოდა ზენოლა, მის სახლში შეაგდეს ხელყუმბარები და ქვები და ბოლოს იგი გათავისუფლებული იქნა უფროსი ეკონომისტის თანამდებობიდან. თებერვალში მის ოჯახს უნდა ეთხოვა ლტოლვილთა თავშესაფარი კიშინიოვში, თუმცა განმცხადებელი რჩებოდა ტირასპოლში.

2. 1992 წლის 2 ივნისის დილას, დაახლოებით 4 საათსა და 30 წუთზე, ეზოში მისმა ძაღლმა დაიწყო ყეფა, განმცხადებელმა გაიხედა ფანჯრიდან და დაინახა შეიარაღებული ჯარისკაცები, რომლებსაც ეცვათ სამხედრო ფორმები და ატარებდნენ ტყვიისაგან დამცავ ჟილეტებს. ეს ჯარისკაცები გადაეკლნენ მესერს და დაიკავეს საბრძოლო პოზიცია. ჯარისკაცები ატარებდნენ მე-14 არმიის უნიფორმებს საბჭოთა კავშირის ემბლემებით.

განმცხადებლის ოჯახს, რომელიც ტირასპოლში რამდენიმე დღით იყო ჩამოსული, ეძინა. განმცხადებელი ჩავიდა სახლის კარის (რომელიც ღია იყო) ჩასაკეტად. კარი უეცრად გაიღო, 5-6 ჯარისკაცი შევარდა სახლში და სახეში გაარტყეს მას ავტომატის კონდახი, შემდეგ კი ზურგს უკან შეუტყვეს ხელები. შემდგომში იგი წაიყვანეს „ვოლგის“ ტიპის ავტომანქანით. როდესაც გარეთ გამოიყვანეს, განმცხადებელმა დაინახა ორი შეიარაღებული მანქანა ქუჩის ბოლოში, და 50-60 ჯარისკაცი, რომლებსაც წინ მოუძღოდა პოლკოვნიკი, მას უკან მოჰყვებოდა ვიცე-პოლკოვნიკი, რომლის სახელი და გვარიც, როგორც ეს განმცხადებელმა მოგვიანებით შეიტყო, იყო ვლადიმერ გორბოვი. იმ პირებს შორის, ვინც მისი სახლის ჩხრეკა დაიწყო, განმცხადებელმა იცნო ასევე ვიქტორ გუშანი დნესტრისპირეთის საიდუმლო სამსახურიდან. განმცხადებლის მტკიცებით, მას სახლში არ ჰქონია არავითარი იარაღი ან ასაფეთქებელი მასალა. როდესაც განმცხადებლის ცოლი შეეკითხა ჯარისკაცებს, თუ რატომ დააკავეს მისი ქმარი, ბ-ნმა გუშანმა უპასუხა, რომ მიზეზს წარმოადგენდა განმცხადებლის მოლდოვის სახალხო ფრონტის ლიდერობა და რადგან ისინი საომარ მდგომარეობაში იყვნენ მოლდოვასთან, განმცხადებელი წარმოადგენდა საშიშროებას და ამიტომაც უნდა დაპატიმრებულიყო.

3. განმცხადებელი წაიყვანეს ტირასპოლის უშიშროების სამინისტროს შენობაში და ჩასვეს მის ქვეშ მოთავსებულ საკანში. როდესაც პირველად დააკავეს, განმცხადებელს უთხრეს, რომ მის სახლში ნაპოვნი იქნა იარაღი და იგი ეჭვმიტანილი იყო სახლში იარაღის უკანონო შენახვაში.

4. გარკვეული დროის შემდეგ განმცხადებელი აიყვანეს ოთახში და იგი დაკითხა ვადიმ შევცოვმა, „მდრ-ს უშიშროების მინისტრმა“, და სხვა სამმა პოლკოვნიკმა, რომლებსაც მე-14 არმიის უნიფორმები ეცვათ. მესამე დღეს დაკითხვები დაიწყო ლამითაც. ერთი დაკითხვა ჩაატარა ვლადიმერ გორბოვმა, მეორე კი სამმა პოლკოვნიკმა. განმცხადებელმა მცველებისაგან გაიგონა, რომ სამი პოლკოვნიკი მე-14 არმიის საიდუმლო კონტრდაზვერვის სამსახურის განყოფილებიდან იყო.

ბ-ნი გორბოვის მიერ ჩატარებული დაკითხვისას, რომელიც ეხებოდა მის პოლიტიკურ საქმიანობას, განმცხადებელს ბრალი დასდეს სლობინის რაიონში ტერორისტული აქტის ჩადენაში. მეორე დაკითხვისას მას შესთავაზეს გარიგება, რომლის თანახმადაც მას უნდა ელიარებინა, რომ, როგორც სახალხო ფრონტის ლიდერი, თანახმა იყო თანამშრომლობაზე, რომ მას ამზადებდნენ რუმინეთში სპეციალური ჯარების შემადგენლობაში, ბრასოვთან ახლოს, რომ მას იარაღით ამარაგებდნენ რუმინელები და იგი გამოავაზენეს დნესტრისპირეთში ტერორისტული აქტების მოსაწყობად დნესტრისპირეთში რუსეთის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. განმცხადებელმა უარი განაცხადა ასეთ გარიგებაზე. შესაბამისად, მას ხანგრძლივად სცემდნენ და ფსიქოლოგიურ ტანჯვას აყენებდნენ.

5. პატიმრობის პირველი კვირის განმავლობაში მას აბსოლუტურად არ აჭმევდნენ. პირველადი დაკითხვებისას ხშირად მას არ აძლევდნენ ძილის საშუალებას. დარაჯები საკანში შედიოდნენ დილის 5 საათზე, სანოლს კეცავდნენ კედლის გასწვრივ და ამის შემდეგ მას აღარ ჰქონდა შესაძლებლობა, დაეძინა, სანამ სანოლს ისევ არ ჩამოუშვებდნენ.

6. 5 თუ 6 დღის შემდეგ, შესაძლოა კიდევ უფრო გვიან, განმცხადებელს აუხვიეს თვალები და წაიყვანეს სხვა ადგილას. როდესაც მას მისცეს საჭმელი, განმცხადებელმა დაინახა მე-14 არმიის ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები, რომლებმაც უთხრეს, რომ იგი იმყოფებოდა მე-14 არმიის სამხედრო გარნიზონში. მეორე დღეს განმცხადებელი მიხვდა, რომ იცოდა, რა შენობა იყო ეს, რადგან ნამყოფი იყო იქ ადრე, როდესაც დააკავეს 1989 წელს ასევე მე-14 არმიის წარმომადგენლებმა სახალხო ფრონტის დაარსების შემდეგ.

7. იმ დროისათვის, როდესაც განმცხადებელი დაკავებული იყო მე-14 არმიის სამხედრო გარნიზონში 1992 წელს, მეთაური იყო პოლკოვნიკი ბერგმანი, რომელიც განმცხადებელს ახსოვს ერთადერთ ადამიანად, რომელიც ჰუმანურად ეპყრობოდა. ბ-ნი ბერგმანი არასოდეს იღებდა მონაწილეობას მის დაკითხვაში.

იქ პატიმრობის პერიოდში განმცხადებელმა ნახა მხოლოდ ბ-ნი გოდიაცი და ბ-ნი ივანტოში. ერთ დღეს მისი საკნის კარი გაიღო და გორბოვმა, ბერგმანმა და სხვა გამომძიებლებმა მოსთხოვეს ივანტოშს, ამოეცნო იგი, რაც ივანტოშმა გააკეთა. განმცხადებელი არ იცნობდა ბ-ნ ივანტოშს იმ დროისათვის, მაგრამ ივანტოში, როგორც ჩანს, იცნობდა მას, რადგან იგი იყო სახალხო ფრონტის ლიდერი.

8. მე-14 არმიის სამხედრო გარნიზონში პატიმრობისას განმცხადებელი რამდენიმეჯერ იქნა გაყვანილი დაკითხვაზე სხვადასხვა ოთახებში სავარაუდოდ მე-2 სართულზე, საკნის ზემოთ მდებარე სართულზე. მას ძალიან ცუდად არ ეპყრობოდნენ, რადგან ოთახები თეთრად იყო შეღებილი და არსებობდა მათზე კვალის დარჩენის შესაძლებლობა, თუმცა დაკითხვები ასევე გრძელდებოდა ღამითაც, მის საკანში, რომლის კედლები შავად იყო შეღებილი. იქ მას ძალიან სასტიკად სცემდნენ. ასეთი ცემის დროს განმცხადებელს ჩაემტვრა რამდენიმე კბილი. ცემის შედეგად განმცხადებელს გაუჩერდა თირკმელი.

9. განმცხადებელი ასევე ექვემდებარებოდა ფსიქოლოგიურ წამებას. მას ეუბნებოდნენ, რომ კაზაკები მივიდნენ მის სახლში, მოიტაცეს მისი ცოლი და ორი ქალიშვილი და გააუპატიურეს ისინი, რომ მისი ცოლი და ერთ-ერთი ქალიშვილი იპოვნეს და წაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მაგრამ მეორე

ქალიშვილი ვერ იპოვნეს. შემდეგ მას სთავაზობდნენ აღიარების მიცემასა და ხელმოწერას. 3 დღის შემდეგ ბ-ნი გორბოვი დაბრუნდა და უთხრა მას, რომ მისი მეორე ქალიშვილი მკვდარი იქნა ნაპოვნი და აიძულებდა განმცხადებელს, ხელი მოეწერა აღიარებაზე, რათა წასულიყო სახლში და ქრისტიანულად დაესაფლავებინა ქალიშვილი. განმცხადებელმა დაკარგა კონტროლი თავზე და გაარტყა გორბოვს. ამის შემდეგ მას ძალზე ცუდად მოეპყრნენ.

10. მე-14 არმიის ბაზაზე პატიმრობის პერიოდში განმცხადებელი ოთხჯერ დაექვემდებარა სიკვდილით ფიქტიურ დასჯას.

11. სულ განმცხადებელი მე-14 არმიის სამხედრო გარნიზონში პატიმრობაში იმყოფებოდა 2 თვის განმავლობაში. 23 აგვისტოს ბ-ნმა ბერგმანმა წარუდგინა განმცხადებელი მე-14 არმიის ახალ ხელმძღვანელს, ალექსანდრე ლებელს. განმცხადებელსა და ბ-ნ ლებელს შორის რამდენიმეწუთიანი საუბრის შემდეგ მე-14 არმიის ახალმა სარდალმა 2 საათიანი ვადა მისცა ბ-ნ ბერგმანს, რათა განმცხადებელი იქიდან მოეცილებინათ. იმავე დღეს ბ-ნმა ბერგმანმა, რომელსაც თან ახლდნენ მე-14 არმიის 5-6 ოფიცერი და 4 ჯარისკაცი ავტომატებით და ძალლით სახელად ჩენკი, წაიყვანეს განმცხადებელი მანქანით ტირასპოლის ქალაქის პოლიციის შტაბბინაში. განმცხადებელი დატოვეს დერეფანში. ბ-ნმა ბერგმანმა გაბრაზებული ტონით უთხრა ბ-ნ შევეცოვს, რომ მას აღარ სურდა განმცხადებლის ყოფნა მე-14 არმიის ტერიტორიაზე და ამის შემდეგ წავიდა.

12. განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა ტირასპოლის საქალაქო პოლიციის შტაბბინის სარდაფში დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში და შემდეგ გადაყვანილი იქნა ტირასპოლის №2 საპყრობილეში მის მსჯავრდებამდე. გამოძიების პერიოდში იგი საკანში სხვა პატიმრებთან ერთად იყო მოთავსებული.

13. მსჯავრდებიდან ერთი კვირის შემდეგ, 1993 წლის 9 დეკემბერს, განმცხადებელი გადაიყვანეს ჰლინაიას ციხეში სპეციალურად სიკვდილმისჯილთათვის მომზადებული საკანში. მან ამ საკანში 9 წელი გაატარა მარტომ.

იქ იგი დაექვემდებარა ძალიან უხემ მოპყრობას. იგი მრავალჯერ სცემეს. საჭმელად აძლევდნენ პურს და ჩაის, ხოლო სადილად – „ბალანდას“. მას ხშირად სვამდნენ ასევე კარცერში. დაკავებისას განმცხადებელი იწონიდა 95 კილოგრამს, ხოლო 6 თვის შემდეგ მხოლოდ 57-ს. მას არ აძლევდნენ უფლებას, მოენახულებინა თავისი ოჯახი ან მიეღო ამანათები. განმცხადებლისთვის გამოგზავნილი საჭმლის ამანათები ზოგჯერ აბსოლუტურად განადგურებული იყო ხოლმე. ყოველი ვიზიტი უნდა ყოფილიყო შეთანხმებული და დამტკიცებული. ზოგჯერ ვიზიტების დამტკიცება არ ხდებოდა, ზოგჯერ ხდებოდა, მაგრამ როდესაც მისი ცოლი მიუახლოვდებოდა ხოლმე ციხის ჭიშკარს, განმცხადებელს არ აძლევდნენ მისი ნახვის უფლებას. მას არ აძლევდნენ შესაძლებლობას, მიეწერა წერილი, ასე რომ უხდებოდა სხვა საშუალებების გამოყენება ციხიდან შეტყობინების გასაგზავნად. რადგან განმცხადებელს უნდოდა, რომ მის მოსანახულებლად დედამისი მისულიყო, მას უთხრეს, რომ უნდა დაეწერა სპეციალური თხოვნა ბ-ნი სმირნოვის სახელზე. განმცხადებელმა უარი განაცხადა, ცინაიდან არ აღიარებდა „მდრ“-ს, და შედეგად არ დართეს ნება, ენახა დედა, რომელიც გარდაიცვალა მისი ციხეში ყოფნის დროს.

14. მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა ხმა მისცა მოლდოვის პარლამენტში

სტურზას მთავრობას, ხსენებულმა დაუყოვნებლივ ჰპოვა ასახვა მასთან განხორციელებულ ვიზიტებზე: 1999 წლის აპრილიდან 2000 წლის იანვრამდე მას არ აძლევდნენ ნებას, შეხვედროდა ოჯახის წევრებს. ამის შემდეგ მას მუდმივად სჯიდნენ სხვადასხვანაირად — მაგალითად, ჩამოართვეს რადიო.

15. ზამთარში არ იყო გათბობა, რადგან არ იყო ამის ტექნიკური შესაძლებლობა. ტემპერატურა ეცემოდა -10 გრადუს ცელსიუსამდე. განმცხადებელს არ მიუღია შხაპი 6 თვის განმავლობაში და უხდებოდა ცივ წყალში გარეცხვა. მას ჰქონდა დღის სინათლე და თვით ელექტრონათურაც კი.

16. როდესაც განმცხადებელმა მოითხოვა მკურნალობა ციხის ექიმისაგან, მას განუცხადეს, რომ არ ჰქონდათ წამლები. წამლები მოჰქონდა მხოლოდ განმცხადებლის ცოლს. ექიმები, რომლებმაც განმცხადებელი გასინჯეს, კიშინიოვიდან იყვნენ ჩამოსულები.

17. განმცხადებელს არასოდეს მიუმართავს საჩივრით ტირასპოლის ხელისუფლების ორგანოებისათვის, რადგან არ აღიარებდა მათ, თავისი საჩივრებით იგი მხოლოდ კიშინიოვის კანონიერი ხელისუფლების ორგანოებს მიმართავდა.

18. 1998 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა რამდენიმეჯერ სცადა გაქცევა, იგი გადაიყვანეს ტირასპოლის №2 საპყრობილეში, რომელიც უკეთ იყო დაცული.

ტირასპოლის საპყრობილეში მოპყრობა ზოგჯერ უკეთესი იყო, ზოგჯერ კი უარესი ჰლინაიას საპყრობილესთან შედარებით.

19. საკანში იყო ტუალეტი და ცივი წყალი. საპყრობილის ყველა დარაჯი არ იყო მტრულად განწყობილი განმცხადებლისადმი, მაგრამ უშიშროების ბრიგადის (რომელიც შეეცოვს ექვემდებარებოდა) წევრები არასათანადოდ ეპყრობოდნენ მას. ციხის მმართველი და მცველები შედარებით კარგად ექცეოდნენ განმცხადებელს. პოლკოვნიკი გოლოვაჩევი, ციხის მმართველი, აცხადებდა: „მე არ შემიძლია შევაჩერო საიდუმლო სამსახურები, რომ არასათანადოდ აღარ მოგექცნენ“.

20. 1999 წლის აპრილში განმცხადებელმა განაცხადი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. თავდაპირველ ეტაპზე, როდესაც ტირასპოლის ხელისუფლების ორგანოებმა შეიტყვეს ხსენებულის შესახებ, მას უფრო უხეშად ეპყრობოდნენ. ცემით არ სცემდნენ, მაგრამ უარი უთხრეს ცოლთან შეხვედრაზე, მისთვის გაგზავნილი ნიგნები ამოღებული იქნა, არ აძლევდნენ საკნის გარეთ სავარჯიშოდ გასვლის საშუალებას, ეწყობოდა ხშირი ჩხრეკა მის საკანში და ა.შ. ხსენებული ასევე განმეორდა მას შემდეგ, რაც იგი მოინახულა ფრანგმა პარლამენტარმა ჟოზეტე დურიექსმა, რომელმაც ურჩია განმცხადებელს პირველ რიგში განაცხადის წარდგენა.

იმავე პერიოდში ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რომლის დროსაც განმცხადებელი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას ბ-ნი გუსაროვისა და საიდუმლო სამსახურის სხვა წარმომადგენლების მხრიდან. მან იკითხა, თუ რატომ ექვემდებარებოდა ასეთ მკაცრ ჩხრეკას, მაგრამ გამოათრიეს საკნიდან და ჩაართყვეს ავტომატის კონდახი. საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პირში ლულა ჩაუდო, კბილი გაუტეხა და ემუქრებოდა, რომ უფრო მეტი მოუვიდოდა, თუკი კვლავ მიჰყვებოდა ევროპულ სასამართლოში შეტანილ განაცხადს. ბ-ნი ივანტოშიც ანალოგიურ მოპყრობას დაექვემდებარა ბ-ნი გუსაროვის მხრიდან.

21. საიდუმლო სამსახურები დროდადრო მიდიოდნენ ხოლმე განმცხადე-

ბელთან მოთხოვნით, გამოეტანა განაცხადი. 2001 წლის 5 მაისს დილას მისი საკნის კარი გაიღო. მას მისცეს 5 წუთი ნივთების მოსაკრებად. იგი შიშველი იყო, როდესაც დნესტრისპირეთის ორი სატელევიზიო არხი მის საკანში მიმდინარე მოვლენებს იღებდა, მიუხედავად მისი თხოვნისა, არ გაეკეთებინათ ეს. იგი წაიყვანეს ბ-ნ სმირნოვთან შესახვედრად, როგორც მას განუცხადეს, იმიტომ, რომ დასავლეთის წარმომადგენლებს სურდათ მასთან შეხვედრა. დერეფანში 5-6 სამოქალაქო პირი იდგა, რომელთაგან ზოგიერთი დნესტრისპირეთის უზენაესი საბჭოს წევრები იყვნენ, ხოლო ზოგიერთს იარაღი ეკავა.

განმცხადებელი ჩასვეს მანქანაში ბ-ნ შევცოვთან ერთად. როდესაც ისინი მივიდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც კონტროლდებოდა კიშინიოვის მიერ, განმცხადებელი ხელბორკილებით მიაბეს ორ ჯარისკაცს. იგი წაიყვანეს პრეზიდენტის სასახლეში კიშინიოვში, შემდეგ კი უშიშროების სამინისტროში. ბ-ნმა შევცოვმა ამოიღო დოკუმენტი, რომლის თანახმადაც პატიმარი ილიე ილაშკუ გადაეცა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს. მან განუცხადა განმცხადებელს, რომ სასიკვდილო განაჩენი კვლავაც ძალაში რჩებოდა და მას არანაირი სურვილი აღარ გააჩნდა მისი მეორედ ნახვისა. განმცხადებელი წაიყვანეს მოლდოვის უშიშროების სამინისტროში, სადაც დაკითხეს.

22. რაც შეეხება ე.წ. შეწყალებას, ბ-ნი ბალალა მივიდა განმცხადებლის სანახავად გათავისუფლებამდე 2 დღით ადრე, რათა დალაპარაკებოდა მას. თუმცა განმცხადებელმა უარი განაცხადა შეწყალების შემოთავაზებაზე, რადგან დნესტრისპირელები მოითხოვდნენ მისი მხრიდან ბრალის აღიარებას.

23. გათავისუფლების შემდეგ განმცხადებელი ესაუბრა მოლდოვისა და რუმინეთის საიდუმლო სამსახურების წარმომადგენლებს მისი კოლეგების შესახებ, რომლებიც რჩებოდნენ დნესტრისპირეთის ციხეში. მათ უთხრეს განმცხადებელს, რომ ხორციელდებოდა ზენოლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მხრიდან რუსეთის პრეზიდენტ ბ-ნ პუტინზე.

24. განმცხადებელს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ სწორედ რუსები იდგნენ მისი გათავისუფლების უკან, რადგან სწორედ მათ განაცხადეს, რომ სთხოვდნენ დნესტრისპირელებს მის გათავისუფლებას. რუმინეთის პრეზიდენტმა ბ-ნმა ილიესკუმ დაურეკა კიდეც ბ-ნ პუტინს. განმცხადებლის მტკიცებით, ბ-ნი შევცოვი რუსეთის მოქალაქეა და წარმომადგენს რუსეთის საიდუმლო სამსახურებს.

25. რაც შეეხება მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების დამოკიდებულებას მისი გათავისუფლების მიმართ, განმცხადებელი აცხადებს, რომ დნესტრისპირელების მიერ დაკავებული 33 პირი გაცვალეს მოლდოვის მიერ დაკავებულ კაზაკებზე. 1992 წლის ივნისში მოლაპარაკება მიდიოდა მის გაცვლაზე პრეზიდენტ ელცინთან შეთანხმების შედეგად. მოლაპარაკებები გრძელდებოდა საბაჟო ბეჭდებთან, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და პატიმრების, განსაკუთრებით ავადმყოფი პატიმრების გაცვლასთან დაკავშირებით. თუმცა, განმცხადებლის მტკიცებით, მის შემთხვევაში მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა არ გააკეთეს ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო.

26. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რაც ხდება დნესტრისპირეთში. რუსეთის ფედერაცია წარმომადგენს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს. 1992 წელს აღარ არსებობდა საბჭოთა კავშირი. ომი მიმდინარეობდა რუსეთსა და მოლდოვას შორის.



მე-14 არმია მონაწილეობას იღებდა მოლდოვის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიაში, იგი დნესტრისპირეთის ძალებს ამარაგებდა იარაღით — მათ შორის ავტომატებით, ტანკებით, ჯავშანმანქანებით, მართვადი სარაკეტო სისტემებით. დნესტრისპირეთში არის მხოლოდ ერთი შეიარაღებული ძალების შტაბბინა და ეს არის მე-14 არმიის შტაბბინა. საბრძოლო ველზე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ბრძანებები სწორედ იქიდან გაიცემოდა. გენერალი ლეხედი იბრძოდა მოლდოვის წინააღმდეგ, მაგრამ მან გადაარჩინა განმცხადებლის სიცოცხლე, რადგან უარი განაცხადა განმცხადებლის გადაცემაზე იმ დნესტრისპირელებისთვის, რომლებიც მივიდნენ მის წასაყვანად ბრძოლის ველზე მეგობრების დაკარგვის ტრაგედიით ალტკინებულნი.

დნესტრისპირეთის უზენაესმა საბჭომ თავისი ხელისუფლების ქვეშ შეიყვანა მე-14 არმია. გენერალი ლეხედი არჩეულიც კი იყო დნესტრისპირეთის პარლამენტის წევრად. მე-14 არმიის რუსი ოფიცრები წარმართავდნენ სამხედრო ოპერაციებს და დნესტრისპირეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები მხოლოდ სიმბოლურად იყვნენ ამაში ჩართულნი. როდესაც გენერალი იაკოვლევი დაკავებული იქნა კონფლიქტის წინ კომინიოვში, აღნიშნული განხორციელდა სწორედ იმ ეჭვის საფუძველზე, რომ იგი აიარაღებდა დნესტრისპირელებს მე-14 არმიის იარაღით. განმცხადებელს ბ-ნმა ლეშკომ, რომელიც მუშაობდა ქარხანაში, შეატყობინა, რომ მე-14 არმიის წარმომადგენლებს იარაღი მიჰქონდათ ქარხანაში, რათა შეეიარაღებინათ იქაური მუშები.

რუსეთის ფედერაცია ცდილობდა დნესტრისპირეთის მხარდაჭერას. იგი მხარს უჭერს დნესტრისპირეთის რეჟიმს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. რუსეთი უფასოდ აძლევს დნესტრისპირეთს ბუნებრივ აირს, კრედიტის სახით დნესტრისპირეთს მისცა 79-80 მილიონი ამერიკული დოლარი, ბაზრები ღიაა დნესტრისპირეთისათვის. ბ-ნი სმირნოვი იღებდა სამხედრო ჯილდოებს რუსეთიდან. რუსეთის ფედერაცია იცავს ამ უკანონო რეჟიმს, თვით სტრასბურგში გამართული სამართალწარმოების პროცესშიც კი. განმცხადებელი თვლის, რომ ეს არ არის ეთნიკური კონფლიქტი, არამედ ატარებს პოლიტიკური კონფლიქტის სახეს. დნესტრისპირეთის ტერიტორია რუსეთის ფედერაციის კონტროლის ქვეშ არის.

27. რაც შეეხება მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს, სიმართლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები მტრულად იყვნენ მათდამი განწყობილნი. განმცხადებლის მტკიცებით, დნესტრისპირელები ფაშისტები და იმპერიალისტები არიან. განმცხადებელი მზად იყო, უკან გაეტანა მის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადი მოლდოვასთან მიმართებაში იმ პირობით, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები წარუდგენდნენ მას 1991-1992 წლების კონფლიქტში რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობის აღმწერ დოკუმენტებს. განმცხადებელმა უწყის, რომ მოლდოვას გააჩნია ასეთი მასალები — დოკუმენტები, ტყვედ აყვანილი რუსი ოფიცრების დაკითხვის ვიდეოჩანაწერები და ა.შ. განმცხადებლის მტკიცებით, ბ-ნმა მორეიმ, იუსტიციის მინისტრმა, განუცხადა მას, რომ მოლდოვის მთავრობა ვერ დაეთანხმებოდა ხსენებულ პირობას, რადგან გაზს მოლდოვას რუსეთის ფედერაცია აწვდიდა.

28. განმცხადებელი ჩივის, რომ ერთ-ერთი მოწმე, რომლის გამოძახებაც მას სურდა, ქ-ნი ოლგა ჩაპატინა, ნაცემი იქნა და საავადმყოფოში წევს.

29. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები განმცხადებელს განიხილავდნენ, როგორც პარლამენტის წევრს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სასჯელს იხდიდა და ციხეში იმყოფებოდა. თუმცა მთავრობის საიდუმლო სამსახურებმა, რომლებიც სათავეში მოვიდნენ 1992 წლის შემდეგ, მიატოვეს განმცხადებელი და მისი კოლეგები. მათ არ გაუკეთებიათ არაფერი, რათა უზრუნველყოთ განმცხადებლების გათავისუფლება. როდესაც განმცხადებელი გაათავისუფლეს, ბ-ნმა ვალერიუ პასატმა ირონიულად აღნიშნა: „ზოგიერთი პოლიტიკოსი ემიგრირებას აპირებს“. პრეზიდენტმა სნეგურმა განაცხადა, რომ განმცხადებელი ზედმეტად ემხრობოდა რუმინეთთან გაერთიანებას. მოლდოვის პარლამენტმა მიიღო რამდენიმე რეზოლუცია განმცხადებლის მხარდასაჭერად და მოითხოვა ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლება. მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გაუკეთებია პრაქტიკულად არაფერი ამის განსახორციელებლად. მოლდოვა ვერ ახორციელებდა ვერანაირ კონტროლს დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე 1992 წლიდან დღემდე.

## 2. ტატიანა ლეშკო

30. 1992 წლის ივნისში ქ-ნი ლეშკო ცხოვრობდა ტირასპოლში. იგი არ იყო სახლში, როდესაც მისი მეუღლე დააკავეს. მან რადიოთი შეიტყო 3 ივნისს, რომ დაკავებული იქნა ტერორისტთა ჯგუფი ილიე ილაშკუს მეთაურობით. 4 ივნისს იგი მივიდა მილიციაში, სადაც განუცხადეს, რომ გვარი ლეშკო არ ფიგურირებდა მათ ჩანაწერებში. 3 დღის განმავლობაში მას არ გააჩნდა არანაირი სახის ცნობა. 6 ივნისს პროკურორმა სტაროჯუკმა განუცხადა მას: „მე არ შემიძლია გითხრათ რაიმე“. იგი წავიდა სხვა პროკურორის სანახავად, მაგრამ არ შეუშვეს, უბრალოდ გამოაგდეს იქიდან. ქ-ნი ლეშკო დაბრუნდა მილიციის განყოფილებაში, სადაც სტაროჯუკი კითხავდა მონმეებს თავის კაბინეტში. მან განუცხადა, რომ მისი მეუღლე დაკავებული იყო ტერორისტული აქტების ჩადენის გამო. მიუხედავად იმისა, რომ მონმე 12 წლის განმავლობაში იყო გათხოვილი, მას არასოდეს გაუგია რაიმე ტერორიზმის შესახებ მთელი ამ 12 წლის განმავლობაში. 9 ივნისს მას ნება არ დართეს, ენახა მეუღლე. 10 ივნისს იგი ჩაიყვანეს სარდაფში, სადაც საშინელი სუნი იყო. მან ვერ იცნო ქმარი, რომელსაც თმები გაბურძგნოდა და ჩონჩხს უფრო ჰგავდა.

31. რაც შეეხება დაკავებას, მეზობლებმა განუცხადეს ქ-ნ ლეშკოს, რომ ეს მოხდა დილის 3 საათსა და 30 წუთზე. ბინის ჩხრეკა განხორციელდა 3 ივნისს. მონმეს მისმა ქმარმა უთხრა, რომ ფორმებში გამოწყობილი ჯარისკაცები მივიდნენ მის დასაკავებლად. ისინი ოთხნი იყვნენ. მას არ დაუნახავს, ვინ გააკეთა ეს. მას მეკარემ დაუძახა და უთხრეს, რომ ჩაეცვა და მათთან ერთად წასულიყო. იგი დაკავებული იქნა პოლიციის ოფიცრის, ბ-ნი გუსანის მიერ და წაიყვანეს „ვოლგის“ ტიპის მანქანით, რომელსაც მიჰყვებოდა ბ-ნი გუსანის ჯიპი 6 სხვა ადამიანით. იგი დაკითხეს ბ-ნმა გორბოვმა და ბ-ნმა ანტიუფეევმა, რომელიც ამჟამად დნესტრისპირეთის მთავრობის წევრია. იგი ჰყავდათ მილიციის შენობაში, სადაც ჩვეულებრივ მიჰყავთ დაკავებული სამოქალაქო პირები. 6 დღის განმავლობაში რეგისტრატურაში არანაირი ჩანაწერი არ ყოფილა გაკეთებული მასთან დაკავშირებით.

როდესაც მოწმემ დაინახა მეუღლე მილიციის შენობაში, სტაროჯუკი ასევე იქ იმყოფებოდა, ცალკე კაბინეტში. მოწმემ არ უნყოდა, თუკი ილაშკუც იქ იყო. იგი არ იცნობდა ილაშკუს პირადად. როდესაც მან ქმარი პირველად ნახა, იგი არაფერს აკეთებდა გარდა ჭამისა, მგელივით დააცხრა მიტანილ ქათამს და ბევრ წყალს აყოლებდა. მან ცოლს უთხრა, რომ არაფერს აჭმევდნენ და ასმევდნენ.

32. მოწმეს მეორე შეხვედრა ჰქონდა ქმართან დაახლოებით 1 თვის შემდეგ. ხსენებულ პერიოდში მას ნება არ დართეს, ენახა ან საჭმელი გადაეცა მეუღლისათვის. მან წამოიღო ჭურჭიანი ტანსაცმელი, რომელიც სავსე იყო პარაზიტებით. ჯემპერს ლაქები ეტყობოდა თირკმელების მიდამოებში. როგორც ჩანს, იგი სცემეს. მორიგი შეხვედრა, დაახლოებით 1 თვის შემდეგ, გაიმართა იმავე შენობაში, ისევ სარდაფში. მოგვიანებით კი, 2 თვის შემდეგ, კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა სტაროჯუკის კაბინეტში.

33. ქმარმა მოწმეს უამბო, რომ დაახლოებით 1 თვე გაატარა რუსეთის მე-14 არმიის შტაბბინაში, კომენდატურაში. იგი აცხადებდა, რომ იქ საშინელება იყო. სამი ჯარისკაცი ურტყამდა მკერდსა და უბეში; იგი შარდავდა სისხლს; ერთ-ერთმა ჯარისკაცმა სექსუალური ურთიერთობაც კი შესთავაზა. იგი ტულეტში დღეში ერთხელ გაჰყავდათ ხოლმე და აძლევდნენ მხოლოდ 45 წამს, რათა დაეკმაყოფილებინა ბუნებრივი მოთხოვნილებები, შემდეგ კი ტულეტში უშვებდნენ ძალღს, რომელიც აიძულებდა, გამოსულიყო და აბრუნებდნენ საკანში. მას არ აძლევდნენ დაბანის უფლებას იმიტომ, რომ იქ არ იყო წყალი, რითაც შეეძლო დაებანა. არ იყო წყალი და საჭმელი. მან არ იცოდა იმ პირების სახელები და გვარები, რომლებიც არასათანადოდ მოეპყრნენ. მათ არ წარუდგენიათ თავი. ის პირები ატარებდნენ რუსეთის სპეციალური დანიშნულების ჯარების ფორმებს. ისინი მე-14 არმიიდან იყვნენ და ძალზე დაკუნთულნი იყვნენ.

მოწმეს თავისმა მეუღლემ უამბო, რომ როდესაც მე-14 არმიის კომენდატურაში იმყოფებოდა, მილიციელებს ჰქონდათ მისი საკნის გასაღები. მასზე თავდასხმა ხდებოდა ხოლმე, როდესაც მცველები დათვრებოდნენ 3 ჯარისკაცთან ერთად. მცველები აძლევდნენ ჯარისკაცებს გასაღებს გარკვეული მიზეზით. სწორედ ამის შემდეგ შევარდებოდნენ ხოლმე ჯარისკაცები საკანში, თავს ესხმოდნენ მას და ცდილობდნენ, გაეუპატიურებინათ.

34. კომენდატურაში მან ნახა ილიე ილაშკუ, რომელიც ექვემდებარებოდა, როგორც ამას უწოდებდნენ, სიკვდილით დასჯის იმიტირებას. მან დაინახა, როგორ გაყავდათ ილიე ილაშკუ თვალებაკრული, გაიგონა გასროლები და დაინახა ნატყვიარები კედელზე, მაგრამ მოგვიანებით გაიგო, რომ ილიე ილაშკუ ცოცხალი იყო. მოწმის მეუღლე ახსენებდა 2 გვარს: გორბოვს და ანტიუფეევს. მან განაცხადა, რომ კომენდატურის შემდგომ ისინი მიდიოდნენ მასთან დასაკითხად ყოველდღამე მილიციის შტაბბინაში. პოლკოვნიკი ბერგმანი იყო კომენდატურის კომენდანტი. ისინი ერთმანეთს კომენდატურაში ხვდებოდნენ.

35. 1993 წელს მსჯავრდების შემდეგ მოწმის მეუღლე გადაყვანილი იქნა ტირასპოლის №2 საპყრობილეში. ეს იყო ერთადერთი საპყრობილე, სადაც იგი პატიმრობაში იმყოფებოდა. პირველად მოწმემ შეძლო თავისი მეუღლის ნახვა საპყრობილეში გადაყვანიდან 3 თვის შემდეგ. მას ნება დართეს, დაეტოვებინა საჭმელი მეუღლისათვის. სასამართლო სამართალწარმოების შემდგომ მოწმე რეგულარულად, თვეში ერთხელ ხვდებოდა თავის ქმარს, როგორც ეს სისხ-

ლის სამართლის კანონმდებლობითაა დადგენილი, შუშის ეკრანის მიღმა. მათი მიმოწერა ისინჯებოდა, მაგრამ მათ ხშირი მიმოწერა არ ჰქონდათ. წელიწადში ორჯერ მათ ხანგრძლივი შეხვედრის ნებას რთავდნენ. ამანათებს ყოველთვის არ უშვებდნენ. მონმის მეუღლე ჩაკეტილი იყო ცალკე საკანში. მას არ სცემდნენ, მაგრამ იგი ექვემდებარებოდა მორალურ ზენოლას. თავად მონმეს ეძახდნენ რუმინელ როსკიპს. მცველები ეკითხებოდნენ მას: „რატომ მიეყიდე რუმინეთს, როდესაც შენ რუსი ხარ?“. მონმის მეუღლის წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობას ადგილი ჰქონდა მილიციაში, მაგრამ არა საპყრობილეში. საპყრობილეში არსებულ საჭმელში ხშირად ჭიები იყო. ზოგჯერ მონმეს უფლებას აძლევდნენ, მიეტანა საჭმლით ავსებული დიდი ამანათები.

მონმის მეუღლე ბევრს არაფერს ამბობდა საპყრობილეში არსებულ მკურნალობაზე. მას ჰქონდა პანკრეასის შეტევა, როდესაც ერთხელ მონმე იქ იყო. პირიდან დუჟი გადმოსდიოდა. მონმე იცდიდა მთელი დღის განმავლობაში, სანამ მის ქმარს მკურნალობა ჩაუტარებოდა. ბოლოს ექიმი მოვიდა და განაცხადა, რომ საჭირო იყო ოპერაციის გაკეთება, წინააღმდეგ შემთხვევაში განმცხადებელი დაიღუპებოდა. იგი წაიყვანეს ხელბორკილებით და ფეხზე დადებულ ხუნდებით, მიუხედავად მისი მდგომარეობისა. ექიმმა მონმეს მისცა წამლების სია, რომლებიც მას უნდა მოეტანა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მონმის მეუღლე მიაბეს სავადმყოფოში მდგომ სანოლს, მიუხედავად იმისა, რომ წვეთოვანი ედგა. მონმეს ნებას რთავდნენ, მოენახულებინა განმცხადებელი დღეში ერთხელ, მაგრამ შეხვედრას მუდამ ესწრებოდა 4 მცველი. საავადმყოფოში განმცხადებელმა ორი კვირა დაჰყო.

36. მონმე აცხადებს, რომ მისი მეუღლე არ იღებდა რაიმე სახის ბრძანებებს ან ინსტრუქციებს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებისაგან მის დაკავებად 1992 წელს. მონმე მუდმივად იმყოფებოდა განმცხადებლის გვერდით. იგი იყო სახალხო ფრონტის წევრი. მეუღლის დაკავების შემდეგ მას მოუხდა საცხოვრებელი ადგილის დატოვება. იგი მივიდა ქარხნის მესაკუთრესთან, მაგრამ მან განუცხადა: „უნდა დატოვო ბინა, შენ ტერორისტის ცოლი ხარ“. 10 დღის შემდეგ ბავშვიანი ქალი მოვიდა, რათა დაეკავებინა ბინა. მონმეს სდევნიდნენ და მას მოუხდა კომინიოვში წასვლა. მოვლენებიდან 6 თვის შემდეგ სახალხო ფრონტმა მას სასტუმროს ოთახი მისცა. როდესაც იგი მიდიოდა ხოლმე ტირასპოლში მეუღლის სანახავად, მეგობართან ჩერდებოდა. ბოლოს მას მისცეს ოთახი როგორც ლტოლვილს.

### 3. ევლოკია ივანტოვი

37. 1992 წლის 2 ივნისს მონმე ცხოვრობდა ტირასპოლში. მას არაფერი ჰქონდა გაგებული ე.წ. „ილაშკუს ჯგუფის“ შესახებ, სანამ მისი მეუღლე არ დააპატიმრეს.

38. მონმის მეუღლე დაკავებული იქნა, როდესაც სახლში მარტო იყო. მისი თქმით, მის სახლში ბევრი შეიარაღებული ადამიანი შევიდა, მიყარ-მოყარეს ნივთები და სცემეს განმცხადებელი გონების დაკარგვამდე. პირებს, რომლებიც სახლში შევარდნენ, შავი ფორმები ეცვათ. მონმის მეუღლე წაიყვანეს ტირასპოლის მილიციის შენობის სარდაფში. მონმე მეუღლეს შეხვდა დაკავებიდან

ორი დღის შემდეგ. მას ეტყობოდა დაზიანებები შუბლზე და ერთ-ერთ თითზე ფრჩხილი აღარ ჰქონდა. ამავე დროს, ის ძალიან ჭუჭყიანი იყო. მათ ეკრძა-  
ლებოდათ ლაპარაკი რუმინულად და უნდა ესაუბრათ რუსულად.

მონმე შეხვდა განმცხადებელს საგამოძიებო ოთახში, 3-4 სხვა პირის თან-  
დასწრებით. ეს იყო ხანმოკლე შეხვედრა და შეუძლებელი იყო, რომ მათ ერთ-  
მანეთთან ჯეროვნად ესაუბრათ. ეს მოხდა ბევრი კვირით ადრე, ვიდრე მონმე  
შეძლებდა განმცხადებლისთვის საჭმლიანი ამანათის გაგზავნას.

39. მილიციის შენობიდან პატიმრები გადაიყვანეს მე-14 არმიის კომენდა-  
ტურაში, შემდეგ კი ისევ უკან მილიციაში. სასამართლომდე ისინი ხან ერთ ად-  
გილას იმყოფებოდნენ, ხან მეორე. მონმეს ჰქონდა ერთი ხანმოკლე შეხვედრის  
შესაძლებლობა თავის მეუღლესთან იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც  
ის კომენდატურაში იყო. მონმემ არ იცოდა, რომ განმცხადებელი დატყვევე-  
ბული ჰყავდათ კომენდატურაში. მილიციის შენობაში ყოფნისას მან დაინახა,  
თუ როგორ მოიყვანეს მისი ქმარი „ვოლგის“ ტიპის მანქანით და სწორედ ამის  
შემდეგ უთხრა მას ანდრეიმ: „ჩვენ კომენდატურაში ვართ დატყვევებულნი“.  
გარკვეული დროის განმავლობაში მათ უარს უცხადებდნენ შეხვედრაზე. შეხ-  
ვედრამდე განმცხადებელს ასუფთავებდნენ ისე, რომ ოჯახს არ დაენახა ყველა  
დაზიანება. სარდაფში პატიმრების საცემად „ბოქსიორებს“ იყენებდნენ. ისინი  
ვალდებულნი იყვნენ, ელაპარაკათ რუსულად და ყოველთვის დამსწრეთა თან-  
დასწრებით.

40. კომენდატურაში არსებული პირობები საშინელი იყო. განმცხადებელს  
ძალიან უჭირდა ხსენებულ დროსთან დაკავშირებით ლაპარაკი. იგი მარტო იმყო-  
ფებოდა საკანში; სანოლი კედლიდან გადმოიწეოდა მხოლოდ დასაძინებლად,  
ის მთელი დღის განმავლობაში აწეული იყო და განმცხადებელს არ შეეძლო  
ნორმალურად ძილი. ისინი ტუალეტში დღეში ერთხელ, ძალიან მცირე ხნის  
განმავლობაში გაჰყავდათ; თუკი ვერ ასწრებდნენ ბუნებრივი მოთხოვნილე-  
ბების დაკმაყოფილებას დროის ამ მცირე მონაკვეთში, ძალღებს უქსევდნენ.  
მათ არ აძლევდნენ საკმარის საჭმელს. ილაშკუ და სხვები პატიმრობაში იმყო-  
ფებოდნენ იქვე იმავე დროს, მაგრამ სხვა საკნებში; მონმის მეუღლეს თვალებს  
უკრავდნენ, როდესაც საკნიდან გარეთ გამოჰყავდათ. მან უთხრა მონმეს, რომ  
კომენდატურაში 2 თვის განმავლობაში, 1992 წლის ივლისიდან აგვისტომდე  
იმყოფებოდნენ. იგი დაკითხვაზე გაჰყავდათ დღისითაც და ღამითაც; ზოგჯერ  
მას არ აძლევდნენ ძილის საშუალებას, რადგან დაკითხვა გრძელდებოდა  
მთელი ღამის განმავლობაში. განმცხადებელს არ უთქვამს მონმისათვის, თუ  
კონკრეტულად ვინ აწარმოებდა დაკითხვას. მცველები იყვნენ მე-14 არმიიდან.  
გორბოვი, სტაროჯუკი და კიდევ ერთი სხვა პირი მონანილებდნენ დაკითხ-  
ვაში. განმცხადებელი მონმესთან საუბარში ასევე ახსენებდა ბერგმანის გვარს,  
მაგრამ მონმეს არ ახსოვს, თუ რას ამბობდა განმცხადებელი ხსენებულთან  
დაკავშირებით.

41. როდესაც განმცხადებელი იმყოფებოდა პოლიციის პატიმრობაში ტი-  
რასპოლში, მას ემუქრებოდნენ სასიკვდილო განაჩენით. მას წაეკითხა ბრძანე-  
ბა, გაიყვანეს დასახვრეტად და უთხრეს: „რად გინდა, რომ წუხხარ შენი ოჯახის  
წევრების ვიზიტთან დაკავშირებით, თუკი ხვალ მაინც უნდა დაგხვრიტონ?“  
იყო დრო, როდესაც განმცხადებელი ვერ ცნობდა მონმეს. სასამართლომდე  
მასზე ზემოქმედებას ახდენდნენ ფსიქოტროპული ნივთიერებებით, იმგვარად,

რომ მისი ნერვული სისტემა გაითიშა. შედეგად განმცხადებელს დღესაც კი მუდმივი თავის ტკივილი აწუხებს. მისი ქრონიკული დაავადება კიდევ უფრო გამწვავდა. სასამართლომდე იგი იმყოფებოდა საავადმყოფოში 10 დღის განმავლობაში. მილიციის შენობაში პატიმრობისას იგი გააგზავნეს ოდესაში ფსიქიატრიულ გამოკვლევაზე. მანამდე იგი ამგვარად არ შეუმონწმებიათ. ოდესის გამოკვლევის შედეგები განადგურებული იქნა. ყურმოკვრით მონმემ იცის, რომ განმცხადებელს შიშველს ამყოფებდნენ მყარ ზედაპირზე, მაგრამ მონმეს არ შეუძლია დაადასტუროს, რომ განმცხადებელი ცდილობდა თავის ჩამოხრჩობას.

42. 1993 წლის სასამართლოს შემდეგ მონმემ განმცხადებელი ნახა 1 თვის შემდეგ, ნებართვის მიცემისთანავე. მოვლენების გამწვავება ზეგავლენას ახდენდა ვიზიტებზეც. მას არ შეეძლო თავისუფლად მოენახულებინა თავისი მეუღლე; მონმეს უხდებოდა წერილის მიწერა ბ-ნ შვეცოვთან, რათა მიეღო თანხმობა. დიდი ხნის განმავლობაში მონმეს ეკრძალებოდა რუმინულ ენაზე დაბეჭდილი გაზეთების გადაცემა განმცხადებლისათვის, ყველა გაზეთი რუსულ ენაზე იყო. მას არ შეეძლო მეუღლესთან მიმოწერა. განმცხადებელს ამყოფებდნენ განმარტოებით პატიმრობაში, ციხის ყველაზე კარგად დაცულ ნაწილში. იქ სინესტე იყო, ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა და საკანში არ შემოდიოდა დღის სინათლე. განმცხადებელზე პერმანენტულად ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. 1999 წელს განმცხადებელზე განხორციელდა ფიზიკური თავდასხმა, როდესაც ნილზიანი პირები შევიდნენ მის საკანში ჯოხებით და სცემეს. მის საკანში არსებული ყველა საგანი დაამსხვრიეს, ხოლო მისი პირადი მოხმარების საგნები გაიტანეს. ეს არის დრო, როდესაც განმცხადებელმა დაიწყო შიმშილობა. 1999 წლის ინციდენტი მოხდა მაშინ, როდესაც მონმის მეუღლემ განაცხადი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და წინ უსწრებდა სტურზას მთავრობის არჩევას. განმცხადებელს არ აძლევდნენ უფლებას, წყნარად ყოფილიყო თავის საკანში, იყო დროის მონაკვეთი, როდესაც ყოველდღე ვიღაც ცდილობდა მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებას.

43. მონმემ საჩივრით მიმართა მოლდოვის ხელისუფლების მრავალ ორგანოს. მას პირდაპირ არ მიუმართავს იუსტიციის სამინისტროსათვის. სხვა განმცხადებლების ცოლებთან ერთად მან მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტსა და სამინისტროს, რომელიც დაკავებული იყო დნესტრისპირეთის საკითხებით. პასუხად ისინი დაარწმუნეს, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება და მოვლენებიც ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა. მათ იგივე უთხრეს, როდესაც გენერალურ პროკურორს მიმართეს. მაგრამ ხსენებული ქმედებებიდან არაფერი გამოვიდა. განმცხადებელთა ცოლებმა ასევე მიმართეს ომბუდსმენს, მაგრამ მათ განუცხადეს, რომ ომბუდსმენს არ შეეძლო საქმის დეტალებში ღრმად ჩანვდომა, რადგან არ გააჩნდა საკმარისი ძალაუფლება, მისი უფლებამოსილება არ ვრცელდებოდა დნესტრისპირეთის მხარეზე და ყველაფერი დამოკიდებული იყო ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებზე — ანუ პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებზე.

მონმის მეუღლე ეუთოს-ს მისიამ მოინახულა საპრობილემი 1999 წელს.

44. საპრობილემში არ ხდებოდა ნორმალური სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. მონმე დაჟინებით მოითხოვდა, რომ კომინიოვიდან ჩამოსულ ექიმს გაეცინჯა განმცხადებელი ტირასპოლის საპრობილემში. მას ღვიძლი აწუხებდა, ჰქონდა მალალი წნევა, აწუხებდა თირკმელიც. მონმეს ყველა ნამალი მოჰქონდა სახლიდან,

რადგან ციხეში მის ქმარს არ ენეოდა არანაირი სამედიცინო დახმარება.

45. 2003 წლის 15 თებერვალს მოწმეს უარი განუცხადეს მეუღლესთან შეხვედრაზე, მაგრამ მან მოახერხა მეუღლის ნახვა ერთი კვირის შემდეგ. განმცხადებელი მოუყვა მოწმეს, რომ გარკვეული პირები კვლავ შეუვარდნენ საკანში და გაანადგურეს პირადი მოხმარების ყველა ნივთი.

56. მიუხედავად იმისა, რომ ანდრეი ივანტოშს ესაჭიროება სპეციალური დიეტა, იგი ვერ იღებს საჭირო საკვებს. იგი თავად ამზადებს საჭმელს ამანათებში არსებული პროდუქტებიდან, რომლებსაც ოჯახი უზავენის. ტირასპოლის საპრობილის ადმინისტრაციამ აუკრძალა განმცხადებელს ფსიქიატრთან შეხვედრა. თუმცა სულ ახლახანს კიშინიოვიდან ჩასულმა ექიმებმა მოინახულეს განმცხადებელი, მაგრამ მათ აუკრძალათ დასკვნის გაცნობა განმცხადებლისათვის. საპრობილის ექიმი ესწრებოდა გასინჯვას სხვა 3-4 ადამიანთან ერთად, რომლებიც დაცვის სამსახურში მსახურობდნენ.

47. მოწმემ არაფერი იცის მისი მეუღლის მიერ მოლდოვიდან რაიმე სახის ინსტრუქციების მიღებასთან დაკავშირებით. მის დაკითხვას არ ესწრებოდა არავინ მოლდოვის რესპუბლიკიდან, ესწრებოდნენ მხოლოდ პირები ტირასპოლიდან. მოწმის აზრით, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს შეეძლოთ უფრო აქტიური ყოფილიყვნენ, კერძოდ კი საქმეში უფრო აქტიურად ჩაერთოთ საერთაშორისო ორგანიზაციები.

#### 4. რაისა პეტროვ-პოპა

48. 1992 წლის ივნისში მოწმე ცხოვრობდა მოლდოვაში თავისი მშობლების სოფელში. მისი ძმა ცხოვრობდა ტირასპოლში. იგი იქ იმყოფებოდა 6 წლის განმავლობაში თავის ცოლთან და ოჯახთან (ვაჟიშვილთან) ერთად. მოწმე არ იყო ტირასპოლში, როდესაც განმცხადებელი დააკავეს; მან დაკავების შესახებ მოვლენებიდან ერთი კვირის შემდეგ გაიგო, როდესაც განმცხადებლის მეუღლემ დაურეკა და უთხრა, რომ ღამით მათ ოჯახში მივიდნენ ვიღაც პირები და დააკავეს განმცხადებელი. განმცხადებლის მეუღლის მტკიცებით, მისი ქმარი ნაიყვანეს მე-14 არმიის ტერიტორიაზე. მოწმემ პირველად ნახა განმცხადებელი მისი სასამართლო სამართალწარმოების დროს და არ ჰქონია მასთან დალაპარაკების შესაძლებლობა. მოწმე დაელაპარაკა მხოლოდ განმცხადებლის ცოლს, რომელმაც უთხრა, რომ განმცხადებელს ციხეში არასათანადოდ ეპყრობოდნენ. სასამართლოს შემდეგ მოწმეს ხანდახან ეძლეოდა შესაძლებლობა, შეხვედროდა ძმას საპრობილეში. მოწმე ძალიან იშვიათად სწერდა ხოლმე მას და მისგანაც იშვიათად იღებდა წერილებს. როდესაც ოჯახი უზავენიდა განმცხადებელს წერილებს, იგი ხშირად ამბობდა, რომ არ მიუღია არაფერი.

49. მოწმის ძმა პატიმრობაში იმყოფებოდა ტირასპოლის საპრობილეში გასულ წლამდე. იგი არ ლაპარაკობდა საპრობილეში მის მიმართ მოპყრობაზე. შეხვედრას ყოველთვის ესწრებოდნენ ხოლმე პირები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათ, ელაპარაკათ სხვა თემებზე გარდა ოჯახისა. განმცხადებელი ზოგჯერ ახერხებდა იმის თქმას, რომ იგი გამოჰყავდათ საკნიდან ღამით ან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. განმცხადებელს არასოდეს უხსენებია რაიმე მკურნალობის შესახებ.

50. მოწმეს არ მიუმართავს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებისათვის თავისი ძმის სახელით, რათა ეცადა მისი გათავისუფლება; განმცხადებლის ცოლმა ეს გააკეთა, მაგრამ მოწმემ არ იცოდა, ხელისუფლების რომელ ორგანოებს მიმართა მან. მოწმემ ასევე არ იცოდა, ახორციელებდნენ თუ არა რაიმეს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები მისი ძმის დაკავებისა და მსჯავრდების შემდეგ.

51. მოწმემ განაცხადი წარმოადგინა თავისი ძმის სახელით. სასამართლო სამართალწარმოებამდე იგი არ იცნობდა ილაშკუს, ლეშკოსა და ივანტომს.

## 5. სტეფან შრიტუ

52. მოწმე იყო ტირასპოლის მუდმივი მაცხოვრებელი. ახლა იგი კიშინიოვში ცხოვრობს. ის არის ადამიანის უფლებათა ჰელსინკის კომიტეტის თავმჯდომარე და ტირასპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რომლის შტაბბინაც კიშინიოვშია) პროფესორი.

53. 1992 წლის ივნისისათვის მოწმე ტირასპოლში ცხოვრობდა 19 წლის განმავლობაში. იგი იცნობდა ილაშკუსა და ივანტომს, მაგრამ არ იცნობდა ლეშკოსა და პეტროვ-პოპას. იგი იყო სახალხო ფრონტის წევრი. მაგრამ 1992 წელს ილაშკუმ გამოაქვეყნა განცხადება, რომლის თანახმადაც მოწმე გარიცხული იქნა სახალხო ფრონტიდან პროსნეგურული შეხედულებების გამო.

54. იგი დააკავეს 1992 წლის 2 ივნისს, ილაშკუს დაკავებიდან 12 საათის შემდეგ. მან არ იცოდა, თუ ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დაკავებაში. მოგვიანებით მან შეიტყო, რომ ყოველივე ამის უკან იდგნენ პროკურორი ლუჩიკი და მე-14 არმიის მეთაური პოლკოვნიკი ბერგმანი. ლუჩიკი იყო ტირასპოლის მოლდოველი პროკურორი. შემდგომში სეპარატისტებმა სახელი გადაარქვეს მის თანამდებობას და იგი გახდა „მოლდოვის დენსტრისპირეთის რესპუბლიკის“ პროკურორი.

55. პირებს, რომლებმაც დააკავეს მოწმე, არ ეცვათ უნიფორმები. დაკავებისას მან სახლის გარშემო შენიშნა რამდენიმე მანქანა, რომლებიც ეკუთვნოდა რუსეთის არმიას. იგი ნაიყვანეს მილიციის შენობაში ტირასპოლში. მას პირადად არ უნახავს ბერგმანი, მაგრამ ნახა არმიის კუთვნილი მანქანები და იმ პირებმა, რომლებმაც დააკავეს, უთხრეს, რომ ხსენებულში ჩართული იყო ბერგმანი.

56. მოწმე იმყოფებოდა მილიციის შენობაში 1992 წლის 2 ივნისიდან 21 აგვისტომდე. მან იქ კარის ჭურჭრუტანიდან დაინახა ილაშკუ, მაგრამ დროის უმეტეს ნაწილში ილაშკუ იმყოფებოდა მე-14 არმიის შენობაში უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. მოწმის საკნის მოპირდაპირე საკანში იმყოფებოდნენ ლეშკო, ილაშკუ, ივანტომი და სხვები გარდა იმ დროისა, როდესაც ისინი მე-14 არმიის ტერიტორიაზე არ ჰყავდათ დატყვევებული. მთავარი 6 პატიმარი იქ ჰყავდათ დატყვევებული 1992 წლის სექტემბრამდე. დაახლოებით 30 ადამიანი იქნა დაკავებული ოპერაციის შედეგად. ერთხელ მოწმემ გაიგონა შემოილი პირის კივილი. ეს იყო ივანტომი, რადგან მას იმ დღეს უთხრეს, რომ უნდა დაეხვრიტათ.

57. მოწმე ელაპარაკა ლეშკოს, რომელმაც თქვა, რომ მილიციის შენობაში პატიმრობის პირობები აშკარად უკეთესი იყო მე-14 არმიაში არსებულ პირო-



ბებთან შედარებით, რადგან იქ უსაფრთხოების უფრო მკაცრი ზომები იყო. ყოველივე ხსენებული ბენდერში ხდებოდა.

58. მოწმეს კომენდატურაში დაკავებულმა პირებმა უთხრეს, რომ მათი სანოლები კედელზე იწეოდა დილის 5-6 საათზე..., რომ არ აძლევდნენ საკვებს, რომ საკანში არ იყო სინათლე და ა.შ. ლეშკომ ასევე განუცხადა მას, რომ ისინი დაექვემდებარნენ სიკვდილით ფიქტიურ დასჯას.

59. მოწმემ მიიღო წერილი სასამართლოზე პოტენციური მოწმისაგან, რომელიც აფრთხილებდა, რომ თუ დაადასტურებდა იმას, რომ ილაშკუ ნაცემი იქნა, იგი დაკარგავდა სამსახურს. ხსენებული პირი ახლა პატიმრობაშია. იგი გამოძახებული იქნა ჩვენების მისაცემად ტირასპოლში ტირასპოლის ხელისუფლების ორგანოების მიერ და მას ჰკითხეს, მისცემდა თუ არა იმავე ჩვენებას ახლაც.

60. მილიციაში პატიმრობის განმავლობაში მოწმეს კითხავდა შევცოვი ანუ ანტიუფევი, როგორც ახლა თავის თავს ეძახის. მოწმე იყო 1990 წელს შექმნილი ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე და ხელი მიუწვდებოდა დნესტრისპირეთში არსებულ სიტუაციაზე. ძალიან ბევრი ხალხი მიდიოდა მასთან ინფორმაციის მისაღებად. მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოები თავიდან ირიდებდნენ პასუხისმგებლობას იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებსაც სუპარატისტები ახორციელებდნენ. შევცოვი, რომელსაც მოწმე იმ დროისათვის არ იცნობდა, უფრო კარგად განვრთნილი პროფესიონალი იყო, ვიდრე ყველა სხვა ერთად აღებული მოლდოველი. მოწმემ უთხრა მას, რომ ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს იგი რუსეთიდან იყო — მისი მოსკოვური აქცენტი და პროფესიონალიზმი ნათლად მეტყველებდა ამაზე. როდესაც მან მოგვიანებით დაინახა შევცოვი ტელევიზიით, გააანალიზა, თუ ვინ იყო იგი. ეს იყო ის ადამიანი, რომელმაც განახორციელა თავდასხმა რიგის სატელევიზიო ანძაზე 1991 წელს. მან და მისმა 11-მა თანამშრომელმა შექმნეს ქსელი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, მაგრამ შემდეგ ბრძანეს მათი გადასროლა მოსკოვიდან ტირასპოლში. მას იცნობდნენ ანტიუფევის გვართ, მაგრამ მის მეოთხე პასპორტში მისი გვარი იყო შევცოვი. ამჟამად იგი არ მალავს, რომ ანტიუფევი და შევცოვი ერთი და იგივე პირია.

61. მოწმე ადვოკატის თანდასწრებით დაკითხეს მხოლოდ ერთხელ. შემდეგ იგი დაკითხეს ღამით ბ-ნმა გორბოვმა და კიდევ სხვა პირმა. ისინი არასათანადოდ მოეპყრნენ მას და აიძულებდნენ, ხელი მოეწერა დოკუმენტზე, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა.

62. მოწმე არ გაუსამართლებიათ. იგი გაათავისუფლეს 82 დღიანი პატიმრობის შემდეგ. მან არ იცის, თუ რატომ გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ მასაც იმავე ბრალდებებს უყენებდნენ ტერორიზმის ჩადენაში. განმცხადებლების სასამართლო სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოწმემ გაუგზავნა დეპეშა ე.წ. „დნესტრისპირეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს“, ქ-ნ ივანოვას, და თხოვნით მიმართა მას, რათა სასამართლოს მოესმინა მისთვის. მას უარი უთხრეს. პასუხში მითითებული იყო, რომ იგი იყო კრიმინალი, რომელიც იმსახურებდა გისოსებს მიღმა ყოფნას ილაშკუსთან ერთად და შეუძლებელი იყო მოწმის სახით მისი მოსმენა. პროკურორმა ლუკიჩმა, რომელსაც მოწმე დაუკავშირდა, განუცხადა მას, რომ მეორედ უკვე ველარ დაიცავდა.

63. მოწმე გაათავისუფლეს ხელწერილის საფუძველზე, რომ არ დატოვებდა ტირასპოლს. სტაროჯუკმა მიიყვანა იგი ტირასპოლში მის სახლამდე.

მისი საცხოვრებელიდან არანაირი პირადი მოხმარების ნივთი არ იყო წაღებული. მონმემ პირობა დადო, არ გაეკეთებინა განცხადებები პრესისათვის. მას დაუკავშირდა ჯგუფი „მემორიალის“ ოფისიდან, რომელმაც მიიწვია იგი ოფისში. როდესაც მან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მიმართა თხოვნით უკრაინაში წასვლის ნებართვასთან დაკავშირებით, თავიდან მას უარი განუცხადეს, მაგრამ მოგვიანებით მან მიიღო ეს ნაბართვა. თუმცა მონმე უკრაინის ნაცვლად კიშინიოვში გაიქცა.

64. მონმე აცხადებდა, რომ ივანტოშის სახლი გარშემორტყმული იყო სამხედრო მანქანებით და მან დაასკვნა, რომ დაკავებაში მონაწილეობას იღებდა მე-14 არმიის პოლკოვნიკი ბერგმანი.

65. გენერალი იაკოვლევი დაკავებული იქნა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ სეპარატისტების იარაღით მომარაგების ბრალდებით. მონმეს ნანახი აქვს დეტალური სია, თუ რამდენი იარაღი იქნა გაცემული და ვისზე. იარაღი გადაეცემოდა ხალხს სახლებში იმგვარად, რომ მათ შეძლებოდათ წინააღმდეგობის გაწევა მოლდოვის კონსტიტუციური ძალებისათვის. რაც შეეხება გენერალი იაკოვლევის დაკავებას, მონმემ გაიგო, რომ ბ-ნი ილაშკუ იქ იმყოფებოდა, რათა დაედასტურებინა იმ ოფიცრებისათვის, რომლებიც დაკავებაში იღებდნენ მონაწილეობას, რომ ისინი მართლაც გენერალს აკავებდნენ. იაკოვლევი იყო სამოქალაქო ფორმაში და აპირებდა ოფისში გაქცევას, რადგან ეჭვობდა, რომ დაკავება ემუქრებოდა.

66. მოგვიანებით გენერალი იაკოვლევი გაცვალეს 28 მოლდოველზე. შემდგომში 23 მოლდოველი პოლიციელი გაიცვალა შეიარაღებული ფორმირების 23 ჯარისკაცზე. 25-35 კაციანი ჯგუფები მუდმივად იგზავნებოდა დნესტრისპირეთიდან მოსკოვში, რათა მომხდარიყო მათი სამხედრო განვრთვა უსაფრთხოების საკითხებში ბატალიონების შექმნის მიზნით. მონმემ ხსენებულის შესახებ ჯარისკაცებისაგან იცოდა.

67. გათავისუფლების შემდეგ მონმე რამდენიმეჯერ ჩავიდა ტირასპოლში. ერთხელ იგი ჰელსინკის კომიტეტის წევრის სახით იყო იქ, შემდეგ იგი ჩავიდა ტირასპოლში დნესტრისპირეთის ხელისუფლების გაფრთხილების გარეშე.

68. მონმე თვლის, რომ მოლდოვამ არ განახორციელა და არ ახორციელებს ყველაფერს, რაც ძალუძს, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა მოლდოვის კანონმდებლობასთან იმ 600 000 მიქვლისათვის, რომლებიც დნესტრისპირეთის რეჟიმის ხელში არიან.

69. მოვლენებში რუსეთის როლთან დაკავშირებით მონმემ შემდეგი განაცხადა: მაღალი თანამდებობის რუსმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა განახორციელეს ვიზიტები ტირასპოლში 1989 წლიდან, როდესაც მიღებული იქნა პირველი კანონი მოლდოვური ენის შესახებ. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე ჩავიდნენ კიშინიოვში. მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტმა განავითარა დნესტრისპირეთის იდეა იმ შემთხვევაში, თუკი მოლდოვა არ მისცემდა მას გარკვეული ხარისხით კულტურულ ავტონომიას. დღის წესრიგში დადგა ტრიბუნალის შექმნა მოლდოვის მიერ ჰუმანიტარული სამართლის დარღვევასთან დაკავშირებით. ამ დროისათვის სუკ-ის თანამშრომლები არ ექვემდებარებოდნენ მოსკოვის კონტროლს; ისინი ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ საბჭოთა იმპერია. ნიკოლაი მიდვეევი, რუსეთის ფედერაციის საპარლამენტო კომიტეტის წევრმა, მოითხოვა სმირნოვის გათავისუფლება, როდე-

საც ეს უკანასკნელი იმყოფებოდა პატიმრობაში. მან წარმოადგინა გარკვეული გარანტიები სმირნოვის გასათავისუფლებლად, მაგალითად, რომ სმირნოვი აღარ გააგრძელებდა მოლდოვის სახელმწიფო სტრუქტურების დაშლას, აღარ დაარღვევდა მოლდოვის კანონმდებლობას და რუსეთი მოახდენდა მოლდოვა-რუსეთის შეთანხმების რატიფიცირებას. თუმცა ეს შეთანხმება არ იქნა რატიფიცირებული 2001 წლამდე, როდესაც კომუნისტური პარტიის რეჟიმი მოვიდა ხელისუფლებაში. ხსენებული მანევრების უკან იდგნენ „ფსბ“, კაზაკები და რუსეთის მიერ შექმნილი სხვა სტრუქტურები, რადგან ლაპარაკი მიდიოდა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც რუსეთს სურდა კონტროლის შენარჩუნება.

70. მოწმის დაკავების დღეს, როდესაც იგი წაიყვანეს უშიშროების სამსახურში, მან ნახა ძალზე მნიშვნელოვანი პირი, რომელიც გამოდიოდა შენობიდან. ეს იყო მაკაშოვი. მან მოინახულა სეპარატისტული რესპუბლიკა და განაცხადა, რომ ასეთი შეიარაღებით ისინი ვერ გაუმკლავდებოდნენ რუმინელ ფაშისტებს და რომ იგი აპირებდა დნესტრისპირელთათვის გამოეგზავნა უკეთესი იარაღი და რომ რუსეთი მათ დაეხმარებოდა. მასალები მოგვიანებით იქნა გამოგზავნილი რუსეთიდან, დაახლოებით 100 რადიომართავი ანტისატანკოჭურვი, მაგრამ მხოლოდ 15-მა მიაღწია დანიშნულების ადგილს ტირასპოლში. შემდგომში იყო განცხადებები ბ-ნი დაკოვის მხრიდან, რომელიც იყო ტირასპოლის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი. მან აღიარა, რომ მე-14 არმია ატარებდა სეპარატისტების უნიფორმებს ან სამოქალაქო ტანსაცმელს, როდესაც იბრძოდა სეპარატისტების მხარეს. მე-14 არმიის ჯარისკაცები მოკლეს ბრძოლაში. მაგალითად, 1992 წლის აპრილში მე-14 არმიის ოფიცერი და 4 ჯარისკაცი მოკლეს ომში. მათი ცხედრები გამოტანილი იქნა ბრძოლის ველიდან, რათა გადაგზავნილიყო რუსეთის ფედერაციაში და მოწმემ და მისმა სტუდენტებმა დაინახეს ისინი, რადგან მონაწილეობას იღებდნენ გაცილების ცერემონიაში.

71. კაზაკების ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში, დარაზმულნი იყვნენ რუსეთის ფედერაციის მიერ, როდესაც ამ უკანასკნელმა გააანალიზა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ვეღარ ხერხდებოდა. კაზაკები ჩავიდნენ 1990 წელს. რუსეთმა განაცხადა, რომ ხსენებული წარმომადგენელი კერძო ინიციატივას, რომელიც დაკავშირებული არ იყო ხელისუფლების ორგანოებთან. კაზაკები ცხოვრობდნენ სასტუმროებში. 1992 წლის 1 და 2 მარტს, როდესაც დაიწყო ომი, მათ მიზანს წარმოადგენდა, ხელი შეეშალათ მოლდოვისათვის გაერო-ში განვერიანებაში. ბენდერსა და დუბასარიში, სადაც კვლავაც რჩებოდა კონსტიტუციური პოლიციის განყოფილებები – ბოლო ადგილები დნესტრისპირეთში, სადაც მოლდოვას გააჩნდა სამართალდამცავი ორგანოები - ადგილი ჰქონდა თავდასხმას, რომელიც ორგანიზებული იყო რატევის – ერთ-ერთი კაზაკის მიერ. იგი ამავე დროს იყო რუსეთის უშიშროების ერთ-ერთი წამყვანი ჯგუფის „ალფას“ წევრი.

72. 1993 წელს სეპარატისტულმა რეჟიმმა შექმნა პარლამენტი. გენერალი ლებედი არჩეული იქნა უზენაეს საბჭოში. გენერალმა ლებედმა თავად განაცხადა, რომ იგი იყო ერთ-ერთი იმ პირთაგან, ვინც უზრუნველყოფდა დნესტრისპირეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რომ ამან გამოიწვია „გრაღის“ ტიპის რამდენიმე ჭურვის გასროლა მოლდოვის ტერიტორიის მიმართულებით. ამის შემდეგ ლებედმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი სნეგური დათანხმდა, ეწარმოებინა მოლაპარაკება სმირნოვთან.

73. ომის განმავლობაში დნესტრისპირეთის მხარეს გააჩნდა ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები, რომლებიც ატარებდნენ რუსეთის არმიის ემბლემას — მონმემ ეს თავად დაინახა — და მათ ასევე მხარში ედგნენ კაზაკების ჯარები. ერთხელ მონმე ბენდერში წავიდა. როდესაც ხიდი გადაკვეთა, დაინახა ძალიან ბევრი ტანკი, რომლებზეც აღმართული იყო რუსეთის დროშა. სხვა ტანკებზე ფრიალებდა სეპარატისტების დროშა. მან იკითხა, თუ რატომ იყვნენ იქ რუსეთის ჯარები და პასუხად მიიღო, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ ვარჯიშებსა და მანევრებში. კიშინიოვში თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, სადაც წარმოებდა მოლაპარაკებები, მონმემ გააკეთა განცხადება დამსწრე საგარეო საქმეთა მინისტრების, მათ შორის ბ-ნი კოზირევისა და ბ-ნი ნეტკაჩოვის (რომელიც მაშინ იყო მე-14 არმიის სარდალი) წინაშე. მონმემ მათ განუცხადა, რომ იგი აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ მე-14 არმია პირდაპირ მონაწილეობას იღებდა ომში. მოლაპარაკების მონაწილეებმა მიუგეს მას, რომ ჩავიდოდნენ ბენდერში და თავად შეეცდებოდნენ მტკიცებულებების მოპოვებას.

74. გათავისუფლების შემდეგ მონმემ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო, რომ დარჩენილი 6 პირი გათავისუფლებულიყო. დნესტრისპირეთის რეჟიმისთვის ისინი წარმოადგენდნენ სიმბოლოებს, რათა სხვებს აღარ გასჩენოდათ სურვილი, გამოეხატათ პოლიტიკური შეხედულებები. პროკურორმა ირტენევმა მონმეს განუცხადა, რომ მოსკოვი დაინტერესებული იყო მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ დაპატიმრებული პირების გათავისუფლებით და პროკურორმა ირტენევმა მონმეს განუცხადა რომ მოლდოვა თალლითობდა - მას სურდა სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი პირების გათავისუფლება და არა მონმის 6 კოლეგისა. მოლდოვამ გაათავისუფლა ყველა, რუსი თუ ტირასპოლელი, ვინც მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში, მაშინ, როდესაც ტირასპოლის რეჟიმს ყველა ანალოგიური ნაბიჯი არ გადაუდგამს და არ გაუთავისუფლებია.

75. მონმემ არ იცოდა, თუ რატომ დააკავეს იგი ან რატომ გაათავისუფლეს; არსებობდა წერილი მოლდოვის განათლების სამინისტროდან, რომელიც მოითხოვდა მის გათავისუფლებას, სამინისტრო გარანტიას იძლეოდა, რომ უზრუნველყოფდა მონმის წარმოდგენას გამოძიების წინაშე საჭიროების შემთხვევაში. მონმეს გააჩნდა ბევრი ინფორმაცია სეპარატისტების შესახებ და ხსენებულის გამო არ აწყობდათ, რომ იგი მონმედ გამოსულიყო სასამართლოზე. ალექს კოკოტკინმა, რუსული გაზეთის ჟურნალისტმა, მონმის დაკავებამდე სცადა, დაერწმუნებინა იგი სეპარატისტულ რეჟიმთან თანამშრომლობის უპირატესობაში. მონმემ იგი ბოლოს ნახა გამოძიებელთა კაბინეტში, სადაც იგი ისე იქცეოდა, თითქოსდა უფროსი ყოფილიყო. კოკოტკინმა უთხრა მას, რომ დამატებითი რუსული ჯარები იქნა ჩამოყვანილი, რათა უზრუნველყოფილიყო დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის დაცვა; მათ სამშვიდობო ჯარებს ეძახდნენ. ხსენებულ ჟურნალისტს შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა მონმის გათავისუფლებაში.

76. მონმე ასევე აცხადებდა, რომ შეეძლო დაესახელებინა ის პირები, რომლებიც მოსკოვში გაემგზავრნენ სამხედრო წვრთნისათვის, რათა შემდგომში გამხდარიყვნენ დნესტრის ბატალიონის წევრები. მან იცოდა, თუ ვინ აწარმოებდა არჩევას და სად მიდიოდნენ ხსენებული პირები. მან ასევე იცოდა რუსული საიდუმლო სამსახურები, რომლებიც აყენებდნენ სპეციალურ სატელეფონო მონყობილობებს მოლდოველთა სატელეფონო საუბრების მოსასმენად.

## 6. კონსტანტინ ტიბირნა

77. მოწმე არის კომინიოვში სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკის დირექტორი. დნესტრისპირეთში იგი კითხულობდა ლექციებს და ასწავლიდა; მას იქ პროფესიული პრაქტიკაც გააჩნდა.

78. მოლდოვის ჯანდაცვის სამინისტრომ თხოვნით მიმართა მას, გაესინჯა ილაშკუს ჯგუფის წევრები ტირასპოლის საპრობილემში. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა კომინიოვში უზრუნველყვეს იგი მანქანით, რათა გამგზავრებულიყო დნესტრისპირეთის საპრობილემში. იგი არ წავიდა პატიმრების გასასინჯად, ეს რომ ყოფილიყო მოლდოვის ჯანდაცვის სამინისტროს თხოვნა. მან იქ ტირასპოლელ ექიმებთან ერთად ჩაატარა გამოკვლევა, შემდეგ კი მათთან ერთად დაადგინა დიაგნოზი და მკურნალობა.

79. როდესაც მან გასინჯა განმცხადებლები, ილაშკუ იმყოფებოდა ჰლინა-იაში, სხვები კი ტირასპოლის საპრობილემში. პატიმრებს არ წარუდგენიათ რაიმე სახის პრეტენზიები რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით. მათ მხოლოდ განსაჯეს სამედიცინო ფაქტები. მოწმეს არ დაუნახავს გასინჯვის დროს ცემის რაიმე კვალი, დაზიანებები ან არასათანადო მოპყრობის ნიშნები. საპრობილემში განმცხადებლებს ეწეოდათ ელემენტარული სამედიცინო დახმარება; იქ არ იყო რაიმე მოწყობილობა და კომინიოვის საპრობილემები გამოიყურებოდა ზუსტად ისე, როგორც საპრობილემები დნესტრისპირეთში.

80. მოწმემ ბ-ნი ილაშკუ მხოლოდ ერთხელ ნახა პირადად. იგი გამოიყურებოდა როგორც ჩვეულებრივი პატიმარი, მაგრამ გართულებები ჰქონდა საჭმლის მონელებასთან დაკავშირებით, თუმცა მისი მდგომარეობა არ საჭიროებდა რაიმე სახის ქირურგიულ ჩარევას, აუცილებელი არ იყო ოპერაციის გაკეთება და ამიტომ მას გასტროენტეროლოგი მკურნალობდა.

81. მოწმემ გასინჯა ბ-ნი ლეშკო, როდესაც ეს უკანასკნელი გადიოდა პანკრეატიტის სარეაბილიტაციო კურსს ქირურგიული ოპერაციის შემდეგ. მას სთხოვეს ბ-ნი ლეშკოს გასინჯვა, რადგან იგი აღიარებული ექსპერტია ამ სფეროში. ბ-ნი ლეშკო მას გააცნო ექიმმა, რომელმაც მას ოპერაცია გაუკეთა. მოწმემ მოინახულა განმცხადებელი საავადმყოფოში, როდესაც მას მწვავე პანკრეატიტი სტანჯავდა. ეს არის ძალიან საშიში მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს სიკვდილიანობა 20-30%. მოწმემ ასევე ნახა განმცხადებელი მოგვიანებით, როდესაც იგი იტანჯებოდა ქრონიკული პანკრეატიტით, რომელიც ყოველთვის მოჰყვება ხოლმე მწვავე პანკრეატიტს. იგი შესაძლოა პანკრეატიტით დაავადდა ბავშვობაში, მაგრამ პანკრეატიტი შესაძლოა ყოფილიყო სტრესული მდგომარეობის შედეგიც. მოწმემ და ექიმების გუნდმა, რომელსაც დოქტორი ს. ლესანუ ხელმძღვანელობდა, გასინჯეს განმცხადებელი და გასცეს მკურნალობის გაგრძელების რეკომენდაცია.

82. მოწმემ მოინახულა ბ-ნი ივანტოში საპრობილემში. ულტრაბგერითი გასინჯვის შედეგად აღმოაჩინა ცვლილებები მის ღვიძლში და სითხე მუცლის ღრუში, რაც წარმოადგენს მაღალი წნევის ნიშანს.

83. მოწმემ გააკეთა ჩანაწერები განმცხადებლის მდგომარეობასთან დაკავშირებით იმ ფურცლებზე, რომლებიც საპრობილის ექიმებმა მისცეს. ეს უკანასკნელნი ჩანაწერებს ინახავდნენ თავიანთი არქივისათვის. ამის შემდეგ მოწმემ გააკეთა საკუთარი ჩანაწერები თავისთვის. ბოლოს იგი იქ ერთი წლის წინ იყო.

84. მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის და პირიქით ხორციელდება ექიმების თავისუფალი მიმოსვლა.

## 7. ნიკოლაე ლესანუ

85. მოწმე არის მოლდოვის სახელმწიფო საავადმყოფოს სამკურნალო განყოფილების უფროსი ექიმი. შვიდი წლის წინ და მანამდე იგი მუშაობდა მოლდოვის პრეზიდენტის მრჩეველად და მისი პირადი ექიმიც იყო. მისი თხოვნით იგი გააგზავნეს ტირასპოლში პატიმრობაში მყოფი განმცხადებლების და ჰლინაიაში ბ-ნი ილაშკუს მოსანახულებლად. ბ-ნი ილაშკუს მეუღლემ თხოვნით მიმართა პრეზიდენტს, რომელმაც გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო. მისი დახმარების ნაწილს წარმოადგენდა სწორედ მოწმის გაგზავნა დნესტრისპირეთში განმცხადებლებთან საპყრობილეში. როგორც პრეზიდენტის მრჩეველს, მოწმეს შეეძლო დალაპარაკებოდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს.

86. მოწმე დნესტრისპირეთში ექვსჯერ ჩავიდა. პრეზიდენტი და ნათესავები ნუხდნენ საპყრობილეში განმცხადებელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მოწმეს პრეზიდენტისთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია განმცხადებლების სამედიცინო მდგომარეობის შესახებ. მას ჩვეულებრივ მიჰყავდა ხოლმე სხვა ექიმებიც, მაგალითად, პროფესორი ტიბირნა და გასტროენტეროლოგი.

87. განმცხადებლებს არ განუცხადებიათ პრეტენზიები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

88. სამედიცინო ჩანაწერები, რომლებიც შედგა განმცხადებლებთან დაკავშირებით, დატოვებული იქნა ციხის ადმინისტრაციასთან. ექიმების ნაწილი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ციხის ადმინისტრაციას შეესრულებინა მათი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა განმცხადებლების მკურნალობას, მათთვის ნამღების მიცემასა და დიეტის დანიშვნას.

89. ბ-ნი ილაშკუს განცხადებით, მას არ სჯეროდა საპყრობილის ადმინისტრაციის ან საპყრობილის სამედიცინო სამსახურისა და ეწინოდა იმ ნამღების მიღება, რომლებსაც აძლევდნენ საპყრობილის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. იგი იღებდა მხოლოდ იმ ნამღებს, რომლებსაც მას უგზავნიდნენ ოჯახი ან ექიმები კომინივიდან.

90. გამოკვლევები, რომლებიც მოწმის გუნდმა ჩაატარა დნესტრისპირეთში, განხორციელდა იქ მყოფ ექიმებთან ერთად. ტირასპოლის საპყრობილეში მყოფი პატიმრები ჰლინაიას საპყრობილესთან შედარებით თავისუფალ რეჟიმში იყვნენ. ტირასპოლის საპყრობილეში იყო სამედიცინო პუნქტი და სამედიცინო შემოწმებას მხოლოდ ექიმები ესწრებოდნენ.

91. ჰლინაიას საპყრობილეში რეჟიმი უფრო მკაცრი იყო. იქ შემოწმებას აუცილებლად ესწრებოდა ვინმე ციხის ადმინისტრაციიდან, ისევე, როგორც ექიმები.

92. მოწმემ და მისმა გუნდმა ვერ აღმოაჩინეს არასათანადო მოპყრობის ან ფსიქოტროპული ნამღების გამოყენების ვერანაირი კვალი.

93. მოწმემ განმცხადებლები ბოლოს მოინახულა 1997 წელს ან დაახლოებით ამ დროს. მან უარი განაცხადა ამის შემდეგ დნესტრისპირეთში წასვლაზე მიუხედავად იუსტიციის სამინისტროს თხოვნისა, რადგან უკვე აღარ გააჩნდა ის უფლებამოსილება, რაც ჰქონდა მაშინ, როდესაც პრეზიდენტის მრჩეველი იყო.

## 8. ანდრეი ივანტოვი

94. 1992 წლის 2 ივნისს სპეცდანიშნულების ძალების 9-10 შეიარაღებული ნევრი მივიდა მანქანით და დააკავა განმცხადებელი. ისინი იყვნენ სამხედროები, ფორმაში და ნიღბებით. ჯგუფში, რომელმაც იგი დააკავა, მან ნახა ლეიტენანტი რუსეთის სპეცდანიშნულების ძალებიდან. იგი სცემეს და წაიყვანეს წინასწარი გამოძიების იზოლაციის სარდაფში, რომელიც განთავსებული იყო მილიციის შენობაში. განმცხადებელი ადრე არასოდეს ყოფილა იმ შენობაში, რომლის სარდაფშიც მოათავსეს. მას არ შეუძლია თქვას, რამდენი ხანი იმყოფებოდა იქ. მას თვალები ჰქონდა ახვეული; იქ არ იყო სინათლე. შესაძლოა, ეს გაგრძელდა 1 საათი, 1 დღე, მაგრამ არაუმეტეს ამისა. მილიციის შენობაში მას არ უნახავს ლემკო ან ილაშკუ. მან ისინი ნახა მოგვიანებით კომენდატურაში.

95. ამის შემდეგ იგი წაიყვანეს მე-14 არმიის კომენდატურაში, სადაც დაკითხეს სამხედროებმა. ზემოთა სართულზე განთავსებული იყო ელიტური ჯარები და „ალფას“ ჯარები. პოლკოვნიკი ბერგმანი იყო მე-14 არმიის ერთ-ერთი მეთაური. განმცხადებელმა იგი პირადად ნახა, მაგრამ პოლკოვნიკ ბერგმანს ის არ დაუკითხავს.

96. კომენდატურაში არსებული პირობები არაადამიანური იყო. პატიმრებს დღე და ღამე სცემდნენ საზღვაო ფეხოსნები და სპეციალური ძალების წარმომადგენლები, რომლებიც იყვნენდნენ ხელკეტებსა და ჯოხებს. ისინი საკნებში გაზის შემცველ მწვანე კაფსულებს ყრიდნენ. განმცხადებლები სხვადასხვა საკნებში იყვნენ დაპატიმრებულნი. იქ ასევე პატიმრობაში იმყოფებოდა სხვა ხალხიც, მათ შორის ბ-ნი გოდიაციც. პატიმრობის პირობები ძალიან ცუდი იყო. ისინი ტუალეტში გაყავდათ 24 საათში ერთხელ და ძალების საშუალებით აიძულებდნენ, მალე მოემთავრებინათ ბუნებრივი მოთხოვნილებები, თუკი ამას ვერ ასწრებდნენ მიცემულ დროში. იმ დროს განმცხადებელს თავის ჩამოხრჩობა უნდოდა.

შემდეგ მას ასმევდნენ წამლებს. იგი ჭკუიდან შეიშალა; მას ეჩვენებოდა გარკვეული საგნები. მისი ფსიქიკური პრობლემები ცემის შედეგად განვითარდა.

კომენდატურის მცველები, როგორც ყველა სხვა, იყვნენ მე-14 არმიის კონტროლის ქვეშ. სპეციალური ძალების წარმომადგენლები და საზღვაო ფეხოსნები ფორმებზე რუსულ ნიშნებს ატარებდნენ. სწორედ რუსეთის სპეციალური ძალების წარმომადგენლები და საზღვაო ფეხოსნები სცემდნენ მას და ეუბნებოდნენ, რომ იგი იყო რუმინელი გლეხი. ისინი ფორმებზე რუსეთის ემბლემას ატარებდნენ. განმცხადებელი იმიტომ ფიქრობდა, რომ ისინი საზღვაო ფეხოსნებს განეკუთვნებოდნენ, რომ ისინი ატარებდნენ ბერეტებს და შარვლებს რუსეთის ემბლემათ.

ყველაზე საშინელი მოპყრობა განმცხადებელმა განიცადა კომენდატურაში. ეს სრული კომპარი და სისასტიკე იყო.

97. მე-14 არმიის კომენდატურიდან იგი წაიყვანეს ტირასპოლის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც ერთი თვე გაატარა. შემდეგ დააბრუნეს კომენდატურაში, მაგრამ პოლკოვნიკმა ბერგმანმა უთხრა მცველებს, რომ ის იქ აღარ სჭირდებოდა და ამის შემდეგ წაიყვანეს წინასწარი დაკავების ცენტრში. განმცხადებელმა არ უწყის, რამდენ ხანს იყვნენ ილაშკუ და ლემკო კომენდატურაში მას შემდეგ, რაც იგი წაიყვანეს. მან ისინი ნახა შემოდგომაზე სამართლო სამართალწარმოებისას.

98. 1992 წლის სექტემბრის შემდეგ, როდესაც განმცხადებელი და სხვა პირები გადაყვანილი იქნენ წინასწარი გამოძიების იზოლატორში, ისინი მაშინაც სცემეს. ისინი საკნიდან გამოჰყავდათ დღე-ღამის განმავლობაში. ეს ხდებოდა სპეციალურ ოთახში, სადაც მიმდინარეობდა ხოლმე გამოძიება-დაკითხვა. განმცხადებელს სცემდნენ გონების დაკარგვამდე, უკეთებდნენ წამლებს და თავს არტყმევივნებდნენ კედელზე ან ჭყლეტდნენ ხოლმე კარებსა და კედელს შორის. ამას დნესტრისპირელი პირები აკეთებდნენ.

99. სასამართლოს შემდეგ მათ იშვიათად სცემდნენ. განმცხადებელმა შესჩივლა ეუთო-ს. ყოველივე ამის სათავეში ბ-ნი ანტიუფეივი იდგა. ერთხელ გამოსაძიებლად მოვიდა სამინისტროს კომისია. განმცხადებლები არ მონაშებდნენ ექიმების მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მოახდინეს მათი იზოლირება დაზიანებების გავლამდე. ეუთო-ს კომისია მოვიდა ცემიდან ერთი თვის შემდეგ, მაგრამ განმცხადებელს კვლავაც აღენიშნებოდა მრავალი დაზიანება.

100. არასათანადო მოპყრობა ყველაზე საშინელი სახით ხორციელდებოდა 1992 წელს, როდესაც განმცხადებლისა და ილაშკუს საკნებში შევიდნენ ადამიანები, რომელთაც ანტიუფეივი და გუსაროვი მართავდნენ.

101. ამჟამად განმცხადებელი განმარტოებით პატიმრობაშია: იგი ვერ ხედავს დღის სინათლეს და გარეთ მხოლოდ 2 საათით გაყავთ.

102. საპყრობილის ექიმები ცოტა უკეთესები იყვნენ, ვიდრე ვეტერინარი ქირურგები. საპყრობილის ექიმი განმცხადებლის საპყრობილეში სინამდვილეში დანტისტი იყო. პროფესორმა ტიბირნამ მოინახულა განმცხადებელი. იგი ასევე მოინახულეს სხვა ტირასპოლელმა ექიმებმა, მათ შორის ქირურგმა, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა. ხსენებული ექიმები ჩამოვიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ განმცხადებელი ცუდად იყო; ისინი არ მოდიოდნენ მაშინ, როდესაც მას სცემდნენ. განმცხადებელმა შიმშილობა დაიწყო, მაგრამ არ ახსოვს, გასინჯა თუ არა ექიმმა. ხსენებული ორი სამედიცინო გასინჯვა ჩატარდა სპეციალურ საკნებში, რომლებიც ამ მიზნისათვის გამოიყენებოდა.

103. 2003 წლის იანვარში განმცხადებელი იმყოფებოდა ოთახში, სადაც პატიმრებს უფლება აქვთ, გამართონ ხოლმე ხანგრძლივი შეხვედრები. იგი არასოდეს გაუსინჯავთ თავის საკანში. გასინჯვის დროს ყოველთვის იყო ხოლმე ვიღაც ციხის ადმინისტრაციიდან, რათა განეხორციელებინა კონტროლი.

104. მხოლოდ ნათესავებს რთავდნენ მასთან შეხვედრის უფლებას. ზოგჯერ აძლევდნენ გამოგზავნილი ამანათების მიღების საშუალებას, მაგრამ ზოგჯერ პრობლემები იქმნებოდა. განმცხადებლებს არ გააჩნიათ უფლება, დაწერონ ან მიიღონ წერილები რუმინულ ენაზე ან მიიღონ რუმინულენოვანი გაზეთები. 2003 წლის თებერვალში გამართულ მოსმენამდე 2 კვირით ადრე განმცხადებელი მოინახულა “წითელმა ჯვარმა”, ხოლო მანამდე მასთან შესულები იყვნენ ექიმები წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტიდან.

105. ბოლო ვიზიტი განმცხადებელთან შედგა 2003 წლის თებერვალში გამართულ მოსმენამდე ორი კვირით ადრე, როდესაც იგი მოინახულა ქალბატონმა მოსამართლემ წამების საწინააღმდეგო კომიტეტთან დაკავშირებით.

106. განმცხადებელს არ გააჩნდა უფლება, ეწარმოებინა მიმოწერა ციხის გარეთ, თუნდაც ადვოკატთან.

107. 1999 წლის მაისში, როდესაც იგი იმყოფებოდა ტირასპოლის №2 საპყ-



რობილემი, მას შემდეგ, რაც შეიტანა განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, განმცხადებელი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. მილიციელები შევიდნენ მასთან საკანში და სცემეს. ხსენებული პირები მოქმედებდნენ გუსაროვისა და კაპიტან მატროვსკის ხელმძღვანელობით და ასევე იმ პირების მითითებით, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ანტიუფეევ/შევცოვს. განმცხადებელს განუცხადეს, რომ თუ არ გამოიტანდა განაცხადს, გაანადგურებდნენ. ამის შემდეგ განმცხადებელმა დაიწყო შიმშილობა და დაწერა საჩივარი; იგი მოინახულა საგამოძიებო კომისიამ.

108. სამედიცინო ვიზიტები მასთან ხორციელდებოდა მხოლოდ კომინიოვიდან ჩამოსული ექიმების მიერ. ციხის ექიმი ვიცე-პოლკოვნიკი სამსონოვი დანტისტი იყო. განმცხადებელი ჩივის, რომ იგი არ იღებდა არანაირ მომსახურებას ციხის ექიმებისაგან.

109. მისი საკანი და საკანში მყოფი ნივთები დააზიანეს. პირველად ეს მოხდა 2002 წლის 16 ნოემბერს, ხოლო მეორედ 2003 წლის 22 თებერვალს ან დაახლოებით ამ დროს.

110. განმცხადებელი თვლის, რომ ყველაფერი, რაც მის წინააღმდეგ განხორციელდა და რაც ახლა ხორციელდება, რუსეთის ნაქეზებით ხდება.

111. ვიცე-პოლკოვნიკი გორბოვი ესწრებოდა ილაშკუს დაკავებას. მოლდოვა ვერ აკონტროლებდა და ვერც ახლა აკონტროლებს დნესტრისპირეთის ტერიტორიას, მაგრამ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს შეეძლოთ უფრო მეტი გაეკეთებინათ იმ დროისათვის, რათა დახმარება აღმოეჩინათ მისთვის. ისინი არაფერს აკეთებდნენ. დუბასარის მილიცია გადაეცა და ჩაბარდა კაზაკებს. რუსეთი ეთამაშებოდა მოლდოვას. ეს რომ არ მომხდარიყო, დნესტრისპირეთი არ იარსებებდა. შესაბამისად, მოლდოვა პასუხისმგებელი იყო. რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე ბ-ნი სელეზნიოვი ჩავიდა მოლდოვის პარლამენტში და განაცხადა, რომ რომ არა რუსეთი, მოლდოვა ახლა რუმინეთის ნაწილი იქნებოდა.

112. 1998 წლის მაისის შემდეგ განმცხადებელს არ უნახავს რუსეთის ხელისუფლების ორგანოს რომელიმე წარმომადგენელი.

## 9. ალექსანდრუ ლუკო

113. 1992 წლის მოვლენების პერიოდში განმცხადებელი ცხოვრობდა ტირასპოლში (1973 წლიდან). 1992 წლის 2 ივნისს იგი გააღვიძეს დილის 2 საათზე, როდესაც 4 შეიარაღებული პირი შევიდა მის სახლში და დააკავა იგი. ხსენებულ პირებს შორის იყო ვინმე გუსანი. იგი ფორმაში იყო, მაგრამ იარაღის გარეშე. მან წარუდგინა განმცხადებელს თავისი დოკუმენტები. სხვები ატარებდნენ ბრეზენტის ფორმას; ისინი სამხედროები იყვნენ და იარაღიც ჰქონდათ. განმცხადებელი წაიყვანეს მანქანით იზოლატორში. იმ დროს ის არ უცემიათ; ეს მოგვიანებით მოხდა. 3 საათის განმავლობაში მას კითხავდა შევცოვი, რომელიც ასევე ანტიუფეევის გვარით არის ცნობილი; მას თან ახლდნენ გორბოვი და კიდევ ერთი პირი, რომელსაც განმცხადებელი არ იცნობდა. შემდეგ იგი ჩაიყვანეს სარდაფში, სადაც რჩებოდა 6 დღის განმავლობაში. მეორე დღეს იგი ჩასვეს განმარტოებით საკანში. დაკითხვებს სერიოზული ხასიათი მიეცა.

ხსენებული გაგრძელდა 2 ივნისიდან 2 ივლისამდე. იმ თვის განმავლობაში მას არ უნახავს ივანტომი ან ილაშკუ. ამ პერიოდში იგი გაყავდათ დაკითხვაზე და არასათანადოდ ეპყრობოდნენ.

114. 1 თუ 2 ივლისს განმცხადებელი ნაიყვანეს კომენდატურის შენობაში. იგი ნაიყვანეს მანქანით, რომელსაც რუსული ემბლემა ჰქონდა და რომელზეც რუსული დროშა იყო დამაგრებული. განმცხადებელი იქ ნაიყვანეს ორჯერ დღის განმავლობაში. პირველად ნაიყვანეს „დელტას“ ჯგუფის წარმომადგენლებმა, დნესტრისპირელებმა, ხოლო მეორედ – სხვადასხვა პირებმა მე-14 არმიიდან. ბაზაში ისინი შევიდნენ სხვადასხვა შესასვლელიდან. იქ იგი განმარტოებით პატიმრობაში რჩებოდა 7-8 აგვისტომდე. საკნები პირველ სართულზე იყო განთავსებული. განმცხადებელს არ შეეძლო დაენახა სხვები — ანუ ილაშკუ, ივანტომი, გოდიაცი. მას არ დაუნახავს პეტროვ-პოპა. მცველები მას არასათანადოდ მოეპყრნენ რამდენიმეჯერ. იგი არ დაუკითხავთ კომენდატურაში, მხოლოდ სამჯერ სცემეს. მან იცოდა, რომ პოლკოვნიკი ბერგმანი იყო კომენდანტი, მაგრამ არ ჰქონია მასთან რაიმე შეხვედრა და არც უნახავს. სტაროჯუკი, რომელიც ხელმძღვანელობდა გამოძიებას, ორჯერ მივიდა კომენდატურაში. მან განმცხადებელს ანახა გაზეთი, რომლის თანახმადაც პლუგარუ [მოლდოვის ეროვნული უშიშროების მინისტრი 1991-1992 წლების მოვლენების დროს] გათავისუფლებული იქნა და ხელმოწერილი იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთთან.

115. პირობები კომენდატურაში ძალიან მკაცრი იყო. საჭმელი კარგი იყო, რადგან განმცხადებლები ჯარისკაცების საკვებს მიირთმევდნენ. მაგრამ ზოგჯერ ისინი ორი-სამი დღის განმავლობაში არ გაყავდათ ტუალეტში. შემდეგ ისინი დერეფანში და ტუალეტში გაყავდა მცველს, რომელსაც თან ახლდა გერმანული ნაგაზი სახელად ჩანი. მათ მხოლოდ 45 წამი ეძლეოდათ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც აბსოლუტურად არ იყო საკმარისი, შემდეგ კი ძალს უქსევდნენ. სწორედ ამიტომ განაცხადეს განმცხადებლებმა უარი საჭმელზე, რათა უფრო მეტი დრო ჰქონოდათ ტუალეტში გასასვლელად. განმცხადებლებს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უხდებოდათ ცელოფენში, რადგან არ იყვნენ დარწმუნებულნი, მეორე დღეს გაიყვანდნენ თუ არა ტუალეტში. ხსენებული გაგრძელდა დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში. შაბათ-კვირებით, როდესაც შენობაში რამდენიმე მეთაური რჩებოდა, მცველები მიდიოდნენ განმცხადებლის საკანში, რათა შეურაცხყოფა მიეყენებინათ. ისინი გაიძახოდნენ, რომ განმცხადებლები მოქმედებდნენ რუსეთისა და რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ და ამიტომაც სცემდნენ.

116. კომენდატურაში განმცხადებელმა თავისი საკნის ფანჯრის ჭუჭრუტანიდან დაინახა ილაშკუ, რომელიც გაყავდათ შენობიდან. მცველებმა გააჩერეს იგი და უთხრეს: „შენ ხარ შემდეგი“. მან დაინახა, რომ ილაშკუმ უარი თქვა თვალების ახვევაზე და იგი მიაყენეს კედელთან. ილაშკუმ განაცხადა, რომ სიკვდილით ფიქტიურ დასჯას იგი ოთხჯერ დაექვემდებარა. განმცხადებელმა ეს მხოლოდ ერთხელ დაინახა.

117. განმცხადებელი მხოლოდ ერთხელ სცემეს ხელკეტებით, მაგრამ მრავალჯერ შეუშინებიათ. შაბათ-კვირას მის საკანში შედიოდა ხალხი. მათ რუსული ნიშნები ჰქონდათ მხრებზე.

კომენდატურაში იგი იმყოფებოდა აგვისტოს დასაწყისამდე, შემდეგ კი დააბრუნეს სარდაფში წინასწარი გამოძიების იზოლატორში.

118. წინასწარი დაკავების იზოლატორში იგი სამჯერ თუ ოთხჯერ დაკითხეს სამოქალაქო გამოძიებლებმა. იგი ასევე სცემეს ჯოხებით, მაგრამ მას ნაკლები მოხვდა, ვიდრე სხვა განმცხადებლებს. რაც შეეხება იქ არსებულ პატიმრობის პირობებს, მას შეეძლო შხაპის მიღება 10 დღეში ერთხელ. საკანში არ იყო ტუალეტი, შესაბამისად, იგი გაყავდათ ხოლმე საკნიდან ყოველ დილით, რათა გასულიყო ტუალეტში. განმცხადებელს არ ჰქონია შეხვედრები ოჯახის წევრებთან ან ადვოკატთან პატიმრობის პირველი 5 თვის განმავლობაში.

119. სასამართლოს შემდეგ განმცხადებელი გადაიყვანეს ტირასპოლის №2 საპრობილეში. იქ არ იყო პირები საბნებზე და მას ეძინა ცარიელ ნარზე. საპრობილეში მის მიმართ პირადად არასათანადო მოპყრობა არ განხორციელებულა. მას უფლებას არ აძლევდნენ, ენახა თავისი ცოლი ან ადვოკატი 6 კვირის განმავლობაში.

განმცხადებელს არ ამონებდნენ ადგილობრივი ექიმები. როდესაც განმცხადებლები შეხვდნენ თავიანთ ცოლებს, სთხოვეს კომინოვიდან ექიმების ჩამოყვანა. ექიმებმა ისინი რამდენიმეჯერ მოინახულეს. პროფესორმა ტიბირნამ განმცხადებელი მოინახულა 1996 წელს, როდესაც მას ქრონიკური პანკრეატიტი ჰქონდა. ის ექიმმა ლესანუმაც მოინახულა. მან შესჩვილა ხსენებულ ექიმებს ციხის პირობების შესახებ, მაგრამ არაფერი უთქვამს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით სასამართლოს შემდეგ. მისი კოლეგები განცალკევებულ საკნებში იყვნენ მოთავსებულნი, ასე რომ მას არ შეუძლია დაადასტუროს ან უარყოს, რომ მათ არასათანადოდ ეპყრობოდნენ. არასათანადო მოპყრობა ხორციელდებოდა 1992-1993 წლებში.

განმცხადებელი რეგულარულად ხვდებოდა ოჯახის წევრებს. მოგვიანებით იგი იღებდა ხოლმე ამანათებს; თავდაპირველ ეტაპზე გაცილებით ბევრი შეზღუდვა იყო. ყოველივე ხსენებული დამოკიდებული იყო ციხის ადმინისტრაციაზე.

120. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ შეეძლოთ ბევრი რამის გაკეთება. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის მეუღლემ მას უთხრა, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები ცდილობდნენ მის დახმარებას მისი პატიმრობის პერიოდში, განმცხადებელი თვლის, რომ მოლდოვის ხელისუფლებას შეეძლო გაცილებით მეტის გაკეთება კონფლიქტის დამთავრების შემდეგ.

121. განმცხადებელმა ე.წ. „ილაშკუს ჯგუფის“ შესახებ პირველად გაიგო დაკავებისას. იგი არასოდეს ყოფილა მოლდოვის საიდუმლო სამსახურების წევრი.

122. 1992 წლის 2 მარტის მოვლენების შემდგომ პერიოდში მოლდოვის კონსტიტუციურმა ძალებმა შეწყვიტეს კონტროლის განხორციელება მდინარე დნესტრის აღმოსავლეთ სანაპიროზე; ქალაქში გამოცხადებული იყო კომუნდანტის საათი, არავის ჰქონდა უფლება, სახლიდან გამოსულიყო საღამოს 10 საათის შემდეგ.

## 10. ტუდორ პეტროვ-პოპა

123. 1992 წლის 2 ივნისს განმცხადებელი ცხოვრობდა ტირასპოლში. იგი დააკავა ვიქტორ გუსანმა, რომელსაც თან ახლდნენ სამოქალაქო ფორმებში გამოწყობილი სხვა პირებიც. როდესაც ეს მოხდა, დილის 6 საათზე, განმცხადებელი სახლში იყო.

124. იგი წაიყვანეს მილიციის შენობაში. იქ მაშინვე არ დაუკითხავთ. განმცხადებელი იქ გააჩერეს დღის 12 საათამდე. შემდეგ ჩაიყვანეს სარდაფში და ჩასვეს საკანში. იქ ის 7 თვის განმავლობაში იმყოფებოდა. მას სცემდნენ და არასათანადოდ ეპყრობოდნენ მილიციის შენობაში.

მცველებმა მილიციის შენობაში უთხრეს განმცხადებელს, რომ ისინი წარმომავლობით რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან იყვნენ. ისინი ატარებდნენ ფორმებს, მაგრამ ამოსაცნობი ნიშნების გარეშე.

განმცხადებელმა ნახა სტაროფუჟი და გორბოვი. მათ დაკითხეს იგი. დაკითხვისას მათ არ ეკეთათ ნიღბები. მისთვის არ უკითხავთ ილაშკუსთან ან სახალხო ფრონტთან არსებული კავშირების შესახებ. მათ მხოლოდ ის აინტერესებდათ, რომ განმცხადებელს ელიარებინა, რომ იგი იყო ე.წ. „ილაშკუს ჯგუფის“ წევრი და დაედასტურებინა ის, რასაც ეტყოდნენ. იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი, მაგრამ არ უნდოდა დნესტრისპირელთა მხარეზე ბრძოლა. განმცხადებელი ავლანეთგამოვლილი ჯარისკაცი იყო. იგი არასოდეს შეხვედრია ილაშკუს. იმ დროს დნესტრისპირეთში არ იყვნენ დნესტრისპირეთის სამხედრო ძალები, იქ მხოლოდ რუსები იყვნენ. სწორედ რუსები სცემდნენ მას. მას სცემდნენ სამხედრო პირები, რომლებიც ატარებდნენ ნიღბებს, ასე რომ მან არ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი.

125. შემდეგ განმცხადებელი წაიყვანეს ტირასპოლის ციხეში. სასამართლომდე რამდენიმე თვის განმავლობაში მას ამყოფებდნენ მილიციის განყოფილებაში, შემდეგ კი განმარტობით პატიმრობაში იყო ტირასპოლის ციხეში. იგი არასოდეს წაუყვანიათ მე-14 არმიის შტაბბინაში. პატიმრობის განმავლობაში განმცხადებელი დაკითხეს პირებმა, რომლებიც ნიღბებს ატარებდნენ.

126. განმცხადებელი არ იცნობდა გორბოვს. იგი შეხვდა ბერგმანს სასამართლოზე. პატიმრობის განმავლობაში მას მართლა არ უნახავს ილაშკუ და ივანტოში. სასამართლომდე იგი არ იცნობდა არც ერთ მათგანს.

გამოძიების განმავლობაში განმცხადებელი ვერ ხვდებოდა ადვოკატს. ეს მხოლოდ მოგვიანებით მოხდა.

127. სასამართლოს შემდეგ განმცხადებელი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. მოსმენის დროს იგი განმარტობით პატიმრობაში იმყოფებოდა ცალკე საკანში ჰლინაიას ციხეში, სადაც ასევე იმყოფებოდა ილაშკუ.

1995 წელს განმცხადებელი ტირასპოლში მოინახულა პროფესორმა ტიბირნამ, რომელსაც თან ახლდა ექიმი ლესანუ. 1999 წელს იგი გადაიყვანეს ჰლინაიას ციხეში, სადაც უფრო მკაცრი რეჟიმი იყო. მას იქ არანაირი მკურნალობა არ მიუღია. იგი დაავადდა ტუბერკულოზით 1999 წელს. მას შესთავაზეს მკურნალობა იმ შემთხვევაში, თუ მოითხოვდა შეწყალებას. თუ ის ამას გააკეთებდა, გადაიყვანდნენ სამედიცინო განყოფილებაში, მაგრამ განმცხადებელმა ეს უარყო.

128. ოჯახის წევრები მოდიოდნენ მის სანახავად, მაგრამ მცველები ყოველთვის ესწრებოდნენ მათ შეხვედრას. იგი სწერდა ოჯახს წერილებს, მაგრამ უფლებას არ აძლევდნენ, დაეწერა ლათინური შრიფტით. წლის განმავლობაში იგი იღებს დაახლოებით 6 ამანათს.

129. მიმდღოვის მთავრობას არ გაუკეთებია ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო. ფაქტიურად მას არ გაუკეთებია არაფერი, წინააღმდეგ შემთხვევაში განმცხადებლები უკვე თავისუფალნი იქნებოდნენ. თუმცა განმცხადებლის ოჯახი იღებდა ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას მოლდოვის მთავრობისაგან.

130. განმცხადებელმა ნახა, თუ როგორ აძლევდნენ აღჭურვილობას მოსახლეობას 1992 წელს. ხსენებული აღჭურვილობა წამოღებული იყო მე-14 არმიიდან. დნესტრისპირეთის არმია შეიქმნა მე-14 არმიის საფუძველზე, რომელიც ხსენებულ რეგიონში ერთადერთი შეიარაღებული ფორმირება იყო დნესტრისპირეთის რეჟიმის უეცრად წარმოშობამდე და მისი არმიის შეიარაღებამდე.

## 11. პოლკოვნიკი ვლადიმირ გოლოვანი

131. მონმე ადრე მუშაობდა მოსკოვში და ტირასპოლში ჩავიდა 1985 წელს. მან მუშაობა დაიწყო დნესტრისპირეთის პენიტენციურ სისტემაში კონფლიქტის დაწყებამდე. იგი ამ თანამდებობაზე რჩებოდა ბრძანების თანახმად.

მონმე დაიბადა საბჭოთა მოლდავეთში და აქვს საბჭოთა პასპორტი, რომელში ჩაკრული ფურცელიც ამბობს, რომ იგი არის „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის მოქალაქე“.

132. 1993 წლის ივლისის შემდეგ მონმე დაინიშნა №2 საპრობილის მმართველად. ხსენებულ საპრობილში რეჟიმი უფრო მკაცრია, ვიდრე №3 საპრობილში, რომელშიც ქალი პატიმრები იმყოფებიან. ნებისმიერი პირობები, რომლებიც არეგულირებს მოკლევადიან თუ გრძელვადიან ვიზიტებს, ამანათებს და ა.შ., ასახულია ციხის რეგლამენტში. პატიმრები, რომლებიც არ არღვევენ ხსენებულ რეგლამენტს, სარგებლობენ თავიანთი უფლებებით. მკაცრი რეჟიმი მოიცავს საერთო სარგებლობის სათავსოებს, როგორც არის პატარა ქარხანა, სპორტის განყოფილება და ა.შ., მაგრამ ასევე მოიცავს განმარტობით პატიმრობას და ფრთას, სადაც საშიში პატიმრები ერთად არიან განთავსებულნი. სპეციალურ საკნებში მყოფი პირებისათვის იკრძალება გასეირნება სავარჯიშოდ.

133. ბ-ნი ივანტომი მარტო იმყოფება ექვსი პატიმრისთვის განსაზღვრულ საკანში, რადგანაც მან უარი განაცხადა ჩვეულებრივ რეჟიმზე. ბ-ნი ლეშკო იმყოფება ციხის ჩვეულებრივ ნაწილში და სარგებლობს ყველა ნორმალური უფლებით. ხსენებული მოიცავს 4 მცირეხნიან ვიზიტს და 2 გრძელვადიან ვიზიტს წლის განმავლობაში. არასოდეს ყოფილა პრობლემები ადვოკატების ვიზიტებთან დაკავშირებით. პირები, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებიან მკაცრი რეჟიმის ქვეშ, სშირად არ ითხოვენ ადვოკატებთან შეხვედრას.

134. 1999 წლიდან განმცხადებლების პირობები არ გაუარესებულა. ბ-ნი ილაშკუს არასოდეს განუცხადებია პრეტენზია ხსენებულთან დაკავშირებით.

135. ბ-ნი ივანტომს რეგულარულად სინჯავდნენ კიშინიოვიდან ჩამოსული ექიმები.

136. რაც შეეხება წესების არსებობას პატიმრების მოლდოვისათვის ან მოლდოვიდან გადაცემა-გადმოცემასთან დაკავშირებით, მონმემ განაცხადა, რომ ეს მაღალ დონეზე წყდებოდა. მაგალითად, სულ ახლახანს ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს რუსეთთან. მაგრამ ხსენებული ხორციელდება სამთავრობო დონეზე; ეს არ იყო მონმის კომპეტენციაში შემავალი საკითხი.

137. მონმემ არ იცოდა, რომ მოლდოვის გენერალურმა პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ ადამიანის უკანონო პატიმრობისთვის.

138. ბ-ნი ილაშკუ გათავისუფლებული იქნა 2001 წლის მაისში. იგი გათა-

ვისუფლდა დნესტრისპირეთის პრეზიდენტის დადგენილებისა და იუსტიციის მინისტრის, ბ-ნი ბრალას, ბრძანების საფუძველზე. მოწმემ არ იცის, თუ როგორ მოხდა ეს. მან არც ის იცის, ვინ გააცილა ილაშკუ კიშინიოვში.

139. რაც შეეხება ავადმყოფი პაციმრების მკურნალობას, თავიდან ისინი გადაყავდათ ბენდერის საავადმყოფოში. თუმცა მოგვიანებით ხსენებული პრაქტიკა შეწყდა პრობლემების არსებობის გამო. ამიტომ ავადმყოფობასთან დაკავშირებით ჩვეულებრივი მკურნალობა ციხეშივე ტარდებოდა. ტირასპოლის საავადმყოფოში პაციმრები მიყავდათ მხოლოდ ქირურგიული ოპერაციებისათვის და სხვა სერიოზული საკითხებისთვის, რადგან ციხეში მათ არ გააჩნდათ სრულყოფილი საოპერაციო საშუალებები.

140. პაციმრები ხშირად არ ითხოვდნენ ადვოკატთან შეხვედრას. თუკი ადვოკატს ჰქონდა შესაბამისი ნებართვა, მაშინ ციხის მმართველი აძლევდა ციხეში შესვლის ნებას. ხსენებულ ნებართვას გასცემს იუსტიციის მინისტრი. №2 საპრობილეში იმყოფებიან მხოლოდ მსჯავრდებული და არა წინასწარ პაციმრობაში მყოფი პირები, რომლებიც განთავსებულნი არიან №3 საპრობილის ნაწილში.

141. ბ-ნი ილაშკუ №2 საპრობილეში იმყოფებოდა 1997 წლიდან მოყოლებული გათავისუფლებამდე. იგი იმყოფებოდა მე-13 საკანში. საკანში იგი მარტო იყო, რადგან საპრობილეში არასოდეს ყოლიათ მანამდე ამ კატეგორიის პაციმარი. შესაბამისად, არანაირი აზრი არ ჰქონდა მის ჩასმას ჩვეულებრივ კრიმინალებთან ერთად. ბ-ნი ილაშკუს არავინ შეჰკითხვია, სურდა თუ არა ეს. მოწმემ არაფერი იცოდა ბ-ნი ილაშკუს მტკიცებაზე, რომ 1999 წლის 13 მაისს სამოქალაქო პირები, რომლებიც ნაქსოვ ნიღბებს ატარებდნენ, შევიდნენ მის საკანში და შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი გაიყვანეს დერეფანში. მოწმეს მისგან არასოდეს გაუგია ხსენებულთან დაკავშირებული საჩივარი. ციხის ადმინისტრაცია პერიოდულად ატარებს საკნებისა და პაციმრების ჩხრეკას, მაგრამ არასოდეს არავინ არ ატარებს ნიღბებს. როდესაც ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა განახორციელა ვიზიტი, მოწმეს ჰკითხეს ილაშკუს ჯგუფის წევრების შესახებ, რომლებიც სცემეს 1999 წლის მაისში, და მან განაცხადა, რომ ციხის მმართველს განმცხადებლებისაგან არასოდეს მიუღია რაიმე სახის საჩივარი ხსენებულთან დაკავშირებით.

142. პაციმრებს შეუძლიათ იჩივლონ ციხის თანამშრომლების მხრიდან შეურაცხყოფის შემთხვევაში, ამანათების შეჩერებასთან დაკავშირებით და ა.შ. დილის რვის ნახევრიდან ათის ნახევრამდე. მოწმე აცხადებს, რომ ყოველთვის შესაძლებელი იყო მასთან შეხვედრა, თუკი პაციმრები და საჭიროება ამას მოითხოვდნენ, რათა მისთვის წარედგინათ პრეტენზიები.

143. ციხეები დნესტრისპირეთში იმართებოდა ციხის ახალი კოდექსის თანახმად. იქ არ გამოიყენება მოლდოვის კოდექსი. №2 ციხე, ისევე, როგორც ყველა სხვა ციხე, იყო „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის“ კონტროლის ქვეშ 1992 წლის დეკემბრიდან. ხსენებული დღის შემდეგ დნესტრისპირეთის პენიტენციური სამსახური არ იღებდა ბრძანებებს მოლდოვის მთავრობისაგან. მოლდოვის მთავრობას არ შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება ხსენებულ ციხეებთან დაკავშირებით. 1992 წელს დნესტრისპირეთის ციხეებში იმყოფებოდა რამდენიმე პაციმარი, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ მოლდოვის სასამართლოების მიერ, მაგრამ ამის შემდეგ ეტაპობრივად ხდებოდა პაციმართა

გადაცემა. 1991 წლამდე პატიმართა გადაყვანა ხორციელდებოდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

144. ბ-ნი ივანტოში იყო თავისივე ქმედებების მსხვერპლი, რადგან იგი უარს ამბობდა საკნის დატოვებაზე. შედეგად მან დაკარგა ყველა უფლება, რაც გააჩნდა. იგი თავისივე სურვილით იმყოფებოდა თავის საკანში, ვინაიდან არ სურდა საკანი გაეყო სხვა პირებთან.

145. დროზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე გადაწყვეტილების მიღება ხდება პატიმრის პირადი საქმის გადასინჯვის შემდეგ. მაგრამ განმცხადებლებს არასოდეს მოუთხოვიათ ასეთი გადასინჯვა. ისინი ყველა თავიანთ საჩივარს უგზავნიდნენ მოლდოვის მთავრობას.

146. როგორც ციხის მმართველს, მონმეს არასოდეს განუხორციელებია ციხის ოფიცრების დისციპლინური დასჯა მათ მიერ არასათანადო მოპყრობის გამო — დისციპლინური სასჯელი გამოიყენებოდა მხოლოდ გზავნილების (სიტყვიერი, წერილობითი) ციხის გარეთ უკანონოდ გადაცემის გამო ასეთ მოვლენებთან დაკავშირებით.

147. ციხის მცველების ფორმები ანალოგიურია რუსების უნიფორმებისა. ემბლემები განსხვავებულია. დნესტრისპირეთის ხელისუფლების წარმომადგენლები არ იღებენ ბრძანებებს რუსეთის პენიტენციური სისტემიდან, მაგრამ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ. რუსი ჯარისკაცები არასოდეს მონაწილეობდნენ დნესტრისპირეთში პატიმრების დაცვაში, რადგან ხსენებული ციხეები არ შედის რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში.

148. განმცხადებელთა ადვოკატები არასოდეს ითხოვდნენ განმცხადებლებთან შეხვედრას. მათ რომ ეს მოეთხოვათ, ხსენებული თხოვნა შესაბამისად იქნებოდა განხილული.

149. არ არსებობს რაიმე სახის კანონი, რომელიც კრძალავს პატიმრის კორესპონდენციის წარმოებას რუმინულ ენაზე, მაგრამ ციხის ადმინისტრაცია იყენებს ენას, რომელიც გავრცელებულია დნესტრისპირეთში, სახელდობრ რუსულს. ადმინისტრაციას უნდა შეეძლოს ჰყავდეს ცენზორები, რომლებსაც შეეძლებათ პატიმართა კორესპონდენციის კითხვა. მაგრამ პატიმრებს უფლება აქვთ, მიიღონ რუმინულენოვანი გაზეთები.

## 12. სტიჟან კონსტანტინეს ქა ჩერკაჟში

150. მონმე დაიბადა რუსეთში. 1989 წლიდან 1991 წლამდე იგი მუშაობდა მილიციაში და 1984 წლიდან 1989 წლამდე პენიტენციურ სამსახურში. იგი იყო №1 საპყრობილის მმართველი 1992 წლიდან 2001 წლამდე და მმართველის მოადგილე 1992 წლამდე. მოსმენის დროს მონმე გადამდგარი იყო. მას პენსიას „მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკა“ უხდის.

151. ჰლინაიას ციხეში პატიმრებს მართო ამყოფებენ საკნებში, რომლებიც 16 კვადრატული მეტრის ფართობისაა. რაც შეეხება მნახველებთან, კორესპონდენციასთან და ამანათებთან დაკავშირებულ წესებს, მსჯავრდებულ პატიმრებს უფლება ჰქონდათ, შეხვედროდნენ ოჯახის წევრებს, მაგრამ ამისათვის პირველ რიგში უნდა მიეღოთ ნებართვა ციხის რეგლამენტის თანახმად. თუმცა წინასწარ გამოძიებაში მყოფ პატიმრებს არანაირი მიმოწერის უფლება არ ჰქონდათ.

152. მოწმემ არაფერი იცოდა ადვოკატების ვიზიტების მარეგულირებელ ნორმებზე.

153. ციხეში იყო სამედიცინო დეპარტამენტი, რომელშიც ჰქონდათ წამლები, მაგრამ არ იყო კლინიკა სანოლებით. ამისათვის სამოქალაქო საავადმყოფოები გამოიყენებოდა. სამედიცინო გასინჯვა ხორციელდებოდა პატიმრების თხოვნის საფუძველზე. განმცხადებლებს მოლდოვიდან ჩამოსული ექიმები სინჯავდნენ.

154. სასამართლოს შემდეგ განმცხადებლები გადაიყვანეს ჰლინაიას ციხეში. ილაშკუ განცალკევებულად იყო დაპატიმრებული, ხოლო დანარჩენი პირები ერთ საკანში. მათ ჰქონდათ უფლება, დაეტოვებინათ საკანი და ესეირნათ ციხის ეზოში დღეში ერთი საათის განმავლობაში. პატიმრები, რომლებიც ცუდად იყვნენ, დამატებით ერთი საათი სეირნობდნენ.

155. ჰლინაიას ციხეში იყო სპეციალური ფრთა ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისათვის, მაგრამ პეტროვ-პოპა არ იყო პატიმარი, როდესაც მოწმე ჰლინაიას ციხის მმართველი იყო.

156. ილაშკუ ციხეში სპეციალურ პირობებს ექვემდებარებოდა, რადგან მას სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. მას ნებას არ რთავდნენ, საკანში სხვა პატიმრებთან ერთად ყოფილიყო. ილაშკუს საკნის ფანჯარა არანდული იყო გარედან. სინათლე მაინც შემოდოდა და პატიმარს შეეძლო არანდული გისოსებიდან გახედვა. სპეციალური ნებართვის გაცემა იყო საჭირო იუსტიციის სამინისტროს მიერ, სანამ ვინმე შეძლებდა ილაშკუს ნახვას.

157. მოწმეს არასოდეს მიუღია რაიმე ოფიციალური საჩივარი ილაშკუსაგან მის მიმართ ჰლინაიას ციხეში განხორციელებულ მოპყრობასთან დაკავშირებით. მას არასოდეს სმენია, რომ ილაშკუს განაჩენი გაუქმებულიყო მოლდოვის უზენაესი სასამართლოს მიერ. ილაშკუ არ იყო ერთადერთი სიკვდილიმისჯილი პატიმარი: იქ კიდევ იყო ერთი, რომელიც ანალოგიურ პირობებში იმყოფებოდა.

158. ჰლინაიას ციხე არ ექვემდებარებოდა მოლდოვის უზენაეს სასამართლოს და მოლდოვის სახელმწიფო ორგანოებსა და მთავრობას. მათ არ გააჩნდათ არანაირი უფლებამოსილება დნესტრისპირეთში მოქმედ პენიტენციურ სამსახურებზე.

159. მოწმე არასოდეს იღებდა რაიმე სახის ბრძანებებს არც რუსეთიდან და არც დნესტრისპირეთში განთავსებული რუსი სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. არც ერთი რუსი მცველი არ იცავდა დნესტრისპირეთში ციხეებს. მოწმის პროფესიული საქმიანობის დროს დნესტრისპირეთის ციხის სამსახურების ფორმა ანალოგიური იყო რუსეთის სამხედრო უნიფორმებისა.

160. ციხის მმართველს არ გააჩნდა არანაირი უფლება ზემდგომი ორგანოების ბრძანების გარეშე პატიმრების გადაყვანასთან დაკავშირებით. იმ დროის განმავლობაში, როდესაც მოწმე იყო ციხის მმართველი, მას არასოდეს ჰყოლია სხვა ქვეყნიდან, მაგალითად, რუსეთიდან გადმოყვანილი პატიმარი. ერთი ქვეყნის პენიტენციური სისტემიდან მეორე ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში პატიმრის გადასაყვანად აუცილებელია სპეციალური ბრძანება.



### 13. სარბი კოტოვი

161. მოწმე იყო №1 საპრობილის მმართველი 2001 წლის შემდეგ. მან პენიტენციურ დეპარტამენტში მუშაობა დაიწყო 1993 წელს და პროფესიული კარიერა გაატარა ციხის ადმინისტრაციაში. იგი ასევე სწავლობს უნივერსიტეტში ხარისხის მოსაპოვებლად.

162. 2000 წელს მიღებული იქნა „მდრ“-ს სისხლის სამართლის ახალი კოდექსი და ციხის ახალი რეგლამენტი. მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადრე, როდესაც გამოიყენებოდა მოლდოვის რესპუბლიკის კანონები. ახალი რეჟიმით პატიმართა პირობები გაუმჯობესდა. ნებადართულია უფრო მეტი შეხვედრა; თუ პატიმარი სანიმუშოდ იქცევა, მისი უფლებები კიდევ უფრო შეიძლება გაფართოვდეს, მაგალითად, სამი დამატებითი შეხვედრით. რაც შეეხება ადვოკატების ვიზიტებს, მსჯავრდებული პატიმრები შეიძლება შეხვდნენ მათ რაიმე ლიმიტის გარეშე. ჰლინაის ციხეში მოქმედებს 24 საათიანი სამედინო მომსახურება.

163. პატიმრებისაგან არ ყოფილა მიღებული არანაირი საჩივარი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. მათ საჩივარი არც ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისათვის წარუდგენიათ. მაგრამ სიმართლეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ კომიტეტის უკანასკნელ მოხსენებაში გამოთქმული იყო გარკვეული კრიტიკა საკნებში ფანჯრების არანდვასთან და იზოლაციის რეჟიმთან დაკავშირებით. პატიმრის მიერ საჩივრის წარდგენის შემდეგ ციხის თანამშრომლის წინააღმდეგ გამოძიების აღძვრა გამონაკლის წარმოადგენდა. მოწმეს სულ 12 ასეთი შემთხვევა ახსოვს.

164. მსჯავრდებული პირის უფლება, შეხვდეს თავის ადვოკატს დამოკიდებულია იმ დანაშაულის სიმძიმეზე, რომლისთვისაც პატიმარი იხდის სასჯელს, იმაზე, ნასამართლევა თუ არა ადრე და ა.შ. არსებობს ციხის 3 რეჟიმი. ციხის ადმინისტრაცია ეყრდნობა სასამართლოს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის რეჟიმი უნდა იქნეს გამოყენებული პატიმრის მიმართ. შემდგომში ციხის ადმინისტრაციას შეუძლია შეცვალოს რეჟიმი — მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი დაარღვევს ციხის რეგლამენტს.

165. არც მოსკოვში მდებარე პენიტენციურ სამსახურს და არც ტირასპოლში განთავსებულ რუსეთის ოპერატიულ დაჯგუფებას არ შეუძლიათ ბრძანების მიცემა დნესტრისპირეთის პენიტენციური სამსახურებისათვის.

166. პატიმრის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ სასამართლომ. მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს ექსტრადიციის საქმესთან დაკავშირებით.

167. მოსმენის დროისათვის ჰლინაის ციხეში პატიმრობაში რჩებოდა მხოლოდ პეტროვ-პოპა. ილაშკუს ეკავა 31-ე საკანი. საკანს გააჩნდა სტანდარტული ფანჯარა დარაბებით. ხსენებული დარაბები ანალოგიურია კომინიოვის ციხეებში არსებული დარაბებისა. ახლახანს ჰლინაის ციხეში მოხსნეს დარაბები ექვსი საკნის ფანჯრებს, მაგრამ ფინანსური და ტექნიკური სიდუხჭირის გამო შეუძლებელი იყო მათი ყველა საკანში მოხსნა, ვინაიდან დარაბები უნდა შეცვლილიყო გისოსებით.

168. პატიმრები, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ ტუბერკულოზით, პატიმრობაში იმყოფებოდნენ ციხის ყველა ზონაში; არ არსებობს სპეციალური საკნები ასეთი პატიმრებისთვის. ბ-ნი პეტროვ-პოპა, რომელიც ტუბერკულოზით იყო დაავადებული, გადაყვანილი იქნა იმ საკანში, რომელიც ადრე ბ-ნი ილაშკუს

ეკავა. მას უფლებას აძლევდნენ, ვარჯიშის მიზნით გაესეირნა იმავე დროით, რა დროითაც სხვა პატიმრებს. 2002 წელს ბ-ნი პეტროვ-პოპას რეჟიმი გაუმჯობესდა მოწმის ბრძანების საფუძველზე. იგი იყო ერთადერთი პატიმარი, რომელიც სარგებლობდა ასეთი გაუმჯობესებით იმ წელს. ბ-ნი პეტროვ-პოპა ახლა სარგებლობს უფლებით, მიიღოს ექვსი ამანათი და ექვსი შეხვედრა ჰქონდეს სამის ნაცვლად.

არანაირი შეზღუდვა ენასთან მიმართებაში არ გამოიყენებოდა. ხსენებულნიდან გამომდინარე ბ-ნი პეტროვ-პოპას შეეძლო მიეღო წერილები და გაზეთები რუმინულ ენაზე. ბ-ნი პეტროვ-პოპას არასოდეს გამოუთქვამს პრეტენზია მის საკანში არსებულ პირობებთან დაკავშირებით. მან მოითხოვა თავის ძველ საკანში გადაყვანა. პეტროვ-პოპას არასოდეს მოუთხოვია ადვოკატთან შეხვედრა.

## 14. ვიცე-პოლკოვნიკი ეზიმ სამსონოვი

169. მოწმე იყო დნესტრისპირეთის სამედიცინო დეპარტამენტის სამსახურის უფროსი.

170. მოწმემ გასინჯა განმცხადებლები სასამართლოს პერიოდში, ტი-რასპოლის №2 საპრობილეში. ხსენებულს ესწრებოდნენ ციხის ოფიცრები. განმცხადებლებს არასოდეს სჯეროდათ ციხის სამედიცინო სამსახურისა და კატეგორიულ უარს აცხადებდნენ №2 საპრობილის სამედიცინო პერსონალის მიერ მკურნალობის ჩატარებაზე. მათ არასოდეს მოუთხოვიათ მოწმისათვის, გაესინჯა ისინი სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. მოწმეს მათზე არასოდეს უნახავს არასათანადო მოპყრობის რაიმე სახის ნიშნები. რამდენიმეჯერ ციხის სამსახურების გარედან, კომინიოვიდან ჩამოსულმა ექიმებმა გასინჯეს განმცხადებლები და ჩამოიტანეს შესაბამისი ნამლებიც. ეს იყვნენ პროფესორი ტიბირნა და დოქტორი ლესანუ.

171. განმცხადებლებს არ ჰქონდათ რაიმე განსაკუთრებული დაავადებები. 2002 წელს ბ-ნი პეტროვ-პოპას უმკურნალეს ტუბერკულოზთან დაკავშირებით. მას დაზიანებული ფილტი ჰქონდა, რომელშიც სითხე იყო ჩამდგარი. გარკვეული დროის შემდეგ ივანტოშმა გაიკეთა ლვიძლის ოპერაცია. პროფესორი ტიბირნას გუნდის რეკომენდაციები განმცხადებლებთან დაკავშირებით არ განხორციელებულა, რადგან განმცხადებლები უარს აცხადებდნენ ამაზე ციხის ექიმებისადმი უნდობლობის მოტივით.

172. დნესტრისპირეთის პენიტენციური სამსახურები არ იღებდნენ ინსტრუქციებს რუსეთის ფედერაციიდან. არ არსებობდა არანაირი კავშირი მოლდოვის ჯანდაცვის სამინისტროსა თუ იუსტიციის სამინისტროსთან, მაგრამ ზოგჯერ მყარდებოდა ხოლმე კავშირი მოლდოვის იუსტიციის სამინისტროსთან.

## 15. პასილი სამენჯუკი

173. მოწმე, რომელსაც გააჩნია მოლდოვური პასპორტი, რომელიც მიიღო პენიტენციურ სისტემაში სამსახურის დაწყებამდე, იყო ჰლინაიას №1 ციხის ექიმი 1995 წლის შემდეგ. მას არასოდეს უმუშავია ტირასპოლის №2 საპრობილეში. როგორც ჰლინაიას ციხის ექიმი, იგი პასუხისმგებელი იყო ციხეში არსე-

ბულ სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებზე. მონმე დანტისტი იყო, მაგრამ მას ასევე შეეძლო სისხლის ანალიზის გაკეთებაც. გარდა ამისა, მას ეხმარებოდნენ ქირურგი და სხვა სპეციალისტები.

174. მონმე მხოლოდ განმცხადებელ ილაშკუს შეხვდა, იგი არ შეხვედრია სხვა განმცხადებლებს. ბ-ნი ილაშკუს არასოდეს მოუთხოვია მონმის ნახვა; მას სურდა, რომ იგი გაესინჯათ მხოლოდ მოლდოვის ან ტირასპოლის სამედიცინო დელეგაციის წევრებს. ვიცე-პოლკოვნიკ სამსონოვს თან ახლდნენ გარეშე ექიმებიც, როდესაც ისინი სინჯავდნენ ილაშკუსს. პროფესორი ტიბირნა და დოქტორი ლესანუ ჩამოვიდნენ და აიღეს სისხლისა და შარდის ანალიზები. სამედიცინო შემონმება განხორციელდა არა ილაშკუს საკანში, არამედ კაბინეტში. ილაშკუს არ გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, იგი უჩიოდა მხოლოდ საჭმლის მონელების პრობლემას.

175. პატიმრებს არ უტარდებათ რეგულარული სამედიცინო შემონმება, ეს კეთდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს პატიმარი. ციხეში ფუნქციონირებს მუდმივი სამედიცინო დანაყოფი.

176. მონმე არ შეხვედრია განმცხადებელ პეტროვ-პოპას. განმცხადებელი მარტო იმყოფებოდა საკანში. ბ-ნმა პეტროვ-პოპამ მოითხოვა სამედიცინო დახმარება. იგი იმ დროს ავადმყოფობის მე-3 სტადიაში იმყოფებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფობა არ იყო აქტიურ ფაზაში. მკურნალობა ესაჭიროებოდა ყოველ 9 თვეში, არანაკლებ ინტერვალებში, როგორც ეს დაადასტურა სამედიცინო დეპარტამენტმა.

177. 2003 წელს ციხეში განხორციელდა ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ვიზიტი. მონმეს არ ახსოვს ამ კომიტეტის ვიზიტი 2000 წელს. მას არ ახსოვს, რომ 2000 წლის ვიზიტის შემდეგ წამების საწინააღმდეგო კომიტეტს გამოეთქვას შეუფოთება განმცხადებლისთვის ტუბერკულოზის მკურნალობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. აღნიშნული კი გამოწვეული იყო იმით, რომ განმცხადებელი დამოკიდებული იყო თავის ოჯახზე და მათ შემოსავალზე წამლების შექენასთან მიმართებაში, და რომ სწორედ მისი ოჯახი ამარაგებდა განმცხადებელს საჭმლით, რათა დაეცვა სპეციალური დიეტა. მონმე იხსენებს, რომ ნარსულში ციხის ადმინისტრაციას არ გააჩნდა შესაბამისი წამლები, რათა მიეწოდებინა ბ-ნი პეტროვ-პოპასათვის, მაგრამ განაცხადა, რომ სიტუაცია შეიცვალა.

178. ბ-ნი ილაშკუ არასოდეს ჩიოდა მის კბილებთან დაკავშირებით. მას ყველა კბილი ადგილზე ჰქონდა, როდესაც მონმემ მოინახულა. პროფესორი ტიბირნას გუნდის ვიზიტის შემდეგ ილაშკუს ცოლმა ჩამოუტანა მას წამლები კიბინიოვიდან. მონმე ყოველთვის ესწრებოდა ქ-ნი ილაშკუს ვიზიტებს და ხელს უწყობდა აუცილებელი წამლების მიტანაში. ბ-ნი ილაშკუ უჩიოდა კუჭს, მაგრამ მისი ტკივილები არ ყოფილა ციხის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული რაიმე ქმედების შედეგი. მონმემ ილაშკუ ბოლოს 1999 წელს ნახა.

## 16. ღუმიტრუ პოსტოვანი

179. ბ-ნი პოსტოვანი მუშაობდა პროკურორად 1990 წლიდან 1994 წლამდე და გენერალურ პროკურორად 1994 წლიდან 1998 წლამდე. იგი პროკურორად

დაინიშნა 1990 წელს საბჭოთა მოლდავეთის პარლამენტის მიერ. მოსმენის დროისათვის იგი მუშაობდა ვაჭრობისა და ინდუსტრიის პალატისათვის და რჩევას აძლევდა ხოლმე პრეზიდენტს საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

180. მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის ოფიციალური გაყოფა არასოდეს მომხდარა. 1992 წლის სამხედრო კონფლიქტის შედეგად მოლდოვის კონსტიტუციური ორგანოები იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ დნესტრისპირეთი, რადგან მათ დაკარგეს კონტროლი რეგიონზე.

181. განმცხადებლები არ „დაუკავებიათ“, ისინი მხოლოდ დაიჭირეს. არ ყოფილა გაცემული მოლდოვის ოფიციალური სასამართლოს ბრძანება მათ დაკავებასთან დაკავშირებით. რამდენიმე ადამიანი დაიჭირეს. პროკურატურამ მისწერა სმირნოვს, როგორც ტირასპოლის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს (რა თანამდებობაზეც იგი დაინიშნა 1990 წელს) და მოსთხოვა ამ პირების გადაცემა მოლდოვის რესპუბლიკის საგამოძიებო ორგანოებისათვის, მაგრამ პროკურატურამ ვერ მიიღო პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით. მოლაპარაკებებს ბ-ნი სტურზა ხელმძღვანელობდა.

182. გენერალი იაკოვლევი დაპატიმრებული იქნა 1992 წლის თებერვალ-მარტში გენერალური პროკურატურის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე. მისი დაკავების ბრძანება განხილული იქნა მოლდოვის უმაღლეს ხელისუფლებასთან, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ეს დაკავება სწორედ მთავრობის ბრძანებით მოხდა. ეს გენერალი, რომელიც დაკავების დროისათვის უკვე აღარ იყო მე-14 არმიის სარდალი, ეხმარებოდა დნესტრისპირელებს შეიარაღების მომარაგებაში. მოლდოვის სადაზვერვო სამსახურებმა იგი დააკავეს უკრაინის ტერიტორიაზე და ჩაიყვანეს კიშინიოვში. გამოძიება გენერალური პროკურატურის სახელით წარმართეს უშიშროების სამინისტროს გამოძიებლებმა. მტკიცებულებათა შეგროვებას გენერალური პროკურატურა ზედამხედველობდა. გენერალი იაკოვლევი პატიმრობაში იმყოფებოდა 72 საათის განმავლობაში, ვინაიდან, მოლდოვის კანონმდებლობით, ეჭვმიტანილები არ შეიძლება 72 საათიან ვადაზე მეტი ხნით იქნენ დაკავებულნი. იგი გაათავისუფლეს მტკიცებულებების არარსებობის გამო, რადგან მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნდათ შესაძლებლობა, წარემართათ სათანადო გამოძიება იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელთა ჩადენაც მას ბრალად ერაცხებოდა. გენერალურ პროკურატურაში ინახება პირადი საქმე, რომელშიც უნდა იყოს ჩადებული მისი გათავისუფლების ბრძანება. ვინაიდან დნესტრისპირეთში ვერ ხერხდებოდა დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება, იგი გათავისუფლებული იქნა, იმ მიზეზით, რომ მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები არასაკმარისი იყო.

მონმემ გაიგო ჭორები, რომელთა თანახმადაც იაკოვლევი გაათავისუფლეს იმ 23 მოლდოველის გათავისუფლების სანაცვლოდ, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ დნესტრისპირეთში. სინამდვილეში მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს პატიმრობაში ჰყავდათ დაახლოებით 40 დნესტრისპირელი და მოხდა გაცვლა. მაგრამ ეს არ ეხებოდა იაკოვლევს. მონმემ არაფერი იცოდა რაიმე ზეწოლის შესახებ, რომელიც მომდინარეობდა რუსეთის მთავრობიდან იაკოვლევის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მან იცოდა, რომ გენერალი სტოლიაროვი ჩამოვიდა მოსკოვიდან კიშინიოვში, რათა ეთხოვა იაკოვლევის

გათავისუფლება, რადგან მან შეიტყო იაკოვლევის დაპატიმრების შესახებ.

183. გენერალურმა პროკურატურამ გააფრთხილა „მდრ“-ს ე.წ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომ მას და მის სასამართლოს არ გააჩნდათ იურისდიქცია და რომ განმცხადებლები უნდა გადაეცათ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებისთვის შემდგომი გასამართლების მიზნით. იმ დროისათვის „მდრ“-ში მოქმედებდა მოლდოვის სისხლის სამართლის კოდექსი. 1993 წლის 9 დეკემბერს, სასამართლოდან მეორე დღეს, მოლდოვის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა „მდრ“-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც არაკონსტიტუციური.

184. ნებისმიერ საქმეში, სადაც არსებობდა ეჭვი, რომ დანაშაული ჩადენილი იყო დნესტრისპირეთში, გენერალური პროკურატურა ხსნიდა საქმეს. ანალოგიური განხორციელდა ილაშკუსა და მისი მეგობარი პატიმრების შემთხვევაშიც მას შემდეგ, რაც „მდრ“-ს უზენაესი სასამართლოს“ გადაწყვეტილება გაუქმებული იქნა მოლდოვის უზენაესი სასამართლოს მიერ, მაგრამ შეუძლებელი იყო გამოძიების წარმართვა და შესაბამისი ქმედების განხორციელება ხსენებული მიზნის მისაღწევად. 1995 წლის აგვისტოში მოლდოვის პრეზიდენტმა გამოსცა ამნისტია, რომელსაც თან მოჰყვა პარლამენტის გადაწყვეტილება. ხსენებულის ზეგავლენა გამოძიებაზე იყო ის, რომ ნებისმიერი საქმე, რომელსაც ეხებოდა ამნისტია, წყდებოდა.

185. მოწმის მოადგილემ სისხლის სამართლის გამოძიება აღძრა 1993 წლის დეკემბერში იმ პროკურორებთან და მოსამართლეებთან მიმართებაში, რომლებიც მონაწილეობდნენ ილაშკუს სასამართლოს წარმართვაში. ისინი ეჭვმიტანილნი იყვნენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში. აღძრული იქნა რამდენიმე საქმე დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ. მაგრამ რაიმე საგამოძიებო მოქმედების წარმართვა ძნელი კი არა, შეუძლებელი იყო. გენერალურმა პროკურატურამ დაკითხა ილაშკუს ჯგუფის წარმომადგენელთა ოჯახის წევრები, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ბევრი ინფორმაციის მონოდება.

186. ილაშკუს ჯგუფის გარდა კიდევ იყვნენ სხვა ადამიანებიც, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ მცირე ხნის განმავლობაში დნესტრისპირეთში, მაგრამ არც ერთი მათგანის წინააღმდეგ გამოძიება არ წარმართულა.

187. მოლდოვის პარლამენტის 1995 წლის მონოდების თანახმად, რომელიც მიმართული იყო მოლდოვის მთავრობისადმი და მიზნად ისახავდა პრიორიტეტული პრობლემის სახით ილაშკუს ჯგუფის პატიმრობის საკითხის განხილვას, გენერალურმა პროკურატურამ მოითხოვა საქმის დნესტრისპირეთიდან მისთვის გადაგზავნა შემდგომი გამოძიების მიზნით და პატიმრობაში მყოფი პირების გადაცემა მოლდოვის მხარისათვის. მაგრამ ხსენებული მოთხოვნები იგნორირებული იქნა. არ არსებობდა არანაირი გზა პრობლემის გადაჭრისა, გარდა დიპლომატიური მოლაპარაკებისა.

188. 2000 წელს მოწმე არ მუშაობდა ხსენებულ თანამდებობაზე და, შესაბამისად, ვერ შეძლო პასუხი გაეცა რაიმე კითხვაზე იმ დნესტრისპირელ პროკურორებსა და მოსამართლეებთან დაკავშირებით საქმის შეწყვეტის თაობაზე, რომლებიც მონაწილეობდნენ განმცხადებელთა წინააღმდეგ გამართულ სასამართლო სამართალწარმოებაში. ანალოგიურად, ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ილაშკუსთან დაკავშირებით, იყო გაზეთებში გამოქვეყნე-

ბული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ხსენებული წარმოდგენდა პრეზიდენტ ვორონინსა და რუსეთის პრეზიდენტს შორის მოლაპარაკებების შედეგს.

189. 1992-1998 წლებს შორის მრავალი წერილის გაგზავნის გარდა, მონ-მის მოადგილეს, ვასილეს სტურზას, ნაკისრი ჰქონდა საგანგებო პასუხისმგებ-ლობა, წარემართა ქმედებები, რათა უზრუნველყო განმცხადებელთა გათავი-სუფლება. იგი წავიდა ტირასპოლში, შეხვედრები ჰქონდა პარლამენტში და ა.შ. მისთვის ადვილი არ იყო ტირასპოლში წასვლა, მაგრამ მოიპოვა იქ ჩასვლის უფლება ტირასპოლის რეჟიმისაგან. თუმცა როდესაც იქ ჩავიდა, იგი ვერავის შეხვდა. ვერანაირი პოზიტიური შედეგი ვერ იქნა მიღწეული. გენერალურმა პროკურატურამ ასევე მოითხოვა, რომ პროკურორებს ნებართვა ჰქონოდათ, ჩასულიყვნენ ხოლმე ტირასპოლში იმ მიზნით, რომ გამოეძიებინათ, მართლა ჩაიდინეს თუ არა ე.წ. “ილაშკუს ჯგუფის” წევრებმა მკვლევლობები, რომლებშიც ბრალი დაედოთ, მაგრამ ხსენებული მოთხოვნები იგნორირებული იქნა. მონმემ და მისმა სამსახურმა მოახსენეს ამის შესახებ მოლდოვის ახალ პარლამენტს. მონმის მოადგილეს, ბ-ნ სტურზას, მოგვიანებით დაეკისრა დნესტრისპირეთის მხარესთან მოლაპარაკებების წარმართვის პასუხისმგებლობა.

გენერალური პროკურატურა არ დაკავშირებია რუსეთის საგამოძიებო ორ-განოებს პირდაპირ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა შეთანხმება მოლდოვისა და რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს შორის ხსენებულთან დაკავშირებით.

190. მონმე აცხადებდა, რომ ოფიციალურად შეთანხმებები არასოდეს ხორციელდებოდა მოლდოვისა და დნესტრისპირეთის მართლმსაჯულების ორგანოებს შორის. მონმემ აღიარა, რომ არაოფიციალურად ადგილი ჰქონდა გარკვეულ ერთობლივ ქმედებებს სერიოზული დანაშაულის აღკვეთის მიზნით. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები უკავშირდებოდნენ დნესტრისპირელ კოლეგებს. ზოგჯერ პატიმრების გაცვლაც ხდებოდა ხოლმე. თუმცა პრაქტი-კულად ყველა პატიმარი გაცვლილი იქნა იმ დროისათვის, როდესაც ილაშკუს ჯგუფი იქნა დაკავებული, ასე რომ აღარავინ იყო დარჩენილი, რომ გაეცვალათ. რაც შეეხება სერიოზულ დანაშაულებს, ხსენებულთან დაკავშირებით მიდიოდა ინფორმაციის გაცვლა ან სხვა მხრიდან მონმეების გამოძახება, მაგრამ პატიმ-რები არ გაცვლილან. იმ შემთხვევაში, თუ პირი განახორციელებდა დეზერტი-რობას დნესტრისპირეთის სამხედრო ძალებიდან, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები არ გადასცემდნენ ამ პირს და არ მოახდენდნენ მის ექსტრადირე-ბას დნესტრისპირეთში. არ არსებობდა არანაირი შეთანხმება ექვმიტანილების ექსტრადიცია-გადაცემასთან დაკავშირებით.

191. მონმემ არაფერი იცოდა მისი შემცვლელის მიერ გაცემული ბრძანების შესახებ. ბ-ნმა იუგამ 2000 წლის აგვისტოში გააუქმა ბრალდება იმ მოსამართლეებისა და პროკურორების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ილაშკუს სასამართლო პროცესში, მაგრამ მონმე ფიქრობდა, რომ გენერალურ პროკურორს უნდა დაეკისრებინა მათთვის სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მაგალითად, საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, იმგვარად, რომ ხსენებული პირები არ გათავისუფლებულიყვნენ სისხლისსამართლებრივი ბრალდებისაგან.

192. მონმის თქმით, იმ ციხის მმართველის წინააღმდეგ სისხლისსამარ-თლებრივი გამოძიების აღძვრას, რომელშიც ილაშკუს ჯგუფი იმყოფებოდა,

ის დატვირთვა ჰქონდა, რომ იგი დაექვემდებარებოდა დაკავების საფრთხეს მოლდოვაში.

193. მონმე თვლიდა, რომ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები აკეთებდნენ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეეძლოთ, რათა უზრუნველყოთ განმცხადებელთა გათავისუფლება. დიპლომატიურ დონეზე ყველა ინიციატივა იქნა დაკმაყოფილებული იმ პასუხით, რომ ხსენებული საკითხები გადაწყვეტილი იქნებოდა, როდესაც განისაზღვრებოდა დნესტრისპირეთის სტატუსი, და არა უადრეს. ბოლოს, მონმის აზრით, მხოლოდ პოლიტიკური და არა სამართლებრივი ქმედებით იყო შესაძლებელი ილაშქუს ჯგუფის წევრების გათავისუფლება.

194. მონმე აცხადებდა, რომ ილაშქუს შემთხვევის გარდა არსებობდა კიდევ სხვა შემთხვევებიც, რომლებშიც აღძრული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა დნესტრისპირეთში მოღვაწე მოსამართლეებისა და პროკურორების წინააღმდეგ. მან ზუსტად არ იცოდა, თუ რით დამთავრდა გამოძიება, მაგრამ ვარაუდობდა, რომ შეწყდა გარკვეული მიზეზების გამო.

195. მონმე არ განიცდიდა რაიმე ზენოლას, როდესაც იგი გენერალური პროკურორი იყო. გენერალური პროკურორი დამოუკიდებელი იყო მთავრობისაგან. იუსტიციის მინისტრს არ შეეძლო ინსტრუქციები მიეცა მისთვის, თუმცა მთავრობას შეეძლო თხოვნით ან წინადადებით მიემართა გენერალური პროკურატურისათვის გამოძიების აღძვრასთან დაკავშირებით.

196. მონმე თვლიდა, რომ მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოები ვერ ახორციელებდნენ ვერანაირ უფლებამოსილებას ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

197. სმირნოვი დააკავეს 1992 წელს, ხოლო შემდეგ გაათავისუფლეს. სიმართლეს წარმოადგენს, რომ ანტიუფევეი და სხვები რამდენიმეჯერ იყვნენ მოლდოვაში, მაგრამ ისინი არ დაუკავებიათ. ხსენებულის მიზეზი ის იყო, რომ 1992 წლის 21 ივლისს მოხდა შერიგება. შერიგების შემდეგ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს თავიანთი ქმედებები სხვა გზით უნდა წარემართათ, მათ შეთანხმების გზები უნდა ეძიათ. გამოძიებები შეჩერდა; არანაირი რეპრესიები არ ხორციელდებოდა. ბრძოლის ველზე დაპატიმრებული პირები, მაგალითად, კაზაკები, უკან იქნენ გადაცემულნი; არანაირი გამოძიება არ აღძრულა გენერალი ლებედის წინააღმდეგ და ა.შ.

198. მონმემ არ იცოდა, რომ 1992 წლის კონფლიქტის დროს მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოებმა დააკავეს მე-14 არმიის ოფიცრები. მან მისწერა რუსეთის საგამოძიებო ორგანოებს დნესტრისპირეთში კაზაკების ყოფნის შესახებ, რათა შეეტყო რუსეთის პოზიცია ხსენებულთან დაკავშირებით. პასუხად რუსეთის საგამოძიებო ორგანოებმა აცნობეს მას, რომ ისინი ოფიციალურად არ აღიარებენ დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რეჟიმს.

199. საჭიროების შემთხვევაში ოფიციალური ურთიერთობები ხორციელდებოდა მოლდოვის გენერალურ პროკურატურასა და მე-14 არმიის პროკურორს შორის. რაც შეეხება ილაშქუს საქმეს, ოფიციალურად მე-14 არმია უარყოფდა, რომ ისინი რაიმე სახით მონაწილეობდნენ გამოძიებაში, ხოლო მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნდათ ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, თხოვნით მიემართათ ილაშქუს საქმესთან დაკავშირებით. მე-14 არმია უარყოფდა 1992 წლის კონფლიქტში მონაწილეობას.

200. მონმემ ნახა რუსეთის ტელევიზიით გადაცემული ფილმი არჩევნებში

„პოლკოვნიკ გუსევის“ მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომელიც სინამდვილეში გენერალი ლებედი იყო, მაგრამ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნდათ ოფიციალური ინფორმაცია ამის თაობაზე.

201. პრეზიდენტი სნეგური გამოვიდა პარლამენტის წინაშე იმის სათქმელად, რომ მე-14 არმია შეიჭრა დნესტრისპირეთში თავისი ტანკებით. მოწმე ფიქრობდა, რომ ხსენებული ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდა, რადგან სხვაგვარად მას არ შეეძლო წარმოედგინა, საიდან იშოვეს დნესტრისპირელმა სეპარატისტებმა ტანკები. მოწმე ასევე აღიარებდა, რომ 1992 წლის ივნისში ოფიციალური ინფორმაცია წარედგინა პარლამენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კონფლიქტში ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების მონაწილეობასთან დაკავშირებით. მაგრამ ადვილი არ იყო იმის თქმა, თუ ვის წინააღმდეგ უნდა აღძრულიყო გამოძიება. დასაწყისში ითვლებოდა, რომ მე-14 არმია ეკუთვნოდა მოლდოვას, შემდეგ გადაწყდა, რომ იგი ეკუთვნოდა რუსეთს. ფაქტობრივად, ადგილი არ ჰქონია ახლო თანამშრომლობას მე-14 არმიასთან გამოძიების სფეროში, რადგან ამის საჭიროება არ არსებობდა. ადგილი არ ჰქონია ინციდენტებს.

## 17. ვალერიუ კატანა

202. მოწმე იყო მოლდოვის გენერალური პროკურორი 1998-1999 წლებში. ხსენებულ პერიოდამდე, 1996 წლიდან 1998 წლამდე, იგი იყო კიშინიოვის პროკურორი. გენერალურ პროკურატურაში მოწმე 1990 წლიდან 1996 წლამდე მუშაობდა, ხოლო საგამოძიებო ორგანოებში 1973 წლიდან 1990 წლამდე.

203. მოლდოვის კონსტიტუციური საგამოძიებო ორგანოები ვერ შედიოდნენ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე 1992 წლიდან მოყოლებული რეჟიმთან რაიმე ოფიციალური კონტაქტის არარსებობის გამო. ხსენებულ პერიოდში მოწმე არასოდეს ყოფილა ტირასპოლში, თუმცა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელდა მცდელობები ილაშქოს ჯგუფის გათავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. გენერალური პროკურორის თანამდებობის დატოვების შემდეგ მოწმემ აღარ იცის რაიმე ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით.

204. მოწმეს არაფერი სმენია გენერალური პროკურორის 2000 წლის 16 აგვისტოს ბრძანების შესახებ დნესტრისპირეთის მოსამართლეებისა და პროკურორების წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე და 192-ე მუხლებით აღძრულ საქმესთან დაკავშირებული გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, იმ მოტივით, რომ შესაბამის პირებს არასოდეს დაუკავებიათ საჯარო თანამდებობა მოლდოვაში. მოწმე ფიქრობდა, რომ გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება არასწორი იყო.

205. მოწმემ წაიკითხა გაზეთებში, რომ პრეზიდენტი ვორონინი და პრეზიდენტი პუტინი, აგრეთვე, თვით რუმინეთის პრეზიდენტიც კი ხელს უწყობდნენ ბ-ნი ილაშქუს გათავისუფლებას.

206. ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ თანამშრომლობას მოლდოვისა და დნესტრისპირეთის საგამოძიებო ორგანოებს შორის. მოწმე პირადად არასოდეს დალაპარაკებია დნესტრისპირეთის პროკურორს.



მოწმემ იცოდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ბრძანება, ეთანამშრომლა დნესტრისპირეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რათა გაუმჯობესებულიყო ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ — მდინარის მოპირდაპირე მხარისათვის გადაეცათ სერიოზული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები. მაგრამ ადგილი არ ჰქონია ოფიციალურ ექსტრადიცეის, როგორც ასეთი, რადგან ეს ეხებოდა პირებს ერთი და იმავე სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით. მაგრამ არაოფიციალურად ხსენებული ხორციელდებოდა. რაც შეეხება ზოგადად ექსტრადიცეის, წინათ ეს ხდებოდა პროკურორის გადაწყვეტილებით. ახლა კანონმდებლობა შეიცვალა და ხსენებულის განსახორციელებლად მოითხოვება სასამართლოს ბრძანება.

1998-1999 წლებში, როდესაც მოწმე გენერალური პროკურორი იყო, მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის არ არსებობდა რაიმე სახის ოფიციალური შეთანხმება პირების გაცვლასთან დაკავშირებით. როგორც ეს მოწმემ იცის, არასოდეს დადებულა ასეთი შეთანხმება. მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის პირების გადაყვანა ორგანიზებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. იყო შემთხვევები, როდესაც პირები, რომლებიც დნესტრისპირეთში ჩადიდნენ დანაშაულს, მოლდოვიდან გადაეცემოდნენ დნესტრისპირეთს. ოფიციალურად ხსენებული არ კეთდებოდა, მაგრამ არაოფიციალურად ორივე მხარის საპოლიციო ძალები თანამშრომლობდნენ და გადასცემდნენ პირებს ერთმანეთს. მაგალითად, 1995 წელს დუბასარიში პოლიციის კომისრის წინააღმდეგ აღიძრა საქმე და იგი ექსტრადირებული იქნა დნესტრისპირეთში.

207. გენერალურ პროკურორად მსახურობის პერიოდში მოწმეს არ მიუღია რაიმე სახის თხოვნა ბ-ნი ილაშკუს ან სხვა განმცხადებლების მხრიდან და კავშირი არ ჰქონია დნესტრისპირეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ილაშკუს საქმესთან დაკავშირებით. ხსენებულ პერიოდში მის სამსახურში არ მუშაობდა არავინ საქმეზე, რომელიც აღძრული იყო დნესტრისპირეთის მოსამართლეებისა და პროკურორების წინააღმდეგ. საქმე შეჩერებული იყო. 1998 წლიდან 1999 წლამდე ხსენებულთან დაკავშირებით არ განხორციელებულა არანაირი გამოძიება, მიუხედავად იმისა, რომ 2000 წელს მიღებული იქნა ოფიციალური გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

208. მოლდოვის უზენაესმა სასამართლომ მიიღო იმ განაჩენის ასლი, რომელიც გამოტანილი იყო ე.წ. სეპარატისტული ტერიტორიული ერთეულის უზენაესი სასამართლოს მიერ, მაგრამ სასამართლოს არ მიუღია საქმის მასალები. ადგილი ჰქონდა თანამშრომლობას მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროების დონეზე. დაბალ საფეხურზე მდგომი პროკურორები შესაძლოა ახორციელებდნენ სატელეფონო ზარებს თავიანთ კოლეგებთან დნესტრისპირეთში, მაგრამ ეს მხოლოდ პირადი საქმე იყო. 1998 წლამდე არ არსებობდა არანაირი სპეციალური პროკურორი, რომელიც საგანგებოდ დნესტრისპირეთის თემით იქნებოდა დაკავებული. მოწმემ ასეთი დანაყოფი შექმნა 1998 წელს. დანაყოფის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობები და არა მხოლოდ ურთიერთობები დნესტრისპირეთთან მიმართებაში; მაგრამ თუ წარმოიშობოდა პრობლემა დნესტრისპირეთთან დაკავშირებით, სწორედ ეს დეპარტამენტი განიხილავდა მას. თუმცა ხსენებული დეპარტამენტი არ იყო კომპეტენტური, ეწარმოებინა იმ დანაშაულების გამოძიება, რომლებიც სავარაუდოდ ჩაიდინეს დნესტრისპირელმა ხელისუფლების პირებმა; ასეთი დანაშაულების გამოძიების

კომპეტენცია გააჩნდა საგამოძიებო დეპარტამენტს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ მიუწვდებოდათ ხელი ინფორმაციაზე, რომელიც ეხებოდა დნესტრისპირეთში მიმდინარე მოვლენებს, ასე რომ ისინი არ აღძრავდნენ გამოძიებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიიღებდნენ ხსენებულთან დაკავშირებულ მოთხოვნას კერძო პირისაგან.

209. ბ-ნ ილაშკუს გენერალურ პროკურატურაში არ გაუგზავნია არანაირი პრეტენზია. წერილი, რომელიც ბ-ნმა ილაშკუმ 1999 წელს მოლდოვის პარლამენტს გაუგზავნა, პარლამენტს არ გადაუგზავნია საგამოძიებო ორგანოებისათვის. მონმეს არასოდეს გაუგია ბ-ნი ილაშკუს ასეთი პეტიციის შესახებ.

210. მონმემ განაცხადა, რომ იგი იძულებული იყო, გადამდგარიყო პოლიტიკური მიზეზების გამო: კომუნისტური პარტიის წევრები ეწინააღმდეგებოდნენ მის მუშაობას, რადგან იგი დაჟინებით მოითხოვდა გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ კანონის საფუძველზე და არა იმის შესაბამისად, თუ საიდან უბერავდა პოლიტიკური ნიავი. როდესაც გათავისუფლება მიზანშეწონილად და გონივრულადაა მიჩნეული, ყოველთვის გამოიძიებნება მიზეზი და სწორედ ეს მოხდა მონმესთან მიმართებაშიც. გენერალური პროკურორის თანამდებობა პოლიტიკური თანამდებობა იყო. მონმე ცდილობდა, არ ჩარეულიყო პოლიტიკურ საქმიანობაში და მხოლოდ კანონი დაეცვა. მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეული საქმეები პოლიტიკას ეხებოდა.

211. მონმეს გააჩნდა მოსაზრება, რომ ილაშკუს ჯგუფის გათავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალის გამოყენების შედეგად. მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოებს არ შეეძლოთ გაეკეთებინათ უფრო მეტი, ვიდრე გააკეთეს. თვით საერთაშორისო ზენოლის კონტექსტშიც ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო.

## 18. მოწაე X

212. მონმე იყო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირი დნესტრისპირეთში. მოსმენის დროისათვის იგი არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა.

213. მე-14 არმია ჩართული იყო 1991-1992 წლების მოვლენებში. მე-14 არმიის გადამდგარი ოფიცრები დაქირავებულნი იყვნენ სეპარატისტების მიერ. შემდეგ მე-14 არმია პირდაპირ ჩაერთო კონფლიქტში, რომლის შედეგადაც სეპარატისტებმა გაიმარჯვეს. ამის შემდეგ რუსეთი ისევ ჩაერთო პროცესში და თავს მოახვია მხარეებს მოლაპარაკებების წარმოება და „მშვიდობის შენარჩუნება“.

შედგა მოლდოვის, რუსეთისა და უკრაინის მინისტრების შეხვედრა, რომელშიც მონმეც მონაწილეობდა. სიტუაციის გადაჭრის შესაძლებლობა სახეზე იყო 1992 წელს. რუმინეთი მხარს უჭერდა მოლდოვის პოზიციას. მაგრამ წარმოდგენილი ფორმულა განადგურებული იქნა, როდესაც რუსეთის საიდუმლო სამსახურებმა მოაწყეს ინციდენტის ინსპირირება ქალაქ ბენდერში, რამაც ჩაშალა მოლაპარაკებები და დაასრულა დამკვირვებლთა მისია. მოლდოვის სამხედრო მარცხი საბოლოოდ დაფიქსირდა 1992 წელს, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა და მოლდოვის პრეზიდენტმა სნეგურმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კონფლიქტის შეჩერებასთან დაკავშირებით. შეთანხმება ხელმოწერილი იქნა მხოლოდ ამ ორი პრეზიდენტის მიერ. შეიძლებოდა დასკვნის გამო-

ტანა, რომ კონფლიქტის მეორე მხარეს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა; იგი აკონტროლებდა რეგიონს და სწორედ მას გააჩნდა შესაძლებლობა, შეეჩერებინა კონფლიქტი მოლდოვის სამხედრო მარცხის შემდეგ. „მშვიდობის შენარჩუნების“ ფორმულა თავს იქნა მოხვეული რუსეთის მიერ. კონფლიქტში ასევე მონაწილეობდნენ დნესტრისპირეთის უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. ელცინ-სნეგურის შეთანხმების საფუძველზე შექმნილ საკონტროლო კომისიაში მიღწეული დასკვნების შედეგად სეპარატისტული რეჟიმი გაძლიერდა.

214. 1991 წლის აგვისტოში, როდესაც სმირნოვს ეშუქებოდა დაკავება მოლდოვის ხელისუფლების მიერ, იგი გადაძალა მე-14 არმიის ხელმძღვანელობამ, კერძოდ, გენადი იაკოვლევა. იაკოვლევი ამის შემდეგ ემორჩილებოდა სმირნოვის ბრძანებებს და იღებდა მითითებებს, დაეცვა დნესტრისპირეთის არაკონსტიტუციური რეჟიმი.

მონმე პირადად ესწრებოდა 1992 წლის გაზაფხულზე ახლაგაზრდა კაცის დაკითხვას, რომელიც დონის როსტოვიდან იყო და ტყვედ აიყვანეს მოლდოვის კონსტიტუციურმა სამხედრო ძალებმა. პირმა აღიარა, რომ გაგზავნილი იყო მოლდოვაში, რათა დაეცვა რუსული მიწა დნესტრისპირეთში. მონმემ დაკითხა სუკ-ის ყოფილი წევრი, რომელიც ტირასპოლში მსახურობდა 1991 წელს. ხსენებულმა ოფიცერმა განუცხადა მონმეს, რომ როგორც რუსეთის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს „გრუ“ დანაყოფის წევრი, ჩავიდა ტირასპოლში და აპირებდა ტირასპოლის დატოვებას, რადგან იცოდა, რომ ახლოვდებოდა უბედურება და სისხლისღვრა. მე-14 არმია რჩებოდა რუსეთის კონტროლის ქვეშ, ასე რომ რუსეთს რჩებოდა ჩარევის მიზეზი.

215. მონმემ ჩაატარა იგორ სმირნოვის დაკითხვა. იგი არჩეული იქნა სხვა 64 წარმომადგენელთან ერთად დნესტრისპირელ მშრომელთა გაერთიანებული საბჭოს შემადგენლობაში 1990 წლის თებერვალ/მარტში. მან ხმა მისცა მირჩა დრაკს როგორც პრემიერ-მინისტრს და, შესაბამისად, შესაძლებლობა ჰქონდა, დაემტკიცებინა, რომ დემოკრატია იყო. მონმემ სმირნოვი დაკითხა 1990 წელს ე.წ. მე-2 კონგრესის მოწვევის მიზეზებთან დაკავშირებით (ეს იყო კონგრესი, რომელსაც შედეგად მოჰყვა დნესტრისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება). იგორ სმირნოვმა განაცხადა, რომ მოლდოვის ენასთან დაკავშირებულმა კანონმდებლობამ ის და მისი დნესტრისპირელი მეგობრები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად გადააქცია. მაგრამ მან ვერ შეძლო მონმისათვის წარედგინა თუნდაც ერთი დებულება ენასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, რომელიც გამოიწვევდა მათ დაჩაგვრას. ხსენებული მონმობდა, რომ მის სეპარატიზმს საფუძველად არ ედო პრობლემა, რომელიც არ შეიძლება გადაჭრილიყო დემოკრატიული გზით.

დნესტრისპირეთში გამოყენებული სცენარი ადრე გამოყენებული იქნა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ვერ განხორციელდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის დაშლიდან ერთი წლის შემდეგ პოლიტიკური პროცესი მოლდოვაში ისევე განვითარდა, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებში. შედეგად შეიქმნა სიტუაცია, რომლის დროსაც საჯარო ორგანიზმი აღარ კონტროლდებოდა კომუნისტური პარტიის მიერ. მაგრამ ამ შემთხვევაში დასასრული სხვაგვარი გამოდგა. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შეძლეს თავიდან აეცილებინათ სეპარატიზმი. ანტიფეივის ჯგუფმა ბალტიისპირეთის ქვეყნებში განახორციელა იგივე მცდელობები, რომლებიც მიმართული იყო კონსტი-

ტუციური წყობის დამხობისაკენ. ანტიუფევეი, იმ დროისათვის დნესტრისპირეთის სეპარატისტული მთავრობის წევრი, გაიქცა ლატვიიდან. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ მოლდოვაში გააგზავნა საბჭოთა პარლამენტში არსებულმა ჯგუფმა „სოიუზ“, რომელსაც ლუკიანოვი ხელმძღვანელობდა. მას შესთავაზეს ან აფხაზეთი ან დნესტრისპირეთი. მან დნესტრისპირეთი აირჩია, რადგან იქ არ იდგა ენის პრობლემა. იგი გააგზავნეს სხვა სახელმწიფოში დადგენილ კონსტიტუციურ რეჟიმთან საბრძოლველად, როგორც ეს მან გააკეთა ლატვიაში. ანტიუფევეი და ოლეგ გუდიმო, მისი მოადგილე, არიან რუსეთის მოქალაქეები. იგი შეყვანილია დუმის საამომრჩევლო სიაში, როგორც სტალინის „შავი“ კანდიდატების მხარდამჭერი. კანდიდატები არ იქნენ არჩეულნი, მაგრამ საყურადღებოა, რომ ანტიუფევეი ამ ტიპის ადამიანებს მიეკუთვნება.

216. 1992 წლის 25 თუ 26 მარტს მონმე წავიდა მე-14 არმიის შტაბბინაში რამდენიმე მოლდოველ პარლამენტართან და გენერალ ნეტკაჩოვთან ერთად, რომელიც იყო მე-14 არმიის სარდალი. ოფიცერთა უმრავლესობა დეზორიენტირებული იყო. ისინი ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ ადვილი იყო მათი მანიპულირება. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჯარის გარკვეული ნაწილი დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმის იურისდიქციის ქვეშ გადავიდა. მე-14 არმიის ეთნიკური მოლდოველი ჯარისკაცი ჩამოვიდა კიშინიოვში — იგი მაიორი იყო — მონწილათვის იმის სათქმელად, რომ მე-14 არმია გეგმავდა კონფლიქტში ჩართვას. ე.წ. დნესტრისპირეთის არმია, რომელსაც ჰქონდა მე-14 არმიის კუთვნილი ტანკები, ორგანიზებული იქნა მე-14 არმიის ოფიცრების მიერ. სეპარატისტების განკარგულებაში იყო არტილერია, რომელიც საშუალებას აძლევდა მათ, გაეკონტროლებინათ დნესტრისპირეთის ტერიტორია. მათ ჰყავდათ კარგად განვრთნილი ტანკის მემანქანეები, შვეულმფრენები და 18 ტანკი. არც ერთი ზემოხსენებული არ იყიდებოდა კერძო ბაზარზე.

217. იგორ სმირნოვი იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე.

218. მონმე ფიქრობდა, რომ რუსეთის ჯარები დარჩებოდნენ მოლდოვაში კონფლიქტის პოლიტიკური გზით ისეთ მოგვარებამდე, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა რუსეთის ფედერაციისთვის. მე-14 არმია 11 წლის განმავლობაში იმიტომ არ გაიყვანეს, რომ რუსეთის ფედერაციას არ სურდა ეს. რუსეთის სამხედრო ძალების იქ ყოფნა გამოიყენებოდა მოლდოვაზე ზენოლის განსახორციელებლად და უკანონო სეპარატისტული რეჟიმის დასაცავად. 1998 წლის მარტში ოდესაში რუსეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერნომირდინსა და ბ-ნ სმირნოვს შორის ხელმოწერილი იქნა შეთანხმება მე-14 არმიის კუთვნილი სამხედრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით. დნესტრისპირეთი გახდა უკანონო კომერციული საქმიანობის ცენტრი, რომელიც მე-14 არმიის აღჭურვილობიდან იარაღის გაყიდვას და ექსპორტს აწარმოებდა.

მე-14 არმია რომ გასულიყო, ეს გადაჭრიდა პრობლემას. დღემდე არ გატანილა არანაირი სამხედრო აღჭურვილობა. ჯარების სრულად გაყვანის ვადა გადაცილებული იქნა და დაირღვევა ახალი ვადაც. რუსეთის დუმის ვებგვერდზე გამოქვეყნებული იყო განცხადება, რომლის თანახმადაც დუმის წევრებს მოეთხოვებოდათ, თავი შეეკავებინათ დნესტრისპირეთთან დაკავშირებით თავიანთი აზრის გამოთქმისაგან, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარეობდა საქმის განხილვა და ასეთი განცხადებები ნეგატიურად იმოქმედებდა საქმესთან დაკავშირებულ სიტუაციაზე.

219. ბ-ნი ილაშქუ წარმოადგენდა სახალხო ფრონტს ტირასპოლში. იგი გაათავისუფლეს რუსეთის ფედერაციის ზენოლის შედეგად. ბ-ნი ილაშქუ პირობითად იქნა გათავისუფლებული — ანუ იმ პირობით, რომ გამოიტანდა განაცხადს სტრასბურგის სასამართლოდან. დარჩენილი განმცხადებლები მძევლებად იქნენ დატოვებულნი. ხსენებული დაამტკიცა ბ-ნმა ვორონიჩმა, რომელმაც განაცხადა, რომ ილაშქუ დამნაშავე იყო იმაში, რომ დარჩენილი განმცხადებლების პატიმრობა გრძელდებოდა და იმ შემთხვევაში, თუ ილაშქუ გამოიტანდა განაცხადს, ისინი დაუყოვნებლივ იქნებოდნენ გათავისუფლებულნი.

220. გენერალმა ლებედმა, მე-14 არმიის სარდალმა, ისევე, როგორც იაკოვლემა, თავს ნება მისცა, არჩეულიყო დნესტრისპირეთის არაკონსტიტუციურ საკანონმდებლო ორგანოში. იგი დაუფარავად აღწერდა, თუ როგორ აიარალებდა კაზაკებს მოლდოვის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

221. სტრასბურგში გამართულ საჯარო მოსმენაზე დასმული ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო: ეხმარება თუ არა რუსეთი დნესტრისპირეთს ეკონომიკურად? რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების პასუხი იყო, რომ რუსეთის ელჩი მოლდოვაში ახორციელებდა ხოლმე ვიზიტებს ტირასპოლში და აცხადებდა რუსეთის ფედერაციის ინტერესებს დნესტრისპირეთში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში. ეს იყო დნესტრისპირეთის ეკონომიკის დამოუკიდებლობის ლეგიტიმურობის აღიარება, თანამშრომლობის შეთანხმების გარდა სახეზე იყო იმ საქონლის სია, რომელიც პრივილეგირებულად უნდა ყოფილიყო განხილული, მოლდოვის აღმოსავლეთ ნაწილიდან შესულ საქონელს თავისუფლად უნდა ემოდრავა და არ უნდა დაბეგრილიყო.

დნესტრისპირეთს ასევე გააჩნდა 700 მილიონი ამერიკული დოლარის ვალი რუსეთისადმი მოხმარებული გაზისათვის, როგორც ამას აცხადებდა გაზის მომწოდებელი კომპანია „გაზპრომი“. რუსეთის სახელმწიფო უფასოდ აძლევდა გაზს დნესტრისპირეთს 11 წლის განმავლობაში. იგი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მხარდაჭერა აღმოეჩინა უკანონო რეჟიმისათვის, სინამდვილეში კი გადაერჩინა დნესტრისპირეთის ეკონომიკა.

რაც შეეხება პოლიტიკურ მხარდაჭერას, შესაძლებელია გავიხსენოთ რუსეთის ვიცე-პრეზიდენტის ბ-ნ რუცკოის განცხადება მოსკოვსა და 1992 წელს ტირასპოლში ვიზიტისას. რუსეთის დედაში შეიქმნა კომიტეტი დნესტრისპირეთში არსებული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით — ნახსენები არ ყოფილა ის ფაქტი, რომ დნესტრისპირეთის რეჟიმი უკანონო იყო. შესაძლებელია ასევე გავიხსენოთ 1997 წელს მოსკოვში ხელმოწერილი მემორანდუმი მოლდოვის პრეზიდენტ ლუჩინსკისა და „მდრ“-ს პრეზიდენტ სმირნოვს შორის, რასაც ასევე თან ერთვოდა პრეზიდენტ ელცინის ხელმოწერა რუსეთის ფედერაციის მხრიდან და პრეზიდენტ კუჩმას ხელმოწერა უკრაინის მხრიდან, რომელიც ცნობდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების კანონიერებას მოლაპარაკების პროცესში.

222. მოლდოვის ბიუჯეტი იმ დროისათვის იყო 300 მილიონი ამერიკული დოლარი. რუსეთის მიერ დნესტრისპირეთისათვის გაწეული დახმარება ორჯერ აღემატებოდა მოლდოვის წლიურ ბიუჯეტს. რაბინტას მეტალურგიული ქარხანა დნესტრისპირეთში აწარმოებდა დნესტრისპირეთის ბიუჯეტის 60%-ს, ვინაიდან იგი გადასახადებისაგან გათავისუფლებული იყო, რადგან ეს აუცილებელი იყო უკანონო რეჟიმის გადარჩენისათვის. ასევე სახე იყო სერიოზული

კონტრაბანდა, მაგრამ ეს სხვა საქმეა.

223. მე-14 არმიას რომ მონაწილეობა არ მიელო 1991-1992 წლების კონფლიქტში, უკანონო რეჟიმი ვერ გადარჩებოდა. მე-14 არმიის მონაწილეობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოების სამხედრო, პოლიტიკურ და მორალურ დამარცხებაში. და ეს მნიშვნელოვანი იყო უკანონო სეპარატისტული რეჟიმის გადასარჩენად.

224. მოწმემ ილაშქუს ჯგუფის შესახებ პირველად გაიგო მისი დაკავების შემდეგ. მოწმემ არ იცოდა, ეს ჯგუფი მოლდოვის საიდუმლო სამსახურების წევრებისაგან შედგებოდა თუ არა. მათი გასამართლება აუცილებელი იყო პოლიტიკური მიზნებისათვის, რათა გაძლიერებულიყო სეპარატისტული რეჟიმი.

## 19. მირჩა სნეპური

225. მოწმე იყო მოლდოვის პრეზიდენტი 1990 წლიდან 1996 წლამდე. ჩვენების მიცემის დროისათვის იგი ლიბერალური პარტიის საპატიო პრეზიდენტი იყო.

226. 1989 წელს რუსეთის ჯარის ნაწილები დიდი ოდენობით ჩამოვიდნენ მოლდოვაში. ხსენებულ პერიოდში მოლდოვის ინტელექტუალური ნაწილი იბრძოდა საკუთარი უფლებებისათვის, კერძოდ კი რუმინულ ენაზე ლაპარაკის უფლებისათვის. მოწმის განცხადება, რომელიც მიმართული იყო გაერო-სადმი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და რუსეთის ფედერაციისადმი, ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ მე-14 არმია კვლავ რჩებოდა დნესტრის მარცხენა სანაპიროზე, თუმცა ცოტა შემცირებული შემადგენლობით. ხსენებული არმია აიარაღებდა სეპარატისტ აჯანყებულებს. ამ სამხედრო მხარდაჭერის გამო წარმოიშვა კონფლიქტი. დაიწყო მოლდოვის სახელმწიფოს ორგანოთა – პოლიციის, სასამართლოებისა და სხვ. – დაშლა. აღმოცენდა პარალელური არმია, რომელიც მოლდოვის არმიაზე უკეთ იყო აღჭურვილი. მოწმე არა მხოლოდ განცხადებებს აკეთებდა, არამედ ასევე ახორციელებდა ვიზიტებს მოსკოვში, რათა არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა რუსეთის მთავრობისათვის. აღჭურვილობის საწყობები გატეხილი იქნა და იარაღი ურიგდებოდათ აჯანყებულებს. კონსტიტუციური ძალები არ იყვნენ ისე კარგად შეიარაღებულნი, როგორც აჯანყებულები.

შესაძლებელია, პრეზიდენტი არ იძლეოდა პირდაპირ ბრძანებებს. მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ადგილი ჰქონდა სამხედრო, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ მხარდაჭერას. აჯანყებულებს დნესტრისპირეთში გააჩნდათ კარგად აღჭურვილი არმია.

227. ელცინის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ამთავრებდა კონფლიქტს, მიანიშნებდა იმ ფაქტზე, რომ კონფლიქტის მხარეები იყვნენ რუსეთი და მოლდოვა.

პრეზიდენტის მიერ ხელმოწერის განხორციელებამდე რუსეთის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე რუცკოის ამოცანას წარმოადგენდა კომინიოვში ჩასვლა და სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოება. შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც მან მოლაპარაკება გამართა, ხელმოწერილი იქნა მოსკოვში. მოლდოვის მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრი

ვალერიუ მურავში, პარლამენტის თავმჯდომარე და თავად მონმე.

228. 1992 წლის ივლისში სმირნოვს ხელი არ მოუწერია ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებული შეთანხმებისთვის მოსკოვში, მიუხედავად იმისა, რომ იქ იმყოფებოდა. როდესაც შეთანხმება ხელმოწერილი იქნა რუსეთსა და მოლდოვას შორის, მხარეებმა გაცვალეს ტექსტები. დოკუმენტებზე იყო მხოლოდ ორი ხელმოწერა: ელცინის და სნეგურის. მონმემ არ იცის, საიდან გაჩნდა სმირნოვის ხელმოწერა მოგვიანებით. შესაძლებელია, ბ-ნმა რუცკოიმ ნება დართო მას, ხელი მოეწერა დოკუმენტზე მოგვიანებით.

229. მიზეზი იმისა, თუ რატომ იქნა ხელმოწერილი 1992 წლის შეთანხმება, იყო ის, რომ არსებობდა მე-14 არმიის კომინიოვში გამოჩენის საფრთხე. ხალხი იხოცებოდა. კონკრეტული სახელმწიფო ამარაგებდა იარაღით აჯანყებულებს, რათა ხსენებული შესაძლებელი გამხდარიყო. არსებობდა იმის რისკი, რომ ტანკები კომინიოვშიც გამოჩენილიყო. დნესტრისპირეთში ტანკებს არ ამზადებენ. საბჭოთა დროს მოლდოვის ინდუსტრიის 40% დნესტრისპირეთის რეგიონში იყო განთავსებული — მეტალურგიული ქარხანა, საოჯახო ელექტროსაქონლის წარმოება, მაგალითად, მაცივრების, სახელოსნო დაზგებისა და ა.შ. დნესტრისპირეთის არმიას ჰქონდა ტანკები, მოლდოვის არმიას კი არ ჰქონდა. ტანკები შეყვანილი იქნა ბენდერში, შემდეგ კი გაყვანილი. ხსენებული უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ზენოლას წარმოადგენდა, ყველა სატელევიზიო არხით გადაიციმოდდა. ეს სავარჯიშო მოედანზე არ ხდებოდა.

ის, რაც მოლდოვის მხარეს სურდა, იყო კონფლიქტის დასრულება და ცეცხლის შეწყვეტა. მოლდოვამ მიაღწია ხსენებულს. მოლდოვის მხარე ასევე მხარს უჭერდა დოკუმენტის შედგენას და სამშვიდობო მისიის მივლენას დნესტრისპირეთში რუსეთიდან, რადგან მოლდოვის მხარე ფიქრობდა, რომ რუსები ზეგავლენას მოახდენდნენ ტირასპოლში მყოფ სმირნოვზე.

230. მე-14 არმიის ტანკები მონაწილეობას იღებდნენ კონფლიქტში. მაგალითად, ბენდერის ოპერაციაში ტანკებმა გადაკვეთეს ხიდი და მოგვიანებით უკან დაბრუნდნენ.

231. მე-14 არმიასთან პირდაპირი მოლაპარაკება არასოდეს გამართულა, მაგრამ ხორციელდებოდა სატელეფონო საუბრები იმისათვის, რომ დაერწმუნებინათ არმიის წარმომადგენლები, არ მიეცათ იარაღი სეპარატისტი აჯანყებულებისათვის. მაგალითად, ხსენებულთან დაკავშირებით მოლაპარაკება ხორციელდებოდა გენერალ ლებედთან. მონმემ მოისმინა გენერალ ლებედის განცხადებები ტელევიზიით, როდესაც იგი ამბობდა: „ჩვენი ტანკები ბუქარესტ-ზეც წავა, თუკი ამის საჭიროება შეიქმნება“ და ა.შ. მაგრამ იმ დროისათვის მონმე არ შეხვედრია ლებედს. მოგვიანებით იგი შეხვდა მას მოსკოვში კრემლში გამართულ მიღებაზე, რომელიც ეძღვნებოდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების იუბილეს.

232. 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმებაში რუსეთმა აღიარა, რომ მას გააჩნდა ტირასპოლზე ზემოქმედების საშუალებები და რეალურად ახორციელებდა ზეგავლენას — მაგალითად, ცეცხლის შეწყვეტით — რომელიც ძალზე მნიშვნელოვანი იყო. კონფლიქტის ყოველ დამატებით დღეს შედეგად მოსდევდა დამატებითი ცხედრები. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ცეცხლის შეწყვეტა მაქსიმალურად სწრაფად. მხოლოდ მოგვიანებით იქნა განხილული ისეთი საკითხები, როგორიც არის მე-14 არმიის როლი.

233. მოწმე ფიქრობდა, რომ დნესტრისპირეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა რუსეთის ფედერაციის მხრიდან კვლავაც გრძელდებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებული უკანონო სეპარატისტული რეჟიმი კვლავაც ფუნქციონირებდა და მას ცნობდნენ და აღიარებდნენ რუსეთის დუმაში სათანდო პატივითა და ღირსებით. რუსეთის დუმაში სტუმრობდნენ ხოლმე დნესტრისპირეთის წარმომადგენლები, გარდა ამისა, არსებობდა უამრავი სხვა მტკიცებულება. გენადი სელეზნიოვმა, დუმის ვიცე-სპიკერმა აშკარად დაადასტურა ეს კიბინიოვში 1992 წელს განხორციელებული ვიზიტისას, როდესაც განაცხადა: „ჩვენ, რუსებმა, მხარი უნდა დაუჭიროთ დნესტრისპირეთს. თუ ჩვენ მას მხარს არ დაუჭერთ კონფლიქტში, მოლდოვა გაერთიანდება რუმინეთთან“. ეს მხარდაჭერის აბსოლუტურად აშკარა დადასტურება იყო. რეჟიმი ვერ გადარჩებოდა რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე. ეს ეხება, მაგალითად, ენერგორესურსებს — დნესტრისპირეთს გააჩნდა უზარმაზარი დავალიანება რუსეთის მიმართ გაზით მომარაგებასთან დაკავშირებით. იმ ფაქტის გამო, რომ დნესტრისპირეთი კვლავაც უფასოდ იღებდა გაზსა და ელექტროენერჯიას, დნესტრისპირეთში ხალხი ძალიან კარგად ცხოვრობდა. მათ პრივილეგიურებულად შეეძლოთ შესვლა რუსეთისა და უკრაინის ბაზრებზე, რადგან ხელი არ მიუწვდებოდათ ევროპულ ბაზარზე. ამავე დროს, რუსეთმა გაზით მომარაგება შეუწყვიტა მოლდოვას.

234. რაც შეეხება დნესტრისპირეთთან ურთიერთობას 1992 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც სიტუაცია ჩანყნარდა, ადგილი აღარ ჰქონია სროლებს. შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. პირველი ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა 1994 წლის 29 აპრილს ტირასპოლის მახლობლად. ხელმოწერილი იქნა განზრახვის შეთანხმება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრასთან და მოლდოვის შემადგენლობაში დნესტრისპირეთისათვის სპეციალური სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. როდესაც მოწმე პრეზიდენტი იყო, შედგა შეხვედრების განრიგი, რომლის თანახმადაც მოლდოველები ჩადიდნენ დნესტრისპირეთში და საპირისპიროდ, სხვადასხვა საკითხების განსახილველად, მაგალითად, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით და ა.შ. განზრახვას წარმოადგენდა არა მხოლოდ კომერციული კავშირების, არამედ ასევე პოლიტიკური კავშირების აღდგენაც. დნესტრისპირეთი იყო რეგიონი, რომელშიც სამი ოფიციალური ენა მოქმედებდა — რუსული, უკრაინული და მოლდოვური. 1996 წლის შემდეგ შეწყდა შერიგებისკენ მიმართული მყარი ნაბიჯების გადადგმა. შედარებით გაუმჯობესდა სიტუაცია ბ-ნი ვორონინის პრეზიდენტად მოსვლის შემდგომ.

მოწმის პრეზიდენტობის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ურთიერთობის დამყარებას დნესტრისპირეთთან, ზოგჯერ ეს ურთიერთობები კარგი, ზოგჯერ კი ცუდი იყო. მოლდოვის შეხედულება იყო, რომ მოლაპარაკებები სჯობდა კონფლიქტს. ხსენებული ურთიერთობების მონაწილეები იყვნენ თვით მოწმე, ბ-ნი სმირნოვი, მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარე, ბ-ნი დიაკოვი და ბ-ნი ლუჩინსკი. დნესტრისპირეთის მხრიდან მონაწილეობდნენ ე.წ. პრემიერ-მინისტრი და სხვა მინისტრები და დეპარტამენტების წარმომადგენლები, როდესაც გარკვეული საკითხები იხილებოდა — მაგალითად, ფოსტასთან, საბაჟოებთან და მედიასთან დაკავშირებით. მოლდოვის მხარემ მრავალგზის დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები, განსაკუთრებით ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირე-



ბით, რადგან სხვაგვარად ჩვეულებრივი კომერციული წარმოება, მუშახელი და გლეხები დაზარალდებოდნენ. ხსენებულში მონაწილეობას არ იღებდნენ მე-14 არმიის წარმომადგენლები. ყველა შეხვედრას ესწრებოდნენ შუამავლები – რუსეთიდან, უკრაინიდან და ეუთო-დან.

235. რაც შეეხება რუსეთის ჯარების ყოფნას მოლდოვაში, მოწმემ განაცხადა, რომ სამხედრო პირების ყოფნა არ წარმოადგენდა არმიის ეფექტურობის ერთადერთ საშუალებას. დნესტრისპირეთში ასევე განთავსებული იყო 200 000 ტონაზე მეტი შეიარაღება და ჭურვები. რუსეთის მხარეს რომ შეესრულებინა ყველა შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერა, მოლდოვა არ იქნებოდა დღევანდელ სიტუაციაში.

მიუხედავად მიღწეული შეთანხმებებისა, დნესტრისპირეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა იმიტომ გაინელა, რომ ეს იყო რუსეთის ფედერაციის სურვილი. ჯარების გაყვანა ხაზგასმული იქნა მრავალ დოკუმენტში. რუსეთის ფედერაციის ევროპის საბჭოში შესვლისას ხსენებული წარმომადგენელი ერთ-ერთ პირობას. სტამბულის სამიტზე გადაწყდა, რომ გაყვანა 2002 წლის ბოლოსათვის უნდა დასრულებულიყო. ახლა ეს უნდა მოხდეს 2003 წლის დასასრულისათვის. ხსენებული გაჭიანურება იყო იმ პოლიტიკოსების ზეგავლენის შედეგი, რომლებიც ფხვს ითრევენდნენ ჯარების გაყვანაზე დნესტრისპირეთის მხარის მოთხოვნით კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტამდე.

236. გარკვეული მცდელობები განხორციელდა ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, რათა უზრუნველყოფილიყო პატიმრების გათავისუფლება. მაგალითად, 1995 წლის დადგენილებით გამოიცა ამნისტია ყველა იმ პირთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონფლიქტში. ნებისმიერს, ვინც პატიმრობაში იმყოფებოდა მოლდოვაში, შეეხო ამნისტია. დნესტრისპირეთის მხარემ არ შეასრულა გარიგებისას მასზე დაკისრებული ვალდებულებები. ილაშკუსა და მისი კოლეგების გასამართლება და მათთვის სასჯელის შეფარდება ფარსი იყო, უიღბლო ბედის შედეგი. მოწმემ 1993 წელს დაუყოვნებლივ გამოსცა ბრძანება, რომლითაც სასამართლო პროცესი უკანონოდ იქნა შეფასებული. ილაშკუს საკითხი დღის წესრიგში იდგა მეორე მხარესთან გამართულ ყველა შეხვედრაზე. ისინი მხოლოდ დაპირებებს იძლეოდნენ: „ჩვენ დაუზბრუნდებით ამ საკითხს“ და ამგვარ განცხადებებს აკეთებდნენ. მოწმე პირადად შეხვდა პრეზიდენტ ელცინს და ელაპარაკა ამ საკითხთან დაკავშირებით. მოლდოვამ ხსენებული საკითხი წამოჭრა დსთ-ს შეხვედრებზეც. მაგრამ რუსებმა არ მოუსმინეს მოლდოველებს. მოლდოვის კომუნისტ პრეზიდენტს რუსებმა თანამდებობის დაკავებიდან ორი დღის შემდეგ მოუსმინეს და შედეგად ილაშკუ გათავისუფლებული იქნა.

237. ბ-ნი ელცინის რეაქცია ყოველთვის იყო ის, რომ იგი გაგებით ხვდებოდა პრობლემას და იძლეოდა დაპირებებს, რომ ზეგავლენას მოახდენდა სმირნოვზე. მაგრამ ხსენებული არ განხორციელდა. პრეზიდენტ ელცინს არასოდეს უთქვამს, რომ არ გააჩნდა რაიმე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. იგი ყოველთვის დაპირებებს იძლეოდა, რომ იმოქმედებდა სმირნოვზე, მაგრამ მისი დაპირებები დაპირებებად რჩებოდა შემდგომ შეხვედრამდე. ილაშკუს გათავისუფლება არ იყო თავად სმირნოვის მიერ გადადგმული ნაბიჯი. ეს განხორციელებული იქნა მხოლოდ გარე ზეწოლის შედეგად.

238. პრეზიდენტ ლუჩინსკის მიერ 1997 წლის მაისის მემორანდუმზე

ხელმოწერა მოსკოვში შეცდომა იყო. ეს წარმოადგენდა დნესტრისპირეთის აღიარებას, როგორც ცალკე სახელმწიფოსი. ამგვარად, ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, სადაც დნესტრისპირეთი აღიარებულ იყო ცალკე სახელმწიფოდ. ხსენებული მემორანდუმის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენდა მე-14 არმიის გაყვანის სინქრონიზება კონფლიქტის საბოლოო მოგვარებასთან. ეს განხორციელებული იყო დნესტრისპირეთისა და რუსეთის მხარეების ინიციატივით.

239. შერეულ საკონტროლო კომისიაში, რომელიც ინტეგრაციის სამინისტროს ეგიდით მოქმედებდა, ყოველთვის იყო პრობლემები, რადგან ხორციელდებოდა ჩარევა დნესტრისპირეთის მხარის მიერ, განსაკუთრებით ბენდერთან, აგრეთვე, მათ მცდელობასთან დაკავშირებით, იქიდან გასულიყო მოლდოვის პოლიცია.

მონმემ ხელი მოაწერა დოკუმენტებს, რომლებიც უფრო დიდ ავტონომიურობას ანიჭებდა დნესტრისპირეთის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მოლდოვის ტერიტორიის შიგნით, მაგრამ ხსენებული არ გულისხმობდა რეჟიმის აღიარებას. მაგალითად, დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა საბაჟო ბეჭდებს, არ ყოფილა აღიარებული ოფიციალურად უკანონო რეჟიმის მიერ. გათვალისწინებული იქნა პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა, რადგანაც მოლდოვის ხელისუფლებას არ სურდა შეექმნა ეკონომიკური ბლოკადა. მოლდოვა აღიარებდა დნესტრისპირეთს როგორც „არეალს“ და საჭიროდ მიიჩნევდა სამსახურების კოორდინაციას.

მონმეს არასოდეს შექმნია პრობლემები დნესტრისპირეთში ჩასვლასთან დაკავშირებით, იგი არასოდეს შეუჩერებიათ ან დაუმცირებიათ.

240. მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოები ეხმარებოდნენ ილაშკუს ჯგუფის ოჯახებს.

რაც შეეხება ილაშკუს, მონმე შეხვდა მას, როდესაც პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებდა. მას შემდეგ, რაც ბ-ნი ილაშკუ გაათავისუფლეს, ისინი ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს კიშინიოვში. მან ერთხელ დარეკა პარტიის შტაბბინაში და დატოვა ტელეფონის ნომერი, მაგრამ ამის შემდეგ მასთან კავშირი არ ჰქონია.

241. სმირნოვი გათავისუფლებული იქნა რამდენიმე მიზეზის გამო, კერძოდ, ეს იყო კარგი განზრახვები, რომლებიც ნაკარნახევი იყო კეთილსინდისიერებით ანუ სურვილით, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების სანადელი მოლაპარაკებების საშუალებით მიღწეულიყო.

## 20. ალექსანდრუ მოჰანუ

242. 1990 წლიდან 1993 წლის თებერვლამდე იგი იყო მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო 1993 წლიდან 2001 წლამდე პარლამენტის წევრი.

243. პარლამენტს ჰქონდა მტკიცებულებები, რომ დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მყოფი სეპარატისტული ძალები მარაგდებოდნენ სხვადასხვა ტიპის იარაღით და მათ წვრთნიდნენ ყოფილი მე-14 არმიის ოფიცრები. 1992 წლის 19 მაისს ტელევიზიამ გადასცა ფილმი მე-14 არმიის ტანკებზე, რომლებზეც რუსული დროშები ფრიალებდა და რომლებიც კონფლიქტში ღიად მონაწილეობდნენ. მე-14 არმიის მიერ განხორციელებული ამ აშკარა ინტერვენციის შემდეგ პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ხსენებულ ქმედებებს აძლევდა რუსეთის არმიის მიერ მოლდოვის წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო აგრესიის

შეფასებას. ხსენებული რეზოლუცია მიმართული იყო მსოფლიოს ყველა პარლამენტისა და ხალხისადმი. რეზოლუცია აღწერდა ყოფილ მე-14 არმიას როგორც თავისუფალ, სუვერენულ ქვეყანაში მყოფ საოკუპაციო არმიას. რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებული გადანაცვტილება მიღებული იქნა მოლდოვის პარლამენტის მიმდინარე სესიაზე.

გენადი იაკოვლევი, სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგი, აცხადებდა საგაზეთო სტატიაში 1992 წლის 18 ივნისს, რომ მე-14 არმია და დნესტრისპირელი ხალხი გაერთიანებულნი იყვნენ. „ტირასპოლსკაია პრადეა“ 1992 წლის 2 სექტემბრის ნომერში სმირნოვი აცხადებდა, რომ დნესტრისპირეთის რესპუბლიკა არსებობდა მხოლოდ რუსეთისა და მე-14 არმიის მხარდაჭერით.

244. რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერის გარეშე დნესტრისპირეთის რეჟიმი ვერ იარსებებდა. მაის-ივნისის პერიოდში მოლდოვაში ჩავიდა შეერთებული შტატების სენატორი ლარი პრესლერი. იგი ადგილზე სწავლობდა პრობლემას და შეერთებული შტატების კონგრესისადმი 1992 წლის 24 ივნისის მოხსენებაში დაასკვნა, რომ პრობლემები არსებობდა კონფლიქტში მე-14 არმიის ჩარევის გამო.

245. 1992 წლის ივნისის ბოლოს გენერალმა ლებედმა, როგორც მე-14 არმიის სარდალმა, დაურეკა მოწმეს ტელეფონზე, როდესაც სახელმწიფოს პრეზიდენტი არ იმყოფებოდა ქვეყანაში, და უბრძანა, ნება არ დაერთო მოლდოვის არმიის კონკრეტული სამხედრო ფორმირების ერთი ზონიდან მეორეში გადაყვანაზე. როდესაც მოწმემ უთხრა, რომ მან არ იცოდა, თუ ვინ იყო ბ-ნი ლებედი, მან უპასუხა, რომ ტანკებით შევიდოდა კიშინიოვში.

246. დაახლოებით იმავე დროს, 1992 წლის ბოლოს, შეწყდა კიშინიოვისთვის ელექტროენერჯის მიწოდება კუჩიურგანის ელექტროსადგურიდან, რომელიც დნესტრისპირეთში მდებარეობდა. ვინაიდან მოლდოვას არ გააჩნდა ენერჯის მიღების ალტერნატიული წყარო, მოწმე წავიდა მინსკში, რათა ბელორუსიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისათვის მიემართა დახმარების თხოვნით. ბელორუსიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა შუშკევიჩმა მოწმის თანდასწრებით დაურეკა პრეზიდენტ ელცინს და სთხოვა, ჩარეულიყო. იმ დროისათვის, როდესაც მოწმე ქვეყანაში დაბრუნდა, ელექტროენერჯის მიწოდება აღდგენილი იყო.

247. 1992 წელს მოწმემ არაფერი იცოდა ილაშკუს ჯგუფის შესახებ; ხსენებულის თაობაზე მან მოგვიანებით შეიტყო. იმ დროისათვის ბევრი ადამიანი იყო მოკლული, დაკავებული და დამარხული. ბ-ნი ილაშკუ იმ დროისათვის არ იყო პარლამენტის წევრი. იგი პირველად არჩეული იქნა 1994 წელს სახალხო ფრონტის სიით და ხელახლა იქნა არჩეული 1998 წელს.

248. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფდნენ ტრანსპორტით ქ-ნ ილაშკუს, რათა იგი გამგზავრებულიყო ტირასპოლში. ქ-ნ ილაშკუს ასევე შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო ბ-ნი ილაშკუს, როგორც პარლამენტის წევრის, ხელფასი.

მოწმემ ბ-ნი ილაშკუს შესახებ გაიგო 1993 წლის 5 მაისს, როდესაც ე.წ. სასამართლო პროცესი დაიწყო ტირასპოლში. მოწმემ მოაწყო მხარდამჭერი ჯგუფის შეხვედრა 6 მაისს კიშინიოვში. მან იცოდა გაზეთებიდან ტირასპოლში ბ-ნი ილაშკუს მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ არასოდეს განუხილავს მასთან ბრძანება №6 ან ტირასპოლში მის მიერ განხორციელებული ქმედებები.

249. პარლამენტში შეიქმნა კომიტეტი, რომელიც იმუშავებდა ილაშკუს

ჯგუფის პრობლემებზე. ხორციელდებოდა კავშირი ტირასპოლის ხელისუფლების ორგანოებთან და მოლდოველებს უცხადებდნენ, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. რეალურად უფრო ეფექტიანი ღონისძიებები პარლამენტის გარეშე ხორციელდებოდა. მოლდოვის პარლამენტმა წამოჭრა ხსენებული საკითხი ეუთო-სთან და უცხო სახელმწიფოებთან გამართულ შეხვედრებზე, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან გამართულ შეხვედრაზე. ბ-ნმა სნეგურმა ასევე წამოჭრა ხსენებული საკითხი 1999 წელს ბერლინში გამართულ პარლამენტთაშორისი კავშირის შეხვედრაზე, სადაც ხსენებულის შედეგად მიღებული იქნა რეზოლუცია ბ-ნ ილაშკუსთან დაკავშირებით.

250. რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არავითარი რექცია არ მოჰყოლია კაზაკების გაყვანის მოთხოვნას. მონმე ტელეფონით დაუკავშირდა ხაზბულატოვს, რუსეთის პარლამენტის სპიკერს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ გამოიჩინა არანაირი ინტერესი. მოლდოვის პარლამენტმა ასევე გააგზავნა წარმომადგენლები რუსეთისა და უკრაინის პარლამენტებში, რათა მათ აეხსნათ თავიანთი პოზიცია. არ მოსულა არანაირი ოფიციალური პასუხი მოლდოვის მოთხოვნებზე.

1994 წლის ოქტომბერში მოლდოვამ ხელი მოაწერა შეთანხმებას რუსეთის ფედერაციასთან მოლდოვის ტერიტორიიდან სამხედრო შენაერთების გაყვანასთან დაკავშირებით. მოლდოვის პარლამენტმა მოახდინა შეთანხმების რატიფიცირება. რუსეთის პარლამენტს არასოდეს მოუხდენია ხსენებული შეთანხმების რატიფიცირება; უფრო მეტიც, ხსენებული შეთანხმების რატიფიცირება ამოღებული იქნა რუსეთის პარლამენტის დღის წესრიგიდან.

მოლდოვის პარლამენტი მხარს უჭერდა ელცინს მოსკოვში მიმდინარე ბუნტის დროს. 1991 წლის სექტემბერში ელცინმა მიავლინა ბ-ნი ნიკოლაი მედვედევი, კოლეგების ჯგუფთან ერთად, რათა ემოქმედათ შუამავლებად. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა უარყვეს ხსენებული ინიციატივა, რადგან თვლიდნენ, რომ ეს იყო საშინაო პრობლემა და რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ხსენებული საკითხის განხილვა-გადაჭრაში. მაგრამ ბ-ნი მედვედევი მაინც შეხვდა მონმეს და განუცხადა, რომ ხელშეკრულება მოლდოვასა და რუსეთს შორის არ იქნებოდა რატიფიცირებული, სანამ მოლდოვის სახელმწიფო არ შეასრულებდა „მდრ“-ს მოთხოვნებს.

251. 1992 წლის 21 ივლისის ცეცხლის შეწყვეტის მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ თუ მოლდოვა ხელს არ მოაწერდა დამამცირებელ შეთანხმებას, მე-14 არმიის ტანკები შევიდოდნენ კიშინიოვში. მოლდოვას მხოლოდ მოხალისეთა არმია ჰყავდა, ანუ სუსტი არმია და არა განვრთნილი ჯარი. შეტაკებებისას ბევრი ადამიანი იქნა მოკლული. მოლდოვას სხვა გზა არ ჰქონდა, მას ხელი უნდა მოეწერა შეთანხმებისთვის.

252. მოლდოვა ვერ ახორციელებდა რაიმე კონტროლს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილზე. ყველა პოლიტიკური მონაწილე აკეთებდა მაქსიმუმს, რათა პრობლემა მოგვარებულიყო ილაშკუს ჯგუფის სასარგებლოდ. მაგრამ რუსეთის ფედერაციის გარე ზეწოლა — პოლიტიკური და ეკონომიკური — ძალიან ძლიერი იყო. იმ დროს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიდგომა საკითხისადმი იყო, რომ თუ მოლდოვა არ გასცემდა პასპორტებს ან საბაჟო ბეჭდებს დნესტრისპირელებისთვის, მას არ ეცოდინებოდა, როგორ მოიქცეოდნენ დნესტრისპირელები. ახლა, როდესაც ტირასპოლის ხელისუფლების ორგანოთა

წარმომადგენლებს ჩამოერთვათ უფლება, გაემგზავრონ დასავლეთში, მათი მიდგომა შეიცვალა. მოლდოვის ხელმძღვანელობას უნდა მიეღო 1992 წელს შეერთებული შტატების წინადადება სამშვიდობო კომისიაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

## 21. მოხაზუ

253. ჩვენების მიცემის დროისათვის მოწმე იყო მოლდოვის ლიბერალური პარტიის მაღალი თანამდებობის პირი. იგი იყო მოლდოვის პარლამენტის ყოფილი წევრი და ყოფილი დიპლომატი.

254. დნესტრის პრობლემა დაიწყო 1992 წელს. საპარლამენტო კომიტეტს იმ დროისათვის არ ჰყავდა თავმჯდომარე და ამიტომაც არ იყო ჩართული მდინარე დნესტრის მოვლენებთან დაკავშირებულ დებატებში. ბენდერის მოვლენებისას მოწმე არ იმყოფებოდა ქვეყანაში. კომიტეტის თავმჯდომარედ გახდომის შემდეგ მან მოითხოვა, რომ სამ შესაბამის სამინისტროს წარმოედგინა პარლამენტისათვის ინფორმაცია ბენდერში განვითარებული მოვლენების მიზეზებთან და მოლდოვის მთავრობის ქმედებებთან დაკავშირებით. შესაბამისი დოკუმენტები გადაეცა პარლამენტს. დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის თანახმად, იკვებოდა ეჭვის საფუძველი, რომ მე-14 არმია მხარში ედგა სეპარატისტებს ხსენებული მოვლენებისას. 20-21 ივნისს, როდესაც მოლდოვის არმიის პირველი ნაწილები შევიდნენ ბენდერში, იმ ჯარისკაცთა ჯგუფზე, რომლებიც გადაყავდა ავტობუსს და რომლებსაც ეცვათ ფორმები და მსუბუქად იყვნენ შეიარაღებულნი, მოხდა თავდასხმა, ავტობუსსა და ჯგუფზე ავტომატური ცეცხლი გახსნეს ორივე მხრიდან. ცეცხლი მოდიოდა იმ ადგილიდან, რომელიც ეკუთვნოდა მე-14 არმიას. მოკლული იქნა 20 მოლდოველი ჯარისკაცი.

როდესაც პრეზიდენტი სნეგური და პრემიერ-მინისტრი ანდრეი სანგჰელი იყვნენ მოსკოვში, მათ მრავალჯერ წამოჭრეს ილაშკუს ჯგუფის საკითხი. შედგა პირადი (პირისპირ) შეხვედრები ელცინსა და სნეგურს შორის, რომელთა დროსაც ბ-ნმა სნეგურმა წამოჭრა საკითხი. მოწმე პასუხისმგებელი იყო შეხვედრებთან დაკავშირებული პრესრელიზების მომზადებაზე. მაგალითად, ილაშკუს ჯგუფის საკითხი წამოჭრილი იქნა 1993 წლის 15 მაისს; ნათქვამი იყო, რომ ორივე მხარე განახორციელებდა ქმედებებს ჯგუფის მაქსიმალურად სწრაფად გათავისუფლების მიზნით.

თუმცა მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციას შორის განხორციელებული მოლაპარაკებები მოლდოვიდან რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით არ მოიცავდა ილაშკუს ჯგუფის საკითხს. რუსეთის არმიის გაყვანასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მოლდოვის მხარისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ რუსეთის მხარე მოითხოვდა რუსეთის არმიის გაყვანის სინქრონიზებას დნესტრისპირეთის პრობლემის საბოლოო მოგვარებასთან. მოლდოვისათვის ეს იყო ორი განსხვავებული პროცესი, რომელთა შორისაც არავითარი კავშირი არ არსებობდა. მოლდოვის მთავრობამ იცოდა, რომ თეორიულად ასეთი კავშირიც რომ ყოფილიყო, არსებობდა საფრთხე, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტი ვერ გადაწყდებოდა: ნებისმიერი მხარე, რომლის ინტერესებში შედიოდა რუსული სამხედრო ძალების მოლდოვაში დარჩენა,

მომავალში იმუშავებდა იმაზე, რომ უზრუნველყო, რომ დნესტრისპირეთის პრობლემა არასოდეს მოგვარებულა. ხსენებული მოსაზრება მოლაპარაკებისას წარედგინა რუსეთის მხარეს. მაგრამ რუსები დაჟინებით მოითხოვდნენ სინქრონიზების ფორმულას და, სამწუხაროდ, სწორედ ეს ვერსია გავიდა საბოლოო დოკუმენტში.

პრობლემის გადაუჭრელობამ საფუძველი მისცა რუსებს, თავიანთი არმია ჰყოლოდათ ხსენებულ ტერიტორიაზე. და სწორედ ისინი ახორციელებდნენ კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობის კონტროლს.

სინქრონიზების ფორმულა შემოთავაზებული იქნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. ხსენებული პრესრელიზში აშკარად მათი მოთხოვნით იქნა შეტანილი. როდესაც მოლდოვამ წამოაყენა წინადადება, რომ პრესრელიზში ნახსენები ყოფილიყო ილაშკუს ჯგუფის გათავისუფლებაში ორივე მხარის დაინტერესება, რუსები დათანხმდნენ იმ პირობით, რომ ნახსენები იქნებოდა სინქრონიზების ფორმულაც. შედეგად მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა გააანალიზეს, რომ დიდი შეცდომა დაუშვეს სინქრონიზების ფორმულის მიღებასთან დაკავშირებით.

255. მონმემ არ იცოდა რაიმე შემთხვევა, რომ სამშვიდობო ძალებს დაერღვიათ მანდატი. იგი მუშაობდა „რუსეთის საორგანიზაციო დაჯგუფების“ საკითხებზე, სამშვიდობო ძალები არ შედიოდა მის კომპეტენციაში. მონმემ მოგვიანებით შეიტყო, რომ სამშვიდობო ძალები რამდენიმეჯერ იქნა გამოყენებული კიშინიოვის თანხმობის გარეშე.

256. ილაშკუს საკითხი მრავალჯერ იქნა წამოჭრილი მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ. 1992 წლის დეკემბერში დაიწყო მოლაპარაკებები დნესტრისპირეთის მხარესთან, ტირასპოლის გარეთ მდებარე ოლქში, და მოლდოვის მხარემ წამოაყენა ილაშკუს საკითხი. 1993 წლის მარტამდე გაიმართა მოლაპარაკებების ოთხი რაუნდი. მოლდოვას არასოდეს მიუღია სეპარატისტული ხელისუფლების ორგანოების ნებართვა, შეხვედროდა ილაშკუს ჯგუფის წევრებს. წამოჭრილი იქნა სამედიცინო დახმარების საკითხი, განხილული იქნა ექიმების საკითხი, რომლებიც ტირასპოლში უნდა ჩასულიყვნენ კიშინიოვიდან და აღმოეჩინათ სამედიცინო დახმარება ჯგუფისათვის. საკითხი განსახილველად იქნა გატანილი საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე. მონმემ პრეზიდენტ სნეგურისაგან მიიღო მითითება, წამოეჭრა საკითხი რუს ოფიციალურ პირებთან შეხვედრებისას. 1993 წლის სექტემბერში მონმემ წამოაყენა საკითხი რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის (რუსეთის პარლამენტის სპიკერის) ბ-ნი ხაზბულატოვის წინაშე, რომელმაც აღუთქვა, რომ რუსეთის პარლამენტის წევრები, რომლებიც ტირასპოლში მიემგზავრებოდნენ, შეეცდებოდნენ, მოეპოვებინათ ინფორმაცია ილაშკუს ჯგუფის შესახებ.

257. არსებობდა მინიშნებები დნესტრისპირეთში რუსეთის პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით, რასაც იუნყებოდნენ რუსეთში არსებული კვლევითი ინსტიტუტების ვებგვერდები. კონსტანტინ ზატულინი იყო ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტის უფროსი, სახელდობრ, სამართლის აკადემიის დირექტორი. ინსტიტუტის ვებგვერდზე განთავსებული იყო მოხსენება, რომელიც ასახავდა სხვადასხვა სცენარს, თუ როგორ უნდა ყოფილიყო საკითხები ორგანიზებული დნესტრისპირეთში. იყო სხვა მაგალითებიც, როგორც არის მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული დეპარტამენტის ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული

იყო დნესტრისპირეთის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების თეორიული მოდელი. მოწმეს არ შეეძლო იმის თქმა, ხსენებული მოდელი მეცნიერებათა აკადემიის ნებართვით იქნა ჩამოყალიბებული თუ არა.

258. მოწმე იხსენებს რუსეთის ფედერაციის ულტიმატუმს 1994 წელს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, როდესაც მოლდოვის წარმომადგენელმა ასეთ დონეზე პირველად გააჟღერა რუსეთის მხარის მონაწილეობა დნესტრისპირეთის კონფლიქტში. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჰქონდა შეხვედრა მოწმესთან და განუცხადა მას, რომ რუსეთის მხარეს არ მოეწონა კიშინიოვის მიერ გაერო-ში გამოჩენილი ინიციატივა. მისი თქმით, რუსეთი გამოიხატავს „ადეკვატურ შესაძლებლობას“, უარყოს ხსენებული ინიციატივა.

259. 1990 წლის ხელშეკრულება გაცილებით უკეთესი იყო მოლდოვისათვის, ვიდრე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იქნა რუსეთის ფედერაციასთან 2001 წელს. 1990 წელს ეს იყო ხელშეკრულების საკითხი ორ საბჭოთა რესპუბლიკას შორის, რომლებიც იყვნენ სსრკ-ს წევრები. ხელშეკრულებაში ასახული იყო მოლდოვის სურვილი, მოეპოვებინა დამოუკიდებლობა. მოგვიანებით გაფორმებული ხელშეკრულება დაიდო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის და შეიცავდა გარკვეულ დებულებებს, რომლებიც მიუღებელი იყო მოლდოვის მხარისათვის.

260. 1997 წლიდან 1998 წლამდე მოწმე იყო მრჩეველი დნესტრისპირეთის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ილაშქუს ჯგუფის გათავისუფლებასთან დაკავშირებითაც. ხსენებული პრობლემა მრავალჯერ იქნა წამოჭრილი. მოწმის აზრით, გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა და უფრო ეფექტიანად, ვიდრე ეს რეალურად განხორციელდა. მოწმის გეგმა დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით უარყოფილი იქნა მოლდოვის მაშინდელი ხელისუფლების მიერ და იგი გაათავისუფლეს დნესტრისპირეთის საკითხებზე მთავარი მრჩეველის თანამდებობიდან მის მიერ წარმოდგენილი გეგმის გამო.

261. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლების ორგანოები მხარს უჭერდნენ დნესტრისპირეთის უკანონო რეჟიმს ტირასპოლში. ხსენებული მოიცავდა ეკონომიკურ მხარდაჭერას. რამდენიმე წლის განმავლობაში დნესტრისპირეთს მოლდოვის სხვა ნაწილებთან შედარებით ნახევარ ფასში მიეწოდებოდა ბუნებრივი გაზი. 2003 წლის 1 თებერვლიდან დნესტრისპირეთისათვის ფასი გაორმაგდა. ხსენებულ დრომდე ბევრი ადამიანი დნესტრისპირეთში ამბობდა, რომ მათ არ სურდათ მოლდოვის რესპუბლიკასთან გაერთიანება, რადგან თუკი ისინი ამას გააკეთებდნენ, გაზში უფრო ძვირი საფასურის გადახდა მოუწევდათ. დნესტრისპირეთს 750 მილიონი დოლარის ვალი აქვს რუსეთის მიმართ ბუნებრივი აირის გამო. ხსენებული ვალი ჩამოინერება, თუკი რუსეთი მიიღებს ნილებს დნესტრისპირეთის ეროვნულ სანარმოებში. შესაბამისად, მოლდოვის მოსახლეობის ნაწილს გააჩნია რუსეთის ვალი.

262. 1992 წლის 1 აპრილს პრეზიდენტმა ელცინმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც ბრძანებდა მე-14 არმიის რუსეთის იურისდიქციაში გადაყვანას. ამით მან დაარღვია მოლდოვის ეროვნული იურისდიქცია და მოლდოვის სუვერენიტეტი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ადრე, იანვარში, პრეზიდენტმა სნეგურმა გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც მოლდოვის ტერიტორიაზე

განთავსებული მე-14 არმიის ყველა შენაერთი უნდა გადასულიყო მოლდოვის იურისდიქციაში. ხსენებული წარმოადგენდა პრობლემას, რომელიც მოითხოვდა გადაჭრას.

263. მე-14 არმიის 200 000 ტონა სამხედრო აღჭურვილობა, რომელიც დნესტრისპირეთში რჩებოდა, პრეზიდენტ სნეგურის დადგენილების საფუძველზე უნდა მიკუთვნებოდა მოლდოვას ან უნდა განკარგულიყო ერთო-ს მიერ. პრობლემა არ წამოიჭრებოდა, ეს სამხედრო აღჭურვილობა საერთაშორისო კონტროლს რომ დაქვემდებარებოდა. პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ კონტროლს ერთპიროვნულად ახორციელებდა რუსეთი.

სმირნოვი იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. ამიტომაც ხსენებული წარმოადგენდა რუსეთის პრობლემას, რადგან სმირნოვი მისი მოქალაქე იყო. პრეზიდენტმა ვორონინმა განუცხადა რუსებს, რომ, როგორც მოლდოვის პრეზიდენტი, ბედნიერი იქნებოდა, თუკი რუსეთი წაიყვანდა სმირნოვს და დაასახლებდა მოსკოვის გარეუბანში.

## 22. ანდრეი სანტჰელი

265. მოწმე პრემიერ-მინისტრი გახდა 1992 წელს. შეიარაღებული კონფლიქტი მანამდე დაიწყო. ჩვენების მიცემის დროისათვის მოწმე მუშაობდა ფრანგული ფირმის გენერალურ დირექტორად. მას არ ჰქონია დაკავებული არანაირი პოლიტიკური თანამდებობა 1997 წლის შემდეგ.

266. მართალია, არ არსებობდა მტკიცებულებები, რომ მე-14 არმია მონაწილეობდა 1992 წლის კონფლიქტში, მაგრამ მე-14 არმიის იარაღი, აღჭურვილობა და საჭურველი გამოყენებული იქნა სეპარატისტების ძალების მიერ. საჭურველი და ჯავშანმანქანები, რომლებსაც იყენებდნენ ტირასპოლელი აჯანყებულები მოლდოვის კონსტიტუციურ ძალებთან გამართული ბრძოლებისას, მოდიოდა მე-14 არმიის მარაგებიდან.

267. ილაშკუს ჯგუფის პრობლემა დღის წესრიგში იდგა ყოველ შეხვედრაზე, რომელსაც მოლდოვა მართავდა დნესტრისპირეთის მხარესთან. მოლდოვა ცდილობდა, გაეკეთებინა ყველაფერი, რაც შეეძლო, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად. ამჟამინდელი მთავრობის წარმატება ადრე განხორციელებული ქმედებების შედეგი იყო. მაგრამ გარემოებები ხსენებული დროისათვის ნიშნავდა იმას, რომ მოლდოვას არ გააჩნდა არანაირი სხვა საშუალება მოლაპარაკების გარდა. 1992 წლის კონფლიქტი ქვეყნის ტრაგედია იყო.

ილაშკუს ჯგუფის გათავისუფლება იყო პოლიტიკური პრობლემა. დნესტრისპირეთის რეჟიმი დანარჩენ განმცხადებლებს იტოვებდა შემდგომი ვაჭრობისათვის. მათ სურდათ, სარგებელი ენახათ პატიმრების გათავისუფლების ნებისმიერი გადაწყვეტილებიდან. მოლდოვამ გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო. მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოები არ იყვნენ პასუხისმგებელი იმაზე, რაც დაემართა ილაშკუს ჯგუფს. განმცხადებელთა ოჯახები მუდმივად უკავშირდებოდნენ ხელისუფლების ორგანოებს და იღებდნენ მოლდოვის ხელისუფლებისაგან პოლიტიკურ, სამედიცინო და სხვა სახის დახმარებას.

268. ტირასპოლისათვის რუსეთის მიერ სავარაუდოდ აღმოჩენილ ფი-



ნანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით არ არსებობდა არანაირი ოფიციალური დოკუმენტაცია, მაგრამ არსებობდა ინფორმაცია, რომლის მიღებაც შეიძლებოდა იმ განცხადებებიდან, რომლებსაც რუსეთის წარმომადგენლები აკეთებდნენ ტირასპოლში ვიზიტისას. მნიშვნელოვანი იყო ენერგეტიკის სფეროში ვალების საკითხიც. რუსეთი დნესტრისპირელებს გაზს უფასოდ აწვდიდა. ეს შესაძლოა ჩათვალოს ეკონომიკურ დახმარებად. რუსეთთან მოლაპარაკებისას 1992 წელს მოწმე მონაწილეობას იღებდა ეკონომიკური საკითხების განხილვაში. მოლაპარაკების მთავარი თემა იყო ენერჯის მონოდება და რუსეთის ბაზრები მოლდოვის პროდუქციისათვის, როგორც არის ხემასალა და ნახშირი, ისევე, როგორც საკრედიტო საშუალებები. დნესტრისპირეთს გაზი მიწოდებოდა უფრო დაბალი ტარიფით, ვიდრე მოლდოვას. როდესაც მოწმე იყო პრემიერ-მინისტრი, გაზის მონოდებელი კომპანია სახელმწიფო გაერთიანება იყო. მას შემდეგ, რაც განხორციელდა კომპანიის პრივატიზება, სიტუაცია მოლდოველი ხალხისათვის გაუარესდა. დღეისათვის ეს არის სააქციო საზოგადოება, მაგრამ სახელმწიფო უმსხვილესი მენილეა. არც მოლდოვის და არც დნესტრისპირეთის ეკონომიკას არ შეეძლოთ ფუნქციონირება რუსული გაზის გარეშე.

269. 1993 წელს მოწმემ განიხილა ვალის საკითხი რუსეთის მთავრობასთან და დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან. ისინი დათანხმდნენ, რომ ვალი ორად გაყოფილიყო. მოწმემ არ იცოდა, გადაიხადეს თუ არა დნესტრისპირელებმა საკუთარი დავალიანება, მაგრამ ფიქრობს, რომ მათ ის არ გადაუხდიათ.

## 23. მოწმე Z

270. მოწმე მოლდოვის ყოფილი მინისტრია.

271. მოწმე მონაწილეობას იღებდა შესაბამის მოლაპარაკებებში, ამიტომ მას გააჩნია ინფორმაცია მე-14 არმიისა და როდ-ის მიერ სამხედრო აღჭურვილობის სეპარატისტებისათვის გადაცემასთან დაკავშირებით. ხსენებული დაიწყო უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შექმნილიყო შეიარაღებული ძალები მართლწესრიგის დასაცავად.

საბჭოთა კავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებული, 1991 წელს გამართული რეფერენდუმის დროისათვის და 1992 წლის მარტამდე გენერალმა იაკოვლევმა, მე-14 არმიის ყოფილმა სარდალმა, დაიწყო იარაღისა და საჭურვლის გადაცემა და ეს დამთხვა კაზაკების ჩამოსვლას. საჭურვლის ეს გადაცემა ხდებოდა, კერძოდ, დნესტრისპირეთის გვარდიისათვის, რომელიც შემდგომში გახდა დნესტრისპირეთის თავდაცვის სამინისტრო. ყველა შენაერთი, მათ შორის კაზაკები, აღჭურვილნი იყვნენ ავტომატური იარაღით, ტყვიამფრქვევებით, ჯავშანმანქანებით და ა.შ. პარკანის ინჟინერთა ბატალიონი ლიად შეუერთდა დნესტრისპირელთა მხარეს. დნესტრისპირელებს საჩუქრის სახით გადაეცა „ტ-74“ ტიპის 18 ტანკი.

მოწმე აცხადებდა, რომ მას გააჩნდა ბევრი ინფორმაცია გადაცემული იარაღის რაოდენობასთან დაკავშირებით. ომის შემდეგ პროცესი გრძელდებოდა. ხსენებული ხორციელდებოდა რუსეთისა და დნესტრისპირეთის მთავრობების მიერ. რუსეთის გენერალურმა პროკურორმა შეამოწმა რუსული არმია.

მოწმემ აღნიშნა, რომ არსებობდა ასევე საარქივო მტკიცებულებები

სატელევიზიო ფილმის სახით, რომელიც ნათლად ადასტურებდა, რომ თავდასხმაში მონაწილე ტანკების უმეტესობაზე რუსეთის დროშა ფრიალებდა. ზოგიერთ ასეთ ტანკზე ფრიალებდა ორი დროშა – დნესტრისპირეთის და რუსეთისა.

272. შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ადგილი ჰქონდა პატიმრების გაცვლას. დუბასარის მძევლები, ე.ი. 30 პოლიციელი, რომლებიც დატყვევებულნი იქნენ დნესტრისპირეთის ძალების მიერ, ტყვეობაში იმყოფებოდნენ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში. მოლდოვამ ისინი გაცვალა გენერალ იაკოვლევიში. ასეთი გაცვლები მუდმივად ხდებოდა. მოლდოვა ცვლიდა იმ პირებს, რომლებიც კანონს არღვევდნენ, ხოლო დნესტრისპირელები ცვლიდნენ მათ, ვინც პატიმრობაში ჰყავდათ. მონმე ცდილობდა, განხილულიყო ილაშკუს ჯგუფის გაცვლის საკითხი. დნესტრისპირელები პასუხობდნენ, რომ ილაშკუს ჯგუფის წევრები არ იყვნენ მართო კონფლიქტის მონაწილენი, არამედ ისინი ტერორისტები იყვნენ და რომ ამიტომ შეუძლებელი იყო მათი გაცვლა. მოლდოვას არ ჰყავდა ტყვეობაში შესაბამისი პირი, რათა გაეცვალა. ილაშკუ იყო სეპარატიზმის წინააღმდეგ მებრძოლი. დნესტრისპირეთს ესაჭიროებოდა თავისი არსებობის გამართლება. სწორედ ხსენებული იყო იმის მიზეზი, თუ რატომ არ სურდა დნესტრისპირეთის მხარეს განმცხადებელთა გაცვლა.

არასოდეს განხილულა იაკოვლევისა და 30 პოლიციელის გაცვლის ოპერაციაში ილაშკუს ჯგუფის ჩართვის საკითხი, რადგან იაკოვლევის გათავისუფლება ბ-ნი ილაშკუს დაკავებამდე მოხდა.

მოლდოვის ხელისუფლებამ მაინც წამოჭრა ამ ჯგუფის საკითხი პატიმრების გაცვლის კონტექსტში. შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში მოლდოვამ აიყვანა პატიმართა გარკვეული რაოდენობა. მაგრამ მოლდოვის წინადადება გაცვლასთან დაკავშირებით კატეგორიულად იქნა უარყოფილი, როდესაც წამოჭრილი იქნა საკითხი ილაშკუს ჯგუფის თაობაზე. ანალოგიური რამ ხდებოდა ყველა დონეზე. მოლდოვას არ შეეძლო უზრუნველყო განმცხადებელთა გათავისუფლება, მიუხედავად ყველა მცდელობისა. სეპარატისტულ რეჟიმს ესაჭიროებოდა გამართლება იმ ბრალდებისათვის, რომ მოლდოვა ჩარეული იყო ტერორისტულ აქტებში და ილაშკუს გასამართლება უზრუნველყოფდა მისთვის ფარდას, რომლის უკანაც დამალავდა მის მიერვე დაქირავებული პირების ჩადენილ ტერორისტულ აქტებს.

273. ბ-ნ სმირნოვთან გამართული პირდაპირი მოლაპარაკებების მიზანს წარმოადგენდა პარლამენტისა და მთავრობის მიერ კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით მიღებული სხვადასხვა გადაწყვეტილების განხორციელება. ხსენებული მოლაპარაკებები წარიმართა გენერალ კრეანგასთან და ეხებოდა, მაგალითად, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანას. ეს ხდებოდა 1992 წლის მარტში. შემდგომში, 1992 წლის 21 ივლისს, გაფორმდა მოლდოვა/რუსეთის შეთანხმება დნესტრისპირეთის კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით. მონმე ჩართული იყო მოლაპარაკებებში, რომელთა მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტის ადგილობრივ დონეზე გადაჭრა.

274. ურთიერთობები მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის იმართებოდა მოლდოვა-რუსეთის 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმებით.

საკონტროლო კომისია თავდაპირველად შეიქმნა რუსეთის დელეგაციის, მოლდოვის დელეგაციისა და დნესტრისპირეთის დელეგაციისაგან. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ეუთო-სა და უკრაინის დელეგაციები. საკონტროლო კომისიას

უნდა განეხილა ყველა ის პრობლემა, რომლებიც წარმოიშობოდა კონფლიქტის შედეგად — მაგალითად, კომპენსაცია ზიანისათვის, ჯარების გაყვანა და ა.შ. გარკვეული პრობლემები გადაიჭრა. რუსეთის ინერტულობისა და განსხვავებული სტრატეგიის გამო რუსეთის ჯარები ისევ რჩებოდნენ რეგიონში. იქ, სადაც იდგნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები, ახლა განთავსებულნი არიან რუსეთის ძალები. და როგორც ამას ეუთო ადასტურებს, დნესტრისპირელები ახლა აწარმოებენ ჭურვებსა და საბრძოლო აღჭურვილობას.

275. სეპარატისტული რეჟიმი ვერ იარსებებდა რუსეთის მხარდაჭერის გარეშე. არც ეთნიკური, არც რელიგიური და არც თვით შიდა პოლიტიკური მიზეზები არ გამხდარა კონფლიქტის დაწყების საბაბი. კონფლიქტი გარე ძალების მიერ იყო ინსპირირებული და მის მიზანს წარმოადგენდა მოლდოვის გაყოფა, რადგან მოლდოვას არ სურდა, ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირთან შეერთების ხელშეკრულებაზე. რამდენიმე თვის განმავლობაში დნესტრისპირელებმა გაანადგურეს კონსტიტუციური საგამოძიებო და სამართალდამცავი ორგანოები — პროკურატურა, პოლიცია და სხვ. მათ არ შეეძლოთ ამის გაკეთება მე-14 არმიის მხარდაჭერის გარეშე. უნინ დნესტრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირები მშვიდობიან თანაცხოვრებას ეწეოდნენ. ხსენებული კონფლიქტისა და მარჯვენა და მარცხენა ნაპირების დაშორიშორების პროვოცირება რუსეთის მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის განხორციელდა.

276. ეს არ ყოფილა ეთნიკური კონფლიქტი. გუსლიაკოვი იყო გენერალი, რომელიც მეთაურობდა ბენდერის პოლიციას. იგი უზრუნველყოფდა კანონისა და მართლწესრიგის დაცვას მოლდოვის კონსტიტუციური წყობის სახელით. იგი რუსულად ლაპარაკობდა. გენერალი გუსლიაკოვი ყველანაირად ცდილობდა, მაქსიმალურად შეენარჩუნებინა მართლწესრიგი. მოგვიანებით იგი გახდა მოლდოვის მინისტრის მოადგილე.

277. მოლდოვა შეაცდინეს, როდესაც მან ხელი მოაწერა დოკუმენტებს დნესტრისპირეთის მხარესთან ერთად. მოლდოვა არ იყო მზად ომისათვის, რომელიც დაიწყო 19 ივნისს, როდესაც ბენდერის პოლიციას ალყა შემოარტყეს. კოსტენკომ იეროში მიიტანა დუბასარიზე 16 ივნისს. მოლდოვამ მიიღო გადაწყვეტილება, გაეგზავნა სპეცდანიშნულების ძალები პოლიციის დასახმარებლად. მას შემდეგ, რაც ბენდერი გაათავისუფლებული იქნა კოსტენკოს ბანდისაგან, მოლდოვის ჯარისკაცები, რომლებმაც არ იცოდნენ, სად განთავსებულიყვნენ, მივიდნენ ციტადელში, სადაც ტყვედ ჩავარდნენ, ხოლო რამდენიმე მათგანი დახვრიტეს. ამაში მონაწილეობდა რუსეთის არმია, რომელსაც ეკავა ციტადელი და აკონტროლებდა ტერიტორიას. როდესაც გაათავისუფლეს ხიდი, მოლდოველებს არ გაუხსნიათ ცეცხლი რუსეთის ძალებისათვის, მაგრამ ტანკებმა, რომლებზეც რუსეთის დროშა ფრიალებდა, გაუხსნეს მათ ცეცხლი.

278. იაკოვლევი დაკავებული იქნა მოლდოვის უშიშროების სამსახურების მიერ. არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ იგი ეხმარებოდა სეპარატისტებს. არ არის მართალი, თითქოს იგი გაათავისუფლეს მის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებების უქონლობის გამო.

279. გენერალი ლებედი, როდ-ის სარდალი, არჩეული იქნა დნესტრისპირეთის პარლამენტში 1993 წელს. მოლდოვა აღშფოთებული იყო მის მიერ სეპარატისტებისათვის აღმოჩენილი დახმარებით. მაგრამ რუსეთის დუმამ აშკარად დააფიქსირა თავისი პოზიცია ხსენებულთან დაკავშირებით. მხოლოდ გვიან მისვ-

და გენერალი ლებედი, თუ რა სახის რეჟიმს უჭერდა მხარს. მან განაცხადა, რომ ეს იყო კრიმინალური რეჟიმი.

280. დნესტრისპირეთის ძალები მონაწილეობას იღებდნენ აფხაზეთის ომში. დნესტრისპირელთა კუთვნილი დოლფინის ძალები აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზეთის ოპერაციაში. ხსენებული დაადასტურა ანტიუფევეის „ომონელმა“ კოლეგამ, გონჩარენკო-მატვეევმა, ტირასპოლის რეჟიმის უშიშროების მინისტრის მოადგილემ. გონჩარენკო იყო რუსეთის სპეცდანიშნულების ძალების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც მოქმედებდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. მან მონაწილეობა მიიღო რიგაში განხორციელებულ ოპერაციაში. შემდეგ იგი ჩამოვიდა დნესტრისპირეთში შვეცოვ/ანტიუფევეთან ერთად და პასუხისმგებელი იყო დნესტრისპირეთის ძალების შექმნაზე.

გონჩარენკო მოითხოვდა, რომ პირები, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს კანონიერი კონსტიტუციური ძალების წინააღმდეგ, დაჯილდოებულიყვნენ. ეს იყო ანალოგიური კონფლიქტი, რომელიც მოიცავდა სეპარატისტებს, რუსულენოვან აჯანყებულებს, რომლებსაც ზურგს უმაგრებდნენ საბჭოთა, მოგვიანებით კი რუსეთის ჯარები. რუსეთი რეკორდული მაჩვენებლებით იყო პასუხისმგებელი ხსენებული უკანონო ძალებისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენაზე.

281. მოლდოვას არ გააჩნდა რეგულარული არმია კონფლიქტის დროისათვის. პოლიციის ძალებმა მოხალისეებთან ერთად თავიანთ თავზე მიიღეს დარტყმა. ძალები კონფლიქტში არათანაბარი იყო. ერთ მხარეს იყო კარგად შეიარაღებული არმია, ხოლო მეორე მხარეს – პოლიცია და შეიარაღებული მოქალაქეები. მოლდოვა ვერ გადარჩებოდა.

რუსეთი უზრუნველყოფდა სამშვიდობო ძალებს, მაგრამ გარკვეული პირობებით. რუსეთ/მოლდოვის შეთანხმება შედგა მოსკოვში და მოლდოვას არ შეეძლო ამ შეთანხმებაში რაიმე მნიშვნელოვანის ჩადება, როგორც ეს მას სურდა, მაგალითად, სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნებასთან, სუვერენიტეტთან დაკავშირებით და ა.შ. ხსენებული შეთანხმება იყო მხოლოდ სამხედრო იარაღი გარკვეული ხნის განმავლობაში, მაგრამ სამი თვის შემდეგ, 1992 წლის სექტემბერში, მოლდოვამ განაცხადა, რომ შეთანხმება განხორციელდა და საჭირო იყო შემდგომი მოლაპარაკებების წარმოება იმ ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებით, რომლებიც მშვიდობას უზრუნველყოფდა.

## 24. ანატოლი პლუგარუ

282. მოწმე იყო უშიშროების მინისტრი 1991 წლის აგვისტოსა და 1992 წლის ივლისს შორის პერიოდში. ხსენებულ პერიოდამდე იგი იყო პოლკოვნიკი და დანიშნული იყო მოლდოვის სუკ-ის ხელმძღვანელად იმ დროს, როდესაც 1991 წლის აგვისტოში იშლებოდა საბჭოთა კავშირი. მანამდე იგი იყო პარლამენტარი, უზენაესი საბჭოს წევრი. 1992 წლის ივლისიდან 1993 წლის სექტემბრამდე იგი მსახურობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ. შემდგომში მას მთავრობაში აღარ უმუშავია. ჩვენების მიცემის დროისათვის იგი იყო თავისუფალი სამართლებრივი ექსპერტი და ყურნალისტი.

283. მოწმე იცნობდა ბ-ნ ილაშკუს თავისი სამსახურიდან გამომდინარე.

იგი დაუკავშირდა ბ-ნი ილაშკუს, როდესაც მოლდოვა იძულებული გახდა, მოეხდინა მოქალაქეთა მობილიზება დნესტრისპირეთში უკანონო რეჟიმის წარმოშობასთან დაკავშირებით. ათიათასობით მოქალაქე ითხოვდა იარაღს იმისათვის, რომ დაეცვა საკუთარი სამშობლო. მოლდოვას არ ჰყავდა არანაირი არმია. თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს ებრძანათ, მოეხდინათ იმ ადამიანების მობილიზება, რომლებმაც მიიღეს გარკვეული სამხედრო მომზადება. ბ-ნი ილაშკუ ამ კატეგორიაში მოხვდა.

284. მონემ არ იცოდა, მონანილოვბა თუ არა ილაშკუს დაკითხვაში რუსეთის სპეცდანიშნულების ძალები - ჯგუფი „ალფა“.

285. მონემ მიაჩნდა, რომ ბ-ნი ილაშკუ იყო ომის ტყვე, რომელიც ხვდებოდა ჟენევის 1949 წლის კონვენციისა და დამატებითი ოქმების რეგულირების სფეროში. განხორციელდა გარკვეული მცდელობები, რათა ბ-ნი ილაშკუ და მისი კოლეგები გაცვლილიყვნენ, მაგრამ მოლდოვას არ ჰყავდა პატიმრები, რომლებსაც სანაცვლოდ შესთავაზებდა დნესტრისპირეთის მხარეს.

286. გარდა ამისა, მოლდოვამ იცოდა, თუ ვინ იდგა ყოველივე ამის უკან. მე-14 არმიას სურდა მდინარის გადმოლახვა. „კაზაკი ბუქარესტიშიც კი კაზაკია,“ - გაიგონებდით ზოგჯერ. მოლდოვას არ შეეძლო ძალის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ მან განახორციელა გარკვეული ოპერაციები, მაგალითად, იაკოვლევიდან დაკავშირებით. გენერალი იაკოვლევი დაკავებული იქნა მოლდოვის საიდუმლო სამსახურების მიერ. ბ-ნი ილაშკუ არ მონანილოვბა ხსენებულ ოპერაციაში. იაკოვლევი იმიტომ დააპატიმრეს, რომ იგი ამარაგებდა იარაღით სეპარატისტ აჯანყებულებს. მისი ციხეში გაჩერება შესაძლო გახდა მხოლოდ მცირე ხნით და გამოძიებლებმა ვერ შეძლეს საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება სასამართლოს წინაშე მის წარსადგენად. გენერალი სტოლიაროვი, მარშალ შაპოშნიკოვის მოადგილე, დსთ-ის ძალების მთავარსარდალი, ჩამოვიდა მოსკოვიდან — იგი რუსეთის საიდუმლო სამსახურის უფროსის მოადგილე იყო — რათა ეთხოვა იაკოვლევის გათავისუფლება. მაშინვე, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები მის წინააღმდეგ გამოძიების გასაგრძელებლად, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა წამოჭრეს იდეა იაკოვლევის გაცვლასთან დაკავშირებით და მონემ ხსენებული საკითხი განიხილა სტოლიაროვთან ერთად. საბოლოოდ გენერალი იაკოვლევი გაიცვალა 30 პოლიციელში, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ დუბასარიში.

287. შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირი ჰქონდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან. ძალიან ბევრი მცდელობა განხორციელდა იმისათვის, რომ ბ-ნი ილაშკუ და სხვები გათავისუფლებულიყვნენ. მაგრამ ამასთან დაკავშირებული ყველა წინადადება უარყოფილი იქნა, რადგან ბ-ნი ილაშკუს საქმე დნესტრისპირეთათვის წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მექანიზმს, იარაღს, რომლითაც ამ მხარეს შეეძლო მოლდოვის დამცირება. რეჟიმს მხარს უჭერდნენ რუსეთი და უკრაინა. ბ-ნი ილაშკუსა და მისი კოლეგების გათავისუფლების უფრო ენერგიული მცდელობები გაზრდიდა დაძაბულობას. ილაშკუს საქმის საშუალებით დნესტრისპირეთის რეჟიმს შეეძლო ზენოლის განხორციელება მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოებზე, რათა მოეპოვებინა აღიარება.

288. *de facto* სეპარატისტული რეჟიმი არ ხვდებოდა მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოების კანონიერი კონტროლის სფეროში.

დნესტრისპირეთის რეჟიმი შეიარაღებული იყო მე-14 არმიის იარაღით. ხსენებულ უკანონო ფორმირებებს იაკოვლევმა აიარაღებდა. ლებედი ეწეოდა „აქტიური ნეიტრალიტეტის“ პოლიტიკას. მოლდოვას არ გააჩნდა იქ შესვლის უფლება. თანამდებობის დაკავებისას გენერალ ლებედს ხსენებულის შესახებ უნდა მოეხსენებინა პრეზიდენტ სნეგურისათვის, როგორც იმ სახელმწიფოს მეთაურისათვის, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებული იყო მე-14 არმია. მაგრამ გენერალმა ლებედმა იგნორირება გაუკეთა ელემენტარულ წესებს. როდესაც იგი ჩამოვიდა, მას არ უცნობებია მოლდოვის პრეზიდენტისათვის ჩამოსვლის შესახებ; შეტყობინება ხსენებულთან დაკავშირებით არც კრემლიდან მოსულა.

289. არსებობდა „ბალკანეთის თალის გეგმა“ შემდეგი სცენარით: იმ შემთხვევაში, თუ მოლდოვა არ შეაჩერებდა შეიარაღებულ კონფლიქტს, იგი შეერწყმებოდა რუმინეთს. პრეზიდენტები ელცინი და პუტინი აკეთებდნენ განცხადებებს მოლდოვის სუვერენიტეტთან დაკავშირებით, მაგრამ სახელმწიფო დუმის ბევრი წევრი, მათ შორის ბ-ნი რუცკოი, იმყოფებოდა დნესტრისპირეთში და მხარს უჭერდა სეპარატისტებს. ისინი უხეშად ერეოდნენ მოლდოვის საშინაო საქმეებში. იმ შემთხვევაში რუსეთის ოფიციალურ მთავრობას რომ ეთანამშრომლა, მოხერხდებოდა შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან არიდება.

290. იმ დროისათვის რუსეთს დიდი პრობლემები ჰქონდა უზარმაზარ არმიასთან დაკავშირებით, რომელიც განთავსებული იყო მოლდოვის ტერიტორიაზე. ძალიან ბევრ ჯარისკაცს არ სურდა უკან რუსეთში გამგზავრება. არანაირი მოსამზადებელი სამუშაოები არ ყოფილა განხორციელებული მათ დასაბრუნებლად. რუსეთის სამხედრო ძალები დნესტრისპირეთში სამხედრო ძალით მხარს უჭერდნენ დნესტრისპირეთის რეჟიმს. რუსეთის არმიის ტანკები მონაწილეობას იღებდნენ შეიარაღებულ კონფლიქტში; ეს გადაცემული იყო ტელევიზიით. მე-14 არმიის ტანკების გარდა, იმ დროისათვის მოლდოვაში არ ყოფილა არც ერთი ტანკი.

291. რუსეთთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ხელმოწერილი იქნა 1992 წლის ივლისში. მონმე გათავისუფლებული იქნა ხსენებულ დრომდე ხუთი დღით ადრე, რუსეთის ფედერაციის ზენოლის შედეგად.

292. მონმის თქმით, იგი არასოდეს შეხვედრია ბ-ნ გორბოვს. შეიარაღებულ კონფლიქტამდე იგი გათავისუფლებული იქნა მოლდოვის შინაგან საქმეთა სამინისტროდან. როდესაც კონფლიქტი დაიწყო, მან თავისი სამსახური შესთავაზა ტირასპოლის მხარეს, რადგან არ ეთანხმებოდა კიშინიოვის ხელისუფლებას. მას პასუხისმგებლობა დააკისრეს ილაშკუს ჯგუფთან დაკავშირებულ საქმეზე. იგი აწარმოებდა გამოძიებას მე-14 არმიის მეთაურ პოლკოვნიკ ბერგმანთან ერთად. შემდგომში ურთიერთობები მასსა და ტირასპოლის ხელისუფლებას შორის გაუარესდა. იგი შესაძლოა წასულიყო მოსკოვში.

მონმე იცნობდა ოლგა ჩაპატინას, მან იცოდა, რომ ხსენებული პირი სამოქალაქო აქტივისტი იყო და ჩაბმული იყო ავღანეთში დაღუპულ ჯარისკაცთა მეუღლეებისა და დედების ლიგის საქმიანობაში. მონმეს არ გააჩნდა არანაირი ინფორმაცია კონფლიქტის დროს მის სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა მონმემ საერთოდ არ იცოდა იმ კონკრეტული პირების ვინაობა, ვინც სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა.

293. მონმე შეხვდა ბ-ნი ილაშკუს როგორც საბჭოთა კავშირის დროინდელი სუკ-ის უფროსი. ბ-ნი ილაშკუ მობილიზებული იქნა მოლდოვის სუკ-ის

ბრძანებით. იგი არ ყოფილა სუკ-ის თანამშრომელი, როგორც ასეთი. იგი მობილიზებული იქნა იმიტომ, რომ ჰქონდა გამოცდილება ინფორმაციის შეგროვებაში. მას შემდეგ, რაც სუკ-ის სტრუქტურა შეიცვალა, ჩართული იქნა სამი სამინისტრო: თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების. მოლდოვა ებრძოდა მტრებს და ჯგუფებს, რომლებმაც შემოაღწიეს ქვეყანაში ანუ ტირასპოლში – მოლდოვის რესპუბლიკის ნაწილში.

294. მოლდოვის უშიშროების სამინისტრო არ იღებდა არანაირ დახმარებას გარედან. მართალია, რუმინეთი ამარაგებდა მოლდოვას გარკვეული იარაღით, მაგრამ ეს იყო ძალიან ძველი იარაღი, რომელიც არ მუშაობდა.

მაგრამ დნესტრისპირეთში მყოფ ეთნიკურ რუსებს მხარს უჭერდა რუსეთი. დნესტრისპირეთში ჩამოვიდნენ ციხეებიდან გამოშვებული კაზაკები. იარაღით დატვირთული დიდი კოლონები გადაჰქონდათ დნესტრისპირეთში. მოლდოვის უშიშროების სამინისტრომ გააგზავნა აგენტები, რათა ემოქმედათ დნესტრისპირეთსა და მე-14 არმიაში. სიტუაციის გათვალისწინებით ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხსენებული დროისათვის მოლდოვას გააჩნდა ლოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებსაც იგი იღებდა აგენტების საშუალებით და რომლებიც ადასტურებდა, რომ 1992 წლის აპრილის შემდეგ მე-14 არმია ეხმარებოდა აჯანყებულებს იარაღითა და სხვადასხვა საშუალებებით. გენერალმა ნეტკაჩოვმა აღიარა, რომ დნესტრისპირელები იყენებდნენ სატვირთო მანქანებს, რათა შესულიყვნენ იარაღის საწყობებში დანაღმული ველების გავლით.

## 25. ნიკოლაი პეტრიცა

295. მონმე იყო სატანკო აკადემიის კურსდამთავრებული. 1992 წლის 17 აპრილს მან დატოვა საბჭოთა არმია და შეუერთდა მოლდოვის არმიას 1993 წლის ივნისამდე. ხსენებულ დრომდე იგი იყო სამხედრო სკოლის დირექტორის მოადგილე ავღანეთში. 1964 წლიდან 1974 წლამდე იგი მსახურობდა კიშინიოვში, ამის შემდეგ დატოვა მე-14 არმია და წავიდა მოსკოვში საბჭოთა ჯარებში სამსახურად. ჩვენების მიცემის დროისათვის იგი იყო სამხედრო კათედრის გამგე მოლდოვის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

296. მონმე ხელმძღვანელობდა მოლდოვის ძალებს დუბასარის ბრძოლაში. მოლდოველებს რუსეთის არმია ესროდა. ისინი იყენებდნენ 152 მმ-იან ტყვიებს, რომლებიც სეპარატისტებს იმ დროისათვის არ გააჩნდათ. ისინი კოციერი-დუბასარის ხაზიდან ისროდნენ. 1992 წლის 24 მაისს გაიმართა მოლაპარაკებები პოლკოვნიკთან, რომელიც ხელმძღვანელობდა დნესტრისპირელთა შეიარაღებულ ძალებს. ხსენებულს არ ესწრებოდნენ მე-14 არმიის წარმომადგენლები. მაგრამ რომ არა რუსეთის ძალები დნესტრისპირეთში, სეპარატისტები ვერ შეიარაღდებოდნენ. 19 მაისს სეპარატისტებმა მიიღეს „ტ-64“ ტიპის 13 ტანკი მე-14 არმიიდან. ისინი იყენებდნენ სამხედრო დანიშნულების სხვა აღჭურვილობასაც, როგორიც არის არტილერია, რომელიც იმავე წყაროდან უნდა ყოფილიყო მიღებული. მონმეს თავად არ უნახავს მე-14 არმია ან მისი ჯარისკაცები.

297. გოლიცანის ეკლესია დანგრეული იქნა 152 მმ-იანი ტყვიებით; ამ კალიბრის ტყვიები დაატყდა თავს სოფელ კრუგლიჩსაც. მოგვიანებით გამართულ მსჯელობებში, რომლებიც გაიმართა მონმესა და მე-14 არმიის მეთაურებს შო-

რის, მათ დაადასტურეს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც საარტილერიო აღჭურვილობა გამოიყენებოდა მარჯვენა ნაპირზე არსებული ძალების წინააღმდეგ.

გენერალი ლებედი ღიად აცხადებდა, რომ ანარმოებდა „აქტიური თავდაცვის“ პოლიტიკას. რუსი ჯარისკაცები ცეცხლს ანარმოებდნენ ქალაქ ტიგინას (ბენდერის) მიმართულებითაც.

298. 1992 წლის 21 ივლისსა და 16 ოქტომბერს შორის პერიოდში, როდესაც მონმე მოლდოვის სამშვიდობო ძალების მეთაური იყო, მას არაფერი გაუგია იმის შესახებ, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები აჯანყებულების მხარეზე იბრძოდნენ. პირიქით, მოლდოვას და რუსეთს ერთად შეეძლოთ ხსენებულ ზონაში მშვიდობის დაცვა. მონმე ძალიან კარგად თანამშრომლობდა რუს გენერალთან და ისინი სრულად სიტუაციას აკონტროლებდნენ.

299. 1992 წლის მაისში 16 ტანკი გადაეცა დნესტრისპირეთის გვარდიას. აქედან 13 ტანკი წავიდა კაჩევსკის ხიდთან. მაგრამ 24 მაისს მონმე შეხვდა მონინალმდეგე პოლკოვნიკს, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა შორეული აღმოსავლეთიდან. ისინი შეთანხმდნენ, დაეცვათ პოზიციები ცეცხლის გახსნის გარეშე. მაგრამ 19 ივნისს მოხდა ტრაგედია. ლებედი იყენებდა თავის ჯარებსა და ტანკებს. სავარაუდოდ, ხსენებულთან დაკავშირებით ბრძანებები მას ზემოდან მოსდიოდა, რადგან არც ერთი გენერალი არ იმოქმედებდა ასე, რომ არ მიეღო ინსტრუქციები თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელებისაგან. ბენდერი დანგრეული იქნა არტილერიისა და მე-14 არმიის ტანკების და არა მოლდოველთა მიერ. გამოყენებული ტანკები ეკუთვნოდა მე-14 არმიას, 59-ე დივიზიას. მაგრამ ლებედმა ასევე განაიარაღა კოსტენკოს ბრიგადა, ანუ დნესტრისპირელ აჯანყებულთა ბრიგადა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან მიიღო გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

დნესტრისპირელთათვის შეუძლებელი იყო ტანკების ხელში ჩაგდება. ლებედი მუდმივად იქ იმყოფებოდა. ბრძანებები მოდიოდა მოსკოვიდან და ლებედიც ასრულებდა მათ.

300. 1992 წლის 21 ივლისს რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით და ეს გადაწყვეტილება გარკვეულწილად ილაშქუს ჯგუფის გათავისუფლების საკითხსაც ითვალისწინებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მოლდოვამ ვერ გამოიჩინა საკმარისი დაჟინება. მოლდოვა მონანილეობას იღებდა შერეულ საკონტროლო კომისიაში, რომელიც შეიქმნა მოლდოვა/რუსეთის 1992 წლის ივლისის შეთანხმების საფუძველზე. ბ-ნი კატანე ესწრებოდა ხსენებულს.

## 26. ვასილუ რუსუ

301. ჩვენების მიცემის დროისათვის მონმე იყო მოლდოვის გენერალური პროკურორი. ხსენებულ დრომდე იგი იყო ადვოკატი და მოლდოვის პარლამენტის წევრი კომუნისტური პარტიის სიიდან.

302. 1993 წლის დეკემბერში აღძრული სისხლისსამართლებრივი გამოძიება იმ მოსამართლეებისა და პროკურორების წინააღმდეგ, რომლებიც მონანილეობდნენ ილაშქუს სასამართლო სამართალწარმოებაში, არ გაგრძელდა იმიტომ, რომ საჭირო გამოკითხვები უნდა წარმართულიყო დნესტრის აღმოსავლეთ ნა-



პირზე, რომელიც სეპარატისტული რეჟიმის კონტროლის ქვეშ იყო. მოლდოვის კანონიერი ხელისუფლების ორგანოები ვერ შედიოდნენ რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში. ანალოგიურად, 1992 წელს მოლდოვის სისხლის სამართლის კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ პრეტენზიებზე მოქალაქე გუსარის მკვლელობასთან დაკავშირებით მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ შეეძლოთ ეწინააღმდეგებინათ გამოძიება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე.

2002 წლის დეკემბერში გამოძიება შეჩერებული იქნა. სისხლისსამართლებრივი გამოძიება იქნა ასევე აღძრული 2000 წელს ჰლინაიას ციხის მმართველის წინააღმდეგ პირის უკანონო პატიმრობაში ყოლისათვის, მაგრამ ხსენებული გამოძიებაც შეჩერებული იქნა, რადგან შეუძლებელი იყო რაიმე რეალური საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.

მონმის აზრით, მოსამართლეებისა და პროკურორების წინააღმდეგ სისხლის სამართლის 190-ე და 192-ე მუხლებით აღძრული სამართალწარმოება არასწორი იყო. უფრო შესაფერი იქნებოდა, გამოძიება აღძრულიყო 116-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 207-ე მუხლის საფუძველზე, რომლებიც გულისხმობს ოფიციალური პირის უფლებამოსილების უზურპირებას და უკანონო პატიმრობას, როგორც ეს განხორციელებული იქნა ჰლინაიას ციხის მმართველის წინააღმდეგ აღძრულ გამოძიებასთან მიმართებაში.

303. დნესტრისპირეთის მხარისათვის შეთავაზებული იქნა პატიმართა, მათ შორის ილაშკუს ჯგუფის, გაცვლა, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილი იქნა. გენერალურ პროკურორად მონმის მუშაობის პერიოდში მოლდოვასა და ტირასპოლის რეჟიმს შორის არ განხორციელებულა მსჯავრდებული პატიმრების არანაირი გაცვლა.

მონმე არ იცნობდა დნესტრისპირეთის გენერალურ პროკურორს და არასოდეს ჰქონია მასთან სატელეფონო კავშირი.

304. ილაშკუს სამართალწარმოებაში მონაწილე მოსამართლეებსა და პროკურორებს, ისევე, როგორც ჰლინაიას ციხის მმართველს რომ გადაეწყვიტათ კომინიოვში ჩასვლა, რაც მათ შეეძლოთ, ისინი დაკითხულნი იქნებოდნენ და წარიმართებოდა შესაბამისი პროცედურა. აუცილებელი არ იქნებოდა მათი დაპატიმრება; წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ნაყენებოდათ თუ არა მათ დაკითხვის შედეგად ბრალი საჯარო თანამდებობის უზურპირებაში — ამას გამოძიება განსაზღვრავდა.

მონმემ არ იცოდა, რომ ის დანაშაულები, რომლებიც ბრალად ერაცხებოდათ პროკურორებსა და მოსამართლეებს (სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე და 207-ე მუხლები), ხანდაზმულად იქნა მიჩნეული პროკურორ იუგას 2000 წლის აგვისტოს გადაწყვეტილებით.

მონმის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ ტირასპოლელი პროკურორები და მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ილაშკუს სასამართლო სამართალწარმოებაში, ჩავიდოდნენ დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით მათ წინააღმდეგ შესაძლოა დაწყებულიყო გამოძიება, მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა.

პირები შესაძლოა მსჯავრდებულნი იქნენ დაუსწრებლად, თუკი არსებობს საკმარისი მტკიცებულება მათი ბრალეულობის დასადასტურებლად. ეს პირები რომ საზღვარგარეთ წასულიყვნენ, მაგალითად, რუსეთში, შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის ხელისუფლების ორგანოებისათვის მოლდოვაში მათი ექსტრადირების

მოთხოვნა. პოლკოვნიკი გოლოვაჩევი, ჰლინაიას ციხის მმართველი, ინფორმირებული იქნა მის წინააღმდეგ გამოძიების აღძვრასთან დაკავშირებით და გამოძახებული იქნა კიშინიოვში ტირასპოლში მდებარე პროკურატურის საშუალებით.

305. როგორც გენერალურ პროკურორს, მოწმეს არ ჰქონდა უფლება, გამგზავრებულიყო მარცხენა ნაპირზე. ჩვენების მიცემის დროისათვის მისი სამსახური ვერ აკონტროლებდა მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე განვითარებულ მოვლენებს. მოწმემ ამჯობინა, პასუხი არ გაეცა კითხვაზე, შეეძლო თუ არა მას დნესტრის მოპირდაპირე მხარეს მყოფ თავის კოლეგებთან მუშაობა.

306. მოწმის თქმით, საქმე რომ შესულიყო მასთან, როგორც მოლდოვის გენერალურ პროკურორთან, იგი დაინწყებდა გამოძიებას იმ ორი ადამიანის სიკვდილთან დაკავშირებით, რომლებიც თითქოსდა ემსხვერპლნენ ილაშკუს ჯგუფის სავარაუდო ტერორისტულ აქტს — ეს ადამიანები იყვნენ გუსარი და სტრაპენკო — მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი იყვნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები.

მოწმეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაეკითხა ბ-ნი ილაშკუ, როდესაც ეს უკანასკნელი ჩამოვიდა კიშინიოვში გათავისუფლების შემდეგ, 2001 წლის 5 მაისს, რადგან იგი თანამდებობაზე დაინიშნა მხოლოდ 18 მაისს, 2001 წლის 10 მაისს კი ბ-ნმა ილაშკუმ მიიღო რუმინეთის უმაღლესი ჯილდო, „რუმინეთის ვარსკვლავი“.

## 27. ვასილ სტურზა

307. 2000 წლიდან 2003 წლის 1 იანვრამდე მოწმე იყო დნესტრისპირეთთან მოლაპარაკების კომისიის თავმჯდომარე. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, კომისიის ამოცანას წარმოადგენდა დნესტრისპირეთის სტატუსზე და დაკავშირებულ საკითხებზე მოლაპარაკების გამართვა. 1991-1992 წლებში მოწმე იყო მოლდოვის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, რა თანამდებობაც მან დაიკავა 1990 წლის სექტემბერში და რჩებოდა ამ თანამდებობაზე 1994 წლამდე. 1994 წლის აპრილიდან 1998 წლის მაისამდე იგი იყო იუსტიციის მინისტრი. 1998 წლის მაისიდან 2001 წლის იანვრამდე იგი ისევ გენერალური პროკურორის მოადგილე იყო.

308. კომისია, რომლის თავმჯდომარეც მოწმე იყო, დაკავებული იყო ძირითადად პოლიტიკური პრობლემებით, რომლებიც უკავშირდებოდა დნესტრისპირეთს, და კომისიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ამ უკანასკნელის სამართლებრივი სტატუსის დადგენა. არსებობდა, აგრეთვე, სხვა კომისია, რომელიც დაკავებული იყო დნესტრისპირეთის სიტუაციიდან წარმოშობილი სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით. ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ასპექტები პარალელურად განიხილებოდა სხვა კომისიაში.

309. დნესტრისპირეთის სტატუსთან დაკავშირებული მოლაპარაკებების კონტექსტში მიმდინარეობდა მსჯელობა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული ოფიციალური ქმედებების კანონიერების შესახებ, მაგრამ მოლდოვის მხარე ყოველთვის დაჟინებით მიუთითებდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების არაკონსტიტუციურობაზე. 2001-2003 წლებში დნესტრისპირეთის სტატუს-

თან დაკავშირებით განხილული იქნა ძალიან ბევრი დოკუმენტის პროექტები, რომელთაგან ზოგიერთი მოიცავდა დებულებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გაკეთებულიყო დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, მაგალითად, იმ სისხლისსამართლებრივ განაჩენებსა და სამოქალაქო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რომლებიც გამოტანილი იქნა წინა 10 წლის განმავლობაში.

310. რაც შეეხება ილაშკუსა და მისი ჯგუფის შესაძლო გათავისუფლებას, გენერალურმა პროკურატურამ მოსთხოვა დნესტრისპირეთის პროკურატურას, მიეცა საშუალება, რომ საქმე გამოეძიებინათ მოლდოვის კონსტიტუციურ ორგანოს. ხსენებული საკითხი მოწმემ რამდენიმეჯერ განიხილა პროკურორ ლუკიჩთან ერთად, რომელიც ზედამხედველობდა გამოძიებას 1992-1993 წლების პერიოდში. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ რაც არ უნდა გაეკეთებინათ საგამოძიებო ორგანოს დნესტრისპირეთში ილაშკუს საქმესთან დაკავშირებით, ყოველივე ეს არაკონსტიტუციური იყო და არ შეიძლებოდა ხსენებულის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება მოლდოვაში. ამიტომ მოლდოვამ წამოაყენა წინადადება, რომ მოწვეულიყვნენ პროკურორები სხვა ქვეყნებიდან, მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, როგორც არის უკრაინა, ბელორუსია და რუსეთის ფედერაცია. მოწმე პირადად გაფრინდა და მიწაში, რათა განეხილა საკითხი ბელორუსიის გენერალურ პროკურორთან ერთად, რომელმაც თანხმობა გამოთქვა საქმის გამოძიებაზე. მაგრამ დნესტრისპირეთის მხარემ უარი განაცხადა ხსენებულთან დაკავშირებით. მოწმემ ასევე გამართა შეხვედრა ქ-ნ ივანოვასთან, რომელიც იყო სასამართლოს თავმჯდომარე, რათა დაერწმუნებინა დნესტრისპირეთის მხარე, რომ არაკონსტიტუციური ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ყველას პრობლემას შეუქმნიდა. აღნიშნული ისევე უარყოფილი იქნა.

311. 1994 წელს, მაშინ, როდესაც მოწმე მუშაობდა გენერალურ პროკურატურაში, პრეზიდენტმა სნეგურმა გააგზავნა იგი დნესტრისპირეთში, რათა მოეხერხებინა ბ-ნი ილაშკუსა და სხვა პატიმრების გათავისუფლება. მოგვიანებით, 1996 წელს, ბ-ნმა სმირნოვმა მოწმეს ნება დართო, პირველად შეხვედროდა პირადად ილაშკუს პლინიას საპყრობილეში. მოწმე იყო პირველი ადამიანი, რომელიც ილაშკუს ამგვარად შეხვდა. მოწმე პირადად გაესაუბრა სმირნოვს, პრეზიდენტი სნეგურის ინსტრუქციების შესაბამისად, რათა ეთხოვა მისთვის ილაშკუსა და სხვების გათავისუფლება. ხსენებული წარმოადგენდა რთულ და დელიკატურ საკითხს. საკითხი პოლიტიზირებული იყო. მოწმე ბევრჯერ შეხვდა ქ-ნ ივანოვას, მოსამართლეს, რომელმაც განიხილა საქმე, როგორც დნესტრის-პირეთის ე.წ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ-ნ ლუკიჩს, რომელიც იყო პროკურორი ამ საქმეში, დნესტრისპირეთის რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრს და დნესტრისპირეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. თავიდან მათ თანხმობა გამოთქვეს საქმის განხილვაზე იმ კუთხით, რომ მომხდარიყო ყველა მსჯავრდებული პირის გათავისუფლება, მაგრამ მოითხოვეს, რომ ეს ხსენებული მომხდარიყო დნესტრისპირეთში არსებული პროცედურის შესაბამისად.

312. 1993 წლის მარტში სმირნოვმა გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც შეიქმნა შეწყალების კომისია. შემუშავებული იქნა კომისიის საქმიანობის რეგლამენტი. იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო სათანადო პროცე-

დურა, პირს უნდა დაერწმუნებინა კომისიის წევრები, რომ გაეთავისუფლებინათ შესაბამისი პატიმრები. ამიტომ მოწმეს შეხვედრები ჰქონდა კომისიის თავმჯდომარესთან. 1996 წლის განმავლობაში, აპრილიდან შემოდგომამდე, მოწმემ ბევრი მოლაპარაკება გამართა კომისიასთან, რომელსაც გააჩნდა დნესტრისპირეთში ყველა ადამიანის შეწყალების უფლებამოსილება. ეს რთული პროცესი იყო, რადგან მას უნდა დაერწმუნებინა კომისიის ყველა წევრი. ბოლო შეხვედრა მოწმემ გამართა ყველა უწყების – ანუ პროკურატურის, უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი საბჭოს – წარმომადგენლებთან. ესწრებოდნენ ყველა აღნიშნული უწყების წარმომადგენლები. მათი დასკვნის თანახმად, ილაშქუს ჯგუფის გათავისუფლების საკითხი შესაძლოა ადგილიდან დაძრულიყო, თუკი ეს დადასტურებული იქნებოდა ბ-ნი სმირნოვის გადაწყვეტილებით, რომელიც ამაზე უარს ამბობდა.

გათავისუფლებასთან დაკავშირებული განხილვები 1996 წლის შემდეგაც გაგრძელდა. სმირნოვი ხან თანხმობას აცხადებდა და ხან უარს. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2001 წლის გაზაფხულზე. 2000 წლის 16 მაისს პრეზიდენტ ლუჩინსკისა და პრეზიდენტ სმირნოვის ერთ-ერთ შეხვედრაზე მოლდოველებმა ისევ მოსთხოვეს სმირნოვს ბ-ნი ილაშქუს გათავისუფლება. სმირნოვმა განაცხადა, რომ ვერ დათანხმდებოდა გათავისუფლებაზე, როგორც ასეთი, მაგრამ დათანხმდებოდა საქმის ხელახლა განხილვაზე სხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ. ხსენებულმა რამდენიმე ახალი ინიციატივა წამოჭრა. მაგალითად, მოლდოვამ სთხოვა ელჩი ჰილს, ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს, რომ მას ეუთო-ს ოფისების საშუალებით ეძია შესაძლებლობა, რომ ილაშქუს საქმე განსახილველად სხვა ქვეყნის სასამართლოს გადასცემოდა. ელჩი ჰილსი მიერ ვენაში წარმოთქმული მოწოდების შემდეგ შევიცარიამ, პოლონეთმა და უნგრეთმა თანხმობა გამოთქვეს იმის შესაძლებლობაზე, რომ ილაშქუს საქმე განეხილა ამ ქვეყნების სასამართლოებს. ელჩმა ჰილმა განიხილა ეს შესაძლებლობა შევიცარიის წარმომადგენლებთან. განხილვა ინიცირებული იყო თვით მოწმის მიერ პოლონეთისა და უნგრეთის ელჩებთან კიშინიოვში. ისინი ტექნიკური დეტალების განხილვასაც კი შეუდგნენ, როგორც არის მონაწილე მოსამართლეთა რაოდენობა, რომელი სისხლის სამართლის კოდექსი უნდა იქნეს გამოყენებული, ვინ უნდა იყოს პროკურორი, ვინ უნდა დაუჭიროს მხარის მოლდოველ წარმომადგენლებს და ა.შ.

ამავე დროს მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები აგრძელებდნენ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან მოლაპარაკებებს ილაშქუს ჯგუფის უპირობო გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ბ-ნმა ვორონინმა და ბ-ნმა ჰილმა ცალ-ცალკე მიმართეს დნესტრისპირეთის მხარეს. პოლონეთის სასამართლო მზად იყო, განეხილა საქმე. ხსენებული მოთხოვნები გაიგზავნა დნესტრისპირეთის მხარესთან. ბოლოს, 2001 წლის 12 აპრილს, დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებმა თანხმობა გამოთქვეს უპირობო გათავისუფლებაზე და არა უცხო ქვეყნის სასამართლოს ჩარევაზე. მსჯელობები გაიმართა გათავისუფლების ტექნიკურ მხარეებთან დაკავშირებით. 16 აპრილს მოწმე გაემგზავრა ტირასპოლში მანქანით, რათა პატიმრები ჩამოეყვანა კიშინიოვში, მაგრამ დნესტრისპირელებმა უარი განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება მიღწეული იყო. მოწმე შეხვდა ციხეში ჯგუფის ყველა წევრს ტირასპოლში ეუთო-ს წარმომადგენლებთან ერთად. ამჯერად დნესტრისპირე-

ლები ამბობდნენ, რომ მზად იყვნენ, გაეთავისუფლებინათ ყველა პატიმარი.

როდესაც 2001 წლის 5 მაისს მხოლოდ ბ-ნი ილაშქუ იქნა გათავისუფლებული და არა ყველა პატიმარი, ამან ძალიან განაცვიფრა მოლდოვის მხარე. მოლდოვის მხარემ მიიღო წერილი სმირნოვისაგან პატიმრის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ თქვეს დნესტრისპირელებმა უარი ყველა პატიმრის გათავისუფლებაზე, მათი განცხადებით, მოლდოვას უნდა წარემართა მოლაპარაკებები დნესტრისპირეთის რეგიონის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ შეეძლოთ უარი განეცხადებინათ არაკონსტიტუციურ ორგანოებთან საუბარზე. იმავე დროს სისხლისსამართლებრივი გამოძიება იქნა აღძრული იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დნესტრისპირეთში ილაშქუს ჯგუფის წინააღმდეგ გამართულ უკანონო სასამართლო პროცესში. მაგრამ იმ დროისათვის მოლდოველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ყველა განმცხადებელი გათავისუფლებული იქნებოდა.

სხვა პატიმრების გათავისუფლების მცდელობის წარუმატებლად დამთავრების შემდეგ ხსენებული საკითხი წამოიჭრებოდა ხოლმე დნესტრისპირელებთან გამართულ ყველა შეხვედრაზე, როდესაც მოწმე თავმჯდომარეობდა კომისიას. ასევე სხვა მიმართვა იქნა ხელმოწერილი მოწმისა და მაშინდელი იუსტიციის მინისტრის, ბ-ნი მორეის მიერ.

313. 2001 წლის მაისის შემდეგ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სმირნოვთან მოლაპარაკებები აღარ გამართულა. დნესტრისპირეთის მხარე თავიდან იცილებდა ასეთ შეხვედრებს. მოწმემ განიხილა განმცხადებელთა გათავისუფლების საკითხი ტირასპოლელ კოლეგებთან ერთად დნესტრისპირეთთან მოლაპარაკების კომისიაში.

314. რაც შეეხება იმ გამოძიების ბრძანებას, რომელიც უკავშირდებოდა დნესტრისპირეთში გამართულ სასამართლოში მონაწილე სასამართლო მოხელეებს, ხსენებული ბრძანება გაუქმდა 2000 წლის 16 აგვისტოს გენერალური პროკურორის მოადგილის ბ-ნი დიდიჩის მიერ.

შესაბამის დროს მოწმეს ჰქონდა მსჯელობა პრეზიდენტ სნეგურთან ამ საკითხზე, შემდეგ კი სადილი დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან, რომლებიც სისხლისსამართლებრივი გამოძიების შეწყვეტას მოითხოვდნენ. ეს საკითხი განხილული იყო ასევე ორივე მხარის საგამოძიებო ორგანოების ხელმძღვანელების დონეზე და მისი მოგვარება ზოგადად სტატუსის საკითხის გადაჭრის ერთ-ერთ პირობად იყო დასმული. მაგრამ სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მოწმის აზრით, ის, რაც დნესტრისპირელმა პროკურორებმა და მოსამართლეებმა გააკეთეს, არაკონსტიტუციური იყო და ისინი მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ. დნესტრისპირეთის სტატუსის საკითხი კვლავაც მსჯელობის საგანი იყო დოკუმენტის პროექტის საფუძველზე. მსჯელობა მოიცავდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საკითხს და არა მხოლოდ ილაშქუს საქმეში მონაწილე პირებთან დაკავშირებულ საკითხებს.

მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ იმ თხოვნის შესახებ, რომელიც ეხებოდა კონფლიქტში მონაწილე პირებს. ამიტომ მოწმისათვის ძალიან ძნელი იყო იმის თქმა, 2000 წლის 16 აგვისტოს გადანყვეტილება სამართ-

ლებრივი ხასიათის იყო თუ უფრო პოლიტიკურ გადანყვეტილებას მოგვაგონებდა. სტატუსთან დაკავშირებული აქტის პროექტი ნათლად მოიცავდა ხსენებულ საკითხს.

315. დნესტრისპირეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხი არასოდეს ყოფილა განხილული სტატუსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა კომისიაში. ხსენებული საკითხი სხვაგვარ კონტექსტში განიხილებოდა. დნესტრისპირეთის სტატუსის გარანტიების სიაში ერთ-ერთი პუნქტი ეხებოდა სამხედრო საკითხებს. საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა განიხილეს რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხი მოლდოვა/რუსეთს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ დნესტრისპირეთის მხარის მიერ წამოჭრილი იქნა დნესტრისპირეთის საკითხის მოგვარებასა და რუსეთის ჯარების გაყვანას შორის კავშირი, საკითხი განხილული იქნა ცალკე კონტექსტში — სახელდობრ, აქტის პროექტის ერთ-ერთ თავში, რომელიც ეხებოდა დნესტრისპირეთის სტატუსის გარანტიებს.

დნესტრისპირეთში განხილული იქნა ათასობით სისხლის სამართლის საქმე. ილაშკუს საქმე ძალზე პოლიტიზირებული იყო. დნესტრისპირელები ყოველთვის აცხადებდნენ, რომ ეს არ იყო პოლიტიკური საქმე, რომ განმცხადებლები იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობა და იხდიდნენ სასჯელს. მოლდოვა სხვა კუთხით უყურებდა ამ საკითხს: თუ ხსენებულმა პირებმა მართლაც ჩაიდინეს დანაშაული, საქმე უნდა გამოძიებულიყო და პირები უნდა გასამართლებულიყვნენ კონსტიტუციური ორგანოების მიერ. სასამართლოს შემდეგ სამართალწარმოება ილაშკუს საქმეზე განხილული იქნა პოლონელი პროფესორის რეზუმინსკის მიერ. მისი მოხსენების საფუძველზე დნესტრისპირელებს უნდა გაეანალიზებინათ, რომ ძალიან ბევრი საპროცესო შეცდომა დაუშვეს გამოძიებისა და სასამართლო სამართალწარმოების წარმართვისას. მაგრამ მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმის წარმოჩენა, რომ რეჟიმი არსებობდა როგორც სახელმწიფო.

316. მონმე მრავალჯერ შეხვდა განმცხადებლებსა და ასევე მათი ოჯახის წევრებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის მკურნალობა, მატერიალური მხარდაჭერა, პატიმრობის პირობები. ყველა მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა მაქსიმალურად და იმ ფარგლებში, რაც შედიოდა მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციაში. ციხეში ოჯახის ვიზიტებს ხელს უწყობდნენ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები ტრანსპორტის უზრუნველყოფით. მკურნალობას უზრუნველყოფდა მოლდოვის ჯანმრთელობის სამინისტრო. ბ-ნი სტურზას კომისია ყურადღებას აქცევდა, რომ მათ მისწოდებოდათ ყველაფერი, რასაც მოითხოვდნენ, მაგალითად, გაზეთები და ფინანსური დახმარება ოჯახებისათვის.

317. იუსტიციის სამინისტრო აწარმოებდა მოსამზადებელ სამუშაოებს მოლდოვის შესვლისათვის ევროპის საბჭოში. უმთავრესი პრობლემა იყო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი. ნათელი იყო, რომ მოლდოვის კანონიერი ხელისუფლების ორგანოებს არ შეეძლოთ ადამიანის უფლებათა დაცვა დნესტრისპირეთის რეგიონში. ხსენებულმა მიგვიყვანა საკამათო დათქმამდე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმართ, რომელიც მოლდოვის პარლამენტმა 1997 წლის სექტემბერში დაამტკიცა. დათქმის ტექსტი სიტყვასიტყვით იქნა შეთანხმებული და შეჯერებული ევროპის საბჭოსთან. მოლდოვას

მუდმივი კავშირი ჰქონდა სტრასბურგის ოფიციალურ პირებთან. მონმის აზრით, ის ფაქტი, რომ ილაშქუს ჯგუფის სხვა წევრები არ იყვნენ გათავისუფლებულნი ამ დრომდე, მონმობდა იმას, რომ მოლდოვის კანონიერი ხელისუფლების ორგანოებს არ შეეძლოთ ადამიანის უფლებების დაცვა ხსენებულ რეგიონში.

318. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არასოდეს უღიარებიათ დნესტრისპირეთის რეგიონის სასამართლო გადაწყვეტილებები და ოფიციალური ქმედებები; მოლდოვა მათ არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა. იმისათვის, რომ დნესტრისპირელი ხალხი არ დატანჯულიყო იმ სიტუაციით, რაც იქ ჩამოყალიბდა 1990 წლის მოვლენების შემდეგ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე დაარსდა მოლდოვის სასამართლოები დნესტრისპირეთის რეგიონისათვის. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებულ შემთხვევებში (საოჯახო სამართალთან დაკავშირებით დნესტრისპირეთის ორგანოების მიერ მიღებული ღონისძიებები) მოქალაქეები ვალდებულნი არიან, მიმართონ კონსტიტუციურ (ანუ კანონიერ) სასამართლოებს მოლდოვაში, რათა მათი საქმე ხელახლა იქნეს მოსმენილი დნესტრისპირეთის სასამართლოებისა და ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ. მონმეს ბევრი მსჯელობა ჰქონდა იმისათვის, რომ გადაეჭრა პრობლემა. დნესტრისპირელები ფიქრობდნენ, რომ პრობლემა უნდა მოგვარებულიყო სხვა გზით, რათა ხსენებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ პოლიტიკას ნეგატიური ზეგავლენა არ მოეხდინა დნესტრისპირეთის მოსახლეობაზე. პრობლემა ეხება არა მხოლოდ ქორწინების სარეგისტრაციო დანესტრელებს, არამედ პოლიციის, ნოტარიუსებისა და სხვა სამსახურებს. მაგალითად, თუკი დნესტრისპირელებს სურთ, წავიდნენ უკრაინასა თუ რუსეთში, სამგზავრო დოკუმენტების მისაღებად ისინი უნდა გადავიდნენ მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

ყველა ეს პრობლემა არის მიმდინარე მოლაპარაკებების საგანი. 10 000-მდე სამოქალაქო საქმე უკვე გადაწყვეტილია დნესტრისპირეთის სასამართლოების მიერ. აუცილებელია იმის გადაწყვეტა, თუ რა მოხდება ხსენებულ საქმეებთან დაკავშირებით. არარეალური მიდგომა იქნება, თუკი მივიჩნევთ, რომ ყველა ეს საქმე მოგვიანებით უნდა გადაისინჯოს. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ დნესტრისპირეთში მცხოვრები მოქალაქე არ ეთანხმება დნესტრისპირეთის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მას უნდა ჰქონდეს მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოების წინაშე გასაჩივრების უფლება, რათა მისი საქმე გადასინჯული იქნეს.

319. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქის საქმე გადაწყვეტილი იქნა დნესტრისპირეთში და მიდის მოლდოვის უზენაეს სასამართლოში, ეს საქმე განიხილება და უზენაესი სასამართლო არაკონსტიტუციურად აცხადებს დნესტრისპირეთის მხარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. გასული წლების განმავლობაში ძალიან ბევრი ასეთი შემთხვევა მოხდა. სამოქალაქო საქმეები განიხილება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანის უფლებების დაცვა.

320. როდესაც მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებმა შეიტყვეს გუსარისა და ოსტაპენკოს სიკვდილის შესახებ, ისინი მზად იყვნენ, გამოეძიებინათ და დაედგინათ, თუ ვინ იყვნენ დამნაშავეები. მოლდოვის ორგანოები დაუკავშირდნენ ტირასპოლის პროკურატურას, რათა გაეგოთ, თუ ვინ იყო დამნაშავე ხსენებულ მკვლელობის ჩადენაში. მაგრამ მოლდოვის ხელისუფლების ორგანო-

ნოები მათ წინაშე აღმართულ კედელს წააწყდნენ.

321. ილაშკუს ჯგუფის გათავისუფლებასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალების განხილვა დაიწყო 2001 წლის 12 აპრილს. 2001 წლის 16 აპრილს მოწმე პირადად წავიდა ტირასპოლში ილაშკუს ჯგუფის წევრების ჩამოსაყვანად კიშინიოვში. როდესაც დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებმა უარი უთხრეს ამაზე, მოწმეს ხელახლა მოუხდა ყოველივეს დაწყება. 5 მაისს დნესტრისპირეთის საიდუმლო სამსახურების წარმომადგენლებმა გადასცეს ილაშკუ კიშინიოვის საიდუმლო სამსახურს და არა საგამოძიებო ორგანოებს. ძნელია იმის თქმა, შესაძლებელი იყო თუ არა ბ-ნი ილაშკუს დაკითხვა მისი გათავისუფლებისას. სისხლის სამართალწარმოება კვლავ აღძრული იყო, მაგრამ ილაშკუ თავისუფალი ადამიანი იყო და დატოვა მოლდოვა საკუთარი სურვილით.

დაუყოვნებლივ 2000 წლის მაისის შემდეგ, როდესაც სმირნოვმა განაცხადა, რომ იგი თანახმა იყო ილაშკუს საქმის გადასინჯვაზე სხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები დაუკავშირდნენ უნგრეთს, პოლონეთს და შვეიცარიას. წარიმართა ტექნიკური მოლაპარაკებები ამ ქვეყნებთან. მაგრამ ილაშკუს გათავისუფლებამ 2001 წელს ბოლო მოუღო იმის შესაძლებლობას, რომ საქმე მთლიანად განხილულიყო სხვა სასამართლოს მიერ სხვა ქვეყანაში.

322. ყველაფერი, რაც გაკეთდა ილაშკუს საქმეში და ზოგადად დნესტრისპირეთის პრობლემასთან დაკავშირებით, გაკეთდა სერიოზულად და გულმოდგინედ, მიუხედავად იმისა, თუ რა დროს ხდებოდა მოვლენები. მოწმემ პირადად შეისწავლა საქმე რამდენიმეჯერ. გარკვეული მნიშვნელოვანი შესწავლა განხორციელდა ეუთო-ს ინიციატივით. დღეს, 11 წლის შემდეგ, ძნელი იქნება ნებისმიერი წინასწარი სისხლისსამართლებრივი გამოძიების ჩატარება, მაგრამ მოლდოვის საგამოძიებო ორგანოები მაქსიმალურად შეეცდებიან.

## 28. ვიქტორ ვიერუ

323. მოწმე იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე 2001 წლის შემდეგ. ხსენებულ დრომდე იგი იყო ადვოკატი. მოწმეს არანაირი შეხება არ ჰქონია ილაშკუს საქმესთან. არც ერთი შეხვედრის დროს, რომელსაც იგი ესწრებოდა, ხსენებული საკითხი არ წამოჭრილა.

მოწმე მართლაც იყო სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებათა კომისიის (რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი სტურზა) წევრი. თუმცა იმ შეხვედრებზე, რომლებსაც იგი ესწრებოდა, არასოდეს განხილულა დარჩენილი პატიმრების გათავისუფლების საკითხი.

324. მოწმის, როგორც ადვოკატის, აზრით, გენერალური პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2000 წლის აგვისტოში იმ ბრძანების გაუქმებასთან დაკავშირებით, რომლითაც 1993 წელს სისხლისსამართლებრივი გამოძიება აღიძრა ილაშკუსა და მისი კოლეგების გასამართლებაზე პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ, არასწორი იყო.

325. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არასოდეს უღიარებიათ ის დოკუმენტები, რომლებიც გაცემული იყო დნესტრისპირეთის არაკონსტიტუციური ორგანოების მიერ. მოწმის აზრით, 2001 წლის ოქმი, რომელიც ხელმოწერი-



ლი იყო ბ-ნი ვორონინისა და ბ-ნი სმირნოვის მიერ, არ იყო სამართლებრივად სავალდებულო. პირველ რიგში, მოლდოვის უზენაესი კანონი, როგორც ეს კონსტიტუციით არის დადგენილი, არ მოიცავს სამართლებრივი აქტის სახით ისეთ აქტს, როგორც არის ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება. მეორე, ხსენებული არ შეიძლება განხილული იქნეს ისე, რომ წარმოადგენდეს საერთაშორისო ხელშეკრულებას სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის მნიშვნელობით: ხელშეკრულების ხელმოწერის უფლება აქვთ მხოლოდ სახელმწიფოებს, ხოლო დნესტრისპირეთი არ შეიძლება სახელმწიფოდ ჩაითვალოს. მესამე, ნებისმიერი სამართლებრივი აქტი გამოქვეყნებული უნდა იქნეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ნებისმიერ შემთხვევაში, მოლდოვის კონსტიტუციური ორგანოების მიერ გამოცემული დოკუმენტები არ არის აღიარებული ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

## 29. ანდრეი სტრატანი

326. მოწმე იყო საბაჟო დეპარტამენტის დირექტორი 1999 წლიდან 2001 წლამდე. ჩვენების მიცემის დროისათვის იგი იყო ელჩი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის პაქტის სამსახურის უფროსი. 1999 წლამდე იგი იყო საბაჟო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. ხსენებული სტრუქტურა თავიდან ფინანსთა სამინისტროში შედიოდა, ხოლო მოგვიანებით პირდაპირ მთავრობას დაექვემდებარა.

327. მოლდოვის საბაჟო ხელისუფლების ორგანოებს ფაქტობრივად არ გააჩნიათ არანაირი უფლებამოსილება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე უკრაინის საზღვრამდე საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, რადგან ისინი ვერ შედიან ამ ტერიტორიაზე.

დნესტრისპირეთში მდებარე კორპორაციულ გაერთიანებათა უმეტესობა საბაჟო დოკუმენტაციას ამზადებს ტირასპოლში. როდესაც მათ ესაჭიროებათ საექსპორტო ნებართვები, მაგალითად, სამკერვალო ნაწარმისთვის, ისინი უკავშირდებიან ხელისუფლების ორგანოებს კიშინიოვში, რომლებიც გასცემენ შესაბამის დოკუმენტაციას. არანაირი შეზღუდვა არ არსებობს დნესტრისპირეთში კორპორაციულ გაერთიანებებთან დაკავშირებით, რომლებიც კიშინიოვში ჩადიან მესამე ქვეყანაში საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად. თუმცა დნესტრისპირეთში ექსპორტი და იმპორტი ხორციელდება მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოების ნებართვის გარეშე. უმეტესად იმპორტირებული საქონელი შედის პირდაპირ ტირასპოლში. ზოგიერთი საქონელი, როგორც არის სამკერვალო ნაწარმი, შესაძლებელია ექსპორტირებული იქნეს ევროკავშირში მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამასთან დაკავშირებით ნებართვა გაიცემა მოლდოვის ეკონომიკის სამინისტროს მიერ. ეს იმიტომ ხდება, რომ დადგენილია საექსპორტო ვოჭები. ეს არ არის საბაჟო პროცედურა, როგორც ასეთი. ეს არის ეკონომიკის სამინისტროდან ნებართვის მიღების პროცედურა. საბაჟო დეპარტამენტს არ გააჩნია არანაირი კონტროლი ხსენებულ პროცედურაზე.

მოლდოვიდან იარაღის ექსპორტი შედის მოლდოვის კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოების იურისდიქციაში. ხსენებულისათვის საჭიროა მთავრობის გადანაცვები. რეალურად იარაღის ექსპორტთან ან სხვა გადარიცხ-

ვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს დეპარტამენტთაშორისი კომიტეტი იღებს. მონემ არ იცოდა, თუ რა პროცედურა გამოიყენებოდა ტირასპოლის ხელისუფლების ორგანოების მიერ.

ტირასპოლიდან იარაღის ექსპორტირება ხორციელდებოდა უკრაინის გავლით პირდაპირ სხვა ქვეყნებში, რადგან კიშინიოვს არ შეეძლო განეხორციელებინა კონტროლი უკრაინის საზღვარზე.

328. საბაჟო დეპარტამენტი პასუხისმგებელი არ იყო წარმომავლობის სერტიფიკატების გაცემაზე. ეს სავაჭრო პალატის კომპეტენციაში შედიოდა.

329. ზოგიერთი საქონელი ნაწილობრივ მოლდოვაში მზადდებოდა და ნაწილობრივ დნესტრისპირეთში; ასეთ შემთხვევებში საქონლის ტრანსპორტირება ხდებოდა დნესტრისპირეთში და დნესტრისპირეთიდან. მარცხენა ნაპირზე მდებარე კორპორაციული საწარმოებისათვის ბუნებრივი იყო საქმიანი ურთიერთობების დამყარება მარჯვენა ნაპირთან. მოლდოვის ორგანოებს არ გააჩნიათ სტატისტიკური მონაცემები ხსენებულთან დაკავშირებით, რადგან ითვლებოდა, რომ ეს იყო შიდა ვაჭრობა.

330. მდინარის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებს შორის არ ყოფილა შექმნილი არანაირი საერთო საბაჟო პოსტები. 1995 წლიდან მოლდოვა იყო საერთაშორისო საბაჟო გაერთიანების წევრი. დნესტრისპირეთი მოლდოვის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ არასოდეს ხორციელდებოდა საბაჟო კონტროლი იმ მომსახურებასა და საქონელზე, რომელიც მარცხენა ნაპირიდან მომდინარეობდა. ამიტომ, ფორმალურად რომ ვილაპარაკოთ, ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის კონტრაბანდას.

331. მოლდოვის ენერგეტიკული რესურსებით მომარაგება რუსეთიდან ხდება კონფლიქტამდე ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. საბაჟო დეპარტამენტმა იცის, თუ რა რაოდენობის ენერგეტიკული რესურსები შემოდის რუსეთიდან. საბაჟო დეპარტამენტში არის დანაყოფი, რომელიც ზედამხედველობს ამ რესურსების შემოტანას. საბაჟო დეპარტამენტი იღებს ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც ეხება გაზითა და ელექტროენერჯით მომარაგებას. მაგრამ მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ გააკონტროლონ, რა ხდება მოლდოვა-უკრაინის საზღვარზე და აღრიცხონ დნესტრისპირეთში იმპორტირებული ენერგეტიკული რესურსების ოდენობა. ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა რუსეთისა და მოლდოვის საბაჟო დეპარტამენტებს შორის რუსეთიდან მოლდოვაში გაზის ექსპორტთან დაკავშირებით. არანაირი საბაჟო გადასახადი არ არის დაწესებული რუსეთიდან მოლდოვაში ბუნებრივი გაზის იმპორტირებაზე, მხოლოდ საბაჟო პროცედურებისა და დამატებული ღირებულების გადასახადი.

332. მონემ არ იცოდა, აღირიცხებოდა თუ არა საექსპორტოდ განკუთვნილი საქონლის ტრანსპორტირება დნესტრისპირეთიდან პირდაპირ სხვა ქვეყნებში. მონემ არასოდეს უნახავს ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც, მისი აზრით, მიაწინებდა, რომ ასეთი საქონლის ექსპორტირების სხვა გზები იქნა აღმოჩენილი და ადგილი ჰქონდა გაუკონტროლებელ ვაჭრობას დნესტრისპირეთსა და მესამე ქვეყნებს შორის, გარდა იარაღით ვაჭრობისა. მოლდოვის საბაჟო დეპარტამენტში არსებობს ბრიგადა უკანონო ექსპორტის გამოძიებისთვის. მაგრამ ამ ბრიგადას მოქმედება შეუძლია მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზე შესვლის შესაძლებლობაც აქვს და რომელზეც ახორციელებს კონტ-

როლს. ამიტომ დნესტრისპირეთსა და უკრაინას შორის არსებული ვაჭრობა არ კონტროლდება მოლდოვის საბაჟო დეპარტამენტის მიერ.

333. მოწმემ არ იცოდა, თუ როგორ შეიძლება, რომ ტირასპოლში ჩამოსხმული ბრენდის ბოთლებზე, რომლებიც გაყიდვაში იყო რუსეთში, სახელმწიფო კოდი იყო რუსული და არა მოლდოვური. იგი თვლიდა, რომ ხსენებული კითხვა უნდა დაესვათ რუსეთის ფედერაციის საბაჟო ხელისუფლების ორგანოებისათვის.

334. მოლდოვის საბაჟო დეპარტამენტი არ ახორციელებს რაიმე სახის საბაჟო კონტროლს დნესტრის მარჯვენა სანაპიროზე, რადგან ეს არ არის საერთაშორისო საზღვარი. შესაბამისად, მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები არ აწარმოებენ გამოძიებას ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. დანაშაულს არ წარმოადგენს საქონლის ტრანსპორტირება მდინარის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე.

### 30. ბენერალი ზორის სერბაევი

335. მოწმე დაიბადა 1950 წლის 17 იანვარს ორენბურგში, რუსეთში. იგი არის როდ-ის სარდალი 2002 წლის 18 იანვრიდან. 1996 წლიდან ხსენებულ დრომდე იგი იყო როდ-ის კადრების უფროსის მოადგილე.

336. როდ-ის მისია ორმაგი ხასიათისაა: სამშვიდობო ძალები და შენაერთები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მე-14 არმიის აღჭურვილობისა და საკუთრების დაცვასა და მოგვიანებით რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებაზე.

337. რაც შეეხება სამშვიდობო ძალებს, მათ შემადგენლობაში დაახლოებით 360 პირია: 2 ბატალიონი და 1 საავიაციო დანაყოფი. ბატალიონები ერთმანეთს ენაცვლებიან და როდესაც პოსტზე იმყოფებიან, ექვემდებარებიან მხოლოდ სამშვიდობო ძალების შერეულ ხელძღვანელობას. რუსეთის სამშვიდობო ბატალიონები ორგანიზაციულად დამოკიდებულნი არიან როდ-ზე. ხსენებული ბატალიონები როდ-ის ჯარებისაგან განცალკევებულად არიან განთავსებული და აქვთ საკუთარი სამეთაურო ცენტრი. როდ-ის სხვა დანაყოფები არ არიან ჩაბმულნი სამშვიდობო ოპერაციებში და არასოდეს მონაწილეობდნენ მათში. რუსეთის სამშვიდობო ძალებს არ გააჩნიათ ტანკები. საავიაციო ჯგუფი პასუხისმგებელია ტირასპოლის აეროდრომზე.

338. როდ-ის ამჟამინდელი შტაბბინა უწინ მე-14 არმიის შტაბბინა იყო. როდ-ის შემადგენლობა ჩვენების მიცემის დროისათვის 1500 ადამიანზე ნაკლები იყო, ყველა სამხედრო შენაერთის ჩათვლით.

339. ტირასპოლში არის სამხედრო აეროდრომი. საბჭოთა დროს იქ განთავსებული იყო საჰაერო დივიზია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს საავიაციო აღჭურვილობა გაყოფილი იქნა მოლდოვას, უკრაინასა და რუსეთს შორის. მე-14 არმიას გააჩნდა მხოლოდ შვეულმფრენთა ესკადრილია, რომელიც ტირასპოლში იყო განთავსებული. ეს ესკადრილია გახდა სამშვიდობო ძალების ნაწილი. დღეისათვის მას გააჩნია 9 შვეულმფრენი და პერსონალი, რომელიც 180 ადამიანს ითვლის. ისინი არ შედიან როდ-ის შემადგენლობაში, მაგრამ პირდაპირ ექვემდებარებიან რუსეთის ავიაციის ძალებს. ისინი გამოიყენება სამშვიდობო ჯარების მიერ ინსპექციის განსახორციელებლად: ისინი აწარმოებენ უსაფრთხოების ზონის მონიტორინგს.

340. ტირასპოლის აეროდრომზე ძალიან მცირე მოძრაობაა. საჰაერო სივრცე კონტროლდება უკრაინისა და მოლდოვის საჰაერო კონტროლიორების მიერ: როდესაც საჰაერო ხომალდი მიფრინავს უკრაინის ტერიტორიაზე, საჰაერო კონტროლს ახორციელებს უკრაინა, ხოლო როდესაც ხომალდი უახლოვდება მოლდოვის ტერიტორიას, მას წარმართავს კიშინიოვის საჰაერო კონტროლის სამსახური. ამიტომ კიშინიოვში მდებარე მოლდოვის საჰაერო კონტროლიორების ნებართვის გარეშე რუსეთის საჰაერო ხომალდებსა და შვეულმფრენებს არ შეუძლიათ დაჯდომა და აფრენა.

რაც შეეხება აეროდრომის უსაფრთხოებას, ზოლი, რომელიც გამოიყენება რუსეთის ფედერაციის მძიმე თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების დასაჯდომად და ასაფრენად, დაცულია რუსეთის ძალების მიერ. თუმცა აეროდრომის ტერიტორია ღიაა, ასე რომ დნესტრისპირელებს რომ მოუნდეთ, შეუძლიათ იქ შეღწევა. მაგრამ ისინი იქ არ შედიან და, ანალოგიურად, რუსეთის ძალებიც არ ერევიან იმაში, თუ როგორ იყენებენ დნესტრისპირელები აეროდრომის მათ კუთვნილ ნაწილს.

341. როდ-ის გაყვანა უნდა დასრულებულიყო 2002 წლის დასასრულისათვის. ახლა ამ ვადამ 2003 წლის ბოლომდე გადაინია. ამ ეტაპზე ხორციელდებოდა კოლბასნას საწყობებში არსებული აღჭურვილობის ტრანსპორტირება. საჭირო იყო 69 გზის განხორციელება საჭურვილობისათვის და კიდევ 15 გზის სამხედრო აღჭურვილობისათვის. ხსენებული სავარაუდოდ 2003 წლის ბოლომდე გაგრძელდებოდა. მოწმემ განაცხადა, რომ მას ერჩივნა არ დაესახელებინა გატანის გაჭიანურების მიზეზები, რადგან ამასთან დაკავშირებული განცხადების გაკეთება გაცდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს. განრიგი დადგენილი იყო პრეზიდენტისა და თავდაცვის სამინისტროს მიერ. მოწმეს მხოლოდ მათი გადაწყვეტილებები უნდა შეესრულებინა.

რუსეთში გატანა ხორციელდებოდა მატარებლით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში – საჰაერო ტრანსპორტით. ბოლოს საჰაერო გზით აღჭურვილობა 1996 წელს იქნა გატანილი, ხსენებული ტვირთი ტანკსანინალმდეგო საჭურველი იყო. ზოგიერთი იარაღი ადგილზე განადგურდა, მაგალითად, ჯავშანტექნიკა და ჰაერსანინალმდეგო კომპლექსები. ამ ტიპის საბრძოლო იარაღის განადგურების მეთოდი შეთანხმებული იყო ეუთო-ს ექსპერტებთან და ამიტომ ეუთო ახორციელებს პროცესის მონიტორინგს. განადგურება ხორციელდება იმ მეთოდით, რომელიც გამოიცხადა მის შემდგომ აღდგენას. 2002 წელს განადგურდა 108 ტანკი, ახლა კი იწყებოდა ჰაერსანინალმდეგო სისტემების განადგურება.

342. მოწმის თქმით, დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს იარაღის გატანისას იგი მხოლოდ იმ დროს უკავშირდებოდა, თუკი ამას კონკრეტულ შემთხვევაში უზრძანებდნენ ზემდგომი ორგანოები. პროცესს მუდმივად ხელს უშლიან დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები, მაგრამ ამჟამად მათ იკისრეს ვალდებულება, ეთანამშრომლათ და გაეტარებინათ ტრანსპორტი. როდ-მა „მდრ“-ს შესთავაზა კომპენსაცია გატანისათვის როგორც ვალების ჩამონერით, ასევე არასამხედრო დანიშნულების ქონების გადაცემის გზით.

343. ეუთო ატარებს ხოლმე ინსპექტირებას იმ ადგილებშიც, სადაც ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა განთავსებული, და რუსეთშიც, დანიშნულების ადგილზეც. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოები ასევე ზედამხედველობენ პროცესს: პირველ რიგში, ეუთო-ს მეშვეობით, შემდეგ, როდესაც ტრანსპორტი (მატარებელი) გადის მოლდოვიდან, რუსეთის ხე-

ლისუფლების ორგანოები აკონკრეტებენ ტვირთის სახეობას და რაოდენობას, შემდეგ კი ტვირთის ჩამონათვალი ეგზავნება მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს მოლდოვა-უკრაინის საზღვრის გადაკვეთაზე.

344. როდ-ის პერსონალს გადაადგილება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნებართვა გაცემულია დნესტრისპირელების მიერ. ანალოგიური ნებართვის გაცემა საჭირო საქონლისა და მარაგების შემოტანისათვის. დნესტრისპირელების მხრიდან ნებართვა საჭიროა, აგრეთვე, რკინიგზისა და საავტომობილო გზების გამოყენებისათვის როგორც ტვირთის გატანისას, ისე შემოტანისას. როდ-ს ევალება, წარმოადგინოს მარშრუტის გეგმა, მონაწილე მოძრაი საშუალებების დეტალებით. სხვა შემთხვევაში დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები აპატიმრებენ ან არ ატარებენ სატრანსპორტო საშუალებებს.

მონწილის თქმით, ჩვენების მიცემის დროისათვის დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ სამი ავტომობილი იყო უკანონოდ დაკავებული.

345. როდ-ი არასოდეს მართავდა დნესტრისპირეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთობლივ წვრთნებს.

346. როდესაც წარმოიშობოდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან დაკავშირების საჭიროება, მოსკოვი სპეციალურ უფლებამოსილებას ანიჭებდა ხოლმე მოწმეს, რათა ის დაკავშირებოდა რომელიმე თანამდებობის პირს დნესტრისპირეთის ადმინისტრაციაში; დაკონკრეტებული იყო ასევე ამ პირთა ვინაობა და განსჯის საგანი.

347. როდ-ს არ აკლია სამხედრო მარაგები და საჭურველი და არ შემოაქვს რაიმე სახის ახალი შეიარაღება. სხვა მარაგები (მაგალითად, საწვავი) შემოდის სხვადასხვა ადგილებიდან — უკრაინიდან, პოლონეთიდან ან პირდაპირ რუსეთიდან. მძიმე აღჭურვილობა (როგორც არის თვითმფრინავის ნაწილები), რომელიც საჭიროებს შეკეთებას, იგზავნება უკან რუსეთში. ხსენებული ეცნობება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და არა მოლდოვის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს. როდ-ი ყიდულობს გარკვეულ საკვებს დნესტრისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ის, რაც შემოდის საჰაერო ტრანსპორტით, გადის კონტროლს მოლდოველი მშვიდობისმყოფელების მხრიდან, რადგან 1992 წლის შეთანხმების თანახმად სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი საბაჟო და სასაზღვრო კონტროლზე.

348. დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები თვლიან, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მე-14 არმიის ქონების ნაწილი, რომელიც განთავსებულია დნესტრისპირეთში, ეკუთვნით მათ. როდ-ი მათ აწვდის მხოლოდ არასამხედრო დანიშნულების აღჭურვილობას. ხსენებული არ მოიცავს იარაღს, საჭურველს ან ჯავშანტექნიკას, ეს არის მხოლოდ საყოფაცხოვრებო აღჭურვილობა, მანქანები, გარკვეული ტიპის საინჟინრო აღჭურვილობა, ექსკავატორები, საწვავის ცისტერნები, კარავები, გენერატორები და ა.შ. გადაცემამდე ჩამონათვალი მტკიცდება თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს მიერ მოსკოვში. დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს არასოდეს გადასცემიათ ტანკები.

349. 1992 წელს სამხედრო მეთაური ტირასპოლში მიხაილ ბერგმანი იყო, იგი ხელმძღვანელობდა კომენდატურას. ხსენებული დროს არმიის შტაბბინა დახურული სტრუქტურა იყო, რომელსაც გააჩნდა კონკრეტული სამხედრო ამოცანები. კომენდატურა განთავსებული იყო როდ-ის შტაბბინიდან განცალკევებუ-

ლად და მას ეკისრებოდა მრავალი ადმინისტრაციული ამოცანის შესრულება, როგორც არის ჩამოსული ახალი მოსამსახურეების რეგისტრაცია, შვებულებებისა და გათავისუფლების რეგისტრაცია, მივლინება და ა.შ. იგი 24 საათის განმავლობაში მუშაობდა და ჰქონდა სამხედრო კავშირები. კომენდატურაში ასევე იყო სამხედრო პოლიცია და საპატიმრო საკნები. კომენდატურის შენობა განთავსებული იყო შტაბბინიდან 1 კმ-ის დაშორებით. დაახლოებით სამი წლის წინ შენობა გადაეცა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს.

350. მე-14 არმია შეიქმნა 1956 წელს, როგორც ოდესის სამხედრო ოლქის ნაწილი. შტაბბინა განთავსებული იყო კიშინიოვში, მაგრამ 1986 თუ 1988 წელს სამეთაურო ცენტრი გადატანილი იქნა ტირასპოლში. არმია განთავსებული იყო როგორც უკრაინის, ასევე მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიებზე. არმიის არც ერთი დანაყოფი არ ყოფილა ოდესმე განთავსებული რუსეთის ტერიტორიაზე. უკრაინის სსრ-ს ტერიტორიაზე განთავსებული იყო საჭაერო-სადესანტო ძალები. არმია გადანაწილდა შემდეგნაირად: ყველაფერი ის, რაც იყო მოლდოვის ტერიტორიაზე, გადაეცა მოლდოვას, დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ალჭურვილობის გარდა, რომელიც რუსეთს დარჩა. 1991 წლის დეკემბრის შემდეგ არმია ცოტა ხნის განმავლობაში ეკუთვნოდა დსთ-ს შეიარაღებულ ძალებს. 1992 წლის 1 აპრილს არმიის მეპატრონე რუსეთი გახდა. 1991 წლის შემდეგ მე-14 არმიის სარდალი ბ-ნი ლებედი იყო. ხსენებული დროის შემდეგ მე-14 არმიას გადაერქვა სახელი და ეწოდა როდ-ი; შემდეგ ის გენერალმა ნეტკაჩოვმა ჩაიბარა. ჩვენების მიცემის დროისათვის მონმე იყო როდ-ის სარდალი. გენერლები იაკოვლევი და ნეტკაჩოვი მსახურობდნენ საბჭოთა არმიაში, მაგრამ არასოდეს ყოფილან რუსეთის ახალი შეიარაღებული ძალების წევრები.

მონმემ არაფერი იცოდა 1993 წელს გენერალ ლებედის დნესტრისპირეთის პარლამენტში არჩევის შესახებ. ტირასპოლის შემდეგ იგი დაინიშნა უშიშროების საბჭოს მდივნად მოსკოვში.

351. როდ-ის ფორმას სახელოზე ჰქონდა თავდაცვის სამინისტროს მიერ 1994 წელს შემოღებული ნიშანი. 1988 წლიდან ხსენებულ დრომდე ფორმას ჰქონდა სახელოსა და სამხრეებზე განთავსებული ნიშანი საბჭოთა არმიის აბრევიატურით. მონმე აცხადებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნიშნები განსხვავებული იყო, მას არ შეუძლია იმის თქმა, შეეძლო თუ არა ისინი განესხვავებინა მათ შემხედვარეს.

352. როდ-ი ატარებს ერთობლივ წვრთნებს მოლდოვის შეიარაღებულ ძალებთან ცენტრალურ მოლდოვაში, მაგრამ არასოდეს ჩაუტარებია ერთობლივი წვრთნები დნესტრისპირეთის ძალებთან.

თანამშრომლობა მოლდოვასთან ხორციელდება დსთ-ს ჩარჩოებში, სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებების საფუძველზე. მონმემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა რეგულარული შეხვედრები და სატელეფონო კავშირები მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებთან — თავდაცვის სამინისტროსთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. მაგრამ იგი არასოდეს შეხვედრია სმირნოვს.

353. მონმე ექვემდებარებოდა მოსკოვის სამხედრო ოლქის მეთაურს, კადრების განყოფილების უფროსსა და თავდაცვის სამინისტროს. შეიარაღებულ ძალებში შესაძლებელია რუსეთის მამრობითი სქესის 18 წელზე უფროსი მოქალაქეების განწვევა, მიუხედავად იმისა, მუდმივად ცხოვრობენ თუ არა ისი-

ნი რუსეთში. როდ-ს ჰყავს განვეულები მოსკოვის სამხედრო ოლქიდან. მონმე აცხადებდა, რომ მან არ იცოდა იმ 400 პირის შესახებ, რომლებიც, როგორც ჩანს, განვეულები იყვნენ დნესტრისპირეთში 2000 წლის თებერვალში.

354. ჯარისკაცებს, რომლებიც იცავენ სანყობებს, ეძლევათ განმარტება, თუ რა დროს შეუძლიათ ცეცხლის გახსნა. არასოდეს დამდგარა დღის წესრიგში მოლდოვის ჯარებისათვის ცეცხლის გახსნის საკითხი.

## 31. პოლკოვნიკი ალექსანდრ პერგუზი

355. მონმე დაიბადა 1960 წლის 24 ნოემბერს ტირასპოლში. 1999 წლის აპრილიდან იგი იყო როდ-ის მეთაურის მოადგილე საგანმანათლებლო დარგში.

356. 2002 წელს მოხდა სამი შემთხვევა, როდესაც დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებმა აიყვანეს როდ-ის მარაგით დატვირთული მანქანები და უკანონოდ ჰყავდათ ისინი გაჩერებული.

357. დნესტრისპირეთში როდ-ის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა როდ-ის ძალებში მართლწესრიგის დაცვა; იგი არ ერეოდა პოლიტიკურ საკითხებში. როდ-ი განთავსებული იყო რუსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და დაკავებული იყო მხოლოდ იმ საკითხებით, რომლებიც წარმოიშობოდა როდ-ის შიგნით. როდ-ის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენდა იარაღისა და საჭურვლის სანყობების დაცვა და სამხედრო პერსონალის განვრთნა. სამშვიდობო ძალების ამოცანა – უსაფრთხოების ზონაში მართლწესრიგის შენარჩუნება – მიმართული იყო „გარე სამყაროსაკენ“, მაგრამ სამშვიდობოები არ იყვნენ როდ-ის ნაწილი; ეს ცალკე ძალები იყო.

358. მონმე ტირასპოლში მსახურობდა 1992 წლიდან. 1992 წლის ივნისში მოხდა ბრძოლები ბენდერსა და დუბასარიში, მაგრამ არა ტირასპოლში, ასე რომ იგი არ შესწრებია ბრძოლებს. მონმე ასევე აცხადებდა, რომ რუსეთის სამხედრო ძალები მკაცრ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ და არ მონაწილეობდნენ ბრძოლებში. მან არ იცოდა ტანკების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონფლიქტში.

359. ადგილი არ ჰქონია იარაღის გადაცემას, მაგრამ იარაღი ძალის გამოყენებით იქნა გატაცებული, რადგან ხალხი აჯანყებული იყო. ეს არ იყო გათვალისწინებული. მოვიდნენ ბავშვები და ქალები, ჩუმად შემოიჭრნენ და გაიტაცეს იარაღი. იმ ჯარისკაცებმა, რომლებსაც ევალეობდათ იარაღის დაცვა, სავარაუდოდ ვერ გაუხსნეს ცეცხლი ქალებსა და ბავშვებს. სიტუაცია მართლაც რომ განსაკუთრებული იყო. ადამიანები, რომლებმაც ხსენებული ჩაიძინეს, თავზეხელაღებული იყვნენ: მიმდინარეობდა ომი და მათ სჭირდებოდათ თავიანთი სახლების დაცვა. გამოყენებული იქნა ასევე სატვირთო მანქანები ნაღმებით დაცულ სანყობებში შესაჭრელად. სიტუაციის უაღრესად დაძაბვის გარეშე შეუძლებელი იყო გატაცებული იარაღის დაბრუნება. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე ადგილი არ ჰქონია იარაღის დატაცებას.

360. იარაღის დატაცება შეფასებული იქნა ყაჩაღობად ანუ ქურდობად და აღიძრა სამართალწარმოება ყოველი ინციდენტის გამოსაძიებლად. მონმე აცხადებდა, რომ მან არ იცოდა ხსენებული სისხლის სამართალწარმოების შედეგების შესახებ.

361. 1992 წელს კომენდანტი მიხაილ ბერგმანი იყო. კომენდატურის შენობა განთავსებული იყო კირპიჩნის ქუჩაზე, შტაბბინიდან დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით. იმ დროს შენობა რუსეთის სამხედრო ძალების სრული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და შენობით არ სარგებლობდნენ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები.

## 32. ვიცე-პოლკოვნიკი ვიტალიუს რადზაევიჩუსი

362. მონმე დაიბადა ვიტებსკში, ბელორუსიაში. მან თანამდებობა დატოვა 2002 წლის დეკემბერში; ხსენებულ პერიოდამდე იგი იყო როდ-ის სამხედრო დაზვერვის უფროსი ოფიცერი. რეგიონში იგი მსახურობდა 1993 წლის თებერვლის შემდეგ. მის მოვალეობაში შედიოდა ინფორმაციის შეგროვება და სადაზვერვო ჯგუფების მომზადება.

363. დნესტრისპირეთში ტრანსპორტის მოძრაობა სიძნელეს წარმოადგენდა. ახლახანს რუსეთში გაგზავნილი სამი ავტომანქანა იქნა დაპატიმრებული. როდ-ს არ გააჩნდა კონტაქტები არც დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან და არც მათ სადაზვერვო სამსახურებთან. მონმის მოვალეობაში არ შედიოდა არც მოლდოვის სადაზვერვო სამსახურებთან შეხვედრა.

364. ოლგა ჩაპატინა მსახურობდა როდ-ში ოლგა სუსლინას სახელით. მონმის აზრით, იგი სმირნოვის აგენტი იყო.

365. მონმემ უარყო, რომ დნესტრისპირეთში ოდესმე განთავსებული იყვნენ საზღვაო ფეხოსნები ან „ფსბ“-ს „ალფა“ ჯგუფი.

## 33. პოლკოვნიკი ანატოლი ზვერევი

366. მონმე დაიბადა 1953 წელს რუსეთში, კალუგის რეგიონში. იგი მსახურობდა ტირასპოლში 2002 წლის იანვრიდან; ხსენებულ დრომდე იგი მსახურობდა მოსკოვის სამხედრო ოლქში.

367. შერეული სამშვიდობო ძალები დაარსდა მოლდოვისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის 1992 წელს დადებული შეთანხმების საფუძველზე. რუსეთის მხარის სამშვიდობო ძალებში შედიოდა 294 ადამიანი, 29 მანქანა და 264 ავტომატი. სამშვიდობო ძალებს ასევე გააჩნდათ 17 ჯავშანმანქანა, რომლებიც განთავსებული იყო სამშვიდობო ძალების პოსტებზე და გამოიყენებოდა კომუნიკაციის მიზნით. ავტომატები იყო „კალაშნიკოვის“ ტიპის და ასევე იყო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტები; სამშვიდობო ძალებს არ ჰქონდათ მძიმე შეიარაღება, როგორც არის ყუმბარმტყორცნები, ტყვიამფრქვევები, ტანკსანიანალმდეგო ჭურვები და სხვ. სამშვიდობო ძალების ყველა მანქანა და მოსამსახურე ატარებდა სპეციალურ ამოსაცნობ ნიშნებს. მათ უფლება ჰქონდათ, თავისუფლად ემოძრავათ, როგორც ეს 1992 წლის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. რუსეთის სამშვიდობო ძალები და როდ-ი ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. სამშვიდობო ძალების უფროსი თანამდებობები რუს ოფიცრებს ეკავათ. 1992 წლიდან დღემდე რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურის პოსტი არასოდეს დაუკავებია ვინმეს როდ-ის შემად-



გენლობიდან; მეთაური მუდამ მოსკოვიდან იყო ხოლმე. თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას სამშვიდობო ძალები არ თანამშრომლობდნენ როდ-თან.

368. სამშვიდობო ძალების მოვალეობას წარმოადგენდა უსაფრთხოების ზონაში იარაღის, ფეთქებადი მასალებისა და ნარკოტიკების გადატანის აღკვეთა.

მოლდოვისა და დნესტრისპირეთის ძალები პასუხისმგებელი იყვნენ მონიტორინგზე და შესაბამისი მხარეების დესტრუქციული ძალების ქმედებათა აღკვეთაზე. 1992-1993 წლებში სამშვიდობო ძალების ამოცანები სხვა იყო და მოიცავდა შეიარაღებული კონფლიქტის შეჩერებას, ბრძოლაში მონაწილე მხარეების დაშორებობას, განიარაღებას და მართლწესრიგის აღდგენას. ამ ეტაპზე სამშვიდობო ძალები იცავდნენ მშვიდობას და ახორციელებდნენ შეთანხმებათა შესრულების მონიტორინგს.

369. მოწმის უშუალო ზემდგომი ორგანო იყო შერეული საკონტროლო კომისია, რომელიც შეიქმნა 1992 წლის იმავე შეთანხმებით. შერეული საკონტროლო კომისიის შემადგენლობაში შედიოდა სამი დელეგაცია: ერთი რუსეთის ფედერაციიდან, ერთი მოლდოვის რესპუბლიკიდან და ერთიც დნესტრისპირეთის რეგიონიდან. ყოველ მხარეს ჰყავდა 6 წარმომადგენელი საგარეო საქმეთა სამინისტროდან, თავდაცვის სამინისტროდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და უშიშროების სამინისტროდან. არსებობდა, აგრეთვე, ერთობლივი სამხედრო მეთაურობა, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამშვიდობო ძალებზე. 1996 წლის შემდეგ შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი უკრაინიდან. ყველა გადანყვეტილება მიიღებოდა სამ მხარესა და უკრაინას შორის მიღწეული კონსენსუსის საფუძველზე. სამშვიდობო ძალები ემყარებოდნენ წევრებს შორის ამოცანებისა და პასუხისმგებლობების თანაბარი გაყოფის პრინციპს. შერეული საკონტროლო კომისია თანამშრომლობდა ეუთო-სთან.

## 34. შიდა-პოლკოვნიკი ზორის ლევიცკი

370. მოწმე დაიბადა 1961 წლის 31 მაისს რუსეთში, ნოვგოროდის რეგიონში. იგი იყო მე-80 სამხედრო გარნიზონის სასამართლოს თავმჯდომარე. ჩვენების მიცემის დროისათვის იგი მსახურობდა ხსენებულ თანამდებობაზე 2000 წლის შემდეგ.

მოწმე იყო სასამართლოს თავმჯდომარე და ერთადერთი მოსამართლე. გარნიზონის მეორე მოსამართლის თანამდებობა ვაკანტურია. მოწმე იხილავდა ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, ისევე, როგორც სამხედრო დისციპლინარულ გადაცდომებს. როგორც სამხედრო მოსამართლე, იგი ექვემდებარებოდა უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულების დეპარტამენტს და არა როდ-ს ან როდ-ის მეთაურებს ან თავდაცვის თუ იუსტიციის სამინისტროებს.

სამხედრო სასამართლო, რომელიც არსებობდა დნესტრისპირეთში მე-14 არმიის დროს, გადაყვანილი იქნა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში იმავე დროს, რა დროსაც არმია. ასეთი სასამართლოები წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი სისტემის ნაწილს. როგორც რუსეთის სამხედრო სასამართლოს, მას გააჩნია იურისდიქცია მხოლოდ რუსეთის მოქალაქეებზე

— როდ-ის მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პერსონალზე. სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია სხვა ადამიანებზე, მაგალითად, ადგილობრივ მოსახლეობაზე, დნესტრისპირეთის მილიციაზე და ა.შ. სამხედრო საკუთრების მოპარვის შემთხვევაში სასამართლოს ექნება იურისდიქცია რუსეთის მოქალაქეზე, რომელიც მსახურობს დნესტრისპირეთში, მაგრამ თუ ეჭვმიტანილი დნესტრისპირელია, ხსენებული შევა ადგილობრივი სასამართლოების კომპეტენციაში. ნებისმიერ შემთხვევაში როდ-ის სამხედრო სასამართლოს ტირასპოლში არ ექნება შესაძლებლობა, განიხილოს ასეთი სიტუაცია. მოწმის თქმით, მას არ შეხვედრია რაიმე საქმე, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა იარაღისა და საჭურვლის ქურდობასთან ან უკანონო გადაცემასთან.

371. როდ-ს არ გააჩნია უშუალო კავშირი მოლდოვის ან დნესტრისპირეთის მართლმსაჯულების ორგანოებთან. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მოახერხებდა მოლდოვის ტერიტორიაზე თავის შეფარებას, როდ-ი მოითხოვდა ამ ადამიანის ექსტრადირებას მოსკოვიდან თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით, რომლებიც, თავის მხრივ, მიმართავდნენ კომინიოვის ხელისუფლების ორგანოებს.

მონმე აცხადებდა, რომ დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები დაბრკოლებებს უქმნიდნენ როდ-ის სამხედრო პერსონალის მოძრაობას. მაგალითად, ერთხელ იგი გააჩერეს მისი კუთვნილი მანქანით, როდესაც კოლბასნაში მიდიოდა და ხელი შეუშალეს იქ მოხვედრაში.

## 35. ვიცე-პოლკოვნიკი ვალერი შაბაევი

372. მონმე დაიბადა 1966 წლის 9 ივნისს რუსეთში, იაროსლავლში. იგი დაინიშნა 14101-ე სამხედრო შენაერთის პროკურორად 2002 წლის აპრილში და ამჟამადაც ამ თანამდებობაზეა; ხსენებულ დრომდე იგი იყო მოსკოვის რეგიონის სამხედრო პროკურორის მოადგილე. ჩვენების მიცემის დროისათვის იგი გადაჰყავდათ სხვა თანამდებობაზე მოსკოვის რეგიონში.

373. როგორც 14101-ე სამხედრო შენაერთის პროკურორი, მონმე უშუალოდ იყო პასუხისმგებელი მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის წინაშე. მოსკოვის რეგიონის უფროს პროკურორს არ შეეძლო მისთვის ებრძანებინა გამოძიების კონკრეტული ხაზით წარმართვა, თუმცა მას შეეძლო იმის აღნიშვნა, რომ მონმე არ მისდევდა სწორ პროცედურას. სამხედრო პროკურორები არ ემორჩილებოდნენ როდ-ის მეთაურობას და არ ეკისრათ მის წინაშე პასუხისმგებლობა. როდ-ის მეთაურს არ შეეძლო მათთვის ინსტრუქციების მიცემა.

მონმის მოვალეობაში შედიოდა როდ-ში კანონის დაცვა და იმ სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიება, რომლებიც ჩადენილი იყო როდ-ის პერსონალის და არა ადგილობრივი სამოქალაქო პირების მიერ. მონმეს არ ჰქონია შეიარაღების ან აღჭურვილობის ქურდობის, ყაჩაღობისა თუ უკანონო გადაცემის შემთხვევები.

374. როდ-ის სამხედრო პროკურორებს ზოგადად არ გააჩნიათ პირდაპირი კონტაქტები არც მოლდოვის და არც დნესტრისპირეთის მართლმსაჯულების ორგანოებთან. მონმეს არ მიუღია რაიმე სპეციალური ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ეთანამშრომლა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებთან.

ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ასე თუ ისე გულისხმობდა თანამშრომ-

ლობას, მოხდა 2002 წელს. როდ-ის ჯარისკაცი და რამდენიმე არასრულწლოვანი ეჭვმიტანილი იყვნენ მოხუცი ადამიანის ცემაში, რომელიც გარდაიცვალა. ტირასპოლის სამართალდამცავმა ორგანოებმა გადასცეს მონმეს გარკვეული დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც როდ-ის ერთ-ერთ მოსამსახურეს შესაძლოა მონაწილეობა მიეღო ხსენებულ ინციდენტში. მონმემ აღძრა გამოძიება ჯარისკაცის წინააღმდეგ და გამოიძახა რამდენიმე სამოქალაქო პირი მონმის სახით. ასე რომ როდ-ი მინიმალურ დონეზე თანამშრომლობდა დნესტრისპირეთის სამართალდამცავ ორგანოებთან და ეს თანამშრომლობა გულისხმობდა მხოლოდ სატელეფონო კავშირსა და მონმეთა მოძებნას.

ვინაიდან მონმეს არ წაუყენებია ბრალდება ხსენებული სამოქალაქო პირებისათვის, მას არ აღუძრავს სამართალწარმოება მათ წინააღმდეგ, მაგრამ ადგილობრივმა საგამოძიებო ორგანოებმა აღძრეს საქმე ადგილობრივი ეჭვმიტანილების წინააღმდეგ დნესტრისპირეთის სასამართლოების წინაშე. მონმემ არაფერი იცოდა თანამშრომლობის სხვა შემთხვევების შესახებ.

375. მონმის თქმით, როდ-ის პერსონალს არავითარი პრობლემა არ ექმნებოდა დნესტრისპირეთში გადაადგილებისას; მას პირადად შეეძლო თავისუფლად ემოძრავა თავისი მანქანით. მათ ასევე შეეძლოთ თავისუფლად გადასულიყვნენ მდინარის მეორე ნაპირზე, მათი ზემდგომი ოფიცრის ნებართვით.

376. მონმემ იცოდა იმ სამი მანქანის შესახებ, რომლებიც უკანონოდ იყო დაკავებული დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ. არანაირი გამოძიება არ ყოფილა წარმართული ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით, რადგან სამხედრო პროკურორს გააჩნია იურისდიქცია მხოლოდ რუსეთის სამხედრო პერსონალზე. მონმემ იცოდა, რომ მეთაურობა აწარმოებდა მოლაპარაკებებს ხსენებული ავტომობილების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ანალოგიურად, დნესტრისპირეთის მილიციის მიერ რუსეთის არმიიდან იარაღის მოპარვაც არ შედიოდა მონმის კომპეტენციაში. იგი ხსენებულს იმ შემთხვევაში გამოიძიებდა, თუ გაურკვეველი იქნებოდა, ვინ ჩაიდინა ქურდობა, მაგრამ რადგან მტკიცებულებებით დადასტურებული იყო, რომ ეს გააკეთეს დნესტრისპირელებმა, მას აღარ შეეძლო საქმეში მონაწილეობა. ზემოხსენებულ შემთხვევაში მონმე გააგზავნიდა საქმეს მოსკოვში, საიდანაც დაუკავშირდებოდნენ მოლდოვის საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი გამოძიების წარმართვისათვის. რუსეთის პერსონალის დუმილით გამოხატული თანხმობა თუ დაუდევრობა, რამაც გააადვილა ქურდობა, მოხვედებოდა მონმის იურისდიქციაში, მაგრამ მონმე არასოდეს აღმოჩენილა ასეთი სიტუაციის წინაშე და არ გააჩნდა ინფორმაცია, თუ რა მოხდა იმ მომენტამდე, სანამ იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნებოდა.

377. მონმეს არ შეეძლო უშუალოდ დაკავშირებოდა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს, თუკი არ ექნებოდა სპეციალური ნებართვა.

## 36. ვასილი ტიმოჟენკო

378. მონმე დაიბადა 1941 წლის 3 სექტემბერს უკრაინაში, კიროვოგრაღში. ჩვენების მიცემის დროისათვის იგი გადამდგარი იყო. 1982 წლის სექტემბრიდან 2002 წლის აპრილამდე მას ეკავა მე-14 არმიის, შემდეგ კი როდ-ის სამხედრო პროკურორის თანამდებობა.

379. მე-14 არმიის შტაბბინა კიშინიოვიდან ტირასპოლში 1984 წელს გადავიდა.

მოწმის სამუშაოს წარმოადგენდა მე-14 არმიაში კანონიერების დაცვა. იურისდიქცია ვრცელდებოდა მხოლოდ სამხედროებზე — ადრე მე-14 არმიაში, ხოლო ახლა როდ-ში მომსახურე პერსონალზე — და არა სამოქალაქო პირებზე ან დნესტრისპირეთის მილიციაზე. თუკი რუს სამხედროს თავს დაესხმებოდა დნესტრისპირელი სამოქალაქო პირი, ამას გამოიძიებდნენ დნესტრისპირეთის საგამოძიებო ორგანოები. პრაქტიკაში დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოები მუდამ დამოუკიდებლად მუშაობდნენ და არ ითხოვდნენ რუსების მონაწილეობას. როდ-ის სამხედრო პროკურორი ზოგადად იძიებდა სამხედრო პერსონალის თანამონაწილეობას, მათ შორის ისეთ გარემოებებში, როდესაც ქურდობა განხორციელდა სამოქალაქო პირების მიერ, და თუკი საკმარისი მტკიცებულებები იქნებოდა სამხედრო პირის თანამონაწილეობისა, მოწმე აღძრავდა გამოძიებას. დნესტრისპირეთის მილიციის მიერ რუსეთის სამხედრო მოსამსახურის თანამონაწილეობით არმიის ქონების ქურდობის შემთხვევაში როდ-ის სამხედრო პროკურორს შეეძლო გამოეძიებინა ეს უკანასკნელი, მაგრამ არა დანაშაულში მხოლოდ დნესტრისპირელთა მონაწილეობის შემთხვევა. მშვიდობის ჟამს ასეთი შემთხვევა არ მომხდარა. როდ-ის სამხედრო პროკურორი იძიებდა საქმეებს პერსონალის წინააღმდეგ, როდესაც რუსეთის სამხედრო ბაზიდან გატანილი იქნა შეიარაღება და აღჭურვილობა, მაგრამ ეს მხოლოდ კონფლიქტის დროს მოხდა. 1991-1992 წლების კონფლიქტის დროს ადგილი არ ჰქონია მე-14 არმიის სამხედრო პერსონალის მიერ გარეშე პირთათვის აღჭურვილობის მიწოდებას.

380. კომენდატურის შენობაში იყო საპატიმრო საკნები. კომენდატურაზე ზედამხედველობას ახორციელებდა პროკურატურა და იგი ასევე ექვემდებარებოდა მე-14 არმიის გარნიზონის მეთაურს. იქ არ ხდებოდა სამოქალაქო პირების დაკავება. კომენდატურა დაიშალა 1996 წელს და ახლა იქ დნესტრისპირეთის პროკურატურაა განთავსებული.

381. მოწმემ განმცხადებელთა დაკავება და პატიმრობა შემდეგნაირად აღწერა: როდესაც გაჩაღდა კონფლიქტი, რეგიონში მოქმედება დაიწყო ტერორისტების ჯგუფმა, ეს იყო დაჯგუფება „ბუჟორი“. მოკლეს ზოგიერთი ცნობილი ადამიანი, მაგალითად, გუსარი, დნესტრისპირეთის მილიციის წევრი, ოსტაპენკო და სხვები და მათი დასაფლავება გადაიზარდა მასობრივ დემონსტრაციებში. ხსენებული პირები მოკლა სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ილაშკუმ და გარემოებები, რომლებშიც ხსენებული პირები იქნენ მოკლულნი და დამწვარნი, კარგად იყო ცნობილი მთელი ქალაქისათვის.

ამიტომ დნესტრისპირეთის პროკურორმა ბ-ნმა ჩარიეგმა გენერალ ლებედს მიმართა თხოვნით, ტერორისტები დროებით განეთავსებინათ სამხედრო ბაზაზე, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სახალხო შურისძიება მათ მიმართ. გენერალმა ლებედმა უარი თქვა ხსენებული ნებართვის გაცემაზე. მოწმემ, როგორც პროკურორმა, შეამონმა საკნები. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ფრთაში იყო სამი თუ ოთხი განცალკევებული საკანი და როდ-ის ესკორტისა და მცველების ნაცვლად იქ იყო დნესტრისპირეთის პოლიცია. იქ ასევე იყო იმ ფრთაში ცალკე შესასვლელი, სადაც განმცხადებლები იყვნენ მოთავსებულნი. მიხაილ ბერგმანმა განუცხადა მოწმეს, რომ მან გასცა ნებართვა როდ-ის საკნებში ტერორისტების დროებით განთავსებაზე, რათა ბრბოსაგან დაცული

ყოფილიყო მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. მოწმემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მან დაარღვია დისციპლინარული წესები და საკნები დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო, რაზეც მიხაილ ბერგმანმა უარი განაცხადა. მოწმემ ამის შესახებ აცნობა გენერალ ლებედს, რომელიც ძალიან გაბრაზდა ბ-ნ ბერგმანზე. მეორე დღეს მოწმე წავიდა ბერგმანის სანახავად, რათა გამოეყენებინა თავისი უფლებამოსილება და გამოესწორებინა დარღვევა. მაგრამ საკნები უკვე გათავისუფლებული იყო. განმცხადებლები ხსენებულ საკნებში სულ ერთი თუ ორი დღე იყვნენ.

ბერგმანმა დაუშვა შეცდომა, როდესაც სამოქალაქო პირების კომენტატურაში დაპატირების ნება დართო და ასევე ნება მისცა დნესტრისპირეთის მილიციას, იქ ეწარმოებინა მათი დაცვა და დაკითხვა. არანაირი დისციპლინარული სამართალწარმოება არ აღძრულა ბერგმანის წინააღმდეგ, რადგან ეს იყო მცირე მნიშვნელობის დისციპლინარული დარღვევა, რომელიც დაუყოვნებლივ იქნა გამოსწორებული.

382. განმცხადებლები მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს გასასამართლებლად იმიტომ არ გადასცეს, რომ მაშინ საომარი მდგომარეობა იყო. განმცხადებლებს ხელეები სისხლში ჰქონდათ გასვრილი და იმისათვის, რაც ჩაიდინეს, მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ. განმცხადებლები რომ გაეთავისუფლებინათ, არავინ იცოდა, დაისჯებოდნენ თუ არა ისინი. მოსახლეობაში ემოციები მძვინვარებდა.

383. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მე-14 არმია გაყოფილი იქნა უკრაინას, მოლდოვასა და რუსეთს შორის. მოლდოვამ და უკრაინამ მიიღეს სატანკო პოლკები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი ოფიცერი, რომლებსაც არ სურდათ მოლდოვის ან უკრაინის ჯარებში სამსახური ან იქ ფიცის მიღება, გათავისუფლდნენ და ჩამოვიდნენ დნესტრისპირეთში. სიტუაცია ძალზე ცვალებადი იყო. ბუნებრივია, ყოველი ჯარისკაცი იძულებული იყო, ეფიქრა თავის თავზე. ორმა ბატალიონმა არ შეინარჩუნა ლოიალურობა და შეუერთდა დნესტრისპირეთის ხელისუფლების ორგანოებს. ეს ხდებოდა დსთ-ს პერიოდში. არავითარი კანონმდებლობა ხსენებულ სიტუაციასთან დაკავშირებით იმ დროისათვის არ არსებობდა. ეს უაღრესად რთული პერიოდი იყო ყველასათვის — თვით რუსეთისთვისაც კი.

1992 წლის 1 აპრილს პრეზიდენტმა ელცინმა გამოაცხადა, რომ მე-14 არმია რუსეთის იურისდიქციაში შედის. ამას შემდეგ სიტუაცია ჩანყნარდა და ანალოგიური ფაქტები, ისევე, როგორც რუსი სამხედრო პერსონალის დნესტრისპირელთა მხარეზე გადასვლა აღარ ხდებოდა. თუმცა იმ სამხედროებს, რომელთაც სურდათ მოლდოვაში დაბრუნება, შეეძლოთ ამის გაკეთება.

384. რუსეთის არმიის სახელოს ნიშანი და სამხრე შემოღებული იქნა 1994 წელს; ხსენებულ დრომდე ფორმებზე საბჭოთა კავშირის აბრევიატურა იყო გამოსახული. 1992 წლიდან დნესტრისპირელები თავიანთ დროშასა და სიმბოლოებს იყენებდნენ.

385. ადგილი არ ჰქონია რუსეთის მიერ მოლდოვის ოკუპაციას. ტრაგედიის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა ქაოსური სიტუაცია, რომელიც თან ახლდა საბჭოთა კავშირის დაშლას. შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო 1990 წელს, როდესაც მოლდოვაში მიღებული იქნა ენასთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობა. სიტუაცია დნესტრისპირეთში ძალიან დაიძაბა. ხშირად

გაიგონებდით ლოზუნგს „მოლდოვა ეკუთვნით მოლდოველებს“. ბ-ნმა ილაშკურმ გამოსცა ბრძანება №6, რომელიც გამოქვეყნდა 1990 წლის სექტემბერში და მაშინვე შიში წარმოშვა დნესტრისპირეთის მოსახლეობაში. ამის შემდეგ ხალხმა რეგიონის დატოვება დაიწყო. და სწორედ ამ „ბრძანების“ შემდეგ განვითარდა ტრაგიკული მოვლენები. ილაშკურს ჯგუფმა დიდი ზიანი მიაყენა ხალხს და აღვივებდა ეთნიკურ კონფლიქტს. ჯგუფი „ბუჟორი“ ემზადებოდა ადგილობრივი პარლამენტის შენობის ასაფეთქებლად; ამ მიზნით ჯგუფმა დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი მასალა შემოიტანა. ქვეყანაში შექმნილი რთული სიტუაციისა და ტერორისტთა დაჯგუფების ქმედებების გამო ბევრმა ოფიცერმა, მათ შორის მონმემაც, გახიზნა ოჯახები. მონმემ თავისი ოჯახი უკრაინაში გააგზავნა.

386. 1992 წელს კონფლიქტის დაწყების შემდეგ როდ-ი ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობებს მოლდოველ სამხედროებთან. როდესაც მე-14 არმიის ტერიტორია ბენდერთან ახლოს დაბომბა მოლდოვის მხარემ, მონმემ დაურეკა მოლდოველებს ტელეფონით, რათა ეცნობებინა, რომ მათ როდ-ს დაუშინეს ცეცხლი. ამის შემდეგ რუსეთის ჯარებმა აღძრეს გამოძიება დაბომბვასთან დაკავშირებით. საქმე გაიგზავნა მოლდოვაში შემდგომი გამოძიების მიზნით, მაგრამ იქიდან არავითარი პასუხი არ მოსულა.

387. არც მე-14 არმიას და არც მის ტანკებს მონანიღობა არ მიუღიათ შეიარაღებულ კონფლიქტში. ადგილი ჰქონდა ინციდენტს, როდესაც დნესტრისპირელებმა გაიტაცეს ორი ტანკი და წაიყვანეს ხიდისაკენ. რუსეთის ძალები ცდილობდნენ მათ შეჩერებას და მოლდოვის მხარემ ააფეთქა ერთ-ერთი ჯარისკაცი.

388. მონმეს არასოდეს სმენია 40 უიარალო მოლდოველის შესახებ, რომლებიც მოკლეს ბენდერის მისადგომებთან. მაგრამ მან იცოდა სასწრაფო დახმარების მანქანის შესახებ, რომელიც დაცხრილეს მოლდოვის შეიარაღებულმა ძალებმა. ამ თავდასხმის დროს დაიღუპნენ ორსული ქალი და ექთანი. მან ასევე იცოდა სხვა საშინელებებიც, რომლებიც ჩაიდინეს მოლდოვის ძალებმა — მაგალითად, ერთი თვის შემდეგ მომხდარი ინციდენტი, როდესაც მოლდოვის ძალებმა დაბომბეს დასახლებული პუნქტები. მოლდოვის თვითმფრინავებმა დაბომბეს დნესტრისპირეთის სანაპიროზე მდებარე ქალაქი პარჩანი. იმ დროისათვის იქ არ იყო რუსეთის ავიაცია, მხოლოდ შვეულმფრენები იმყოფებოდნენ.

389. მონმემ არ იცოდა იმ ინციდენტების შესახებ, როდესაც მე-14 არმია დნესტრისპირეთის ხელისუფლებას და დნესტრისპირელ მოქალაქეებს იარაღით ამარაგებდა. მე-14 არმია ინარჩუნებდა მთელ თავის სამხედრო აღჭურვილობას; არაფრის გადაცემა არ მომხდარა. 1991-1992 წლების განმავლობაში სამხედრო ქონების არანაირ ქურდობას არ ჰქონია ადგილი. მოხდა ქონების დატაცების ოთხი შემთხვევა კონფლიქტის დასაწყისში. მონმემ ხსენებული საქმეები გადაუგზავნა დნესტრისპირეთის პროკურორს, რადგან შეუძლებელი იყო საქმის მასალების გაგზავნა მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებისათვის.

390. მონმე იცნობდა გენერალ კოსტას, მოლდოვის „დოსააფის“ („კეთილი ნებით შექმნილი გაერთიანება არმიის, ავიაციისა და ფლოტის დახმარებისათვის“) ყოფილ ხელმძღვანელს. მოლდოვის „დოსააფ“-ს ჰქონდა მრავალგვარი სამხედრო აღჭურვილობა სავარჯიშოდ — თვითმფრინავები, ტანკები, ჯავშანმანქანები და სხვ. მას ჰქონდა ასევე საკმაო გამოცდილება იმის სწავლებაში, თუ როგორ უნდა იმართოს ტანკი, როგორ უნდა განხორციელდეს პარაშუტით ხტომა, როგორ უნდა მოხდეს ზარბაზნის გასროლა და გადატენვა და ა.შ.

მოლდოვის „დოსააფმა“ აღჭურვილობა დაუტოვა მოლდოვას, ხოლო დნესტრისპირეთში არსებული ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების ხელში მოხვდა.

391. მოწმე პირადად იცნობდა ბ-ნ ნოსოვს, მთავარი სამხედრო პროკურორის პირველ მოადგილეს, მაგრამ არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ ბ-ნი ნოსოვი ჩამოვიდა ტირასპოლში 1996 წელს. მისი აზრით, ადგილი რომ ჰქონოდა ბ-ნი ნოსოვის მხრიდან რაიმე გამოძიების ჩატარებას, მას ამის შესახებ აცნობებდნენ ან ისიც მონაწილეობას მიიღებდა გამოძიებაში. მოწმე სადავოს ხდიდა 1996 წლის 30 აგვისტოს მოხსენების არსებობას და დოკუმენტის ავთენტურობას.

## 37. ვლადიმირ მოლოჟენი

392. მოწმე იყო მოლდოვის მთავრობის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის გენერალური დირექტორი. ეს თანამდებობა მას ორი წლის განმავლობაში ეკავა. ხსენებულ დრომდე იგი იყო იმ დეპარტამენტის უფროსი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამოქალაქო დოკუმენტაციაზე შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1991 და 1992 წლებში იგი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

393. მოწმის დეპარტამენტი გასცემს პასპორტებს და მის ფუნქციაში შედის მოლდოვის მოქალაქეთა რეგისტრაცია. რაც შეეხება დნესტრისპირეთში მცხოვრებ ადამიანებს, მათზე გაიცემა დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც ისინი მოლდოვის მოქალაქეები არიან. მოლდოვის მოქალაქეების რეგისტრაცია ჯერ არ გავრცელებულა ყველა მოქალაქეზე, რადგან ეს არის ათწლიანი პროგრამა, რომელიც 2005 წლამდე უნდა გაგრძელდეს. მოქალაქეებმა, რომლებსაც სურთ პასპორტის აღება, უნდა მიმართონ საპასპორტო განყოფილებებს, რომლებიც ქვეყანაში სხვადასხვა ადგილას მდებარეობს. ხსენებული დნესტრისპირეთის მოქალაქეებსაც ეხება. ოფიციალურად არ არსებობს ცნება „დნესტრისპირეთის პასპორტი“. დადის ჭორები, რომ დაგეგმილია მისი შემოღება. მოლდოვის დეპარტამენტს არა აქვს არავითარი ურთიერთობა დნესტრისპირეთის მხარესთან პასპორტების გაცემასთან დაკავშირებით.

394. დეპარტამენტს არ გააჩნია მონაცემები დნესტრისპირეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების რაოდენობასთან დაკავშირებით, თუმცა მოლდოვაში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები უნდა დაემორჩილონ მოლდოვის კანონმდებლობას და უნდა გაიარონ რეგისტრაცია. დეპარტამენტს არ გააჩნია ოფიციალური მონაცემები იმის შესახებ, ფლობს თუ არა სმირნოვი რუსეთის პასპორტს, თუმცა ამას ამტკიცებენ გაზეთები. დეპარტამენტს აქვს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც იღებს რეგიონული ოფისებიდან და რუსეთის საკონსულო ორგანოებიდან.

ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სურს რუსეთის პასპორტის აღება ან განახლება, უნდა მივიდეს რუსეთის საელჩოში. მოლდოვის ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, მოლდოვაში რუსეთის 1000-ზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს. მაგრამ ხსენებული მონაცემები არ ვრცელდება დნესტრისპირეთზე. დეპარტამენტს არასოდეს მოუთხოვია რუსეთის საელჩოსათვის ასეთი ინფორმაციის გამოგზავნა, თუმცა დეპარტამენტი კარგად თანამშრომლობს რუსეთის საელჩოსთან და როდესაც სჭირდება რაიმე ინფორმაცია, უგზავნის რუსეთის საელჩოს ოფიციალურ თხოვნას.

მოწმემ აღნიშნა, რომ ჩვენების მიცემის დროისათვის მოლდოვის კანონმდებლობის თანახმად ადამიანს შეუძლია მხოლოდ ერთი ქვეყნის მოქალაქეობა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მოლდოვის მოქალაქე იღებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, მას უნდა მიემართა თხოვნით დეპარტამენტისათვის, რათა ამ უკანასკნელს გაეუქმებინა მისი მოლდოვის მოქალაქეობა. გამონაკლის შემთხვევებში, პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, მოლდოვის მოქალაქეს შეეძლო ჰქონოდა ორმაგი მოქალაქეობა. მხოლოდ მოლდოვის მოქალაქეებს შეეძლო ემუშავათ საჯარო სამსახურში და ყოფილიყვნენ საჯარო მოხელეები.

395. ტელეფონები, როგორც ჩვეულებრივი, ასევე მობილური, შედის იმ დეპარტამენტის კომპეტენციაში, რომელიც ახორციელებს საქმიანობას კომუნიკაციებთან დაკავშირებით, და არა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში. დეპარტამენტს არაფერი აქვს საერთო სატელეფონო მომსახურებასთან. მოწმემ არ იცოდა, არსებობდა თუ არა საერთო სატელეფონო სისტემა მოლდოვისათვის, მათ შორის დნესტრისპირეთის რეგიონისათვის, თუ მათ ცალკე-ცალკე სისტემები ჰქონდათ.

396. ბ-ნ სმირნოვს არ ჰქონდა მოლდოვის მოქალაქეობა და არასოდეს მოუთხოვია მისი მიღება. 2001 წლის 6 მაისს მიღებული ოქმი მოლდოვის პრეზიდენტსა და დნესტრისპირეთის რეჟიმის ლიდერს შორის ხსენებულ საკითხს უკავშირდება. მოლდოვის პრეზიდენტი ცდილობდა, გაეიოლებინა ურთიერთობა დნესტრისპირეთის რეჟიმის ლიდერებთან, მაგრამ ხსენებული ოქმი რჩება განზრახვის გამოვლინების განცხადებად, რომელსაც არანაირი ოფიციალური ღირებულება არ გააჩნია. იმისათვის, რომ ხსენებული ოქმი ძალაში შევიდეს, მოლდოვამ უნდა შეცვალოს კანონმდებლობა. როდესაც უქმდება მოლდოვის მოქალაქეობა, დეპარტამენტი მოქმედებს თხოვნის საფუძველზე. მოქალაქეთა ეროვნული რეგისტრაცია 10-12 წლიან ჩარჩოებში ხორციელდება. ხსენებულის შედეგად დეპარტამენტი გარკვეულწილად ამოწმებს, გააჩნია თუ არა ადამიანს მეორე ქვეყნის მოქალაქეობა. დეპარტამენტი ასევე იხილავს ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას მრავალ სახელმწიფოსთან, როგორც არის რუმინეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუსეთი, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ ხდება. არ არსებობს არავითარი სანქცია, თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისთანავე ადამიანი არ იტყვის უარს მოლდოვის მოქალაქეობაზე. დეპარტამენტს სჯერა, რომ მოლდოვის მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილს აქვს მეორე ქვეყნის პასპორტები. ეს პრობლემა ეხება არა მხოლოდ რუსეთს (როგორც ქვეყანას, რომლის მეორე მოქალაქეობაც აქვთ ადამიანებს), არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას.

397. 1992 წელს მოლდოვის მოსახლეობის უმეტესობას კვლავ საბჭოთა პასპორტები ჰქონდა. მხოლოდ 1993 წელს მოაწერა ხელი მოლდოვის პრეზიდენტმა დადგენილებას მოლდოვის გაერთიანებული საპასპორტო სისტემის შესახებ. პირველი პასპორტები 1995-1996 წლებში გაიცა. ხსენებულ დრომდე ადამიანის მოლდოვურ მოქალაქეობას ადასტურებდა მხოლოდ ჩანაწერი, რომელიც 1974 წლიდან კეთდებოდა საბჭოთა პასპორტში. მოლდოვამ შემოიღო კანონმდებლობა, რომელიც მოიცავდა ნულოვან პასპორტში. პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ტერიტორიაზე, მიენიჭათ გარკვეული სტატუსი, მაგრამ დადგენილი იყო დროის განრიგი, რომლის განმავლობაშიც სტატუსი უნდა დადასტურებულიყო. პირებს, რომლებსაც არ გააჩნდათ სპეციალური ჩანაწერი



საბჭოთა პასპორტებში, უნდა მიემართათ მოქალაქეობის მოსაპოვებლად. ყველას, ვინც ცხოვრობდა მოლდოვის ტერიტორიაზე, უფლება ჰქონდა მოლდოვის მოქალაქეობის მიღებისა, თუკი ეს სურდა.

ადამიანს, რომელსაც ჰქონდა ორი პასპორტი, სთავაზობდნენ არჩევანს. მაგრამ არჩევანის გაკეთებამდე იგი მოლდოვის მოქალაქე რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთდროულად ორი პასპორტი ჰქონდა.

**398.** კომინიოვიდან ტირასპოლში განხორციელებული სატელეფონო ზარი შიდა ზარად ითვლება.

**399.** ის საკითხი, შესაძლებელი იყო თუ არა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ადამიანისთვის ცხოვრების უფლების გაუქმება, არ შედიოდა დეპარტამენტის კომპეტენციაში, ის განეკუთვნებოდა საიმპერაციო დეპარტამენტის კომპეტენციას. თუმცა მონმემ იცოდა, რომ მოლდოვის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ცხოვრების ნებართვაზე უარის შესაძლებლობას იმ უცხოელი პირისათვის, ვინც დანაშაულს ჩაიდენდა.

რაც შეეხება მოლდოვის უშიშროებისათვის შექმნილ საფრთხეს იმ ფაქტით, რომ ბ-ნი ორდინისათვის გაიცა მოლდოვის პირადობის მოწმობა, მონმემ განაცხადა, რომ დეპარტამენტი დოკუმენტებს შეკითხვების გარეშე გასცემს. პირადობის მოწმობა, როგორც მოლდოვის მოქალაქის დოკუმენტი, გაიცემა ნებისმიერ პირზე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოლდოვაში.

## **38. იონ კოსტასი**

**400.** მონმე იყო მოლდოვის თავდაცვის მინისტრი 1992 წლის თებერვლიდან 1992 წლის 30 ივლისამდე.

მონმე გენერალი გახდა საბჭოთა არმიის დროს 1984 წელს. მან დაამთავრა საჰაერო ოფიცრების ინსტიტუტი. იგი იყო სამხედრო მფრინავი. მან დაამთავრა გაგარინის სახელობის სამხედრო აკადემია მოსკოვში და მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთსა და ბალკანეთში.

1990 წლის 24 მაისიდან 1992 წლის 20 თებერვლამდე მონმე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. ხსენებულ დრომდე იგი იყო პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. თავდაცვის მინისტრობის შემდეგ, 1992 წლის ივლისიდან 1993 წლის ოქტომბრამდე, იგი მსახურობდა სამხედრო ატაშედ ბუქარესტში. შემდეგ იგი წავიდა პოლიტიკიდან და აღარასოდეს გამოჩენილა საჯარო არენაზე. ჩვენების აღების დროისათვის იგი გადამდგარი იყო და ცხოვრობდა პენსიაზე, როგორც რეზერვის გენერალი.

**401.** 1992 წელს მოლდოვის მხარემ დაიწყო ადამიანების განწვევა სმირნოვის მიერ წარმოქმნილი საფრთხის გასაწვევად. მოლდოვას გააჩნდა გარკვეული ჯარები შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში. 1992 წლის მარტში მათ დაიწყეს ჯარების შექმნა თავდაცვის სამინისტროსათვის. ხსენებულ დროს მოლდოვის სამხედრო პერსონალის ბევრი წარმომადგენელი ბრუნდებოდა ქვეყანაში. ყოფილი საბჭოთა კავშირის არმიიდან დაბრუნდა 51 ოფიცერი. შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობისას მონმემ გააანალიზა, რომ საჭირო იყო მაქსიმალურად სწრაფად შექმნილიყო თავდაცვის სამინისტრო. მოლდოვას არ გააჩნდა ეროვნული არმია, როდესაც დნესტრისპირეთის მხა-

რემ მას თავს მოახვია კონფლიქტი. ამიტომ თავდაცვის სამინისტრო შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებს. სულ იყო 8-10 ან შეიძლება 12 ბატალიონი, ანუ ეს იყო მაქსიმუმი, რაც მოლდოვას შეეძლო დაეპირისპირებინა მეორე მხარეს მებრძოლი კაზაკების, მილიციისა და სამხედრო ძალებისათვის. ხსენებული დაადასტურა ბ-ნმა სელეზნიოვმა, როდესაც მან მიმართა მოლდოვის პარლამენტს 2002 წელს. ერთობლიობაში მოლდოვის მხარეზე უნდა ყოფილიყო 25-35 ათასი მებრძოლი. ეს ციფრი მოიცავდა რეზერვისტებს და სამოქალაქო პერსონალს, მაგალითად, მშენებელ ინჟინრებს და ა.შ. ამავე დროს, მოლდოვაში მყოფ რუსეთის არმიას ჰყავდა 14 ათასი პროფესიონალი ჯარისკაცი.

დნესტრისპირელებს ჰყავდათ ცხრა ათასი განვრთნილი მილიციელი, რომლებსაც იარაღით ამარაგებდნენ მე-14 არმიის ოფიცრები. ეს ოფიცრები განვეულნი იყვნენ რეზერვიდან და დაინიშნენ პოლიციის რაზმებისა და ბატალიონების მეთაურებად. გარდა ამისა, იყო 5-6 ათასი მოხალისე, რომლებიც მათ შეუერთდნენ მას შემდეგ, რაც რუსეთის ტელევიზიით იყო გამოსვლა მებრძოლებისთვის დნესტრისპირეთში საბრძოლველად წასვლის მონაცემებით. ხსენებული მოხალისეები ჩადიოდნენ მთელი რუსეთის ფედერაციიდან. მათი რაოდენობა იყო 15-20 ათასი. ამიტომ დნესტრისპირელთა მხარეზე იბრძოდა დაახლოებით 35-40 ათასი მებრძოლი, რომლებიც დაუპირისპირდნენ მოლდოვის რესპუბლიკის კანონიერ ძალებს.

და, გარდა ამისა, არსებოდა იარაღი და საჭურველი, რომელზეც ხელი მიუწვდებოდა ორსავე მხარეს. მარჯვენა მხარეს მყოფ მებრძოლებს საერთოდ არ გააჩნდათ ტანკები, არანაირი არტილერია ან „გრადის“ ტიპის მობილური რაკეტების სასროლი დანადგარები თუ მძიმე არტილერია. მდინარის მარცხენა მხარეს მყოფ მებრძოლთ ჰქონდათ 3 ბატალიონი „გრადის“ ტიპის არტილერიით, რაკეტების სასროლი დანადგარებითა და ყუმბარმტყორცნებით. მათ ასევე ჰქონდათ თვითმფრინავები „დოსააფიდან“ და მე-14 არმიის შვეულმფრენები და ტანკები. მოლდოვას ტანკები არ გააჩნდა. გენერალმა ლებედმა მოხალისეებს (კაზაკებს, მილიციას) მისცა საჭურველის მთელი სანყოფნები, რომლებიც განთავსებული იყო მდინარის აღმოსავლეთ სანაპიროს პერიმეტრზე.

402. შეხვედრაზე, რომელიც პრეზიდენტ სნეგურს ჰქონდა ბ-ნ გორბაჩოვთან 1990 წელს, ამ უკანასკნელმა ნათელი გახადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოლდოვა ხელს არ მოაწერდა ფედერაციულ სახელმწიფო შეთანხმებას, მოლდოვის ტერიტორიაზე შეიქმნებოდა სამი რესპუბლიკა, სახელდობრ, გაგაუზის, დნესტრისპირეთისა და მოლდოვის რესპუბლიკები. ასეც მოხდა.

403. რაც შეეხება რუსეთის ჯარების ყოფნას მოლდოვაში 1991-1992 წლებში, ეს გადაწყვეტილი იყო მარშალ შაპოშნიკოვის, დსთ-ს ძალების ყოფილი სარდლის, მიერ და ხელმოწერილი იყო მეორე მხრიდან რამდენიმე გენერლისა და პოლკოვნიკის მიერ. ეს არის დოკუმენტი №314/1 და მიღებულია 1992 წლის 23 მარტს. მე-14 არმიის იარაღი და საჭურველი გაიყო. ხსენებული დოკუმენტი აკონკრეტებდა, თუ რომელი იარაღი და საჭურველი უნდა დარჩენილიყო მე-14 არმიაში და რომელი უნდა გადასცემოდა მოლდოვის რესპუბლიკას.

404. მოწმის თქმით, მას გააჩნდა ინფორმაცია გენერალური შტაბიდან 1990-1991 წლების პერიოდში, როდესაც საბჭოთა არმია კვლავაც არსებობდა, რომ მოსკოვმა მიიღო საიდუმლო გადაწყვეტილება ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით იმ რესპუბლიკებიდან, რომლებშიც სიტუაცია არ იყო გარკვეული,

მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან და მოლდოვიდან. ამ უკანასკნელიდან მასობრივად იქნა გაყვანილი სატანკო პოლკები. მაგალითად, ბალტიიდან გაყვანილი იქნა 120 ტანკი სარაკეტო ბრიგადასთან ერთად. საჭურველი განთავსებული იყო კოლბასნაში. ყველა ტანკი იქნა გაყვანილი დნესტრის მარჯვენა სანაპიროდან, ისევე, როგორც სარაკეტო დანადგარები. არაფერი აღარ დარჩა მარჯვენა მხარეს, თვით ყუმბარმტყორცნები და ნალმმტყორცნებიც კი სრულად იქნა გატანილი და გადაზიდული მარცხენა ნაპირზე. მოლდოვის არმიას უნდა დარჩენოდა მე-300 საჰაერო სადესანტო პოლკი, მაგრამ იგი გაყვანილი იქნა რუსეთის ტერიტორიაზე.

405. „დოსააფი“ იყო სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც შედგებოდა ბრძოლისათვის ვარგისი პირებისაგან, რომელთა ასაკი მერყეობდა 14 წლიდან 60 წლამდე. ამიტომ იგი მოიცავდა მთელ სამოქალაქო საზოგადოებას და უშველებელი ორგანიზაცია იყო მუდმივი სტრუქტურით. საბჭოთა კავშირში ეს იყო სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ედგა სამხედრო პირი, მისი მოადგილეებიც სამხედროები იყვნენ. დანარჩენი მოსამსახურეები სამოქალაქოები იყვნენ. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო პირების, კერძოდ კი ახალგაზრდების განვრთნა. ეს იყო მონსტრი, რომელიც შედგებოდა 102 მილიონი ადამიანისაგან მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მოლდოვაში ორგანიზაციას ორი მილიონი წევრი ჰყავდა. მას გააჩნდა სპორტული თვითმფრინავები, დელტაპლანები, სარადარო სისტემები, საზღვაო სკოლა წყალქვეშა ნავების გამოყენებაში ადამიანების გასანვრთნელად და ა.შ.

საბჭოთა პერიოდში ორგანიზაციას ასევე გააჩნდა ტანკები, შვეულმფრენები, სარაკეტო დანადგარები. ორგანიზაციას ბევრი შეიარაღება არ ჰქონია; უმეტესად ყველაფერი საწვრთნელი ხასიათის იყო.

შექმნის შემდეგ დსთ-ს ჰყავდა შეიარაღებული ძალები, რომლებსაც რუსეთის არმიის წარმომადგენელი მეთაურობდა. მარშალი შაპოშნიკოვი იყო სარდალი და ასევე დსთ-ს თავდაცვის მინისტრი. მინისტრი დანიშნული იქნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ-ნი ელცინის წინადადებით. მაგრამ ამავე დროს იქ იყო რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვიც.

დსთ-ს ჯარების ყველა უმაღლესი მეთაური მოსკოვიდან იყო, სხვები იყვნენ უკრაინელები და რუსი სლავები.

მოლდოვას არ მოუხდენია დსთ-ს ხელშეკრულების სამხედრო ნაწილის რატიფიცირება. უფრო მეტიც, მოლდოვაზე არანაირად არ ვრცელდებოდა დსთ-ს თავდაცვის მინისტრის, მარშალ შაპოშნიკოვის ქმედებები და გადანყვეტილებები. სწორედ კონფლიქტის პერიოდში გადაეცა მე-14 არმია დსთ-ს შემადგენლობიდან რუსეთის ფედერაციას.

406. დსთ-ს შეიარაღებული ძალების მეთაურს მარშალ შაპოშნიკოვს არ უპასუხია მისთვის მოლდოვის პრეზიდენტის მიერ 1992 წლის აპრილში გაგზავნილ წერილზე, რომელშიც პრეზიდენტი ყურადღებას ამახვილებდა დსთ-ს სამხედრო ძალების მონაწილეობაზე სეპარატისტებისათვის იარაღის მიწოდებაში.

პოლიტიკა, რომელსაც იგი ეწეოდა, მიმართული იყო მოლდოვისა და სხვა რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენისაკენ ან, სულ მცირე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ დარჩენისაკენ.

როდესაც მე-14 არმია ლებედმა ჩაიბარა, მოხდა იარაღის მნიშვნელოვანი

გადინება, მათ შორის მე-14 არმიამ ფეხოსანთა ნაღმები სეპარატისტებს გადასცა. კოლბასნადან გატანილი იქნა იარაღის მარაგი. 1990 წელს, როდესაც მოწმე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, მან მონაწილეობა მიიღო მე-14 არმიის სარდალ გენერალ იაკოვლევსა და მოლდოვის პრემიერ-მინისტრ მურავშჩის შორის გამართულ შეხვედრაში. სეპარატისტებთან დაკავშირებით იაკოვლევმა განაცხადა, რომ მან მიიღო სპეციალური ინსტრუქციები რუსეთის თავდაცვის სამინისტროდან, რომ იარაღი მიეწოდებინა დნესტრისპირეთის მილიციისათვის. ბ-ნი მურავშჩის საპასუხოდ, რომელსაც სურდა გაეგო, წარმოადგენდა თუ არა ეს გაფრთხილებას, გენერალმა იაკოვლევმა განაცხადა: „არა, ეს მხოლოდ ფაქტია, რომ 10 000 „კალაშნიკოვი“ გადაეცა მილიციას დნესტრისპირეთის რეგიონის დასაცავად“. გენერალმა იაკოვლევმა დაამატა, რომ მან მიიღო მითითება, წინააღმდეგობა გაენია მოლდოვის მცდელობისათვის, კონტროლის ქვეშ მოექცია რეგიონი და არ მიეცა კონტროლის დამყარების საშუალება.

ამიტომ იარაღის გადაცემა გარდაუვალი იყო. ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული. მოლდოვას ჰქონდა საფუძვლიანი ფაქტობრივი მტკიცებულებები, მაგალითად, მოლდოვის ჯარების მიერ აყვანილი ტყვეებისაგან, რომლებმაც აღიარეს, რომ ხსენებულს ადგილი ჰქონდა. მოლდოვამ ასევე მოიპოვა მტკიცებულებები და დოკუმენტები მე-14 არმიიდან, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ იარაღი გადაეცემოდა სეპარატისტებს. 1991 წლის მაისში მე-14 არმიის მაშინდელმა სარდალმა ნეტკაჩოვმა მიიღო მითითებები თავდაცვის მინისტრისაგან მოსკოვიდან რეზერვისტების განწვევასთან და იმ ჯარებისა და იარაღის მზადყოფნასთან დაკავშირებით, რომლებსაც უნდა დაცვათ დნესტრისპირეთი, რადგან ეს უკანასკნელი იყო „რუსეთის ტერიტორია და ... ჩვენ [რუსებმა] უნდა დავიცვათ იგი ყველა საშუალებით“. მონმეს ჰქონდა შეხვედრა გენერალ ნეტკაჩოვთან, რომელმაც განუცხადა მას, რომ რეზერვისტი ოფიცრები ტოვებდნენ მე-14 არმიას, რათა გაენვრთნათ სეპარატისტები.

მონმემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო პირებს არ შეეძლოთ ნაღმების ჩალაგება; ხსენებული ამოცანის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ პროფესიონალებს, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო წვრთნა. კონფლიქტის შემდეგ მოლდოვამ თხოვნით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალისტებს, რათა მათ განენაღმათ დნესტრისპირეთის ტერიტორია. ამერიკელებმა ასევე განვრთნეს მოლდოველი სპეციალისტები დანაღმული ველების გაუვნებელყოფაში.

407. მოლდოვის თავდაცვის სამინისტროს არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის განევა დნესტრისპირეთის ძალებისათვის. როდესაც წარმოიშვა კონფლიქტი, სეპარატისტებს ჰქონდათ 30 ტანკი, 50 საარტილერიო დანადგარი, 6 და 120 მმ-იანი ნაღმმტყორცნები და ჰყავდათ ტაქტიკური ჯგუფები, რომლებიც განვრთნილნი იყვნენ არტილერიის გამოყენებაში. მათი სამხედრო ქმედებები კარგად იყო ორგანიზებული სამხედრო ოფიცრების მიერ. 120 მმ-იანი ჭურვების ყიდვა არ შეიძლება ბაზარში; რეგიონში მხოლოდ მე-14 არმიას გააჩნდა ასეთი ჭურვები. „დოსააფს“ არ ჰქონია ასეთი ყალიბის ჭურვები. მე-14 არმიის საკმაოდ ძლიერი ჯგუფი იყო ბენდერში დნესტრისპირეთის სახალხო გვარდიასთან ერთად. ავტობუსებს, რომლებითაც შეუიარაღებელი მოლდოველი ჯარისკაცები გადაჰყავდათ, გაუხსნეს ცეცხლი ტიგინას (ბენდერის) მისადგომებთან. მოლდოვის ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების შემდეგ გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ ეს სწორედ რუსმა ჯარისკაცებმა გააკეთეს.

ხსენებული ინციდენტის დროს 23 ჯარისკაცი დაიღუპა.

408. მოწმეს არ სურდა გადადგომა; მის გადადგომასთან დაკავშირებული გადანყვეტილება პარლამენტმა და პრეზიდენტმა სნეგურმა მიიღეს და ამას იმით ხსნიდნენ, რომ ასე სურდა მოსკოვს.

409. ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რომლის დროსაც მოლდოვის თვითმფრინავმა დაბომბა დნესტრისპირეთის სოფელი. განხორციელდა ორი საჰაერო მისია, რომლებშიც მონაწილეობდა ოთხი დანაყოფი და ორი თვითმფრინავი ყოველ ჯერზე. როდესაც მიღებული იქნა ბრძანება სეპარატისტების შეჩერებასთან დაკავშირებით, რომლებიც ხიდის გადაკვეთას აპირებდნენ, გაიცა ხიდის დაბომბვის ბრძანება. გამოყენებული თვითმფრინავები არ იყო შესაბამისად აღჭურვილი სამიზნეების დასაბომბად. ბომბები ჩამოყრილი იქნა, მაგრამ არ მოხვდა ხიდს. ხიდზე ტანკები იდგა. აუცილებელი არ იყო, ყოფილიყო სამხედრო ოფიცერი, რათა მიმხვდარიყო, ვის ეკუთვნოდა ხსენებული ტანკები; ნათელი იყო, რომ ტანკები და ჯარისკაცები მე-14 არმიის საკუთრება იყო. მათ განგებ გაუშვეს ჯარისკაცები რეზერვში, შემდეგ კი გაიწვიეს ისინი სატანკო ეკიპაჟებისათვის. ადამიანები, რომლებიც მართავდნენ ტანკებს, არ იყვნენ ჩვეულებრივი მძღოლები. მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია ტანკით მანევრირება. მათ ცეცხლი გაუხსნეს მოლდოვის ძალებს. ყველაფერი ეს გადაღებული და დაფიქსირებულია.

410. სამხედრო ოპერაციის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, რუსეთის მხარეს რომ არ მოეხდინა პროვოცირება და მხარი არ დაეჭირა კონფლიქტის დაწყებისათვის. კონფლიქტი იყო რუსეთის ხელმძღვანელობის გადანყვეტილება იმ დროისათვის.

411. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც მოლდოვა, დადგა ძალიან დიდი პრობლემების წინაშე უზარმაზარ ქვეყანასთან – რუსეთთან თანაარსებობის მხრივ. მოლდოვის პირველი ნაბიჯი იყო არმიის შექმნა, ანუ თავდაცვის სამინისტროს ჩამოყალიბება. ვერც შინაგან საქმეთა და ვერც თავდაცვის სამინისტროებმა ვერ შეძლეს შეენარჩუნებინათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. პირველი თვეების განმავლობაში მოლდოვას არ შეეძლო ეფექტურად ემოქმედა; მას არ გააჩნდა იარაღი, საჭურველი ან იარაღი, რადგან ხსენებული მასალების უმეტესობა გატანილი იქნა რუსეთსა და დნესტრისპირეთში 1990-1991 წლებში. მოლდოვას არ გააჩნდა საარტილერიო შენაერთები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ ან შეუტევდნენ მდინარის მეორე მხარეს არსებულ ძალებს. მოლდოვას არც სხვა სამხედრო აღჭურვილობა გააჩნდა. იმისათვის, რომ მოეპოვებინა სამხედრო აღჭურვილობა, მოლდოვამ თხოვნით მიმართა მეზობელ რუმინეთს და მისგან მსუბუქი იარაღი შეიძინა. მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობდნენ გაზეთები, არც ერთ რუმინელს მონაწილეობა არ მიუღია კონფლიქტში. მოლდოვის თავდაცვის სამინისტროს ძალებში არ ყოფილა ჩარიცხული სხვა სახელმწიფოს არც ერთი სამხედრო მოსამსახურე.

412. გენერალმა ლებედმა მრავალჯერ განაცხადა, რომ მის მე-14 არმიას შეეძლო ბუქარესტამდე ჩასვლაც კი 2 საათის განმავლობაში, თუმცა მას ეს არასოდეს ჰქონია დასახული მიზნად. რუსეთის აგრესიის მიზანს წარმოადგენდა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ძალაუფლების შენარჩუნება და ამით პატარა სახელმწიფო მოლდოვაზე ზეწოლის განხორციელება.

413. 1991-1992 წლებში დნესტრისპირელი სეპარატისტები ნამდვილად არ დამდგარან დიდი სიძინელების წინაშე წარმოების აღდგენასთან დაკავშირებით,

რათა ეწარმოებინათ იარაღი. სავარაუდოდ 1992 წლისათვის მათ უკვე თავად შეეძლოთ იარაღის წარმოება.

მოლდოვის სამხედრო საჰაერო ძალებს გააჩნდა „მიგ-29“ ტიპის გამანადგურებელი. შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო პრეზიდენტი სნეგური, ხოლო გენერალური შტაბის უფროსი - გენერალი კრეანგა. მოწმემ უარყო ბ-ნ პლუგარუსთან საუბარი გამანადგურებლის გამოყენებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ბ-ნ პლუგარუს არ ეკავა სათანადო თანამდებობა.

414. მოწმემ განაცხადა, რომ მას არასოდეს მიუღია რაიმე სახის მოხსენება მოლდოვის ჯარისკაცების მიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე არასათანადო მოპყრობის განხორციელებასთან დაკავშირებით და ნებისმიერ შემთხვევაში მას არ გააჩნდა ასეთი შემთხვევების გამოძიების კომპეტენცია.

415. მას შემდეგ, რაც შეწყდა სისხლისღვრა, რუსეთი იმავე პოლიტიკას ატარებდა, ანუ იცავდა თავის სტრატეგიულ ინტერესებს და ცდილობდა მოლდოვაზე ზეგავლენის შენარჩუნებას.

### 39. პალენტინ სერადა

416. ჩვენების მიცემის მომენტში მოწმეს ეკავა მოლდოვის საერთო ციხეების დირექტორის თანამდებობა 2001 წლის აგვისტოდან. პენიტენციურ სისტემაში იგი 1978/1979 წლიდან მუშაობდა.

417. მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის არ მოქმედებს რაიმე შეთანხმება სასჯელალსრულების სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ. არ არსებობს მსჯავრდებულთა გადაცემის რაიმე პრაქტიკული პროცედურა. წარსულში არ ყოფილა ერთი მხარიდან მეორისთვის მსჯავრდებულთა გადაცემის არც ერთი შემთხვევა. ერთხელ მოხდა ტიგინიდან (ბენდერი) მოლდოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში ხალხის გადაყვანის მცდელობა, მაგრამ მოლდოვის მთავრობამ უარი განაცხადა, ვინაიდან შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. მოლდოველი ექიმები ვერ შედიან ტირასპოლის ციხეებში და პირიქით. არ ხდება სატელეფონო საუბრები მოლდოვის ციხის ექიმებსა და დნესტრისპირეთს შორის. მოწმეს არ ჰქონდა ინფორმაცია პატიმრების მკურნალობის შესახებ იმ ექიმების მიერ, ვინც არ მსახურობდა ციხეში. პატიმართა გადაცემა სხვა სახელმწიფოებისათვის ხდება ექსტრადიციის პროცედურით. ამ პროცედურას გენერალური პროკურატურა აწარმოებს.

418. დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობამ შეუწყვიტა ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდება დაწესებულებას, რომელიც მკურნალობს ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს ტიგინაში. მოლდოვამ გაგზავნა დიზელის ელექტროგენერატორი და წყლის ავზები. მოლდოვიდან მიმავალი ავტომანქანები დააკავეს საზღვარზე ერთიდან სამი დღის განმავლობაში. ტიგინის ადგილობრივმა ხელისუფლებამ აკრძალა ტუბერკულოზიანი პაციენტების მოლდოვიდან ტიგინის სამედიცინო ცენტრში გადაყვანა. ტიგინის ადგილობრივი მილიციის პოსტები ამონმებენ ყველა შემავალ და გამავალ ავტომანქანას.

419. არც ერთი პატიმარი, რომელიც სასჯელს იხდის მოლდოვის ციხეებში, არ არის მსჯავრდებული დნესტრისპირეთის სასამართლოების გადანყვეტილების საფუძველზე. სიტუაცია იგივეა ტიგინის მოლდოვურ სასჯელალს-

რულების დაწესებულებებშიც. ასევე არც ერთი ადამიანი, რომელიც სასჯელს იხდის დნესტრისპირეთის ციხეებში, არ არის მსჯავრდებული მოლდოვის სასამართლოების გადაწყვეტილებით.

420. მოწმე წარმოშობით ტიგინიდანაა, მაგრამ ბოლო 15 წლის განმავლობაში მას არ მოუწახულებია არც ერთი იქაური პენიტენციური დაწესებულება. თუმცა, მისი აზრით, დნესტრისპირეთსა და მოლდოვას შორის დიდი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო ციხის პირობების, საკვების, სამედიცინო მომსახურების და ა.შ. თვალსაზრისით.

421. თუკი მსჯავრდებული გაიქცეოდა მოლდოვიდან დნესტრისპირეთში, მოლდოვა სავარაუდოდ გადადგამდა ნაბიჯებს დნესტრისპირეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მიზნით.

422. 2002 წელს მოლდოვამ დაიწყო ციხის საკნების ფანჯრებიდან დარაბების („წამწამების“) მოხსნა; ეს პროცესი უნდა დამთავრდეს 2003 წლის ბოლომდე. დარაბები ხელს უშლის ვენტილაციას და დღის სინათლის შეღწევას ციხის საკნებში. მოლდოვა ცდილობს, გამოასწოროს საკნების ზოგადი მდგომარეობა, მაგრამ ვინაიდან არ არსებობს საკმარისი სახსრები, პროცესი არასრულწლოვანი მსჯავრდებულების საკნებით დაიწყო. მათ, მაგალითად, აქვთ სარეცხის ავზები და შხაპები თითოეულ საკანში. პატიმრებს აქვთ უფლება, მიიღონ ტელევიზორი ან სხვა მოწყობილობა ნათესავებისაგან.

423. განმცხადებელთა ადვოკატების მიერ ჯვარედინი დაკითხვისას მოწმეს უთხრეს, რომ მსჯავრდებულთა გადაცემა მოხდა რუსეთის ფედერაციასა და „მდრ“-ს შორის.

კერძოდ, განმცხადებელთა ადვოკატებმა ყურადღება გაამახვილეს ვ.ს.-ს საქმეზე, რომელიც დაიბადა 1968 წელს, დაკავებული იქნა „მდრ“-ში 1992 წელს, ხოლო 1993 წელს გადაყვანილი იქნა ასტრახანში (რუსეთის ფედერაცია), სადაც მას რუსეთის ფედერაციის სასამართლომ მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე წელს იგი დააბრუნეს დნესტრისპირეთში. შემდეგ 1999 წელს იგი გადაიყვანეს რუსეთის ფედერაციის ციხეში და საბოლოოდ 2002 წელს კვლავ დააბრუნეს დნესტრისპირეთის ციხეში. მეორე მაგალითი შეეხებოდა ვინმე რ.ს.-ს, რომელიც დაიბადა 1973 წელს, დაკავებული იქნა 1992 წლის 20 ოქტომბერს ასტრახანში და 1993 წლის 2 ივლისს გადაყვანილი იქნა ტირასპოლში, დნესტრისპირეთში, სადაც მსჯავრდებული იქნა „მდრ“-ს უზენაესი სასამართლოს მიერ 1996 წლის 14 მარტს. 1999 წლის 27 ნოემბერს იგი გადაიყვანეს მოსკოვში, ხოლო 1999 წლის 8 დეკემბერს ასტრახანში, სადაც გაასამართლა რუსეთის სასამართლომ და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2002 წლის 21 ოქტომბერს იგი გადაყვანილი იქნა ტირასპოლის ციხეში.

ამ ინფორმაციის საპასუხოდ მოწმემ განაცხადა, რომ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ინფორმირებული, ვინაიდან მას გააჩნდა ინფორმაცია პატიმართა გადაცემაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოლდოვის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ პატიმართა გადაცემის ზემოხსენებული შემთხვევები არ განხორციელებულა მოლდოვის ხელისუფლების მონაწილეობით ან ნებართვით და ვარაუდობდა, რომ გადაცემა მოხდა რუსეთის ფედერაციისა და დნესტრისპირეთის ხელისუფლებათა უშუალო თანამშრომლობით.

## 40. ვიქტორ ბარლინსკი

424. 1990-1994 წლებში მონმე იყო პარლამენტის წევრი და დანაშაულთან ბრძოლის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე. ჩვენების მიცემის მომენტში იგი აღარ იყო პარლამენტის წევრი და მოღვაწეობდა როგორც პრაქტიკოსი იურისტი.

425. საპარლამენტო კომიტეტი არ იყო დაკავშირებული დნესტრისპირეთის კონფლიქტთან. მონმეს პირადად არ გააჩნდა რაიმე უშუალო კავშირი ან ინფორმაცია ილაშკუს საქმესთან მიმართებაში. იგი საბოლოოდ ჩამოშორდა პოლიტიკას 1994 წელს.

თუმცა 1991-1992 წლებში მონმე ჩართული იყო კონფლიქტის მოგვარების მიზნით წარმოებულ მოლაპარაკებებში დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ჰყავდა საკუთარი შეიარაღებული ძალები და თავადვე შეასრულებდა თავის სამუშაოს, და მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო.

## 41. კონსტანტინე ოზროჩი

426. მონმე იყო მოლდოვის პრემიერ-მინისტრის მოადგილე 1990 წლის მაისიდან 1992 წლის ივნისამდე. 1993 წლიდან 1996 წლამდე იგი იყო პრეზიდენტ სნეგურის მრჩეველი ადგილობრივი მმართველობის საკითხებში. 2002 წლიდან მონმე მოღვაწეობს როგორც დამოუკიდებელი კონსულტანტი. პრემიერ-მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მას ძირითადად შეხება ჰქონდა ადგილობრივი ადმინისტრაციის პრობლემებთან. მურავსკის მთავრობის პერიოდში პრემიერ-მინისტრს სამი მოადგილე ჰყავდა. მონმე დაინიშნა იმ საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელიც პასუხისმგებელი იყო დნესტრისპირეთის რეჟიმთან მოლაპარაკებების წარმოებაზე. ამ კომიტეტის ერთ-ერთი ბოლო მიღწევა ის იყო, რომ მან 1992 წელს მოახერხა დნესტრისპირელი პარლამენტარების მიყვანა მოლდოვის პარლამენტში. ამის შემდეგ დაინყო შეიარაღებული კონფლიქტი.

427. მონმე არ გადამდგარა თავისი ინიციატივით 1992 წლის ივნისში. მურავსკის მთელი მთავრობა დათხოვნილი იქნა დნესტრისპირეთის სიტუაციის მიზეზით მთავრობასა და პარლამენტს შორის წარმოქმნილი კრიზისის გამო.

დნესტრისპირეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ძალიან აშკარა იყო. კიშინიოვში ყოფნის დროს რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის ბ-ნი სელეზნიოვის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, რაც დნესტრისპირეთში ხდება, მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან.

428. მონმეს არ ჰქონდა ინფორმაცია მე-14 არმიის მიერ დნესტრისპირეთის მოსახლეობისათვის იარაღის დარიგების შესახებ.

თუმცა მე-14 არმიის მონაწილეობა კონფლიქტში საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო, რომელიც სრულად იყო დოკუმენტირებული პრესაში. კერძოდ, კონფლიქტში ჩართული იყო მე-14 არმიის ტანკები. მონმე არ ყოფილა ბრძოლის ველზე და პირადად არ უნახავს საბრძოლო ოპერაციები, ამიტომაც არ შეეძლო პირდაპირ აღენერა მე-14 არმიის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე-



ობის ხარისხი, ჯარისკაცთა რაოდენობა და ა.შ. მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს ხდებოდა; ყველამ იცოდა ამის შესახებ.

429. მოწმეს არ მიუღია მონაწილეობა რუსეთთან მოლაპარაკებებში, ის მხოლოდ დნესტრისპირეთის მოსახლეობასთან მოლაპარაკებებში იყო ჩართული. საპარლამენტო კომიტეტმა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, თავი მოუყარა არჩეული პარლამენტის წევრებს დნესტრისპირეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან და რუმინეთიდან. კომიტეტის ხელმძღვანელობით გამართული მოლაპარაკებების კონტექსტში კომიტეტი არ დაკავშირებია რუსეთის პარლამენტის არც ერთ წარმომადგენელს.

430. მოწმის აზრით, ილაშქუს სასამართლო პროცესი ფართომასშტაბიანი პოლიტიკური თამაშის შედეგი იყო. არ არსებობდა ამ პროცესის აშკარა მიზეზი. პატიმართა გაცვლა ხდებოდა ორივე მხარეზე, მაგრამ ეს ჯგუფი გამოირიცხა.

რუსეთის მხარეს რომ სდომნოდა ილაშქუს ჯგუფის გათავისუფლება, ეს ასეც იქნებოდა.

431. დაინტერესებას მოლდოვის ტერიტორიით საფუძველი ჩაეყარა ორი საუკუნით ადრე, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდიდან. მოლდოვაში დიდი რაოდენობით სლავები, ანუ რუსები და უკრაინელები, ცხოვრობდნენ. ამ დიდმა სახელმწიფოებმა მათი ეროვნების მოსახლეობის ყოფნა ტერიტორიაზე მოლდოვაში მიმდინარე პროცესების გაკონტროლების სურვილის გამართლებად გამოიყენეს.

დნესტრის მარცხენა ნაპირზე განხორციელებულ მოქმედებებს აკონტროლებდა და ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლება. პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი მარშალი ახრამეევი.

432. მოწმემ წამოჭრა დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარების წინადადება: მიეცათ დნესტრისპირეთის მოსახლეობისთვის თვითმმართველობის გარკვეული უფლებამოსილება, რათა გაექარწყლებინათ მათი შიში და ამგვარად დაეკმაყოფილებინათ. მოწმის წინადადებით ტერიტორიას დაერქმეოდა დნესტრისპირეთის „რეგიონი“ (მაშინ, როცა დღეს სეპარატისტები თავს „დნესტრისპირეთის რესპუბლიკას“ უწოდებენ), იქნებოდა ერთიანი ვალუტა და საგარეო ურთიერთობების ერთიანი წარმოება მოლდოვის სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე, დნესტრისპირეთს ექნებოდა საკუთარი სიმბოლო, როგორც არის დროშა, და საკუთარი კონტროლის ქვეშ ეყოლებოდა გარკვეული რაოდენობის შეიარაღებული ძალები. მსგავსი გეგმა იქნა შემოთავაზებული გაგაუზიის მიმართაც. გეგმა ითვალისწინებდა რეგიონების დაყოფას გუბერნიებად, თუმცა მოლდოვა ერთიან ერთეულად დარჩებოდა. მთავარი აზრი იყო დნესტრისპირეთის რეგიონისა და გუბერნიების მოსახლეობისათვის მეტი ავტონომიის მინიჭება მათი ისტორიული სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მაგრამ წინადადება უარყოფილი იქნა.

თავიდან დნესტრისპირეთის ხელისუფლების თვალსაზრისი იგივე იყო, რაც მოლდოვის მთავრობისა. როდესაც მოლდოვის რესპუბლიკა იქმნებოდა, არავინ ლაპარაკობდა რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების შელახვაზე. მაგრამ რეგიონში იყვნენ ადამიანები, ვისაც ამოძრავებდა სეპარატისტული თუ სხვა მიზნები. ამავე დროს „სახალხო ფრონტი“ ქმნიდა პირობებს მოლდოვის რუმინეთთან გასაერთიანებლად. მოლდოვას უხდებოდა ამ სიტუაციასთან გამკლავება. ცხადია, დნესტრისპირეთის ადგილობრივი უკანონო თვითმმართ-

ველობის ჩამოყალიბებამდე ადგილობრივი მმართველობის ორგანოები აღიარებული იყო. ცენტრალური ხელისუფლება თანამშრომლობდა მათთან, ისინი მონაწილეობდნენ ყველანაირ ჩვეულებრივ საქმიანობაში. ტირასპოლში ცალკე რეჟიმის ჩამოყალიბების შემდეგ მარჯვენა სანაპირო არ ცნობდა მარცხენა სანაპიროს ხელისუფლებას, თუმცა მოლდოველები ინარჩუნებდნენ კონტაქტს მეორე მხარის მოსახლეობასთან. *De facto* ისინი წარმოადგენდნენ რეგიონის მმართველობას.

აღიარების საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ რთული იყო მკაცრად სამართლებრივი, ფორმალისტური პოზიციის მიღება: ვინაიდან დნესტრისპირეთის რეჟიმი არ იყო აღიარებული მოლდოვის მთავრობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, მოლდოვას არ უნდა ჰქონოდა მასთან არანაირი სამუშაო კონტაქტი. ეს ნიშნავდა, რომ კონფლიქტი არასოდეს გადაიჭრებოდა, მაგრამ მოლდოვის ხელისუფლება ცდილობდა, დახმარება გაენია მოსახლეობისათვის.

433. მოწმეს არ გააჩნდა არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ განმცხადებლები ვითომდა იყვნენ მოლდოვის დაზვერვის აგენტები დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე.

434. მთავრობაში არავინ უჭერდა მხარს დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად ძალის გამოყენებას. მაგრამ დასაწყისში, როდესაც მილიციის შენობა და სხვა შენობები იქნა დაკავებული, მოლდოვა იძულებული გახდა, ეპასუხა ძალის გამოყენებით.

რუმინეთს გააჩნია ინტერესები მოლდოვაში. მოლდოველი და რუმინელი ხალხი ერთი და იმავე ეთნიკური წარმომავლობისაა. რუმინეთი ჩართული იყო ტიგინის (ბენდერი) მოლაპარაკებებში. რუმინეთის მხარეს არაფერი აქვს სასაყვედურო, ის ყოველთვის ობიექტურად მოქმედებდა. მოლაპარაკებებზე მოხერხდა კომპრომისის მიღწევა: ადგილობრივი წარმომადგენლები დათანხმდნენ, კვლავ ერთიანი სახელმწიფოს სახით ემოქმედათ.

435. მოლდოვის ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება დახმარებას უწევდნენ ილაშქუს ჯგუფის წევრთა ოჯახებს. მოწმე, იყო რა პრეზიდენტის მრჩეველი, რამდენჯერმე შეხვდა ქალბატონ ილაშქუს და შეახვედრა იგი მოლდოვის პრეზიდენტს.

436. ელცინ/სნეგურის 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმების ერთ-ერთი მიზანი იყო შეიარაღებული კონფლიქტის, ბრძოლებისა და ხოცვა-ჟლეტის შეჩერება. ეს არ ნიშნავდა, რომ მოლდოვის მთავრობამ უარი თქვა მოცემულ ტერიტორიაზე სუვერენულ უფლებებზე.

## 42. მიხაილ სიღოროვი

437. ჩვენების მიცემის მომენტში მოწმე იყო პარლამენტის წევრი და ადამიანის უფლებათა და ეროვნული უმცირესობების კომიტეტის თავმჯდომარე.

მოწმემ კარიერა დაიწყო როგორც პროფესიონალმა მოსამართლემ. იგი თხუთმეტი წელი მუშაობდა მოლდოვის სასამართლო სისტემაში. მოწმე მოსამართლე დაინიშნა 30 წლის წინ. იგი იყო სისხლის სამართლის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი. 1981 წლიდან, მისი სამოსამართლო კარიერის შემდეგ, იგი მუშაობდა ყოფილ უზენაეს საბჭოში, იყო უზენაესი საბ-

ჭოს სამდივნოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე. 1991 წელს იგი დათხოვნილი იქნა სამსახურიდან კიშინიოვში მხოლოდ და მხოლოდ რუსული წარმომავლობის გამო და გადანწყვიტა, წასულიყო დნესტრისპირეთში. იგი დაინიშნა დნესტრისპირეთის მართლმსაჯულების დირექტორატის ხელმძღვანელად. ამ თანამდებობაზე მონმემ თვეზე ნაკლები დაჰყო. 1993 წლის დეკემბრამდე იგი მოღვაწეობდა კერძო ბიზნესში. 1994 წლის თებერვლიდან 1998 წლამდე იგი იყო პარლამენტის წევრი, 1998-2001 წლებში კი ომბუდსმენი.

438. როდესაც 1994 წელს მონმე არჩეული იქნა პარლამენტში, წარსულს ჩაბარდა მისი ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა დნესტრისპირეთის მართლმსაჯულების დირექტორატის ყოფილი ხელმძღვანელის თანამდებობას. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არც ერთ წევრს არ გამოუთქვამს წინააღმდეგობა. პარლამენტში მოღვაწეობისას მონმეს არაფერი სმენია ილაშკუს საქმის შესახებ.

ის ფაქტი, რომ მცირე პერიოდის განმავლობაში მონმე ემსახურებოდა დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რეჟიმს, არ წარმოადგენდა დაბრკოლებას მოლდოვაში მისი შემდგომი კარიერისთვის, მაგალითად, ომბუდსმენის თანამდებობაზე მუშაობისათვის.

439. 1998 წლის მაისსა თუ ივნისში, როდესაც მონმეს ეკავა ომბუდსმენის თანამდებობა, იგი შეხვდა ილაშკუს ჯგუფის წევრების მეუღლეებს. მონმემ და მისმა კოლეგებმა ურჩიეს მათ, რომ ვინაიდან ომბუდსმენის სამსახურს არ გააჩნდა რაიმე რეალური საშუალება პრობლემის მოსაგვარებლად, მათთვის უმჯობესი იქნებოდა ეუთო-ს მისიაში წასვლა. ამის შემდეგ მონმე თანამშრომლობდა ეუთო-სთან. სხვა მოქალაქეები დნესტრისპირეთიდან ასევე მოდიოდნენ მასთან შესახვედრად თავიანთი პრობლემებით, მაგრამ ომბუდსმენის სამსახური უძლური იყო პრობლემების გადაჭრაში ეუთო-ს გარეშე.

440. მოლდოვის მთავრობას არ გააჩნდა შესაბამისი გავლენა დნესტრისპირეთის რეჟიმზე, რათა უზრუნველყო ილაშკუს ჯგუფის გათავისუფლება. მას შემდეგ, რაც უკანონო რეჟიმმა შექმნა საკუთარი ადმინისტრაცია, სასამართლოების ჩათვლით, არ არსებობდა არანაირი კონტაქტი, არანაირი ოფიციალური არხი, რომლის მეშვეობითაც მოლდოვის მთავრობას შეეძლო მათზე გავლენის მოხდენა. სასამართლო პროცესიდან ოთხი წლის შემდეგ იყო რამდენიმე მცდელობა, რაიმე შეცვლილიყო. უფრო ადრე ამას აზრი არ ექნებოდა, ვინაიდან მოლდოვას არ გააჩნდა საშუალება, გამკლავებოდა პრობლემას. მონმემ დაასკვნა, რომ ეუთო-ს მონაწილეობით გამართული შეხვედრებიც კი არანაირად არ ცვლიდა სიტუაციას.

მონმემ მონაწილეობა მიიღო ომბუდსმენტა საერთაშორისო შეხვედრაში, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მოლდოვას არ შეეძლო პრობლემის შიდა საშუალებებით მოგვარება. 1996 წელს მოლდოვა შეუერთდა ჩარჩო-შეთანხმებას უმცირესობათა შესახებ, 1997 წელს მიიღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა სტატუსის შესახებ. მოლდოვაში არსებული სიტუაცია ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით განხილული იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, სადაც აღინიშნა, რომ მოლდოვაში ბევრი ნაბიჯი იდგმება ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფისთვის. მთავრობამ შექმნა ეროვნებათაშორისი ურთიერთობების დეპარტამენტი. მოლდოვაში იყო 13% უკრაინული წარმომავლობის ეთნიკური უმცირესობა, 13% რუსული წარმომავლობისა, 5% გაგაუზიელებისა, 4% ბულგარელების და 3% ებრაელებისა. მოლდოვის მოსახლეობის 35% ეროვნული უმ-

ცირესობა იყო. დნესტრისპირეთში 40% მოლდოველები არიან, 28% უკრაინელები და 22% რუსები.

441. 1994 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც ბატონი ილაშკუ პირველად იქნა არჩეული პარლამენტის წევრად, პარლამენტმა მოამზადა პირობები, რომელთა მიხედვითაც მას უნდა შეესრულებინა პარლამენტის წევრის მოვალეობები. ამ დროისათვის ილაშკუს საქმეს უკვე ჰქონდა პოლიტიკური განზომილება. თუ ჩაითვლებოდა, რომ საკითხს მხოლოდ მკაცრად სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელი იქნებოდა უფრო სწრაფი და უფრო კონსტრუქციული მოქმედება.

ბ-ნი ილაშკუს გათავისუფლება იყო პოლიტიკური სვლის შედეგი და ეს არ მომხდარა კანონიერი ხელისუფლების რომელიმე ღონისძიების შედეგად.

მთავრობას არ გააჩნდა რეალური შესაძლებლობა, რაიმე შეეცვალა ილაშკუს საქმეში. მას არ შეეძლო ამ საქმისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭება. 1997 წელს მოწმეს დაეკისრა ვალდებულება, იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან, ბ-ნ სტურზასთან ერთად ემუშავა ილაშკუს საქმეზე. შედგა შეხვედრა სტურზასა და დნესტრისპირეთის ე.წ. იუსტიციის მინისტრს შორის. ეს წმინდა პროტოკოლური შეხვედრა იყო და არაფერი შეუცვლია. ამ შეხვედრის შემდეგ მათ შორის არ ყოფილა რაიმე ურთიერთობა. შეხვედრები რომ გაგრძელებულიყო, ილაშკუს საკითხი სავარაუდოდ წამოიჭრებოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა.

442. მოწმემ ვერ გაიხსენა, სამი ომბუდსმენიდან რომელი მუშაობდა ილაშკუს საქმეზე. ეს ომბუდსმენის სამსახურის მუშაობის პირველ თვეებში იყო. მოწმე რამდენჯერმე შეხვდა ეუთო-ს წარმომადგენლებს და წამოჭრა საკითხი ილაშკუს საქმის შესახებ. როგორც პარლამენტის წევრს, მოწმეს არ დაუმყარებია კონტაქტი რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან ილაშკუს საქმესთან დაკავშირებით. მოწმის აზრით, ამ ორგანიზაციებს მოლდოვაში არ ძალუძდათ აღნიშნული სპეციფიკური პრობლემის გადაჭრა.

443. მოწმემ არ იცოდა, რომ მოლდოვის უზენაესი სასამართლოს 1994 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით ილაშკუს საქმე გადაეცა მოლდოვის სახალხო პროკურორს ხელახალი გამოძიებისათვის. მან იცოდა მხოლოდ სტურზას წინადადების შესახებ, რომლის თანახმადაც ილაშკუს ჯგუფის საწინააღმდეგო ნებისმიერი ცვლილება ხელახლა განსჯადი უნდა ყოფილიყო უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ.

444. მოწმეს არასოდეს უნახავს ილაშკუს საქმის მასალები. მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი დებულებები შესრულებული იქნა — კერძოდ, ბრალდებულებს წარედგინათ ბრალდება და დაკავებულნი იქნენ, დაცვის მხარეს ხელი მიუწვდებოდა სასამართლოს მასალებზე, მოწმეებს ჩამოერთვათ ჩვენებები, წარმოდგენილი იქნა ქმედების დამადასტურებელი მტკიცებულებები და ჩატარდა სასამართლო მოსმენა, რომელსაც ესწრებოდნენ ბრალდებულები. მოწმე თვლიდა, რომ პროცედურული თვალსაზრისით სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტანდარტი დაცული იქნა. მოწმე დათანხმდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებული იქნა არაკონსტიტუციურობის საფუძველზე და ასევე აღნიშნა, რომ საჭირო იყო გადაწყვეტილების განხორციელება. მოწმის აზრით, სააპელაციო ამ საკასაციო სასამართლომ ხელახლა უნდა შეისწავლოს საქმის მთელი მასალები.

რაც შეეხება სავარაუდოდ დანაშაულის მსხვერპლთა საკითხს, მოწმეს მიაჩნდა, რომ გადაწყვეტილება ამ საქმეზე დაკავშირებული იყო ზოგადად დნეს-

ტრისპირეთის პრობლემის მოგვარებასთან.

445. ვინაიდან შემდგომი ნაბიჯები განხილული უნდა იქნეს სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით, მოწმეს წარმოუდგენია ორი შესაძლო ვარიანტი. პირველი, მოლდოვის უზენაესი სასამართლო, როგორც ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ორგანო, განიხილავს საკითხს კასაციის წესით. და მეორე, საწყის წერტილად აღებული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალდება სწორედაც უნდა ყოფილიყო წაყენებული: წარმოებდა სისხლისსამართლებრივი გამოძიება, მოპოვებული იქნა მტკიცებულებები და ა.შ. ამ საფუძველზე საქმე უნდა გადაეცეს უზენაეს სასამართლოს შემდგომი განხილვისათვის. ხელახლა უნდა მოხდეს მტკიცებულებათა მიუყერძობელი, პოლიტიკური კონტექსტიდან განცალკევებული განხილვა. მოწმის აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავდა მუხლებს იმის შესახებ, რაც გაკეთდა მოლდოვის უზენაესი სასამართლოს მიერ ილაშქუს საქმეზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მან არაფერი იცოდა სხვა მსგავსი შემთხვევების შესახებ მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის. და ბოლოს, მოწმეს მიაჩნდა, რომ მოლდოვის სასამართლომ ვერ უზრუნველყო საერთაშორისო სტანდარტები.

446. მოწმემ იცოდა მოლდოვის გენერალური პროკურორის 2000 წლის აგვისტოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც წყვეტდა სისხლის სამართლის გამოძიებას დნესტრისპირეთის იმ მოსამართლეებისა და პროკურორების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ილაშქუს საქმეში. 1995 თუ 1996 წელს მოლდოვის პარლამენტმა გამართა შეხვედრა ტირასპოლელ კოლეგებთან, რომლის განმავლობაშიც მოწმემ ჰკითხა მათ, თუ რატომ არ ჩამოდიოდნენ კიშინიოვში. დნესტრისპირელმა პარლამენტარებმა უპასუხეს, რომ არ შეეძლოთ კიშინიოვში ჩასვლა, ვინაიდან მათ წინააღმდეგ მოლდოვის გენერალური პროკურორი სისხლისსამართლებრივ გამოძიებას აწარმოებდა. მოწმე თვლის, რომ გამოძიება დნესტრისპირელი პროკურორებისა და მოსამართლეების წინააღმდეგ იყო პოლიტიკური და არა სამართლებრივი ნაბიჯი. ასევე პოლიტიკური ხასიათის იყო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის ბრალდების შეწყვეტის შესახებ.

447. მოწმის ჩვენებით, იმ პერიოდში, როდესაც იგი ომბუდსმენი იყო, მოლდოვას სამი ომბუდსმენი ჰყავდა. მას არ ახსოვდა, კონკრეტულად რომელი მათგანი იყო დაკავებული ილაშქუს საქმით. მათ რომ პირდაპირ მიემართათ დნესტრისპირეთის ხელისუფლებისთვის, ვერაფერს მიაღწევდნენ. ამის დემონსტრირება იოლია მათ მიერ განეული მცდელობების ფონზე, როდესაც ისინი ცდილობდნენ, მოეგვარებინათ პრობლემები, რომლებსაც წააწყდნენ ბენდერის ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სამკურნალო დაწესებულებასთან ურთიერთობისას. დნესტრისპირეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაწესებულებას შეუწყვიტა ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდება და საკანალიზაციო მომსახურება. ერთ-ერთმა ომბუდსმენმა მიმართა ბ-ნ სმირნოვს, მაგრამ პასუხი არ მიუღია. შემდეგ ომბუდსმენის ოფისმა მიმართა ეუთო-ს – ერთადერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც რაიმე გავლენა გააჩნია რეგიონში.

448. ათ წელიწადზე მეტია, რაც დნესტრისპირეთის ქალაქებში სასამართლოები ფუნქციონირებენ; მათ გამოიტანეს გადაწყვეტილებები 4 000-ზე მეტ სისხლის სამართლისა და 10 000-ზე მეტ სამოქალაქო საქმეზე. აქედან გამომდინარე, წამოიჭრა საკითხი, უნდა გაუქმდეს თუ არა ყველა ეს გადაწყვეტილება. ან

ყველა საქმე უნდა გადაისინჯოს, ან უბრალოდ უნდა მოხდეს მოსმენა საკასაციო ნესით, საჭიროების შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.

449. 1991-დან 1992 წლამდე არსებული კრიზისი არ იყო სპონტანური მოვლენების შედეგი. 1989 წელს ძალაში შევიდა მოლდოვის ახალი კანონი ენების შესახებ. ამ გადაწყვეტილებას სიხარულით არ შეხვედრიან. მან გამოიწვია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ ორგანიზებული პროტესტის გამოხატვა 1989 წლის ივნის-ივლისში; პროტესტში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მარცხენა სანაპირო, ტირასპოლი. ეს მოვლენები დაშლისაკენ მიმართული პირველი ბიძგი იყო. 1990 წელს კიშინიოვში სიტუაცია გაუარესდა, როდესაც ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალებმა დაიწყეს მარცხენა სანაპიროდან ჩამოსული პარლამენტარების წინააღმდეგ ქმედებების ორგანიზება. პარლამენტში 360 ადგილია. რამდენიმე პარლამენტარი სცემეს, სამართალდამცავმა ორგანოებმა არ გადადგეს არანაირი ნაბიჯები, შედეგად სამოცამდე პარლამენტარმა მარცხენა სანაპიროდან დატოვა პარლამენტი. ამის შემდეგ სიტუაცია გაუარესდა.

მსგავსი მოვლენები ვითარდებოდა გაგაუზიის რეგიონშიც. მონველელი იქნა პარლამენტის სხდომა პრობლემის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად, მაგრამ გაგაუზიელებმა და დნესტრისპირელებმა გადაწყვიტეს, ჩამოეყალიბებინათ ხელისუფლების საკუთარი სტრუქტურები. პარლამენტმა ეს ხელისუფლების სტრუქტურები არაკონსტიტუციურად გამოაცხადა. შესაბამისად, 1990 წლის აგვისტოდან მოლდოვაში სამი რეგიონი არსებობდა. გაგაუზიის სიტუაციის მოგვარების შემდეგ დნესტრისპირეთი იყო ერთადერთი რეგიონი, რომელიც *de facto* არ იყო პარლამენტის ძალაუფლების ქვეშ.

1990 წელს მოვლენები სწრაფად განვითარდა. 1990 წლის ოქტომბერში გაიმართა მოხალისეთა სვლა მოლდოვის სამხრეთისაკენ. ეს სვლა გამოიწვია გაგაუზიის რესპუბლიკის გამოცხადებამ იმავე წლის აგვისტოში. ეს მოვლენა წარმოადგენდა ქვეყანაში შიშის დანერგვის მცდელობის ნაწილს. საბედნიეროდ, სამხრეთში არ მიმდინარეობდა ბრძოლები და ხოცვა-ჟლეტა. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება გამოიწვია 1990 წლის 2 ნოემბერს დუბასარიში მომხდარმა მოვლენებმა, ამის შემდეგ ფაქტიურად შეუძლებელი გახდა კონფლიქტის განვითარების შეჩერება.

1992 წლის მარტში შეიარაღებულმა კონფლიქტმა იფეთქა ჯერ დუბასარიში, შემდეგ კი ბენდერში. ამის შემდეგ შეწყდა მოლაპარაკებების პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ყველა კავშირი. პარლამენტს ხელი არ მიუწვდებოდა მარცხენა სანაპიროზე. 1992 წლიდან მოყოლებული ოფიციალურ სტრუქტურებს შორის არ ხდებოდა არავითარი ურთიერთკავშირი. 1994 წელს პარლამენტმა ჩამოაყალიბა კომიტეტი მოლდოვისა და დნესტრისპირეთის ოფიციალურ სტრუქტურებს შორის კავშირის აღსადგენად. მონმე იყო დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარების საპარლამენტო კომიტეტის წევრი. ამ კომიტეტმა ჩამოაყალიბა საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა 1992 წელს მომხდარი მოვლენების გამოძიება. 1995 წელს შედგა რამდენიმე შეხვედრა დნესტრისპირულ პარლამენტარებთან. 2000 წელს მორიგი სპეციალური კომიტეტი ჩამოყალიბდა დნესტრისპირეთის პრობლემის მოსაგვარებლად, 2001 წელს რამდენიმე შეხვედრა შედგა, 2002 წელს კი, სამწუხაროდ, არც ერთი. მონმის ჩვენებით, მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ეუთო-ს მისიის ინიციატივა რუსეთისა და უკრაინის მონაწილეობით წარმატებული იქნებოდა. იგი მიესალმა პრეზიდენტ ვორონინის

განცხადებას, რომ შემუშავებული იქნა შეთანხმების პროექტი.

450. მოწმე მონაწილეობას იღებდა გაგაუზიის შესახებ კანონის პროექტის მომზადებაში, რომელმაც რეგიონს ავტონომიური სტატუსი მიანიჭა 1994 წელს. გაგაუზიასა და მოლდოვას შორის არ არსებობდა შეიარაღებული კონფლიქტი და მოლდოვის მთავრობა იმედოვნებდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა დნესტრისპირეთის პრობლემის იმავე გზით მოგვარება. 1992 წელს დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე დაწყებულმა კონფლიქტმა ორივე მხრიდან ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა და გარკვეული დრო იყო საჭირო ასეთი ღრმა ჭრილობების განსაკურნად. მოწმის აზრით, თუკი პოლიტიკოსები ორივე მხარეზე მზად არიან შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, შესაძლებელია პრობლემის მოკლე ხანში მოგვარება.

451. 1990 წლის ბოლოდან დნესტრისპირეთში ფუნქციონირებდა ცალკე სასამართლო სისტემა. დნესტრისპირეთის სასამართლოების მიერ გამოტანილი არც ერთი გადაწყვეტილება არ იყო აღიარებული მოლდოვის სასამართლოების მიერ. ილაშქუსა და მისი ჯგუფის განაჩენი გაუქმებული იქნა, თუმცა საქმე არასოდეს განხილულა მოლდოვის სასამართლოების მიერ.

452. მოწმემ ხაზი გაუსვა, რომ დნესტრისპირეთი არსებობს როგორც *de facto* სუვერენული სახელმწიფო, საკუთარი კანონმდებლობით, საკუთარი სასამართლო სისტემით და განაჩენის აღსრულების საკუთარი პროცედურით. დნესტრისპირეთში ახლახან შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო. მოწმემ აღნიშნა, რომ რუსეთი ყოველთვის მოითხოვდა მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას 1997 წელს არსებული სახით, რასაც ადასტურებს რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულება.

მოწმის აზრით, რუსეთის ფედერაცია არ იყო პასუხისმგებელი მოვლენებზე, რომლებსაც სასამართლო განიხილავს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. რუსეთსა და დნესტრისპირეთს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო. დნესტრისპირეთის ხელისუფლება არასოდეს შეხვედრია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს, მაშინ, როდესაც მოლდოვის პრეზიდენტი და მოლდოველი მინისტრები ნამყოფი იყვნენ დნესტრისპირეთში.

453. დნესტრისპირეთზე უცხო ქვეყნების გავლენაზე საუბრისას მოწმემ ხაზი გაუსვა, რომ დნესტრისპირეთი იყო თავისუფალი ბაზარი. ყველაზე სტაბილური ინვესტიციების წყარო იყო გერმანული კაპიტალი, თუმცა ასევე იყო ბელგიური ინვესტიციებიც ადგილობრივ წარმოებაში. დნესტრისპირელების ინფორმაციით, მათი ვალუტა გერმანიაში იბეჭდებოდა.

454. ტელეკომუნიკაციების სისტემას დნესტრისპირეთში მოლდოვა უზრუნველყოფს. მოლდოვაში ტელეკომუნიკაციებს საკუთარი გამოყოფილი ადგილი უჭირავთ, მაშინ, როდესაც დნესტრისპირეთში არსებობს დამოუკიდებელი სატელეკომუნიკაციო კომპანია და სწორედ ამ კომპანიას უხდის ტელეფონის გადასახადს დნესტრისპირეთის მოსახლეობა. ტირასპოლში მხოლოდ ფიჭური ტელეფონები არ ფუნქციონირებს. ფეხბურთში მოლდოვის ჩემპიონატი დნესტრისპირეთზეც ვრცელდება. ფეხბურთში მოლდოვის ამჟამინდელი ჩემპიონი ტირასპოლის გუნდია, რომელსაც საკმაოდ კარგი საფეხბურთო სტადიონი აქვს ტირასპოლში. მოლდოვის საფეხბურთო ნაკრების შეხვედრა ჰოლანდიის ნაკრებთან დაგეგმილი იყო 2003 წლის პირველ აპრილს და ტირასპოლის სტადიონზე უნდა შემდგარიყო. აქედან გამომდინარე, დნესტრისპირეთი ძირითადად პოლიტიკური პრობლემაა.

455. 1990 წლის ნოემბერში პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება მოლდოვაში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. გადაწყვეტილებამ დაგმო ეროვნებათაშორისი კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის ნებისმიერი მცდელობა. მოწმე მუშაობდა დეპარტამენტში, რომელიც ამზადებდა შესაბამის კანონპროექტებს. მთავრობაში ჩამოყალიბდა ეროვნებათაშორისი კომიტეტი. მისი ფუნქცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვა იყო. კანონი მიღებული იქნა 2001 წელს, თუმცა მანამდე სერიოზული პრობლემა არსებობდა მოლდოვაში ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით.

### 43. პაპულ კრინა

456. 1992 წლის მაის-ივნისში მოწმე იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე. ამის შემდეგ, 1992 წლიდან 1997 წლამდე, მას ეკავა თავდაცვის მინისტრის თანამდებობა. ჩვენების მიცემის მომენტში მოწმე გადამდგარი იყო. ვიდრე 1992 წელს თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობას დაიკავებდა, 1990 წელს იგი დაბრუნდა მოლდოვაში ბელორუსიიდან, სადაც ეკავა არმიის მეთაურის თანამდებობა. კუბის საკითხებში მრჩეველად მუშაობის შემდეგ მოწმე გადადგა საბჭოთა არმიის სამსახურიდან და დაბრუნდა სამშობლოში. მოლდოვაში ახალი პასუხისმგებლობების აღებისას მან ერთგულების ფიცი დადო.

1990-1992 წლებში მოწმე მუშაობდა სამხედრო დეპარტამენტში. 1997 წლიდან მოყოლებული მას აღარ ეკავა ოფიციალური თანამდებობა.

457. მოლდოვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ზოგიერთ მოლდოველს სურდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენა. ამ მიზნის მისაღწევად მათ შექმნეს შეიარაღებული ფორმირებები, ე.წ. „სახალხო დამცველები“, რომლებიც შემდგომში გადაიქცნენ სეპარატისტულ ძალებად. მოლდოვა არ შეურიგდა სიტუაციას და სცადა პრობლემის მშვიდობიანი მოგვარება. მაგრამ 1990 წელს იძულებული გახდა, ჩამოეყალიბებინა რეზერვისტების ბატალიონები. ამის შემდეგ შეიარაღებულმა ჯგუფებმა უფრო აშკარად დაიწყეს მოქმედება. თავდაცვის სამინისტრომ თავის მხრივ ნაბიჯების გადადგმა დაიწყო 1992 წლის მაისში, როდესაც მოწმე გახდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე. იგი იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრი. 1992 წლის მაისში მას უბრძანეს, გაეხსნა სამეთაურო ცენტრი დნესტრისპირეთში.

საიდუმლო არ იყო, რომ სეპარატისტები დახმარებას იღებდნენ მოსკოვიდან და ოდესიდან. 1991 წლის ბოლოდან – 1992 წლის დასაწყისიდან მოლდოვა ველარ ახორციელებდა კონტროლს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილზე.

1992 წლისათვის მოლდოვის შეიარაღებულ ძალებში შედიოდა დაახლოებით 10 მუდმივი ბატალიონი, რაც შეადგენს დაახლოებით 6 000 ჯარისკაცს; სიტუაცია იგივე იყო კონფლიქტის დასრულებამდე. ეს ძალები შედგებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებული ძალებისა და პოლიციისაგან, გარდა ამისა, იყო მოხალისეთა სამი დაჯგუფება. საერთო ჯამში ეს შეადგენდა 6 000-იან მოქმედ არმიას. დნესტრისპირეთის ძალებიც ასევე 6 000-მდე იყო. რუსეთის მე-14 არმიის შემადგენლობაში თორმეტიდან თოთხმეტ ათასამდე ჯარისკაცი შედიოდა.



მოლდოვის არმიას არ გააჩნდა იმგვარი აღჭურვილობა, რაც სეპარატისტებს. მოლდოვის შეიარაღებულ ძალებში სანყის ეტაპზე ათ ჯარისკაცზე ერთი ავტომატური იარაღი მოდიოდა. მათ არ გააჩნდათ შესაბამისი სტრუქტურა.

მე-14 არმია აწვდიდა აღჭურვილობას და მხარდაჭერას უწევდა სეპარატისტებს. „სახალხო დამცველთა“ ოფიცრები მე-14 არმიის რიგებიდან იყვნენ და ეს უკანასკნელი ამარაგებდა მათ იარაღით.

მონმე შეხვდა იაკოვლევს, რომელმაც უთხრა, რომ დნესტრისპირელებს ჰქონდათ ათასობით ავტომატი. ვითომდა დატაცების გზით და ქალებისა და ბავშვების გამოყენებით, იარაღის დიდი ოდენობა იქნა გადაცემული. გადაცემული იქნა 30-მდე ტანკი, 32 ჯავშანტრანსპორტიორი, 24 ერთეული საარტილერიო იარაღი, ნალმტყორცნები, ტანკსანიინალმდეგო ყუმბარმტყორცნები, ტანკსანიინალმდეგო არტილერია და საჰაერო თავდაცვის დანადგარები. მე-14 არმიის სარდალმა, გენერალმა ლებედმა ტელევიზიით გამოაცხადა, რომ მან პირადად მოუყარა თავი და შეაიარაღა თორმეტი ათასამდე დნესტრისპირელი ჯარისკაცი და რომ მან პირადად განაპირობა მათი არმიის არსებობა. დნესტრისპირეთის შეიარაღებული ძალების ოპერაციები ხორციელდებოდა მე-14 არმიის ოფიცრების კონტროლის ქვეშ.

ტანკები, რომლებიც განლაგდა დნესტრის ხიდზე, ეკუთვნოდა მე-14 არმიას. ტანკები შესაბამისად იყო დანომრილი.

მონმის განცხადებით, მას გააჩნდა დოკუმენტები მე-14 არმიის მიერ იარაღის სეპარატისტებისათვის გადაცემის თაობაზე; მან დასძინა, რომ სავარაუდოდ დოკუმენტები კვლავ თავდაცვის სამინისტროში ინახებოდა. ერთია იარაღის ფიზიკურად გადაცემა და სულ სხვაა ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე ფორმალიზებული გადაცემა. სეპარატისტებმა „ამოიღეს“ მე-14 არმიის იარაღი ქალებისა და ბავშვების გამოყენებით. ტანკები, რომლებიც დააკავეს ცოცხალი ფარის გამოყენებით, თავიდან ეკუთვნოდა მე-14 არმიის 183-ე მოტორიზებულ ბრიგადას და სხვა დივიზიებს. ქალებისა და ბავშვების ცოცხალი ფარის მოჩვენებითი გამოყენებით ჩატარებული „ამოღების“ მიუხედავად, ეს სინამდვილეში იარაღის გადაცემა იყო.

ზემოხსენებული შეიარაღება და აღჭურვილობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო „დოსააფის“ საკუთრება. „დოსააფს“ გააჩნდა მილიონამდე ტყვია, ოღონდ მხოლოდ მსუბუქი იარაღისათვის. საბრძოლო იარაღი „დოსააფს“ საერთოდ არ ჰქონდა.

458. დნესტრისპირელთა შეიარაღებული ფორმირებები უკეთ იყვნენ აღჭურვილნი, ვიდრე მოლდოვის ჯარები. მათ ჰქონდათ ტანკები, მაშინ, როდესაც მოლდოველებს არ გააჩნდათ არც ერთი ტანკი. მათ ჰქონდათ მეტი დაჯავშნული მანქანა, ვიდრე მოლდოველებს. მოლდოველები ფლობდნენ ძლიერ არტილერიას, მაგალითად, „ურაგანის“ სისტემას, რომელსაც აქვს 27 კილომეტრის მანძილზე მიღწევის შესაძლებლობა, თუმცა ის არ იქნა გამოყენებული. მოლდოვა არტილერიას მხოლოდ მაშინ იყენებდა, როცა დნესტრისპირეთი იყენებდა ტანკებს. მოლდოვამ გააფრთხილა დნესტრისპირეთი, რომ თუ ის გამოიყენებდა ტანკებს, მოლდოვა არტილერიით უპასუხებდა. მოლდოვას ასევე ჰქონდა ჰაუბიცები და ზარბაზნები.

459. მოლდოვას არასოდეს გაუხსნია ცეცხლი სოფლებისა და დასახლებული პუნქტებისათვის. მოლდოვის შეიარაღებულ ძალებს არ გაუხანდაგურებიათ არც ერთი შენობა-ნაგებობა. თუმცა ეს არ იყო იმ ტიპის ომი, რისთვისაც

მონმეს ამზადებდნენ სამხედრო სასწავლებელში.

460. რაც შეეხება ტიგინის (ბენდერი) ციტადელის დაბომბვას, როდესაც მოლდოვის შეიარაღებული ძალები შევიდნენ ბენდერში, ე.წ. „სახალხო დამცველების“ ნაწილმა თავი შეაფარა ციტადელს, რომელიც მანამდე ეკავა მე-14 არმიის ქიმიური თავდაცვის ბატალიონს. მათ ცეცხლი გახსნეს, შესაძლოა, ქიმიური თავდაცვის ბატალიონთან ერთად.

461. მოლდოვას გააჩნდა 122 მილიმეტრიანი საჭურველი და გამოიყენა კიდევ იგი. „ურაგანის“ საარტილერიო სისტემა, რომელიც მოლდოვას ჰქონდა, გაცილებით ეფექტური იყო დნესტრისპირელთა „გრაღის“ სისტემაზე. მაგრამ მოლდოველებს არასოდეს გამოუყენებიათ „ურაგანის“ სისტემა, ვინაიდან იცოდნენ მისი დამანგრეველი ძალა. მოლდოვას რომ სდომნოდა გამარჯვებებისმიერ ფასად, გამოიყენებდა „ურაგანის“ სისტემას.

მოლდოვის ჯარს გააჩნდა საჰაერო თავდაცვის სისტემა, მაგრამ არ არსებობდა უკრაინასა და რუმინეთთან კოლექტიური თავდაცვის სისტემა. მოლდოვის ძალებს უნდა გამოეყენებინათ „მიგ-29“ ტიპის თვითმფრინავები საჰაერო დაბომბვის განსახორციელებლად. მეორე მხარეს იყვნენ შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც იყენებდნენ სამხედრო არტილერიას; ე.ი. ეს არ იყო საპოლიციო ოპერაცია. გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო: დაებომბათ ხიდი და არა საცხოვრებელი უბნები. მოლდოვას განზრახული ჰქონდა ხიდის განადგურება, რათა ხელი შეეშალა ტანკების გადაადგილებისათვის, რაც თავიდან ააცილებდა მას სერიოზულ დანაკარგებს. ამას ადგილი ჰქონდა ტიგინაში (ბენდერი).

462. მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც მოლდოვის მხარეზე იბრძოდნენ, არ კლავდნენ სხვა ადამიანებს. ისინი იცავდნენ თავიანთ სამშობლოს სეპარატისტებისგან. მოლდოვის შეიარაღებულ ძალებს არასოდეს გაუხვრიათ დასახლებული პუნქტების მიმართულებით.

463. მოლდოვას არ გაუგზავნია დაზვერვის ჯგუფები დნესტრისპირეთში. მოლდოვის ძალებმა გამოიყენეს ადამიანები, რომლებსაც იცნობდნენ. მათ არავინ გაუგზავნიათ სპეციალურად, დაზვერვის აგენტების სახით, თუმცა ჰყავდათ ხალხი, ვინც ნებაყოფლობით უგზავნიდა ინფორმაციას.

464. კონფლიქტის მიმდინარეობის პერიოდში მე-14 არმია განლაგებული იყო ტირასპოლის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე. აეროდრომს ერთ-ერთი მათი შენაერთი იყენებდა. თვითმფრინავები დაფრინავდნენ მოსკოვშიც. კონფლიქტის შემდეგ მოხდა შეთანხმება და განისაზღვრა წესები, რომელთა მიხედვითაც უნდა მომხდარიყო აეროდრომის გამოყენება.

465. იმ პერიოდში, როდესაც მონმეს ეკავა თავდაცვის მინისტრის თანამდებობა, მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმდა შეთანხმება მე-14 არმიის გარკვეული შენაერთების გაყვანის თაობაზე. გაყვანილი იქნა მე-300 საპარაშუტო ქვედანაყოფი, ისევე, როგორც კავშირგაბმულობის ბატალიონი და რამდენიმე სხვა შენაერთი. შეთანხმება ასევე შეეხებოდა ტირასპოლის სამხედრო აეროდრომის რეჟიმს და რუსი ჯარისკაცების სამართლებრივ სტატუსს მოლდოვის ტერიტორიაზე.

**პინკოვა და პინკი ჩეხეთის  
რესპუბლიკის წინააღმდეგ**

---

*Case of Pincová and Pinc v. the Czech Republic*



გეორგი სემცია

**პინკოვა და პინკი ჩხეთის რესპუბლიკის  
წინააღმდეგ**

(განაცხადი №36548/97)

**საგოლოო ვერსია**

**05/02/2003**

**განაჩენი**

სტრასბურგი

2002 წლის 5 ნოემბერი

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

### საქმეზე „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“, (*Case of Pincová and Pinc v. the Czech Republic*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მეორე სექცია) შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჟ.-პ. კოსტა, პრეზიდენტი,  
ბ-ნი ა.ბ. ბაკა,  
ბ-ნი გაუკუერ იორუნდსონი,  
ბ-ნი კ. იუნგვიერტი,  
ბ-ნი ვ. ბუტკევიჩი,  
ქ-ნი ვ. ტომასენი,  
ბ-ნი მ. უგრეხელიძე, მოსამართლეები,  
და ქ-ნი ს. დოლე, სექციის რეგისტრატორი,

იმსჯელა რა განმარტოებით 2002 წლის 8 ოქტომბერს, ამავე დღეს მიიღო შემდეგი განაჩენი:

## პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს ჩეხი ეროვნების ორი პირის, ქ-ნი ბლაჟენა პინკოვასა და მისი შვილის ბ-ნი ჯირი პინკის (შემდგომში „განმცხადებლები“) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში (შემდგომში „კომისია“) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ადრემოქმედი 25-ე მუხლის თანახმად 1997 წლის 7 მაისს შეტანილი განაცხადიდან (№ 36548/97).

2. განმცხადებლებს, რომლებმაც სამართლებრივი დახმარება მიიღეს, წარმოადგენდა ქ-ნი ჯ. ვესელა ჩეხეთის ადვოკატურიდან, ჩეხეთის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) კი მისი წარმომადგენელი, ბ-ნი ვ. შორმი.

3. განაცხადის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, ირკვეოდა თუ არა საქმის ფაქტებიდან, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია პირველი ოქმის პირველი მუხლით ნაკისრი ვალდებულება. 1998 წლის 1 ივლისს კომისიამ (მეორე სექცია) გადაწყვიტა, ეცნობებინა ამის შესახებ მთავრობისათვის, რომელსაც ეთხოვა წერილობითი კომენტარების წარმოდგენა დასაშვებობისა და არსებითი განხილვისათვის.

4. განაცხადი სასამართლოს გადაეცა 1998 წლის 1 ნოემბერს, როცა ძალაში შევიდა კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმი (მე-11 დამატებითი ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

5. იგი დაენერა სასამართლოს მესამე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ამ სექციაში 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად დაკომპლექტდა პალატა, რომელსაც საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

6. 2000 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით პალატამ განაცხადი ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა.

7. განმცხადებლებმა და მთავრობამ წარმოადგინეს წერილობითი კომენტარები არსებით განხილვაზე (59-ე წესის 1-ლი პუნქტი). მხარეებთან მოთათბირების შემდეგ პალატამ გადაწყვიტა, რომ საჭირო არ იყო მოსმენა არსებითად განხილვისას (59-ე წესის მე-3 პუნქტი). მხარეებმა ერთმანეთის წერილობით კომენტარებს წერილობითვე უპასუხეს.

8. 2001 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა თავისი სექციების შემადგენლობა (25-ე წესის 1-ლი პუნქტი). ეს საქმე დაენერა ახლად შედგენილ მეორე სექციას (52-ე წესის 1-ლი პუნქტი).

## ფაქტები

### I. საქმის ბარამოუბაჰი

9. 1967 წლის 29 დეკემბერს პირველმა განმცხადებელმა და მისმა მეუღლემ შეიძინეს მეტყვევის სახლი საბძლითა და თავლით, რომელსაც ისინი 1953 წლიდან ქირაობდნენ. გასაყიდი ფასი, 14 703 ჩეხოსლოვაკიური კრონა, დადგე-

ნილი იქნა მესაკუთრის – სახელმწიფო საწარმოს – დანიშნული ტოპოგრაფის მიერ. მესაკუთრე იყო ასევე წყვილის დამქირავებელი და სახლი ისე მოიპოვა, რომ არ გადაუხდია კომპენსაცია წინა მესაკუთრეებისათვის, რომელთაც ქონება 1948 წელს ჩამოერთვათ, მიწის პირველი რეფორმის გადასინჯვის შესახებ №142/1947 კანონის (*zákon o revizi první pozemkové reformy*) თანახმად.

10. 1968 წლის 30 ივნისს პირველმა განმცხადებელმა და მისმა ქმარმა გამყიდველს 2 030 ჩეხოსლოვაკიური კრონა გადაუხადეს შეთანხმების პირობების თანახმად, რაც მათ უფლებას აძლევდა, გამოეყენებინათ მიწა სახლის გარშემო.

11. 1992 წლის 23 დეკემბერს, №229/1991 კანონის (*zákon o půdě* – „კანონი მიწის შესახებ“) ძალაში შესვლის შემდეგ, იმ პირების შვილმა, რომელთაც მეტყვევის სახლი 1948 წელს კონფისკაციამდე ეკუთვნოდათ, მიწის შესახებ კანონის მე-8 ნაწილის 1-ლი პუნქტის თანახმად სარჩელით მიმართა პრიბრამის რაიონულ სასამართლოს (*okresní soud*) ქონების დაბრუნების მოთხოვნით. იგი აცხადებდა, რომ პირველი განმცხადებლისა და მისი მეუღლის მიერ სახლის შეძენა უკანონოდ, იმ დროისათვის მოქმედი წესების დარღვევით მოხდა და მათ ისარგებლეს უკანონო უპირატესობით იმ თვალსაზრისით, რომ მათთვის მოთხოვნილი თანხა ბევრად ნაკლები იყო ქონების რეალურ ღირებულებაზე. აღნიშნული პირი ამტკიცებდა, რომ სახლი არაობიექტურად და იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის დაუცველად შეფასდა.

12. 1993 წლის 12 თებერვალს რაიონულ სასამართლოში შეტანილ შეპასუხებაში განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ ნასყიდობის ფასი სწორად, იმ დროისათვის მოქმედი დებულებების დაცვით იქნა გამოთვლილი და ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება დამტკიცებული იქნა სახელმწიფო სანოტარო სამსახურის (*státní notářství*) პრიბრამის განყოფილების მიერ, სადაც იგი რეგისტრაციაში გატარდა.

13. 1994 წლის 7 თებერვალს რაიონულმა სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა იმის დასადგენად, იყო თუ არა 1967 წლის მიწის შეფასება ჩატარებული იმ დროს მოქმედი წესების დაცვით. ექსპერტმა სასამართლოს მოხსენებით მიმართა 1994 წლის 30 მარტს. მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ საქმის მასალებისა და 1967 წლის შეფასების შესწავლის შემდეგ მან დაადგინა, რომ „შეფასება სრულად არ შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ კანონმდებლობას“ და „რომ, გარდა ამისა, მან აღმოაჩინა შესაფასებელი ობიექტის არასაკმარისად შეფასების შემთხვევები“. ამიტომ მან გადაწყვიტა, „შეფასება ხელახლა ჩატარებინა იმ დროს მოქმედ კანონმდებლობასა და საქმის გარემოებებზე დაყრდნობით, როგორც ისინი აღწერილია სამართალწარმოების განმავლობაში“, რათა შეძლებოდა ამ ორი შეფასების ერთმანეთისათვის შედარება და მათ შორის განსხვავებების დადგენა. ექსპერტის მოხსენებაში შეფასებულია (ა) ქონების საცხოვრებელი ნაწილი და (ბ) არასაცხოვრებელი ნაწილი, სახელდობრ, საბძელი და თავლა. ამ უკანასკნელთან მიმართებაში ექსპერტმა აღნიშნა:

„... პატარა საბძლისა და მასზე მიშენებული თავლის კლასიფიკაცია მოხდა „პატარა ნაგებობებად“, რადგან ისინი იყო მხოლოდ იქ მცხოვრების სარგებლობაში და არ გამოიყენებოდა ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. ღირებულების დადგენისას ამან განაპირობა არსებითი განსხვავება ... როგორც 1967 წელს, ისე ახლაც. ჩემს მიერ დადგენილი ღირ-



რებულება გამართლებულია მე-7 მუხლთან დაკავშირებული 1965 წლის ნერილობითი მითითებით, რომლის მიხედვით: „გასაყიდი ფასი შეიძლება გავრცელდეს მეცხოველეობისთვის განკუთვნილ პატარა ნაგებობებზე, იმ პირობით, რომ აღნიშნული საქმიანობა არ გასცდება მესაკუთრისა და მისი ოჯახის ნევრების პირად მოთხოვნილებებს“. საბჭელი ამჟამად გამოიყენება იარაღების სათავსოდ. ... ჩემს მიერ ორი შენობის კლასიფიცირება შეესაბამება №73/1964 დეკრეტის მე-5 დანართს... მე საბჭელი და თავლა ჩავთვალე ქონებად პირად საკუთრებაში, რადგან ისინი გამოიყენებოდა არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, არამედ მხოლოდ მესაკუთრის პირადი მოხმარებისათვის. თუ ისინი კერძო საკუთრებად ჩაითვლებოდა, მაშინ მოქმედი კანონმდებლობა მათი გადაცემის ნებართვას არ გასცემდა. საჯარო დაწესებულებები შეიძლებოდა ინდივიდებზე გასხვისებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შენობები კლასიფიცირებული იქნებოდა როგორც ქონება პირად საკუთრებაში. ... ამ ორი შენობის ფასის განსხვავება 1967 წლის შეფასებასთან შედარებით დაახლოებით 4 600 ჩეხოსლოვაკიური კრონაა. ...“.

14. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ შენობის საცხოვრებელი ფართის ექსპერტის მიერ დადგენილი ღირებულება პრაქტიკულად იდენტური იყო 1967 წელს დადგენილი ღირებულებებისა, განსხვავება 4 600 ჩეხოსლოვაკიურ კრონაში იმიტომ აღმოჩნდა, რომ ამჯერად შეფასდა თავლა და საბჭელიც. განმცხადებლებმა გააპროტესტეს შეფასების პროცედურა, რადგან იგი ეფუძნებოდა №73/1964 დეკრეტს, სადაც განსაზღვრული არ იყო სოციალისტური ორგანიზაციების კუთვნილი შენობების ფასების პრაქტიკაში მოქმედება; განმცხადებლები ამტკიცებდნენ, აგრეთვე, რომ ხსენებული დეკრეტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი გამორიცხავდა ამ დეკრეტის გამოყენებას მათი საქმის მიმართ. მათ დამატებით აღნიშნეს, რომ ფასებს შორის განსხვავება ძირითადად განაპირობა აღნიშნული ორი შენობის გაუფასურების სხვადასხვაგვარმა შეფასებამ.

15. პირველი განმცხადებლის მეუღლის სიკვდილის შემდეგ მეტყვევის სახლის თანამესაკუთრე გახდა მისი შვილი, მეორე განმცხადებელი.

16. რაიონულმა სასამართლომ, 1994 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დაუშვა წინა მესაკუთრის შვილის სარჩელი და გადაწყვიტა, სადავო ქონება მისთვის გადაეცა. რაიონულმა სასამართლომ დაადგინა:

„მტკიცებულებების – კერძოდ, მხარეთა და მოწმეთა ჩვენებების, 1969 წლის 3 თებერვალს სახელმწიფო სანოტარო სამსახურის მიერ რეგისტრირებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების, 1968 წლის 30 ივნისის შეთანხმების, რომელმაც მიანიჭა მიწის პირადად გამოყენების უფლება, ..., 1967 წლის 20 დეკემბერს ... სახლის შეფასების ..., ექსპერტის 1992 წლის 15 დეკემბრის მოხსენების, რომელიც [პირველი განმცხადებლის] მითითებების თანახმად მომზადდა და სასამართლოს მიერ მტკიცებულებად იქნა მიღებული, ..., და სასამართლოს დანიშნული ექსპერტის მიერ მონოდებული, შენობათა ფასების შესახებ მოხსენების - შეფასების შემდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ ... მიწის შესახებ კანონი (№229/1991) გამოიყენება, თუ დავა ეხება სატყეო მეურნეობისათვის განკუთვნილ შენობაზე უფლების გადაცემას, მიწის შესახებ კანონის 1-ლი ნაწილის (1)(c) მუხლის მნიშვნელობით ...“

მოსარჩელე ... უფლებამოსილია, მოითხოვოს რესტიტუცია რესტიტუციის შესახებ კანონმდებლობის თანახმად. ... მოპასუხის ოჯახის წევრები კომუნისტური რეჟიმის მონინავე ფიგურებს არ წარმოადგენდნენ, ისინი უბრალო მეტყვევები იყვნენ, რომლებიც სახლში შევიდნენ, როგორც საწარმოს დაქირავებულები. ისინი დათანხმდნენ სახლის შექენას, როცა დამქირავებელმა ამის საშუალება მისცა, რადგან სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდათ. რაც შეეხება გასაყიდ ფასს, მათ მიიღეს ტოპოგრაფის მიერ დადგენილი ფასი, რომელზეც არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

თუმცა ეჭვგარეშეა, რომ სახლის გასაყიდი ფასი 19 477 ჩეხოსლოვაკიური კრონა უნდა ყოფილიყო, ის კი მხოლოდ 14 703 ჩეხოსლოვაკიური კრონა ღირდა. შედეგად, წინამდებარე საქმეში დაცულია მინის შესახებ კანონის მე-8 ნაწილის 1-ლი პუნქტის პირობები, რადგან 1967 წელს მოპასუხებმა ქონება მოიპოვეს ნამდვილ ღირებულებაზე დაბალ ფასად. სხვაობა შეადგენდა ნამდვილი ღირებულების მეოთხედს“.

17. 1994 წლის 11 ოქტომბერს განმცხადებლებმა ზემოხსენებული გადან-ყვეტილება გაასაჩივრეს პრალის საოლქო სასამართლოში (*krajský soud*). მათ განაცხადეს, რომ იმ დროისათვის, როცა სახლის შექენის წინადადება მიიღეს, სახლიდან გაძევების საფრთხე ემუქრებოდათ. მათ ხაზი გაუსვეს, რომ ტოპო-გრაფის მოხსენებაც და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაც მომზადებული იქნა გამყიდველის მიერ და გადაცემა განხორციელდა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მართლაც, პრიბრიმის სახელმწიფო სანოტარო სამსახურმა ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარებამდე გადაამოწმა გასა-ყიდი ფასი. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოს ექსპერტის მოხსენება საკმარისი მტკიცებულება არ იყო იმის დასამტკიცებლად, რომ გა-საყიდი ფასი ნაკლები იყო იმ დროს მოქმედი ღირებულებით განსაზღვრულ ფასზე. ამიტომ განმცხადებლებმა სთხოვეს საოლქო სასამართლოს, შეეკვეთა ახალი ექსპერტის მოხსენება.

18. 1995 წლის 4 იანვარს პრალის საოლქო სასამართლომ პირველი ინ-სტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, დაადგინა რა:

„ექსპერტის მოხსენებიდან (1994) ჩანს ..., რომ გაკეთებული შეფასება (1967 წელს) არ შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ წესებს. ... საბჭოელი და თავლა უნდა შეფასებულიყო როგორც პირად საკუთრებაში მყოფი შენობები, რადგან ისინი არ გამოიყენებოდა სოფლის მეურნეობისათვის, არამედ სახლის მესაკუთრის განკარგულებაში იყო. ... ეკონომიკურ საქმეთა სამინისტროს 10/1964 დირექტივის თანახმად, ... სოციალისტურმა ორგანიზაციამ მოქალაქეებს შენობები მხოლოდ პირადი საკუთრებისთვის უნდა მიჰყიდოს. იმ დროს მოქმედი დირექტივა და დეკრეტი №73/1964 რომ ყოფილიყო გამოყენებული, გასაყიდი ფასი 19 477 ჩეხოსლოვაკიური კრონით განისაზღვრებოდა.

შესაბამისად, საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონული სა-სამართლოს დადგენილება იმის შესახებ, რომ უფლების გადაცემის საკითხი განხილული უნდა იქნეს №229/1991 კანონის თანახმად. ... დად-

გენილი იქნა, რომ გასაყიდი ფასი განისაზღვრა გამყიდველის მიერ რომელიმე ექსპერტის მოხსენების დახმარების გარეშე ... და ეს იმაზე დაბალი ფასი იყო, ვიდრე ამას ითხოვდა იმ დროს მოქმედი წესები ფასების შესახებ, რაც ამკარაა [სასამართლოს] ექსპერტის მოხსენებაში.

რაც შეეხება აპელანტთა პროტესტს, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება რეგისტრაციაში გატარებული იქნა სახელმწიფო სანოტარო სამსახურის მიერ, ... რომელიც საბჭელსა და თავლას პირად საკუთრებაში მყოფ შენობებზე გულისხმობდა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კლასიფიკაცია შედეგი იყო სამართლებრივი მოსაზრებისა, რაც სავალდებულო ძალის მქონე პრეცედენტი არ არის საქმის გადასაწყვეტად. ... უფრო მეტიც, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ უკვე მოიპოვა რესტიტუცია 50 ჰექტარი ტყით, სასურველია, №229/1991 კანონის თანახმად ..., რომ მეტყვევის სახლი გამოყენებული იქნეს მისი თავდაპირველი დანიშნულებით.“

19. 1995 წლის 17 მარტს განმცხადებლებმა სარჩელით მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს (*Ústavní soud*), ამტკიცებდნენ რა, რომ მათ სახლი შეიძინეს იმ დროისათვის მოქმედი წესების შესაბამისად და რაიმე უკანონო უპირატესობის გარეშე. ისინი ასევე მოიხმობდნენ სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ბათილად გამოცხადდებოდა, თუ გასაყიდი ფასი ძალიან მაღალი იყო. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ საოლქო სასამართლომ ჩამოართვა მათ ქონება და, შესაბამისად, დარღვეული იქნა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ქარტიის (*Listina základních práv a svobod*) მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მათი ქონების დაცვის უფლება. გარდა ამისა, ისინი ასაჩივრებდნენ, რომ ვერ მიიღეს სამართლიანი და შესაფერისი კომპენსაცია, აცხადებდნენ რა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიწის შესახებ კანონის მე-8 ნაწილის მე-3 პუნქტით ფიზიკურ პირს ჰქონდა უფლება, მიეღო ნასყიდობის საფასურისა და იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში მოჰყვა ქონების გაახლებას, 14 703 ჩეხური კრონა გადახდილი საფასურისა და მათი დანახარჯების საკომპენსაციოდ ვერასოდეს აუნაზღაურებდა მათ სახლის დაკარგვას. ქონებაზე უფლება მათ ჩამოერთვათ ორი სხვადასხვა მეთოდით გამოთვლილ ორ ფასს შორის განსხვავების გამო. უფრო მეტიც, სამართალწარმოებისას ისინი მეორე მხარის თანაბარ პირობებში არ იყვნენ, კერძოდ, შესაძლებლობების თვალსაზრისით. მოსარჩელე სარგებლობდა შესაბამისი დოკუმენტაციით. ამასთან დაკავშირებით განმცხადებლებმა მოიხმეს ქარტიის 37-ე მუხლი.

20. განმცხადებლებმა ასევე სთხოვეს საკონსტიტუციო სასამართლოს, შეეჩერებინა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და მიწის შესახებ კანონის მე-8 ნაწილის 1-ლი პუნქტის ნაწილი ბათილად გამოეცხადებინა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რადგან განსახილველი დებულება უშვებდა რესტიტუციას „უძრავი ქონების იმაზე დაბალ ფასად გაყიდვის შემთხვევაში, ვიდრე ამას იმ დროისათვის მოქმედი წესები ითხოვდა“ და ამით საფრთხეს უქმნიდა ყიდვის დროისათვის გამოყენებული კანონმდებლობის თანახმად მოპოვებულ უფლებას, მან ყოფილ მესაკუთრეს შესაძლებლობა მისცა, ეჭვქვეშ

დაეყენებინა ამ ქონების გადაცემისას მისი ღირებულება. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მიწის შესახებ კანონის მე-8 ნაწილის 1-მა პუნქტმა მათ ისეთივე ზიანი მიაყენა, როგორც მათ მიიღეს 1948 და 1989 წლებში, რის გამო-სწორებასაც ეს კანონი ისახავდა მიზნად. მათი მტკიცებით, დაუშვებელი იყო, რომ ფიზიკური პირები, რომელთაც ქონება კეთილსინდისიერად და იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით შეიძინეს, პასუხისმგებელნი გაეხადათ სახელმწიფოს მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებებისა თუ არასწორი პროცედურების გამო.

21. 1995 წლის 24 აპრილს განმცხადებლებმა საოლქო სასამართლოს სთხოვეს, შეეჩერებინა პრალის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, გაეთავისუფლებინა ისინი სამართალწარმოების ხარჯებისაგან და საქმე თავიდან განეხილა. აღნიშნულ მიმართვაში მათ თავიანთ არგუმენტებს საფუძვლად დაუდეს ჩეხეთის ფასების ორგანოს მიერ გამოქვეყნებული შესა-ბამისი კანონმდებლობის განმარტების ავტორის მოსაზრება მეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც, მათი მტკიცებით, ცხადად ამტკიცებდა, რომ სასამართლოს ექსპერტმა შეცდომა დაუშვა. მათ რაიონულ სასამართლოს ასევე წარუდგინეს დოკუმენტები სახელმწიფო არქივიდან, რომლებითაც მტკიცდებოდა, თუ რო-გორ გამოიყენებოდა სადავო ქონება წარსულში.

22. 1995 წლის 21 აპრილს ქალაქ ჰრიმეზდიჩისა და სხვა სოფლების მაცხოვრებლებმა რესპუბლიკის პრეზიდენტს და პარლამენტს მიმართეს პეტიციით, რომელშიც გამოხატავდნენ ნუბილს იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელთა საქმეში დარღვეული იქნა კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ძველი მესაკუთრის შვილმა დაიბრუნა ქონების დიდი ნაწილი (40 ჰექტარი ტყე და 100 ჰექტარი სხვა მიწა), მაშინ, როცა განმცხადებლებმა თავიანთი ქონება თითქმის მთლიანად დაკარ-გეს, მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერად ჰქონდათ შექენილი.

23. 1995 წლის 20 ივნისს, პეტიციაზე პასუხად, პარლამენტის წევრმა წერილობითი შეკითხვით მიმართა პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, სოფლის მეურნეობის მინისტრს და საკანონმდებლო და საჯარო ადმინისტრაციის სამ-სახურის დირექტორს. მას აინტერესებდა, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მიწის შესახებ კანონის მე-8 ნაწილის 1-ლი პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფდა რეს-ტიტუციის შესაძლებლობას „უძრავი ქონების იმაზე დაბალ ფასად შესყიდვის შემთხვევაში, ვიდრე ამას ფასებთან დაკავშირებით იმ დროს მოქმედი დირექ-ტივები მოითხოვდა“, სამართლებრივი სიმტკიცის პრინციპს, რამდენადაც ის შესაძლებელს ხდიდა უკანონო ქმედებისათვის პასუხისმგებლობის გადასვლას სახელმწიფოდან ინდივიდებზე, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ. ის ასევე პრობლემურად მიიჩნევდა, მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპი-დან გამომდინარე, ისეთ სამართლებრივ დებულებებს, როგორიცაა მიწის შესა-ხებ კანონის 21-ე ნაწილის (ა) პუნქტი, რომელიც პირებისათვის, რომელთაც შეეძლოთ რესტიტუცია მოეთხოვათ, უზრუნველყოფდა დახმარების სხვადასხვა ფორმას ან სამართალწარმოების ბაჟისაგან გათავისუფლებას.

24. პრემიერ-მინისტრის მოადგილე მიმართავს 1995 წლის 7 ივლისს გამო-ეხმაურა. მან განაცხადა, რომ გამოთქმული ეჭვები უსაფუძვლო იყო და აღნიშ-ნა, რომ მიწის შესახებ კანონი იმგვარად იქნა ჩამოყალიბებული, რომ, ზოგადი პირობების გარდა, სვამდა სამ დამატებით ტესტს, რომელთაგან თითოეული

მიმართული იყო შემქმნთა კეთილი ნების გამოსარიცხად. ის ფაქტი, რომ მინის შესახებ კანონი ეხება შესყიდვის დროს მოქმედ კანონმდებლობას, არ შეიძლება სამართლებრივი სიმტკიცის ხელისშემშლელად ჩაითვალოს უკუქცევითი ეფექტის გამო.

25. 1995 წლის 23 აგვისტოს რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელთა განაცხადი სამართალწარმოების განახლების შესახებ საჯარო მოსმენაზე განიხილა. მიუხედავად მათ მიერ წარმოდგენილი და მათივე ინიციატივით დანიშნული ახალი ექსპერტის მოხსენებისა, მან სარჩელი არ დააკმაყოფილა, აღნიშნა რა, *inter alia*, რომ თავდაპირველი სამართალწარმოებისას არც ერთმა მხარემ არ გამოიძახა სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი მონმედ და განმცხადებლებმა მხოლოდ გასაჩივრების სტადიაზე მოითხოვეს ექსპერტის მტკიცებულების გადასინჯვა. შედეგად, წინამდებარე საქმე არ აკმაყოფილებდა თავიდან განხილვის საკანონმდებლო მოთხოვნებს.

26. 1995 წლის 27 სექტემბერს განმცხადებლებმა ზემოხსენებული გადანყევტილება გაასაჩივრეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ წარადგინეს მტკიცებულება, რომლის წარმოდგენა სამართალწარმოების დასაწყისში მათთვის ობიექტურად შეუძლებელი იქნებოდა. 1996 წლის 26 თებერვალს პრალის საოლქო სასამართლომ 1995 წლის 23 აგვისტოს გადანყევტილება ძალაში დატოვა, დაადგინა რა, რომ არ არსებობდა ფაქტები, გადანყევტილებები თუ მტკიცებულება, რომლებზე პასუხის გაცემა სამართალწარმოების დასაწყისშივე მოპასუხეთათვის შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა საოლქო სასამართლომ ნება დართო მხარეს, მისი დადგენილება სამართლებრივი კუთხით გაესაჩივრებინა.

27. შესაბამისად, 1996 წლის 11 აპრილს განმცხადებლებმა სამართლებრივ საკითხებზე მიმართეს უზენაეს სასამართლოს (*Nejvyšší soud*). ისინი აცხადებდნენ, რომ სასამართლოში იმ გადანყევტილების გასაჩივრებისას, რომელმაც მათ უფლება ჩამოართვა, მათ ამაოდ წამოჭრეს მეორე ექსპერტისათვის მოხსენების გაკეთებაზე უფლებამოსილების გაცემის საკითხი და საოლქო სასამართლოს მიდგომამ ისინი აიძულა, ჰქონოდათ მათივე ინიციატივით შექმნილი, ახალი ექსპერტის მოხსენება.

28. 1997 წლის 13 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ განმცხადებლების საკონსტიტუციო სარჩელი არ დააკმაყოფილა ამკარად დაუსაბუთებლობის საფუძველით. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა:

*„ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ქარტიის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის სადავო დარღვევა განხილული უნდა იქნეს არა მხოლოდ აპელანტების თვალსაზრისის გათვალისწინებით, არამედ იმ პირისაც, რომელიც ითხოვს რესტიტუციას ... ამასთან დაკავშირებით სასამართლო მოიხმობს თავის გადანყევტილებას, გამოქვეყნებულს ნომრით 131/1994 ...,, რომელშიც მან აღნიშნა, რომ რესტიტუციის მიზანია უძრავი ქონების მესაკუთრეთა უფლებების დარღვევის გამოსწორება ქონების გადაცემის დროისათვის ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის რეპარაციით და ქონების მის თავდაპირველ მდგომარეობაში რესტიტუციისათვის უპირატესობის მინიჭებით. შედეგად, სასამართლო ვერ დაადგენს მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, თუ რესტიტუციისათვის კანონით დადგენილი პირობები არ დაკმაყოფილდა. ...*

აპელანტების მიერ მოთხოვნილი, მიწის შესახებ კანონის (კანონი № 229/1991) მე-8 ნაწილის 1-ლი პუნქტის ანულირება შეზღუდავდა რესტიტუციის უფლებას და ავნებდა რესტიტუციის მოთხოვნელთა დიდი ნაწილის ინტერესებს ... რესტიტუციის შესახებ კანონმა უნდა დაადგინოს პირობები ზარალის ასანაზღაურებლად, ხოლო ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა განიხილონ ყველა გარემოება ამ კანონების ზოგადი მიზნის გათვალისწინებით.

წარმოდგენილდოკუმენტებზედაყრდნობითმომხსენებელმამოსამართლემ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს კანონი საქმეში რესტიტუციის შესახებ მოთხოვნის დაშვებისას და იმის გადანყვეტისას, რომ უფლება მიწაზე უნდა გადასცემოდა მოსარჩელეს ..., რადგან აპელანტმა და მისმა მეუღლემ სახლი იმაზე დაბალ ფასად შეიძინეს, ვიდრე ფასებთან დაკავშირებით იმ დროს მოქმედი წესების გამოყენების საფუძველზე უნდა შეეძინათ.

რაც შეეხება ქარტიის 37-ე მუხლის დარღვევას, რომელიც გულისხმობს მხარეთა შორის თანასწორობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოებისას სასამართლოებმა სკრუპულოზურად შეინაველეს როგორც იმ პირის მტკიცებულება, რომელიც რესტიტუციას ითხოვდა, ისე მოპასუხეთა მტკიცებულებები. ...

საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, მომხსენებელმა მოსამართლემ საჭიროდ არ ჩათვალა საოლქო სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების შეჩერება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თუ აპელანტებს სახლიდან გაასახლებდნენ, ისინი ალტერნატიულ საცხოვრებელს მიიღებდნენ“.

29. 1997 წლის 24 მარტს განმცხადებლებმა დამატებითი საფუძვლები წარმოადგინეს საკასაციო საჩივრისათვის სამართლებრივი საკითხების (*dovolání*) განსახილველად. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი საქმის შესახებ ყველა სასამართლომ, საკონსტიტუციო სასამართლოს ჩათვლით, ჩამოაყალიბა ვარაუდი, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის მოხსენება სწორი იყო, მაშინ, როცა, სხვა ნაკლებს შორის, ეს მოხსენება შეიქმნა ეკონომიკურ საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დირექტივის საფუძველზე, რომელსაც არ ჰქონდა იურიდიული ძალა, და რომ დეკრეტი №73/1964 ამ საქმეში არ გამოიყენებოდა. განმცხადებლებმა ყურადღება იმ ფაქტზეც გაამახვილეს, რომ მათ მიერ მოწვეული მეორე ექსპერტის მოხსენების თანახმად, ნასყიდობის ფასი, გადახდილი 1967 წელს, იმაზე ნაკლები არ იყო, ვიდრე ფასი, რომელსაც ითხოვდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა.

30. 1997 წლის 28 აპრილს უზენაესმა სასამართლომ განმცხადებელთა საჩივარი სამართლებრივ საკითხებზე დაუშვებლად მიიჩნია, აღნიშნა რა, რომ იგი დაიშვებოდა სამართალწარმოების დასაწყისში, მაგრამ ვერ დაიშვება იმ ეტაპზე, როცა განაცხადი შეტანილია საქმის გადასინჯვის მოთხოვნით.

31. განმცხადებლებს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აუნაზღაურა

1967 წელს სახლის შესყიდვისას გადახდილი თანხა და თანხა, რომელიც მათ მიწით პირადი სარგებლობის უფლების მოპოვებაში გადაიხადეს. მთლიანად მათ მიიღეს 16 733 ჩეხური კრონა. მეორეს მხრივ, იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც გონივრულად მოჰყვა სახლის განახლებას, გამოირიცხა სახელმწიფოსა და განმცხადებლებს შორის გამოსაყენებელ კურსზე შეუთანხმებლობის გამო. განმცხადებელთა თქმით, სახელმწიფომ განაცხადა, რომ მზად იყო, გადაეხადა მათთვის 156 646 ჩეხური კრონა, მაგრამ, მიუხედავად განმცხადებელთა მოთხოვნისა, მას ეს თანხა არასოდეს გადაუხდია. შესაბამისად, თანხა უნდა განისაზღვროს რაიონული სასამართლოს მიერ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინააღმდეგ განმცხადებლებმა სასამართლოს 2000 წლის აპრილში მიმართეს 364 430 ჩეხური კრონის გადახდის მოთხოვნით.

32. მხარეთა მიერ მინოდებული ინფორმაციის თანახმად, ახალ მესაკუთრეს განმცხადებლებისათვის ალტერნატიული საცხოვრებელი არ შეუთავაზებია და ისინი კვლავ ამ სახლში ცხოვრობენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ახალმა მესაკუთრემ უარი თქვა მათთან ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებაზე სიტუაციის დასარეგულირებლად, მაგრამ სარჩელი შეიტანა რაიონულ სასამართლოში ქირის სახით 28 072 ჩეხური კრონის (900 ჩეხურ კრონაზე მეტი თვეში) გადახდის მოთხოვნით, საჯარიმო პროცენტის დამატებით. ამან განაპირობა 2000 წლის 31 მარტს მათი მისამართით თანხის გადახდის ბრძანების გაცემა. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ გაიმართა ორი მოსმენა 2000 წლის 27 აპრილსა და 26 ივნისს და, როგორც აღმოჩნდა, ამჯერად მესაკუთრემ ქირის სახით უფრო მაღალი თანხა მოითხოვა – 1 200 ჩეხური კრონა თვეში. როგორც განმცხადებლები აცხადებენ, კვლავ განხილვის პროცესშია მათ მიერ 2000 წლის აპრილში წამოწყებული სამართალწარმოება იმის განსაზღვრის მიზნით, თუ რა ოდენობის თანხა უნდა მიეღოთ ქონების შენახვის ხარჯების ასანაზღაურებლად. ამიტომ მათ მიაჩნიათ, რომ მათი მდგომარეობა საჯარო მოხელეთა წინაშე ნაკლებად ხელსაყრელია, ვიდრე ახალი მესაკუთრისა.

## II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი

### A. საკონსტიტუციო სამართალი

33. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ქარტიის მე-11 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, სხვა საკითხთა შორის, უზრუნველყოფენ, რომ ყველა სარგებლობდეს საკუთრების უფლებით. კანონით უნდა განისაზღვროს საზოგადოების მოთხოვნილებებისთვის, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და საჯარო წესრიგისათვის აუცილებელ რა ქონებას შეიძლება ფლობდნენ ექსკლუზიურად სახელმწიფო, მუნიციპალიტეტები ან ამისათვის შექმნილი იურიდიული პირები; შეიძლება ასევე გათვალისწინებული იქნეს დეზულეება, რომლითაც გარკვეულ ქონებას დაეუფლებიან ექსკლუზიურად მოქალაქეები ან ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის რეზიდენტი ფიზიკური პირები. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკრძალულია საკუთრების ნებისმიერი გადამეტება სხვათა უფლებებისათვის ზიანის მიყენებით ან კანონით დაცული ზოგადი ინტერესების სანაწინააღმდეგოდ. მე-11 მუხლის

მე-4 პუნქტი უზრუნველყოფს, რომ ექსპროპრიაცია ან საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროების გამო, კანონის შესაბამისად და კომპენსაციით.

34. ქართის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება სამართლებრივ დახმარებაზე სასამართლოს, სხვა სახელმწიფო ორგანოს თუ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე სამართალწარმოებისას. 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი უზრუნველყოფს, რომ სასამართლო პროცესის ყველა მხარეს ჰქონდეს ერთნაირი უფლებები.

## **B. მიწის შესახებ კანონი (№ 229/1991)**

35. მიწის შესახებ კანონის 1-ლი ნაწილის (1)(c) პუნქტი ამბობს, რომ ეს კანონი გამოიყენება საცხოვრებელ და ფერმის შენობებთან, აგრეთვე, იმ ნაგებობებთან (მათ შორის, მიწასთან, რომელზეც ეს ნაგებობები იქნა აღმართული) მიმართებაში, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის თუ სატყეო მეურნეობისათვის ან ამგვარი მეურნეობისათვის საჭირო წყლის განაწილებისთვის.

36. მე-4 ნაწილის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს, რომ რესტიტუციის მოთხოვნა შეიძლება წამოჭრილი იქნეს მხოლოდ ჩეხეთის და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა მიერ, რომელთა მიწები, შენობები და/ან ნაგებობები, ადრე სოფლის მეურნეობისათვის რომ გამოიყენებოდა, გადაეცათ სახელმწიფოს ან სხვა იურიდიულ პირებს, მე-6 ნაწილის 1-ლ პუნქტში დადგენილი პირობების თანახმად, 1948 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 1 იანვრამდე პერიოდში. მე-4 ნაწილის მე-2 (c) პუნქტში ნათქვამია, რომ როცა ეს პირი გარდაიცვლება ან გარდაცვლილად იქნება აღიარებული მე-13 ნაწილში მითითებული ვადის გასვლამდე, მისი უფლება რესტიტუციაზე, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეობის პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაეცემა შემდეგ ფიზიკურ პირებს: თანაბარ წილად იმ პირის შვილებსა და მეუღლეს, რომელზეც საუბარია მე-4 ნაწილის 1-ლ პუნქტში; თუ მე-13 ნაწილში მითითებული ვადის გასვლამდე მისი შვილი გარდაიცვლება, მისი უფლება რესტიტუციის მოთხოვნისა მემკვიდრეობით გადაეცემა მის შვილებს და თუ რომელიმე მათგანი გარდაიცვლება, მისი უფლება გადაეცემა მის შვილს.

37. მე-6 ნაწილის (b) პუნქტი უზრუნველყოფს მიწის პირველი რეფორმის გადასინჯვის შესახებ №142/1947 კანონის ან მიწის ახალი რეფორმის შესახებ №46/1948 კანონის თანახმად სახელმწიფოსა თუ იურიდიული პირისათვის კომპენსაციის გარეშე კონფისკაციის გზით გადაცემული უძრავი ქონების დაბრუნებას პირთათვის, რომელთაც უფლება აქვთ, მოითხოვონ რესტიტუცია.

38. მე-8 ნაწილში, რომელშიც ცვლილებები იქნა შეტანილი №195/1993 კანონით, ნათქვამია, რომ სასამართლოების პრეროგატივაა, დაადგინონ, უნდა დაბრუნდეს თუ არა ისეთი ფიზიკური პირის მფლობელობაში მყოფი ქონება, რომელმაც იგი სახელმწიფოსა თუ სხვა იურიდიული პირისაგან შეიძინა იმ დროს მოქმედი წესების დარღვევით ან იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე ამას ითხოვდა იმ დროს არსებული ფასებთან დაკავშირებული დირექტივები, ან რომელმაც შეძენისას უკანონო უპირატესობით ისარგებლა. მე-8 ნაწილის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ პირი, რომელიც მე-8 ნაწილის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ვალდე-



ბულია, დააბრუნოს ქონება, უფლებამოსილია, მიიღოს ნასყიდობის ფასისა და ქონების შენარჩუნებისთვის გონივრულად დახარჯული თანხის ანაზღაურება.

39. 21-ე ნაწილის (ა) პუნქტი ითვალისწინებს რესტიტუციასთან, ქონების გაცვლასთან თუ კომპენსაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული გადასახადისგან გათავისუფლებას. რესტიტუციის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ცდილობს, დაამტკიცოს თავისი უფლება იმ პირის საწინააღმდეგოდ, ვინც ვალდებულია, შესაბამისი ქონება დააბრუნოს, არ იხდის სასამართლოს ბაჟს. ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება ვრცელდება ასევე იმ პირებზე, რომლებიც ცდილობენ თავიანთი უფლებების დამტკიცებას მე-8 ნაწილის შესაბამისად. მინის შეფასების და მინის ნაკვეთების იდენტიფიცირებისა და შესწავლის ხარჯებს სახელმწიფო ფარავს.

40. 28-ე ნაწილის (ა) პუნქტის თანახმად, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, მინის შესახებ კანონის თანახმად გაცემული კომპენსაციის ოდენობა დადგენილია 1991 წლის 24 ივნისისათვის მოქმედ ფასებთან მიმართებაში, რადგან დეკრეტი №182/1988 ვრცელდება უძრავი ქონების ფასებზე.

### C. სამოქალაქო კოდექსი

41. სამოქალაქო კოდექსის 712-ე მუხლის თანახმად, ალტერნატიული საცხოვრებელი იქნება კომპენსატორული ბინის ან კომპენსატორული საცხოვრებლის ფორმის. კომპენსატორული ბინა გულისხმობს ბინას, რომლის ფართობი და სველი წერტილები უზრუნველყოფს მობინადრისა და მისი ოჯახის იმგვარ ცხოვრებას, რომ დაცული იქნეს ადამიანის ღირსების პატივისცემა. კომპენსატორული საცხოვრებელი ნიშნავს საცხოვრებელ ოთახს ან ოთახს სასტუმროში ახალგაზრდა დაუქორწინებელი პირებისათვის ან სხვა პირისაგან დაქირავებული ბინის (ავეჯით ან ავეჯის გარეშე) ქვექირავნობით აღებულ ნაწილს. თუ მობინადრე უფლებამოსილია ალტერნატიულ საცხოვრებელზე, იგი ვალდებული არ არის დაცალოს ბინა, რომლიდანაც მას ასახლებენ, სანამ არ მიიღებს შესაფერის საცხოვრებელს; თანამობინადრეებს უფლება აქვთ ალტერნატიული საცხოვრებლის მხოლოდ ერთ შეთავაზებაზე.

## სამართალი

### I. პირველი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევა

42. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ ჩამოერთვათ კეთილსინდისიერად და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვებული ქონება და აცხადებდნენ, რომ არ მიუღიათ ადეკვატური კომპენსაცია. ისინი ეფუძნებოდნენ პირველი ოქმის პირველ მუხლს, რომელშიც ნათქვამია:

*„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით დაუბრკოლებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს მისი საკუთრება კა-*

ნონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

43. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი სამი სხვადასხვა წესისაგან შედგება. ერთი, რომელიც გამოხატულია პირველი აბზაცის პირველ წინადადებაში და ატარებს ზოგად ხასიათს, აწესებს საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის პრინციპს. მეორე წესი, იმავე აბზაცის მეორე წინადადებაში, ეხება საკუთრების ჩამორთმევას და უქვემდებარებს მას კონკრეტულ პირობებს. მესამე წესი, რომელიც დადგენილია მეორე აბზაცში, აღიარებს, რომ ხელშეკრული სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, სხვა საკითხებთან ერთად, საკუთრებით სარგებლობა მართონ საზოგადო ინტერესის შესაბამისად. ეს წესები „სხვადასხვა“ არ არის ერთმანეთთან დაუკავშირებლობის გამო: მეორე და მესამე წესები, რომლებიც ეხება საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლებაში ჩარევის კონკრეტულ შემთხვევებს, გაგებული უნდა იყოს პირველ წესში ჩამოყალიბებული პრინციპის გათვალისწინებით.

44. წინამდებარე საქმეში სადავო არ არის, რომ მოხდა განმცხადებლების საკუთრების უფლებაში ჩარევა, რაც პირველი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი აბზაცის მეორე წინადადების შინაარსით საკუთრების „ჩამორთმევას“ უტოლდებოდა. შესაბამისად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, გამართლებული იყო თუ არა ეს ჩარევა პირველი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნების ფონზე.

45. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ პირველი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა ის არის, რომ ნებისმიერი ჩარევა საჯარო ხელისუფლების მხრიდან საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობაში უნდა იყოს კანონიერი: პირველი აბზაცის მეორე წინადადება იძლევა საკუთრების ჩამორთმევის ნებართვას მხოლოდ „კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით“, ხოლო მეორე აბზაცი ცნობს, რომ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, აკონტროლონ საკუთრებით სარგებლობა „კანონებით“. უფრო მეტიც, კანონის უზენაესობა, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, კონვენციის ყველა მუხლის განუყოფელი ნაწილია (იხ. *Amuur v. France*, 1996 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, მოხსენებები განაჩენებისა და გადანყვეტილებების შესახებ 1996-III, გვ. 850-51, პუნქტი 50; *The former King of Greece and Others v. Greece* [GC], № 25701/94, პუნქტი 79, ECHR 2000-XII; და *Malama v. Greece*, № 43622/98, პუნქტი 43, ECHR 2001-III).

46. წინამდებარე საქმეში მხარეთა შორის სადავო არ არის ის ფაქტი, რომ განმცხადებელთა საკუთრების ჩამორთმევა მოხდა მინის შესახებ კანონის (№ 229/1991) საფუძველზე, რამაც შესაძლებელი გახადა პირებისთვის, რომლებიც შესაბამის პირობებს აკმაყოფილებდნენ, დაებრუნებინათ გარკვეული ტიპის საკუთრება და ამით უზრუნველყო ნებართვა, შესაბამისი საკუთრება

ჩამორთმეოდათ იმ პირებს, რომლებიც მას ფლობდნენ. სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერების მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა.

47. სასამართლომ ახლა უნდა გაარკვიოს, ემსახურებოდა თუ არა საკუთრების ჩამორთმევა კანონიერ მიზანს, კერძოდ კი, არსებობდა თუ არა „საზოგადოებრივი საჭიროება“ პირველი ოქმის პირველ მუხლში დადგენილი მეორე წესის მნიშვნელობით. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ რამეთუ ეროვნული ორგანოები უკეთ იცნობენ თავიანთ საზოგადოებას და მის ინტერესებს, პრინციპში ისინი საერთაშორისო მოსამართლესთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში არიან იმის შესაფასებლად, თუ რა შედეგის „საზოგადოებრივ საჭიროებაში“. კონვენციით დადგენილი დაცვის სისტემის თანახმად, ეროვნულმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ისეთი პრობლემის არსებობის პირველადი შეფასება, რომელიც ამართლებს საკუთრების ჩამორთმევის ღონისძიების განხორციელებას. შესაბამისად, ეროვნული ორგანოები ამ სფეროში სარგებლობენ გარკვეული შეფასების ზღვრით, ისევე, როგორც სხვა სფეროებშიც, რომლებზეც ვრცელდება კონვენციის გარანტიები.

48. გარდა ამისა, „საზოგადოებრივი საჭიროება“ ფართო ცნებაა. სახელდობრ, გადანყვეტილება იმის შესახებ, რომ დაინერგოს საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებული კანონები, ჩვეულებრივ, მოიცავს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების ანალიზს. სასამართლო, რომელსაც ბუნებრივად მიაჩნია, რომ კანონმდებლისთვის ნებადართული შეფასების ზღვარი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის დანერგვისას ფართო უნდა იყოს, პატივს სცემს კანონმდებლის გადანყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა წარმოადგენს „საზოგადოებრივ საჭიროებას“, თუკი ეს გადანყვეტილება აშკარად გონივრული საფუძვლის გარეშე არ იქნა მიღებული (იხ. *James and Others v. the United Kingdom*, 1986 წლის 21 თებერვლის გადანყვეტილება, სერია A № 98, გვ. 32, პუნქტი 46, *da Malama*, იხ. ზემოთ, პუნქტი 46).

49. წინამდებარე საქმეში მთავრობა ამტკიცებდა, რომ მინის შესახებ კანონის მიზანი იყო „1948-1989 წლებში სოფლის და სატყეო მეურნეობაში გამოყენებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა საკუთრების უფლებების კონკრეტულ დარღვევათა შედეგების აღმოფხვრა“. ამ მიზნის მისაღწევად შერჩეული სამართლებრივი ინსტრუმენტი იყო „რესტიტუცია“; სისტემა მიზნად ისახავდა საკუთრების ჩამორთმევის დროს ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის რეპარაციის უზრუნველყოფას და უპირატესობას ანიჭებდა საკუთრების რესტიტუციას მისი თავდაპირველი ფორმით.

რესტიტუციის მიზანი იყო უფლების ჩამორთმევის უკანონობის ან საკუთრების უფლებაში სხვაგვარი უკანონო ჩარევის აღმოფხვრა საკუთრების დაბრუნებით მისი თავდაპირველი სამართლებრივი მდგომარეობით, უკუქცევითი ქმედებით. ამიტომ რესტიტუცია საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა კი არ არის, არამედ თავდაპირველი სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება.

50. განმცხადებლები არ დავობდნენ იმაზე, რომ მინის შესახებ კანონის მიზანი ის იყო, რაც მთარობამ წარმოადგინა, მაგრამ აცხადებდნენ, რომ საჭირო იყო სამართლიანობის არსებითი პრინციპის პატივისცემა, რომლითაც უნდა მართულიყო როგორც მოქმედი კანონი, ასევე მისი გამოყენება. ეს პრინ-

ციპები დაცული არ იქნა წინამდებარე საქმეში, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ აღმოფხვრა საკუთრების უფლების ადრეული დარღვევების შედეგები, მან არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შეემცილებინა ამ მიზნით განხორციელებული ახალი ჩარევების შედეგები.

51. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიზანი, რომელსაც მიწის შესახებ კანონი ემსახურება, არის საკუთრების უფლების იმ დარღვევათა შედეგების აღმოფხვრა, რომელთაც ადგილი ჰქონდა კომუნისტური რეჟიმის დროს. სასამართლოს ესმის, თუ რატომ უნდა მიეჩნია ჩეხეთის სახელმწიფოს აუცილებელ ამოცანად ამ პრობლემის გადაჭრა, რომელიც, მისი აზრით, ზიანს აყენებდა მის დემოკრატიულ რეჟიმს. მაშასადამე, კანონის ზოგადი მიზანი არ შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს, რადგან იგი ნამდვილად „საზოგადოებრივ საჭიროებას“ წარმოადგენდა (იხ. *mutatis mutandis, Zvolský and Zvolská v. the Czech Republic (dec.)*, № 46129/99, 2001 წლის 11 დეკემბერი).

52. სასამართლო ადგენს, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ერევა საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლების გამოყენებაში, სამართლიან წონასწორობას უნდა ამყარებდეს საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნილებებსა და ინდივიდის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Sporrong and Lönnroth v. Sweden*, 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 52, გვ. 26, პუნქტი 69). მოთხოვნა, დამყარდეს ამ სახის წონასწორობა, აისახება პირველი ოქმის პირველი მუხლის მთლიან სტრუქტურაში, შესაბამისად, მეორე წინადადების ჩათვლით, რომელიც უნდა განვიხილოთ პირველ წინადადებაში გათვალისწინებული ზოგადი პრინციპის ფონზე. სახელდობრ, უნდა დამყარდეს პროპორციულობის გონივრული ურთიერთდამოკიდებულება გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის, რომელიც მიიღწევა ნებისმიერი საშუალებით პირისათვის საკუთრების ჩამორთმევის გზით (იხ. *Pressos Compania Naviera S.A. and Others v. Belgium*, 1995 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 332, გვ. 23, პუნქტი 38, და *The former King of Greece and Others*, იხ. ზემოთ, პუნქტი 89). ამგვარად, წონასწორობა, რომელიც უნდა დამყარდეს საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნილებებსა და ძირითადი უფლებების მოთხოვნებს შორის, ირღვევა, თუ შესაბამის პირს მოუწია ეტვირთა „არაპროპორციული ტვირთი“ (იხ., სხვა წყაროებს შორის, *The Holy Monasteries v. Greece*, 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 301-A, გვ. 34-35, პუნქტები 70-71).

53. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირს, რომელსაც ჩამოერთვა საკუთრება, უნდა მიეცეს „მის ღირებულებასთან გონივრულად დაკავშირებული“ კომპენსაცია, მიუხედავად იმისა, რომ „საზოგადოებრივი საჭიროების“ კანონიერი მიზანი შეიძლება სრულ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლების ანაზღაურებას ითხოვდეს“ (*ibid.*). სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ ნახსენები წონასწორობა ზოგადად მიღწეულია, როცა იმ პირისათვის გადახდილი კომპენსაცია, რომელსაც საკუთრება ჩამოერთვა, გონივრულ კავშირშია საკუთრების „საბაზრო“ ღირებულებასთან, როგორც ეს დადგენილი იქნა ექსპროპრიაციის დროს.

54. წინამდებარე საქმეში მთავრობა ამტკიცებდა, რომ მიწის შესახებ კანონი გონივრულად პროპორციულ ურთიერთობას ამყარებდა გამოყენებულ საშუალებებსა და იმ მიზანს შორის, რომელსაც შეზღუდვა ემსახურება, რადგან იგი მოითხოვდა, სახელმწიფოსათვის შესაბამისი ქონების უკანონოდ გადასვ-

ლის გარდა, გაუქმებულიყო კიდევ ერთი უკანონო ელემენტი – იმავე ქონების სახელმწიფოსგან ფიზიკური პირისთვის გადაცემა. ამავე დროს, კანონმა ფიზიკურ პირს მიანიჭა უფლება, ანაზღაურებოდა შესყიდვისას გადახდილი თანხა და ქონების დღევანდელ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის გონივრულად გაღებული ხარჯები.

ამას გარდა, კანონით აიკრძალა უწინდელი მფლობელის გასახლება ამ დაბრუნებული საკუთრებიდან, სანამ არ მოხდებოდა მისი დაკმაყოფილება შესაფერისი ალტერნატიული საცხოვრებლით. მთავრობამ აღნიშნა, რომ თუმცა ახალი მესაკუთრისგან ალტერნატიული საცხოვრებლის შეთავაზება *a priori* არ ყოფილა გამორიცხული, მაგრამ ჩეხეთის კანონმდებლობით მას ამგვარი შეთავაზების გაკეთება არ ევალებოდა. შესაბამისად, გასახლებულ პირს ამასთან დაკავშირებით არ შეეძლო სასამართლოში რაიმე საჩივრი დაეყენებინა. გარდა ამისა, გათვალისწინებული იქნა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რომელთა თანახმად, პირებს, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, ქონება დაებრუნებინათ (განმცხადებელთა მსგავსად), არ ევალებოდათ მისი გათავისუფლება, სანამ არ გამოეყოფოდათ ალტერნატიული საცხოვრებელი.

55. შესაბამისად, მთავრობა აცხადებს, რომ ფიზიკური პირებისათვის დაკისრებული ტვირთი, დაებრუნებინათ ქონება, არ იყო გადაჭარბებული და გამოყენებული საშუალება არ იყო არაპროპორციული დასაცავ ინტერესთან მიმართებაში.

56. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ უსამართლო იყო ის ფაქტი, რომ კომპენსაცია, რომლითაც ისინი უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ, იყო ანაზღაურება 1960-იან წლებში შესყიდვისას გადახდილი ფასისა, რაც დაახლოებით ერთ ორმოცდამეათედს წარმოადგენდა დღევანდელი საბაზრო ფასისა და იმ ხარჯებისა, რაც მათ გონივრულად გაიღეს ქონების შესანარჩუნებლად. ეს უკანასკნელი თანხა განისაზღვრა 1981 წლის 24 ივნისს არსებული ტარიფის შესაბამისად. განმცხადებლები ასევე უსამართლოდ მიიჩნევდნენ იმას, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ სახლი და ალტერნატიული საცხოვრებელი დაექირავებინათ ან ქირა გადაეხადათ, რათა შეძლებოდათ დაეკავებინათ ის შენობა, რომლის მოვლა-პატრონობასაც მთელი ცხოვრება შეაღიეს. ისინი ჩიოდნენ, რომ მათ არა მარტო ჩამოერთვათ უფლება სახლზე, რომელიც სავარაუდოდ იმ დროს მოქმედი წესების დარღვევით შეიძინეს, არამედ დაკარგეს უფლება მიწაზეც, რომელიც ამ წესების თანახმად იქნა შეძენილი.

57. შესაბამისად, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ გამოყენებულ საშუალებებსა და შესაბამის მიზანს შორის პროპორციულობის მოთხოვნა მათ საქმეში დაცული არ იქნა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მათ დაეკისრათ ინდივიდუალური და გადამეტებული ტვირთი, რაც კიდევ უფრო მძიმდებოდა იმ მორალური ტანჯვით, რომელსაც განიცდიდნენ დაახლოებით 80 წლის პირველი განმცხადებელი და ავადმყოფი მეორე განმცხადებელი.

გარდა ამისა, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ არც პირველმა განმცხადებელმა და არც მისმა მეუღლემ 1967 წელს სახლის შეძენისას არ იცოდნენ, რომ ადრე იგი არ ეკუთვნოდა სახელმწიფოს, რომელმაც სახლი კონფისკაციის გზით მოიპოვა. ამ კონტექსტში განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ 1967 წელს მხოლოდ ის პირები დაიშვებოდნენ მიწის რეესტრში კონსულტაციის მისაღებად, რომლებიც დაამტკიცებდნენ, რომ კანონიერი ინტერესი ამოძრავებდათ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი სატყეო მეურნეობაში

მუშაობდნენ, არაგონივრული იქნებოდა მათი გაკრიტიკება იმისათვის, რომ არ შეეცადნენ გამოერკვიათ, იმ დროს, როცა თითქმის ყველაფერი სახელმწიფოს საკუთრებაში იყო, ეს სახლი ოდესმე ეკუთვნოდა თუ არა ვინმე სხვას.

58. სასამართლო აღიარებს, რომ რესტიტუციის შესახებ კანონის ზოგადი მიზანი, კერძოდ, კომუნისტური რეჟიმით გამოწვეული საკუთრების უფლების კონკრეტული დარღვევების შედეგების აღმოფხვრა, კანონიერი მიზანია და გულისხმობს სამართლებრივი გარიგებების კანონიერებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაცვას. თუმცა სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს იმის უზრუნველყოფას, რომ ძველი ზიანის აღმოფხვრამ არ გამოიწვიოს არაპროპორციული ახალი სამართალდარღვევები. ამ მიზნით კანონმდებლობით შესაძლებელი უნდა გახდეს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებების იმგვარად გათვალისწინება, რომ პირებს, რომელთაც საკუთრება კეთილსინდისიერად შეიძინეს, არ დაეკისროთ პასუხისმგებლობის ტვირთი, რომელიც სინამდვილეში იმ სახელმწიფოს ტვირთია, ვის მიერაც მოხდა ამ ქონების კონფისკაცია.

59. წინამდებარე საქმეში სასამართლო იღებს განმცხადებლების არგუმენტს იმის შესახებ, რომ მათ საკუთრება კეთილსინდისიერად შეიძინეს, რომ მათ არ იცოდნენ, რომ მანამდე ეს ქონება კონფისკაციას დაექვემდებარა და არ შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ გარიგების პირობებსა და შესასყიდ ფასზე. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ჩეხეთის სასამართლოების დადგენილება იმის შესახებ, რომ განმცხადებლებმა ქონება იმაზე დაბალ ფასად შეიძინეს, ვიდრე ამას შესაბამისი წესები ითხოვდა, უპირველესად განპირობებული იქნა საბძლისა და თავლის – შენობის არასაცხოვრებელი ფართის – სხვაგვარი შეფასებით.

60. რაც შეეხება საქმეში განმცხადებლებისათვის დაკისრებულ ტვირთს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მას არ მოეთხოვება იმის დადგენა, თუ რა საფუძველზე უნდა განესაზღვრათ ეროვნულ სასამართლოებს გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა; იგი ვერ დაიკავებს ჩეხეთის სახელმწიფო ორგანოების ადგილს იმ წლის შერჩევასას, რომელიც უნდა მიღებულიყო მხედველობაში სახლის ღირებულების დადგენისას, და იმ ხარჯების შეფასებისას, რომლებიც გონივრულად იქნა გაღებული სახლის დღევანდელ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით (იხ., *mutatis mutandis, Malama*, მითითებულია ზემოთ, პუნქტი 51).

61. თუმცა სასამართლოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ 1967 წელს გადახდილი შესასყიდი ფასი, რომელიც დაუბრუნდა განმცხადებლებს, შეუძლებელია გონივრულ კავშირში იყოს 30 წლის შემდგომ ღირებულებასთან.

ამას გარდა, განსახილველი სახლი განმცხადებელთათვის ხელმისაწვდომი ერთადერთი საცხოვრებელი იყო. 1995 წელს რესტიტუციის შესახებ გადამწყვეტილების მიღების დროისათვის ისინი ამ სახლში ცხოვრობდნენ ორმოცდაორი წლის განმავლობაში, აქედან ოცდარვა წელი როგორც მესაკუთრეები.

62. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლები არამყარ და ნამდვილად რთულ სოციალურ მდგომარეობაში არიან. ანაზღაურებული ნასყიდობის ფასით შეუძლებელია საცხოვრებლის შეძენა. მართალია, დღეისათვის არ მომხდარა მათი სახლიდან იძულებით გაძევება და, სამოქალაქო კოდექსის 712-ე მუხლის თანახმად, მათ უნდა შესთავაზონ ალტერნატიული საცხოვრებელი. თუმცა მთავრობა თვითონვე აღიარებს, რომ შეუძლებელია ამ უფლების სასამართლოს ძალით მტკიცება. უფრო მეტიც, ქონების ახალი მესაკუთრე, როგორც ჩანს, იყენებს თავის უპირატესობას განმცხადებელთა მიმართ, რომელთაც მან თვი-

ური ქირის გადახდა მოსთხოვა, იმის მიუხედავად, რომ მათ შორის ქირავნობის ხელშეკრულება არ დადებულია. ვინაიდან განმცხადებლებმა უარი განაცხადეს ამ გარემოებებში ქირის გადახდაზე, ახალმა მესაკუთრემ მათ წინააღმდეგ სასამართლოს მიმართა და მისი სარჩელი ისევ განხილვის პროცესშია.

63. შესაბამისად, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებისთვის განსაზღვრული „კომპენსაცია“ არ ითვალისწინებდა მათ პირად და სოციალურ მდგომარეობას და მათ არ გამოეყოთ არანაირი თანხა არამატერიალური ზარალი-სათვის, რომელიც მიადგათ ამ ერთადერთი ქონების ჩამორთმევით. ამას გარდა, მათ ჯერ კიდევ არ ანაზღაურებიათ სახლის დღევანდელ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად გონივრულად გაღებული ხარჯები, მიუხედავად იმისა, რომ ამოიწურა შვიდი წლისა და ექვსი თვის პერიოდი 1995 წლის 23 თებერვლიდან – დღიდან, როდესაც საბოლოო გახდა პრალის საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება საკუთრებაზე უფლების ძველი მესაკუთრის შვილისთვის გადაცემის შესახებ.

64. ამგვარად, განმცხადებლებს დაეკისრათ ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთი, რომელმაც დაარღვია ის სამართლიანი წონასწორობა, რაც უნდა დამყარებულიყო, ერთის მხრივ, ზოგადი ინტერესის მოთხოვნებსა და, მეორეს მხრივ, საკუთრებით დაუბრკოლებელი სარგებლობის უფლებას შორის. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას.

## II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

65. კონვენციის 41-ე მუხლში ნათქვამია:

*„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მალალი ხელშეშემკრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო და ზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“*

### A. ზიანი

66. მატერიალური ზიანის სახით განმცხადებლები ითხოვდნენ 1 277 903 ჩეხურ კრონას, რა თანხაც, მათი მტკიცებით, წარმოადგენდა განსხვავებას (743 547 ჩეხური კრონა) მათთვის საკუთრების ჩამორთმევის დროისათვის სახლის ღირებულებას (760 280 ჩეხური კრონა) და შესყიდვის ფასს (16 733 ჩეხური კრონა) შორის, რომელიც მათ 1967 წელს გადაიხადეს სახლში და გარშემო მდებარე მიწის გამოყენებაზე პერსონალურ უფლებაში, ამას გამოკლებული თანხა 156 646 ჩეხური კრონის ოდენობით, რომელიც, როგორც სახელმწიფომ განაცხადა, მათ უნდა ანაზღაურებოდათ სახლის დღევანდელ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად გონივრულად გაღებული ხარჯებისათვის, დამატებული საჯარიმო პროცენტი 2000 წლის 1 აპრილიდან (631 549 ჩეხური კრონა) და 60 000 ჩეხური კრონა განმცხადებელთა მიერ მიწაზე ჩატარებული სამუშაოებისათვის.

განმცხადებლები დამატებით ითხოვდნენ 2 500 000 ჩეხურ კრონას მორა-

ლური ზიანისათვის, რომელიც მათ მიადგათ დიდი დროის განმავლობაში განცდილი მორალური ტანჯვის შედეგად.

67. მთავრობა აცხადებდა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის დარღვევას და არ იქნა დაკმაყოფილებული პირობები განმცხადებელთა სამართლიანი დაკმაყოფილებისთვის. მთავრობა ამტკიცებდა, რომ შესყიდვის ფასი – 16 733 ჩეხური კრონა – განმცხადებლებისთვის კეთილი ნებით იქნა ანაზღაურებული. სახლის დღევანდელ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად გონივრულად გაღებული ხარჯების საკითხთან დაკავშირებით მთავრობა ამტკიცებდა, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმება, რადგან განმცხადებლები ითხოვდნენ, რომ თანხა მოცემული მომენტისთვის არსებული კურსის მიხედვით გამოთვლილიყო, რასაც მინის შესახებ კანონი კრძალავდა. თუმცა მთავრობა ამ მოთხოვნის პრინციპს არ ენინააღმდეგებოდა და მზად იყო მის დასაკმაყოფილებლად, როგორც კი რაიონული სასამართლო თანხის ოდენობას განსაზღვრავდა. რაც შეეხება 60 000 ჩეხური კრონის ოდენობის თანხას, რომელსაც განმცხადებლები სახლზე ჩატარებული სამუშაოებისთვის ითხოვდნენ, მთავრობამ განაცხადა, რომ ეს თანხა შედიოდა სახლის დღევანდელ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად გონივრულად გაღებულ ხარჯებში.

მთავრობა არ უარყოფდა, რომ სასამართლო პროცესები შესაძლოა მორალურად ძნელი გადასატანი ყოფილიყო, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ამაზე სახელმწიფო არ იყო პასუხისმგებელი.

68. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლების მოთხოვნები მიზნად ისახავს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ზიანის რეპარაციის უზრუნველყოფას. სასამართლო ადგენს, რომ, მატერიალური ზიანის საკითხთან დაკავშირებით განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ სახლის ამჟამინდელი ღირებულების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი. თუმცა მთავრობას, როგორც ჩანს, არ სურს განმცხადებელთა მიერ დასახელებული თანხის, 760 280 ჩეხური კრონის, გაპროტესტება. შესაბამისად, სასამართლო ამ თანხას დასაშვებად მიიჩნევს.

სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით და ამ საკითხზე საკუთარი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით სასამართლო იღებს გადანყვეტილებას, მიანიჭოს განმცხადებლებს 35 000 ევრო მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის. ეს თანხა უნდა გადაიცივალოს ჩეხურ კრონებზე გადახდის დროს არსებული კურსით.

## **B. ხარჯები**

69. განმცხადებლები ითხოვდნენ 302 793 ჩეხურ კრონას ჩეხეთის სასამართლოებსა და კონვენციის ორგანოებში დახარჯული თანხის ასანაზღაურებლად. მათი იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯები ეფუძნებოდა ადვოკატთა ანაზღაურების შესახებ № 270/1990 კანონს (ძალაში იყო 1996 წლის 1 ივლისამდე) და № 177/1996 კანონს, რომელიც ადგენდა ადვოკატთა ანაზღაურების ფარგლებს. მათი ადვოკატი აცხადებდა, რომ მისი ჩვეულებრივი საკონტრაქტო ანაზღაურება საათში 1 500 ჩეხურ კრონას შეადგენდა. განმცხადებელთა ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მან არ აიღო თანხა, იმ პირობით, რომ საქმის გადანყვეტის შემდეგ განმცხადებლები აუნაზღაურებდნენ სამუშაოს.



70. მთავრობა აცხადებდა, რომ მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული მხოლოდ საოლქო და საკონსტიტუციო სასამართლოების წინაშე განუხლები ხარჯები, ასევე სამართალწარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელზე დახარჯული თანხა, რადგან დანარჩენი ხარჯების განევა კონვენციის დარღვევის გასაჩივრების მიზნით არ მომხდარა. ამას გარდა, მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თუმცა განმცხადებელთა ადვოკატმა ეროვნული სამართალწარმოებისთვის ადვოკატთა ზღვრული განაკვეთი მოითხოვა, სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისთვის იგი საკონტრაქტო ანაზღაურებას ითხოვდა, რაც, მთავრობის მტკიცებით, ძალზე გადამეტებული იყო, ისევე, როგორც იმ საათების რაოდენობა (150), რომლებიც, ადვოკატის თქმით, მას დასჭირდა განაცხადზე მუშაობისათვის.

71. სასამართლო აცხადებს, რომ კონვენციის დარღვევის დადგენის შემთხვევაში მან განმცხადებლებს შეიძლება მიანიჭოს ის თანხები და დანახარჯები, რაც მათ გაიღეს ეროვნული სასამართლოების წინაშე დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან უფლების აღსადგენად (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Zimmermann and Steiner v. Switzerland*, 1983 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A № 66, გვ. 14, პუნქტი 36, და *Hertel v. Switzerland*, 1998 წლის 25 აგვისტოს გადწყვეტილება, ანგარიშები 1998-VI, გვ. 2334, პუნქტი 63). წინამდებარე საქმეში ეროვნული სასამართლოების განხილვის საგანი იყო განმცხადებელთა უფლება საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობისა, უფლება, რომლის დარღვევაც დადგენილი იქნა სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ იმ თანხებისა და დანახარჯების ანაზღაურება, რაც მათ ეროვნულ სასამართლოებში დაეხარჯათ.

72. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ არანაირი საგარანტიო საბუთი მათი მოთხოვნის მხარდასაჭერად. თუმცა აშკარაა, რომ ზემოხსენებული მიზნისათვის მათ თანხა დახარჯეს და მათმა ადვოკატმა ეს თანხა მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად გამოითვალა. სამართლიანობის საფუძველზე სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლებს აუნაზღაურდეთ თანხა 10 000 ევროს ოდენობით, 772,72 ევროს გამოკლებით, რა თანხაც მათ უკვე მიიღეს სამართლებრივი დახმარების სახით.

### C. საურავი

73. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავი უნდა ემყარებოდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რომელსაც დაემატება სამი პროცენტი.

## ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ მეორე განმცხადებლის შვილს უფლება აქვს, მის ნაცვლად გააგრძელოს წინამდებარე სამართალწარმოება;
2. ადგენს, რომ დაირღვა №1 ოქმის პირველი მუხლი;
3. ადგენს, რომ
  - (ა) მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, სამი თვის ვადაში თარიღიდან, როცა ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაუხადოს განმცხადებლებს ქვემოთ მითითებული თანხები, გადაცვლილი მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაზე ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით:
    - (i) 35 000 ევრო (ოცდათხუთმეტი ათასი ევრო) მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის;
    - (ii) 9 227,28 ევრო (ცხრა ათას ორას ოცდამეტი ევრო და ოცდარვა ცენტი) დანახარჯებისათვის;
  - (ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის ამონურვიდან გადახდამდე უნდა დაწესდეს გადასახდელი თანხა საურავის სახით ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.
4. არ აკმაყოფილებს სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნის დარჩენილ ნაწილს.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე, წერილობითი სახით არის გამოქვეყნებული 2002 წლის 5 ნოემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

**ჟ.-პ. კოსტა**

პრეზიდენტი

**ს. დოლე**

რეგისტრატორი

**მამატკულოვი და ასკაროვი  
თურქეთის წინააღმდეგ**

---

*Case of Mamatkulov and Askarov v. Turkey*



**მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის  
წინააღმდეგ**

(განაცხადები №№ 46827/99 და 46951/99)

**ბანაჩენი**

**სტრასბურგი**

2005 წლის 4 თებერვალი

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“,  
(*Case of Mamatkulov and Askarov v. Turkey*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი ლ. ვილდჰაბერი, თავმჯდომარე,

მოსამართლეები:

ბატონი ს.ლ. როზაკისი,

ბატონი ფ.-პ. კოსტა,

სერ ნიკოლას ბრატცა,

ბატონი ჯ. ბონელო,

ბატონი ლ. კაფლიში,

ქალბატონი ე. პალმი,

ბატონი ი. კაბრალ ბარეტო,

ბატონი რ. ტურმენი,

ქალბატონი ფ. ტულკენსი,

ქალბატონი ნ. ვაჟიჩი,

ბატონი ჯ. ჰედიგანი,

ბატონი მ. პელონპაა,

ქალბატონი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,

ბატონი ა.ბ. ბაკა,

ბატონი ა. კოვლერი,

ბატონი ს. პავლოვმჩი,

და მდივანი: ბატონი პ.ჯ. მაჰოუნი,

2004 წლის 17 მარტის, 15 სექტემბრის და 15 დეკემბრის ფარული მსჯელობის შედეგად,

2004 წლის 15 დეკემბერს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი.

## პროცედურა

1. საქმეს მსვლელობა მიეცა ორი განაცხადის საფუძველზე (№№ 46827/99 და 46951/99), რომლებიც შეტანილი იქნა თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად უზბეკეთის ორი მოქალაქის — ბატონი რუსტამ სულთანის ძე მამატკულოვისა და ბატონი ზაინიდინ აბდურასულის ძე ასკაროვის (შემდგომში „გამცხადებლები“) მიერ 1999 წლის 11 და 22 მარტს შესაბამისად.

2. განმცხადებლები, რომლებსაც გაენიათ იურიდიული დახმარება, წარმოდგენილი იყვნენ ბატონი ი.შ. ჩარსანცაკლის, სტამბოლის ადვოკატურის ნევრის მიერ. თურქეთის მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი იყო ბატონი მ. ოზმენის, თანაწარმომადგენლის მიერ.

3. განაცხადები შეეხება განმცხადებელთა ექსტრადიციას უზბეკეთის რესპუბლიკაში. განმცხადებლებმა მიუთითეს კონვენციის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლებზე და სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლზე.

4. განაცხადების განხილვა დაეკისრა სასამართლოს პირველ სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი). 1999 წლის 31 აგვისტოს განაცხადები დასაშვებად იქნა მიჩნეული ამავე განყოფილების პალატის მიერ, შემდეგი შემადგენლობით: ქალბატონი ე. პალმი, ბატონი ჯ. კასადევალი, ბატონი გაუკურ იორუნდსონი, ბატონი რ. ტურმენი, ბატონი ც. ბირსანი, ქალბატონი ვ. თომასენი და ბატონი რ. მარუსტე, განყოფილების მდივანი: ბატონი მ. ობოილი.

5. 2003 წლის 6 თებერვლის განაჩენით (შემდგომში „პალატის განაჩენი“) აღნიშნულმა პალატამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის დარღვევას, მე-6 მუხლი ვერ იქნებოდა გამოყენებული ექსტრადიციის სამართალწარმოების მიმართ თურქეთში და კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე განმცხადებლების მიერ დაყენებული საჩივრიდან სხვა დამატებითი საკითხი არ წარმოიშობოდა. ასევე, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, პალატამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას. და ბოლოს, პალატამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ დარღვევის დადგენა, როგორც ასეთი, თავისთავად წარმოადგენდა სამართლიან დაკმაყოფილებას განმცხადებლებისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ. ბატონი ტურმენის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება დანართის სახით დაერთო განაჩენს.

6. 2003 წლის 28 აპრილს მთავრობამ მოითხოვა საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა (კონვენციის 43-ე მუხლი).

7. 2003 წლის 21 მაისს დიდი პალატის კოლეგიამ დააკმაყოფილა თხოვნა მისთვის საქმის გადაცემის თაობაზე (რეგლამენტის 73-ე მუხლი).

8. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტებისა და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის შესაბამისად.

9. განმცხადებლებმა და მთავრობამაც წარმოადგინეს თავიანთი მიმოხილვები. ასევე მიღებული იქნა მოსაზრებები იურისტთა საერთაშორისო კომისიიდან და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებიდან, „Human Rights Watch“-დან და „AIRE Centre“-დან, რომელთაც თავმჯდომარის მიერ მიეცათ წერილობითი

პროცედურის დროს აზრის გამოთქმის უფლება (კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი და რეგლამენტის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

10. განხილვა გაიმართა საჯარო წესით ქ. სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, 2004 წლის 17 მარტს (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

სასამართლოს წინაშე წარდგინენ:

(ა) მთავრობის სახელით:

ბატონი მ. ოზმენი, თანაწარმომადგენელი

მრჩეველები:

ქალბატონი მ. გიულსენი

ქალბატონი ვ. სირმენი

ქალბატონი ჰ. სარი

(ბ) განმცხადებლების სახელით:

ბატონი ი.შ. ჩარსანცაკლი, ადვოკატი

ბატონო ლ. ქორქუთი, მრჩეველი.

სასამართლომ მოისმინა ბატონი ჩარსანცაკლის, ბატონი ქორქუთის, ბატონი ოზმენის და ქალბატონი სირმენის განცხადებები.

## ფაქტები

### I. საქმის ბარამოუბები

11. განმცხადებლები, დაბადებულნი, შესაბამისად, 1959 წელს და 1971 წელს, ამჟამად დაკავებული არიან უზბეკეთის რესპუბლიკაში. ისინი არიან უზბეკეთის ოპოზიციური პარტია “Erk”-ის (თავისუფლება) წევრები.

#### A. პირველი განმცხადებელი, ბატონი მამატკულოვი

12. 1999 წლის 3 მარტს პირველი განმცხადებელი ტურისტული ვიზით ალმა-ატიდან (ყაზახეთი) ჩავიდა სტამბოლში. ათათურქის აეროპორტში (სტამბოლი) იგი დაკავებული იქნა თურქეთის პოლიციის მიერ საერთაშორისო დაპატიმრების ორდერის საფუძველზე და აყვანილი იქნა პოლიციის პატიმრობაში. ის ეჭვმიტანილი იყო მკვლელობაში, სხვა ადამიანების სხეულის დაზიანებების გამოწვევაში უზბეკეთში ბომბის აფეთქების შედეგად და უზბეკეთის პრეზიდენტზე ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობაში.

13. უზბეკეთის რესპუბლიკამ თურქეთთან არსებული ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვა განმცხადებლის მისთვის გადაცემა.

14. 1999 წლის 5 მარტს ბაქირქოის რაიონულმა პროკურორმა მიმართა გამომძიებელ მოსამართლეს შუამდგომლობით პირველი განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. პირველი განმცხადებელი,



რომელსაც დახმარებას უწევდა მისი ადვოკატი, წარდგენილი იქნა მოსამართლის წინაშე იმავე დღეს და მას შეეფარდა 45 დღიანი წინასწარი პატიმრობა, თანახმად სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპის კონვენციისა.

15. 1999 წლის 11 მარტს პირველი განმცხადებელი დაიკითხა ბაქირქოის სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლის მიერ. გამარტივებული განხილვის პროცედურით გამოტანილ ბრძანებაში მოსამართლემ მიუთითა პირველი განმცხადებლის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე და განაცხადა, რომ აღნიშნული დანაშაულები იყო არა პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის, არამედ ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულები. მოსამართლემ ასევე დაადგინა მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება ექსტრადიციამდე. პირველმა განმცხადებელმა, რომელსაც დახმარებას უწევდნენ ადვოკატი და თარჯიმანი, უარყო ბრალდებები და განაცხადა, რომ უდანაშაულო იყო.

16. 1999 წლის 11 მარტის სხდომაზე შეტანილ წერილობით საჩივარში პირველი განმცხადებლის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ მისი კლიენტი მუშაობდა საკუთარი ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხებზე და რომ უზბეკეთში პოლიტიკურ დისიდენტებს ხელისუფლება აპატიმრებდა და შემდეგ ციხეებში ანამებდა, რომ საქმისთვის მნიშვნელოვან დროს პირველი განმცხადებელი იმყოფებოდა ყაზახეთში და მან თურქეთის ხელისუფლებისგან ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი, ვინაიდან მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. წარმომადგენლის განცხადებით, მისი კლიენტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა პოლიტიკური ხასიათის დანაშაულის გამო. წარმომადგენელი, მიუთითებდა რა თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტზე, სისხლის სამართლის სასამართლოსგან ითხოვდა ექსტრადიციის შესახებ უზბეკეთის თხოვნაზე უარის თქმას.

17. 1999 წლის 15 მარტს პირველმა განმცხადებელმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბაქირქოის ასიზთა სასამართლოში და გაასაჩივრა 1999 წლის 11 მარტს საქმის განხილვის გამარტივებული პროცედურით გამოტანილი ბრძანება. საქმის გარემოებათა შესწავლის შემდეგ ასიზთა სასამართლომ 1999 წლის 19 მარტს უარი უთხრა პირველ განმცხადებელს სააპელაციო მოთხოვნის დამაყოფილებაზე.

## **B. მეორე განმცხადებელი, ბატონი ასკაროვი**

18. მეორე განმცხადებელი 1998 წლის 13 დეკემბერს ყალბი პასპორტით გადავიდა თურქეთის ტერიტორიაზე. 1999 წლის 5 მარტს, ექსტრადიციის შესახებ უზბეკეთის რესპუბლიკის თხოვნის საფუძველზე, იგი დაკავებული იქნა თურქეთის პოლიციის მიერ და გადაყვანილი იქნა პოლიციის პატიმრობაში. ის ეჭვმიტანილი იყო მკვლელობაში, სხვა ადამიანების სხეულის დაზიანებების გამოწვევაში უზბეკეთში ბომბის აფეთქების შედეგად და უზბეკეთის პრეზიდენტზე ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობაში.

19. 1999 წლის 7 მარტს ბაქირქოის რაიონულმა პროკურორმა გამოძიებულ მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით მეორე განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. მეორე განმცხადებელი იმავე დღეს იქნა წარდგენილი მოსამართლის წინაშე, რომელმაც მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

20. 1999 წლის 12 მარტს ფატიჰის რაიონულმა პროკურორმა წერილით მიმართა ფატიჰის სისხლის სამართლის სასამართლოს თხოვნით მეორე განმცხადებლის მოქალაქეობის დადგენისა და ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათის გარკვევის შესახებ.

21. 1999 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით, განმცხადებლის მოსმენის შემდეგ, სისხლის სამართლის სასამართლომ დაადგინა მისი მოქალაქეობა და დანაშაულის ხასიათი თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალად შერაცხული დანაშაულები არ იყო არც პოლიტიკური და არც სამხედრო ხასიათის, არამედ ისინი წარმოადგენდა „ჩვეულებრივ სისხლის სამართლის“ დანაშაულებს. სასამართლომ გასცა ბრძანება განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში აყვანის შესახებ მის ექსტრადიციამდე.

22. 1999 წლის 11 მარტის სხდომაზე მეორე განმცხადებლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი კლიენტისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული პოლიტიკური ხასიათის იყო და რომ უზბეკეთში პოლიტიკურ დისიდენტებს აპატიმრებდნენ და ციხეებში აწამებდნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ საქმისთვის მნიშვნელოვან დროს მეორე განმცხადებელი იმყოფებოდა თურქეთში ყალბი პასპორტით.

23. 1999 წლის 18 მარტს მეორე განმცხადებელმა გაასაჩივრა სტამბოლის ასიზთა სასამართლოს 1999 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება. საქმის მასალების შესწავლის შემდეგ ასიზთა სასამართლომ 1999 წლის 26 მარტს არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი.

### **C. განმცხადებელთა ექსტრადიცია და შემდგომი მოვლენები**

24. 1999 წლის 18 მარტს სასამართლოს შესაბამისი პალატის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება, მიეთითებინა მთავრობისთვის, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე, რომ მხარეთა ინტერესებისა და სასამართლოში წარმოების ნორმალურად წარმართვის მიზნით სასურველი იყო, არ მომხდარიყო განმცხადებლების ექსტრადიცია უზბეკეთში მანამ, სანამ შესაბამისი პალატის სხდომა ჩატარდებოდა 1999 წლის 23 მარტს.

25. 1999 წლის 19 მარტს თურქეთის მთავრობამ გამოსცა განკარგულება განმცხადებელთა ექსტრადიციის შესახებ.

26. 1999 წლის 23 მარტს პალატამ მიიღო გადაწყვეტილება რეგლამენტის 39-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესახებ.

27. 1999 წლის 27 მარტს განმცხადებლები გადაეცნენ უზბეკეთის ხელისუფლებას.

28. 1999 წლის 19 აპრილის წერილით მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ მან უზბეკეთის ხელისუფლებისგან მიიღო შემდეგი რწმუნებები განმცხადებლებთან დაკავშირებით: ანკარაში არსებულმა უზბეკეთის საელჩომ თურქეთის ხელისუფლებას 1999 წლის 9 მარტს და 10 აპრილს გადასცა თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი ნოტა, რომლებსაც დართული ჰქონდა უზბეკეთის რესპუბლიკის პროკურორის ორი წერილი. ამ წერილებში ნათქვამი იყო:

*„განმცხადებლების ქონება არ დაექვემდებარება კონფისკაციას და*

განმცხადებლები არ დაექვემდებარებიან ნამებას ან სიკვდილით დასჯას.

უზბეკეთის რესპუბლიკა მონაწილეა გაერო-ს ნამების სანინალმდეგო კონვენციისა; ის იღებს და კვლავ ადასტურებს ვალდებულებას, შეასრულოს აღნიშნული კონვენციის მოთხოვნები როგორც თურქეთთან, ისე მთელ საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან მიმართებაში.“

29. 1999 წლის 11 ივნისს მთავრობამ სასამართლოს გადასცა 1999 წლის 8 ივნისით დათარიღებული დიპლომატიური ნოტა უზბეკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, რომელშიც აღნიშნული იყო:

„უზბეკეთის სასამართლო ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიებიდან ჩანს, რომ ბატონმა მამატკულოვმა და ბატონმა ასკაროვმა აქტიური როლი შეასრულეს ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და ორგანიზებაში უზბეკეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და ხალხის წინააღმდეგ 1997 წლის მაისიდან მოყოლებული, როგორც კრიმინალური ორგანიზაციის წევრებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ს.პ. და ტ.ი. — ცნობილი რელიგიური ექსტრემისტები.

უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ ბატონმა მამატკულოვმა და ბატონმა ასკაროვმა დანაშაულები ჩაიდინეს ყაზახეთში და ყირგიზეთში.

მათი საბრალდებო დასკვნა, რომელიც შედგენილი იქნა ადრე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, შეიცავს რიგ ბრალდებებს: კრიმინალური ორგანიზაციის შექმნა, ტერორიზმი, პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტი, ძალაუფლების ხელში ჩაგდება ძალის გამოყენებით ან კონსტიტუციური ნიშნების დამზობის გზით, ცეცხლის წაკიდება, ყალბი დოკუმენტების დამზადება და განზრახ მკვლელობა.

ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა განმცხადებელთა ადვოკატების მონაწილეობით. ბრალდებულებმა ნებაყოფლობით აღიარეს მონაწილეობა კრიმინალური ორგანიზაციის საქმიანობაში და საკუთარი როლი ამ ორგანიზაციაში. ეს ინფორმაცია დადასტურდა სხვა მტკიცებულებებითაც.

უზბეკეთის რესპუბლიკის პროკურორის მიერ გაკეთებული რწმუნებები მამატკულოვთან და ასკაროვთან დაკავშირებით შეესაბამება უზბეკეთის ვალდებულებებს, რომლებიც მას ნაკისრი აქვს ნამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის წინააღმდეგ გაერო-ს 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციით.

ბრალდებულები და მათი წარმომადგენლები გაეცნენ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს გამოძიებასა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებით და მათ ჩაბარდათ უზენაეს სასამართლოში გაგზავნილი საბრალდებო დასკვნის ასლი.

ბრალდებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოძიებისა და სასამართლო განხილვის განმავლობაში მიღებული იქნა უსაფრთხო ადგილსამყოფელის გამოყოფის სახით (სადაც საკნები სპეციალურად ამ მიზნების გათვალისწინებითაა აღჭურვილი). მიღებული იქნა ზომები მათზე თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით.

ბრალდებულთა სასამართლო პროცესი ცოტა ხნის წინ დაიწყო უზენაეს სასამართლოში, საჯარო განხილვის წესით. სხდომებს ესწრებიან ადგილობრივი და უცხოური პრესის წარმომადგენლები, ასევე დიპლომატიური მისიებისა და წარმომადგენლობების, ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დასწრების უფლება აქვთ ასევე თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს თანამდებობის პირებს.“

30. 1999 წლის 8 ივლისის წერილით მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ 1999 წლის 28 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილებით უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლები დამნაშავეებად ცნო ბრალად შერაცხულ დანაშაულებში და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა.

31. 1999 წლის 15 სექტემბრის წერილში განმცხადებლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ ეძლეოდათ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან დაკავშირების საშუალება, რომ უზბეკეთის ციხეებში პირობები გაუსაძლისი იყო და რომ პატიმრებს აწამებდნენ. სხვა განცხადებებს შორის, მათ აღნიშნეს:

“...  
განმცხადებლებს არ ჰქონიათ სამართლიანი სასამართლო უზბეკეთში. არ შესრულდა სასამართლო სხდომების საჯაროობის მოთხოვნა. ინფორმაციას განმცხადებელთა სასამართლო განხილვის შესახებ ჩვენ მხოლოდ უზბეკეთის ხელისუფლებისგან ვგებულობთ.

1999 წლის 25 ივნისის წერილობით მივმართეთ უზბეკეთის საელჩოს ანკარაში თხოვნით, რომ ჩვენ, როგორც ადვოკატები, დავეშვით სასამართლო სხდომებზე დამკვირვებლებად, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ განმცხადებლების სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ „ადგილობრივი და უცხოური პრესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები“, უზბეკეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მხოლოდ ერთს — *“Human Rights Watch”*-ს შეეძლო დასწრება. მართალია, ჩვენ რამდენჯერმე გარკვევით ვთხოვეთ ამ ორგანიზაციას, მაგრამ რაიმე დეტალური ინფორმაცია სხდომების და იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ მისგან არ მიგვიღია.

ექსტრადიციის შემდეგ ჩვენ ვერ შევძელით განმცხადებლებთან დაკავშირება ვერც წერილით და ვერც ტელეფონით. ჩვენ დღესაც არ შეგვიძლია მათთან დაკავშირება. ეს გარემოებები ადასტურებს ჩვენს ეჭვს, რომ განმცხადებლები არ იმყოფებიან ციხის სათანადო პირობებში.

სასამართლოს 1999 წლის 9 ივლისის წერილის და პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ბატონ მამატკულოვს მიესაჯა ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს ყველაზე მძიმე სასჯელია, რაც უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შეიძლება ყოფილიყო შეფარდებული. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ პატიმრობის პირობებს უზბეკეთის ციხეებში, კერძოდ, წამების გამოყენებას, პატიმრებისთვის ძალზე ძნელია სასჯელის მოხდა. ასევე, საერთო შეხედულების მიხედვით, ზოგიერთ პატიმარს, განსაკუთრებით მათ, ვინც გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დანაშაულში იქნა მსჯავრდებული, დამატებითი სასჯელების მოხდა უნევს.“

32. 2001 წლის 15 ოქტომბერს უზბეკეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთის საელჩოს ტაშკენტში გაუგზავნა შემდეგი ინფორმაცია:

„1999 წლის 28 ივნისს უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ რ. მამატკულოვი და ზ. ასკაროვი დამნაშავეებად ცნო ქვემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებში და მიუსაჯა თავისუფლების შესაბამისად ოცი წლით და თერთმეტი წლით აღკვეთა.“

## რ. მამატკულოვი

(a) თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე და 97-ე მუხლებით (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), კერძოდ:

- (i) ორი ან მეტი პირის მკვლელობა;
- (ii) თანამდებობის პირის ან მისი ახლო ნათესავის მკვლელობა;
- (iii) სხვათა სიცოცხლისთვის საშიში საშუალებით;
- (iv) სისასტიკით;
- (v) დანაშაული, ჩადენილი ბრალდებულის პირადი ინტერესებით;
- (vi) დანაშაული, ჩადენილი რელიგიური მრწამსით;
- (vii) დანაშაული, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის ან სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით;
- (viii) დანაშაული, ჩადენილი პირთა ჯგუფის ან კრიმინალური ორგანიზაციის მიერ, ამ ორგანიზაციის ინტერესებში;
- (ix) არაერთგზის ჩადენილი დანაშაული;

(b) თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით (ტერორიზმი);

(c) ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის (დ) ქვეპუნქტით (სიძულვილის ან შუღლისკენ მონოდება, რაც იწვევს დისკრიმინაციას რასისა და რელიგიის მოტივით);

(d) თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი პუნქტით (უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტზე ტერორისტული თავდასხმის მცდელობა);

(e) თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-4 პუნქტით (უზბეკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობის მცდელობა, შეთქმულება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ან უზბეკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დასამხობად);

(f) თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით (ქონების ან ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა, მასობრივი არეულობის მოწყობა, ჩადენილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობისთვის ხელის შეშლის ან სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შერყევის მიზნით);

(g) თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით (თაღლითობა, სხვათა ქონების დაუფლება თაღლითობით ან მოტყუებით პირთა ჯგუფის მიერ ან მის ინტერესებში);

(h) ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის მე-3 პუნქტით (ყალბი დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან სატიტულო ფურცლის დამზადება, გამოყენება და გასაღება);

(i) ორი წლით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გათვალისწინებული 228-ე მუხლის მე-3 პუნქტით (ყალბი დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან სატიტულო ფურცლის დამზადება, გამოყენება და გასაღება);

(j) თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული 242-ე მუხლის პირველი პუნქტით (შეიარაღებული ჯგუფის ან ბანდის შექმნა და ნაშაულების ჩასადენად, ასეთ ჯგუფში ან ბანდაში ძალაუფლების ან განსაკუთრებული მდგომარეობის ქონა);

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოც წლამდე, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად (სასჯელთა ერთობლიობა რამდენიმე დანაშაულისთვის), მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ამჟამად მამატკულოვი სასჯელს იხდის ზარაფშანის ციხეში, რომელიც არის ნავოის პროვინციის შინაგან საქმეთა განყოფილების უწყებრივ დაქვემდებარებაში. მისი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია; მას აქვს ახლო ნათესავებთან პაემანის უფლება. მას არ შეხებია 2001 წლის 22 აგვისტოს განკარგულებით გამოცხადებული ამნისტია.

## ზ. აბღურასულის ძე ასკაროვი

(a) თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე და 97-ე მუხლებით (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), კერძოდ:

(x) ორი ან მეტი პირის მკვლელობა;

(xi) თანამდებობის პირის ან მისი ახლო ნათესავის მკვლელობა;

(xii) სხვათა სიცოცხლისთვის საშიში საშუალებით;

(xiii) სისასტიკით;

(xiv) დანაშაული, ჩადენილი ბრალდებულის პირადი ინტერესებით;

(xv) დანაშაული, ჩადენილი რელიგიური მრწამსით;

(xvi) დანაშაული, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის ან სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით;

(xvii) დანაშაული, ჩადენილი პირთა ჯგუფის ან კრიმინალური ორგანიზაციის მიერ, ამ ორგანიზაციის ინტერესებში;

(xviii) არაერთგზის ჩადენილი დანაშაული;

(b) ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტებით (ტერორიზმი, რამაც სხვისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია);

(c) ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის (დ) ქვეპუნქტით (სიძულვილის ან შუღლისკენ მოწოდება, რაც იწვევს დისკრიმინაციას რასისა

და რელიგიის მოტივით);

(d) ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი პუნქტით (უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტზე ტერორისტული თავდასხმის მცდელობა);

(e) ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-4 პუნქტით (უზბეკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობის მცდელობა, შეთქმულება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ან უზბეკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დასამხობად);

(f) ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით (ქონების ან ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა, მასობრივი არეულობა, ჩადენილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობისთვის ხელის შეშლის ან სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შერყევის მიზნით);

(g) ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტით (სხვათა ქონების განადგურება ან განზრახ დაზიანება პირთა ჯგუფის მიერ ან მის ინტერესებში);

(h) ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული 223-ე მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტით (უზბეკეთის ტერიტორიაზე შესვლა ან უზბეკეთის ტერიტორიის დატოვება უკანონოდ, წინასწარი განზრახვით);

(i) ორი წლით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გათვალისწინებული 228-ე მუხლის მე-3 პუნქტით (ყალბი დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან სატიტულო ფურცლის დამზადება, გამოყენება და გასაღება);

(j) ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებული 242-ე მუხლის პირველი პუნქტით (შეიარაღებული ჯგუფის ან ბანდის შექმნა დანაშაულების ჩასადენად, ასეთ ჯგუფში ან ბანდაში ძალაუფლების ან განსაკუთრებული მდგომარეობის ქონა);

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოც წლამდე, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად (სასჯელთა ერთობლიობა რამდენიმე დანაშაულისთვის), მკაცრი რეჟიმის სასჯელსრულების დანესებულებაში მოხდით.

ამჟამად ზ. ასკაროვი სასჯელს იხდის შაიჰალის ციხეში, რომელიც არის კაშკადარიას პროვინციის შინაგან საქმეთა განყოფილების უწყებრივ დაქვემდებარებაში. მისი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია; მას აქვს ახლო ნათესავებთან პაემანის უფლება. მას არ შეხება 2001 წლის 22 აგვის-



ტოს განკარგულებით გამოცხადებული ამნისტია.“

33. 2001 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ 2001 წლის 19 ოქტომბერს ტაშკენტიში თურქეთის საელჩოს ორმა წარმომადგენელმა მოინახულა განმცხადებლები ზარაფმანის და შაიჰალის ციხეებში, რომლებიც შესაბამისად 750 და 560 კილომეტრით არის დაშორებული ტაშკენტიდან. საელჩოს წარმომადგენლების განცხადებით, განმცხადებელთა ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელი იყო და მათ საჩივარი ციხის პირობებთან დაკავშირებით არ გამოუთქვამთ.

34. 2001 წლის 3 დეკემბერს უზბეკეთის ხელისუფლებამ მთავრობას გადასცა სამედიცინო ცნობები, რომლებიც შედგენილი იყო სამხედრო ექიმების მიერ იმ ციხეებში, სადაც განმცხადებლები იხდიან სასჯელს. ექიმებმა დაასკვნეს:

„... ბატონი მამატკულოვი სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებული იქნა 2000 წლის 9 დეკემბერს. შემოყვანისას ჯანმრთელობას არ უჩიოდა. 2000 წლის 14 დეკემბრის და 2001 წლის 2 აპრილის გამოკვლევებით, მას რაიმე პათოლოგიური სიმპტომები არ აღენიშნებოდა.

2001 წლის 19 ნოემბერს პატიმარმა მიმართა ციხის სამედიცინო პუნქტს საერთო სისუსტის და ხშირი ხველების ჩივილით. ... გამოკვლევის შედეგად მას დაესვა მწვავე ბრონქიტის დიაგნოზი და დაენიშნა მედიკამენტი...“

„... ბატონი ასკაროვი აბდურასულოვის ძე სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებული იქნა 2001 წლის 21 ივლისს. შემოყვანისას ჯანმრთელობას არ უჩიოდა. 2001 წლის 25 ივლისის, 30 აგვისტოს და 23 ოქტომბრის გამოკვლევებით, მას რაიმე პათოლოგიური სიმპტომები არ აღენიშნებოდა...“

35. უზბეკეთის ხელისუფლების მიერ მიწოდებული სიების საფუძველზე მთავრობამ სასამართლოს 2004 წლის 16 აპრილს აცნობა, რომ განმცხადებლებს რამდენჯერმე ჰქონდათ პაემანი თავიანთ ახლო ნათესავებთან 2002 წლის იანვარსა და 2004 წელს შორის პერიოდში.

36. დღეის მდგომარეობით განმცხადებლების წარმომადგენლებმა მათთან დაკავშირება ვერ შეძლეს.

## II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

### A. სისხლის სამართალი

37. სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში ნათქვამია:

„თურქეთის სახელმწიფო არ დააკმაყოფილებს უცხო ქვეყნის თხოვნას უცხოელის გადაცემის შესახებ იმ დანაშაულების გამო, რომლებიც პოლიტიკური ხასიათისა ან პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.

უცხოელის გადაცემის შესახებ უცხო ქვეყნის თხოვნის განხილვისას შესაბამისი პირის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადობის მქონე სისხლის სამართლის სასამართლომ უნდა დაადგინოს აღნიშნული პირის მოქალაქეობა და დანაშაულის ხასიათი.

თხოვნა გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდება, თუ სისხლის სამართლის სასამართლო დაადგენს, რომ შესაბამისი პირი არის თურქეთის მოქალაქე ან რომ ჩადენილი დანაშაული არის პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის ან დაკავშირებულია ასეთ დანაშაულთან.

თუ სისხლის სამართლის სასამართლო დაადგენს, რომ შესაბამისი პირი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და ჩადენილი დანაშაული ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულია, მთავრობამ შეიძლება დააკმაყოფილოს თხოვნა გადაცემის შესახებ...“

## **B. ექსტრადიცია**

38. თურქეთსა და უზბეკეთს შორის ექსტრადიციის საკითხებს არეგულირებს „ხელშეკრულება თურქეთის რესპუბლიკასა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, კომერციულ და სისხლის სამართლის საკითხებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 18 დეკემბერს. ამ ხელშეკრულების შესაბამისი დებულების თანახმად: „თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით, გადასცეს მეორე მხარეს მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალი წაეყენა ან რომელიც მსჯავრდებული იქნა მეორე მხარის იურისდიქციაში შემავალ დანაშაულში“.

## **III. შესაბამისი საერთაშორისო სამართალი და პრაქტიკა**

### **A. 1969 წლის ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ**

39. 1969 წლის ვენის კონვენციის 31-ე მუხლის (რომლის სათაურია „განმარტების ზოგადი წესი“) თანახმად:

„1. ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, ხელშეკრულების დებულებათა ჩვეულებრივი მნიშვნელობით, მათ კონტექსტში, და ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების განმარტების მიზნებისთვის კონტექსტი, ტექსტთან ერთად, პრეამბულის და დანართების ჩათვლით, მოიცავს:

(ა) ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეთანხმებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყველა მხარეს შორის ხელშეკრულების დადებისას დაკავშირებით;

(ბ) ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც შედგენილი იქნა ერთი ან მეტი მხარის მიერ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით და რომელიც სხვა მხარეების მიერ მიღებული იყო, როგორც ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტი.

3. კონტექსტთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

(ა) ნებისმიერი შემდგომი შეთანხმება მხარეთა შორის ხელშეკრულების განმარტებასთან ან მისი დებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით;

(ბ) ნებისმიერი შემდგომი პრაქტიკა ხელშეკრულების გამოყენებისა, რომელიც ადგენს მხარეთა შეთანხმებას მის განმარტებასთან დაკავშირებით;

(ც) ნებისმიერი შესაბამისი ნორმა საერთაშორისო სამართლისა, რომელიც გამოიყენება მხარეთა შორის ურთიერთობებში.

4. დებულებას უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუ დადგინდება, რომ მხარეებს ჰქონდათ ასეთი განზრახვა.“

## B. ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო სისტემები

1. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი

40. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის რეგლამენტის 86-ე მუხლი ადგენს:

„შეტყობინებასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებების მონაწილე სახელმწიფოსთვის გაზიარებამდე კომიტეტს შეუძლია აცნობოს ამ სახელმწიფოს თავისი მოსაზრება, სასურველია თუ არა დროებითი ღონისძიების გამოყენება სავარაუდო დარღვევით დაზარალებულისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაში კომიტეტი ვალდებულია, მონაწილე სახელმწიფოს აცნობოს, რომ მისი აღნიშნული მოსაზრება დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებით არ გულისხმობს, რომ კომიტეტს მიღებული აქვს გადაწყვეტილება შეტყობინების შინაარსის არსებითი ნაწილის შესახებ.“

41. 1994 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებაში (საქმეზე *Glen Ashby v. Trinidad and Tobago*) კომიტეტს პირველად მოუწია იმ ვითარების შეფასება, როდესაც სახელმწიფომ უარი თქვა დროებითი ღონისძიების შესრულებაზე, რომელიც გამოიხატებოდა ამ სახელმწიფოსადმი თხოვნით, შეეჩერებინა სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანა. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების შედეგად მონაწილე სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, ეთანამშრომლა კომიტეტთან ოქმით გათვალისწინებულ საქმეებზე; კომიტეტმა განაცხადა, რომ მოცემულმა სახელმწიფომ არ შეასრულა მასზე ფაკულტატური ოქმით და პაქტით დაკისრებული ვალდებულება (ადამიან-

ნის უფლებათა კომიტეტის ანგარიში, ტომი I).

42. 2000 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმეზე *Dante Piandiong, Jesus Morallos and Archie Bulan v. the Philippines*) კომიტეტმა განაცხადა:

„ფაკულტატურ ოქმზე მიერთებით პაქტის მონაწილე სახელმწიფო აღიარებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის უფლებამოსილებას, მიიღოს და განიხილოს იმ ფიზიკურ პირთა შეტყობინებები, რომლებიც თავს პაქტით გათვალისწინებული რომელიმე უფლების დარღვევით დაზარალებულად მიიჩნევენ (პრეამბულა და მუხლი პირველი). სახელმწიფოს ოქმზე მიერთება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ვალდებულების აღებას, კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს კომიტეტთან და მისცეს კომიტეტს უფლება და საშუალება, განიხილოს აღნიშნული შეტყობინებები, ხოლო განხილვის შემდეგ მისი მოსაზრებები შეატყობინოს მონაწილე სახელმწიფოს და შესაბამის ფიზიკურ პირს (მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები). ამ ვალდებულებების შეუსრულებლობაა, როდესაც მონაწილე სახელმწიფო ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც ხელს უშლის ან იმედს უცრუებს კომიტეტს მის მიერ შეტყობინების განხილვასა და გამოკვლევაში, ასევე მის მოსაზრებათა გამოთქმაში.

გარდა პაქტის დარღვევებისა, რომლებშიც შეტყობინების ავტორი ბრალს სდებს ხოლმე მონაწილე სახელმწიფოს, სახელმწიფო ჩადის ფაკულტატური ოქმით მასზე დაკისრებული ვალდებულებების მიძიმე დარღვევას, თუ თავისი ქმედებით ხელს უშლის ან იმედს უცრუებს კომიტეტს პაქტის სავარაუდო დარღვევის განხილვაში, ან ეჭვქვეშ აყენებს კომიტეტის განხილვის შედეგებს, ანდა კომიტეტის მიერ მის მოსაზრებათა გამოთქმას უშედეგო და არაფრისმომცემ ელფერს აძლევს.

...

კომიტეტის მიერ მისი რეგლამენტის 86-ე მუხლის შესაბამისად და პაქტის 39-ე მუხლის საფუძველზე მიღებული დროებითი ღონისძიებები არსებითია კომიტეტის როლის მნიშვნელობისთვის. რეგლამენტის შეუსრულებლობა, განსაკუთრებით ისეთი შეუქცევადი ქმედებებით, როგორცაა სავარაუდო დაზარალებულის მიმართ სასჯელის სისრულეში მოყვანა ან მისი ქვეყნიდან დეპორტაცია, ძირს უთხრის პაქტით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფას ფაკულტატური ოქმის მეშვეობით.“

კომიტეტმა ეს პრინციპი გაიმეორა 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებაშიც (საქმეზე *Sholam Weiss v. Austria*).

## 2. გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი

43. გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეგლამენტის 108-ე მუხლის მე-9 პუნქტი უშვებს დროებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას საქმის წარმოებაში, რომელიც აღძრულია ფიზიკური პირის მიერ

ნამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ კონვენციის სავარაუდო დარღვევის საფუძველზე. ამ მუხლში ნათქვამია:

„შეტყობინების დასაშვებობის საკითხის განხილვისას კომიტეტს ან 106-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დანიშნულ სამუშაო ჯგუფს ან საგანგებო წარმომადგენელს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს გარკვეული ზომების მიღება სავარაუდო დაზარალებულისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით. მონაწილე სახელმწიფოსადმი აღნიშნული თხოვნა არ გულისხმობს, რომ რაიმე გადაწყვეტილება იქნა მიღებული შეტყობინების დასაშვებობაზე.“

44 საქმეში, რომელშიც ვენესუელაში მცხოვრები პერუს მოქალაქე ექსტრადირებული იქნა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ვენესუელისადმი კომიტეტის თხოვნა დროებითი ღონისძიების სახით ამ პირის ექსტრადიციის შეჩერებისა (*Cecilia Rosana Núñez Chipana v. Venezuela*, 1998 წლის 10 ნოემბერი), ნამების საწინააღმდეგო კომიტეტმა განაცხადა, რომ აღნიშნულმა სახელმწიფომ „არ გაითვალისწინა კონვენციის სულისკვეთება“. კერძოდ, კომიტეტმა აღნიშნა:

„... კონვენციის რატიფიცირებით და 22-ე მუხლის მიხედვით კომიტეტის უფლებამოსილების ნებაყოფლობით აღიარების შედეგად მონაწილე სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, კეთილსინდისიერად ეთანამშრომლა კომიტეტთან პროცედურების შესრულებაში. კომიტეტის მიერ მოთხოვნილი დროებითი ღონისძიებების შესრულება იმ შემთხვევებში, როდესაც კომიტეტი ამას საჭიროდ მიიჩნევს, არსებითი მნიშვნელობისაა შესაბამისი პირის დაცვისათვის გამოუსწორებელი ზიანისგან, რომლის დადგომამაც შეიძლება უშედეგო გახადოს კომიტეტის წინაშე წარმოების საბოლოო შედეგი.“

45. კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა კანადაში მცხოვრები ინდოეთის მოქალაქის ექსტრადიციას ინდოეთში (*T.P.S. v. Canada*, 2000 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება), მიუხედავად იმისა, რომ კანადას დროებითი ღონისძიების სახით ეთხოვა ექსტრადიციის შეჩერება, ნამების საწინააღმდეგო კომიტეტმა გაიმეორა, რომ მოთხოვნილი დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობამ „... შეიძლება ... აზრი დაუკარგოს კომიტეტის წინაშე წარმოების საბოლოო შედეგს“.

### C. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

46. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 41-ე მუხლის თანახმად:

„1. სასამართლოს უფლება აქვს, თუ, მისი აზრით, გარემოებები ამას მოითხოვს, მიუთითოს დროებითი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც საჭიროა სამართალწარმოების მხარის შესაბამისი უფლებების დასაცავად.“

2. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მითითებული ღონისძიებების შესახებ ეცნობება სამართალწარმოების მხარეებს და უშიშროების საბჭოს.“

47. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ რიგ საქმეებზე აღნიშნა, რომ დროებითი ღონისძიებების მიზანია დავის მონაწილე მხარეთა შესაბამისი უფლებების დაცვა (იხ., მაგალითად, 1986 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Nicaragua v. United States of America*). 1993 წლის 13 სექტემბრის ბრძანებაში საქმეზე, რომელიც ეხებოდა „გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ კონვენციის“ გამოყენებას (*Bosnia and Herzegovina v. Yugoslavia*), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილების

„... მიზანია, დაიცვას მხარეთა შესაბამისი უფლებები სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე და გულისხმობს, რომ გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე არ უნდა შეექმნას იმ უფლებებს, რომლებიც დავის საგანია სამართალწარმოების დროს; და ... სასამართლო დაინტერესებულია, აღნიშნული ღონისძიებების მეშვეობით დაიცვას ეს უფლებები, რომლებიც შემდგომში სასამართლომ შეიძლება მიაკუთვნოს მოსარჩელეს ან მოპასუხეს.“

48. 2001 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში ლაგრანდის საქმეზე (*Germany v. United States of America*) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა:

„102. ... კონტექსტი, რომელშიც 41-ე მუხლი უნდა იქნეს განხილული წესდების ფარგლებში, არის იმის უზრუნველყოფა, რომ სასამართლოს ხელი არ შეეშალოს თავისი ფუნქციების განხორციელებაში იმის გამო, რომ დავის მონაწილე მხარეთა შესაბამისი უფლებები დაცული არ არის. წესდების ობიექტიდან და მიზნიდან, ასევე ამ კონტექსტში წაკითხული 41-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ დროებითი ღონისძიებების მითითება გულისხმობს, რომ ამ დროებითი ღონისძიებების შესრულება არის სავალდებულო, ვინაიდან მითითების გაკეთების უფლებამოსილება, როცა გარემოებები ამას მოითხოვს, ეფუძნება მხარეთა უფლებების დაცვისა და მათი საფრთხის ქვეშ დაყენების თავიდან აცილების აუცილებლობას, იმ უფლებებისა, რომელთა ბედიც უნდა გადაწყდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით. განცხადება, რომ 41-ე მუხლის შესაბამისად მითითებული დროებითი ღონისძიებები სავალდებულო არ არის, ეწინააღმდეგება ამავე მუხლის ობიექტსა და მიზანს.“

103. ამასთან დაკავშირებული გარემოება, რომელიც მიუთითებს 41-ე მუხლის შესაბამისად გამოცემულ ბრძანებათა სავალდებულო ხასიათზე და რომელსაც სასამართლო მნიშვნელოვნად თვლის, არის იმ პრინციპის არსებობა, რომელიც უკვე აღიარებული იქნა მართლმსაჯულების საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლოს მიერ, როდესაც ის საუბრობდა

„საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ და, შესაბამისად, მრავალ კონვენციაში ჩადებულ პრინციპზე, ... რომ სამართალწარმოების მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებისგან, რომელიც უარყოფით გავლენას იქონიებს გამოსატანი გადანაცვეტილების აღსრულებაზე, და, ზოგადად, არ უნდა დაუშვან ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელმაც შეიძლება გააუარესოს ან გაახანგრძლივოს დავა“ (სოფიის და ბულგარეთის ენერგეტიკული კომპანია, 1939 წლის 5 დეკემბრის ბრძანება...)“.

ეს მიდგომა შემდგომში კიდევ დადასტურდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2004 წლის 31 მარტის გადანაცვეტილებაში ავენას და სხვა მექსიკელი მოქალაქეების საქმეზე (*Mexico v. United States of America*).

## D. ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული სისტემა

### 1. ადამიანის უფლებათა ამერიკული კომისია

49. ადამიანის უფლებათა ამერიკული კომისიის რეგლამენტის 25-ე მუხლის თანახმად:

„ 1. რთულ და გადაუდებელ საქმეებზე და როდესაც არსებული ინფორმაციის მიხედვით საჭიროება მოითხოვს, კომისიას შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით, მოსთხოვოს შესაბამის სახელმწიფოს პრევენციული ღონისძიებების გატარება პირებისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

2. როდესაც კომისიის სხდომები არ ტარდება, თავმჯდომარე ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილეები, აღმასრულებელი სამდივნოს მეშვეობით, ატარებენ კონსულტაციებს სხვა წევრებთან წინა პუნქტით გათვალისწინებული დებულების გამოყენების თაობაზე. თუ მოცემულ გარემოებებში გონივრულ ვადაში შეუძლებელია კონსულტაციების ჩატარება, თავმჯდომარე ან, შესაბამის შემთხვევებში, თავმჯდომარის მოადგილეები იღებენ გადანაცვეტილებას კომისიის სახელით და აღნიშნულის შესახებ ატყობინებენ წევრებს.

3. კომისიას უფლება აქვს, დაინტერესებულ მხარეებს მოსთხოვოს ინფორმაცია პრევენციული ზომების გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

4. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება და სახელმწიფოს მიერ მისი შესრულება არ ნიშნავს წინასწარ გადანაცვეტილებას საქმის არსებითი გარემოებების შესახებ.“

50. პრევენციული ღონისძიებების ფარგლები განისაზღვრება კომისიის მიერ ინდივიდუალურ საჩივრებზე მიღებული რეკომენდაციებით. 1997 წლის 17 სექტემბრის გადანაცვეტილებაში საქმეზე *Loayza Tamayo v. Peru* ადამიანის

უფლებათა ამერიკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს „აქვს ვალდებულება, ყოველმხრივ ეცადოს, შეასრულოს ისეთი დაცვითი ორგანოს რეკომენდაციები, როგორცაა ამერიკული კომისია, რომელიც, მართლაც, ერთ-ერთი ძირითადი ორგანოა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და რომლის ფუქციაა „ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა“...“

## 2. ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო

51. ადამიანის უფლებათა ამერიკული კოვენციის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

„განსაკუთრებული სირთულის და გადაუდებელ საქმეებზე, როდესაც აუცილებელია პირებისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თავიდან აცილება, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ისეთი დროებითი ღონისძიებების გამოყენება, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე. სასამართლოსთვის ჯერ წარუდგენელი საქმის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია იმოქმედოს კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე.“

52. ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლოს რეგლამენტის 25-ე მუხლის თანახმად:

„1. განსაკუთრებული სირთულის და გადაუდებელ საქმეებზე, სამართალწარმოების ნებისმიერ დროს, როდესაც აუცილებელია პირებისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თავიდან აცილება, სასამართლოს, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, შეუძლია გამოსცეს ბრძანება ისეთი დროებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის, კოვენციის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.“

2. სასამართლოსთვის ჯერ წარუდგენელი საქმის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია იმოქმედოს კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე.

3. შუამდგომლობა შეიძლება წარედგინოს თავმჯდომარეს ან სამდივნოს, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით. ყოველი საქმის შემთხვევაში შუამდგომლობის მიმღები ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს იგი თავმჯდომარეს.

4. თუ სასამართლოს სხდომები არ ტარდება, თავმჯდომარე, მუდმივმოქმედ კომისიასთან და, თუ შესაძლებელია, სხვა მოსამართლეებთან შეთანხმებით, მოიწვევს შესაბამის მთავრობას, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ისეთი გადაუდებელი ზომები, რაც აუცილებელია იმ დროებითი ღონისძიებების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც სასამართლომ შეიძლება გამოსცეს მის მომდევნო სხდომაზე.



5. სასამართლოს, ხოლო თუ სასამართლოს სხდომები არ ტარდება — თავმჯდომარეს, შეუძლია მოიწვიოს მხარეები საჯარო მოსმენაზე დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებით.

6. გენერალური ასამბლეისთვის წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშში სასამართლომ უნდა აღნიშნოს საანგარიშო პერიოდში მის მიერ დროებითი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული ბრძანებების შესახებ. თუ აღნიშნული ბრძანებები ჯეროვნად არ შესრულებულა, სასამართლოს შეუძლია წარმოადგინოს ისეთი რეკომენდაციები, როგორსაც საჭიროდ ჩათვლის.“

53. ამერიკულმა სასამართლომ რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ დროებითი ღონისძიებების შესრულება აუცილებელია საქმის არსებითი გარემოებების თაობაზე გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის მიზნით (იხ., სხვა წყაროებს შორის, შემდეგი ბრძანებები: 1991 წლის 1 აგვისტო, *Chuminā v. Peru*; 1996 წლის 2 ივლისი და 13 სექტემბერი, 1997 წლის 11 ნოემბერი და 2001 წლის 3 თებერვალი, *Loayza Tamayo v. Peru*; 1999 წლის 25 მაისი და 25 სექტემბერი, 2000 წლის 16 აგვისტო და 24 ნოემბერი, 2002 წლის 3 სექტემბერი, *James et al. v. Trinidad and Tobago*; 2000 წლის 7 და 18 აგვისტო, *Haitians and Dominican Nationals of Haitian Origin in the Dominican Republic v. Dominican Republic*; 2000 წლის 10 აგვისტო და 12 ნოემბერი, 2001 წლის 30 მაისი, *Alvarez et al. v. Colombia*; 2002 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება, *Hilaire, Constantine, Benjamin et al. v. Trinidad and Tobago*).

დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ ორ ბრძანებაში ადამიანის უფლებათა ამერიკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა „სრულად და კეთილსინდისიერად (*pacta sunt servanda*) უნდა შეასრულონ კონვენციის ყველა დებულება, მათ შორის ის დებულებებიც, რომლებიც ეხება ამერიკული კონვენციით გათვალისწინებული ორი სამეთვალყურეო ორგანოს [სასამართლო და კომისია] საქმიანობას; აგრეთვე, კონვენციის ძირითადი მიზნის — ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის (მუხლები 1(1), 2, 51 და 63(2)) — გარანტიების თვალსაზრისით, მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომლებმაც შეიძლება აზრი დაუკარგოს სავარაუდო დაზარალებულთა დარღვეული უფლებების აღდგენას“ (იხ. 1999 წლის 25 მაისის და 25 სექტემბრის ბრძანებები საქმეზე *James et al. v. Trinidad and Tobago*).

#### IV. “Amnesty International”-ის ბრიფინგი და ანგარიში უზბეკეთის შესახებ

54. რაც შეეხება ვითარებას უზბეკეთში საქმისთვის მნიშვნელოვან დროს, “Amnesty International”-მა გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისათვის გამართული ბრიფინგის დოკუმენტში, რომელიც გამოქვეყნდა 1999 წლის ოქტომბერში, განაცხადა:

„...“*Amnesty International*” კვლავაც შემფოთებულია იმით, რომ უზბეკეთმა ვერ შეძლო მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება, მიუხედავად ფართო ხასიათის, ოფიციალურად მხარდაჭერილი მრავალი ეროვნული ინიციატივისა ადამიანის უფლებათა სწავლების და დემოკრატიზაციის, სასამართლო და საკანონმდებლო რეფორმების სფეროებში, რომელთა მიზანი ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა იყო.”

1997 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, როდესაც რამდენიმე სამართალდამცავის მკვლელობას ნამანგანის რაიონში მოჰყვა მასობრივი დაჭრების და დაპატიმრებების ტალღა, ორგანიზაციამ მხარდი რაოდენობის შეტყობინებები მიიღო სამართალდამცავების მიერ უკანონო მოპყრობის შესახებ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დამოუკიდებელი ისლამური საზოგადოებების წევრებად ან დამოუკიდებელი იმამების (ისლამური ლიდერების) მიმდევრებად მიიჩნეოდნენ. ასობით ე.წ. „ვაჰაბისტს“ მიესაჯა ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა იმ სასამართლო პროცესების მეშვეობით, რომლებიც არ აკმაყოფილებდა სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებს. ორგანიზაციის შემფოთება კიდევ უფრო გაიზარდა 1999 წლის თებერვალში, როდესაც ასობით ადამიანი, მამაკაცები და ქალები, დაკავებულნი იქნენ დედაქალაქ ტაშკენტში ექვსი ბომბის აფეთქების შემდეგ. ამჯერად დაპატიმრებულთა, ნანამებთა და იმ ადამიანთა სიაში, ვისაც უკანონოდ მოეპყრნენ, შედიოდნენ აკრძალული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების — „ერკისა“ და „ბირლიკის“ — მომხრეობაში ეჭვმიტანილები, მათ შორის მათი ოჯახის წევრები და ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი დამკვირვებლები, ასევე ისეთი აკრძალული ისლამური ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების სავარაუდო მომხრეები, როგორიცაა „ჰიზბ-უტ-ტაჰრირი“. ყველაში თუ არა, იმ საქმეთა უმრავლესობაში, რომელთა შესახებაც *“Amnesty International”*-ისთვის გახდა ცნობილი, დაკავებულებს უარი ეთქვათ მათ მიერ შერჩეულ ადვოკატთან და ოჯახთან დაკავშირებაზე და სამედიცინო დახმარებაზე. შესაბამისი ხელისუფლების ორგანოები, პროკურორებით დაწყებული და სასამართლოებისა და საპარლამენტო ომბუდსმენის ჩათვლით, პერმანენტულად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, ჩატარებინათ წამებისა და უკანონო მოპყრობის მრავალი შეტყობინების დროული, სრული და დამოუკიდებელი გამოძიება. დამოუკიდებელი და სანდო წყაროების მიხედვით, თვითალიარებითი ჩვენებები, რომლებიც, სავარაუდოდ, წამების შედეგად იქნა მოპოვებული, რუტინულად იყო წარმოდგენილი სისხლის სამართალწარმოების პროცესებზე და *“Amnesty International”*-ის დაკვირვების ქვეშ მყოფ მრავალ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას დაედო საფუძვლად. *“Amnesty International”* შეაშფოთა უზბეკეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა, მათ შორის უზბეკეთის პრეზიდენტის, საჯარო განცხადებებმა ნამანგანის მკვლელობებთან და ტაშკენტში აფეთქებებთან დაკავშირებით; ეს განცხადებები, თუ არა პირდაპირი სანქციონირება ძალადობის გამოყენებისა სახელმწიფო მოხელეების მიერ მოსახლეობის გარკვეული

წრეების მიმართ, სულ ცოტა ისეთი უკანონო მეთოდების გამოყენებასთან შერიგებად მაინც აღიქმებოდა, როგორცაა წამება და უკანონო მოპყრობა. მაგალითად, 1999 წლის აპრილში პრეზიდენტმა კარიმოვმა, რომელსაც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გარანტიად გვაჩვენებენ, საჯაროდ განაცხადა, რომ ის მზად იყო, ორასი კაცისთვის თავი წაეძრო უზბეკეთის თავისუფლებისა და სტაბილურობის დასაცავად... „Amnesty International“ შეშფოთებულია, რომ ასეთი განცხადებები, იმასთან ერთად, რომ ხელისუფლება პერმანენტულად არ ახორციელებს წამებისა და უკანონო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების მიუკერძოებელ და ყოველმხრივ გამოძიებას, შეიძლება ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ წამება და უკანონო მოპყრობა სამართალდამცავთა მხრიდან არის მისაღები და თვით აუცილებელიც კი და რომ ეს ქმედებები მათი მხრიდან დაუსჯელი იქნება.

ბრიფინგის დოკუმენტის მიზანი არ არის უზბეკეთში წამებისა და უკანონო მოპყრობის ყოვლისმომცველი განხილვა. ის მხოლოდ ყურადღებას ამახვილებს კონვენციის იმ დებულებებზე, რომლებიც ყველაზე მეტადაა კავშირში „Amnesty International“-ის მიერ დაფიქსირებულ ამჟამინდელ და ყველაზე გადაუდებელ პრობლემებთან.

წამების ქმედებათა კრიმინალიზების განუხორციელებლობა (მუხლი 4)

უზბეკეთი სრულად არ ასრულებს [წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ] კონვენციის მე-4 მუხლის მოთხოვნას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს წამების ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დასჯადობა და მათთვის სასჯელების განსაზღვრა დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით.

მართალია, კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისად კრძალავს და დასჯადად აცხადებს წამების ქმედებებს, ისინი არ შეიცავს კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებულ წამების განმარტებას.

...

[უზბეკეთის] სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლი დასჯადად აცხადებს იძულების გამოყენებით ჩვენების მიღებას. მართალია, იძულების მეთოდები გარკვევითაა ჩამოთვლილი (ცემა, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, წამება) და განსაზღვრულია დანაშაულის სუბიექტთა წრე (გამოძიების და დაკითხვის მწარმოებელი პირები, პროკურორები), აღნიშნული მუხლი მაინც გაცილებით ვიწრო განმარტებას შეიცავს კონვენციის პირველ მუხლთან შედარებით. მაქსიმალური სასჯელი, რომელიც ამ მუხლითაა გათვალისწინებული, არის თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით, მათ შორის 110-ე მუხლით, დასჯადია სხვადასხვა სახის თავდასხმა, მაგრამ ისინი კონკრეტულად ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ეხება... უზბეკურ

პრესაში გამოქვეყნებული იყო, რომ ეჭვმიტანილთა დაკავებისა და დაკითხვის დროს უკანონო მეთოდების გამოყენების გამო პასუხისმგებლობა მიეცნენ სამართალდამცავები. თუმცა, “Amnesty International”-ის ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსის ხსენებული მუხლებით არ გასამართლებულა არც ერთი იმ სამართალდამცავთაგან, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლებმა წამების ქმედებათა ჩამდენებად დაასახელეს და რომელთა ქმედებების შესახებ მიმართეს “Amnesty International”-ს.

გარდა ამისა, “Amnesty International”-მა მიიღო სარწმუნო შეტყობინებები იმასთან დაკავშირებით, რომ ეჭვმიტანილებს უარს ეუბნებოდნენ მათი არჩევით ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე. ხშირად ადვოკატებს სამართალდამცავები ეჭვმიტანილებთან შეხვედრის უფლებას მხოლოდ მას შემდეგ აძლევენ, რაც ეჭვმიტანილი რამდენიმე დღეს დაკავებაში გაატარებს — ანუ იმ პერიოდის შემდეგ, როდესაც ყველაზე მაალაია წამებისა და უკანონო მოპყრობის საფრთხე. ბევრ შემთხვევაში სამართალდამცავები ადვოკატს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან შეხვედრის უფლებას აძლევენ ეჭვმიტანილის მიერ აღიარებითი ჩვენების მიცემის შემდეგ, როცა ადვოკატებს მათ კლიენტებთან შეხვედრის უფლება ეძლევათ, ეს შეხვედრები, როგორც წესი, იშვიათია, რადგან ადვოკატებს უჭირთ მათი კანონით გაწვდილი უფლების — კლიენტთან შეუზღუდავად შეხვედრის — განხორციელება. ადვოკატებს იშვიათად ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ გამოძიების ყველა ეტაპზე ...

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი გარკვევით კრძალავს წამების გამოყენებას და მოსამართლეს, პროკურორს, გამოძიებელს და დაკითხვის მწარმოებელ პირს ავალდებულებს, პატივი სცენ ადამიანის პატივსა და ღირსებას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. მიუხედავად ამისა, “Amnesty International”-მა მიიღო უთვალავი შეტყობინება სხვადასხვა წყაროებიდან — ყოფილი პატიმრებისგან, პატიმრების ნათესავებისგან, ადვოკატებისგან, ადამიანის უფლებათა დამკვირვებლებისგან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, დიპლომატებისგან, სასამართლო დოკუმენტების ასლებიდან — რომ სამართალდამცავები აგრძელებენ რუტინულ დარღვევას იურიდიული ვალდებულებისა, რომ არც ერთი ადამიანი არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას.

...  
ციხის პირობები

მიღებული ინფორმაციის თანახმად, წინასწარ პატიმრობაში დაკავებულთა ყოფნის პირობები იმდენად ცუდია, რომ უთანაბრდება სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. 1997 წელს უზბეკეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ დაკავების პირობები შორს იყო გაერო-ს მინიმალური სტანდარტებისგან პატიმართა მოპყრობის შესახებ. საკნების გადატვირთუ-

ლობა ჩვეულებრივი მოვლენაა, ერთ სანოლზე სულ მცირე ორი პატიმარი მოდის, რომელთაც რიგრიგობით სძინავთ. არასათანადო სანიტარული პირობები, საკვებისა და მინიმალური სამედიცინო დახმარების ნაკლებობა ზრდის დაავადებათა, მაგალითად, ტუბერკულოზის, საშიშროებას. ყოფილმა პატიმრებმა დაკავების საკნები დაახასიათეს, როგორც მხოლოდ ერთი მეტრის სიგრძის მინისქვეშა „ხვრელები“, სადაც დასადგომი ადგილი მხოლოდ კარებთან ახლოსაა. საკანი სიმაღლეში მარტო 1,5 მეტრია, რის გამოც პატიმარს მოხრილს და მჯდომარეს თუ შეუძლია ყოფნა. ასევე, საკნები სავსეა პარაზიტებით. რაც შეეხება სიკვდილმისჯილთა პირობებს, ამ შეტყობინებების შემონიშნა რთულია, რადგან უზბეკეთის ხელისუფლება უარს ამბობს დამოუკიდებელი დამკვირვებლების დაშვებაზე.“

55. 2002 წლის 28 მაისის წლიურ ანგარიშში “*Amnesty International*”-მა უზბეკეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში აღნიშნა:

„დაუსრულებლად გრძელდებოდა შეტყობინებები სამართალდამცავების მიერ აკრძალული ისლამისტური ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების, როგორცაა „ჰიზ-უტ-ტაჰირი“, მხარდამჭერთა მიმართ უკანონო მოპყრობისა და მათი წამების შესახებ. ათასობით მორწმუნე მუსლიმი და აკრძალული საერო ოპოზიციური პარტიების — „ერკისა“ და „ბირლიკის“ — ათობით წევრი და მხარდამჭერი იხდის პატიმრობის ხანგრძლივ სასჯელს იმ მსჯავრდების შედეგად, რომელიც განხორციელდა უსამართლოდ, უკანონო პარტიის წევრობის, უკანონო რელიგიური ლიტერატურის გავრცელებისა და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის საფუძველით. ასევე მიღებული იყო შეტყობინებები, რომ მორწმუნე მუსლიმი პატიმრები ცალკე დაკავების ადგილებში — ციხის ბანაკებში — იქნენ მოთავსებულნი განსაკუთრებით სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მიზნით. რამდენიმე პატიმარი, მათ შორის ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი, გარდაიცვალა დაკავებაში, სავარაუდოდ, წამების შედეგად. სულ ცოტა 22 სასიკვდილო განაჩენი იქნა გამოტანილი, არსებული ინფორმაციით, უკანონო სასამართლო პროცესების შედეგად და აქედან ოთხი სასჯელი მაინც სისრულეში იქნა მოყვანილი.

...

ნოემბერში მუჰამედ სალიჰი — აკრძალული ოპოზიციური დემოკრატიული პარტია „ერკის“ გაძევებული ლიდერი — დაკავებული იქნა ჩეხეთის პოლიციის მიერ პრალის აეროპორტში, ჩეხეთის რესპუბლიკაში. იგი დაკავებაში იმყოფებოდა უზბეკეთის მიერ გაგზავნილი ექსტრადიციის მოთხოვნის განხილვამდე. დეკემბერში იგი გაათავისუფლეს, რის შემდეგაც დაბრუნდა ნორვეგიაში, სადაც 1999 წელს ლტოლვილის სტატუსი მიიღო, მას შემდეგ, რაც პრალის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა უზბეკეთის ექსტრადიციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სექტემბერში პრეზიდენტმა კარიმოვმა საჯაროდ განაცხადა, რომ ყოველ წელიწადს 100 ადამიანი იხჯებოდა სიკვდილით. ოქტომბერში სიკვდილით

დასჯადი დანაშაულების რაოდენობა ოთხამდე შემცირდა.

შეტყობინებები წამებისა და უკანონო მოპყრობის შესახებ

...

გრძელდებოდა შეტყობინებები, რომ დაკავების ადგილებში, განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის ციხის ბანაკებში, მორწმუნე მუსლიმ პატიმრებს აცალკევებდნენ განსაკუთრებით სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მიზნით ...

[2001 წლის] ივნისში მთაში მცხოვრები სოფლები, 73 ეთნიკური ტაჯიკი, დამნაშავედ ცნეს „იმუსთან“ თანამშრომლობაში, როდესაც ისინი უზბეკეთში შეიჭრნენ 2000 წლის აგვისტოში; მათ ოთხ განცალკევებულ დახურულ სასამართლო სხდომაზე სამიდან თვრამეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტს არწმუნებდა, რომ იგი ზომებს იღებდა სოფლების ევაკუაციისათვის, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, და რომ ამ იძულებით გადაადგილებული სოფლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები არ აღიძრებოდა. ჯგუფური გასამართლებები, რომლებიც ერთდროულად და სრულიად მოულოდნელად დაიწყო მაისის ბოლოს ტაშკენტში, ტარდებოდა განცალკევებულ სასამართლო შენობებში, რომლებსაც შეიარაღებული პოლიცია იცავდა. ნათესავებს, რომლებიც სასამართლო სხდომებზე დასწრებას ცდილობდნენ, ჩვენი ინფორმაციით, აშინებდნენ და აიძულებდნენ, დაეტოვებინათ ქალაქი.

მხოლოდ ერთმა უცხოელმა დამკვირვებელმა — არასამთავრობო ორგანიზაცია *“Human Rights Watch”*-ის წარმომადგენელმა — შეძლო ერთ სასამართლო სხდომაზე დასწრება. ყველა სხვას, მათ შორის უცხოელ დიპლომატებს, ადამიანის უფლებათა ადგილობრივ დამკვირვებლებს და მედიას, ეს ეკრძალებოდა.

*“Human Rights Watch”*-ის დამკვირვებლის თქმით, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე არსებითი მტკიცებულება, რაც ბრალდებულთა ბრალს დაადასტურებდა. გასამართლებამდე ყველა ბრალდებული მონყვეტილი იყო გარე სამყაროს; მათ არ ჰქონდათ საშუალება, წარმოდგენილი ყოფილიყვნენ მათ მიერ არჩეული ადვოკატის მიერ. ჩვენი ინფორმაციით, სასამართლო განხილვისას ბრალდებულებმა უკან წაიღეს თავიანთი აღიარებითი ჩვენებები და განაცხადეს, რომ აწამებდნენ შეითხინილი ბრალდებულების აღიარების მიზნით. ბრალდებულთა თქმით, მათ აიძულებდნენ, დაემასხვრებინათ და შემდგომში ფირზე ჩასაწერად მოეთხროთ თავიანთი აღიარებები. რამდენიმე მამაკაცმა სასამართლოს აჩვენა ნიშნები სხეულზე, რაც, მათი თქმით, წამების შედეგი იყო. თუმცა სასამართლომ ყურად არ იღო არც ერთი აღნიშნული განცხადება. ...“

# სამართლებრივი საფუძველი

## 1. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების სავარაუდო დარღვევა

56. განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ უზბეკეთის რესპუბლიკაში მათი ექსტრადიციით დაირღვა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები, რომლებშიც ნათქვამია:

### **მუხლი 2**

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ. სიცოცხლის წართმევა დასაშვებია მხოლოდ სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რაც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენების აბსოლუტურ აუცილებლობას:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

ბ) კანონიერი დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.“

### **მუხლი 3**

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.“

საქმის გარემოებების საფუძველზე სასამართლო პირველ რიგში განიხილავს მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივარს.

#### **A. პალატის განჩინება**

57. პალატამ დაადგინა, რომ ფაქტების საბოლოო დადგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან განმცხადებლებს არ მიეცათ კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით მათი საჩივრის მხარდამჭერი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. პალატამ მიიჩნია, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებები არასაკმარისი იყო დასკვნისთვის, რომ ადგილი ჰქონდა აღნიშნული მუხლის დარღვევას (იხ. პალატის განჩინების 74-ე და 77-ე პუნქტები).

## **B. მხარეთა არგუმენტები**

### *1. განმცხადებლები*

58. განმცხადებლების წარმომადგენელმა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელთა ექსტრადიციის დროისთვის არსებობდა საკმარისი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ მათი დაბრუნება უზბეკეთში გამოიწვევდა მათ დაქვემდებარებას მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოპყრობისადმი. ამასთან დაკავშირებით მათ დაგმეს უზბეკეთის ციხეებში ცუდი პირობების არსებობა და წამების გამოყენების პრაქტიკა.

59. თავიანთი განცხადებების მხარდასაჭერად ადვოკატებმა მიუთითეს ადამიანის უფლებათა „საერთაშორისო საგამოძიებო სტრუქტურების“ ანგარიშებზე, რომლებიც გმობენ პოლიტიკური დისიდენტების წამების და მათდამი სხვა უკანონო მოპყრობის პრაქტიკას სახელმწიფოს მხრიდან და უზბეკეთის რეჟიმის რეპრესიულ პოლიტიკას დისიდენტების მიმართ.

60. ადვოკატები აცხადებენ, რომ განმცხადებლებმა არ აღიარეს თურქეთში ექსტრადიციის სამართალწარმოების დროს მათ მიმართ ნაყენებული ბრალდებები და წარადგინეს მათი არგუმენტაციის დამამტკიცებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ განმცხადებლებმა, რომლებსაც უარი ეთქვათ მათ მიერ არჩეული ადვოკატის სამართლებრივ დახმარებაზე, სრულად აღიარეს იგივე ბრალდებები უზბეკეთის ხელისუფლების წინაშე, მიუთითებს, რომ ისინი წამებისა და სხვა უკანონო მოპყრობის გზით აიძულეს, „ელიარებიანთ“ დანაშაულები, რომლებიც არ ჩაუდენიათ.

### *2. მთავრობა*

61. მთავრობა აცხადებს, რომ ექსტრადიციის სამართალწარმოებისას მე-3 მუხლი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს გამოყენებული, როდესაც დადგენილია, რომ ექსტრადიციის მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ადგილი ექნება აკრძალულ მოპყრობას ან დასჯას და როდესაც შესაბამისი პირი წარმოადგენს მყარ მტკიცებულებას, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი დაექვემდებარება წამებას ან უკანონო მოპყრობას.

62. მთავრობამ შენიშნა, რომ განმცხადებლების ექსტრადიცია მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უზბეკეთის ხელისუფლებისგან მიღებული იქნა სათანადო რწმუნებები. ეს რწმუნებები შეიცავდა ვალდებულებას, განმცხადებლებს არ შეფარდებოდათ სიკვდილით დასჯა ან ისინი არ დაქვემდებარებოდნენ წამებას ან სხვა უკანონო მოპყრობას ან მთელი მათი ქონების კონფისკაციას. უზბეკეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა რწმუნებები, რომ უზბეკეთის რესპუბლიკა, რომელიც გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მონაწილეა, იღებდა და კვლავ ადასტურებდა მის ვალდებულებას, შეესრულებინა კონვენციის მოთხოვნები როგორც თურქეთთან, ისე მთელ საერთაშორისო საზოგადოებასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების ანგარიშები არ შეიცავდა რაიმე ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს მე-3 მუხლის დარღვევას.

63. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლებს, რომლებსაც ბრალი ედებ-



ბოდათ ტერორიზმში, უზბეკეთის უზენაესმა სასამართლომ მიუსაჯა ოცი და თერთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სასამართლო სხდომას ოთხ-მოცამდე ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის თურქეთის და სხვა საელჩოების და "Helsinki Watch"-ის წარმომადგენლები. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებლები უზბეკეთის ციხეში მოინახულა თურქეთის საელჩოს ორმა წარმომადგენელმა, რომელთაც განმცხადებლებმა აცნობეს, რომ მათ მიმართ უკანონო მოპყრობა არ ყოფილა გამოყენებული სასამართლომდე ან მის შემდეგ.

64. მთავრობა ამტკიცებს, რომ მე-3 მუხლი არ უნდა იქნეს ისე განმარტებული, თითქოს გადამცემ სახელმწიფოს განუსაზღვრელი ვალდებულებები აქვს. სახელმწიფოს ვალდებულება უნდა დამთავრდეს მაშინ, როდესაც ექსტრადირებული პირი ცნობილი იქნება დამნაშავედ და დაიწყებს სასჯელის მოხდას. მე-3 მუხლის ტექსტი დამახინჯებულად იქნება გაგებული, თუ ვიტყვი, რომ გადამცემმა სახელმწიფომ, ექსტრადიციის ხელშეკრულების შესაბამისად ეჭვმიტანილის გადაცემის გზით, დაუქვემდებარა იგი იმ მოპყრობას ან დასჯას, რომელიც მის მიმართ განხორციელდა მიმღებ სახელმწიფოში მისი მსჯავრდებისა და სასჯელის შეფარდების შემდეგ. ასეთი გადაწყვეტილება დაარღვევდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებებს და წინააღმდეგობაში მოვიდოდა საერთაშორისო სასამართლო პროცესების ნორმებთან, ვინაიდან გამოიწვევდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას იმ უცხო სახელმწიფოთა შინაურ საქმეებზე, რომლებიც არ არიან კონვენციის მონაწილეები. იქმნება საფრთხე, რომ ამით მონაწილე სახელმწიფოს მიადგება სერიოზული ზიანი, ვინაიდან იგი ვეღარ შეძლებს საერთაშორისო ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობას.

### 3. სხვა მონაწილეები

65. "Human Rights Watch"-მა და "AIRE Centre"-მა მიუთითეს საქმისთვის მნიშვნელოვან დროს უზბეკეთში დამოუკიდებელი მუსლიმების მიმართ განხორციელებულ რეპრესიებზე. კერძოდ, მათ განაცხადეს, რომ განმცხადებლების ახლო ნათესავები დაექვემდებარნენ წამებას, ხოლო პოლიტპატიმრები გარდაიცვალნენ უზბეკეთის ციხეებში მათდამი უკანონო მოპყრობის შედეგად. ასევე, უზბეკეთში არსებული პოლიტიკური ვითარების და უშიშროების ძალებზე სათანადო სასამართლო კონტროლის არარსებობის გათვალისწინებით, უზბეკეთის მთავრობისგან მიღებული რწმუნებები არ წარმოადგენს საკმარის გარანტიას განმცხადებლებისათვის.

## C. სასამართლოს შეფასება

### 1. შესაბამისი პრინციპები

66. მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ, დამკვიდრებული საერთაშორისო სამართლის თანახმად და მათი საერთაშორისო-სახელშეკრულებო ვალდებულებების, მათ შორის კონვენციის, გათვალისწინებით გააკონტროლონ მათ ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლა, ყოფნა და გაძევება. პოლიტიკური თავშესაფრის უფლება არ არის აღნიშნული არც კონვენციაში და არც მის

ოქმებში (იხ. 1991 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე *Vilvarajah and Others v. the United Kingdom*, სერია A, №215, გვ. 34, პუნქტი 102).

67. სასამართლოს ამ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოს მიერ ექსტრადიციამ შეიძლება გამოიწვიოს მე-3 მუხლის საფუძველზე საკითხის დაყენება და, შესაბამისად, ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის შესაბამისად, როდესაც წარმოდგენილია საკმარისი საფუძველები ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში შესაბამის პირს მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ემუქრება მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობისადმი დაქვემდებარების რეალური საფრთხე. ასეთი პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელია ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული პირობების შეფასება კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან მიმართებაში. თუმცა საკითხი არ ეხება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას მიმღები სახელმწიფოს შესახებ ან მისი პასუხისმგებლობის შესახებ არც ზოგადი საერთაშორისო სამართლის, არც კონვენციის და არც სხვა საფუძველზე. რაც შეეხება კონვენციის მიხედვით არსებულ ან შესაძლო პასუხისმგებლობას, ეს არის ის პასუხისმგებლობა, რომელიც მონაწილე სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს მის მიერ ისეთი ქმედების განხორციელების გამო, რისი უშუალო შედეგიც იქნება პირის დაუცველად დატოვება აკრძალული უკანონო მოპყრობის წინაშე (იხ. 1989 წლის 7 ივლისის განაჩენი საქმეზე *Soering v. the United Kingdom*, სერია A, №161, გვ. 35, პუნქტები 89-91).

68. ძნელი დასაჯერებელია, რომ „პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობასთან“ — რასაც კონვენციის პრეამბულა მიუთითებს — შესაბამისობაშია ის, რომ მონაწილე სახელმწიფომ წინასწარი შეცნობით გადასცეს პირი სხვა სახელმწიფოს, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ამ პირს ემუქრება წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის საფრთხე (ზემოაღნიშნული *Soering*-ის საქმე, გვ. 35, პუნქტი 88).

69. იმის დადგენისას, წარმოდგენილი იქნა თუ არა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის რეალური საფრთხე არსებობს, სასამართლო აღნიშნულ საკითხს შეაფასებს მის ხელთ არსებული ყველა მასალის ან, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით მოპოვებული მასალის გათვალისწინებით. ვინაიდან მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მე-3 მუხლის საფუძველზე განისაზღვრება ისეთი ქმედებით, რომელიც პირს დაუცველს ტოვებს უკანონო მოპყრობის საფრთხის წინაშე, პირველ რიგში უნდა შეფასდეს საფრთხის არსებობა იმ ფაქტების მიხედვით, რომლებიც ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო მონაწილე სახელმწიფოსთვის ექსტრადიციის მომენტისთვის; თუმცა სასამართლოს არ ეკრძალება გაითვალისწინოს ის ინფორმაციაც, რომელიც ცნობილი გახდა ექსტრადიციის შემდეგაც. ამას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს იმ შეფასების დადასტურების ან უარყოფისთვის, რომელიც მონაწილე სახელმწიფომ გააკეთა განმცხადებლების საფუძველიან შიშთან და სხვა საკითხებთან მიმართებაში (იხ. 1991 წლის 20 მარტის განაჩენი საქმეზე *Cruz Varas and Others v. Sweden*, Series A, № 201, გვ. 29-30, პუნქტები 75-76, და ზემოაღნიშნული საქმე *Vilvarajah and Others*, გვ. 36, პუნქტი 107).

მაგრამ თუ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მომენტისთვის

განმცხადებელი არ არის ექსტრადირებული ან დეპორტირებული, მაშინ საქმისთვის მნიშვნელოვანი დრო არის სასამართლოში საქმის განხილვის დრო (იხ. 1996 წლის 15 ნოემბრის განაჩენი საქმეზე *Chahal v. the United Kingdom*, ანგარიში 1996-V, პუნქტები 85-86).

ასეთი ვითარება, როგორც წესი, წარმოიშვება მაშინ, როდესაც დეპორტაცია ან ექსტრადიცია შეჩერებულია სასამართლოს მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად გაცემული დროებითი ღონისძიების შესახებ ბრძანების შედეგად. ხშირად ასეთი ბრძანება ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს ჯერ კიდევ არ მოუპოვებია ყველა შესაბამისი მტკიცებულება, რაც მას აუცილებლად მიაჩნია მიმღებ ქვეყანაში მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის რეალური საფრთხის შესაფასებლად.

70. გარდა ამისა, უკანონო მოპყრობა სისასტიკის გარკვეულ მინიმალურ დონეს უნდა აკმაყოფილებდეს იმისათვის, რომ მოექცეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში. ამ მინიმალური დონის განსაზღვრა, კონკრეტული საქმის გარემოების მიხედვით, შეფასებითია; ეს დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ან სასჯელის ხასიათი და კონტექსტი, განხორციელების მეთოდი, ხანგრძლივობა და ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები (იხ. ზემოხსენებული საქმე *Vilvarajah and Others*, გვ. 36, პუნქტი 107).

უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (იხ., *mutatis mutandis*, 1993 წლის 22 სექტემბრის განაჩენი საქმეზე *Klaas v. Germany*, სერია A, № 269, გვ. 17-18, პუნქტი 30).

## 2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

71. მე-3 მუხლთან მიმართებაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს, რომ ექსტრადირების მომენტისთვის არსებობდა რეალური საფრთხე, რომ განმცხადებლები უზბეკეთში დაექვემდებარებოდნენ მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას.

72. სასამართლო მხედველობაში იღებს განმცხადებელთა წარმომადგენლების მინიმუმას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში მითითებულ ინფორმაციაზე, რომელშიც ისინი გამობენ პოლიტიკური დისიდენტების წამების და მათდამი სხვა უკანონო მოპყრობის პრაქტიკას სახელმწიფოს მხრიდან და უზბეკეთის რეჟიმის რეპრესიულ პოლიტიკას ასეთი დისიდენტების მიმართ. სასამართლო მხედველობაში იღებს *“Amnesty International”*-ის მიერ 2001 წლის ანგარიშში გაკეთებულ განცხადებას: „დაუსრულებლად გრძელდებოდა შეტყობინებები სამართალდამცავების მიერ აკრძალული ისლამისტური ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების ... მხარდამჭერთა მიმართ უკანონო მოპყრობის და მათი წამების შესახებ“ (იხ. პუნქტი 55 ზემოთ).

73. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს დაკვირვებები აღწერს ზოგად სიტუაციას უზბეკეთში, ისინი ვერ ადასტურებს განმცხადებლების მიერ მოცემულ საქმეში წამოყენებულ ვარაუდებს და საჭიროებს დამატებით დადასტურებას სხვა მტკიცებულებებით.

74. განმცხადებლების ექსტრადიცია უზბეკეთში მოხდა 1999 წლის 27 მარტს, მიუხედავად სასამართლოს მიერ რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მითითებული დროებითი ღონისძიებისა (იხ. პუნქტები 24-27 ზემოთ). ამი-

ტომ ეს არის ის თარიღი, რომლის დროისთვისაც უნდა შეფასდეს უზბეკეთში განმცხადებლების მიმართ მე-3 მუხლით აკრძალული უკანონო მოპყრობის განხორციელების რეალური საფრთხის არსებობა.

75. რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენებით სასამართლომ მიუთითა, რომ მას, იმ დროისთვის მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არ შეუძლო მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება რეალური საფრთხის არსებობის შესახებ. თურქეთს რომ შეესრულებინა რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი დროებითი ღონისძიება, მაშინ შესაბამისი თარიღი იქნებოდა სასამართლოს მიერ მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე საქმის განხილვის თარიღი (იხ. პუნქტი 69 ზემოთ და ზემოაღნიშნული *Chahal*-ის საქმე, პუნქტები 85-86). თურქეთის მხრიდან სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ღონისძიების შეუსრულებლობამ ხელი შეუშალა სასამართლოს ნორმალური პროცედურის განხორციელებაში. თუმცა სასამართლოს არ შეუძლია იმსჯელოს, რა იქნებოდა საქმის შედეგი, თურქეთს რომ შეესრულებინა მისი მოთხოვნა ექსტრადიციის შეჩერების თაობაზე. ამიტომ სასამართლო იმსჯელებს თურქეთის პასუხისმგებლობაზე მე-3 მუხლის საფუძველზე იმ ვითარების გათვალისწინებით, რაც არსებობდა 1999 წლის 27 მარტისთვის.

76. სასამართლო აღნიშნავს მთავრობის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ განმცხადებლების ექსტრადიცია მოხდა მას შემდეგ, რაც უზბეკეთის მთავრობისგან მიღებული იქნა რწმუნებები. ამ დოკუმენტის ტექსტის მიხედვით, ის რწმუნება, რომ „განმცხადებლების ქონება არ დაექვემდებარება კონფისკაციას და განმცხადებლები არ დაექვემდებარებიან წამებას ან სიკვდილით დასჯას“ გაკეთებული იყო უზბეკეთის რესპუბლიკის პროკურორის მიერ, რომელიც დამატებით აცხადებდა: „უზბეკეთის რესპუბლიკა მონაწილეა გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კონვენციისა; ის იღებს და კვლავ ადასტურებს ვალდებულებას, შეასრულოს აღნიშნული კონვენციის მოთხოვნები როგორც თურქეთთან, ისე მთელ საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან მიმართებაში.“ მთავრობამ ასევე წარმოადგინა სამედიცინო დასკვნები, რომლებიც შედგენილი იყო უზბეკეთის იმ ციხეების ექიმების მიერ, რომლებშიც სასჯელს იხდიან ბატონი მამატკულოვი და ბატონი ასკაროვი (იხ. პუნქტები 28 და 34 ზემოთ).

77. მის წინაშე არსებული მასალების საფუძველზე სასამართლომ არ შეუძლია დაასკვნას, რომ ზემოხსენებული თარიღისთვის არსებობდა არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ არსებობდა რეალური საფრთხე, რომ განმცხადებლები დაექვემდებარებოდნენ მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას. თურქეთის მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მითითების შეუსრულებლობა, რის გამოც სასამართლომ ხელი შეუშალა რეალური საფრთხის შეფასებაში ისე, როგორც ის თვლიდა საჭიროდ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განხილული იქნება ქვემოთ, 34-ე მუხლის საფუძველზე.

შესაბამისად, ვერ დგინდება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

78. განიხილა რა განმცხადებელთა მიერ მე-3 მუხლის საფუძველზე წამოჭრილი საკითხები (იხ. პუნქტები 71-77 ზემოთ), სასამართლოს მიაჩნია, რომ საჭირო არ არის მათი ცალკე განხილვა მე-2 მუხლის მიხედვით.

## II. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

79. განმცხადებლები ჩიოდნენ თურქეთში ექსტრადიციის სამართალწარმოების და უზბეკეთში სისხლის სამართალწარმოების უსამართლობის შესახებ. ისინი მიუთითებდნენ კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„1. ... წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

### A. პალატის განჩინება

80. პალატამ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენებოდა თურქეთში გამართული ექსტრადიციის სამართალწარმოების მიმართ (იხ. პალატის განაჩენის პუნქტები 80-81). რაც შეეხება სისხლის სამართალწარმოებას უზბეკეთში, პალატამ დაადგინა, რომ მის წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ მტკიცდებოდა, რომ განმცხადებლებს უარი უთხრეს სამართლიან სასამართლოზე და რომ ამ საკითხთან მიმართებაში მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე რაიმე სხვა ცალკე საკითხი არ წარმოიშვებოდა (იხ. პალატის განაჩენის პუნქტი 87).

### B. ექსტრადიციის სამართალწარმოება თურქეთში

81. განმცხადებლები აცხადებენ, რომ მათ არ ჰქონიათ სამართლიანი განხილვა სისხლის სამართლის სასამართლოში, რომელმაც მათი ექსტრადიციის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ საქმის ყველა მასალის გაცნობის შესაძლებლობა და შესაძლებლობა, წარედგინათ საკუთარი არგუმენტაცია მათთვის ბრალად შერაცხული დანაშაულების ხასიათის შესახებ.

82. სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ უცხოელთა ქვეყანაში შესვლის, დარჩენის და ქვეყნიდან მათი დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილებები არ ეხება სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრას ან ნებისმიერი წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევას, როგორც ეს აღნიშნულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში (იხ. *Maaouia v. France* [GC], № 39652/98, პუნქტი 40, ECHR 2000-X; *Penafiel Salgado v. Spain* (dec.), № 65964/01, 2002 წლის 16 აპრილი; *Sardinas Albo v. Italy* (dec.), № 56271/00, 2004 წლის 8 იანვარი).

83. შესაბამისად, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.

### C. სისხლის სამართალწარმოება უზბეკეთში

84. განმცხადებლები აცხადებენ, რომ მათ არ ჰქონდათ სამართლიანი სა-

სამართლოს შესაძლებლობა საკუთარი წარმოშობის ქვეყანაში და მათ ემუქრებოდათ სიკვდილით დასჯის რეალური საფრთხე. ამასთან დაკავშირებით ისინი ამტკიცებენ, რომ უზბეკეთის სასამართლო ხელისუფლება არ არის დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან.

85. განმცხადებელთა წარმომადგენლების თქმით, განმცხადებლები მონყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს მათი სასამართლო განხილვების დაწყებამდე და არ მიეცათ შესაძლებლობა, წარმოდგენილი ყოფილიყვნენ მათ მიერ არჩეული ადვოკატის მიერ. მათი თქმით, ძირითადი პუნქტები, რომლებიც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას დაედო საფუძვლად, მიღებული იქნა წამების მეშვეობით.

86. მთავრობა ამბობს, რომ განმცხადებლების ექსტრადიციის გამო სახელმწიფოს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

87. ორი სხვა მხარე, *“Human Rights Watch”* და *“AIRE Centre”*, აცხადებს, რომ განმცხადებლები მონყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს მათი სასამართლო განხილვის დაწყებამდე და რომ, ვინაიდან მათ დაცვას ახორციელებდნენ გამოძიების ხელმძღვანელი პროკურორის მიერ დანიშნული ადვოკატები, განმცხადებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, წარმოდგენილი ყოფილიყვნენ მათ მიერ არჩეული ადვოკატებით.

88. სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ *Soering*-ის გადაწყვეტილებაში (პუნქტი 45 ზემოთ) სასამართლომ განაცხადა:

*„სისხლის სამართალწარმოებაში სამართლიანი სასამართლოს უფლებას, როგორც ის ასახულია მე-6 მუხლში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლო არ გამორიცხავს, რომ გამონაკლის შემთხვევაში მართალაც შეიძლება ექსტრადიციის გადაწყვეტილება მოექცეს მე-6 მუხლის მოქმედების სფეროში ისეთ გარემოებებში, როდესაც დევნილ პირს აშკარად უარი უთხრეს სამართლიან სასამართლოზე ან მას ასეთი უარის საფრთხე ემუქრება...“*

89. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში განმცხადებლები უზბეკეთის ხელისუფლებას გადაეცნენ 1999 წლის 27 მარტს. 1999 წლის 28 ივნისს უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ ბატონი მამატკულოვი და ბატონი ასკაროვი დამნაშავეებად ცნო სხვადასხვა დანაშაულებში და მიუსაჯა მათ შესაბამისად ოცი წლით და თერთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა (იხ. პუნქტი 32 ზემოთ).

90. სასამართლოს მიაჩნია, რომ ისევე, როგორც მე-2 და მე-3 მუხლებით აკრძალული მოპყრობის საფრთხე, დანიშნულების ქვეყანაში მართლმსაჯულებაზე აშკარა უარის საფრთხე უნდა შეფასდეს იმ ფაქტებით, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოსთვის ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო მის მიერ შესაბამისი პირების ექსტრადიციის მომენტისთვის. როდესაც ექსტრადიციის ჩერდება სასამართლოს მითითების საფუძველზე რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, მართლმსაჯულებაზე აშკარა უარი უნდა შეფასდეს ასევე სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მომენტისთვის სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე (იხ., *mutatis mutandis*, პუნქტები 75-77 ზემოთ).

91. განმცხადებლები გადაეცნენ უზბეკეთს 1999 წლის 27 მარტს. თუმცა, არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაძლოა იმ დროისთვის ყოფილიყო მიზეზები ვარაუდისთვის, რომ ისინი არ მიიღებდნენ სამართლიან სასამართლოს დანიშნულების ქვეყანაში, მაგრამ წარმოდგენილი არ არის საკმარისი მტკიცებულება იმის მისაჩვენებლად, რომ გარკვეული შესაძლო დარღვევები სასამართლო განხილვისას შეიძლება ჩათვლილიყო აშკარა უარად მართლმსაჯულებაზე, იმ გაგებით, როგორც ეს მოცემულია Soering-ის განაჩენის 113-ე პუნქტში. თურქეთის მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მითითების შეუსრულებლობა, რის გამოც სასამართლოს ხელი შეეშალა რეალური საფრთხის შეფასებაში ისე, როგორც ის თვლიდა საჭიროდ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განხილული იქნება ქვემოთ, 34-ე მუხლის საფუძველზე.

შესაბამისად, არ დგინდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

### III. კონვენციის 34-ე მუხლის სავარაუდო დარღვევა

92. განმცხადებელთა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ბატონი მამატიკულოვის და ბატონი ასკაროვის ექსტრადირებით, სასამართლოს მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე გაკეთებული მითითების საწინააღმდეგოდ, თურქეთმა არ შეასრულა მასზე კონვენციის 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულებები.

კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად:

*„სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.“*

სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი ადგენს:

*„1. პალატას ან, სადაც ეს შესაფერისია, მის თავმჯდომარეს, შეუძლია მხარის ან ნებისმიერი შესაბამისი პირის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით მიუთითოს მხარეებს ნებისმიერი დროებითი ღონისძიება, რომლის გამოყენებასაც იგი გადაწყვეტს მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე ან სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელების მიზნით.*

*2. ამ ღონისძიების შესახებ უნდა ეცნობოს მინისტრთა კომიტეტს.*

*3. პალატას შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს ინფორმაცია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება იმ დროებითი ღონისძიების განხორციელებას, რომელზე მითითებაც პალატის მიერ იქნა გაცემული.“*

## A. პალატის განჩინება

93. თავის 2003 წლის 6 თებერვლის განაჩენში პალატამ განაცხადა:

„110. ... კონვენციის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც მიუთითა დროებითი ღონისძიების შესახებ სავარაუდო დარღვევით დაზარალებულისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, ვალდებულია, შეასრულოს ეს ღონისძიებები და თავი შეიკავოს ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისგან, რომელიც ძირს უთხრის საბოლოო განაჩენის ავტორიტეტსა და ეფექტიანობას.

111. აქედან გამომდინარე, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობით თურქეთმა დაარღვია მასზე კონვენციის 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულებები.“

## B. მხარეთა განცხადებები

### 1. განმცხადებლები

94. განმცხადებელთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ, მიუხედავად მათი მიმართებისა ხელისუფლების ორგანოებისადმი, არ მიეცათ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან დაკავშირების შესაძლებლობა ამ უკანასკნელთა ექსტრადიციის შემდეგ. გარდა ამისა, განმცხადებლებს არ მიეცათ საკითხების დამატებითი გამოკვლევის შესაძლებლობა მე-3 მუხლთან დაკავშირებით მათი განცხადებების მხარდამჭერ მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით. ამგვარად, განმცხადებლების ექსტრადიციით რეალურად შეეშალა ხელი სასამართლოსთვის მათი არგუმენტაციის წარდგენას.

### 2. მთავრობა

95. მთავრობამ აღნიშნა, რომ კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე სხვა ცალკე საკითხი არ წარმოიშობოდა, ვინაიდან 34-ე მუხლის საფუძველზე დაყენებული საჩივარი იგივე იყო, რაც განმცხადებლებმა მე-3 მუხლის საფუძველით დააყენეს, რასაც მთავრობა დაუსაბუთებლად მიიჩნევს.

96. რაც შეეხება სასამართლოს მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მითითებულ დროებით ღონისძიებას, მთავრობა მიუთითებს ზემოხსენებულ კრუზ ვარასისა და სხვების საქმეზე გამოტანილ განაჩენზე და ამტკიცებს, რომ მონაწილე სახელმწიფო არ არის ვალდებული, შეასრულოს ასეთი მითითებები.

97. მთავრობის მტკიცებით, მოცემულ საქმეში, დროებითი ღონისძიების მითითების შესახებ წერილის ტექსტიდან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიება სავალდებულო ხასიათს არ ატარებდა. საერთაშორისო სასამართლოების მოქმედების უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებით. თუ ხელშეკრულება მათ არ ანიჭებს დროებითი



ლონისძიების გამოყენების შესახებ სავალდებულო ბრძანების გაცემის უფლებას, მაშინ მათ ასეთი უფლება არ გააჩნიათ.

### 3. სხვა მხარეები

98. იურისტთა საერთაშორისო კომისიამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების, საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართლის და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის გათვალისწინებით, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მითითებული დროებითი ღონისძიება სავალდებულოა შესაბამისი სახელმწიფოსთვის.

### C. სასამართლოს შეფასება

99. ის ფაქტი, რომ მოპასუხე მთავრობამ არ შეასრულა სასამართლოს მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მითითებული დროებითი ღონისძიება, წარმოშობს საკითხს — დაარღვია თუ არა მოპასუხე მთავრობამ მასზე კონვენციის 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება, რაც გამოიხატება ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელებისთვის ხელის არშეშლაში.

#### 1. ზოგადი მოსაზრებები

##### (ა) ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელება

100. სასამართლომ ადრე უკვე განაცხადა, რომ ინდივიდუალური განაცხადის უფლების შესახებ დებულება (კონვენციის 34-ე მუხლი, მე-11 ოქმით ცვლილებების შეტანამდე 25-ე მუხლი) ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციური სისტემის ეფექტიანობისა. ასეთი არსებითი დებულების ინტერპრეტაციისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კოლექტიური განხორციელების ხელშეკრულების, სპეციალური ხასიათი. კლასიკური სახის საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, კონვენცია მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ხელშემკვრელ მხარეთა შორის უზრალოდ ურთიერთშეთანხმებას. იგი ქმნის ერთობლივ, ორმხრივ ვალდებულებათა ქსელს, ობიექტურ ვალდებულებებს, რომლებიც, პრემპულის სიტყვების თანახმად, ეფუძნება „კოლექტიურ განხორციელებას“ (იხ., *mutatis mutandis, Loizidou v. Turkey* (წინასწარი საწინააღმდეგო არგუმენტაცია), 1995 წლის 23 მარტი, სერია A, № 310, პუნქტი 70).

101. კონვენციის, როგორც ინდივიდუალური ადამიანების დაცვის დოკუმენტის, ობიექტი და მიზანი მოითხოვს, რომ მისი დებულებები განმარტებული და გამოყენებული იქნეს ისე, რომ მასში გათვალისწინებული დაცვის მექანიზმები იყოს პრაქტიკული და ქმედითი, როგორც ინდივიდუალური განაცხადების სისტემის ნაწილი. ამასთან, კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი ინტერპრეტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს „კონვენციის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების იდეალებისა და ღირებულებების უზრუნველყოფი და ხელშემწყობი დოკუმენტის, ზოგად

სულისკვეთებასთან“ (იხ. ზემოხსენებული *Soering*-ის საქმე, პუნქტი 87, და, *mutatis mutandis, Klass and Others v. Germany*, 1978 წლის 6 სექტემბრის განაცენი, სერია A, № 28, გვ. 18, პუნქტი 34).

102. ვალდებულება, არაფრით იქნეს ხელყოფილი ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიანი განხორციელება, გამორიცხავს ნებისმიერ ხელყოფას პირის უფლებისა, ეფექტიანად წარმოადგინოს თავისი განაცხადი და მისდიოს მას სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას. ამ საკითხზე სასამართლოს სხვა ადრეულ გადაწყვეტილებებშიც უმსჯელია. 34-ე მუხლით დანერგილი ინდივიდუალური განაცხადის უფლების სისტემის ეფექტიანი მოქმედებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებლებს ან პოტენციურ განმცხადებლებს შეეძლოთ სასამართლოსთან თავისუფლად დაკავშირება ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, რაც შეიძლება გულისხმობდეს განაცხადის უკან გამოტანას ან მის შეცვლას. როგორც სასამართლომ თავის ადრინდელ განაჩენებში აღნიშნა, „ზენოლა“ გულისხმობს არა მარტო პირდაპირ იძულებას და დაშინების აშკარა ქმედებებს განმცხადებლების ან პოტენციური განმცხადებლების, მათი ოჯახის წევრების ან იურიდიული წარმომადგენლების მიმართ, არამედ სხვა არასათანადო არაპირდაპირ ქმედებებს ან კონტაქტებსაც, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ განმცხადებელი გადაარწმუნონ ან გადააფიქრებინონ მას კონვენციით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენება (იხ., სხვა წყაროებს შორის, 1998 წლის 23 სექტემბრის განაჩენი საქმეზე *Petra v. Romania*, მოხსენებები 1998-VII, პუნქტი 43; 1998 წლის 25 მაისის განაჩენი საქმეზე *Kurt v. Turkey*, მოხსენებები 1998-III, გვ. 1192, პუნქტი 159; 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი საქმეზე *Aksoy v. Turkey*, მოხსენებები 1996-VI, გვ. 2288, პუნქტი 105; 1996 წლის 16 სექტემბრის განაჩენი საქმეზე *Akdivar and Others v. Turkey*, მოხსენებები 1996-IV, გვ. 1219, პუნქტი 105). ამ მიზნების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ 34-ე მუხლით დადგენილი ვალდებულება კონკრეტულად მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოსგან, რომ მან თავი შეიკავოს არა მარტო განმცხადებლებზე ზეწოლისგან, არამედ ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისგან, რომელიც, განაცხადის საგნობრივი არსის განადგურებით ან შეცვლით, აზრს დაუკარგავს ან სხვაგვარად შეუშლის სასამართლოს ამ განაცხადის ნორმალური პროცედურული წესებით განხილვაში.

#### (ბ) დროებითი ღონისძიებების მითითება კონვენციური სისტემის მიხედვით

103. სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი უფლებას აძლევს პალატას ან, სადაც ეს შესაფერისია, მის თავმჯდომარეს, მიუთითოს დროებითი ღონისძიებები. 39-ე მუხლის გამოყენების საფუძვლები არ არის განსაზღვრული სასამართლოს რეგლამენტში, მაგრამ დადგენილია სასამართლოს პრაქტიკით. ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის პრაქტიკის შემთხვევაში კონვენციის №11 ოქმის ძალაში შესვლამდე 1998 წელს, სასამართლო 39-ე მუხლს მხოლოდ შეზღუდულ გარემოებებში იყენებს.

104. დროებითი ღონისძიებების მითითება მხოლოდ შეზღუდულ სფეროში ხდება. თუმცა სასამართლო ხშირად იღებს შუამდგომლობებს დროებითი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, ის პრაქტიკაში 39-ე მუხლს იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გამოუსწორებელი ზიანის დადგომის

გარდაუვალი საფრთხე. კონვენციაში არ მოიპოვება 39-ე მუხლის გამოყენების სფეროს განმსაზღვრელი კონკრეტული ნორმა, მაგრამ შუამდგომლობები მისი გამოყენების შესახებ, როგორც წესი, ეხება სიცოცხლის უფლებას (მუხლი 2), ადამიანის უფლებას, არ დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ მოპყრობას (მუხლი 3), გამონაკლის შემთხვევებში უფლებას პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე და კონვენციით გარანტირებულ სხვა უფლებებს. იმ საქმეთა უდიდესი უმრავლესობა, რომლებშიც მითითებული იქნა დროებითი ღონისძიებები, ეხება დეპორტაციის ან ექსტრადიციის სამართალწარმოებას.

105. უმეტეს შემთხვევაში ღონისძიებები მიეთითება მოპასუხე მთავრობას, თუმცა სასამართლოს არაფერი უშლის ხელს, ღონისძიებები მიუთითოს განმცხადებლებსაც (იხ., სხვა წყაროებს შორის, *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], განაცხადი № 48787/99, პუნქტი 11, გამოქვეყნდება ECHR 2004-ში). იშვიათია, როდესაც სახელმწიფოები არ ასრულებენ მათთვის მითითებულ დროებით ღონისძიებებს.

106. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის რეგლამენტის 36-ე მუხლი, რომელიც ძალაში შევიდა 1974 წლის 13 დეკემბერს, ადგენდა:

*„კომისიას, ხოლო როდესაც მისი სხდომები არ ტარდება — თავმჯდომარეს, უფლება აქვს, მხარეებს მიუთითოს ნებისმიერი დროებითი ღონისძიება, რომელიც სასურველია მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე ან კომისიის წინაშე წარმოების ჯეროვნად ჩატარებისათვის.“*

დროებითი ღონისძიებების საკითხის მარეგულირებელ დებულებათა ძალაში შესვლამდეც კი კომისია სთხოვდა ხოლმე მოპასუხე მთავრობას, შეეჩერებინა ისეთი ღონისძიებების აღსრულება, რომელთა განხორციელების შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა კომისიის წინაშე განაცხადის განხილვას. კომისიამ ეს პრაქტიკა საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ჩამოაყალიბა და ძირითადად მას ექსტრადიციის და დეპორტაციის შემთხვევების მიმართ იყენებდა, ხოლო შესაბამისი სახელმწიფოები ძალიან კარგ თანამშრომლობას აჩვენებდნენ (იხ., სხვა მაგალითებს შორის, *Greece v. the United Kingdom*, განაცხადი № 176/56; *X. v. Federal Republic of Germany*, განაცხადი № 2396/65; *Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece*, განაცხადები №№ 3321/67, 3322/67, 3323/67 და 3344/67; *Denmark, Norway and the Netherlands v. Greece*, განაცხადი № 4448/70; *E. R. v. Federal Republic of Germany*, განაცხადი № 5207/71).

საქმეში *Brückmann v. Federal Republic of Germany* (განაცხადი № 6242/73) მოპასუხე სახელმწიფომ თვით საკუთარი შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიება შეაჩერა კომისიის მიერ საქმის განხილვის დასრულებამდე.

107. სასამართლოს ადრე მოქმედი რეგლამენტის, რომელიც ძალაში შევიდა 1983 წლის 1 იანვარს, 36-ე მუხლში ნათქვამი იყო:

*„1. პალატის შექმნამდე სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია, მხარის, კომისიის, განმცხადებლის ან სხვა შესაბამისი პირის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, მიუთითოს ნებისმიერ მხარეს და, სადაც ეს შესაფერისია, განმცხადებელს, ნებისმიერი დროებითი ღონისძიება, რომელსაც იგი სასურველად ჩათვლის. ასეთივე უფლებამოსილება აქვს*

პალატას მისი შექმნის შემდეგ ან, თუ პალატის სხდომები არ ტარდება, მის თავმჯდომარეს.

...“

დროებითი ღონისძიებების მითითებასთან დაკავშირებული ყველაზე აღსანიშნავი საქმე, რომელიც წინა სასამართლოს მიერ იყო განხილული, არის ზემოხსენებული სოფრინგის საქმე, რომელშიც სასამართლომ თავისი რეგლამენტის 36-ე მუხლის საფუძველზე მიუთითა ბრიტანეთის მთავრობას, რომ არასასურველი იქნებოდა, თუ ბრიტანეთის მთავრობა გადასცემდა განმცხადებელს შეერთებული შტატების ხელში სტრასბურგში წარმოების დასრულებამდე. კონვენციის მოთხოვნებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების მიზნით ბრიტანეთის მთავრობა იძულებული იყო, დაერღვია მის მიერ შეერთებული შტატების მიმართ ნაკისრი ვალდებულება (პუნქტები 31 და 111). ამგვარად, ამ შემთხვევაში განაჩენით კონფლიქტი მონაწილე სახელმწიფოს კონვენციურ ვალდებულებებსა და მესამე სახელმწიფოსადმი ექსტრადიციის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შორის პირველის სასარგებლოდ გადაწყდა.

## 2. შეუშალა თუ არა განმცხადებლების ექსტრადიციამ ხელი განაცხადის შეტანის უფლების განხორციელებას?

108. წინამდებარე საქმის მსგავს საქმეებში, როდესაც დამაჯერებლად მტკიცდება, რომ არსებობს საფრთხე, რომ განმცხადებლის მიერ კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე ძირითადი უფლების განხორციელებას მიადგება გამოუსწორებელი ზიანი, დროებითი ღონისძიებების მიზანია *status quo*-ს შენარჩუნება სასამართლოს მიერ ასეთი ღონისძიებების დასაბუთების განსაზღვრამდე. რამდენადაც დროებითი ღონისძიების მიზანი განაცხადის საგნის შენარჩუნებაა არსებულ ვითარებაში, იგი თვით კონვენციით გათვალისწინებული განაცხადის არსთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება განმცხადებელს, შედეგი, რისი მიღწევაც მას სურს დროებითი ღონისძიებების მოთხოვნით, არის კონვენციური უფლების გამოუსწორებელი ზიანისგან დაცვა. შესაბამისად, დროებით ღონისძიებას განმცხადებელი ითხოვს და სასამართლო აკმაყოფილებს კონვენციით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის უფლების „ეფექტიანი უზრუნველყოფის“ ხელშეწყობის მიზნით, რათა შენარჩუნებული იქნეს განაცხადის საგანი, რომელსაც ემუქრება გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე მოპასუხე სახელმწიფოს მოქმედებით ან უმოქმედობით.

მოცემულ საქმეში, უზბეკეთში განმცხადებელთა ექსტრადიციის გამო, შეუქცევადად შემცირდა ის დაცვის ხარისხი, რომლის უზრუნველყოფაც სასამართლოს შეეძლო იმ უფლებებისთვის, რომლებთან დაკავშირებითაც განმცხადებლებს ჰქონდათ შეტანილი საჩივარი კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე.

გარდა ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ განაცხადის უფლების ეფექტიანი განხორციელების ცნებაში იგულისხმება, რომ სტრასბურგში სამართალწარმოების მიმდინარეობისას სასამართლოს შეეძლოს განაცხადის განხილვა ნორმალური პროცედურით. მოცემულ საქმეში კი განმცხადებლები ექსტრადირებული იქნენ და, ადვოკატებთან კავშირის დაკარგვის გამო, უარი ეთქვათ

დამატებითი მასალების მოპოვების შესაძლებლობაზე კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე დაყენებული საჩივრის მხარდასაჭერად. შედეგად კი სასამართლოს ხელი შეეშალა იმის ჯეროვან შეფასებაში, დაუცველნი აღმოჩნდნენ თუ არა განმცხადებლები უკანონო მოპყრობის საფრთხის წინაშე, ხოლო თუ აღმოჩნდნენ, ხელი შეეშალა კონვენციური გარანტიების „პრაქტიკული და ეფექტიანი“ განხორციელების უზრუნველყოფაში, რაც ამ კონვენციის ობიექტიდან და მიზნიდან გამომდინარეობს (იხ. პუნქტი 101 ზემოთ).

109. სასამართლომ ადრე იმსჯელა იმაზე, აქვთ თუ არა კონვენციაში შესაბამისი დებულების არარსებობის შემთხვევაში კონვენციურ ორგანოებს უფლება, 34-ე მუხლიდან (ყოფილი 25-ე მუხლი) დამოუკიდებლად ან 39-ე მუხლთან ერთობლიობაში (ყოფილი 36-ე მუხლი) ან სხვა წყაროებიდან გამომდინარე დაადგინონ სავალდებულო დროებითი ღონისძიებების გაცემის უფლებამოსილება (*Cruz Varas and Others; Conka and Others v. Belgium*, განაცხადი № 51564/99, 2001 წლის 13 მარტი). ამ საქმეებზე სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი უფლებამოსილება არ გამომდინარეობდა არც კონკრეტულად 34-ე მუხლიდან და არც სხვა წყაროებიდან (*Cruz Varas and Others*, გვ. 36-37, პუნქტები 102-103).

110. წინამდებარე საქმის შეფასებისას სასამართლო ასევე მხედველობაში მიიღებს საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს და სხვა საერთაშორისო ორგანოების მიერ მოცემულ საკითხზე კრუზ ვარასის განაჩენის გამოტანის შემდგომ პერიოდში გამოთქმულ მოსაზრებებს.

111. სასამართლო იმეორებს, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კონვენცია უნდა განიმარტოს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის 23 მაისის კონვენციით გათვალისწინებული წესების მიხედვით. ამ წესების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის C ქვეპუნქტის თანახმად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „ნებისმიერი შესაბამისი ნორმა საერთაშორისო სამართლისა, რომელიც გამოიყენება მხარეთა შორის ურთიერთობებში“. სასამართლომ უნდა იმსჯელოს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობაზე ამ სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე და, ამასთანავე, გაითვალისწინოს კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტის, სპეციალური ხასიათი (1975 წლის 21 თებერვლის განაჩენი საქმეზე *Golder v. the United Kingdom*, სერია A, № 18, პუნქტი 29). ამდენად, კონვენცია უნდა განიმარტოს მაქსიმალურ შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპებთან, რომელთა ნაწილსაც ის წარმოადგენს (*Al-Adsani v. the United Kingdom [GC]*, № 35763/97, პუნქტი 60, ECHR 2001-XI).

112. გამოყენებადი წესები განსხვავდება დროებითი და პრევენციული ღონისძიებების მიმართ იმის მიხედვით, საჩივარი გაერო-ს ორგანოების, ამერიკული სასამართლოს და კომისიის ინდივიდუალური საჩივრის პროცედურის მიხედვით არის შეტანილი თუ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დავების გადაწყვეტის პროცედურის მიხედვით. ზოგ შემთხვევაში ასეთ ღონისძიებებს თავად საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს, სხვა შემთხვევებში კი რეგლამენტი (იხ. ზემოთ, პუნქტები 40, 43, 46, 49, 51 და 52).

113. ბოლო დროის რიგ გადაწყვეტილებებში და ბრძანებებში საერთაშორისო სასამართლომ და სხვა დაწესებულებებმა აღნიშნეს დროებითი ღონისძიებების მნიშვნელობა და მიზანი და მიუთითეს, რომ ასეთი ღონისძიებების შესრულება აუცილებელი იყო საქმის არსებით ნაწილზე მათი გადაწყვეტილების

ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო დავებთან დაკავშირებულ წარმოებებში დროებითი ღონისძიებების მიზანი მხარეთა უფლებების შენარჩუნებაა, რითაც საქმის განმხილველ ორგანოს ეძლევა საშუალება, აღასრულოს შეჯიბრებითი პროცესის შედეგად დადგენილი პასუხისმგებლობის შედეგები.

114. მაგალითად, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკის თანახმად, დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობა წარმოადგენს შესაბამისი სახელმწიფოს მიერ იმ იურიდიულ ვალდებულებათა დარღვევას, რომლებიც მას ეკისრება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით და მისი ფაკულტატური ოქმით, აგრეთვე მისი კომიტეტთან თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევას, რაც გათვალისწინებულია ინდივიდუალური შეტყობინებების პროცედურით (იხ. ზემოთ, პუნქტები 41 და 42).

115. გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტს რამდენჯერმე აქვს განხილული მონაწილე სახელმწიფოს მიერ დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობის საკითხი. კომიტეტის გადაწყვეტილებების თანახმად, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ დროებითი ღონისძიებების შესრულებას, რომლებიც კომიტეტის მიერ გონივრულად იქნა მიჩნეული შესაბამისი პირის დასაცავად გამოუსწორებელი ზიანისგან, ხოლო ამ ღონისძიებების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომიტეტის წინაშე მიმდინარე წარმოების აზრის დაკარგვა (იხ. ზემოთ, პუნქტები 44 და 45).

116. დროებითი ღონისძიებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ბრძანებებში ადამიანის უფლებათა ამერიკულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის ძირითადი მიზნის — ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფის — გათვალისწინებით „მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომლებმაც შეიძლება აზრი დაუკარგონ სავარაუდო დაზარალებულთა დარღვეული უფლებების აღდგენას“ (იხ. 1999 წლის 25 მაისის და 25 სექტემბრის ბრძანებები საქმეზე *James et al. v. Trinidad and Tobago*).

117. 2001 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში ლაგრანდის საქმეზე (*Germany v. United States of America*) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა: „წესდების ობიექტი და მიზანია, მისცეს შესაძლებლობა სასამართლოს, შეასრულოს წესდებით გათვალისწინებული მისი ფუნქციები და, კერძოდ, სავალდებულო გადაწყვეტილებების მეშვეობით საერთაშორისო დავების სასამართლო გადაწყვეტის ძირითადი ფუნქცია, როგორც ეს გათვალისწინებულია წესდების 59-ე მუხლში. 41-ე მუხლის ... [მიზანია] თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს მიერ მისი ფუნქციების შესრულებაში ხელის შეშლა იმ მიზეზით, რომ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მხარეების შესაბამისი უფლებები არ არის დაცული. წესდების ობიექტიდან და მიზნიდან, ასევე მათთან კონტექსტში წაკითხული 41-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ დროებითი ღონისძიებების მითითების უფლებამოსილება გულისხმობს, რომ ეს ღონისძიებები შესასრულებლად სავალდებულო იყოს, რადგან აღნიშნული უფლებამოსილება ეფუძნება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილებით დადგენილი მხარეთა უფლებების დაცვის და დაუზიანებლად შენარჩუნების აუცილებლობას, როდესაც ამას გარემოებები მოითხოვს. მტკიცება, რომ 41-ე მუხლის შესაბამისად მითითებული ღონისძიებები არ არის სავალდებულო, ეწინააღმდეგება ამავე მუხლის ობიექტსა და მიზანს.“

ამასთანავე, აღნიშნული გადაწყვეტილებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ნერტილი დაუსვა დებატებს, რომლებიც ეხებოდა 41-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების „მითითების უფლებამოსილება“ (ფრანგულ ტექსტში — *“pouvoir d’indiquer”*) და ამავე მუხლის მეორე პუნქტში სიტყვა „შეთავაზებულის“ (ფრანგულ ტექსტში — *“indication”*) მკაცრ ლინგვისტურ განმარტებას. მიუთითა რა საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მისი ობიექტისა და მიზნის ფონზე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ დროებითი ღონისძიებები იურიდიულად სავალდებულო ძალისა იყო. ეს მიდგომა შემდგომში დადასტურდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2004 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში ავენასა და სხვების საქმეზე (*Mexico v. United States of America*) (იხ. ზემოთ, პუნქტი 48).

118. სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ კრუზ ვარასის და სხვების საქმეში მან გადაწყვიტა საკითხი, იყო თუ არა უფლებამოსილი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია კონვენციის ყოფილი 25-ე მუხლის პირველი პუნქტით (დღევანდელი ტექსტის 34-ე მუხლი), გაეცა სავალდებულო ბრძანება დროებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს მუხლი გამოიყენებოდა მხოლოდ კომისიის წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების მიმართ და აწესებდა ვალდებულებას, არაფრით ხელყოფილიყო ადამიანის უფლება, წარედგინა კომისიისთვის თავისი საჩივარი და მიჰყოლოდა მას. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ 25-ე მუხლი განმცხადებელს ანიჭებდა პროცედურულ უფლებას, განსხვავებით კონვენციის პირველ თავში და კონვენციის ოქმებში მოცემული მატერიალური უფლებებისგან. ამგვარად, სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე გამოიკვლია კომისიის და არა საკუთარი უფლებამოსილება დროებითი ღონისძიებების ბრძანებასთან დაკავშირებით. მან დროებითი ღონისძიებების მითითება განიხილა კომისიის წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების და კომისიის როლის ფონზე და დაასკვნა: „ვინაიდან სახელმწიფოს ყურადღება მიაპყრეს მაშინ კომისიის წინაშე არსებული განსახილველი საგნისთვის ზიანის მომტან საფრთხეებზე, ამის შემდეგ მე-3 მუხლის ნებისმიერი დარღვევა ... ჩაითვლებოდა მძიმედ, მითითების შეუსრულებლობის ფონზე“ (იხ. *Cruz Varas and Others*, პუნქტი 103).

119. სასამართლო ამ მხრივ ხაზს უსვამს, რომ სასამართლოსგან და მინისტრთა კომიტეტისგან განსხვავებით, კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება, გამოეტანა სავალდებულო გადაწყვეტილება ხელშეშეკრული სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით. კომისიის ფუნქცია დავის არსებით საგანთან დაკავშირებით იყო მხოლოდ წინასწარი ხასიათის და მისი მოსაზრება კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით არ იყო სავალდებულო.

120. ზემოხსენებულ ჩოკას და სხვების საქმეში სასამართლომ მიუთითა მის მიერ ამ განაჩენის 109-ე პუნქტში აღნიშნულ არგუმენტს და დამატებით განაცხადა: „ბელგიის ხელისუფლებამ განმცხადებლები გაასახლა იმავე დღეს ... ისე, რომ არ განთავსდნენ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე მისთვის მითითებული ღონისძიების იგნორირების მიზეზები. ამ მითითებების (რომელთა მიცემა ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში) შესრულების დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით ასეთი ქცევა ვერ ჩაითვლება

„კეთილსინდისიერ თანამშრომლობად კომისიასთან იმ საქმეებზე, როდესაც აღნიშნული მითითებები იყო გონივრული და პრაქტიკული მნიშვნელობის“.

121. მართალია, სასამართლო ფორმალურად არ არის ვალდებული, გაიმეოროს მისი წინა განაჩენები, მაგრამ სამართლებრივი გასაგებობის და განჭვრეტადობის ინტერესებში მან დასაბუთებული საფუძვლის გარეშე არ უნდა გადაუხვიოს თავის წინა პრეცედენტებს (იხ., სხვა წყაროებს შორის, *mutatis mutandis*, *Chapman v. the United Kingdom* [GC], № 27238/95, პუნქტი 70, ECHR 2001-I; და *Christine Goodwin v. the United Kingdom* [GC], № 28957/95, პუნქტი 74, ECHR 2002-VI). მაგრამ არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ კონვენცია განმარტებული და გამოყენებული იყოს ისე, რომ უზრუნველყოფდეს მასში ასახული უფლებების პრაქტიკულ განხორციელებას და ეფექტიანობას და ეს უფლებები არ იყოს თეორიული და ილუზორული. კონვენცია ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც უნდა განიმარტოს დღევანდელი პირობების ფონზე (იხ., სხვა წყაროებს შორის, *Tyrer v. the United Kingdom*, 1978 წლის 25 აპრილის განჩინება, სერია A, № 26, გვ 15-16, პუნქტი 31, და ზემოხსენებული კრისტინ გუდვინის საქმე, პუნქტი 75).

122. ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, კონვენციით გათვალისწინებული უფლება ინდივიდუალურ განაცხადზე თავდაპირველად გამიზნული იყო დაცვის სისტემის ფაკულტატურ ნაწილად, მან წლების განმავლობაში მეტი მნიშვნელობა შეიძინა და დღესდღეობით წარმოადგენს კონვენციაში ასახული უფლებების დაცვის მექანიზმის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს. 1998 წლის 1 ნოემბრამდე არსებული სისტემით, კომისიის უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა ინდივიდუალური განაცხადების განხილვის უფლებამოსილებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო ოფიციალური განცხადებით აღიარებდა მის კომპეტენციას და ეს კომპეტენციის აღიარება შეიძლება გარკვეული პერიოდით ყოფილიყო შეზღუდული. დაცვის დღეს მოქმედი სისტემა კი შემოღებული იქნა მე-11 ოქმით და მის თანხმად ინდივიდუალური განაცხადის უფლება აღარ არის დამოკიდებული ხელშემკვრელი სახელმწიფოების განცხადებაზე. ამგვარად, ადამიანებს დღეის მდგომარეობით საერთაშორისო დონეზე აქვთ რეალური უფლება, ამტკიცონ ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც მათ უშუალოდ აქვთ მინიჭებული კონვენციით.

123. ამ კონტექსტში სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების, საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართლის და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დროებითი ღონისძიებების მოქმედების ფარგლების განმარტება ვერ მოხდება განცალკევებულად იმ სამართალწარმოებისგან, რომლის ნაწილიცაა ეს დროებითი ღონისძიებები, და იმ დავის საგნისგან განცალკევებით, რომლის დასაცავადაც არის ისინი გამიზნული. სასამართლო იმეორებს, რომ ამასთან დაკავშირებით სახელმეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, მისი ობიექტისა და მიზნის ჩრილში (იხ. ზემოთ, პუნქტი 39), აგრეთვე ეფექტიანობის პრინციპის შესაბამისად.

124. სასამართლო მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ამერიკულმა სასამართლომ, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა და გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა,



მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოქმედებენ სასამართლოსგან განსხვავებული სახელშეკრულებო ნორმების საფუძველზე, ბოლო დროის გადაწყვეტილებებში დაადასტურეს, რომ მხარეთა გამოუსწორებელი ზიანის საფრთხის ქვეშ არსებული უფლებების შენარჩუნება წარმოადგენს დროებითი ღონისძიებების არსებით მიზანს საერთაშორისო სამართალში. მართლაც, მიუხედავად მოცემული სამართლებრივი სისტემისა, მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება მოითხოვს, რომ სამართალწარმოების მიმდინარეობისას ადგილი არ ჰქონდეს ისეთ ქმედებას, რომელსაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *Soering*-ის საქმე).

სასამართლომ ადრე აღნიშნა შემარჩებელი ძალის მქონე დაცვის საშუალებების მნიშვნელობა, როდესაც მის განხილვაშია დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ვალდებულებები დეპორტაციის ან ექსტრადიციის წარმოების დროს. მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების ცნება გულისხმობს ისეთ საშუალებას, რომლითაც შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული კონვენციის სანინააღმდეგო ღონისძიებების აღსრულება, რომელთა შედეგებიც პოტენციურად შეუქცევადია. შესაბამისად, ასეთი ღონისძიებების აღსრულება მანამ, სანამ შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები გაარკვევენ მათ შესაბამისობას კონვენციასთან, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-13 მუხლს (იხ. *Čonka v. Belgium*, № 64/99, პუნქტი 79, ECHR 2002-I). გაუგებარია, ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებების ეფექტიანობის აღნიშნული პრინციპი რატომ არ უნდა იყოს კონვენციის განუყოფელი მოთხოვნა სასამართლოს წინაშე არსებულ საერთაშორისო სამართალწარმოებაში, თუ იგი გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში მიმდინარე სამართალწარმოებებში.

125. კონვენციური სისტემის მიხედვით, დროებითი ღონისძიებები, რომელთა გამოყენებაც თანმიმდევრულად ხდებოდა პრაქტიკაში (იხ. ზემოთ, პუნქტი 104), ისეთივე სასიცოცხლო როლს ასრულებს შეუქცევადი ვითარებების თავიდან აცილებაში, რომლებმაც შეიძლება სასამართლოს ხელი შეუშალოს განაცხადის ჯეროვან განხილვაში და, შესაბამის შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მისი კონვენციური უფლებების შედეგად პრაქტიკული და ქმედითი სარგებლის მიღების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, ამ პირობებში მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობა ძირს უთხრის 34-ე მუხლით გარანტირებული ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიანობას და სახელმწიფოს მიერ პირველი მუხლით ნაკისრ ოფიციალურ ვალდებულებას — დაიცვას კონვენციაში ასახული უფლებები და თავისუფლებები.

სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებების მითითება, წინამდებარე საქმის მსგავსად, იძლევა არა მარტო განაცხადის ეფექტიანი განხილვის შესაძლებლობას, არამედ უზრუნველყოფს განმცხადებლისთვის კონვენციით მინიჭებული დაცვის ეფექტიანობას; გარდა ამისა, ასეთი მითითებები შემდგომში შესაძლებლობას აძლევს მინისტრთა კომიტეტს, განახორციელოს კონტროლი საბოლოო განაჩენის აღსრულებაზე. ამგვარად, ასეთი ღონისძიებებით მონაწილე სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და დაემორჩილოს სასამართლოს საბოლოო განაჩენს, რომელიც იურიდიულად სავალდებულოა კონვენციის 46-ე მუხლის ძალით.

126. აქედან გამომდინარე, ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის — ნი-

ნამდებარე საქმეში მოპასუხე სახელმწიფოსთვის — დროებითი ღონისძიების მითითების შედეგები განხილული უნდა იქნეს იმ ვალდებულებების ფონზე, რომლებიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკისრებათ კონვენციის პირველი, 34-ე და 46-ე მუხლებით.

127. როგორც ზემოთ აღნიშნა, საქმის გარემოებები აშკარად მიუთითებს, რომ უზბეკეთში განმცხადებელთა ექსტრადიციით სასამართლოს ხელი შეეშალა მის მიერ მსგავს საქმეებზე დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით მათი საჩივრების ჯეროვან განხილვაში და განმცხადებელთა დაცვაში კონვენციის პოტენციური დარღვევებისგან. შედეგად, განმცხადებლებმა ვერ შეძლეს მათთვის კონვენციის 34-ე მუხლით გარანტირებული ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიანი განხორციელება, რასაც განმცხადებელთა ექსტრადიციამ აზრი დაუკარგა.

### 3. დასკვნა

128. სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ კონვენციის 34-ე მუხლის ძალით ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, თავი შეიკავონ ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს განმცხადებლის მიერ მისი განაცხადის უფლების ეფექტიან განხორციელებას. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობა უნდა ჩაითვალოს სასამართლოსთვის ხელის შეშლად განმცხადებლის საჩივრის ეფექტიან განხილვაში და ხელის შეშლად განმცხადებლისთვის მის მიერ აღნიშნული უფლების ეფექტიან განხორციელებაში და, შესაბამისად, კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევად.

129. მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მითითებული დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობით თურქეთმა დაარღვია მასზე კონვენციის 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულებები.

## IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

130. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

*„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“*

### A. ზიანი

131. დიდი პალატის წინაშე განმცხადებლების წარმომადგენლებმა გაიმეორეს პალატის წინაშე მათ მიერ გაკეთებული განცხადებები მატერიალურ და არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით და მოითხოვეს ანაზღაურ-

რება თითოეული განმცხადებლისთვის 1 000 000 ფრანკის ოდენობით, რაც 304 898 ევროს ტოლია.

132. ამ საკითხზე პალატამ დაასკვნა შემდეგი (იხ. პალატის განაჩენის პუნქტი 115):

*„ვინაიდან განმცხადებლებს არ დაუზუსტებიათ სავარაუდო მატერიალური ზიანის ხასიათი, სასამართლოს არ რჩება სხვა გზა, თუ არა მათ მოთხოვნაზე უარის თქმა. რაც შეეხება არამატერიალურ ზიანს, სასამართლოს მიაჩნია, რომ მისი გადანყვეტილება 34-ე მუხლთან დაკავშირებით თავისთავად წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას 41-ე მუხლის მნიშვნელობით.“*

133. მთავრობა აღნიშნავს, რომ იგი პალატის დასკვნებს გაიზიარებს, თუ დიდი პალატა დაადგენს კონვენციის დარღვევას. ასევე, მთავრობის თქმით, მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულია.

134. ისევე, როგორც პალატას, არც სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლებმა შეძლეს მოთხოვნილი მატერიალური ზიანის დასაბუთება.

მაგრამ სასამართლოს მიაჩნია, რომ, საქმის მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა უდავოდ განიცადეს არამატერიალური ზიანი თურქეთის მიერ 34-ე მუხლის დარღვევის შედეგად, რომელიც ვერ გამოსწორდება მხოლოდ იმ დასკვნით, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა მასზე 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება.

შესაბამისად, კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო მიუკერძოებლად ადგენს, რომ თითოეულ განმცხადებელს მიეკუთვნოს 5 000 ევრო არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით.

## **B. ხარჯები და დანახარჯები**

135. განმცხადებლებმა გაიმეორეს მათ მიერ პალატის წინაშე გაკეთებული განცხადებები და დიდ პალატაში საქმის წარმოების გამო მათ მიერ გადასახდელების საკითხი დაუტოვეს სასამართლოს მისი შეხედულებისამებრ გადასაწყვეტად.

136. მთავრობა მიიჩნევს, რომ ხარჯების და დანახარჯების მოთხოვნა არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

137. პალატის მიერ განაჩენის გამოტანის მომენტის ჩათვლით, პალატამ განმცხადებლებს მიაკუთვნა 10 000 ევრო, გამოკლებული 905 ევრო, რომელიც ევროპის საბჭომ გადაიხადა განმცხადებლების სამართლებრივ დახმარებაში.

138. სასამართლო განმცხადებლებს მიაკუთვნებს 15 000 ევროს სასამართლოში განუღივლებელი ხარჯის დასაფარავად, გამოკლებული 2 613,17 ევრო, რომელიც განმცხადებლებმა ევროპის საბჭოსგან მიიღეს სამართლებრივი დახმარების სახით.

### C. პროცენტის დაკისრება გადახდის ვალდებულების გადაცილებისთვის

139. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პროცენტი გადახდის ვალდებულების გადაცილებისთვის ეფუძნებოდას ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

#### აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო:

1. თოთხმეტი ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;
2. ერთსულოვნად ადგენს, რომ საჭირო არ არის კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე დაყენებული საჩივრის განხილვა;
3. ერთსულოვნად ადგენს, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება თურქეთში წარმოებული ექსტრადიციის სამართალწარმოების მიმართ;
4. ცამეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას უზბეკეთში სისხლის სამართალწარმოებასთან მიმართებაში;
5. თოთხმეტი ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს, რომ თურქეთმა დაარღვია მასზე კონვენციის 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულებები;
6. თოთხმეტი ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს, რომ
  - (a) მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში უნდა გადაიხადოს შემდეგი თანხები, პლიუს ის გადასახადები, რომლებიც ამ თანხებს შეიძლება დაერიცხოს:
    - (i) 5 000 (ხუთი ათასი) ევრო თითოეულ განმცხადებელს არამატერიალური ზიანისთვის, რომლის კონვერტაცია უნდა მოხდეს თითოეული განმცხადებლის საცხოვრებელი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში;
    - (ii) 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევრო ხარჯებისა და გაღებული დანახარჯებისათვის, გამოკლებული 2 613,17 ევრო (ორი ათას ექვსას ცამეტი ევრო და ჩვიდმეტი ცენტი), რომელიც მიღებული იქნა ევროპის საბჭოსგან სამართლებრივი დახმარების სახით; ამ თანხის კონვერტაცია უნდა მოხდეს თურქულ ლირებში ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით;
  - (b) ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ ანგარიშსწორების თარიღამდე გადასახდელ თანხას დაერიცხოს მარტივი პროცენტი, რომელიც ტოლია ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთისა გადახდის ვალდებულების გადაცილების პერიოდში, დამატებული სამი პროცენტი;
7. ერთსულოვნად უარს ამბობს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით განმცხადებელთა სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, გამოტანილია საჯარო სხდომაზე ე. სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, 2005 წლის 4 თებერვალს.

**ლუციუს ვილდჰაბერი**  
თავმჯდომარე

**პოლ მაჰოუნი**  
მდივანი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, განაჩენს თან ერთვის შემდეგი მოსაზრებები:

ბატონი კაბრალ ბარეტოს თანმხვედრი მოსაზრება

ბატონი როზაკისის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

სერ ნიკოლას ბრატცას, ბატონი ბონელოს და ბატონი ჰედიგანის ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

ბატონი კაფლიშის, ბატონი ტურმენის და ბატონი კოვლერის ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

ლ.ვ.  
პ.ჯ.მ

## მოსამართლე კაბრალ ბარეტოს თანმხვედრი მოსაზრება

(თარგმანი)

მე ვეთანხმები უმრავლესობის მოსაზრებას, რომ მოცემულ საქმეში თურქეთმა დაარღვია კონვენციის 34-ე მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

იმ ფაქტმა, რომ თურქეთმა არ შეასრულა თხოვნა, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დასრულებამდე არ გადაეცა უზბეკეთისთვის განმცხადებლები, შეუძლებელი გახდა სასამართლოს მიერ განაცხადის ეფექტიანად განხილვა.

შესაბამისად, განმცხადებლებს ხელი შეეშალათ მათი ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიანად განხორციელებაში (იხ. განაჩენის 127-ე პუნქტი).

თუმცა მე ვერ დავეთანხმები უმრავლესობის შემდეგ დასკვნას: „ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობა უნდა ჩაითვალოს სასამართლოსთვის ხელის შეშლად განმცხადებლის საჩივრის ეფექტიან განხილვაში და განმცხადებლისთვის ხელის შეშლად მის მიერ აღნიშნული უფლების ეფექტიან განხორციელებაში და, შესაბამისად, კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევად“ (იხ. განაჩენის 128-ე პუნქტი).

ეს ზოგადი დასკვნა გადახვევაა საქმეზე *Kruz Varas and Others v. Sweden* გამოტანილ განაჩენში დადგენილი პრინციპებიდან, რომლებიც ასევე დადასტურდა განაჩენით საქმეზე *Conka v. Belgium*.

თუ უმრავლესობის ლოგიკა სწორად გავიგე, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მთავრობამ არ შეასრულა მოთხოვნილი დროებითი ღონისძიებები, როგორც ასეთი, გულისხმობს კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას.

მე არ ვეთანხმები სწორედ ამ „მექანიკურ“ დასკვნას კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევის შესახებ.

ჩემი აზრით, ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები ყოველთვის უარს ამბობდნენ დროებითი ღონისძიებებისთვის სავალდებულო ძალის მინიჭებაზე, არ აძლევს სასამართლოს უფლებას, თავად მიანიჭოს მათ ასეთი ძალა და დააკისროს სახელმწიფოებს ის ვალდებულებები, რომელთა თავის თავზე აღებაზე მათ უარი თქვეს.

თუმცა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, ხელი არ შეუშალონ ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელებას.

ამდენად, თუ დროებითი ღონისძიებების შესახებ თხოვნის შეუსრულებლობამ ხელი შეუშალა განაცხადის უფლების განხორციელებას, უნდა დავასკვნათ, რომ დარღვეულია კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები.

მაგრამ დასკვნა სხვაგვარი იქნება, თუ, უარის მიუხედავად, განმცხადებელს მაინც ჰქონდა ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობა და სასამართლოსაც ჰქონდა საქმის ჯეროვნად განხილვის შესაძლებლობა.

ეს, ჩემი აზრით, გამომდინარეობს კონვენციის დებულებებიდან და სასამართლოს რეგლამენტიდან და აღნიშნული უნდა ყოფილიყო განაჩენში.

მე ვგულისხმობ შემთხვევებს, როდესაც, მთავრობის მიერ სასამართლოს თხოვნის შეუსრულებლობის მიუხედავად, განმცხადებელს ჰქონდა თავისი ინ-

დივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიანად განხორციელების, ხოლო სასამართლოს — დამაკმაყოფილებელ პირობებში განაცხადის ჯეროვანი განხილვის შესაძლებლობა.

კერძოდ, მე ვგულისხმობ დაკავების საქმეებს, როდესაც პირი არის ავად ისეთ პირობებში, რომლებიც შეიძლება მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში და რომლებიც იმდენად ცუდია, რომ ამართლებს დროებითი ღონისძიებების მიღებას ასეთი ვითარების შეწყვეტის მიზნით.

ამ შემთხვევებში საპროცესო თანხმობა დღის წესრიგში არ დგება.

თუმცა შეიძლება მთავრობის მიერ სასამართლოს თხოვნის შეუსრულებლობამ გამოიწვიოს მე-3 მუხლის დარღვევის, თუნდაც მძიმე დარღვევის, ფაქტის დადგენა, მაგრამ ეს არ იწვევს 34-ე მუხლის დარღვევას, რადგან განმცხადებელმა განახორციელა ინდივიდუალური განაცხადის თავისი უფლება, ხოლო სასამართლომ ჯეროვნად განიხილა საჩივარი.

კიდევ სხვა ტიპის საქმე ამავე მიმართულებით შეიძლება იყოს, როდესაც პირი გადაეცემა ქვეყანას, რომელშიც არსებობს სიკვდილით დასჯის სასჯელი, მიუხედავად სასამართლოს თხოვნისა, რომ არ გადაცემულიყო აღნიშნული პირი სასამართლოს მიერ განაცხადის განხილვამდე.

მაგრამ იმ ფაქტმა, რომ განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ადვოკატის მიერ, რომელიც მუშაობდა მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში, შესაძლებელი გახდა ეფექტიანი კონტაქტი ამ განმცხადებელსა და მის ადვოკატს შორის, რითაც განმცხადებელს გაუადვილდა საჩივრის უკეთეს პირობებში წარმოდგენა.

სამწუხაროა, რომ ევროპის საბჭოს წევრებმა არ მიანიჭეს სასამართლოს სავალდებულო დროებითი ღონისძიებების დაკისრების უფლება, მაგრამ იძულებული ვარ, დავასკვნა, რომ კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას ადგილი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობის გამო განმცხადებელი ვერ განახორციელებდა განაცხადის უფლებას და, შესაბამისად, სასამართლოსთვის შეუძლებელი გახდებოდა მისი საჩივრის ეფექტიანი განხილვა.

## **მოსამართლე როზაკისის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება**

მართალია, ვიზიარებ სასამართლოს უმრავლესობის მოსაზრებას, რომ მოცემული საქმის გარემოებებში დაირღვა კონვენციის 34-ე მუხლი და არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი, მაგრამ ვერ გავიზიარებ უმრავლესობის დასკვნას, რომ არ დარღვეულა მე-6 მუხლი, იმავე საფუძვლებით, რომლებიც ჩამოაყალიბეს მოსამართლეებმა ბრატცამ, ბონელომ და ჰედიგანმა თავიანთ ერთობლივ ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებაში, რომელსაც მე სრულად ვუერთდები.

## **მოსამართლეების ბრატცას, ბონელოს და ჰედიგანის ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება**

1. მართალია, ჩვენ ვეთანხმებით სასამართლოს უმრავლესობის დასკვნას და ლოგიკას, რომ უზბეკეთისთვის განმცხადებელთა გადაცემით თურქეთმა

დაარღვია მასზე კონვენციის 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დასკვნას, რომ განმცხადებელთა ექსტრადიციას არ წარმოუშვია კონვენციის მე-3 მუხლის და მე-6 მუხლის დარღვევის საკითხი. ჩვენი აზრით, მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დაირღვა განმცხადებელთა ორივე მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

### მუხლი 3

2. ზოგადი პრინციპები, რომლებიც არეგულირებს კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენებას ადამიანის ექსტრადიციისა და გაქვების საქმეებში, შეჯამებულია განაჩენის 66-ე და 70-ე პუნქტებში. ამ შეჯამებას ჩვენ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა უკანონო მოპყრობისა არის აბსოლუტური აკრძალვა, მათ შორის გაქვების და ექსტრადიციის შემთხვევებშიც, და მოცემული ადამიანის ქმედებები, რამდენადაც არასასურველი და საშიში ან ტერორიზმთან დაკავშირებული არ უნდა იყოს, ვერ გამოდგება მატერიალურ დასაბუთებად, როდესაც დადასტურებულია მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის რეალური საფრთხე (იხ. 1996 წლის 15 ნოემბრის განაჩენი საქმეზე *Chahal v. the United Kingdom*, მოხსენებები 1996-V, პუნქტები 79-80). ასევე, როდესაც ასეთი საფრთხე დადასტურებულია, არასათანადოდ მიგვაჩინია პასუხი, რომ ექსტრადიციაზე უარის თქმით [ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო] დაარღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებში ასახულ უფლებებს ან წინააღმდეგობაში მოვა საერთაშორისო სასამართლო პროცესის ნორმებთან ან ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ექსტრადიციის მოთხოვნის გამგზავნა, კონვენციის არამონაწილე სახელმწიფოში არსებული ვითარების შეფასება მე-3 მუხლის სტანდარტების მიხედვით (იხ. სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის განაჩენი საქმეზე *Soering v. the United Kingdom*, სერია A, № 161, პუნქტები 83 და 88-91).

3. როგორც განაჩენში აღინიშნა, არსებობა საფრთხისა, რომ მიმღებ სახელმწიფოში დაბრუნების შემთხვევაში მოცემული პირი დაექვემდებარება მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას, უნდა შეფასდეს უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტების მიხედვით, რომლებიც ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის, რომელიც განაგებდა პირის დაბრუნების საკითხს ექსტრადიციის ან გაქვების წარმოებისას. სასამართლოს არაფერი უდგას წინ, გამოიყენოს ის ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა პირის დაბრუნების შემდეგ, თუ ეს ინფორმაცია ღირებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული შეფასების ან განმცხადებლის შიშის დასაბუთებულობის დასადასტურებლად ან უარსაყოფად. თუმცა, როგორც ვილვარაჯას საქმეზე გამოტანილი განაჩენიდანაც ჩანს (1991 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე *Vilvarajah and Others v. the United Kingdom*, სერია A, № 215, გვ. 37, პუნქტი 112), მტკიცებულებები განმცხადებლის მიმართ მიმღებ სახელმწიფოში მისი დაბრუნების შემდეგ რეალურად გამოყენებულ მოპყრობასთან დაკავშირებით არ არის საბოლოო მტკიცებულებათა ძალის; მთავარია, განჭვრეტადი იყო თუ არა პირის გაძევების მომენტისთვის, რომ მას დაუქვემდებარებდნენ მე-3 მუხლის სტანდარტს გათანაბრებულ უკანონო მოპყრობას.

4. ორი განმცხადებელი თურქეთში დააკავეს 1999 წლის შესაბამისად 3



და 5 მარტს. 18 მარტს პალატის თავმჯდომარემ გამოიყენა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი და მიუთითა თურქეთის მთავრობას, რომ მხარეთა ინტერესებში და სასამართლოში წარმოების ნორმალურად წარმართვის მიზნით სასურველი იყო, არ მომხდარიყო განმცხადებლების გადაცემა უზბეკეთის რესპუბლიკისათვის შესაბამისი პალატის სხდომის ჩატარებამდე, რომელიც შედგებოდა 1999 წლის 23 მარტს. 19 მარტს თურქეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება განმცხადებელთა ექსტრადიციის შესახებ. 23 მარტს პალატამ გადაწყვიტა, რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მითითებული დროებითი ღონისძიებები გაეგრძელებინა განუსაზღვრელი ვადით. 27 მარტს განმცხადებლები გადასცეს უზბეკეთის ხელისუფლებას. შესაბამისად, აქ გასარკვევი საკითხია, არსებობდა თუ არა ამ თარიღისთვის საკმარისი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ განმცხადებლებს ემუქრებოდა მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობისადმი დაქვემდებარების რეალური საფრთხე.

5. გამოიყენა რა 39-ე მუხლი, სასამართლო პალატამ საკმარისად იყო დარწმუნებული, რომ ასეთი საფრთხის სულ მცირე *prima facie* შემთხვევას შქონდა ადგილი. ჩვენი აზრით, ამ შეხედულებას საკმაოდ მყარი საფუძველი ადასტურებს. როგორც განაჩენში აღინიშნა, საქმისთვის მნიშვნელოვან დროს უზბეკეთში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა მკვეთრად უარყოფითი იყო, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციები გამოდნენ ამ ქვეყანაში პოლიტიკური დისიდენტების წამების და მათდამი სხვა უკანონო მოპყრობის პრაქტიკას სახელმწიფოს მხრიდან. კერძოდ, "Amnesty International"-მა გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისათვის გამართული ბრიფინგის დოკუმენტში, რომელიც 1999 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა, განაცხადა, რომ უზბეკეთმა ვერ შეძლო მასზე გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება.

ბრიფინგის დოკუმენტში, სხვა საკითხებს შორის, აღნიშნული იყო მზარდი რაოდენობის შეტყობინებები სამართალდამცავების მიერ უკანონო მოპყრობის შესახებ ისლამური საზოგადოებების წევრების და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც აკრძალული პოლიტიკური ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების („ერკი“ და „ბირლიკი“) მხარდამჭერებად მიიჩნეოდნენ, რაც მოხდა დედაქალაქ ტაშკენტში 1999 წლის თებერვალში მომხდარი აფეთქებების შემდეგ. ბრიფინგის დოკუმენტში ასევე აღინიშნა დამოუკიდებელი და სანდო წყაროები, რომელთა მიხედვით თვითაღიარებითი ჩვენებები, სავარაუდოდ წამების შედეგად მოპოვებული, რუტინულად იყო წარმოდგენილი სისხლის სამართალწარმოების პროცესებზე და "Amnesty International"-ის დაკვირვების ქვეშ მყოფ მრავალ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას დაედო საფუძველად. აღინიშნა უზბეკეთის ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის უზბეკეთის პრეზიდენტის, საჯარო განცხადებები, რომლებიც თუ არა პირდაპირი სანქციონირება ძალადობის გამოყენებისა სახელმწიფო მოხელეების მიერ მოსახლეობის გარკვეული წრეების მიმართ, სულ ცოტა შერიგებად მაინც აღიქმებოდა ისეთი უკანონო მეთოდების გამოყენებასთან, როგორიცაა წამება და უკანონო მოპყრობა.

6. გაიზიარა რა, რომ ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების სხვადასხვა ანგარიშები მართებულად აღწერენ უზბეკეთში არსებულ ზოგად სიტუაციას, სასამართლოს უმრავლესობამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მასალები ვერ ადასტურებს განმცხადებლების მიერ მოცემულ საქმეზე დაყენებულ კონკრეტულ

საჩივრებს და საჭიროებს სხვა მტკიცებულებებით დადასტურებას (განაჩენის 73-ე პუნქტი).

7. ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმას, რომ არასადავო მასალები უზბეკეთში არსებულ ზოგად სიტუაციასთან დაკავშირებით ვერ ადასტურებს განმცხადებელთა მიერ დაყენებულ კონკრეტულ საჩივრებს იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში ისინი აღმოჩნდებოდნენ უკანონო მოპყრობის რეალური საფრთხის წინაშე. პირიქით, ჩვენ ვთვლით, რომ განმცხადებლები სწორედ რომ ასეთი მოპყრობის რეალური საფრთხის წინაშე იდგნენ. ისინი არა მარტო „ერკის“ წევრები იყვნენ, არამედ დააპატიმრეს კიდევ 1999 წლის მარტში (მაღევე ტაშკენტში ტერორისტული აფეთქებების შემდეგ) ეჭვის საფუძველზე, რომ მათ ჩაიდინეს მკვლელობა, გამოიწვიეს სხეულის დაზიანებები ბომბის აფეთქების შედეგად და ჩაიდინეს უზბეკეთის პრეზიდენტზე ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობა.

8. ჩვენთვის გაუგებარია, კიდევ რა დამატებითი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა შეიძლება გონივრულად მოეთხოვოთ განმცხადებლებს, განსაკუთრებით ისეთ გარემოებებში, როგორც წინამდებარე საქმეში არსებობს, როდესაც თურქეთის მხრიდან სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობით სასამართლოს ხელი შეეშალა ნორმალური პროცედურით განაცხადის სრულ და ჯეროვან განხილვაში. ამ პირობებში ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლომ ასე სწრაფად არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივარზე უარის თქმის თაობაზე, როდესაც არ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება იმ საფრთხეების არსებობის გაბათილების შესახებ, რომლებიც 39-ე მუხლის გამოყენების საფუძველი გახდა.

9. დაასკვნა რა, რომ საკმარისად ვერ დადასტურდა საფრთხის საჭირო ხარისხი, სასამართლოს უმრავლესობა დაეყრდნო საქმის სამ კონკრეტულ გარემოებას — უზბეკეთის მთავრობის მიერ მიცემულ რწმუნებებს; რესპუბლიკის პროკურორის განცხადებას, რომელიც თან ერთვოდა ამ რწმუნებებს და რომლის თანახმად უზბეკეთი იყო გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მონაწილე და იღებდა და ადასტურებდა ვალდებულებას, შეესრულებინა კონვენციის მოთხოვნები; და სამედიცინო ცნობებს, რომლებიც გაცემული იყო განმცხადებელთა ციხის ექიმების მიერ.

10. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორები, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, არის დამაჯერებელი ან საკმარისი იმისათვის, რომ შეამციროს სერიოზული შეშფოთება მოპყრობასთან დაკავშირებით, რომელიც დაბრუნების შემდეგ განმცხადებლებს ელოდა. რაც შეეხება რწმუნებებს, ჩვენ განსაცვიფრებლად მიგვაჩნია ის, რომ ერთადერთი რწმუნება, რაც განმცხადებლების გადაცემამადე იყო მიღებული (კერძოდ, 1999 წლის 9 მარტისა), არც კი შეატყობინეს სასამართლოს 1999 წლის 19 აპრილამდე, როცა კარგა ხანი გავიდა, რაც 39-ე მუხლი იქნა გამოყენებული და ექსტრადიცია განხორციელდა სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ღონისძიებების გვერდის ავლით. გარდა ამისა, რწმუნება, თუნდაც კეთილსინდისიერად გაკეთებული, რომ ადამიანი არ დაექვემდებარება უკანონო მოპყრობას, თავისთავად არ არის საკმარისი უზრუნველყოფა მაშინ, როდესაც არსებობს ეჭვები მის ეფექტიან განხორციელებასთან დაკავშირებით (იხ., მაგალითად, ზემოხსენებული განაჩენი

საქმეზე *Chahal v. the United Kingdom*, პუნქტი 105). მიმღები სახელმწიფოსაგან მიღებული რწმუნებების სანდოობის ხარისხის შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია ამ სახელმწიფოში საქმისთვის მნიშვნელოვან დროს არსებულ სიტუაციაზე. განმცხადებელთა გადაცემის მომენტისთვის უზბეკეთში პოლიტიკური დისიდენტების მიმართ მოპყრობის მტკიცებულებები კი, ჩვენი აზრით, საკმარისად სერიოზულ ეჭვებს ბადებს იმ რწმუნებათა სინამდვილესთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლებს ადეკვატურად ექნებოდათ განატირებული უსაფრთხოება.

11. იგივე შეიძლება ითქვას უმრავლესობის მიერ იმ ფაქტზე მითითებასთან დაკავშირებითაც, რომ უზბეკეთი არის წამების საწინააღმდეგო კონვენციის მონაწილე. ამასთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნავთ *“Amnesty International”*-ის დასკვნას, რომ უზბეკეთმა არ შეასრულა მასზე ამ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებები და, მიუხედავად ამ ვალდებულებებისა, განმცხადებლების დაპატიმრებისა და გადაცემის მომენტისთვის კვლავ გრძელდებოდა ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების წევრთა მიმართ სავარაუდო უკანონო მოპყრობა და მათი წამება.

12. რაც შეეხება ზარაფშანის და შაიჰალის ციხეების ექიმების მიერ გაცემულ ცნობებს, ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ ეს ლაკონური და დეტალურს მოკლებული ცნობები გაიცა 2000 წლის დეკემბერში და 2001 წლის აპრილში (პირველი განმცხადებლის შემთხვევაში) და 2001 წლის ივლის-ოქტომბერს შორის პერიოდში (მეორე განმცხადებლის შემთხვევაში), ანუ განმცხადებელთა ექსტრადიციიდან სულ ცოტა 21 თვის შემდეგ, ხოლო მათი სასამართლო პროცესის დასრულებიდან და მსჯავრდებიდან — დაახლოებით 18 თვის შემდეგ. თუ რაიმე ყურადღება მაინც უნდა მიექცეს ექსტრადიციის შემდეგ მომხდარ მოვლენებს, მაშინ, ჩვენი აზრით, ეს სამედიცინო ცნობები ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ნათელს არ ჰფენს იმას, თუ რა მოპყრობა ჰქონდათ განმცხადებლებს მოცემულ პერიოდში და, კერძოდ, მათ წინააღმდეგ სასამართლოში წარმოების დაწყებამდე პერიოდში. აღნიშნული მოვლენების შემდეგ განმცხადებელთა ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ მტკიცებულებები, ჩვენი აზრით, ვერ გამოდგება ექსტრადიციის მომენტისთვის განმცხადებელთა შიშის საფუძვლიანობის გასაბათილებლად.

13. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი იქნა საკმარისი საფუძვლები იმის დასაჯერებლად, რომ განმცხადებლებს ემუქრებოდათ უკანონო მოპყრობის რეალური საფრთხე და ამ საფრთხის უგულვებლყოფით და განმცხადებელთა დაბრუნებით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

## მუხლი 6

14. მართალია, დღემდე სასამართლოს არ დაუდგენია, რომ ადამიანის გაძევების ან ექსტრადიციის შედეგად დაირღვა ან დაირღვეოდა კონვენციის მე-6 მუხლი, სასამართლოს არაერთხელ განუცხადებია, რომ არ არის გამორიცხული შემთხვევა, როცა გაძევებულ პირს შეიძლება აშკარად უარი უთხრან სამართლიან სასამართლოზე ან მას ასეთი უარის საფრთხე ემუქრებოდეს მიმღებ სახელმწიფოში (იხ., მაგალითად, ზემოხსენებული განაჩენი საქმეზე

*Soering v. the United Kingdom*, პუნქტი 113; 1992 წლის 26 ივნისის განაჩენი საქმეზე *Drozd and Janousek v. France and Spain*, სერია A, № 240, პუნქტი 110; 2001 წლის 16 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე *Einhorn v. France*, № 71555/01, პუნქტი 32; 2003 წლის 11 მარტის განაჩენი საქმეზე *Razaghi v. Sweden*, № 64599/01; 2003 წლის 14 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე *Tomic v. the United Kingdom*, № 17837/03). სასამართლოს პრაქტიკაში გარკვევით არ არის განმარტებული, რას ნიშნავს „აშკარა“ უარი მართლმსაჯულებაზე, მაგრამ ამ ზედსართავი სახელის გამოყენება გასაგებად მიუთითებს უსამართლობის მაღალ სტანდარტზე, რომელიც სცილდება უბრალო დარღვევებს და გულისხმობს სამართალწარმოების პროცესის დროს ისეთი დაცვითი საშუალებების არარსებობას, რასაც შეიძლებოდა გამოენვია მე-6 მუხლის დარღვევა, ასეთი ფაქტი რომ კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოში მომხდარიყო. როგორც სასამართლომ აღნიშნა, პირველი მუხლი არ შეიძლება წაკითხული იქნეს ისე, თითქოს იგი ამართლებდეს ზოგად პრინციპს, რომ ხელშემკვერელმა სახელმწიფომ ადამიანი არ უნდა გადასცეს, თუ არ დარწმუნდება, რომ მიმღებ ქვეყანაში არსებული პირობები სრულად აკმაყოფილებს კონვენციით გათვალისწინებულ ყველა სტანდარტს (იხ. ზემოხსენებული სოერინგის საქმე, პუნქტი 86). ჩვენი აზრით, სიტყვა „აშკარას“ მნიშვნელობა გულისხმობს მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი პრინციპების დარღვევას, რომლებიც იმდენად ფუნდამენტურია, რომ მათი დარღვევა უთანაბრდება ამ მუხლით გარანტირებული უფლების არარად ქცევას ან მისი ძირითადი არსის გაქარწყლებას.

15. ისევე, როგორც კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის საფრთხის შემთხვევაში, მე-6 მუხლის მიზნებისთვის მიმღებ სახელმწიფოში მართლმსაჯულებაზე აშკარა უარის საფრთხე უნდა შეფასდეს უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რომლებიც ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო მოპასუხე სახელმწიფოსთვის ექსტრადიციის მომენტში.

16. სასამართლოს უმრავლესობა აღიარებს, რომ, არსებული ინფორმაციის ფონზე, „შესაძლოა იმ დროისთვის ყოფილიყო მიზეზები ვარაუდისთვის“, რომ განმცხადებლები არ მიიღებდნენ სამართლიან სასამართლოს უზბეკეთში (განაჩენის 91-ე პუნქტი). მაგრამ უმრავლესობა ასკვნის, რომ წარმოდგენილი არ არის საკმარისი მტკიცებულება იმის მისაჩვენად, რომ გარკვეული შესაძლო დარღვევები სასამართლო განხილვისას შეიძლებოდა ჩათვლილიყო აშკარა უარად მართლმსაჯულებაზე, იმ გაგებით, როგორც ეს მოცემულია სოერინგის განაცენში.

17. ამის საპირისპიროდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ შესაბამის დროს წარმოდგენილი მასალებით მტკიცდებოდა არსებითი საფუძვლები არა მარტო ვარაუდისთვის, რომ განმცხადებლები არ მიიღებდნენ სამართლიან სასამართლოს, არამედ დასკვნისთვისაც, რომ მათ წინაშე იყო მართლმსაჯულებაზე აშკარა უარის რეალური საფრთხე. „*Amnesty International*“-ის ბრიფინგის დოკუმენტი, ჩვენი აზრით, იძლეოდა სარწმუნო საფუძვლებს ვარაუდისთვის, რომ წამების გზით მიღებული აღიარებები ჩვენებები რუტინულად გამოიყენებოდა მსჯავრდების განაჩენების უზრუნველსაყოფად, რომ ეჭვმიტანილებს ხშირად ეუბნებოდნენ უარს მათ მიერ არჩეულ ადვოკატთან შეხვედრანზე, რომ ადვოკატებს თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან შეხვედრის შესაძლებლობას სამართალდამცავები აძლევდნენ მხოლოდ რამდენიმე დღიანი პატიმრობის, როცა წამების რისკი ყველაზე დიდი იყო, შემდეგ. ასევე, ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევებში

სამართალდამცავები ადვოკატთან შეხვედრის უფლებას იძლეოდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეჭვმიტანილი ხელს მოაწერდა აღიარებით ჩვენებას, ხოლო როცა იძლეოდნენ — ასეთი შეხვედრები, როგორც წესი, იშვიათად ხდებოდა, ადვოკატებს იშვიათად ეძლეოდათ გამოძიების ყველა ეტაპში მონაწილეობის საშუალება.

18. რაც შეეხება ამ ორი განმცხადებლის შიშს უსამართლო სასამართლოს-თან დაკავშირებითი, მათი ექსტრადიციის შემდეგ დღემდე მოპოვებული ინფორმაცია, ჩვენი აზრით, მხოლოდ ადასტურებს ამ შიშის დასაბუთებულობას. თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ, მართალია, თურქეთის მთავრობამ მიიღო რწმუნებები უზბეკეთში განმცხადებელთა საკუთრების უფლებებთან და მათდამი მოპყრობასთან დაკავშირებით, არავითარი რწმუნება არ მოუთხოვია თურქეთის მთავრობას და არავითარი რწმუნება არ ყოფილა მიღებული უზბეკეთიდან, რომ განმცხადებელთა სისხლის სამართლის სასამართლო პროცესი ჩატარდებოდა სამართლიანად. უფრო კონკრეტულად კი, განმცხადებლებისთვის ნაყენებული ბრალდებების სიმძიმის მიუხედავად, როგორც ჩანს, არ ყოფილა მცდელობა, უზრუნველყოფილიყო განმცხადებელთა კავშირი მათ იურიდიულ წარმომადგენლებთან, ხოლო უზბეკეთში დაბრუნების შემდეგ — მათ მიერ არჩეული დამოუკიდებელი ადვოკატების სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობა. ფაქტობრივად, მათი იურიდიული წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი არასადავო მტკიცებულებების მიხედვით, ექსტრადიციის შემდეგ მათ ვერ შეძლეს რომელიმე განმცხადებელთან დაკავშირება ვერც წერილით და ვერც ტელეფონით, ვერც სასამართლო სხდომებამდე და ვერც მათ შემდეგ. უზბეკეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ აღიარებითი ჩვენებები, რომლებსაც ძირითადად ეფუძნებოდა მათი გამამტყუნებელი განაჩენი, მიღებული იყო განმცხადებელთა თავისუფალი ნების საფუძველზე, რომ სასამართლო სხდომები ტარდებოდა საჯაროდ და რომ ამ სხდომებს, სხვებთან ერთად, ესწრებოდნენ „ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების წარმომადგენლები“. მაგრამ ეს მტკიცებები განხილული უნდა იქნეს სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი სხვა მასალების, კერძოდ, სხვა მხარეთა — *“Human Rights Watch”*-ის — მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფონზე; ეს, ფაქტობრივად, ადამიანის უფლებათა ერთადერთი ორგანიზაცია აღმოჩნდა, რომელსაც მისცეს განმცხადებელთა სასამართლო პროცესზე დასწრების ნებართვა. ამ მტკიცებულებების მიხედვით, განმცხადებლებს უარი ეთქვათ მათ მიერ არჩეული ადვოკატის წარმომადგენლობაზე, დამცველი დაინიშნა პროკურორის მიერ; განმცხადებლები მონყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს სასამართლო პროცესის დაწყებამდე 1999 წლის ივნისში; სასამართლო პროცესი დახურული იყო საზოგადოებისთვის, განმცხადებელთა ოჯახების ყველა წევრისთვის და დაცვის მხარის მიერ დაქირავებული ადვოკატებისთვის; აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც გამოყენებული იყო განმცხადებელთა მსჯავრდებისთვის, ხელმოწერილი იყო პოლიციური წინასწარი გამოძიების დროს, როდესაც განმცხადებლები იყვნენ დაპატიმრებული და არ ჰქონდათ თავიანთ ადვოკატებთან შეხვედრის შესაძლებლობა.

19. ჩვენი აზრით, მოცემულ საქმეზე სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისია იმის დასადგენად, რომ ექსტრადიციის თარიღისთვის არსებობდა რეალური საფრთხე, რომ განმცხადებლები მიიღებდნენ აშკა-

რა უარს მართლმსაჯულების განხორციელებაზე. ამ გარემოებებში განმცხადებლების გადაცემაც კონვენციის მე-ნ მუხლის დარღვევით მოხდა.

## **მოსამართლეების კაფლიშის, ტურმენის და კოვლერის ერთობლივი განსხვავებული მოსაზრება**

### *1. წინასწარი მოსაზრებები*

1. განაჩენი, რომელსაც ჩვენ ნაწილობრივ არ ვეთანხმებით, ორაზროვანია სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ხასიათთან დაკავშირებით. თუმცა ეჭვგარეშეა — და ეს მნიშვნელოვანი საკითხია — რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე მითითებული ღონისძიებების იურიდიული შედეგები ამ განაჩენში უშუალოდ განხილული არ არის. განაჩენის 128-ე პუნქტიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ უმრავლესობას სურს ასეთი ღონისძიებებისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მინიჭება. განაჩენის მიხედვით, დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ხასიათი ძირითადად ეფუძნება კონვენციის 34-ე მუხლს. განაჩენის 128-ე პუნქტში ნათქვამია, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დროებითი ღონისძიების შეუსრულებლობა უნდა ჩაითვალოს სასამართლოს მიერ განმცხადებლის განაცხადის ეფექტიანი განხილვისთვის ხელის შეშლად, განაცხადის უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის ხელის შეშლად და, შესაბამისად, კონვენციის 34-ე მუხლის (ინდივიდუალური განაცხადის უფლების) დარღვევად.

2. ჩვენი აზრით, კონვენციის 34-ე მუხლი ვერ გამოდგება იმის დასადასტურებლად, რომ სასამართლოს დროებითი ღონისძიებები სავალდებულოა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისთვის. მაგრამ თუნდაც რომ დავუშვათ — რასაც ჩვენ არ ვაპირებთ — რომ შეუსრულებლობა ზოგ შემთხვევაში უთანაბრდება 34-ე მუხლის დარღვევას, მაშინ საჭირო იქნებოდა, ყოველ კონკრეტულ საქმეზე დაგვედგინა, მართლაც უშლის თუ არა ხელს სასამართლოს კონკრეტული შეუსრულებლობა განმცხადებლის საჩივრის განხილვაში და არღვევს თუ არა ეს შეუსრულებლობა პირის ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიან განხორციელებას. რა თქმა უნდა, არის საქმეები, როდესაც სასამართლოს წინაშე წარმოდგენილია ყველა მასალა განმცხადებლის საჩივრის გამოსაკვლევად, შეუსრულებლობის მიუხედავად; ასევე არის საქმეები, როდესაც სასამართლო 39-ე მუხლს იყენებს განმცხადებლის (მაგალითად, როცა საქმე ეხება გაფიცვებს შიმშილობით) და არა მთავრობის მიმართ.

3. მოცემულ საქმეზე სასამართლოს ნამდვილად ჰქონდა საჭირო მასალები განმცხადებელთა მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის გამოსაკვლევად. მოპასუხე სახელმწიფომ ოფიციალური გარანტიები მიიღო უზბეკეთის ხელისუფლებისგან, რომ განმცხადებლები არ დაექვემდებარებოდნენ სიკვდილით დასჯას ან წამებას და მათი ქონება არ დაექვემდებარებოდა კონფისკაციას. სასამართლოსთვის მას შემდეგ წარდგენილი სამედიცინო ცნობები, რაც განმცხადებლები მსჯავრდებულნი და მოთავსებულნი იქნენ სასჯელალსრულების დანესებულებაში, მიუთითებს, რომ განმცხადებლებს ცუდად არ ექცეოდნენ, მათი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელი იყო როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. ასევე, ტაშკენტში თურქეთის საელჩოს ორმა

თანამშრომელმა განმცხადებლები მოინახულა ციხეებში; მათ თავიანთი დაკვირვებები სასამართლოს გაუზიარეს. მათი თქმით, განმცხადებელთა ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელი იყო, მათ მიმართ არ გამოიყენებოდა უკანონო მოპყრობა დაკავების პერიოდში არც სასამართლომდე და არც მის შემდეგ, ისინი რეგულარულად ხვდებოდნენ თავიანთი ოჯახების წევრებს.

4. ამ წინასწარი მოსაზრებების შემდეგ ჩვენ შევეუდგებით იმ კონკრეტული საკითხის განხილვას, რის გამოც არ ვეთანხმებით განაჩენს, კერძოდ, სასამართლოს დასკვნას, რომ სასამართლოს მიერ „მითითებული“ დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობა უთანაბრდება კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას. ამ მიზნით ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილავთ შემდეგ საკითხებს: (i) სასამართლოს პრაქტიკას; (ii) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას; (iii) ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას საერთაშორისო ხელშეკრულებათა განმარტების კანონების საფუძველზე; და (iv) ზოგადი საერთაშორისო სამართლის შესაბამის ნორმებს.

## 2. სასამართლოს პრაქტიკა

5. სასამართლოს პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეჯამებულია 1991 წლის 20 მარტის განაჩენში საქმეზე *Kruz Varas and Others v. Sweden* (სერია A, № 201). ამ საქმეში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ თუმცა კონვენცია არ შეიცავს კონკრეტულ წესებს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (რომლის რეგლამენტის 36-ე მუხლი შეიცავდა დღევანდელი სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მსგავს ტექსტს) მიერ მითითებულ დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებით, აუცილებელი იყო, ასეთ ღონისძიებებს მინიჭებოდა შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო კონვენციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით (დღევანდელი რედაქციით 34-ე მუხლის პირველი პუნქტი) გარანტირებული ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლება. სასამართლომ ამაზე უპასუხა, რომ „25-ე მუხლის [დღევანდელი რედაქციით 34-ე მუხლი] ტექსტის გადამეტებად ჩაითვლებოდა, რომ სიტყვებიდან „არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას“ დავასკვნათ რეგლამენტის 36-ე მუხლის [დღევანდელი რედაქციით 39-ე მუხლი] შესაბამისად კომისიის მიერ მითითებული ღონისძიების შესრულების ვალდებულება“ (პუნქტი 99) და განაცხადა, რომ „დროებითი ღონისძიებების შესახებ შესასრულებლად სავალდებულო ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება არ დგინდება არც კონკრეტულად 25-ე მუხლიდან და არც სხვა წყაროებიდან“ (პუნქტი 102). ეს ასეა, აღნიშნა სასამართლომ, თუმცა პრაქტიკაში „თითქმის ყოველთვის ხდება ასეთი მითითებების შესრულება“ (პუნქტი 100; იხ. ასევე პუნქტები 7 და 18). ეს „თანმიმდევრული პრაქტიკა“ „შეიძლება მიჩნეული იქნეს ხელმშემკვრელ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების დამკვიდრებად კონვენციის დებულების განმარტებასთან დაკავშირებით [მითითებულია სასამართლოს განჩინება სოერინგის საქმეზე და 1969 წლის 23 მაისის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი], მაგრამ არა ისეთი ახალი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობად, რომლებიც თავდაპირველად არ იყო გათვალისწინებული კონვენციით [მითითებულია განაჩენი ჯონ-

სტონის და სხვების საქმეზე, 1986 წლის 18 დეკემბერი, სერია A № 112, პუნქტი 53]“ (ხაზგასმა ჩვენია). „36-ე მუხლით გათვალისწინებული მითითებების შესრულების პრაქტიკა“, დაასკვნა სასამართლომ, „არ შეიძლება დაეფუძნოს მოსაზრებას, რომ ეს მითითებები წარმოშობს შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულებას... ეს უფრო კეთილსინდისიერი თანამშრომლობა კომისიასთან იმ საქმეებზე, როდესაც აღნიშნული მითითებები იყო გონივრული და პრაქტიკული მნიშვნელობის“ (იქვე, ანუ საუბარია რაციონალურობაზე და ზრდილობიან დამოკიდებულებაზე).

6. ზემოხსენებული პრეცედენტი ამას წინათ კვლავ დადასტურდა სასამართლოს მიერ — დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც მოპასუხე სახელმწიფომ მხედველობაში არ მიიღო — საქმეზე *Conka v. Belgium* (2001 წლის 13 მარტის განაჩენი, № 51564/99). უმრავლესობის მოსაზრება — რომ კრუზ ვარასის საქმეში სასამართლომ განიხილა კომისიის და არა საკუთარი უფლებამოსილება დროებითი ღონისძიებების შესახებ ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებით — არ გამოიყურება დამაჯერებლად ჩონკას საქმეზე გამოცხადებული განაჩენის ფონზე, როდესაც სასამართლომ გაიმეორა კრუზ ვარასის საქმეზე დადგენილი პრინციპები მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით. ჩვენ არ გვგონია, რომ ჩონკას საქმის შემდეგ რაიმე ისეთი ცვლილებები მომხდარიყო, რომლებიც გაამართლებდა სასამართლოს მიერ საკუთარი პრაქტიკის გადასინჯვას და დიამეტრალურად განსხვავებულ დასკვნებამდე მისვლას. როგორც წინამდებარე განაჩენშია ნათქვამი, „სამართლებრივი გასაგებობისა და განჭვრეტადობის ინტერესებში [სასამართლომ] არ უნდა გადაუხვიოს საკუთარი პრეცედენტებიდან დასაბუთებული მიზეზის გარეშე“ (პუნქტი 121).

7. ზემოთ მიმოხილული სასამართლოს პრაქტიკა არსებითად ნიშნავს იმას, რომ მართალია, სასამართლო უფლებამოსილია, მოახდინოს კონვენციის დებულებათა ინტერპრეტაცია, მას უფლება არა აქვს — ინტერპრეტაციის გზით, რეგლამენტის გზით, ან ორივეთი — ჩანეროს ახალი წესები კონვენციაში, თუნდაც არსებობდეს საკმარისად ფართოდ გავრცელებული და სასურველი პრაქტიკა, თუ ეს პრაქტიკა არ არის ერთიანი (იხ. ბელგიის არგუმენტაცია ჩონკას საქმეში ან თურქეთის არგუმენტაცია მოცემულ საქმეში) და მხარდაჭერილი შესაბამისი *opinion juris*-ით. მხოლოდ ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს ერთად აქვს უფლება, შეცვალოს კონვენცია მასში ცვლილების განხორციელებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ კონვენციის 34-ე მუხლში ასახული ინდივიდუალური განაცხადის უფლების სრულად განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარეობს დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ხასიათი, მაშინ როგორი იქნებოდა ვითარება სახელმწიფოთა შორის დავის შემთხვევაში? ასეთი დავის შემთხვევაში მითითებული ღონისძიებები სარეკომენდაციო ხასიათის იქნებოდა? თუ ჩაითვლებოდა სავალდებულოდ, ანალოგიით, კონვენციის 33-ე მუხლის (სახელმწიფოთაშორისი დავები) სრულად განხორციელების მიზნით?

### 3. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა: ლაგრანდის საქმე

8. სასამართლოს განაჩენი ემყარება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადანყვეტილებას ლაგრანდის საქმეზე (2001 წლის 27 ივნისი-



სის გადანყვეტილება, *ICJ Reports 2001*, პუნქტები 48 და 117). ეს მითითება, როგორც ჩანს, არასწორია, ვინაიდან არსებითად განსხვავდება ის ვითარება, რომელშიც აღმოჩნდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო.

9. ლაგრანდის საქმეზე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს უნდა განემარტა საკუთარი დამფუძნებელი საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის შინაარსი — დებულების 41-ე მუხლი. ამ დებულების მონაწილე სახელმწიფოები უპირობოდ დაეთანხმნენ ამ მუხლს და აღიარეს მისი სავალდებულო ხასიათი. შესაბამისად, საკითხი ეხებოდა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულების ინტერპრეტაციას, კერძოდ, გაგებულ იქნა უნდა იქნეს თუ არა 41-ე მუხლში გამოყენებული ზმნა „მითითებული“ ისე, რომ ამ დებულების მიხედვით ჩამოყალიბებული ღონისძიებები შესასრულებლად სავალდებულო იყოს დავის მონაწილე სახელმწიფოებისთვის. ამ საკითხის განმარტებისაგან წლების მანძილზე თავის შეკავების შემდეგ საერთაშორისო სასამართლომ ლაგრანდის საქმეში აღნიშნულ კითხვას დადებითად უპასუხა, რისთვისაც დასაყრდნობად გამოიყენა 1969 წლის ვენის კონვენცია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, კერძოდ, დებულების 41-ე მუხლის ობიექტი და მიზანი — ეს არის დებულება, რომელიც იყო და არის ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის სავალდებულო სახელშეკრულებო ნორმა. 41-ე მუხლისთვის „ობიექტი და მიზანი“ არის „მხარის შესაბამისი უფლებების დაცვა“ და სასამართლოს შესაძლებლობა, გამოიტანოს შესასრულებლად სავალდებულო გადანყვეტილება დებულების 59-ე მუხლის საფუძველზე; და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჰქონდა აზრი იმის თქმას, რომ ეს შედეგი დამოკიდებული იყო დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ხასიათზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ საქმე გვაქვს მჭიდრო ურთიერთკავშირთან უფლებამოსილების მიმნიჭებელ სახელშეკრულებო ნორმასა და მისაღწევ მიზანს შორის.

10. მოსალოდნელია, რომ სხვა საერთაშორისო დავების გადანყვეტის მექანიზმების მონაწილე სახელმწიფოები, როდესაც ეს მექანიზმები მოიცავენ ჰააგის სასამართლოს დებულების 41-ე მუხლის მსგავსი ტექსტის მქონე დებულებებს დროებითი ღონისძიებების შესახებ, თავიანთ მოქმედებებს შესაბამისობაში მოიყვანენ ჰააგის სასამართლოს ახალ სამოსამართლო პრაქტიკასთან. მათ, რა თქმა უნდა, აქვთ ამის უფლება, რადგან ისინი, უბრალოდ, დაიწყებენ შესაბამისი მექანიზმის დამფუძნებელ დოკუმენტში ასახული დროებითი ღონისძიებების შესახებ დებულების განმარტებას და მათ აქვთ ასეთი დებულების განმარტების უფლება.

11. ამისგან განსხვავებით, ასეთი დებულება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში არ მოიპოვება: ის არ მოიპოვება კონვენციის 26-ე მუხლის (დ) პუნქტში, რომელიც სასამართლოს საკუთარი რეგლამენტის მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს; არც 34-ე მუხლი, რომელიც ინდივიდუალური განაცხადის უფლებას ადგენს, არ არის იმდენად მჭიდროდ დაკავშირებული განსახილველ საკითხთან, რომ არაფრიდან ამოავსოს კონვენციის „ხარვეზი“ სავალდებულო დროებითი ღონისძიებების დაწესებით, რითაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს მათი თანხმობის გაკრეშე დაეკისრებათ ვალდებულება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიდია განსხვავება ხელშეკრულების უბრალო განმარტებასა და მასში ცვლილების შეტანას შორის, სასამართლო ფუნქციების განხორციელებასა და საერთაშორისო სამართლის შექმნას შორის.

12. სასამართლოს დიდმა პალატამ, მანამდე კი პალატამ თავიანთ განაჩენებში მამატკულოვის და ასკაროვის საქმეზე განახორციელეს კანონმდებლის ფუნქცია, ვინაიდან ამჟამად მოქმედი კონვენცია არსად არ ავალდებულებს მის მონაწილე სახელმწიფოებს, რომ აღიარონ სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ხასიათი. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ სასამართლო ვერ გაჰყვება ჰააგის სასამართლოს მიერ გაკვალულ ბილიკს და სწორედ ამიტომ არ არსებობს არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გადახვევის საფუძველი.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ხელშეკრულების განმარტების კანონების ქრილში

13. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ევროპული სასამართლოს არსებული პრაქტიკა არ შეიცავს არც შესაძლებლობას და არც საფუძველს იმისა, რომ კონვენცია ნაკითხული იქნეს, როგორც დროებითი ღონისძიებებისთვის სავალდებულო ძალის მიმნიჭებელი; ასეთი შესაძლებლობა ან საფუძველი არც ჰააგის სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას შეუქმნია. მაგრამ, ამ ორი ფაქტორისგან განცალკევებით, გამოსაკვლევი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე და 32-ე მუხლებში მოცემული ხელშეკრულების განმარტების კანონები ადასტურებს თუ არა სასამართლოს დასკვნებს მოცემულ განაჩენში. ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ 1969 წლის ვენის კონვენციით დადგენილი ინტერპრეტაციის შემდეგი წესები: ხელშეკრულების ტექსტი; ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია; ხელშეკრული სახელმწიფოების პრაქტიკა; მოსამზადებელი სამუშაოები; და საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმები.

14. როგორც უკვე აღინიშნა, კონვენციის ტექსტი დუმს დროებით ღონისძიებებზე და მათ სავალდებულო ძალაზე. ასეთი ღონისძიებების ერთადერთი საფუძველი მოიპოვება კონვენციის 26-ე მუხლის (დ) პუნქტში, რომელიც სასამართლოს პლენუმს ანიჭებს რეგლამენტის მიღების უფლებამოსილებას. სასამართლო მოიქცა სწორედ ასე და საკუთარ რეგლამენტში შეიტანა 39-ე მუხლი. ამჟამად, რომ ამის გაკეთება დასაშვებია იყო, ვინაიდან აღნიშნული მუხლი არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციას მონაწილე სახელმწიფოებზე კონვენციით გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დაკისრებით. ასევე ამჟამად, რომ მონაწილე სახელმწიფოებს კონვენციის შექმნისას არ ჰქონიათ რაიმე განზრახვა, დაენსებინათ სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ღონისძიებების შესრულების ვალდებულება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებული რეგლამენტის ძალით; მათ ამის განზრახვა არც მოგვიანებით ჰქონიათ, რაც დასტურდება დროებითი ღონისძიებების ან მათი სავალდებულო ძალის შესახებ დებულების არარსებობით დამატებით ოქმებში და იმით, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა არ გაიზიარეს შემოთავაზება, ოქმში ჩანერილიყო დებულება დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ძალის შესახებ (იხ. ქვემოთ, პუნქტი 18).

15. „ცოცხალი დოკუმენტის“ დოქტრინიდან გამომდინარე სასამართლო წინამდებარე განაჩენში დიდწილად იყენებს განმარტების ტელეოლოგიურ მეთოდს (ხელშეკრულების „ობიექტი და მიზანი“), მაგრამ ჩვენ ეს არ მიგვაჩნია

საფუძვლიანად. კრუზ ვარასის საქმეზე ეს მეთოდი პირდაპირ ნახსენებიც კი არ ყოფილა; ამასთან, რაც შეეხება დროებითი ღონისძიებების ხასიათს, ბევრი არაფერი შეცვლილა კრუზ ვარასის საქმეზე განაჩენის გამოტანის დროსა და დღევანდელ დროს შორის პერიოდში: სავალდებულო ხასიათის დროებითი ღონისძიებები მაშინაც ისეთივე სასურველი იყო, როგორც დღეს, მაგრამ მათი გამოყენება არ არის გამართლებული კონვენციაში — სასამართლოს დამფუძნებელ დოკუმენტში — შესაბამისი უფლებამოსილების მიმნიჭებელი ნორმის არსებობის გარეშე. კრუზ ვარასის საქმეზე სასამართლოს მიერ გაცემულ დროებითი ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნები დადასტურდა ჩონკას საქმეშიც, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ლაგრანდის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე სულ რაღაც სამი თვით ადრე.

16. განაჩენში აღნიშნულია, რომ კონვენციის 34-ე მუხლით დადგენილი ინდივიდუალური განაცხადის უფლებას აზრი დაეკარგება, თუ სასამართლო არ იქნება უფლებამოსილი, გამოცეცეს შესასრულებლად სავალდებულო დროებითი ღონისძიებები და რომ, შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამ მუხლის ობიექტის და მიზნის მისაღწევად აუცილებელია აღნიშნულ ღონისძიებათა სავალდებულო ხასიათის აღიარება. როგორც ითქვა, შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეებზე განაცხადის უფლება ვერ იქნება ეფექტიანი სავალდებულო დროებითი ღონისძიებების გამოცემის შესაძლებლობის გარეშე. ეს შეიძლება ასეა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, სადაც უპირატესია სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის პრინციპი. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის საერთაშორისო დონეზე. პირველი, სახელმწიფოებს აქვთ სრული თავისუფლება, აღიარონ ან არ აღიარონ საერთაშორისო სასამართლოების სავალდებულო იურისდიქცია, ხოლო აღიარების შემთხვევაში შეზღუდონ ამ იურისდიქციის ფარგლები, მაგალითად, ისე, რომ არ არსებობდეს სავალდებულო დროებითი ღონისძიებების გამოცემის უფლების მიმნიჭებელი დებულება. ამ შემთხვევას ვხვდებით საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ 1965 წლის ვაშინგტონის კონვენციით (მსოფლიო ბანკი) დადგენილი საარბიტრაჟო პროცედურის შემთხვევაში (მუხლი 47). მეორე, არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ მრავალი წლის მანძილზე ისეთი საერთაშორისო სასამართლოები, როგორცაა მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო (1920 — 1939 წლები) და მისი სამართალმემკვიდრე — მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (მისი არსებობის უდიდესი ხნის განმავლობაში (1946 წლიდან 2001 წლამდე) კმაყოფილებოდნენ დროებითი ღონისძიებების მითითებით მათი სავალდებულო ხასიათის დაკონკრეტების გარეშე. მესამე, კონვენციის 34-ე მუხლი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, „არაფრით შეუშალონ ხელი [ინდივიდუალური განაცხადის უფლების] ეფექტიან განხორციელებას“ (ხაზგასმა ჩვენია). დროებითი ღონისძიებების განუხორციელებლობით და, მით უმეტეს, მათთვის სავალდებულო ძალის მიუნიჭებლობით არაფრით „შეშლება ხელი“ ინდივიდუალური განაცხადის უფლებას; ხოლო ამის საწინააღმდეგო მტკიცება 34-ე მუხლის მნიშვნელობას ისე გააფართოებდა, რომ სასამართლოს განმარტების ფუნქციის მქონე ორგანოდან გადააქცევდა საკანონმდებლო ფუნქციების ორგანოდ. ამის დასაბუთება ჩანს დავის გადაწყვეტის სხვა დოკუმენტებიდანაც: არსად სხვაგან იურისდიქცია და განაცხადის უფლება არ არის დაკავშირებული დროებითი ღონისძიებების გამოცემასთან და მათ სავალდებულო ხასიათთან. მაგალითად, ლაგრანდის

საქმეში ჰააგის სასამართლომ თავი შეიკავა თავისი დებულების 35-ე მუხლზე — ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის მსგავს მუხლზე — მითითებისგან დროებითი ღონისძიებების ხასიათის დასადგენად. ჰააგის სასამართლომ განმარტა თავისი დებულების 41-ე მუხლი და დაასკვნა, რომ ამ დებულების მიზანი მიღწეული ვერ იქნებოდა, თუ სასამართლოს მიერ მითითებულ ღონისძიებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ექნებოდა. 1950 წლის კონვენცია რომ შეიცავდეს ჰააგის სასამართლოს დებულების 41-ე მუხლის მსგავს დებულებას, მაშინ ჩვენც დავასკვნიდით, ასეთი დებულების საფუძველზე, რომ დროებითი ღონისძიებების „მითითება“, ტელეოლოგიური განმარტების მეთოდით, ნიშნავს ასეთი ღონისძიებების „ბრძანებას“ ან „დადგენას“. ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლოს შემთხვევაში, რომლის დამფუძნებელი დოკუმენტი — და არა რეგლამენტი! — შეიცავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დებულების 41-ე მუხლის მსგავს დებულებას, ეს საკითხი საერთოდ არც წარმოიშვება, რადგან 1969 წლის ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი უფლებას აძლევს სასამართლოს, დაადგინოს დროებითი ღონისძიებები. მოცემულ საქმეში პრობლემა არის ის, რომ ასეთივე დასკვნის გაკეთებისთვის არ არსებობს გონივრული იურიდიული საფუძველი. ასეთ საფუძველად ვერ გამოდგება კონვენციის 34-ე მუხლი, როგორც ასეთი, რომელშიც შეუძლებელია დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ხასიათის ამოკითხვა.

17. საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 32-ე მუხლის საფუძველზე შესაძლებელია კონვენციის მოსამზადებელ სამუშაოებზე მითითება. ევროპული სასამართლოს განაჩენი კრუზ ვარასის საქმეზე აჩვენებს, რომ მიუხედავად შემოთავაზებებისა, რომ 1950 წლის კონვენციაში შესულიყო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დებულების 41-ე მუხლის მსგავსი დებულება, ეს ასე არ მოხდა — ეს გარემოება აშკარად არ მიუთითებს დროებითი ღონისძიებებისთვის სავალდებულო ძალის მინიჭების განზრახვაზე.

18. კიდევ ერთი გამოსაკვლევი საკითხი, რომელიც განხილული იქნა კრუზ ვარასის საქმეში, არის ხელმეკვრელ სახელმწიფოთა შემდგომი პრაქტიკა, როგორც საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციით გათვალისწინებული ინტერპრეტაციის ელემენტი. ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის ბ ქვეპუნქტი მიუთითებს „ნებისმიერ შემდგომ პრაქტიკას ხელმეკრულების გამოყენებისა, რომელიც ადგენს მხარეთა შეთანხმებას მის განმარტებასთან დაკავშირებით“. ეს პრაქტიკა გათვალისწინებული იქნა კრუზ ვარასის საქმეში. მიმოიხილა რა კონვენციური ორგანოების ადრეული წარუმატებელი მცდელობები მოცემულ საკითხზე რეკომენდაციების მიღებისა (პუნქტი 96), სასამართლომ დაადგინა, რომ ძირითადად — მაგრამ არა სრულად — შესრულება დროებითი ღონისძიებებისა განპირობებული იყო მონაწილე სახელმწიფოთა თანამშრომლობის სურვილით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობდა სხვა მტკიცებულება, რომ არსებული პრაქტიკა, როგორც ამას ვენის კონვენცია მოითხოვს, „ადგენდა მხარეთა შეთანხმებას მის განმარტებასთან დაკავშირებით“. ეს დასტურდება პირველ რიგში იმ ფაქტით, რომ ჯერ კიდევ 1994 წლის სპეციალურ შეხვედრაზე ადამიანის უფლებათა დაცვის პროცედურების გაუმჯობესებაზე მომუშავე ექსპერტთა კომიტეტმა

(DH-PR) მიიღო რეფორმირების შემოთავაზებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან 1994 წლის 31 იანვარს (დოკუმენტები DH-PR(94)2 და DH-PR(94)4). კომისიაც და სასამართლოც მიიჩნევდნენ, რომ ახალ სასამართლოს უნდა ჰქონოდა იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დროებითი ღონისძიებების გამოცემის უფლებამოსილება, რაც ასახული უნდა ყოფილიყო კონვენციაში. სასამართლოს შემოთავაზებული ტექსტი მსგავსი იყო ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტისა. კომისიას ერჩივნა, რომ კომისიის და სასამართლოს რეგლამენტების დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებული დებულებები (36-ე და 36-ე მუხლები) შესულიყო კონვენციის ტექსტში. შვეიცარიის დელეგაციამაც წარმოადგინა შემოთავაზება, რომელიც ითვალისწინებდა კონვენციაში სპეციალური მუხლის ჩანერას დროებითი ღონისძიებების თაობაზე. მუხლი ასე ნაიკითხებოდა: „სასამართლოს შეუძლია ... დაადგინოს ნებისმიერი დროებითი ღონისძიება, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის“ (დოკუმენტი DH-PR(93)20, 1993 წლის 22 ნოემბერი).

19. მათი გაზიარების შემთხვევაში სამივე შემოთავაზება შესაძლებელს გახდიდა იმის მტკიცებას (როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დებულების 41-ე მუხლის შემთხვევაში), რომ სასამართლოს დროებითი ღონისძიებები სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს სამივე შემოთავაზება უარყოფილი იქნა მთავრობათა ექსპერტების მიერ. მოგვიანებით სასამართლოს მიერ მისი რეგლამენტის 36-ე მუხლის საფუძველზე მითითებული ღონისძიებების მონაწილე სახელმწიფოებისთვის სავალდებულო ხასიათის თაობაზე წინადადება წამოჭრა მიგრაციის, ლტოლვილთა და დემოგრაფიის კომიტეტმა (ანგარიშის პროექტი, AS/PR(1997)2 შეცვლილი, 1997 წლის 19 თებერვალი). მინისტრთა კომიტეტმა უარი თქვა დროებითი ღონისძიებების თაობაზე ასეთი დებულების კონვენციაში ჩანერაზე. ეს ყველაფერი მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ შესაბამისი პრაქტიკის ფართოდ გავრცელების ფაქტი ემყარება კეთილგანწყობას, თანამშრომლობას და მოხერხებულობას და არა შეთანხმებულ განმარტებას. მინისტრთა კომიტეტს არც ის ჩაუთვლია საჭიროდ, რომ შემოთავაზებინა სავალდებულო დროებითი ღონისძიებების შესახებ დებულების ჩანერა მე-14 ოქმის პროექტში. და ისევ, ასე იმიტომ მოხდა, რომ დროებითი ღონისძიებების სავალდებულოდ ქცევის შესახებ არანაირი შეთანხმება არ ყოფილა, და არა იმიტომ, რომ კომიტეტმა არასაჭიროდ მიიჩნია დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ხასიათთან დაკავშირებული მოსაზრებები.

20. მოცემულ საქმეში დროებითი ღონისძიებები თვით სასამართლომაც ფაკულტატურად მიიჩნია. ეს ჩანს 39-ე მუხლის ტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია სიტყვები „მითითება“ და „შეუძლია“, ასევე თურქეთისთვის — მოპასუხე სახელმწიფოსთვის — მიწერილი 1999 წლის 18 მარტის წერილის ტექსტიდან:

*“La Présidente de la Première section a décidé aujourd’hui d’indiquer à votre Gouvernement, en application de l’article 39 du Règlement de la Cour, qu’il était souhaitable, dans l’intérêt des parties et du bon déroulement de la procédure devant la Cour, de ne pas extradier le requérant vers la République ouzbèke avant la réunion de la chambre compétente, qui se tiendra le 23 mars 1999.”<sup>1</sup>*

21. და ბოლოს, რაც შეეხება „საერთაშორისო სამართლის შესაბამის ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მხარეთა შორის ურთიერთობებში“, რაზეც მიუთითა პალატამ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის საფუძველზე: მართალია, რომ საერთაშორისო სასამართლოების და ტრიბუნალების დამფუძნებელი ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულება რთავს დროებითი ღონისძიებების „მითითების“ ნებას — და სწორედ ამ ტერმინს იყენებს აღნიშნული დოკუმენტების უმრავლესობა. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ ლაგრანდის საქმეში დროებითი ღონისძიებებისთვის მიკუთვნილი მნიშვნელობა უდავოდ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ასეთ ხელშეკრულებათა განმარტებაზე; მაგრამ ასეთი გავლენა არ უნდა მოხდეს ამ სასამართლოსთან მიმართებაში, რადგან ამ უკანასკნელის დამფუძნებელი დოკუმენტი — ევროპული კონვენცია — საერთოდ არ შეიცავს დროებითი ღონისძიებების „მითითების“ ნებართვას.

#### 5. საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმები

22. გასარკვევი რჩება საკითხი — შეუძლია თუ არა სასამართლოს ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმით ან ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპის საფუძველზე (i) მიუთითოს დროებითი ღონისძიებები და (ii) ბრძანოს დროებითი ღონისძიებების შესრულება. ეს რომ ასე იყოს, მაშინ სასამართლო სავალდებულო დროებითი ღონისძიებების დაკისრებას გაამართლებდა მხოლოდ ზემოაღნიშნული ნორმით ან პრინციპით, შესაბამისი უფლებამოსილების მიმნიჭებელი სახელშეკრულებო დებულების არარსებობის შემთხვევაშიც. რაც შეეხება ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგად პრინციპებს, სავალდებულო დროებითი ღონისძიების შესახებ მართლაც არსებობს ფართოდ დამკვიდრებული წესი შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, რაც გამომდინარეობს ამავე დონეზე დადგენილი სავალდებულო განსჯადობის წესიდან. ამისგან განსხვავებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (პუნქტი 16), ეს წესი არ არის უპირატესი საერთაშორისო დონეზე და ამიტომაც ვერ იქნება გამოყენებული საერთაშორისო დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული პრინციპი ვერ იქნება მორგებული საერთაშორისო სასამართლოების საქმიანობისთვის.

1. [თარგმანი:] „პირველი სექციის თავმჯდომარემ დაადგინა, მიუთითოს თქვენს მთავრობას, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, რომ მხარეთა ინტერესებში და სასამართლოში წარმოების ნორმალურად წარმართვის მიზნით სასურველია, არ მოხდეს განმცხადებლების გადაცემა უზბეკეთის რესპუბლიკისათვის შესაბამისი პალატის სხდომის ჩატარებამდე – 1999 წლის 23 მარტამდე.“

23. თუმცა უნდა არსებობდეს ჩვეულებითი ნორმა, რომელიც საერთაშორისო სასამართლოებს და ტრიბუნალებს მისცემს უფლებას, თუნდაც სახელმეკრულებო ნორმის არარსებობის შემთხვევაში, შეიმუშაონ საკუთარი რეგლამენტი, რომელშიც შეიძლება შევიდეს დროებითი ღონისძიებების ჩამოყალიბების უფლება. მაგრამ ეს წესი ვერ მოიცავს ასეთი ღონისძიებების დაკისრების უფლებას.

## 6. დასკვნები

24. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით სასამართლოს მიერ „მითითებული“ დროებითი ღონისძიებების სავალდებულო ხასიათი არ გამოდინარეობს კონვენციის არც 34-ე მუხლიდან (ინდივიდუალური საჩივრის უფლება) და არც 26-ე მუხლის (დ) პუნქტიდან (სასამართლოს უფლება, მიიღოს საკუთარი რეგლამენტი), თუ ეს დებულებები განიმარტება 1969 წლის 23 მაისის საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის შესაბამისად. იგივე დასკვნა გამომდინარეობს თვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდანაც, მათ შორის მოცემულ საქმეში დასაწყისში გამოთქმული მიდგომიდან (იხ. განაჩენი, პუნქტი 24).

25. ამიტომ ჩვენი ძირითადი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ აქ განხილული საკითხი არის კანონშემოქმედების საკითხი და არა სამოსამართლო ქმედება. ვინაიდან არც სასამართლოს დამფუძნებელი დოკუმენტი და არც ზოგადი საერთაშორისო სამართალი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეასრულონ დროებითი ღონისძიებები, სასამართლოს არ შეუძლია სანინალმდგომი გადაწყვეტილების მიღება და, შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებისთვის ახალი ვალდებულების დაკისრება; ანუ, მოქმედი სამართლის მიხედვით, იმის დასკვნა, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო დროებითი ღონისძიებები, უფლებამოსილების გადამეტებაა. შესაძლოა, ასეთი უფლებამოსილების ქონა სასურველია, მაგრამ მისი მინიჭება მხოლოდ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ.